

ედღ ენება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის  
უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადებიდან 80  
და აღსაყდრებიდან 35 წლის თებულეს



**Dedicated to the 80<sup>th</sup> anniversary of the birth and the  
35<sup>th</sup> anniversary of the enthronement of His Holiness  
and Beatitude, Catholicos-Patriarch of All Georgia  
Ilia II**



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2013

**Ivane Javakishvili Tbilisi State University**

**Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology**

**ISSN 1512-3154**

# **Studies in Modern and Contemporary History**

## **1(12)**



**Publishing House „UNIVERSAL“**

**Tbilisi 2013**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

# ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

## 1(12)



გამომცემლობა „უნივერსალი“  
თბილისი 2013

უკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/...“  
ა-984

სარედაქციო კოლეგია:

**ირაკლი გაბისონია**  
**ზურაბ გამეზარდაშვილი**  
**გია გელაშვილი**  
**შოთა ვადაჭკორია**  
**ვასილ კაჭარავა**  
**იგორ კვესელავა**  
**ვაჟა კიკნაძე**  
**ლუიჯი მაგაროტო**  
(ვენეციის უნივერსიტეტი)  
**ვოიცეხ მატერსკი**  
(პოლონეთის მეცნიერებათა  
აკადემია)  
**გელა საითიძე**  
(რედაქტორის მოადგილე)  
**ავთანდილ სონლულაშვილი**  
(რედაქტორი)  
**ხათუნა ქოქრაშვილი**  
(პასუხისმგებელი მდივანი)  
**დოდო ჭუმბურიძე**  
(რედაქტორის მოადგილე)  
**ნიკო ჯავახიშვილი**

EDITORIAL BOARD:

**Irakli Gabisonia**  
**Zurab Gamezardashvili**  
**Gia Gelashvili**  
**Shota Vadachkoria**  
**Vasil Kacharava**  
**Igor Kveselava**  
**Vazha Kiknadze**  
**Luiji Magaroto**  
(Venice University)  
**Wojciech Materski**  
(Academy  
of sciences of Poland)  
**Gela Saitidze**  
(Deputy editor)  
**Avtandil Songulashvili**  
(Editor)  
**Khatuna Kokrashvili**  
(Executive secretary)  
**Dodo Chumburidze**  
(Deputy editor)  
**Niko Javakhishvili**

საბამომცემლო საბჭო: **ირინა არაბიძე, მზია ტყავაშვილი,**  
**ხათუნა ქოქრაშვილი, ცაცა ჩხარტიშვილი, დოდო ჭუმბურიძე.**

PUBLISHING COUNCIL: **Irina ArabiZe, Mzia Tkavashvili, Khatuna**  
**Kokrashvili, Tsatsa Chkartishvili, Dodo ChumburiZe.**

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2013

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### Contents

**ირინა არაბიძე** ..... 14  
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის  
მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის  
აღიარებისათვის

#### **Irina Arabidze**

*The Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II for Recognition of the Georgia Church Autocephaly*

## ს ა ქ ა ზ თ ე კ ე ლ თ ს ი ს ტ თ ზ ი ა

### The History of the Georgia

**ავთანდილ სონღულაშვილი** ..... 34  
ირან-ოსმალეთის აგრესია და ქართველთა გამაჰმადიანების  
მცდელობანი გვიანი ფეოდალიზმის პერიოდში

#### **Avtandil Songulashvili**

*Persian-Ottoman Aggression and Attempts of Converting Georgians into Islam In the late Feudal Era*

**მზია ტყავაშვილი** ..... 46

დარუბანდის გასასვლელი რუსეთის პოლიტიკური  
ინტერესების სფეროში (XVI ს-დან XVIII ს-ის დასაწყისამდე)

#### **Mzia Tkavashvili**

*The Derbent Pass in the Sphere of Russia's Political Interests  
(The second half of XVI century)*

**დავით ჯავახიშვილი** ..... 55

მეფე გიორგი XII-ის მშობლები და ოჯახი

#### **Davit Javakhishvili**

*King George the XII's Parents and Family*

**თეიმურაზ ახალმოსულიშვილი** ..... 64

კახეთის 1812 წლის სახალხო აჯანყების პირველი ეტაპის  
ასახვა თანადროულ საისტორიო წყაროებში

#### **Teimuraz Akhalmosulihvili**

*The Reflections of the First Stage of the 1812 Kakheti Popular Uprising in the Contemporary Historical Sources*

|  |            |
|--|------------|
| <b>დოდო ჭუმბურიძე</b> .....  | <b>73</b>  |
| შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება XIX საუკუნის I ნახევარში  |            |
| <b>Dodo Chumburidze</b>  |            |
| <i>Socio-Economic Situation of Shida Kartli in the First Half of the 19<sup>th</sup> Century</i>   |            |
| <b>გელა საითიძე</b> .....  | <b>91</b>  |
| ეპისკოპოს გაბრიელისა და სენატორ გიორგი მუხრანსკის წერილობითი გასაუბრება მცირე ერებისა და მათი ენების არსებობასთან დაკავშირებით                     |            |
| <b>Gela Saitidse</b>   |            |
| <i>Correspondence of the Bishop Gabriel with Giorgi Mukhranski about the Existence of the Small Nations and their Languages</i>                    |            |
| <b>ოთარ გოგოლიშვილი</b> .....  | <b>113</b> |
| უცხოელების მოღვაწეობის ისტორიიდან ბათუმში (XIX-XX საუკუნის პირველი ათწლეული)   |            |
| <b>Otar Gogolishvili</b>   |            |
| <i>The French in Batumi (XIX-XX c.)</i>  |            |
| <b>ნატო სონღულაშვილი</b> .....   | <b>120</b> |
| ქართველი ინტელიგენცია 1900-1910 წლებში   |            |
| <b>Nato Songulashvili</b>  |            |
| <i>Georgian Inteligency in 1900-1919</i>   |            |
| <b>ბეკა კობახიძე</b> .....   | <b>134</b> |
| საქართველოს პირველი რესპუბლიკის დიპლომატიის უცნობი მხარეები — ღვით ღამბაშიძე   |            |
| <b>Beka Kobakhidze</b>   |            |
| <i>Unknown Sides of The First Georgian Republic's (1918-1921) Diplomacy – Davit Ghambashidze</i>   |            |
| <b>შოთა ვადაჭკორია</b> .....   | <b>154</b> |
| ქართული პოლიტიკური აზრი ოსური საგჟოური ავტონომიის შექმნისა და მისი სამართლებრივი შეფასების შესახებ (XX ს- ის 20- იანი წლები)                       |            |
| <b>Shota Vadachkoria</b>   |            |
| <i>Georgian Political Thought About the Issue of Creating Ossetian Autonomy and its Legal Evaluation (the 20es of the 20<sup>th</sup> century)</i> |            |
| <b>ლელა სარალიძე</b> .....   | <b>178</b> |
| სსრკ-ის დაშლისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ისტორიიდან (XX საუკუნის 90-იანი წლები)  |            |

**Lela Saralidze**

*From the History of the Soviet Union Dissolve and Tskhinvali Region Conflict (The 90es of the 20<sup>th</sup> century)*

ს ა ქ ა ნ ი თ კ ე ლ თ დ ა მ ს თ ფ ლ ი თ  
**Georgia and the World**

**გულნაზ ჯავახიშვილი.....206**

ნაკომო გომეგაშვილი XIX საუკუნის 60-იანი წლების  
მსოფლიო ისტორიული მოვლენების შესახებ

**Gulnaz Javakhishvili**

*Iakob Gogebashvili About the Events of the World History of the 1860es*

**გულნაზ ჯავახიშვილი.....216**

ნაკომო გომეგაშვილი და ირლანდიის საკითხი

**Gulnazi Javakhishvili**

*Iakob Gogebashvili and Ireland*

**იგორ კვესელავა.....225**

ბარესამყარო და ქართველ მოღვაწეთა ორიენტირი  
(ევროპა, რუსეთი, ამერიკა)

**Igor Kveselava**

*World and Orient of Georgian Statesmen (Europe, Russia, America)*

მ ს თ ფ ლ ი თ ი ს ტ თ ნ ი ა

**The History of the World**

**ზურაბ სულაბერიძე.....238**

ბალკანეთის კრიზისი და ბულგარეთის პოლიტიკური  
ისტორიის პრობლემები მე-19 ს-ის 70-80-იან წლებში

**Zurab Sulaberidze**

*The Balkan Crisis and the Problems of Political History in Bulgaria In the late 19th Century (1870-1880)*

**არჩილ ჩაჩხიანი.....257**

ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების დასაწყისი  
და პირველი კონტაქტები 1919 წელს

**Archil Chachkhiani**

*Early Relations between Bolsheviks and Kemalists and their First Contacts in 1919*

**ზურაბ კვეტენაძე.....292**

რატომ დანიგმო სტალინის პიროვნების კულტი

**Zurab Kvetenadze**

*Why Was Condemned the Cult of Stalin's Personality*

**მაია ამირგულაშვილი .....300**

გლობალიზაცია და ეროვნული პრობლემები

**Maia Amirgulashvili**

*Globalization and National Problems*

ქ ა ზ თ უ ლ ი ე მ ი გ რ ა ც ი ა ს ი ს ტ ო ზ ი ი დ ა ნ

**From the History of the Political Emigration**

**შორენა მურუსიძე .....306**

მსოფლიოს ბიპოლარიზაციის დასაწყისი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

**Shorena Murusidze**

*The Beginning of the World's Bipolarization and the Georgian Political Emigration*

ს ა ქ ა ზ თ ა ლ მ ტ ო დ ნ ე თ ბ ა . ს ა ქ ა ზ თ ლ ი ს

ი ს ტ ო ზ ი ა

**The Law. The History of the Law**

**ვახტანგ სონღულაშვილი.....317**

ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი ურთიერთობის თანამედროვე მოდელები

**Vakhtang Songulashvili**

*Contemporary Models of Legal Relationship Between Church and State*

**ნანა ხარაძე .....329**

სახელმწიფო პოლიტიკა საჯარო სამსახურის სფეროში

**Nana Kharadze**

*State Policy at Public Service Sphere*

ბ ო ლ ი ტ ი კ უ ზ ი ბ ო ზ ტ რ ე ტ ე ბ ი

**Political Portrait**

**არჩილ ჩაჩხანიანი.....338**

პოლიტიკური პროტრეტები რეჟიმების გარეშე — ვლადიმერ ლენინი და მუსტაფა ქემალი (ათათურქი)



**Archil Chachkhiani**

*The Political Portraits without Retouch \_Vladimir Lenin and Mustafa Kemal (Atatürk)*

**ნიკო ჯავახიშვილი .....371**  
ლავრენტი ბერია რამდენიმე თანამედროვე თვალთ

**Niko Javakhishvili**

*Lavrenti Beria by the Eyes of Some his Contemporary Public Figures*

პოლიტიკა. საერთაშორისო ურთიერთობები  
**The Policy. International Relationships**

**გელა ირემაძე .....394**  
რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების გეოპოლიტიკური  
განზომილება

**Gela Iremadze**

*Russian-American Relations in the Euro-Atlantic Region*

**თამრიკო ანთია .....400**  
ისლამი და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები

**Tamriko Antia**

*Islam and International relations*

**სოფო ჩქოპოია .....410**  
რელიგია (ისლამი) და ტერორიზმი

**Sopo Chkopoia**

*Religion (Islam) and terrorism*

**ჯაბა უროტაძე .....415**  
ჰუმანიტარული ინტერვენციის დეფინიციის ზოგიერთი  
ასპექტები

**Jaba Urotadze**

*Several aspects of humanitarian intervention definition*

**ხათუნა ქოქრაშვილი.....427**  
ნატო და საქართველოს კონფლიქტური რეგიონები

**Khatuna Kokrashvili**

*NATO and the Regions of Conflict in Georgia*

ისტორიოგრაფია

**Historiography**

მერაბ კალანდაძე.....451  
დომიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის  
პერიოდიზაციაზე

**Merab KalandaZe**

*Dimitri Uznadze on the Periodization of French Revolution*

წყობილეთა

**Source-Studies**

მზია მგალობლიშვილი.....459  
ლელა მიქიაშვილი  
ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მასალები იმერეთის  
შესახებ

**Mzia Mgaloblishvili**

**Lela Mikiashvili**

*Imereti in the 30-ies of the XIX century According to the „Travel“ of Dubois de Monpere*

გია გელაშვილი.....488  
ინგლისელი მოგზაური ლორენს ოლიფანტი აფხაზეთის  
შესახებ

**Gia Gelashvili**

*English Traveller Laurence Oliphant about Abchasien*

განათლება და კულტურა

**Education and Culture**

ცაცა ჩხარტიშვილი.....506  
პირველი სასულიერო სამრევლო სასწავლებელი გურიის  
(ჯუმათის მამათა მონასტერი)

**Tsatsa Chkhartishvili**

*The First Parish Religious School in Guria*

**ნანა ნათელაძე** .....515  
ზღაპარი „ნაცარქეკია“ და მისი თანამედროვე ინგლისური  
თარგმანის ახალი ვერსია

**Nana Nateladze**

*A new version of a modern English translation of ‘Natsarkekia’, a fairy tale*

**გიორგი გრძელიძე** .....523

გურიის ხელოვნური გამოქვაბულები და მათთან  
დაკავშირებული ხალხური ეთნოგრაფიული გადმოცემები

**George Grdzeliძე**

*The Artificial Caves and Related Folk-ethnographic Legends of Guria*

წ ა ზ ს უ ლ ი ს   გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

**The Memory of the Past**

**ედიშერ გვენეტაძე** .....527

სამშობლოს ერთგული ჯარისკაცის გალაკტიონ  
გვენეტაძის ოჯახის თავგადასავალი

**Edisher Gvenetadze**

*Family Adventure of the Soldier Galaktion Gvenetadze*

კ რ ი ტ ი კ ა   დ ა   ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

**Criticism and Bibliography**

**ბადრი ცხადაძე** .....535

აფხაზეთი და ქართველთა „გააფხაზება“  
მეუფე-მეცნიერის თვალსაწიერით

**Badri Tskhadadze**

*Abkhazia and the transformation of Georgians into Abkhazians from the  
point of scientific ruler (Review of the Metropolitan Anania Japharidze’s  
book – „Abkhazia“)*

**გურამ ყორანაშვილი** .....543

წიგნი ილიას მკვლელობის შესახებ

**Guram KoranaSvili**

*On the book „Social-democrat Bolshevic Terrorists-the Murders of Ilia  
Chavchavadze“ by Tengiz Simashvili, Tbilisi, 2011*

გელა საითიძე .....551

**შორენა მურუსიძე**

კარბიკა, მამბრამ ნაკლიც აქვს... (უჩა ბლუაშვილი: „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993 წწ.“ რეცენზია)

**Gela Saitidze**

**Shorena Murusidze**

*Ucha Bluashvili's work: National Movement and Political Confrontation in Georgia (1987-1993), Review.*

ქ ე ე ნ ი ი უ ბ ი ლ ა ზ ი

**Anniversary**

იგორ კვესელავა – 70 ..... 555

**Igor Kveselava – 70**

## კრებული გამოდის წელიწადში ორჯერ

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი,  
ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

თბილისი, პეტრე მელიქიშვილის ქ. № 10, III სართული  
ტელეფონი: 93 41 37

## ირინა არაბიძე

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

### **სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მოღვაწეობა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის**

ავტოკეფალია ბერძნული სიტყვაა და „თავისი თავის გამგებლობას“ ნიშნავს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებული ძირითადი ეტაპები, ჩვენი ისტორიული წყაროებიდან გამომდინარე, ასე წარმოგვიდგება: IV საუკუნეში, მირიანის მეფობის დროს, ქრისტიანობა იბერიაში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. საეკლესიო იერარქიის ჩამოყალიბებისა და ღვთისმსახურების დაწესების შემდეგ, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის დასტურით, ახლადდაარსებული ეკლესია ანტიოქიის მღვდელმთავრის დაქვემდებარებაში შევიდა. მისი დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების ამსახველი პირდაპირი ცნობა არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. მეცნიერთა ნაწილი თვითმწყობის დაწესების არაპირდაპირ დასტურად მიიჩნევს „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობს — V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის მიერ კათოლიკოსის მეთაურობით 13 საეპისკოპოსოს დადგინების შესახებ.

ავტოკეფალიის არსებობის ერთ-ერთ ნიშნად მიაჩნიათ, აგრეთვე, XI საუკუნის დასაწყისიდან (თუ უფრო ადრე არა) ჩვენი ეკლესიის მეთაურის ტიტულატურაში „პატრიარქის“ წოდების გაჩენა.

ყველაზე ადრეულ დოკუმენტად, სადაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ პირდაპირ არის საუბარი, გვევლინება XII საუკუნეში მოღვაწე ბიზანტიელი კანონისტის თეოდორე ბალსამონის ცნობა. ის წერს, რომ იბერიის ეკლესიამ ავტოკეფალია ანტიოქიის საეკლესიო კრების დადგენილებით ნეტარი პეტრეს პატრიარქობაში მიიღო.

ხოლო ქართული წყაროების ცნობით, XIII საუკუნეში ჩვენი ეკლესია — სვეტიცხოვლის ტახტი, მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში VI ადგილზე იდგა (რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ეკლესიათა შემდეგ) [1, 86-90, 143-161].

ავტოკეფალურ უფლებათა მოპოვების პროცესის ამსახველი უფრო დაზუსტებული დოკუმენტები, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ-ჯერობით არ გავგაჩნია. არ არის შემონახული ჩვენი ეკლესიის თვითმწყობისადმი აღმოსავლეთის ეკლესიათა დამოკიდებულების ამსახველი ცნობებიც.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის (შიოლაშვილი) აზრით, V საუკუნის II ნახევარში ანტიოქიის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებას და XI საუკუნის დასაწყისში მისი მამამთავრის ტიტულატურაში პატრიარქის ნოდების გაჩენას ბიზანტიის იმპერატორისა და კონსტანტინეპოლის ანუ მსოფლიო პატრიარქის თანხმობა ექნებოდა საფუძვლად, რადგან ეს იყო არა მარტო საეკლესიო, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი. მისივე აზრით, ბიზანტიის იმპერიისა და საქართველოს მძიმე ისტორიამ განაპირობა ამ თანხმობის, ე. ი. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტების განადგურება.

აღნიშნული დოკუმენტების არარსებობის გამო საქართველოს ეკლესიამ რუსეთის ეკლესიის უღლისაგან გათავისუფლების (1917 წელი) შემდეგ უფლებების სრულად აღდგენა ველარ შეძლო. რაც იმაში გამოიხატა, რომ მართლმადიდებელ ეკლესიათა მასშტაბით ხდებოდა მისი იგნორირება: მსოფლიო საპატრიარქო არ პასუხობდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა მიმართვებს, საქართველოს ეკლესია არ იყო მიწვეული 1926 წლისათვის დაგეგმილ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე (თუმცა იგი არც შემდგარა) და სხვა.

1964 წელს როდოსის III სრულიად მართლმადიდებელთა თათბირზე (მიმდინარეობდა 11-17 ნოემბერს) საქართველოს ეკლესია მიწვეული იყო არა როგორც ავტოკეფალური, არამედ როგორც კონსტანტინეპოლის ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი ავტონომიური ეკლესია. საქართველოს ეკლესიას იქ ახლადნაკურთხი შემოქმედელი ეპისკოპოსი ილია (შიოლაშვილი) წარმოადგენდა. კრებაზე უნდა განხილულიყო მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა შორის დიალოგის დაწყების საკითხი. სანამ აღნიშნულის შესახებ

საქართველოს ეკლესიისა და თავის აზრს გამოხატავდა, ეპისკოპოს-მა ილიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა იგნორირების გამო სიტყვიერი პროტესტი განაცხადა [2, 5]. სწორედ აქედან დაიწყო საქართველოს ეკლესიის დღევანდელი საჭეთმპყრობლის ბრძოლა მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებისათვის.

ილია შემოქმედელმა როდოსის კრების თავმჯდომარეს — ილიოპოლისის მიტროპოლიტ მელიტონს, ოფიციალური განცხადებაც წარუდგინა: შეახსენა საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია და ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ წერდა ბერძენი კანონისტი თეოდორე ბალსამონი, რომელიც 1193 წელს ანტიოქიის პატრიარქი გახდა.

წერილში აღნიშნული იყო რუსეთის თვითმპყრობელობის მიერ 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძალმომრეობით, საეკლესიო კანონების დარღვევით გაუქმებისა და 1917 წელს, რუსეთის იმპერიის დაცემის შემდეგ, აღდგენილად გამოცხადების შესახებ. რის შემდეგაც, დროთა განმავლობაში, საქართველოს ეკლესიამ კანონიკური და ლოცვით-ევქარისტული კავშირი ყველა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან აღადგინა.

წარსული ისტორიის გათვალისწინებით — წერდა ილია შემოქმედელი, შეუძლებელია საქართველოს ეკლესია პროტესტის გარეშე შეხვდეს თავის უფლებათა დამცრობისა და ახლადჩამოყალიბებული ეკლესიების გვერდით დაყენების ფაქტს.

საპროტესტო წერილში ისიც აღნიშნული იყო, რომ საქართველოს მხრიდან როდოსის შეკრებაში მონაწილეობა განპირობებული იყო მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთიანობის ინტერესებით. მაგრამ თუ საქართველოს ეკლესიის უფლებათა იგნორირება შემდეგშიც გაგრძელდებოდა, მსგავს ღონისძიებებში საქართველოს ეკლესიის მონაწილეობა გართულდებოდა [2, 7-8].

ეპისკოპოს ილიას როდოსიდან დაბრუნების შემდეგ საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ეფრემ II-მ (1960-1972) ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა იგნორირების გამო პროტესტით მსოფლიო პატრიარქსაც მიმართა [3, 259-263].

მოლაპარაკებები მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოს I-თან ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებაზე უფრო ინტენსიური გახდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის არჩევის (1977 წ. დეკემბერი) შემდეგ.



საკითხი დაისვა 1978 წლის ივნისში აღმოსავლეთის ეკლესიათა წარმომადგენლების საქართველოში ყოფნის დროს (ისინი ვერ დაესწრნენ კათოლიკოს-პატრიარქად ილია II-ის კურთხევას და ამის აღსანიშნავად მოგვიანებით ჩამოვიდნენ).

მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაციას მეთაურობდა მიტროპოლიტი მელიტონი, რომელიც 1964 წელს როდოსის III კრების თავმჯდომარე იყო. იგი საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის მიმართ იმდენად დიდ პატივისცემას გამოხატავდა, რომ მსოფლიო საპატრიარქოში მიღებულ მიმართვის ოფიციალურ ფორმასაც კი არღვევდა და მას ხშირად კათოლიკოს-პატრიარქობით მოიხსენიებდა [4, 8]. თუმცა, როგორც 1978 წლის 16 ივლისს ისტორიკოსებთან შეხვედრისას მისი უწმიდესობა აღნიშნავდა, მიმართვის ეს ფორმა არც მსოფლიო პატრიარქისთვის იყო უცხო.

სტუმრად მყოფი დელეგაციის წასვლის შემდეგ, 16 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სიონის საკათედრო ტაძარში მიიწვია მეცნიერები: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნოდარ ასათიანი, ამავე ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მარიამ ლორთქიფანიძე; ხელოვნების კათედრის გამგე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი პარმენ ზაქარაია, ძველი აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგე, ბიზანტინოლოგი, პროფესორი და მწერალი ლევან სანიკიძე; არქეოლოგიის კათედრის გამგე პროფესორი ოთარ ჯაფარიძე; ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები: პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე, გურამ მამულაია; ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი გურამ აბრამიშვილი; ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი გიორგი ხუციშვილი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რევაზ სირაძე; ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ეთერ ავსაჯანიშვილი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან: პროფესორები — შოთა ლომსაძე, იური სიხარულიძე, ნოდარ ლომოური, გივი ღამბაშიძე, დერმიშა გოგოლაძე, დოცენტები — ბაბილინა ლომინაძე, დარეჯან მეგრელაძე, თამაზ ბერაძე, ანრი ბოგვერაძე; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტიდან პროფესორი ივანე ლოლაშვილი.

თათბირზე კათოლიკოს-პატრიარქმა ისაუბრა საქართველოს ეკლესიის ისტორიის დაწერის აუცილებლობაზე და ისტორიკოსთა აზრები მოისმინა.

მისივე წინადადებით, უფრო სასწრაფო საკითხს წარმოადგენდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამადასტურებელი საბუთების მოძიება. „ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ ბერძნებს, რომ ჩვენი ეკლესიის მეთაური XI საუკუნის დასაწყისიდან ატარებდა კათოლიკოს-პატრიარქის წოდებას. ბერძნები ჩვენს ეკლესიას აყენებენ არა საპატრიარქოთა შორის, არამედ [ავტონომიურ] ეკლესიათა შორის. ჩვენ ხშირი მიმონერა გვაქვს კონსტანტინეპოლის პატრიარქთან და, როდესაც მისგან ვღებულობთ წერილებს, ის ჩვენ მოგვიხსენიებს, როგორც უნეტარეს კათოლიკოსს და არა როგორც პატრიარქს. როგორც ჩანს, ჩვენს ბერძენ კოლეგებს ავიწყდებათ ჩვენი ისტორია ან, საერთოდ, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ უნდათ რომ იცნონ ჩვენი სუვერენული უფლება ამ მხრივ“ [4, 1-7].

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა აღიარების მისაღწევად საჭირო იყო, მსოფლიო პატრიარქისათვის ქართული მხარის მოთხოვნის კანონიერება ისტორიული დოკუმენტებით დაგვემტკიცებინა.

ეკლესიის თვითმწყობასთან დაკავშირებით მსოფლიო საპატრიარქოს წინაშე საქართველოს ეკლესია 3 საკითხს აყენებდა: 1. V საუკუნიდან მიღებული ავტოკეფალიის და 2. ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტიტულის — „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი“ სიძველის (XI ს. დასაწყისიდან) აღიარება; 3. მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში საქართველოს ეკლესიის დაყენება კუთვნილ VI ადგილზე.

დიპტიქში მართლმადიდებელი ეკლესიები განლაგებული უნდა იყვნენ თავიანთი სიძველისა და ღირსების მიხედვით. ყოველი მართლმადიდებელი ეკლესია კანონიკური კავშირისა და ერთობის ნიშნად, ღვთისმსახურებისას მოძმე ეკლესიათა პირველიერარქებს სწორედ დიპტიქში არსებული თანმიმდევრობით იხსენიებს. დიპტიქში ამა თუ იმ ეკლესიის ადგილის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა ენიჭება ავტოკეფალიის გამოცხადების თარიღს [5, 62; 6, 3]. ამიტომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო პატრიარქის მიერ საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის აღიარებას და არა მის მინიჭებას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მსოფლიო პატრიარქსა თუ მის წარმომადგენლებს ოფიციალური წერილებითაც აცნობდა წყაროებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურ უფლებათა მოპოვების ეტაპებს რომ ასახავდნენ. ჩვენი ეკლესიის უფლებებში მათ დასარწმუნებლად კათოლიკოს-პატრიარქს სურდა, ქართული წყაროები ბერძნული დოკუმენტებითაც გაემაგრებინა, რომ შემდეგში ეკლესიის უფლებები დავის საგანი აღარ გამხდარიყო.

ისტორიკოს შოთა ბადრიძის აზრით, გამორიცხული არ იყო, რომ მელქისედეკ კათოლიკოსისათვის პატრიარქობა ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ს მიენიჭებინა 1021-1022 წლებში, საქართველო-ბიზანტიის ომის დამთავრების შემდეგ.

უნმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოსაზრებით, ჩვენი მამამთავრები იშვიათად იყენებდნენ ტიტულს — „პატრიარქი“. მიუხედავად ამისა, შესაძლო იყო, კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკს მიმოწერა ჰქონოდა საბერძნეთთან და თავისი ტიტული სრული სახით იქაც მოეხსენიებინა, ისევე, როგორც იხსენიებს სვეტიცხოვლისადმი შეწირულობის სიგელში [4, 9; 7, 18].

უნმიდესის წინადადებით, ავტოკეფალიის საკითხზე მუშაობა ბაბილინა ლომინაძეს უნდა გაეგრძელებინა. დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესწავლაში მას ანრი ბოგვერაძე, რევაზ სირაძე და ზაზა ალექსიძე დახმარებოდნენ [4, 10].

საქართველოს ეკლესიის ისტორიის დასამუშავებლად, პირველ რიგში კი, ავტოკეფალიის საკითხზე სამუშაოდ შეიქმნა რედკოლეგია:

რედაქტორი — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II; პირველი მოადგილე — ბაბილინა ლომინაძე; მეორე მოადგილე — რევაზ სირაძე; პასუხისმგებელი მდივანი — ზაზა ალექსიძე; გურამ მამულია [4, 15].

ავტოკეფალიასთან დაკავშირებული დოკუმენტების მოძიება საჩქარო იყო, რადგან 1978 წლის შემოდგომაზე ივემებოდა საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ვიზიტი მსოფლიო საპატრიარქოში და მას სურდა, პატრიარქ დიმიტრიოსის წინაშე წყაროებით შეიარაღებული წარმდგარიყო [4, 8]. (ვიზიტი შედგა 1979 წელს).

მეორე მიზეზი, რაც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დამამტკიცებელი მასალის შეგროვების დაჩქარებას განაპირობებდა, იყო უახლოეს წლებში მოსალოდნელი მსოფლიო საეკლესიო

კრება. კრებაზე, მრავალ საკითხთან ერთად, მსჯელობის საგანი იქნებოდა ეკლესიათა ავტოკეფალიისა და ავტონომიის საკითხებიც.

უნმიდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიო საპატრიარქოს ხშირად ახსენებდა საქართველოს ეკლესიის პრინციპულ პოზიციას — თუ კრებამდე ავტოკეფალიის საკითხი არ მოწესრიგდება, ჩვენს ეკლესიას მასზე დასწრება გაუჭირდება. ავტოკეფალიის საკითხი მანამდე უნდა გადაწყდეს, რომ მსოფლიო კრება განხეთქილების ადგილად არ იქცესო [4, 1-7].

VIII მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევის ინიციატივით მსოფლიო საპატრიარქო ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში გამოდიოდა. კრების თარიღად, როგორც აღვნიშნეთ, 1926 წლის აგვისტო იყო დადგენილი. კრება ვერ ჩატარდა და ეს საკითხი დღის წესრიგში XX საუკუნის ბოლო მეოთხედშიც იდგა.

საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალიის საკითხში, აღმოსავლეთის ზოგიერთ სხვა ეკლესიასთან ერთად, მხარს უჭერდა რუსეთის ეკლესიაც. მაგრამ ეს მხარდაჭერა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ძველ უფლებათა აღიარებით არ ყოფილა ნაკარნახევი, მას საფუძვლად რუსეთის ეკლესიის ინტერესების დაცვაც ედო.

რუსეთის ეკლესიამ ამერიკაში არსებულ რუსულ ეკლესიას მიანიჭა ავტოკეფალია. მსოფლიო პატრიარქმა ამ მოვლენას წინააღმდეგობა გაუწია, რადგან თვლიდა, რომ ერთ ეკლესიას ამის უფლება არ უნდა ჰქონოდა.

რუსეთის ეკლესიამ თავისი უფლებების დასაცავად საქართველოს ეკლესიის მაგალითის გამოყენება ცადა. მისი არგუმენტი ასეთი იყო: თუ ანტიოქიის ეკლესიას ჰქონდა უფლება საქართველოს ეკლესიისათვის მიენიჭებინა ავტოკეფალია, ჩვენც უნდა გვექონდეს ამერიკის ეკლესიისათვის თვითმწყობის მინიჭების უფლებაო.

წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის ეკლესიაც, საქართველოს ეკლესიის მსგავსად, უარს ამბობდა მსოფლიო კრებაში მონაწილეობაზე, რაც მსოფლიო საპატრიარქოს კრების ჩატარებისათვის დაბრკოლებას შექმნიდა [4, 1-7].

მსოფლიო საპატრიარქოს მხრიდან საკითხი ჯერაც არ არის გადაწყვეტილი. ამის მიუხედავად, საქართველოს, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის ეკლესიები ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას აღიარებენ.

ავტოკეფალურ ეკლესიათაგან ზოგი (რუსეთი, ბულგარეთი, სერბეთი, რუმინეთი, პოლონეთი), ტრადიციისამებრ, საქართველოს

ეკლესიას თავიანთ დიპტიქში VI ადგილზე აყენებდა და მის მეთაურ-საც პატრიარქის ტიტულით მოიხსენიებდა. ზოგი ეკლესია კი (ელადის, კვიპროსის), კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მსგავსად, საქართველოს ეკლესიას ავტონომიურ ეკლესიათა შორის ათავსებდა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეკლესიის ინტერესების დასაცავად ამ მხრივაც უხდებოდა განმარტებების კეთება.

1980 წელს ელადის საეკლესიო კალენდარში საქართველოს ეკლესიის შესახებ გამოქვეყნებული მასალის გამო კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ეს კიდევ ერთხელ მოუხდა მტკიცება, რომ საქართველოს ეკლესია არასოდეს ყოფილა ავტონომიური და არც მსოფლიო პატრიარქის იურისდიქციაში ირიცხებოდა.

საქართველოს ეკლესიის მეთაური ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს სერაფიმესთვის გაგზავნილ წერილში ჩვეული სულგრძელობით გამოთქვამდა იმედს, რომ მისი უშუალო ჩარევით შეცდომა გამოსწორდებოდა და საქართველოსა და ელადის ეკლესიებს შორის ტრადიციულ მეგობრულ ურთიერთობებს საფრთხე არ დაემუქრებოდა [8, 1-3].

მთავარეპისკოპოსი სერაფიმე საპასუხო წერილში (1981 წლის 18 მარტი) საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელს მსოფლიო საპატრიარქოს მიერ აღიარებული ფორმით მიმართავდა — „მცხეთის უნეტარესო და უწმიდესო მთავარეპისკოპოსო, თბილისის მიტროპოლიტო და კათოლიკოსო სრულიად საქართველოჲსა“. ის წერდა, რომ საეკლესიო კალენდარში გამოქვეყნებული ცნობები მიზნად ისახავდნენ, წარმოდგენა შეექმნათ მკითხველისათვის საქართველოს ეკლესიის მოღვაწეობისა და ადმინისტრაციული სტრუქტურის შესახებ. დიპტიქში ადგილი დაცული იყო მსოფლიო საპატრიარქოს პრაქტიკაში არსებული რიგის მიხედვით. წერილში, ამასთანავე, გამოთქმული იყო იმედი, რომ ელადისა და საქართველოს ეკლესიებს შორის არსებული ურთიერთობები აღნიშნულით არ დაიჩრდილებოდა [5, 29].

1982 წლის 3 ივლისს საქართველოს ეკლესიის მეთაურმა ეკლესიის უფლებათა დისკრიმინაციის წინააღმდეგ კონსტანტინეპოლის პატრიარქს და წმიდა სინოდს მიმართა. რადგან მსოფლიო საპატრიარქო ეჭვის ქვეშ აყენებდა დიპტიქში საუკუნეების წინ დადგენილი ჩვენი ეკლესიის ადგილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ კიდევ ერთხელ შეახსენა მას საქართველოს ეკლესიის დამსახურება და ღვაწლი აღმოსავლეთში ქრის-

ტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების საქმეში. აღნიშნული წერილის ასლი, მხარდაჭერის თხოვნით, ყველა ავტოკეფალური ეკლესიის მეთაურსა და შვეიცარიაში მსოფლიო საპატრიარქოს მართლმადიდებლური ცენტრის ხელმძღვანელ მიტროპოლიტ დამასკინოსს გაეგზავნა [9, 10-11, 40-42, 55-57; 10, 9-60].

წერილში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს ეკლესიის მჭიდრო კონტაქტებზე რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის ეკლესიებთან, რაზეც მეტყველებს ქართული საეკლესიო-სამონასტრო და მნივნობრობის ცენტრები: სირიაში — შავ მთაზე, იერუსალიმში — ჯვრის მონასტერი, პალესტინაში — საბანმინდა, პალავრა,... ათონის მთაზე — ივირონი, სინას მთაზე — წმ. ეკატერინეს მონასტერი... აგრეთვე აღნიშნულია, რომ ქართველთა გმირული წარსული, მათი მიღწევები ლიტერატურასა თუ ხელოვნებაში, ძირითადად, ქრისტიანული სარწმუნოებითაა შთაგონებული.

ჩვენი წინაპრები მტკიცედ იდგნენ რწმენის სადარაჯოზე და ეკლესია ყოველთვის გამობდა სჯულისაგან ყოველგვარ გადაცდომას.

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში მოციქულების — ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის ქადაგების შედეგად დაიწყო და სახელმწიფო რელიგიად მოციქულთასწორის — წმიდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად (326 წელს) გამოცხადდა.

საქართველოს საპატრიარქოს დიპტიქში ეკავა VI ადგილი რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის შემდეგ.

წერილში აგრეთვე აღნიშნულია: „ჩვენთვის გაუგებარია მსოფლიო საპატრიარქოს პოზიცია დიპტიქის საკითხში. ჩვენს საპატრიარქოს მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიქში არა აქვს მინიჭებული თავისი კუთვნილი VI ადგილი და ამიტომ მართლმადიდებელ ეკლესიათა სხვადასხვა შეკრების დროს ეს საკითხი იწვევს არასასურველ კამათს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა იყოს დაცული ისტორიულ-კანონიკური წესი ყველა ეკლესიის მიერ და მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის ასეთ გაუგებრობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

საქართველოს საპატრიარქო და ქართველი ხალხი, ეყრდნობა რა თავისი ქრისტიანობის ორიათასწლოვან ისტორიას, უკანონოდ თვლის ეჭვის ქვეშ იქნეს დაყენებული საქართველოს ეკლესიის ადგილი დიპტიქში. ეს საკითხი გადანყვეტილია ათი საუკუნის

ნინ. დღეს ამ საკითხის შეხება მიზანშეუწონლად და არაკანონიერად მიგვაჩნია. საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა და თავისთავადობა — ესაა ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ქართველი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მიღებული მონაპოვარი... საქართველოს საპატრიარქოს გაუჭირდება მონაწილეობის მიღება მსოფლიო საპატრიარქოს მიერ გატარებულ რაიმე ღონისძიებაში იქამდე, ვიდრე ჩვენი საპატრიარქო არ მიიღებს თავის კანონიერ VI ადგილს. საქართველოს ეკლესია და მისი წმიდა სინოდი იმედოვნებს, რომ მსოფლიო საპატრიარქო ერთხელ კიდევ სერიოზულობითა და მთელი პასუხისმგებლობით მიუდგება ამ საკითხს და გადაწყვეტს მას დადებითად ორივე ეკლესიის საკეთილდღეოდ“ [11, 1-8].

მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვას 1982 წლის 17 აგვისტოს გამოეხმაურა. ინფორმაციის მიწოდებისათვის მადლობა გადაუხადა და აცნობა, რომ საკითხი განსახილველად სინოდის კომპეტენტურ საბჭოს გადაეცა [5, 39].

ავტოკეფალურ ეკლესიათაგან მიღებულ გამობხაურებებში გამოხატული იყო მხარდაჭერა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და მისი მწყემსმთავრის „ენერგიული მოქმედებებისადმი“. გამოთქმული იყო იმედი, რომ მსოფლიო საპატრიარქოს ბრძნული გადაწყვეტილების შედეგად „საქართველოს მონამებრივი, მაგრამ ამავე დროს დიდებული ეკლესია“ მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში კუთვნილ ადგილს დაიჭერდა [5, 32, 34, 46, 48, 56, 62].

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მადლობა გადაუხადა მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განსახილველად გადაცემის გამო და შეახსენა, რომ უმჯობესი იყო, საკითხი მას გადაეწყვიტა, ვიდრე მსჯელობისათვის პანორთოდოქსალურ შეკრებაზე გაეტანა, სადაც ის შეიძლებოდა განხეთქილების საბაბიც გამხდარიყო [12, 1]. სხვა ავტოკეფალური ეკლესიების მეთაურებს მადლობა გადაუხადა საქართველოს ეკლესიისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის [12, 2, 3, 4].

უნმიდესი და უნეტარესი ილია II ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის რანგში შვეიცარიაში ვიზიტებს საქართველოს ეკლესიის ინტერესების დასაცავად იყენებდა [13, 18].

1987 წელს საქართველოში მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი ჩამოვიდა. კონსტანტინეპოლისა და საქართველოს ეკლესიათა მეთაურები შეთანხმდნენ, ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები ერთობლივად განეხილათ, რათა მართლმადიდებელი სამყაროს ერთიანობის ინტერესები არ დაზარალებულიყო.

1988 წლის 11-14 თებერვალს საქართველოში იმყოფებოდა მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია მირონის მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსის ხელმძღვანელობით [14, 15].

დელეგაციას ჩამოტანილი ჰქონდა სიგელები, რომლითაც საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია და საპატრიარქო ღირსება ენიჭებოდა. ამით ხაზი გადაესმებოდა თხუთმეტსაუკუნოვან ისტორიას და ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალიის საწყისად 1988 წელი იქნებოდა მიჩნეული.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ამას, რა თქმა უნდა, არ დათანხმდა და დიდი ძალისხმევის შედეგად, მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით აზრი შეაცვლევინა [13, 19].

ორი თვის შემდეგ მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია ისევ ჩამოვიდა საქართველოში. მის მიერ ჩამოტანილ ტექსტებში მცირედენი ცვლილებების შეტანის შემდეგ, ერთობლივი მუშაობით კმაყოფილი უწმიდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოს I-ს მაღლობას უხდოდა კეთილგანწყობისათვის, იმისთვის, რომ კონსტანტინეპოლი „თანახმა იყო ეკურთხებინა, დაემტკიცებინა და ეღიარებინა“ ძველი დროიდან არსებული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მწყემსმთავრის საპატრიარქო ღირსება [9, 21-22].

დოკუმენტებზე მუშაობის პროცესში ყოველ დეტალს დიდი ყურადღება ექცეოდა. კამათის საგანი გახდა მირონის კურთხევა — ავტოკეფალური ეკლესიისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი. მსოფლიო საპატრიარქოს სურდა, მირონი ყველა ეკლესიას მსოფლიო საპატრიარქოდან წაეღო. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ამასთან დაკავშირებით თავისი პრინციპული პოზიცია იმით გაამყარა, რომ საქართველოს ეკლესიას მირონის მოხარშვისა და კურთხევის უფლების მოსაპოვებლად გადატანილი ჰქონდა დიდი კამათი და დავა. ბოლოს შეთანხმდნენ მირონის კურთხევის უფლებასთან დაკავშირებით დაცული ყოფილიყო ტრადი-



ციები. რაც იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს ეკლესიას თავისი ტრადიცია უნდა დაეცვა [3, 262-263].

საქართველოს ეკლესიისათვის უმნიშვნელოვანესი სამი საკითხიდან ორზე შეთანხმება უკვე მიღწეული იყო. მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოს I-მა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ V საუკუნიდან არსებული საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია და მისი მწყემსმთავარის ტიტული შემდეგი მოსაზრებების საფუძველზე აღიარეს:

„1. საქართველოს ეკლესია არის სამოციქულო ეკლესია. ღვთის განგებითა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნებით ქრისტეს მცნება აქ იქადაგეს წმიდა მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა. ეს უკანასკნელი აქვე აღესრულა (ქ. ნიკოფსიაში) და აქ არის მისი სამუდამო განსასვენებელი.

2. საქართველო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი ქრისტიანული ქვეყანაა. მისი მიწა I საუკუნიდანვე სასოებით ინახავს ქრისტიანთა ერთ-ერთ ყველაზე დიდ სინმიდეს — კვართს მაცხოვრისა ჩვენისა. ქრისტიანობა კი სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა IV საუკუნის I ნახევარში წმიდა ნინოს ლოცვისა და ქადაგების მაღლით.

3. ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასლის დაულალავი მოღვაწეობით V საუკუნეში, ანტიოქიის პატრიარქის პეტრე II დროს, ანტიოქიის ეკლესიის კრების დადგენილებით საქართველოს ეკლესიის თორმეტ ეპისკოპოსს სათავეში ჩაუდგა კათოლიკოსი, რითაც შეიქმნა ავტოკეფალური ეკლესიისთვის დამახასიათებელი სრული იერარქიული სტრუქტურა.

4. XI საუკუნიდან (თუ უფრო ადრე არა) საქართველოს ეკლესიას სათავეში უდგას კათოლიკოს-პატრიარქი, რომელსაც ჩვენამდე მოღწეული უძველესი წყაროების მიხედვით, მართლმადიდებელ ეკლესიათა დოკტიკაში უკავია VI ადგილი რომის, კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქების შემდეგ.

5. მთელი ისტორიის მანძილზე საქართველო ურყევ ბურჯად უდგას მართლმადიდებლობას კავკასიაში. იგი არასოდეს მიდრეკილა არც ერთი მწვალებლობისკენ მსოფლიო ეკლესიაში მიმდინარე დიდი კამათების დროსაც კი.

6. ჯერ მაზდებანურ ირანთან უთანასწორო ბრძოლაში, ხოლო შემდეგ მუსლიმანურ გარემოცვაში მარტოდმარტო დარჩენილმა

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ თავისი მრწამსი შეინარჩუნა არნახული მსხვერპლის გაღებით — მრავალი ათასი მარტვილის სახით, რომელთა ფასდაუდებელი ღვაწლი ღირსეულად ასახა უმდიდრესმა ქართულმა ჰაგიოგრაფიულმა მწერლობამ.

7. მსოფლიოში ცნობილი და ფასდაუდებელია საქართველოს ეკლესიის მიერ ქრისტიანული კულტურის საერთო საგანძურში თექვსმეტი საუკუნის მანძილზე შეტანილი წვლილი. მან არა მარტო თავისი ღირსეული სიტყვა თქვა ქრისტიანული მწერლობისა და აზროვნების თითქმის ყველა სფეროში, არამედ გადაარჩინა და შეუნახა კაცობრიობას ბიზანტიური სასულიერო მწერლობის ბევრი ისეთი ძეგლიც, რომელიც ორიგინალში ვერ გადაურჩა ჟამთა სიავეს.

8. დღეს საქართველოს საპატრიარქო წევრია ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსი, ევროპის ეკლესიათა კონფერენციისა, ქრისტიანული სამშვიდობო კონფერენციისა; მონაწილეობას იღებს სხვადასხვა საერთაშორისო დიალოგებსა და სიმპოზიუმებში; და ყველაფერს აკეთებს მართლმადიდებელთა ერთიანობის განმტკიცებისათვის“ [14, 18-19].

კონსტანტინეპოლის სინოდმა ზემოაღნიშნულ 2 საკითხზე განჩინება 1990 წლის 23 იანვარს გამოიტანა. მესამე საკითხი — საქართველოს ეკლესიის ადგილი დიპტიქში გადაუჭრელი დარჩა.

უნმინდესი და უნეტარესი ილია II მსოფლიო საპატრიარქოს უძვირფასესი დოკუმენტების მისაღებად 1990 წლის 3 მარტს ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა), ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე (მარგალიტაშვილი), თბილისის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის რექტორი პროტოპრესვიტერი გიორგი (გამრეკელი), დიაკონი ამირან ამირანაშვილი, თარჯიმანი თამარ მესხი, საპატრიარქოს საგარეო განყოფილების მდივანი ბორის გაგუა [14, 27].

მისი უნმიდესობის, დიმიტრიოს I-ის მიერ ბოძებული საბუთები დაწერილია ბერძნულად. ავტოკეფალიის აღიარების დოკუმენტზე გამოსახული არიან მაცხოვარი, მეფე კონსტანტინე და დედოფალი ელენე, რომელთა მეფობის დროსაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა ბიზანტიასა და საქართველოში. მასში ნათქვამია: „სულიწმიდით განათლებულნი კრებითად გამოვთქვამთ აზრს და ვაღიარებთ საქართველოს უნმიდესი ეკლესიის თვითმმართველობისა და თვითორგანიზების უძველეს ფაქტს,

რაც დამონმებულია ბალსამონის მიერ, რომელიც წერს: „... ამბობენ, რომ ღვთის უწმიდესი დიადი ქალაქის ანტიოქიის პატრიარქის, უფალი პეტრეს დროს ივერიის ეკლესიას სინოდური განკარგულებით მიენიჭა თვითმყოფადობა და ავტოკეფალია...“ [14, 8-12].

საჭეთმპყრობლის ტიტულის აღიარების დამადასტურებელ სიგელზე გამოსახულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი — საქართველოს მფარველი, წმიდა ნინო და წმიდა ილია წინასწარმეტყველი. ამ დოკუმენტით მსოფლიო საპატრიარქო ძველი დროის ქრონიკების საფუძველზე ცნობს საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის ტიტულს — *სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი* [14, 13-14]. მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიქში საქართველოს ეკლესია, დროებით, მეთათე ადგილზე განთავსდა.

საზეიმო ვითარებაში დოკუმენტების მიღების შემდეგ წარმოთქმულ სიტყვაში საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართველი და ბერძენი ხალხების მიერ განვილილ მძიმე გზას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა აღდგომა და ამაღლება, რადგან ჩვენ არ გადაგვიხვევია ქრისტეს მცნებებისათვის. მან დამსწრეთ კიდევე ერთხელ შეახსენა საქართველოს ეკლესიური ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები. მაღლობა გადაუხადა მსოფლიო პატრიარქსა და წმიდა სინოდს ჩვენი ეკლესიის უძველესი დროიდან არსებული ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების ცნობისათვის, გამოთქვა იმედი, რომ ტრადიციული ძმური ურთიერთობა ამ ორ უძველეს ეკლესიას შორის მომავალში კიდევე უფრო განმტკიცდებოდა და გაღრმავდებოდა [14, 13-19].

თურქეთის პრესა 1990 წლის 5 მარტს იტყობინებოდა: „მართლმადიდებლობის კვირიაკეს — განსაკუთრებულად ბრწყინვალე ლიტურგიის დროს, რომელიც ჩატარდა ფანარის წმინდა გიორგის საპატრიარქო ტაძარში, მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა საქართველოს ეკლესიის მეთაურს ბატონ ილია II-ს გადასცა საპატრიარქო-სინოდური „ტომი“ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიად აღიარების შესახებ“ [15, 1].

მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა კი ინტერვიუში მომხდარს მნიშვნელოვანი ფაქტი უწოდა და აღნიშნა, რომ ეს საქართველოს უძველესი ეკლესიისადმი პატივისცემის გარდა, ხელს შეუწყობს პანორთოდოქსალურ ერთობას, რაც დღეს უფრო მეტადაა საჭირო, ვიდრე ოდესმე. „ამ ქმედებით მსოფლიო საპატრიარქო ეცადა პატივი მიეგო კეთილშობილი, მორწმუნე და ამაყი ქართვე-

ლი ხალხისათვის, რომელმაც მთელი ისტორიის განმავლობაში გამოავლინა სიმტკიცე მამათა მართლმადიდებლურ რწმენაში და იბრძოდა მისთვის“. გამოავლინა მაღალი თვითშეგნება და მოთმინება ყოველგვარ განსაცდელში [16, 1].

საქართველოში დაბრუნებულ ეკლესიის საჭეთმპყრობელსა და მის თანმხლებ პირებს უამრავი ადამიანი ანთებული სანთლებით დახვდა აეროპორტში.

1990 წლის 13 მარტს სიონის საკათედრო ტაძარში წირვის შემდეგ უწმიდესმა ილია II-მ აღნიშნა, რომ „ამ დოკუმენტებს საქართველო 1500 წელი ელოდა“ [13, 4].

უწმიდესმა და უნეტარესმა ყველა ავტოკეფალურ ეკლესიას მიმართა ეპისტოლეებით და შეატყობინა საქართველოს ეკლესიისათვის ესოდენ სასიხარულო ფაქტი. გამოთქვა რწმენა, რომ მსოფლიო საეკლესიო კრებისათვის მზადების პრობებში მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის არსებული სხვა პრობლემებიც სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით გადაწყდებოდა [17; 18, 1].

ამ მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად უწმიდესმა უამრავი წერილი მიიღო სხვადასხვა ორგანიზაციისა და კერძო პირისაგან. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ აკადემიკოს ანდრია აფაქიძის მისალოცში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმიდესი და უნეტარესი ილია II — საქართველოს ეკლესიის ჭეშმარიტ აღმაშენებლად არის წოდებული. ანდრია აფაქიძემ „საზეიმო მამულიშვილური მილოცვა“ გადასცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდს, მრევლს და „აღუთქვა მათ ქართველ მეცნიერთა განუყრელი და საუკუნო თანადგომა, რამეთუ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია არის დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის განუწყვეტელი ბრძოლისა და გამარჯვებათა ისტორიაც“ [19, 1].

მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს რწმუნებული ანზორ ნიკლაური „უდიდესი მნიშვნელობის სამართლიანობის აღდგენის“ მილოცვასთან ერთად მის უწმიდესობას მართლმადიდებელ ეკლესიათა დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილის საკითხის ასეთივე წარმატებით გადაჭრას უსურვებს [20, 1].

წერილებში რეალურადაა შეფასებული ამ ისტორიული მოვლენის უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს ეკლესიისა და ერის

ცხოვრებაში. საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი, საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელის“ გამგეობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის დადასტურება მსოფლიო პატრიარქის მიერ „მისი უწმიდესობის დაულალავი და თავდადებული შრომისა და მეცადინეობის შედეგია“ და რომ „ქართველი ერი მარად მაღლიერი დარჩება ამ მამულიშვილური ღვანლისათვის“ [21, 1].

გოგი შათირიშვილის მიერ იყალთოდან გამოგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება უშუალოდაა დაკავშირებული უწმიდესისა და უნეტარესის ილია II-ის სახელთან და დიდ ავტორიტეტთან. „დიას, საქართველოში, ამ რთულ და დაძაბულ პერიოდში, თქვენ ერთადერთი ნაღდი პიროვნება ბრძანდებით, რომლისაც გვწამს და გვჯერა. ამიტომაც მომრავლდა ასე თქვენი მრევლი სრულიად საქართველოში. და განა მარტო საქართველოში?!“ [22, 1].

ძალიან თბილი წერილია დაცული საპატრიარქოს არქივში თურქეთში, ქ. ინეგოლში მცხოვრები ქართველის — ვახტანგ მაღაყმაძისაგან (ჰაირი ჰაირიოლლუ): „ჩვენი ერის უწმიდესო მამავ, პატივცემულო ილია II,

უპირველეს ყოვლისა გემთხვევით ხელებზე უდიდესი პატივისცემით და მამა-შვილური სიყვარულით...

მსოფლიომ აშკარად ნახა რა მოუვიდა ქართველ ერს 9 აპრილს და შემდეგ შავბნელ დღეებში... ყველაფერი თავის დროზე ვათვალყურეიდ თურქეთელმა ქართველებმა რაც შეეძელით. მაგრამ დღემდე ამის საწინააღმდეგო ხმა ვერ მოგანვდინეთ სამწუხაროდ. მტერის საწინააღმდეგო პროტესტები ვერ გამოვაცხადეთ... ამის მიზეზი არის ჩვენი მდგომარეობის პირობები...

ქართველ ერის ცხოვრებაში ისეთი დღე არ თენდება რომ გულდამწყვეტი ამბები არ ჩამოგვივიდეს...

ალარ ყოფილიყოს მომავალში ასეთი უბედური დღეები... ამინ...

ჩვენო უწმიდესო მამავ. ღმერთის შეყვარებული ქართველი ერი კეთილი და სასიამოვნო დღეების ღირსიც ხომაა... აჰა, ნავიკითხეთ თურქულ ჟურნალებში ასეთი საბედნიერო ამბავიც...

გამჩენ ღმერთს ვთხოვთ, არასოდეს არ დაგარცხვინოთ არც წუთისოფელში და არც საიქიოს. სულ ადგილზე ყოფილიყოს თქველი წარმატებულობის ადგილ სამყოფელი... ამინ...

მსურს 1990 წელს აკაკი წერეთლის საიუბილეო ცერემონიას დავესწრა. თუ მოვახერხებ ამას, შევხდებით და ვიხარებთ ვისიამოვნებთ ღმერთით...

ხელებზე კოცნით“... [23, 1].

აღნიშნული წერილი შემოკლებული სახით დაბეჭდილია 1990 წლის ჟურნალ „ჯვარი ვაზისაში“ [13, 53], მაგრამ ჩვენ ხელმეორედ გადავწყვიტეთ მისი შედარებით ვრცლად მოტანა. მასში ჩანს უდიდესი მონივნება და სიყვარული საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლისადმი და მისი ღვანლის ნაყოფით გულწრფელი სიხარული, რაც უფრო მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ეს გრძნობები გამოთქმულია მაჰმადიანი, სამშობლოს მოწყვეტილი ქართველის მიერ.

პატრიარქი ილია II შემდეგში აღნიშნავდა, რომ თურქეთში მცხოვრები ქართველი მუსლიმანები იმ საზეიმო დღეებში ქართულ დელეგაციას ხშირად აკითხავდნენ. მათთან შეხვედრები ძალიან ამაღელვებელი იყო [15, 8].

უსაზღვრო სიხარულის გამომხატველი წერილები მიღებულია ავტოკეფალური ეკლესიების საჭეთმპყრობლებისგანაც [24, 1; 25, 1; 26, 2; 6, 1].

მხოლოდ კვიპროსის მთავარეპისკოპოსმა ქრიზოსტომოსმა, მართალია, გამოსატა სიხარული საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებასთან დაკავშირებით, მაგრამ, ამასთანავე, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს აცნობა, რომ დიპტიქის საკითხში საქართველოსა და კვიპროსის ეკლესიების ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვეოდა [6, 1]. კვიპროსის ეკლესიის წარმომადგენლებს თავიანთ ისტორიულ წყაროებსა და ტრადიციაზე დაყრდნობით, დიპტიქში V ადგილზე აქვთ პრეტენზია [6, 3-5].

XX საუკუნის 90-იანი წლების ძნელბედობამ შეაფერხა დიპტიქის საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების ინტენსიურად წარმოება. 1995 წლის 20 ნოემბერს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მსოფლიო პატრიარქ ბართლომეოსს (პატრიარქი დიმიტრიოს I 1991 წელს გარდაიცვალა) კვლავ შეახსენა დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილის განსაზღვრის აუცილებლობა [27, 20].

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის მცდელობათა შედეგად 2001 წელს მსოფლიო პატრიარქი აღნიშნულ საკითხს კვლავ მიუბრუნდა. იგი თანახმა იყო საქართველოს ეკლესია VI ად-

გილზე განთავსებულიყო, თუ ამას სხვა ავტოკეფალური ეკლესიებიც დათანხმდებოდნენ [28, 1; 29].

უნმიდესი და უნეტარესი ილია II გამოთქვამს რწმენას, რომ დიპტიქში საქართველოს ეკლესიის ადგილთან დაკავშირებითაც აღდგება სამართლიანობა.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 9741.
2. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 2901.
3. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ეპისტოლენი, სიტყვანი და ქადაგებანი, III, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 2008.
4. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 2256.
5. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 8701.
6. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 8791.
7. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III.
8. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 4541.
9. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 8574.
10. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 9420.
11. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 4035.
12. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 8579.
13. „ჯვარი ვაზისა“, 1990 წლის №1.
14. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 8578.
15. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 438.
16. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 133.
17. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 11441.
18. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 2806.
19. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 183.
20. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 182.
21. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 184.
22. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 546.
23. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 180.
24. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 8817.
25. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 5928.
26. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 178.
27. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 9999.

28. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 16068.  
29. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, საქმე 23560-ა.

**Irine Arabidze**

*Ivane Javakhishvil Tbilisi State University,  
scientist-researcher of the Department of  
Modern and Contemporary History of the  
Ivane Javakhishvili Institute of History and  
Ethnology*

**The Catholicos-Patriarch of All Georgia Iliia II for  
Recognition of the Georgia Church Autocephaly**

**Summary**

According to Georgian historical sources and traditions the Church of Georgia is an autocephalous church since the 5<sup>th</sup> century and its head bears the title of patriarch since the beginning of the 11<sup>th</sup> century.

Russian autocracy in 1811 abolished the autocephaly of the Church of Georgia violently, with transgression of the Church law. To restore the lost autocephaly was possible only in 1917, after the fall of the empire.

Eventually the Church of Georgia restored the prayerful - Eucharistic union with other Orthodox autocephalous churches. But the Ecumenical Patriarchate of Constantinople or the Orthodox Church of Constantinople was not recognizing the independence of the Church of Georgia. In diptych, where the Orthodox churches are placed according to honour and how early they announced autocephaly, the Ecumenical Patriarchate of Constantinople was mentioning the Church of Georgia among the autonomous churches.

Dispute and argumentation on the subject for restoring the rights of the church was started by newly consecrated bishop of Shemokmedi Iliia (Shiolashvili) in 1964. This process became more intense after he was elected as Catholicos-Patriarch in 1977. The head of the Church of Georgia together with scientists carried on intense work to find all documents proving that the church was autocephalous. He wanted to strengthen the Georgian sources with Greek ones to assure the Ecumenical Patriarchate of Constantinople in the rights of the Church of Georgia.



After many meetings and negotiations the Catholicos-Patriarch of All Georgians reached the desired result through a principled stand in 1990.

The Ecumenical Patriarchate of Constantinople declared the ancient autocephaly of the Church of Georgia and the antiquity of the title of the Catholicos-Patriarch. The issue that is to be solved is the place of the Church of Georgia in diptych.

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა

## ავთანდილ სონულაშვილი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე*

## ირან-ოსმალეთის აბრასია და ქართველთა გამაჰმადიანების მცდელობანი გვინანი ფეოდალიზმის პერიოდში

ქართველი ხალხის ერთი ნაწილი მაჰმადიანობის აღმსარებელია — აჭარლები, ინგილოები, ფერეიდნელები, ისტორიული ტაოკლარჯეთის მოსახლეობა. მაგრამ მაჰმადიანობა ქართველის ბუნებათვისებას ვერ მოერგო. მაჰმადიანობამ არაბეთში უზარმაზარი კულტურა შექმნა. ასევე სპარსეთში, თუმცა იქ იგი მიტანილი და ძალით გავრცელებული რელიგია იყო. ფაქტია: მაჰმადიანური ირანული კულტურა მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა. სამხრეთ ესპანეთშიც ისლამმა უმაღლესი კულტურული მემკვიდრეობა დატოვა. მხოლოდ საქართველოში არ მომხდარა ასე. **ქართული ისლამური კულტურა არ არსებობს.** ამის ახსნა მხოლოდ იმით შეიძლება, რომ მაჰმადიანობა და ქართული ეროვნული ბუნება-თვისება ერთმანეთს ვერ მოერგო, ვერ შეეთვისა [1, 19-20].

არაბთა ბატონობის დროს ბუნებრივია ადგილი ჰქონდა ცალკეული პირების გამაჰმადიანების ფაქტებს [2, 165]. სწორედ ამის გამოა, რომ VIII საუკუნის გამორჩეულ მოღვაწეს იოანე საბანისძეს აღაშფოთებს ის გარემოება, რომ „ქართველობას“ სამიშროება მოეწოდის, „რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა“, რომ ქართველობაში შემოიჭრა „უცხო“ ხალხის სარწმუნოება, „უცხო“ ხალხის ზნე-ჩვეულება, რაც, საბოლოო ჯამში, ქართველ ხალხს გადაგვარების საფრთხეს უქმნის. ავტორი ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რის შედეგადაც ხდება ეს აღრევა, მთავარი მიზეზი სარწმუნოების შეცვლაა. ქართველობა ქრისტიანობას ცვლის მუსლიმანობით „მძლავრობის“, „უმეცრების“ და „მზაკვრობის შედეგად“ [3, 43].

„ბუნებრივია არაბების გულის ნადები და ნატვრა, — აღნიშნავდა აკად. ივ. ჯავახიშვილი — როგორც ყოველთვის და თვით მუჰამედის მიერაც იყო დაკანონებული, მაინც რასაკვირველია ისლამის გავრცელება იყო. მუსლიმანად ქცეულებს ყოველგვარი უპირატესობა და შეღავათი ენიჭებოდათ; მაგრამ ამასთანავე ვინც ერთხელ გამაჰმადიანდებოდა, იმას ისლამის დატოვება აღარ შეეძლო, თორემ ისლამის მოლაღალტე სიკვდილით დაისჯებოდა“ [4, 86].

არაბების შემდეგ ისლამის გავრცელებას საქართველოში ხელს უწყობდა მაჰმადიან დამპყრობთა კომპაქტური და შერეული დასახლებები ჩვენს ქვეყანაში. კერძოდ, საქართველოს ტერიტორიაზე არაერთხელ შემოჭრილან აქ „ჩამოსხდომის“ მიზნით: თურქ-სელჩუკები (XI-XII სს.), მონღოლ-თურქები (XIII-XIV სს.), ჩოზანიანები, ჯალაირები, მცირე აზიის თურქები, თურქმანები (XIV-XV სს.), ოსმალები, ყიზილბაშები (XV-XVI სს.).

XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის პირველ ნახევარში სამხრეთ საქართველოში მკვიდრდებიან ოსმალო მომთაბარეები (**იურიუქები**), აღმოსავლეთ კახეთსა და ქვემო ქართლში ყიზილბაშური ტომები. შაჰ-აბასმა დიდი რაოდენობით შემოიყვანა მომთაბარეული ტომები საქართველოში (და, აგრეთვე, აღმ. ამიერკავკასიაში) ცენტრალური და სამხრეთ ირანიდან, სამაგიეროდ დიდი რაოდენობით გაიყვანა ირანის დასახლებულ რაიონებში სამხრეთ კავკასიის კულტურული მეურნეები, ვაჭრები და ხელოსნები. XVII საუკუნის პირველ მეოთხედში კახეთში და, განსაკუთრებით, ქვემო ქართლში გაჩნდა მომთაბარეთა კომპაქტური მასა. დასტურლამალში მოთავსებულ „ელის დებულებაში“ ჩამოთვლილია (ქართლის და კახეთის) ყიზილბაშური ტომების განტოტებანი, რომლებიც ამ ტომების დაშლისა და დანაწევრების შედეგად წარმოიქმნენ: **ჯავანშირი, ქეშალუ, ნაჯბა დილუ, არუხლუ, დემურჩი, ჰასანლუ, აჰმადლუ, ხიალუ, სარაჯლუ** და სხვ. [5, 308].

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან ჯერ ქართლის და შემდეგ კახეთის მეფეები აღიარებენ შაჰის ხელისუფლების უზენაესობას, იღებენ ისლამს და ირანის ადგილობრივი მმართველობის უმაღლეს სამოხელეო („ვალის“ ტიტულს. სამაგიეროდ, შაჰი უარს ამბობს აღმოსავლეთ საქართველოს ინკორპორაციაზე, აცხადებს რა მას ბაგრატიონების „მემკვიდრეობით საკუთრებად“ (**„მულქემოურის“**), ნაკლებად ერევა საშინაო საქმეებში და თითქმის უცვლელად ტოვებს ადგილობ-

რივი მმართველობის სისტემას. პოლიტიკური დამოკიდებულების ეს ფორმა XVIII საუკუნის შუა ხანებამდე არსებობს [6, 222].

ზუნებრივია სამეფოს პირველ პირთა მიერ ისლამის მიღება (თუნდაც პოლიტიკური მოტივით) ნებსით თუ უნებლიედ ხელს უწყობდა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში მაჰმადიანობისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას, ხოლო ზოგიერთების მხრიდან ისლამის რწულზე მოქცევას.

ასევე, აღმოსავლეთ საქართველოში და ძირითადად ქართლში ოსმალობის დამყარებას მოჰყვა დამპყრობთა მხრიდან ქართველთა გამაჰმადიანება-გათურქების ღონისძიებები. ამკვიდრებენ ოსმალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის სისტემას, ოსმალურ ფეოდალურ ინსტიტუტებს. ქვეყანაში ქრება ქართული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი ტერმინოლოგია და არსებობას იწყებს ქართული სინამდვილისათვის სრულიად მიუღებელი და უცხო ტერმინოლოგია, როგორცაა თ ი მ ა რ ი, ზ ი ა მ ე თ ი, ხ ა ს ი და სხვა, იწყება ქვეყნის თურქიზაციის პროცესი.

სწორედ ამ პერიოდში შემოდის ქართულ სინამდვილეში **ვაკუფ-ნამე**, როგორც ერთ-ერთი საშუალება ქვეყნის საბოლოო გათურქებისათვის. უბრალოდ ოსმალთა ხელისუფალთ აღარ დასცალდათ აღმოსავლეთ საქართველოსა და მთელი სამხრეთ კავკასიის გაოსმალება, დრო აღარ ეყოთ ქვეყნის საბოლოო გათურქებისათვის. ვაკუფ-ნამეში ზუსტადაა წარმოდგენილი ყველა ის მუსლიმური ინსტიტუტები, რომლებიც დამახასიათებელია ისლამის რელიგიისათვის, იგი ინტენსიურად იბრძოდა ქვეყნის სრული ინკორპორაციისა და თურქიზაციისათვის. ვაკუფ-ნამეში მოტანილი ცალკეული სახელოები და თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში მოცემული უამრავი მასალა ნათლად მეტყველებენ ოსმალთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გამუსლიმებისა და გათურქებისათვის სწრაფვას. თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარში უამრავი მასალაა მოცემული, რომლებიც ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დასამკვიდრებლად გამოიყენებოდა. მარტო ის რად ღირს, რომ დავთარში დამონმეხულია ოცამდე ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი, რომლითაც დაბეგრულია მთელი აღმოსავლეთ საქართველო, მთელი საციციანო, საამილახვრო, მუხრანი, ქსნისა და არაგვის ხეობა, საბარათიანო, სომხითი, ყაიყული, მთელი ბორჯომის ხეობა. მწარმოებელ საზოგადოებას არ ევალება ქართული გადასახადების გადახდა, იგი მხოლოდ ოსმალურ გადასახადებსა და ვალდებულებებს იხდის. ხდება ადგი-

ლობრივი მოსახლეობის ოსმალურ ყაიდაზე რეორგანიზაცია. მოსახლეობა იხდის ისეთ ოსმალურ გადასახადებს, როგორცაა **ისფენჯი, ბენაქი, მურახხასიე**, გადასახადები ცხვარზე, ღორზე, **დეშთიბანზე** და სხვა მრავალ ოსმალურ გადასახადებსა და ვალდებულებებს, ვაკუფ-ნამე კი ერთგვარად აკანონებს და განსაზღვრავს მათ ოდენობას. სრულიად შეცვლილია საქალაქო ცხოვრება XVIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის [7, 133-134].

ქართლში ოსმალობის საბოლოო მიზნის განსახორციელებლად აუცილებელი იყო ადგილზე სამეფოს ერთ-ერთი უძლიერესი ღერძის ქრისტიანული რელიგიის ლიკვიდაცია და აქედან გამომდინარე მათი დაპირისპირება ეკლესიასთან გარდაუვალს წარმოადგენდა. თავდაპირველად ოსმალები შეეცადნენ უმთავრესი სალოცავის — სიონის გადაკეთებას მეჩეთად. ხონთქრის ფირმანის თანახმად, კონსტანტინე კახთა მეფის მეომრების მიერ სასტიკად დარბეული სიონი უნდა გაენადგურებინათ, ოღონდ იგი მეჩეთად უნდა გადაექციათ. ქართველებმა დიდი ქრთამის საფასურად მოახერხეს რომ ოსმალებს ამ განზრახვაზე ხელი აეღოთ. ამის შემდეგ მათ თბილისში ეკლესიის მეჩეთად გადაკეთება აღარ უცდიათ [8, 36]. თუმცა ჯერ კიდევ 1578 წელს, როდესაც ოსმალებმა თბილისი აიღეს ორი ეკლესია მეჩეთად გადააკეთეს [9, 223]. XVIII საუკუნის 20-იანი წლებში კი თბილისში სამი სუნიტური მეჩეთი აიგო, რომლებიც დაექვემდებარა ოსმალეთის შეიხულ ისლამს. მეჩეთების არსებობა კი მიუთითებს თბილისში ოსმალობის დროს სავაკუფო მფლობელობაზე.

1723 წელს თბილისში იწყება სუნიტური ისლამის **ჰანიფიტური მახჰაბი-ს** დამკვიდრება. ოსმალთა მიერ თბილისის გამგებლად დანიშნული თოფალ-ფაშა ერთ-ერთი პირველია, რომელიც ქართველთა შორის ისლამის პოპულარიზაციას ეწევა. იგი ქართველებს პატივისცემით ეპყრობოდა და თან ისლამის სჯულზე მოქცევისაკენ მოუწოდებდა.

ოსმალები თბილისსა და თბილისის ვილაიეთში სხვადასხვა ღონისძიებებს მიმართავდნენ ქართველთა გამაჰმადიანებისათვის. ერთ-ერთი იყო საქველმოქმედო საქმიანობა. 1725 წელს თბილისში ჩამოვიდა დიარბექირის შეიხი ისმაილი, რომლის მიზანს წარმოადგენდა თბილისის ვილაიეთში მყოფი თემებისა და მომთაბარე ტომებისათვის გაეცნო ისლამური რელიგია. ძირითადი მისია ქრისტიანების გადაბირება იყო. ამ თვალსაზრისით აქცენტი ეკონომიკურად გაჭირვებულ მოსახლეობაზე იყო გათვლილი. შეიხმა თბილისში დააარსა

სავანე ლარიბი მოსახლეობის საკვებით უფასო მომსახურებისათვის. მოგვიანებით, როდესაც მოაგვარა ფონდის დაფინანსების საქმეები თავის ნაცვლად თბილისის მუფტი საიდ კასიმი დანიშნა „სამსახური-სა და ლოცვის გაგრძელებისათვის“ [10, 71].

ვახტანგ VI-ის გამაჰმადიანებელი ძმის — იესეს ქართლის ხელისუფლებაში ყოფნის დროს თბილისსა და მის შემოგარენში ირანის მიერ გატარებული ლონისძიებების შედეგად, შიიტური ისლამის დიდი ზეგავლენა იგრძნობოდა. ეხლა კი ოსმალები ცდილობდნენ სხვადასხვა დიპლომატიური მანევრებით და „პიარ აქციებით“ სუნიტური ისლამის გავრცელებას ქართველ მოსახლეობაში. როგორც ცნობილია, ისლამი თავისი რელიგიური დოგმატიკით არღვევს ეროვნულობის ჩარჩოებს, რაც ყველაზე ეფექტური საშუალებაა მცირერიცხოვანი ერის მრავალრიცხოვან ერთან ასიმილირებისა. მოცემულ შემთხვევაში კი ისლამს ჯერ სარწმუნოებრივად, შემდეგ კი ეთნიკურად უნდა მოეხდინა ქართველთა ასიმილაცია ოსმალებთან.

ოსმალბობის დროს მოხდა სასამართლო სისტემის ცვლილება. კერძოდ, ქართლი დაიყო სამ სასამართლო ერთეულად — თბილისის, გორისა და თრიალეთის საყადიოდ, სადაც სასამართლო განჩინებანი ოსმალურ საყადიო სასამართლოს გამოჰქონდა. იურიდიულად ყადის ყველაფერზე მიუწვდებოდა ხელი. სამართლის წარმოებას საფუძვლად ედო შარიათი. სასამართლო გადაწყვეტილებები ფორმდებოდა თურქულ და ზოგჯერ ქართულ ენაზე. ყადი განიხილავდა როგორც მუსლიმთა სადავო საკითხებს, ისე ქრისტიანსა და მუსლიმს შორის წამოჭრილ დავასაც. შარიათის სასამართლო ყველა აღმსარებლობის ხალხისთვის ერთი იყო [8, 35].

ოსმალბობის დროს 1723-1735 წლებში თბილისში ექვსი ყადი გამოიცვალა. ეკონომიკური იძულების შედეგი იყო, რომ 1728 წელს თბილისში დიმიტრი თაყას ძე ბარათაშვილს სუნიტური ისლამი მიუღია, რის შემდეგ განთავისუფლებულა ჯიზიასაგან.

ქართლში გაბატონებულმა ოკუპანტებმა ქრისტიანთა გამუსლიმების თავისებური ოსმალური წესი შეიმუშავეს, რომელიც 1728 წელს შედგენილ თბილისის ვილაიეთის დიდ დავთარშია წარმოდგენილი. ტექსტის ავტორი ყოფილა თბილისში მცხოვრები მაჰმადიანური პირი **აჰმედ ქემალი**. იგი წერს: „ცნობილია, რომ ქაფირი (ურწმუნო) რომელსაც სურს წმინდა ისლამით გაპატიოსნდეს, წარმოთქვამს **თევჰიდისა** (ერთი ღმერთის არსებობის აღიარება) და **შეჰადათის** (ისლამის აღიარება) სიტყვებს. შემდეგ აღმსარებელმა პირმა საჭი-

როა ისლამის, როგორც ქემმარიტი სარწმუნოების აღიარების აღნიშნული სიტყვები წარმოთქვას თავის მშობლიურ ენაზე“. ეს კი თავისთავად გულისხმობს ქართველისაგან ისლამის შეგნებულად აღიარებას (ამ წესის მიზანიც სწორედ ესაა).

გამუსლიმების ოსმალური წესი ქართველს თანმიმდევრულად განუმარტავს მუჰამედის წინასწარმეტყველურ მისიას, მის ცნობას ალაჰის მოციქულად და ისლამის რელიგიის უზენაესობას, პარალელურად მიუთითებს ქრისტიანული აღმსარებლობის არასასურველობაზე. მაგალითად, ქართველი ამბობს: „მუჰამედი ჩვენი წმინდა ადამიანი არის, სუფთა არის, წმინდა არის, მოციქული ღმერთის რჩეული არის — დავიჯერე. ქართველის რჯული რომ ბოროტი იყო, გონჯი იყო, ბილწი იყო, ეშმაკის რჯული იყო — დავაგდე“. ამ ციტატის პირველი წინადადება ახლად გამუსლიმებულისათვის ყურანის კომენტარის ფუნქციას ასრულებს, ხოლო მეორე წინადადება რელიგიისადმი შემდგომდროინდელი პოლიტიკური დანამატია.

ისლამის აღიარების ფორმულა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი: „არ არს ღვთაება თვინიერ ალაჰისა და მოჰამადი ალაჰის მოციქულია. ალაჰის გარდა ღვთაება არ არის. ჩვენი წინასწარმეტყველი მოჰამადი, იყოს მასზე მშვიდობა, ალაჰის მონაა და ამასთანავე მისი მოციქული. დედა მარიამი ალაჰის მონაა და თან მხევალი მისი“. შემდეგ ქართველს უნდა წარმოეთქვა სიტყვები: „განვმორდი ფუჟ სარწმუნოებას და მივიღე ისლამის სჯული. ვირწმუნე დიდი იმამის (მუჰამედის) მოძღვრება“.

როგორც ვხედავთ, ფორმულირება ხდება ყურანის დაცვით, სადაც ქრისტე დიდ წინასწარმეტყველად, ალაჰის სიტყვად და სულადაა მოხსენიებული, ხოლო ქრისტიანობა და ქრისტეს ღმერთად ცნობა უარყოფილია, რადგან ისლამის მიხედვით ალაჰი „არა შობილია და არცა შობს და არა ჰყავს მოზიარე თავის ყოფაში“. რაც შეეხება მარიამს, იგი ისლამის ერთ-ერთ უპირველეს ქალადაა ცნობილი და ყურანში მხოლოდ იგი იხსენიება საკუთარი სახელით და ყურანი მას გამორჩეულ ქალად მიიჩნევს.

მაცხოვრისა და ღვთისმშობლის მოხსენიებას ქართველთა გამუსლიმების ოსმალთა წესში თავისი თეოლოგიური და პოლიტიკური — ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს. ამ წესის ავტორი ჩანს კარგად იცნობს ქართველთა ბუნებას და მათ დამოკიდებულებას ღვთისმშობლისა და მაცხოვრის მიმართ. მისი მიზანი სწორედ ისაა, რომ გამუსლიმების გზაზე დამდგარ ქართველს „გაუადვილოს ალაჰის უზე-

ნაესობისა და მუჰამადის წინასწარმეტყველური მისიის აღიარება იმით, რომ მასში იესოსა და მარიამის სახელს პატივით მოიხსენიებს და ეს სწორედ ერთ-ერთი ფსიქოლოგიური ბერკეტი იყო“ [8, 36-37].

ქრისტიანთა გამაჰმადიანება უაღრესად რთული და მძიმე ფსიქოლოგიურ-სოციალურ პროცესს წარმოადგენდა. მაჰმადის რჯულის აღიარების წესი კი, როგორც დავინახეთ ამ სირთულის ფონზე ძალიან მარტივად გამოიყურება. საკმარისი იყო უცხო სარწმუნოების პირს რამდენიმე მუსლიმის თანდასწრებით ყურანის ენაზე სამჯერ წარმოეთქვა — „არ არის ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამადი მისი მოციქულია“, რომ მაჰმადის სჯულის მაღიარებლად ეცნოთ [11, 268]. არქანჯელო ლამბერტის გადმოცემით, თურქები, ქართველი ტყვეების ხელში ჩაგდებისთანავე, ან როდესაც სამეგრელოში იყიდოდნენ ტყვეებს ადგილზე იწყებდნენ მათ გამაჰმადიანებას ვიდრე კონსტანტინოპოლში ჩაიყვანდნენ. კერძოდ, რიტუალი ასე იწყებოდა: „ნაყიდ ტყვეს მაშინვე თურქულად ჩააცმევინ, და ნიშნად მათის ცრუ რჯულის მიღებისა, აანევიანებენ საჩვენებელ თითს, უარს ათქმევენებდნენ ქრისტეს სჯულზე და ასწავლიან თურქთა რჯულის წესს და რიგს“ [12, 146].

შერეული ქორწინებისას, მაშინ, როდესაც ქართველი წინააღმდეგი იყო ქალიშვილი მუსლიმისათვის მიეთხოვებინა, მუსლიმ სასიძოს, მიღებული წესის თანახმად, შეეძლო წასულიყო გორში ან თბილისში ყადისთან და მისი ნებართვით ექორწინა ქრისტიანზე. აქედან გამომდინარე, სარწმუნოებრივ ფონზე სახეზე გვაქვს ამკარა უფლებრივი დისკრედიტაცია, რასაც საფუძვლად ისევ და ისევ მუსლიმური კანონმდებლობა უდევს. მუსლიმს უფლება აქვს შეირთოს ქრისტიანი ქალი ქრისტიანობით, მაგრამ შვილები აუცილებლად იღებენ მამის სჯულს. მუსლიმ ქალს კი სასტიკად ეკრძალება არამუსლიმზე გათხოვება, სანამ მამაკაცი არ გამუსლიმდება [8, 36].

ასევე, აჭარელთა საქორწინო ყოფას დიდი კვალი დაამჩნია ოსმალთა ბატონობამ. სხვაობა ამკარაა წინამუსლიმანურ და აჭარაში ისლამის გავრცელების შემდგომი პერიოდის ზოგიერთ ნორმაში. ქალს გათხოვებას არავინ ეკითხებოდა. მას აკვანშივე დანიშნავდნენ. მას დედის მუცელში დაბეჭება, **ხოჩინში** — აკვანში დანიშნავდნენ ენოდებოდა (თუმცა ეს წესი საქართველოს მრავალ კუთხეში არის დამონმებული).

ვაჟსაც არ ეკითხებოდნენ არაფერს ისე შერთავდნენ ქალს. და-საქორწინებელ ვაჟს „**დელიყანოს**“ ეძახდნენ.



სტუმართან ქალი ჩადრის გარეშე არ გამოდიოდა. ის გამზადებულ ხონჩას გამოიტანდა და ისევ მიიმალებოდა. ოჯახის მთელი სიმძიმე ქალის მხრებზე გადადიოდა: ბავშვის გაზრდა, ოჯახის მოვლა, რძის პროდუქტების პატრონობა, ქმართან ერთად სათიბში წასვლა, საქონლის მოვლა... [13, 218-219].

ფაქტია, რომ სუნიტური ისლამი ძლიერ გავლენას ახდენდა ეროვნულ თვითშეგნებაზე. ამას ადასტურებს ინგლისელი ჟურნალისტის **ბენჰოფერის** ცნობა მაჰმადიანი ქართველების შესახებ. ჟურნალისტი 1919-1920 წლებში იმყოფებოდა საქართველოში. მან მოიარა ქვეყნის სხვადასხვა კუთხე. აჭარასთან დაკავშირებით აღნიშნავს შემდეგს: „... ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი ბათუმის პროვინციაში, უმთავრესად მთებში, არიან აჭარლები — შერეული სისხლის მაჰმადიანები. ახლახან მათ გამოავლინეს ეროვნული თვითშეგნების მცირე მაგალითი; მაგრამ მეტწილად ისინი თავის თავს ჯიუტად უწოდებენ და თვლიან თურქებად“ [14, 401].

სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა დაპყრობამდე იყო ოცზე მეტი მსხვილ ფეოდალთა ოჯახი, დიდი მამულების მფლობელი. მათ ჰქონდათ საკუთარი მონასტრები, ეკლესიები, სასაფლაოები და სხვ. ამ იერარქიის საფუძველს წარმოადგენდა გლეხობა. ისინი მიმდგრებული იყვნენ მიწაზე და ფეოდალის ყმად ითვლებოდნენ. მეზატონეს უფლება ჰქონდა გაეყიდა, გაესაჩუქრებინა არა მარტო მიწა, არამედ ყმა გლეხიც.

სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის დამყარების შემდეგ ვითარება შეიცვალა. საქმე ისაა, რომ ოსმალური ფეოდალური მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის წესები მკვეთრად განსხვავდებოდა ქართულისაგან. ამიტომ სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა დამკვიდრებისა და მათი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამყარებისთვის საჭირო იყო ადგილობრივი (ქართული) წესწყობილების გაუქმება და ოსმალურის შემოღება. სწორედ, ამ მიზნით სულთნის მთავრობამ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობილი ტერიტორია აღწერა და დავთრებში გაატარა. დაიწყო ოსმალობის თანდათანობით დანერგვა. ოსმალური წესების მიხედვით, მიწათმფლობელი მაჰმადიანი და სამხედრო პირი (მოლამქრე) უნდა ყოფილიყო [15, 240-241]. დასაწყისში ოსმალეთის მთავრობა, იშვიათ შემთხვევაში, ზოგჯერ კომპრომისზე მიდიოდა და მათ სამსახურში ჩამდგარ ფეოდალებს ქრისტიანობით უნარჩუნებდა მიწის ნაკვეთებსა და ზოგიერთ პრივილეგიას. ასეთ პროცესს ადგილი ჰქონდა ბალკანეთის ქვეყნებში.

ანალოგიური ფაქტები იყო საქართველოშიც. მაგრამ ყოველივე ეს დროებით საშუალებას წარმოადგენდა და სულთანი ძალაუფლების განმტკიცების შემდეგ ყველაფერ ამას თანდათანობით აუქმებდა [15, 241].

ქართველი ფეოდალების წინაშე ალტერნატივა დადგა: ან მაჰმადიანობის მიღება, ოსმალეთის სამსახურში ჩადგომა და ამით თავიანთი მიწების შენარჩუნება, ანდა ოსმალთა წინააღმდეგ სამკვდროსასიცოცხლო ბრძოლა, სამშობლოს დაცვა და ქართველობის შენარჩუნება.

ქართველი ფეოდალების ნაწილი ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა, ნაწილი კი ოსმალთა ბატონობას ვერ შეურიგდა, მიატოვა სახლ-კარი და მამული და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადმოსახლდა, დიდი ნაწილი გამაჰმადიანდა, ოსმალთა სამსახურში ჩადგა და დახმარება გაუწია სულთნის მთავრობას და ამით ნაწილობრივ შეინარჩუნა თავისი პრივილეგიები და სამფლობელოები. მათ უღალატეს სამშობლოს და გაუადვილეს ოსმალებს თავიანთი ქვეყნის დამორჩილება [15, 241].

სულიერ ღირებულებათა რთულ კომპლექსში ეთნიკურ და რელიგიურ გრძნობებს თანაბარი ადგილი ეჭირა. პიროვნების შინაგანი ზნეობრივი კრიზისისა და კონკრეტული მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად ხდებოდა ხოლმე მათი დაცილება. მაგრამ ეროვნული გრძნობა უფრო მდგრადი იყო და სძლედა რელიგიურს. XVIII საუკუნის ერთი ოსმალური საბუთი გვამცნობს, რომ თურქთაგან დაპყრობილი ახალციხის რაიონის სოფელ მამაჭიხეთში მცხოვრებ გამაჰმადიანებულ ქართველს, ვინმე დავითს, უარი უთქვამს საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობაზე, რაც მას **თიმარის** — მამულის დაკარგვის ფასად დაუფჯდა (ანალოგიური შინაარსის სხვაც ბევრი დოკუმენტია ჩვენს სიძველეთსაცავებში შემორჩენილი).

და მაინც, XVI-XVIII საუკუნეების საქართველოში ოსმალური კულტურულ-იდეოლოგიური პროპაგანდა არ წარმართულა საგანგებო ოფიციალური აქციებით — აქ კანტი-კუნტად ჩანან დერვიში მისიონერები, რომლებიც ასე მასობრივად მოედგნენ ბალკანეთის ქვეყნებს; აჭარაში მხოლოდ თანზიმათის პერიოდში (XIX ს.) ჩნდება სავაკუფო მამულები და ისლამური სკოლები: დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, პარხალსა და მურლულში მცხოვრებნი 1833 წლამდე ქრისტიანები იყვნენ. სამცხესა და აჭარაში გამაჰმადიანების პროცესი ინტენსიურად

ნარიმართა XIX საუკუნეში, რასაც ხელი შეუწყო ერთი მხრივ რუსეთის დამკვიდრებამ კავკასიაში, მეორე მხრივ კი მომთაბარე თურქმანებისა და გამაჰმადიანებული ქურთების დეპორტაციამ ამ მხარეში [11, 272].

აჭარის თურქთაგან დაპყრობის შემდეგ მრავალ ქართულ გვარს ქართული სუფიქსები თურქული სუფიქსით (ოღლი) შეეცვალა. მაგალითად: მოქოროღლი, ასანოღლი, ბაზიაროღლი, მაკაროღლი (მაკარიძე) და სხვ. [13, 215].

თურქები არაბებისა და ზოგადად მუსლიმების მსგავსად გვარებს არ ატარებდნენ. მათ მხოლოდ დაბადებისას დარქმეული სახელები ჰქონდათ, რასაც ზოგჯერ მამის სახელი ემატებოდა. ამგვარი ვითარება, ბუნებრივია, უამრავი დამთხვევის მიზეზი ხდებოდა და საკმაო არეულობასაც იწვევდა [11, 289]. კანონი გვარების შესახებ 1927 წელს უკვე რესპუბლიკურ თურქეთში იქნა მიღებული [16, 24].

რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ქართველ მაჰმადიანთა გათურქების პროცესი სამცხე-ჯავახეთში მნიშვნელოვნად დაჩქარდა, სწორედ ამ მხარის თურქთა ბატონობისაგან დახსნის შემდეგ. მეფის რუსეთი განსაკუთრებული გულმოდგინებით ცდილობდა სამცხე-ჯავახეთში რუსების ჩასახლებას. ამ მიზნით იგი ხელს უწყობდა მაჰმადიანი ქართველების თავისი მიწა-წყლიდან თურქეთში გადასახლებას. სამცხე-ჯავახეთის ქართველმა მაჰმადიანებმა გაქრისტიანების შიშით დატოვეს თავიანთი სამშობლო და ოსმალეთში გადაიხვეწნენ (მათი ნაწილი კი რუსეთის მიერ ახალციხის ალების შემდეგ უკანდახეულ თურქეთის ჯარს გაჰყვა). 1828 წელს მარტო არდაგანის რაიონიდან ოსმალეთში გადასახლდა 22 743 ქართველი მაჰმადიანი.

მუსულმანთა შევინროების პოლიტიკამ, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება შეგნებულად ახორციელებდა, დააფრთხო ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობა. ძალდატანებით გაქრისტიანების შიშმა გააძლიერა რელიგიური ფანატიზმი, რამაც ქართველ მაჰმადიანებში ეროვნული ცნობიერების ჩახშობას შეუწყო ხელი.

1886 წელს მაჰმადიან მესხთა ნაწილს უკვე დაკარგული ჰქონდა ქართული გვარები. ამ წელს ჩატარებული აღწერის დროს ისინი ეროვნების მიხედვით ან „ქართველებად“ ან „თათრებად“ ეწერებიან. არსად გვხვდება ეროვნება „თურქი“. სრულიად ნათელია, რომ „თათარი“ აქ მაჰმადიანური რელიგიის აღმსარებელს ნიშნავს და არა ეროვნებას [17, 25].

ოსმალეთის იმპერიაში, რომელიც ოფიციალურად სჯულშემცნარებლობით გამოირჩეოდა, ოჯახს, ქრისტიანობას, ისევე როგორც მშობლიურ ენას, აშკარად თუ მალულად, უნარჩუნებდა ქალი, დედა, რომელიც უპირატესად ქმარ-შვილის ზნეობრივი სიმაღლისა და სულიერი სათნოებისათვის იღვწოდა და არა მათი მატერიალური უზრუნველყოფისათვის [11, 272].

ამრიგად, ჩვენში, ოსმალური ხმალი არ დაპირისპირებია ქრისტიანულ სარწმუნოებას. თურქთაგან „შემოთავაზებული“ გამაჰმადიანების ოფიციალური ფორმა ნებაყოფლობითი იყო. სინამდვილეში გამაჰმადიანება თითქმის აუცილებელ პირობად ედო ოსმალურ ეკონომიკურ რეჟიმს, სამხედრო-ლენურ სისტემას. მას კი ემორჩილებოდა ოსმალეთის იმპერიაში ხანგრძლივად თუ დროებით მოხვედრილი ყველა ქვეყანა, მათ შორის ბალკანეთის ქვეყნებთან ერთად სამცხე-საათაბაგო, აჭარა და ოსმალეთის დროინდელი ქართლი.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ა. ბაქრაძე, რწმენა, თბილისი, 1990.
2. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტ. I, თბილისი, 2012.
3. ი. სურგულაძე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბილისი, 1985.
4. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. II, თბილისი, 1983.
5. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბილისი, 1958.
6. ნ. სურგულაძე, სპარსული იურიდიული ტერმინები ორენოვან (ქართულ-სპარსულ) ისტორიულ საბუთებში („აჰლ-ე შარ“, „ჰესაბი“), კრებულში საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, VIII, 2005.
7. ნ. შენგელია, 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის ვაკუფ-ნამე, კრებულში: აღმოსავლეთი და კავკასია, 4, 2006.
8. ხ. ბაინდურაშვილი, სუნიზმი ოსმალობის დროს თბილისში, კრებულში: აღმოსავლეთი და კავკასია, 4, 2006.
9. თბილისის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1990.
10. ჟურნალი „ისტორიანი“, 2012, 6.
11. ც. აბულაძე, ქრისტიანთა გამაჰმადიანების ოსმალური წესი, ქართული წყაროთმცოდნეობა, VIII, 1993.

12. დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბილისი, 1990.
13. ლ. მღებრიშვილი, მთიანი აჭარის ეთნოგრაფიული თავისებურებანი (სოფელი მანყვალთა), კლიო, 11, 2001.
14. გ. გელაშვილი, ინგლისელი ჟურნალისტი ბენჰოფერი ბათუმის შესახებ (1919-1920 წლები), კრებულში ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2011, 2.
15. მ. სვანიძე, ფეოდალური მინათმფლობელობის ზოგიერთი საკითხი სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის დროს, კრებულში „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, თბილისი, 1991.
16. ლორდი კინროსი, ათათურქი, თბილისი, 2011.
17. გ. ქიმაძე, ქართული სახელმწიფოებრიობა და „თურქი მესხების“ პრობლემა, თბილისი, 2004.

#### **Avtandil Songulashvili**

*Doctor of Historical Sciences, Proffesor,  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Ivane Javakhishvili Institute of History and  
Ethnology, the Head of the Department of  
the New and modern History*

### **Persian-Ottoman Aggression and Attempts of Converting Georgians into Islam In the late Feudal Era**

#### **Summary**

The compact mass of nomadic people appeared in Kakheti and especially in Kvemo Kartli In the first quarter of the XVII century. The kings of Kartli and Kakheti accepted Shah's authority and became Muslims.

The above-mentioned fact promoted loyal attitude towards Islam Religion and in some cases, even adoption of Islam.

Prevailing number of Ottomans in Kartli elaborated their own way of converting Georgians into Muslims, which is represented in the ledger of Tbilisi Vilajet, compiled in 1728. It was enough for a follower of Islam to pronounce the words from Koran in the presence of several Muslims: „There is no God except Allah and Mohammed is a messenger of Allah.“

## მზია ტყავაშვილი

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

### **დერბენტის გასასვლელი რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სწავრაობი (XVI საუკუნის მეორე ნახევარი)**

„ვინც ფლობს დერბენტს, ის ბატონობს კასპიის ზღვაზე“ — ნერდა XIX საუკუნის რუსი სამხედრო ისტორიკოსი ვ. ა. პოტტო. ცნობილი კავკასიოლოგის ეს მოსაზრება დერბენტის გასასვლელის უდიდეს პოლიტიკურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

დერბენტის გასასვლელთან კავკასიონის ქედი ყველაზე მეტად უახლოვდება კასპიის ზღვას და ტოვებს დაბლობის სამკილომეტრიან ზოლს. დერბენტის გასასვლელი ერთმანეთისგან ჰყოფდა და ერთმანეთთან აკავშირებდა სხვადასხვა ცივილიზაციებს.

დერბენტის გასასვლელთან მდებარეობს ქალაქი დერბენტი, რომელიც მსოფლიოს უძველესი ქალაქია. მოხერხებული მდებარეობა მისი მოსახლეობისთვის მრავალი უბედურების მომტანიც იყო და პოლიტიკური და ეკონომიკური ზეგავლენის მძლავრი იარაღიც.

კავკასიონის სხვა გასასვლელებისგან მოხერხებულობით გამორჩეული დერბენტის კარი მრავალი დამპყრობლის სამიზნეს წარმოადგენდა. იგი ხშირად გამხდარა თავდასხმისა და დაპყრობის ობიექტი.

სპარსეთის მეფეებმა IV საუკუნეში ჩრდილოეთის მომთაბარეების თავდასხმებისგან დერბენტის გასასვლელის და, ზოგადად, სპარსეთის სამფლობელოების დაცვის მიზნით აქ ააშენეს ხელოვნური კედელი, ე. წ. დერბენტის გალავანი, რომელიც საიმედოდ კეტავს კავკასიონის ქედსა და კასპიის ზღვას შორის არსებულ სივრცეს. კედელი გრანდიოზულ საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენს, რომლის სიგანე 3 მ., სიმაღლე კი 10-დან 20 მეტრამდე მერყეობს. გალავანი იწყება კასპიის ზღვიდან, ადის მთაზე და მეორე მხრიდან უერთდება კასპიის ზღვას.

შუა საუკუნეებში გალავანი მთლიანად გარს უვლიდა ქალაქს. შემდგომ პერიოდში მოსახლეობამ კედლის გარეთაც დაიწყო დასახლება. ჩრდილოეთის მხრიდან ქალაქი შემოსაზღვრულია მეორე კედლით, რომელიც კასპიის ზღიდან იწყება და გარკვეული მანძილის შემდეგ უერთდება მთავარ გალავანს. ქალაქის შესასვლელი, როგორც აღმოსავლეთის, ასევე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან იკეტება რკინის ჭიშკრებით.

XVII-XVIII სს-ში დერბენტის მოსახლეობაში ფართოდ იყო გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ მათი ქალაქი ალექსანდრე მაკედონელმა დააარსა. ამ ლეგენდას არაფერი აქვს საერთო რეალობასთან, რადგანაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა, რომ ქალაქის ადგილზე დასახლებული პუნქტი ალექსანდრე მაკედონელამდე ბევრად ადრე, ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ის IV ათასწლეულში არსებობდა [2, 29].

ქალაქი დერბენტი სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარეობდა, რაც აისახა მისი მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობაზეც, რომელიც ძირითადად ვაჭრულ-ხელოსნური იყო. თუმცა ნოციერი ნიადაგი და რბილი კლიმატი მიწათმოქმედების განვითარებისთვისაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. მისი მცხოვრებლებიც გამოცდილი მებაღეები და მევენახეები იყვნენ.

მრავალფეროვანი იყო დერბენტის რელიგიური ცხოვრება. ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე აქ მაზდეანობა იყო გავრცელებული. 311 წელს ალბანეთის შემადგენლობაში შემავალ დერბენტის მოსახლეობაში ქრისტიანობამ დაიკავა გაბატონებული პოზიცია. ზოგიერთი ისტორიკოსის მოსაზრებით, VII საუკუნეში ხაზარებმა დერბენტში იუდაიზმი გაავრცელეს. VIII საუკუნიდან კი, არაბების ბატონობის პერიოდში, აქ ისლამმა მოიკიდა ფეხი.

XVI საუკუნიდან კასპიის ზღვა რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სფეროში მოექცა. 1552 წელს რუსეთის ჯარმა ყაზანის, 1556 წელს კი ასტრახანის სახანოები დაიპყრო. ივანე IV-მ ამით თათართა ბატონობა დაასრულა, სრული კონტროლი განახორციელა მდინარე ვოლგის აუზზე და გასასვლელი მოიპოვა კასპიის ზღვაზე, აღმოსავლეთის იაფ ბაზრებსა და ჩრდილო კავკასიაზე გამავალ სავაჭრო გზებს დაუახლოვდა. იგი საზღვაო ქვეყანა გახდა. ეს რუსეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დიდი გამარჯვება იყო. მოსკოვის სამთავრო არ აპირებდა შეჩერებას და კასპიის ზღვასთან დაკავშირებით შორსმომავალი გეგმები ჰქონდა.

ყაზანისა და ასტრახანის (მდინარე ვოლგის აუზის) დაპყრობის შემდეგ დაიწყო ახალი ეტაპი მოსკოვის სამთავროს ისტორიაში, რომელიც ციმბირის, შუა აზიისა და კავკასიის ხალხებთან ინტენსიურ ურთიერთობას და სამხრეთით და აღმოსავლეთით მისი ტერიტორიების ზრდას უკავშირდება. მან თავდაპირველად ფრთხილად, შემდგომ პერიოდში კი ამკარად დაიწყო ჩარევა ირანისა და თურქეთის, თუ ამ ორი ქვეყნის გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნების საშინაო თუ საგარეო ურთიერთობებში და დაარღვია მათი ტერიტორიული საზღვრები. „რუსეთის ასე გაძლიერება აფერხებდა თურქეთის აგრესიული გეგმების განხორციელებას როგორც ჩრდილო და ამიერკავკასიაში, ისე ირანშიც. ამ ნიადაგზე ხდება რუსეთისა და ირანის დაკავშირება. მართალია, ირანსაც და რუსეთსაც საკუთარი ინტერესები ამოძრავებდათ, რომლებიც საბოლოო ანგარიშში ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო, მაგრამ თურქული აგრესიის საფრთხის წინაშე საკმაოდ დიდხანს ორივე სახელმწიფო კავშირის პოლიტიკას ამჯობინებდა“ [6, 120].

ასტრახანის შემდეგ რუსეთის ინტერესების სფეროში მოექცა მდინარე თერგის ქვემო წელი, სადაც რუსეთის სამეფო კარმა მალევე ციხე-სიმაგრის აგება მოახერხა. კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე სამხრეთით ჩამონაცვლებით რუსეთმა დალესტინის, კერძოდ კი ტარკის საშამხლოს ტერიტორია დაიკავა. ამან დალესტინური სახანოების (განსაკუთრებით კი ტარკის შამხლის, ყაიტაღის, თაბასარანის), ყირიმხანის, ოსმალეთისა და ირანის შეშფოთება გამოიწვია, რომლებმაც კარგად იცოდნენ, რომ რუსეთს იმჟამად კასპიის ზღვაზე და ჩრდილო კავკასიაში გაბატონება და აქ გამავალი სავაჭრო გზების კონტროლი სურდა. მათი ზენოლის შედეგად XVI საუკუნის 60-70-იან წლებში რუს მეციხოვნეებს რამდენჯერმე მოუხდათ მდინარე თერგზე აშენებული ციხე-სიმაგრის დატოვება და კვლავ დაკავება. ასეთი ვითარება დაახლოვებით 30 წელს გაგრძელდა [3, 9, 10, 11; 5, 31].

მდინარე თერგის შესართავის დაკავებას რუსეთი 1588 წელს ახერხებს. ამ პერიოდის რუსულ-კავკასიური დიპლომატიური ურთიერთობის ამსახველი წერილობითი წყაროები გვანვდიან ცნობებს დარუბანდის მიმართულებით რუსეთის გააქტიურების შესახებაც, რაშიც მას ირანის გართულებული მდგომარეობა ეხმარება [6, 139].



ირანსა და თურქეთს შორის 1578 წელს დაიწყო ახალი ომი, რომელიც თურქეთის უპირატესობით მიმდინარეობდა. XVI საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს თურქებმა აღმოსავლეთი ამიერკავკასია დაიკავეს [7, 578]. მათ ხელში აღმოჩნდა დერბენტის გასასვლელიც.

სწორედ ამ პერიოდში იწყებს რუსეთი აღმოსავლეთ კავკასიაში აქტიურ პოლიტიკას: ინტენსიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, კახეთის მეფე ალექსანდრე II-სთან და სხვადასხვა საშუალებით (ძალის, საჩუქრების, მოტყუების და ა. შ.) ტერკის ციხე-სიმაგრის აღდგენის საქმეში მათი მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობს. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი, როგორც ჩანს, მაინც ირანის ფაქტორმა შეასრულა.

რუსეთი ირანის სტრატეგიულ მოკავშირედ მოიაზრებოდა. 1587 წელს, ირანისთვის უმძიმეს ვითარებაში, ირანის შაჰმა ხუდაბენდემ თავისი კუთვნილი სამფლობელოების დაბრუნებაში რუსეთის მეფეს თურქეთის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, რის სანაცვლოდაც მას ქალაქების: დერბენტისა და ბაქოს გადაცემას შეპირდა.

ამ მოლაპარაკების შესახებ რუსულ-კავკასიური დიპლომატიური ურთიერთობის მასალებში ვკითხულობთ: „В 96-ом году (1588 წელი) приходил ко г. ц. и в. к. О. И. в. Р. От Кызылбашского шаха Худобендея, от нынешнего шах Абасова отца, гонец Андикбек; а в грамоте своей шах во государю писал, чтоб государь был с ним в дружбе и в любви и в сылке, как были отцы их и деды и прадеды. А гонец в речи говорил: по несчастью шахову недруг его Турской салтан города Дербен, Шемаху, Баку и иные города поимал. И государь бы похотел с ним быти в дружбе и в любви и в до кончанье и в соединенье и стоял против всех недрузей заодно и на вопчего б недруга на Турсково салтана дал в помоч своих ратных людей с вогненным боем, а ему б царского величества споможеньем те города назад достат; а, достав, города Дербень да Баку государю поступится“ [1, 563].

ასტრახანიდან დარუბანდის კარამდე საკმაოდ ვრცელი ტერიტორია და დაღესტნის სამი სახანოს: ტარკის, ყაიტალისა და თაბასარანის სამფლობელოები მდებარეობდა, რომელთა ფაქტორის გამორიცხვის გარეშე შეუძლებელი იყო რუსეთის პოლიტიკური გააქტიურება დერბენტის მიმართულებით. თუმცა ამ შემთხვევაში კავკასიაში შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ შეასრულა გადამწყვეტი როლი და ხელსაყრელი ვითარება შექმნა იმისთვის,

რომ რუსეთს დებენტის კარის ხელში ჩაგდების რეალური პერსპექტივა გასჩენოდა.

სპარსეთის მიმემ ვითარებით და ხუდაბენდეს აღნიშნული თხოვნით ისარგებლა რუსეთის სამეფო კარმა, რომელმაც ხუდაბენდეს შეატყობინა, რომ ირანისთვის სამხედრო ძალით დახმარებას ასტრახანიდან, დიდი მანძილის გამო, ვერ მოახერხებდა და მდინარე თერგზე ციხე-სიმაგრის ჩადგმაში ირანისგან მხარდაჭერა ითხოვა (აღნიშნული ტერიტორია ტარკის შამხალს ეკუთვნოდა და ირანის გავლენის სფეროდ მოიაზრებოდა), რაც, ამ უკანასკნელის უმძიმესი მდგომარეობიდან გამომდინარე, მიიღო კიდეც. თუ რამდენად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ ტერიტორიას რუსეთისთვის ამაზე მიუთითებს ერთერთი წყარო: „а только де государь Московской на Терке город поставит, и им (დალესტენელები, თურქები, ყირიმის თათრები იგულისხმება) быти и в неволю в холопстве у государя“ [1, 563].

ამავე პერიოდში (1588 წელს) თერგზე ციხე-სიმაგრის ჩადგმას თურქეთს ტარკის შამხალი სთხოვს. ერთ-ერთი წყარო გვაუწყებს: „Шевкал княз писал к Турскому салтану, чтоб Турской прислал свою рат, а велел бы город поставити на Терке его Щевкальской земле на оборону“ [1, 563].

კასპიის ზღვასთან მდინარე თერგის შესართავის ადგილზე ციხე-სიმაგრის (ტერკის ციხე-სიმაგრის) ჩადგმას რუსეთი მალევე (1588 წ.) იწყებს და შიგ გარნიზონს აყენებს. რუსეთის მეფის დავალებით, აქვე ხდება ვოლგისპირეთისა და კაზიევის ულუსების ნოღაელთა ლაშქრისა და ყირიმიდან გამოქცეული უფლისწულის მურატ გირეის ხელმძღვანელობით მრავალრიცხოვანი ჯარის მობილიზება. მათ თურქეთისა და ყირიმის ჯარისთვის ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში (ირანის სამფლობელოებში) მიმავალი გზა უნდა გადაეკეცათ [1, 565-566]. მართლაც, რუსეთის აღნიშნული ქმედება მნიშვნელოვანი შემაფერხებელი გარემოება აღმოჩნდა თურქეთ-ყირიმისთვის. თურქეთის სულთანს სურდან ჯარი თავისი ერთ-ერთი ფაშის ბეგლარ-ბეგის და ყირიმელი უფლისწულების ხელმძღვანელობით ჩრდილო კავკასიის გზით ირანის სამფლობელოებზე თავდასასხმელად გაეგზავნა, მაგრამ როდესაც შეიტყო ტერკის ციხე-სიმაგრის ჩადგმის შესახებ, აღნიშნული ლაშქრობისგან თავი შეიკავა [1, 566]. ეს დიდი დახმარება იყო ირანის მხარისთვის, თუმცა ამან ვეღარ შეძლო მისი მდგომარეობის გამოსწორება.

რუსეთსა და ირანს შორის ზემოთაღნიშნული მოლაპარაკების მიმდინარეობის მომენტში – 1587 წელს ირანის შახი – ხუდაბენდუ გარდაიცვალა. ტახტზე მისი ვაჟი – აბასი ავიდა. საპასუხო ელჩობისას რუსეთის წარმომადგენელი გრიგორ ვასილჩიკოვი სპარსულ მხარეს რუსეთის მიერ ირანისთვის განეულ დახმარებას და ყოფილი შაჰის – ხუდაბენდეს დანაპირებს ახსენებს. იგი ცდილობს გარკვიოს ახალი შაჰის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ამ ვითარებას ასე აღწერს რუსული ოფიციალური წყარო: „В том же в 96-м году г. ц. и в. к. О.И. в. Р. посылал впервые к шах Тамазу с гонцом его с Андибеком в месте посланника Григорья Васильчикова. . И Григорей Худобендея шаха не застал, учинился на его место сын его нынешней шах Абаз; а грамоту государеву переписали на Абасс шахово имя к Астрахани. – И Григорей по наказу говорил о том с шаховым ближним человеком с Вергат-ханом. И Вергат-хан говорил, что шах к ним о том пошлет, чтоб стояли вместе с государевою ратью и с шаховою на турецких людей. – А про Дербень и про Баку Григорей шаху говорил, что приказывал ко государю отец его Худобендей шах: хоти он тех городов у недруга доступит и без государевы рати, и он тех городов царскому величеству поступотца ль, толко возмет без государевы рати. И шах ему сам молил, что он царскому величеству для братские любви не постоит. И государь бы под те города послал ратных своих людей и велел над теми города промышляться с своей стороны; – и он те города возмет, хотя и без государевы рати, – и он тех городов государю вступотся“ [1, 564].

1590 წელს ირანი იძულებული გახდა თურქეთთან ზავი დაედო და მისთვის აღმოსავლეთ კავკასია დაეთმო. აღმოსავლეთ კავკასიის ციხე-სიმაგრეებში (მათ შორის დერბენტშიც) თურქი მეციხოვნეები ჩადგნენ.

ირანის დამარცხებისა და თურქეთსა და ირანს შორის ზავის დადების შემდეგაც რუსეთის სამეფო კარმა გააგრძელა მცდელობა დერბენტისა და ბაქოს გადმოცემისთვის შაჰ აბასის მხრიდან წერილობითი თანხმობის მისაღებად. ამ პერიოდში რუსული მხარე ცდილობს ირანის დასუსტებით და შაჰის კარზე არსებული გაურკვევლობით ისარგებლოს და იმპერიის საზღვრები სამხრეთის მიმართულებით მნიშვნელოვნად გაზარდოს. რუსულ პოლიტიკურ წრეებში არ კმაყოფილებიან დერბენტისა და ბაქოს რუსეთის მხარისთვის გადაცემის შესახებ სპარსი ელჩების მხრიდან სიტყვიე-

რად გაკეთებული თანხმობით და დაჟინებით ითხოვენ, რომ მამის დანაპირები შაჰ აბასმა წერილობითაც დაადასტუროს. ეს უკანასკნელი სიფრთხილეს იჩენს და რუსეთის აღნიშნულ მოთხოვნას თავს არიდებს [1, 565].

1592 წელს ირანის მხარე რუსებს შემდეგ გეგმას სთავაზობს: თუ რუსები და ირანელები მოაწყობენ ერთობლივ ლაშქრობას თურქებზე (რუსთა ჯარი გაილაშქრებს დერბენტისა და ბაქოს მიმართულებით, ხოლო ირანი შირვანიდან შეუტევს თურქებს) და რუსები შეძლებენ დერბენტისა და ბაქოს, ირანელები კი შირვანის პროვინციის ხელში ჩაგდებას, ირანი დერბენტსა და ბაქოს დაუთმობს რუსეთს [1, 565].

მომდევნო პერიოდში რუსეთი კვლავ ცდილობს კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე სამხრეთით ტერიტორიების გაფართოებას. იგი ტარკის შამხლის წინააღმდეგ სამხედრო ექსპედიციებს გზავნის: 1591 წ. ზასეკინის, 1594 წელს ხვოროსტინინის, 1604 წელს კი პლემჩევის ხელმძღვანელობით [5, 188; 8, 142-144]. სამივე ლაშქრობა რუსეთისთვის წარუმატებლად დასრულდა.

მომდევნო პერიოდში ირანი თანდათან თავს აღწევს სირთულეებს. რუსეთის მხარე დიპლომატიურ ურთიერთობებში უკვე იშვიათად ახსენებს დერბენტსა და ბაქოს. ირანის მხარე კი უფრო და უფრო ხშირად აღნიშნავს, რომ კახეთის მეფეც, შამხალიც და ჩრდილოკავკასიელი სხვა მფლობელები ადრე მისი ყმები იყვნენ, რითაც არაპირდაპირ მიანიშნებს რუსეთს იმ წინააღმდეგობაზე, რაც მეგობრობის ნიღბის ქვეშ იმალება [1, 569].

ამ პერიოდში ირანის სახელმწიფოს სათავეში ისეთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურის გამოჩენამ, როგორსაც წარმოადგენდა შაჰ-აბას I (1587-1629), რა თქმა უნდა, რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო გეგმებში კორექტირება შეიტანა. აშკარა გახდა, რომ კასპიის ზღვის აუზში რუსეთს წარმატების მიღწევის ნაკლები შესაძლებლობა ჰქონდა, რამაც მისი ლტოლვა ამ მიმართულებით შეაჩერა.

XVII საუკუნის დასაწყისში შეიცვალა ვითარება შავი ზღვის მიმართულებით. რუსეთის წინაშე მთელი სიმწვავეით დადგა კაზაკთა, კერძოდ კი „ზაპოროჟიეს სერის“ საკითხი, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა ლიტვის დიდ სამთავროსა და რუსეთს შორის აქამდე არსებული ბალანსის რღვევას (ზაპოროჟიეს კაზაკები თავდაპირველად ლიტვის დიდ სამთავროს დაექვემდებარნენ, რომლის მესვეურების მიერ კაზაკობასთან მიმართებით გატარებულმა არას-

ნორმა რელიგიურმა პოლიტიკამ ისინი ლიტვის წინააღმდეგ განაწყო). 1654 წელს ბოგდან ხმელნიცკის ხელმძღვანელობით მომხდარი აჯანყების შემდეგ „ზაპოროჟიეს სეჩი“ რუსეთის ხელში გადავიდა. ამ ფაქტის შემდეგ რუსეთმა არა მარტო მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ტერიტორიული საზღვრები სამხრეთ-დასავლეთით, არამედ მის ხელში გადავიდა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა. ამ ფაქტმა დაარღვია პოლიტიკური ბალანსი ლიტვასა და რუსეთს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, რამაც, ჩვენის აზრით, რუსეთის მომდევნო პოლიტიკურ გაძლიერებას შეუწყო ხელი [9, 66]. აღნიშნულმა მოვლენებმა, ანუ რუსეთის პოლიტიკური მიზნების გადანაცვლებამ შავი ზღვის აუზისკენ, კასპიის ზღვის მიმართულეობით რუსეთის აქტიურობის შესუსტება გამოიწვია.

კასპიის ზღვის მიმართულებით რუსეთის შემდგომი გააქტიურება და დერბენტზე პირველი ლაშქრობა პეტრე I-ის სახელს უკავშირდება.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Белокуров Е., Сношения России с Кавказом, Москва, 1889.
2. Потто В., Кавказская война в отдельных очерках, эпизодах, легендах и биографиях, т. I, С-ПГ. 1887.
3. Потто В., Два века терского казачества, Владикавказ, 1912.
4. ჩრდილო კავკასიის ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. I, თბილისი, 1969.
5. თ. ბოცვაძე, საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს.), თბილისი, 1968.
6. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.
7. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1978.
8. მ. ტყავაშვილი, რუსეთის ლაშქრობები დაღესტანში (1591, 1594 წწ.), კრებულში: საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები, 2006, IX.
9. მ. ტყავაშვილი, კაზაკთა ყოფა-ცხოვრება ჩრდილო კავკასიაში და მათი გადასახლების სისტემა, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2007, №2.

**Mzia Tkavashvili**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Research Worker of the Department of Modern and Contemporary History of Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

**The Derbent Pass in the Sphere of Russia's Political Interests (The second half of XVI century)**

**Summary**

The Derbent gate is one of the most important passes of the Kavkasioni. In IV century the Persian kings for the aim of defense from invasions of the Northern peoples closed it with a grandiose fortification construction. The Derbent gate, differing from the other Caucasian passes by convenient situation, presented a goal for invaders. From the second half of XVI century it fell into the sphere of political interests of Russian State.

In 1556 after conquest of Astrakhan khanate Moscow principality began trying to annex the Southwest coast of the Caspian Sea. Achievement of this goal was supported by the political situation arisen in the Caucasus. During the Turkish-Iranian war of 1578-1590 Turkey gains advantage and conquers the East Caucasus which was under the Iranian sphere of influence. The Iranian shah Khudabende addresses Russia for help and in case of success he promises to pass Derbent and Baku to Russia. The Russian State takes advantage of this situation and erects a Turk fortress by the Caspian Sea at the junction of the Terek river where they gather significant military forces. In that time in 1588-1589 the Turk fortress managed to hold up Turkish-Crimean khan and Shamkhor military aggression against Iran when the first ones aimed to invade into the Transcaucasia from the North Caucasus. Nevertheless, this would not help the Iran situation. In 1587 a new shah Abbas I mounts the Iran throne. In return for provided help the Russian kingdom makes attempts to get from him a written consent about transfer of Derbent and Baku, though a new shah does not fulfill their request.

From the end of XVI century Iran is becoming stronger, and in the middle of XVII century Russia gets advantage to enlarge its territories in direction to the Black Sea. It annexes Pre-Dnieper ("Zaporozhye Sech"). Because of this the Russian kingdom transfers its attention from the Caspian region to the Black Sea region.

The Russian State organizes the first march to the Derbent pass in 1722 under the leadership of Peter I.

## **მეფე გიორგი XII-ის მშობლები და ოჯახი**

გიორგი XII (1746-1800), რომელიც გაერთიანებულ ქართლ-კახეთში მეფობდა 1798 წლის 11 იანვრიდან (მამის — ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ) — 1800 წლის 28 დეკემბრამდე, განეკუთვნება ბაგრატიონთა ათასწლოვანი სამეფო დინასტიიდან გამოსულ იმ მცირერიცხოვან გვირგვინოსანთა ჯგუფს, რომლებიც სამ წელიწადზე ნაკლებ ხანს მეფობდნენ.

აქვე დავსძენთ, რომ გიორგი XII-ის მამა — ერეკლე II (1720-1798), რომელიც საერთო ჯამში 54 წლის განმავლობაში მეფობდა, მეფობის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, მხოლოდ ორი წლით ჩამოუვარდება თავისივე უშუალო წინაპარს — ლევან I-ს, რომელიც მეფობდა 1518-1574 წლებში ანუ 56 წლის განმავლობაში. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს წარმოადგენს მეფობის ხანგრძლივობის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს ბაგრატიონთა ყველა შტოდან გამოსულ ხელმწიფეთა შორის.

ქვემოთ მოთხრობილია მეფე გიორგი XII-ის მშობლების, ქორწინებებისა და ოჯახის შესახებ, რაც ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებს წარმოადგენს. აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებული პრობლემა მონოგრაფიულად შევისწავლეთ ჩვენს სადოქტორო დისერტაციაში [12].

\* \* \*

საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის (1466 წ.) შემდეგ, ბაგრატიონთა სამივე სამეფო სახლის — კახეთის, ქართლისა და იმერეთის წარმომადგენლები, ძირითადად ქართველ წარჩინებულებზე ქორწინდებოდნენ [9, 450].

ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელთა ქორწინებებს ქართველ და უცხოტომელ წარჩინებულებზე მივუძღვენიტ რამდენიმე სტატია, რომლებიც გამოქვეყნდა როგორც საქართვე-

ლოში [9-11; 16], ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, აზერბაიჯანსა [13-14] და დაღესტანში [15].

დადგენილია, რომ ერეკლე II-ის პირველი მეუღლე იყო — ქეთევან ზაალის ასული მხეიძე, იგივე ფხეიძე (გარდაიცვალა 1744 წელს), მეორე — ანა ზაალის ასული აბაშიძე (1730-1749), ხოლო მესამე — დარეჯან კაციას ასული დადიანი (1734-1807) [11].

ამ სამივე ქორწინებიდან მეფეს შეეძინა 28 შვილი, მათგან 15 — ვაჟი და 13 — ასული [1, ნუსხა 6].

მეორე ქორწინებიდან მეფე ერეკლე II-ს შეეძინა ორი ასული და ერთადერთი ვაჟი — უფლისწული გიორგი (მომავალი მეფე გიორგი XII).

ვფიქრობთ, საყურადღებოა გავისხენოთ, თუ რა ვითარებაში მოხდა ეს ქორწინება და მომავალი მეფის გიორგი XII-ის დაბადება, რასაც სამეფო სასახლეში დიდი ზეიმი მოჰყვა.

1744 წელს უკვე კახეთის ტახტზე ასული მეფე ერეკლე II მეორედ დაქორწინდა. ამაში მთავარი როლი შეასრულა მისმა დეიდამ — ანა (ანუკა) ბატონიშვილმა, რომელიც ცოლად ჰყავდა ქვიშხეთში მცხოვრებ თავად ვახუშტი აბაშიძეს. აბაშიძეთა ეს შტო ქართლში იმერეთიდან გადასახლდა. ანა ბატონიშვილმა დაქვრივებულ დისწულს ცოლად შერთო თავისი მაზლის — თავად ზაალ აბაშიძის ასული — ანა.

აღნიშნული ქორწინების შესახებ პაპუნა ორბელიანის თხზულებაში ვკითხულობთ: „მობძანდა კახი ბატონი ერეკლე სურამს. გაგზავნეს კაცი იმერეთს და აბაშიძის ზაალის ქალი, შვენიერი და შემკული ყოვლითა ბრწყინვალეებითა, გარდმოიყვანეს ქვიშხეთს, ანუკა ბატონიშვილი, ვითაც მეფის ერეკლეს დეიდა იყო და ამან მოინდომა და მიათხოვა მეუღლედ. ნაბძანდნენ ორი მეფენი, სათნონი ღმრთისანი და საქებელნი კაცთანი, მიბძანდნენ ქვიშხეთს სახლსა ვახუშტი აბაშიძისა, ვითაც ვახუშტის აბაშიძის ძმისწული ქალი იყო და ქორწილი თითონ გარდაიხადა. დაინერა ჯვარი მეფე ერეკლემ და იქმნა ასული აბაშიძისა დედოფალი ანა. განისვენეს ორი დღე ლხინ-ნადიმობითა, ვითა ამას დღეს მეფობდა და მობძანდნენ ისევ სურამს, იყო სროლა მუდმისად ყუნბარათა და ზარბაზანთა, რომ ყურთა ხმა აღარ იყვის...

კახმა ბატონმა ერეკლემ წამოიყვანა დედოფალი ანა ქვიშხეთით, ჩამოიყვანეს ქალაქსა თბილისისასა, სახლსა მამისა თვისი-



სა, ქართველთა მეფისასა. იყო მეორე ქორწილი და განცხრომა ფრიადი, ვითა იმ დღესა და სიხარულსა გაეწყობოდა“ [5, 93-95].

ცნობილი მეცნიერი გერონტი ქიქოძე (1885-1960) თავის ნაშრომში „ერეკლე მეორე“ მოგვითხრობს: „სურამის მახლობლად სოფელ ქვიშხეთში ერეკლეს დეიდა ანუკა ბატონიშვილი ცხოვრობდა, რომელიც აბაშიძეზე იყო გათხოვილი. მან იმერეთიდან გადმოაყვანილა თავის მახლის ზაალ აბაშიძის ქალიშვილი — ანა და ერეკლეს მიათხოვა. ქორწილი ქვიშხეთში გადაიხადეს“ [7, 53].

ანა დედოფალმა შვა 3 შვილი: გიორგი (მომავალი მეფე გიორგი XII), თამარი (1749-1789) და კიდევ ერთი ასული (სახელი უცნობია), რომელიც მცირეწლოვანი გარდაიცვალა.

უფლისწულ გიორგის დაბადებამ თეიმურაზ II-ის სამეფო კარზე დიდი სიხარული გამოიწვია.

როგორც მემატთანე მოგვითხრობს: „პაპამან მისმან თეიმურაზ, დღე შობისა მისისა, გარდაიხადა დღესასწაულობითა: აუნყა ეპისტოლეებითა იმერეთის მეფესა და მთავართა; კახეთისა და ქართლისა თავადთა, კათოლიკოსთა და მღვდელ-მთავართა; მიანიჭა საჩუქარნი მრავალნი გლახაკთა, ობოლთა და ქვრივთა; მიეცა მრავალთა პყრობილთა მიტევება ბრალთა; მეუდაბნოეთა წარუგზავნეს ნუგეშინისცემითნი საქმოდ ბოძებანი; მეგობარი თვისი და მახლობელი საბა ნინოწმინდელი მოუწოდა თფილისად, რათა ექმნას მიმრქმელად წმინდისა ემბაზიდამ მეფისა ყრმასა გიორგის...“

ესრეთნივე ეპისტოლენი და ძღვენნი წარუვლინეს ოთხთა მართლმადიდებელთა პატრიარქთა, სინასა და ათონისა მათათა წინამძღვართა. ენა ხალხისა განმხიარულებულისა შეიქმნა სანერელი მწიგნობრისა ხელოვნისა. დროთა ჩვეულობისა გამო მოლექსენი უძღვნიდენ ლექსთა ქებითა; მეცნიერნი სიტყვათა წყობითა კატელორიისათამებთა ზედა აღშენებულთა სხოლასტიკოსთა წესითა; მქადაგებენი ქადაგებათა; მეუდაბნონი ლოცვათა; მემხოლოენი კურთხევითა ქარტათა“ [4, 3-4].

1749 წლის დეკემბერში თბილისში გარდაიცვალა ანა დედოფალი, რომელიც იმხანად სრულიად ახალგაზრდა, სულ 19 წლისა იყო.

აღნიშნული ფაქტის თვითმხილველის ცნობით, „დედოფალი კახეთისა ანა დამარცხდა ქალაქს, დეკემბერს ზ, ქორონიკონს ულზ, მიიღეს მცხეთას, იქნა გლოვა, მწუხარება ფრიადი“ [5, 164].

ზემოთ მოყვანილი ცნობიდან ირკვევა, რომ დედოფალი გარდაცვლილა 7 დეკემბერს.

კახეთის დედოფალი სათანადო პატივით დაკრძალეს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში [4, 93], სადაც განისვენებს ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ქართლისა და კახეთის შტოების არაერთი წარმომადგენელი და ზოგიერთი მათგანის მეუღლეც.

თედო ჟორდანიას (1854-1916) ცნობით, დედოფლის საფლავზე ამოტვიფრული იყო შემდეგი წარწერა: „ანნა, აბაშიძის ასული, ხოლო სძალი ქართველთა მეფისა, ცხებულის თეიმურაზისა და სატრფო ფერცხალი ირაკლი კახთა მეფისა“ [8, 208].

მეორედ დაქვრივებული ერეკლე II-ის მესამე და უკანასკნელი თანამეცხედრე გახდა სამეგრელოს მთავრის ნათესავი დარეჯან დადიანი (1734-1807), რომელზეც მეფემ 1750 წელს იქორწინა.

ნიკო დადიანი შენიშნავს, რომ მეფე ერეკლემ „მოიყვანა მეუღლედ დადიანისა კაცისა ბიძაშვილი დარეჯან“ [3, 138].

აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებულ საისტორიო წყაროში იგულისხმება დარეჯანის მამის კაცია (იგივე გიორგი) ბეჟანის ძე დადიანის ძმისწული — კაცია ოტიას ძე დადიანი, იგივე კაცია II, რომელიც სამეგრელოში 1757-1788 წლებში მთავრობდა [17, 52-54].

გ. ქიქოძის აზრით, „ერეკლე ბედნიერი არ იყო პირადად და ოჯახურ ცხოვრებაში. თავისი მეორე ცოლის ანა აბაშიძის სიკვდილის შემდეგ, მან შეირთო მესამე ცოლი — დადიანის ასული დარეჯანი, გონებაშეზღუდული და პატივმოყვარე ქალი, რომელიც სახელმწიფო საქმეებში არ ერეოდა სანამ ახალგაზრდა იყო, მაგრამ სასახლეში ინტრიგები გააბა სიბერეში, როცა მისი, აგრეთვე პატივმოყვარე და ურჩი ვაჟები წამოიზარდნენ“ [7, 76].

ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული გიორგი (მომავალი მეფე გიორგი XII დაიბადა 1746 წლის 10 ოქტომბერს, თბილისში.

1766 წლის 20 სექტემბერს, 20 წელს მიღწეულმა გიორგი ბატონიშვილმა იქორწინა ქეთევან პაპუას ასულ ანდრონიკაშვილზე (1753-1782). მისი მამა იყო ქიზიყის მოურავი პაპუა ანდრონიკაშვილი.

საგულისხმოა, რომ ქორწინების მომენტში გიორგი ბატონიშვილის მეუღლე სულ 13 წლისა იყო [4, 8-9].

ქეთევან ანდრონიკაშვილი იყო მხნე და გამრჯე ადამიანი, ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის უსაყვარლესი რძალი.

1778 წელს, 300 ქართველი ცხენოსნის თანხლებით ქართლში მიმავალ ქეთევან ანდრონიკაშვილს, მოულოდნელად, გზაში შეეჩეხა დალესტენელ მოთარეშეთა 500-კაციანი რაზმი. მეფის რძალმა თავად უსარდლა ქართველ ცხენოსნებს და მარბიელ მთიელთა თითქმის ორჯერ მრავალრიცხოვან რაზმს მუსრი გაავლო.

მტერზე გამარჯვების შემდეგ თბილისში დაბრუნებულ რძალს მისმა გვირგვინოსანმა მამამთილმა — მეფე ერეკლე II-მ სადღესასწაულო დახვედრა გაუმართა. დედაქალაქის გახარებული მოსახლეობა, ქეთევანს, როგორც ტრიუმფატორს — ზარბაზნების სროლითა და აგიზგიზებული ჩირაღდნებით შეეგება [2, 203].

მეფე ერეკლე II-ის რძალი და ტახტის მემკვიდრის მეუღლე — ქეთევან ანდრონიკაშვილი გარდაიცვალა 29 წლის ასაკში, მე-თორმეტე შვილის — თეიმურაზ ბატონიშვილის გაჩენისას.

პლატონ იოსელიანი თავის თხზულებაში „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“ მოგვითხრობს: „3 ივნისსა 1782 წელსა მშობიარობისა გამო თეიმურაზზედ, მეფის რძალი ქეთევან გარდაიცვალა და დასაფლავდა დავით გარესჯისა მონასტერსა იოანე მახარებელისა დიდსა ეკლესიაში წინაშე აღსავლისა კარისა, მუნ სადაცა მარხია ალექსანდრე, მეფე კახეთისა“ [4, 10].

1782 წელს უფლისწული გიორგი მეორედ დაოჯახდა. ამჯერად მისი მეუღლე გახდა 14 წლის მარიამ გიორგის ასული ციციშვილი (1768-1850), რომელმაც მეფეს 11 შვილი გაუჩინა.

აღსანიშნავია, რომ დაქვრივებული გიორგი ბატონიშვილის ნაჩქარევი დაქორწინება იმდროინდელმა ქართული საზოგადოების ნაწილმა მკაცრად დაგმო.

ამის შესახებ პ. იოსელიანი გვაუწყებს: „დიდად ზრახვიდნენ მეფისა ძესა ესრეთისა დაშურებისა და აჩქარებისათვის. ყოველგნით ჰგმობდნენ უგრძნობელობისათვის, რომელ დაჰკარგა ცოლი პირველი, მხნე და გონიერი, და დამტევებელი ძეთა და ასულთა, და არა იგლოვდა საკმაოდ. სხვანი ამართლებდნენ და იტყოდნენ: „მეფემანცა თეიმურაზმან, პაპამან მისმან ჰქმნა ესრეთო, ოდესცა შეირთო შემდეგ თამარისა ცოლად ანა-ხანუმ დედოფალი“ [4, 12-13].

ქორწილიდან მესამე დღეს რძალი ინახულეს მამამთილ-დედამთილმა და საჩუქრები გადასცეს. როგორც მემადიანე წერს: „დღესა მესამესა შემდგომად შერთვისა მეფის ძისაგან მარიამ გიორგი ციციშვილის ქალისა, წარვიდა მეფე ირაკლი და ნახა რძალი თვისი, სავეს მშვენიერებითა, ჯერეთ ყმანვილი 14 წლისა.

მეფემან მიაართვა პირის სანახავად ხატი ღვთისმშობლისა, ამბარჯა ძვირფასი, თვალებითა, მარგარიტითა და იაგუნდებითა მორთული, რომელიცა ფასობდა იტყვიან ას თუმნათა, ქარხანა ზეთის სახდელი მტკვრის ხიდის გაღმა, მეტეხისა ძირში ავლაბრისა გზისა მარჯვნით. მასვე დღესა, მეფისავე მუნ ყოფნასა მიბრძანდა დედინაცვალი და დედოფალი დარეჯან, და ამანცა პირის სანახავად უბოძა რძალსა თვისსა ძენკვი ოქროსი და გულსაკიდი ამბარჯა, საკაბე მძიმისა ფარჩისა, შალი ინდოეთისა, კრიანოსული 70 მარგარიტისა ასხმული და 30 იაგუნდისა თვალი“ [4, 79-80].

საქართველოში დისლოცირებული რუსული ჯარის სარდლის, გენერალ ივანე პეტრეს ძე ლაზარევის (1765-1803) მკვლელობაში (1803 წლის 19 აპრილი) ბრალდებული და მოსკოვში გადასახლებული მარიამ დედოფალი გარდაიცვალა 1850 წლის 30 მარტს, 82 წლის ასაკში.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი დედოფლის — მარიამის ცხე-დარი ჩამოასვენეს საქართველოში და 1850 წლის 17 ივნისს დაკრძალეს მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში [2, 91], თავისი გვირგვინოსანი მეუღლის, მეფე გიორგი XII-ის გვერდით.

მეფეს პირველ ცოლთან — ქეთევან პაპუნას ასულ ანდრონიკაშვილთან (1754-1782) შეეძინა 12 შვილი. მათ შორის იყვნენ: დავითი (1767-1819), იოანე (1768-1830), ბარბარე (1769-1801), სოფიო (1770-1840), ლუარსაბი (1771-?), ნინო (1772-1847), ბაგრატი (1776-1841), რიფსიმე (1779-1847), სოლომონი (1780-?), გაიანე (1780-1820) და თეიმურაზი (1782-1846). ჩამოთვლილის გარდა, მათ შეეძინათ კიდევ ერთი შვილი — სალომე, რომელიც ბავშვობაში გარდაიცვალა.

მეფეს მეორე ცოლთან — მარიამ გიორგის ასულ ციციშვილთან (1768-1850) შეეძინა 11 შვილი. მათ შორის იყვნენ: მიხეილი (1783-1862), ჯიბრაილი (1788-1812), თამარი (1789-1851), ანა (1789-1796), ილია (1790-1854), ოქროპირი (1795-1857), სიმონი (1796-?), ერეკლე (1797-1859), ანა (1800-1850). ჩამოთვლილის გარდა, მათ სხვადასხვა დროს შეეძინათ კიდევ 2 შვილი — იოსები და სპირიდონი, რომლებიც ბავშვობაში გარდაიცვალნენ.

აღნიშნული ორივე ქორწინების შედეგად დაიბადა 23 ბატონიშვილი, მათგან 14 ვაჟი და 9 ასული [1, ნუსხა 6].

1767 წლის 1 ივლისს დაიბადა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის მემკვიდრე უფლისწული დავითი (1767-1819) [6, 122].

მართალია, დავითი მეფე ვერ გახდა, მაგრამ თავისი გვირგვინოსანი მამის გარდაცვალების (1800 წლის 28 დეკემბერი) შემდეგ, ექვსი თვის განმავლობაში, კერძოდ, 1801 წლის ივნისამდე — ქართლ-კახეთის სამეფოს გამგებელი იყო.

ამრიგად, ერეკლე II-ისა და ანა დედოფლის (აბაშიძის) ერთადერთმა ვაჟმა — ქართლ-კახეთის მეფემ გიორგი XII-მ ორჯერ იქორწინა. მას ცოლად ჰყავდა ქართული წარჩინებული საგვარეულოების შთამომავალი, კერძოდ, კახეთის და ქართლის სათავადო სახლების წარმომადგენლები — ქეთევან ანდრონიკაშვილი და მარიამ ციციშვილი. ამ ქორწინებებიდან მეფეს შეეძინა 23 შვილი, მათგან 14 უფლისწული ანუ ვაჟი.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, ავტორთა კოლექტივის სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბილისი, 2003.
2. ბერძნიშვილი მაქსიმე, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბილისი, 1983.
3. დადიანი ნიკო, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შოთა ბურჯანაძემ, თბილისი, 1962.
4. იოსელიანი პლატონ, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკაკი განერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, ტფილისი, 1936.
5. ორბელიანი პაპუნა, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1981.
6. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1980.
7. ქიქოძე გერონტი, ერეკლე II, თბილისი, 1983.
8. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიის ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, წიგნი III, გამოსაცემად მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბილისი, 1967.

9. ჯავახიშვილი დავით, ქართველ მეფეთა მეუღლეები (ბაგრატიონთა დინასტიის კახეთის შტო), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2008, №4.
10. ჯავახიშვილი დავით, ექვსი ეტიუდი ბაგრატიონთა კახეთის შტოს წარმომადგენელთა ქორწინებების ისტორიიდან (XVII-XVIII საუკუნეები), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2011, №10.
11. ჯავახიშვილი დავით, ერეკლე II-ის მეუღლეები, კრებულში: ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. XIII—XIV, თბილისი, 2011/2012.
12. ჯავახიშვილი დავით, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარების ისტორიიდან, ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, 2011.
13. Джавахишвили Д., Из истории династических браков кахетинских Багратионов с представителями мусульманской знати (XVI-XVIII вв.). Сборник трудов Гянджинского государственного университета „Ученые записки“ , № 2, Гянджа, 2010.
14. Джавахишвили Д., Семья царя Ираклия II. Сборник трудов Гянджинского государственного университета „Ученые записки“ , № 1, Гянджа, 2013.
15. Джавахишвили Д., Династические браки между кахетинскими Багратионами и представителями кавказской и персидской знати. Общественно-политический и культурно-исторический научный журнал „Ахульго“ , № 12, Махачкала, 2010.
16. Джавахишвили Д., Династические браки на службе дипломатии (на примере кахетинской ветви царской династии Багратионов). Материалы международной научной конференции: «Археология, этнология, фольклористика Кавказа» (Тбилиси, 27-30 сентября 2010 года). Организаторы конференции: «Фонд Кавказа», «Комиссия по научному сотрудничеству со странами Кавказа» Национальной Академии Наук Грузии, Центр археологии Национального Музея Грузии, Тбилиси, 2011.
17. Думин С., Гребельский П., Дворянские роды Российской империи, т. IV, Князя Царства Грузинского, под редакцией С. Думина и Ю.Чиковани, Москва, 1998.

**Davit Javakhishvili**

*Doctor of History, Jakob Gogebashvili  
Telavi State University*

## **King George the XII's Parents and Family**

### **Summary**

The work consecutively narrates about King George (Giorgi) the XII's (1746-1800) parents – King Erekle II (1720-1798) and Queen Ana Abashidze (1730-1749), and family (wives and children).

Crown Prince Georges (the future King George XII) first wife was prince Papua Andronikashvili's daughter – Ketevan (1754-1782), the second – prince Giorgi Tsitsishvili's daughter – Mariam (1768-1850).

He first married at the age of 20, when he was still a royal heir to the throne. With his first wife, he had a 12 children: David (1767-1819), Ioane (1768-1830), Barbare (1769-1801), Sofio (177-1840), Luarsab (1771-?), Nino (1772-1847), Bagrat (1776-1841), Ripsime (1779-1847), Solomon (1780-?), Gaiane (1780-1820) and Teimuraz (1782-1846). Apart from these, she gave birth to 1 more children – Salome, who died in early childhood. Ketevan Andronikashvili died in 1782, when she was just 28 years old.

That same year, Crown Prince Giorgi married a second time. His second wife gave birth to 11 children: Mikheil (1783-1862), Jibrail (1788-1812), Tamar (1789-1851), Ana (1789-1796), Ilia (1790-1854), Oqropir (1795-1857), Simon (1796-?), Erekle (1797-1859), Ana (1800-1850). Apart from these, she gave birth to 2 children who died in early childhood – Josef and Spiridon. Queen Mariam died in 1850, when she was just 82 years old.

His all two marriages resulted in birth to 23 children, including 14 sons and 9 daughters.

Thus, King George XII married two times, with the females – representatives of the Georgian noble families – Andronikashvili and Tsitsishvili.

## თეიმურაზ ახალმოსულიშვილი

*ისტორიის დოქტორი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი*

### კახეთის 1812 წლის სახალხო აჯანყების პირველი ეტაპის ასახვა თანადროულ საისტორიო წყაროებში

1812 წლის 31 იანვარს კახეთში იფეთქა სახალხო აჯანყებამ რუსული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც მალე გავრცელდა ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშიც და წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. პირველ ეტაპზე მას ხელმძღვანელობდა გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი (1789-1830), ხოლო რუსთა მიერ მისი დატუსაღების შემდგომ პერიოდში — ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონი (1770-1844).

ამ აჯანყებიდან 200 წლისთავი შესრულდა. ორი საუკუნე საკმაოდროა იმისათვის, რათა ეს მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა საფუძვლიანად იქნას გაანალიზებული.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ ის თანადროული საისტორიო წყაროები, რომლებშიც აისახა ამ აჯანყების პირველი ეტაპი, გაგრძელებული 1812 წლის იანვრიდან მარტამდე და განვსაზღვროთ, თუ რა იყო მისი მთავარი მიზანი.

ამ ისტორიული მოვლენის გამოსაკვლევად ფრიად საყურადღებო პირველწყაროებია აჯანყებულთა მოხსენებები, რომლებიც გამოსაცემად მოამზადა პროფ. შოთა ხანთაძემ [7], ასევე საქართველოს მმართველად დანიშნული მარკიზ პაულუჩის მიერ პეტერბურგში გაგზავნილი საიდუმლო პატაკები, რომლებიც გამოქვეყნდა „აქტების“ V ტომში [11].

აჯანყებაში დაწყებისთანავე ჩაება 23 წლის გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი, რომელიც იყო საქართველოში შემორჩენილი ერთადერთი წევრი ქართლ-კახეთის სამეფო სახლისა, შვილთაშვილი ერეკლე II-ისა და შვილიშვილი გიორგი XII-ისა [1, ნუსხა 6].

გრიგოლის მცდელობით, 9 თებერვალს ამბოხებამ ქართლის მთიანეთშიც იფეთქა. მთიულეებმა და ფშავ-ხევსურებმა დუშეთი და ფასანაური აიღეს. მათ თანადგომისაკენ მოუწოდეს სხვა ქართველ მთიელებს და თავაურელ ოსებსაც. აჯანყებულებმა ავჭალამდე მი-



აღნიეს და სამხედრო გზაც ჩაკეტეს. მათ თანადგომა გამოუცხადეს მეზობელმა სახანოებმა, ასევე, ბორჩალოელებმა და ყაზახელებმა. ამბოხებულთა თხოვნით, ახალციხის ფაშა შერიფი თავს დაესხა ახალქალაქის ციხის რუსულ გარნიზონს. თებერვლის შუახანებში გრიგოლი, თავის მომხრეებთან ერთად, ქართლიდან კახეთში გადავიდა. მას სიხარულით შეეგებნენ აჯანყებულები, რომლებსაც „მეფის მეტი არაფერი აკლდათ“ . იმ დროისათვის, უკვე განთავისუფლებული იყო კახეთი და ქართლის ჩრდილო-აღმოსავლეთი, სადაც დამპყრობელთა კანონები აღარ მოქმედებდა. რუსული გარნიზონები მხოლოდ თელავსა და ყარაღაჯში შემორჩა. აჯანყებულებმა მეფედ გამოაცხადეს გრიგოლი, რომელიც ამ ტერიტორიაზე 20 თებერვლიდან — 6 მარტამდე მეფობდა [10, 24-72].

მეფე გრიგოლმა თავის ლაშქარში მოუხმო მარტყოფის მოურავს ივანე ანდრონიკაშვილს, ჯიმითისა და მისი მახლობელი სოფლების, ასევე ქიზიყის მცხოვრებთ [11, 44].

22 თებერვლით დათარიღებულ პატაკში პაულუჩი შეშფოთებას არ მალავდა: „Побег к Арагвским бунтовщикам сына царевича Иоанна, в Москве пребывающего, кн. Григория, о котором ныне получен мною рапорт, что он старается склонить к мятежу Ксанских жителей и всю Карталинию, где некоторые деревни начинают обнаруживать склонность к измене, не оставляет ни малейшего сомнения в том, что здесь скрывался умышленный заговор, чрез который все владения В. И. В. от самого Кавказа должны бы быть поторянными вместе с войсками“ [11, 60].

ვინაიდან ამ ამბოხებამ თანდათანობით საერთოკავკასიური აჯანყების ხასიათი მიიღო, რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახდა, რომ გადამჭრელი ზომებისათვის მიემართა. 25 თებერვალს გენერალმა სტალმა პაულუჩის აცნობა, რომ მან დაატუსაღა გრიგოლის ერთგული სვიმონ მაჩაბელი და ქართლის ამბოხებაც ჩააცხრო [11, 77], თუმცა პაულუჩი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როდესაც თვით მეფე გრიგოლი დაატყვევა.

სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის ნიკოლოზ რუმიანცევისადმი გაგზავნილ პატაკში პაულუჩი შენიშნავდა: „Имею честь донести в. с., что успев, с помощью Божию, погасить пламя мятежа, возникшего в Грузии с чрезвычайным ожесточением, я взятыми мною мерами достиг также до того, что приобрел в свои руки царевича Григория, коего кахетинские мятежники признали было царем Грузии. Сей царевич весьма важен... по уважению, каковое народ здешнего

края имеет к его происхождению и по правам, кои хотя ложно, но с некоторым основанием приписывают ему грузины, утверждаясь на том, что настоящий наследник Грузии царевич Давид бездетен и что сей царевич, будучи сын первого по нём брата, грузинского царевича Иоанна, в Москве пребывающего, имеет права на наследство Грузии“ [11, 44-45].

1812 წლის 11 მარტის პატაკში პაულუჩი წერდა: „Царевич Григорий, сын царевича Иоанна, в Москве пребывающего, провозглашенный кахетинскими мятежниками царем Грузии и издавший от имени своего возмутительные прокламации, также коего имя в церквах бунтовщиками поминаемо было как царя Грузии и который, собрав мятежную толпу, дрался против войск В.И.В., но был мною разбит, бежал было в Дагестан, к анцухским лезгинам, но средствами, мною изысканными... находится теперь в моих руках... Итак, для спокойствия сего края, я не умедлю сего царевича за надлежащим присмотром препроводить в Россию через несколько дней“ [11, 63].

ამ დოკუმენტიდან ჩანს, რომ აჯანყებულთა მიერ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე მცხოვრებნი ეკლესიებში ქართლ-კახეთის მეფე გრიგოლის სახელზე ლოცულობდნენ.

აჯანყების შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული ძმების დავით, ბაგრატ და თეიმურაზ ბატონიშვილების თხზულებებში.

დავით ბატონიშვილი წერს: „იქმნა შფოთი შორის რუსთა და ქართველთა. ხოლო პირველად მისცეს მიზეზი შფოთისა რუსთა მით, რამეთუ დაკოდეს თიანეთს აბოხსა ამას თიანელნი რაოდენნიმე. იხილეს რა ესე თიანელთა, მოსწყვიტნეს ყოველნი რუსნი ვიდრე ას ორმეოცდაათამდე და მუნით შთავიდნენ მატანს. მაშინ არაგვისპირმანცა აღადგინა შფოთი პირისპირ რუსთა. შთაეხმარნენ ფშაველნი და მოსწყვიტნეს ყოველნივე მუნ მყოფნი რუსნი ფასანაურსა და ანანურსა... ჟამსა ამას მოვიდა ბულაჩაურზედ სხუა ახალი სამასი კაცი რუსთა მხედრობა. იქმნა მუნ ბრძოლა. იძლივნენ რუსნი ბულაჩაურელთაგან... სცნეს რა ესე ყოველივე კახთა, აღდგა შფოთი დიდი სრულიად კახეთს შინა, და იწყეს სვრა ყოველთა სოფელთა რუსთა, რომელიცა იდგა მათ შორის იასაულად, ეგ ზეკუცია წოდებულად. მივიდნენ და მოადგნენ თელავსა. მაშინ გარდაიყვანეს მეფის ძის იოვანეს შვილი გრიგოლ ქართლით კახთა. და მოკრბნენ ლეკნიცა ვიდრე ოთხი ათასამდე შველად კახთა“ [6, 41-42]. ამ ცნობიდან ნათელი ხდება, რომ აჯანყებულებს დაღესტნელებიც ესმარებოდნენ, რასაც თეიმურაზ ბატონიშვილიც ადასტურებს [2, 81].

ბაგრატი წერს: „მეფის გიორგის შვილიშვილი, იოანეს ძე გრიგოლ ჩაიყვანეს კახეთს. მოკრბნენ კახნი მის თანა, სრულებით მოჰსწყვიტნეს რუსთა მდიაბეგნი თელავს და ქიზიყს, სიღნაღს და იასაულნი მათნი და გამოყარეს მხედრობაჲ რუსთა კახეთით“ [6, 119].

1 მარტს, ჩუმლაყთან, აჯანყებულთა ლაშქარი ოკუპანტთა მრავალრიცხოვან ჯარს შეებრძოლა. მტრის მხარეს იბრძოდა ქართველ თავადთა ნაწილიც, რომელთგან დაიღუპა ვახტანგ ორბელიანი, ხოლო პაულუჩის ადიუტანტი ალექსანდრე ჭავჭავაძე — დაიჭრა.

ბატონიშვილი ბაგრატი მიუთითებდა: „მუნ იქმნა ბრძოლა ძლიერი, მოსწყვიტნეს მრავალნი რუსნი. მუნ მოკვდა თავადი ორბელიანი ვახტანგ დიმიტრის ძე, სიძე მეფისა ირაკლისა, რომელიცა იყო პოლკოვნიკი რუსთა, მყოფი რუსთა თანა, და დაიჭრა ჭავჭავაძე გარსევანის ძე ალექსანდრე, რომელიცა იყო მას ჟამსა შინა ნაიბ-ემიკალაბაში მარკიზისა“ [6, 119].

ალ. ჭავჭავაძე იგონებდა: „აჯანყების დროს, ტყვეით დამჭრეს ფეხში. ეს მოხდა 1812 წლის დასაწყისში... მძიმე ჭრილობამ, ცოტას განყდა, ჭლებად ჩამაგდო... ისე დავსუსტდი, რომ წლის ბოლომდე სამსახურის შესრულება ვერ შევიძელი... 13 და 14 წლების კამპანიის შემდეგ დავბრუნდი ისევ პეტერბურგში. ჩემი ჭრილობა ხელმეორედ გაიხსნა უკანასკნელი ბრძოლის შემდეგ და დიდხანს არ შეხორციებულა“ [5, 158].

ნიკოლოზ I-სადმი წარდგენილ ნარკვევში ალ. ჭავჭავაძე აღნიშნავდა, რომ 1812 წლის აჯანყების საწყის პერიოდში, რუსული ადმინისტრაცია ვერ აკონტროლებდა ქართლ-კახეთის მნიშვნელოვან ნაწილს. იგი წერდა: „კახეთში იფეთქა საშინელმა ამბოხებამ, რომელმაც უცბად იმსხვერპლა რამდენიმე ასეული ჯარისკაცი... მაიორმა უმაკოვმა თელავსა და მაიორმა, თავადმა ორბელიანოვმა სიღნაღის მაზრაში შეინარჩუნეს ორი პუნქტი და ზარალით იგერიებდნენ მუამბოხეთა იერიშებს. ორივე მაზრის ყველა დანარჩენი ნაწილი კი გამამაგებელი ხალხის სრულ განკარგულებაში იყო“ [9, 344-345].

ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანის ცნობით, ქართველ თავადთა ნაწილი პაულუჩიმ დაშინებით მიიმხრო. იგი მოგვითხრობს: „ტფილისში პირველი თავადიშვილები თავის სახლებში დაეჭირათ, ანუ დაემწყვდიათ, რომლებიცა იმ ლამესვე მთავარმართველმა მარკიზ პაულუჩმა თავისთან მიაყვანინა სულერთიან ისინი, ხან მუქარით და ხან ალერსით იმათ ბევრი ელაპარაკა და ბოლოს ყველანი შეიფიცა ხელმწიფის ერთგულობაზე. ამასთან ყველას პირობა გამოართო, რომ იმ

ლამესვე რუსის ჯარსა გაჰყვნენ კახეთისკენ და ერთგულად ემსახურნენ ხელმწიფეს, თორემ თქვენს ცოლ-შვილებს ცუდი საქმე მოუვათო... იმ ლამეს მამაჩემიც წაიყვანეს მთავარმართებელთან... მოვიდა შენუხებული ამ სიტყვებითა: „...მეფის ერეკლეს და მამულის ღალატი არ მყოფო, რომ ახლა კიდევ უნდა ვუღალატო როგორც ბაგრატიონებს, ისე ჩემს მამულსა? უნდა წავიდე და ქართველმა კაცმა ქართველს კაცსა თოფი ვესროლო, ჩემის ხელმწიფების ბაგრატიონების შემწეთ და მამულის გამომხსნელებს, რომელთაცა კიდევ უნდათ თავისი მეფობა აღადგინონ. და თუ ჩვენ იმათ თოფსა არ ვესვრით, ცოლ-შვილებით უნდა დაგვკლუბონ...“

ამის შემდგომ... ჩუმლაყში რომ ომი მოხდა კახელებთან, იქ შეეკლა თავი მამაჩემსა ერთის მეომრის ქართველისათვის“ [8, 164-167].

პაულუჩის იმდენად სურდა აჯანყებულებთან დაზავება, რომ მათ სამეფოს აღდგენაში დახმარებასაც კი დაჰპირდა. ბატონიშვილ დავითის ცნობით: „გარნა იხილა რა მარკიზმან, ვინადგან ვერ ძალუძს პირისპირობაი კახთა, ევედრა ზავსა და აუთქვა კახთა, რომელ მოგვგრიო მეფის ძეთა თქუენთა რუსეთით... მხიარულ იქმნენ კახნი და ჰყვეს ზავი“ [6, 44].

აჯანყებულებს ბრძოლის გაგრძელება გაუჭირდათ, ვინაიდან ხევის მოურავ გაბრიელ ყაზბეგის (ჩოფიკაშვილი) ხელშეწყობით, ჩრდილო კავკასიაში მდგარი რუსთა ჯარი დარიალიდან დაუბრკოლებლად გადმოვიდა საქართველოში. ამის მიუხედავად, გრიგოლი ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებდა, რამაც მისი დევნა დააჩქარა [4, 197].

ჩუმლაყთან ბრძოლის შემდეგ, გრიგოლი ანწუხის თემში გადაიხვეწა. პაულუჩის დავალებით, მისმა ნათესავმა და მამის სახლთუხუცესმა ზაზა ანდრონიკაშვილმა გრიგოლი საქართველოში ჩამოიტყუა და მტერს ჩააბარა. ამის თაობაზე ბატონიშვილ ბაგრატის თხზულებაში ვკითხულობთ: „მარკიზმან დაიპყრა სრულიად კახეთი, მონო რომელიმე სოფლები... გრიგოლს ანწუხსა შინა მყოფსა წარუვლინა ზაზა ენდრონიკაშვილი“ [6, 120], ხოლო ბატონიშვილ თეიმურაზის ცნობით: „გრიგოლ მოცთუნა ზაზამ ანდრონიკაშვილმან“ [2, 83].

ოკუპანტთა მიერ შეპყრობილი გრიგოლი 17 მარტს რუსეთში გაგზავნეს [4, 197].

ბატონიშვილი ბაგრატი მოგვითხრობს, რომ გრიგოლის შეპყრობის გამო, „მხიარულ იქმნა მარკიზი და წარმოემართა ტფილისს. მოსულმან ტფილისს, წარავლინა გრიგოლ რუსეთად. მისრული პეტერბურხს წარავლინა იმპერატორმა ბუნტისა გამო მი-

სისა პატიმრად პეტრეზაოდის ციხესა შინა, რომელიცა შორავს პეტრეზურხით ოთხასითა ვერსითა“ [6, 120].

ასე დასრულდა 1812 წლის სახალხო აჯანყების პირველი ეტაპი.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ერთ, უაღრესად საგულისხმო ფაქტზე, რომლის აღნიშვნის შესაძლებლობასაც, მართალია, აქამდეც იძლეოდა ამ სტატიის განხილული საისტორიო წყაროების ობიექტური ანალიზი, მაგრამ, გარკვეულ მიზეზთა გამო, უკანასკნელ პერიოდამდე, ეს არ მომხდარა.

რუსეთის იმპერიისა და სსრ კავშირის არსებობის პერიოდში, გამომდინარე იმხანად არსებული პოლიტიკური კონიუნქტურიდან, მკვლევარები ერიდებოდნენ იმის ხაზგასმას, რომ ზემოხსენებული აჯანყების უმთავრესი მიზანი იყო არა სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ბაგრატიონთა დინასტიის ხელმძღვანელობით. ეს ვითარება მხოლოდ XXI საუკუნეში შეიცვალა.

ისტორიის დოქტორი აკაკი გელაშვილი 2004 წელს გამოცემულ თავის მონოგრაფიაში „კახეთის 1812 წლის აჯანყება“ სრულიად ობიექტურად შენიშნავს: „გასაკვირი არ იქნებოდა, დაუსრულებელი ბრძოლით ქანც და მოთმინებადაკარგულ მარკიზს, რომელსაც ამისათვის პეტრეზურგში მადლობას არავინ ეტყოდა, გულუბრყვილო ქართველობისათვის მართლაც შეეთავაზებინათ მათთვის სანუკვარი პირობა, მაგრამ იმ მიზეზით, რომ ამის გახმაურებით აჯანყების თანამედროვე ავტორები და მათი მემკვიდრე იმპერიის იდეოლოგები აღიარებდნენ 1812 წლის კახეთის აჯანყების რეალურ მიზეზსა და ხასიათს, ამ ფაქტს ისინი საუკუნენახევრის განმავლობაში ასე საგულდაგულო მონდომებით მალავდნენ. არ არის გამორიცხული, რომ მარკიზის ამ განცხადებას მიეღწია იმპერატორის ყურამდეც და სწორედ იგი გამხდარიყო მისი საქართველოდან განწევის ერთ-ერთი მიზეზიც. პაულუჩის შესანიშნავად სცოდნია, რომ „მეფე“ კახელებში სულ სხვაგვარი ფლერადობით ფლერდა. ბრძოლაში ქართველთა წარმატების ერთ-ერთი მიზეზიც ხომ მასში გრიგოლ იოანეს ძის უშუალო გამოჩენა და მონაწილეობა იყო“ [4, 195-196].

ზემოხსენებულ პერიოდში, მკვლევარები, თუმცა გვერდს ვერ უვლიდნენ იმ უტყუარ ფაქტს, რომ აჯანყებულებმა გრიგოლი მეფედ გამოაცხადეს, მაგრამ სიტყვა „მეფეს“ ისინი ბრჭყალებში სვამდნენ და ვერ ბედავდნენ დაეყენებინათ საკითხი მისი მონარქად ცნობის შესა-

ხებ. ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოკუპანტთა წინააღმდეგ იარაღით ხელში მებრძოლი გრიგოლის მეფედ აღიარება სრულიად მიუღებელი იყო იმდროინდელი ოფიციალური ისტორიოგრაფიისათვის, რომელიც ქადაგებდა, თითქოსდა: „საქართველო ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს“.

პროფესორმა ნიკო ჯავახიშვილმა 2008 წელს გამოსცა მონოგრაფია: „გრიგოლ I — უკანასკნელი ქართველი მეფე“, რომელშიც მან, სათანადო წყაროებისა და ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა, დააყენა საკითხი ქართლ-კახეთის ბოლო მეფედ გრიგოლ ბაგრატიონის ცნობის შესახებ. მისი მართებული მოსაზრებით: „სახელოვან წინაპართა ღირსეული შთამომავალი — მეფე გრიგოლი ჩვენგან ჯერაც არ არის სათანადოდ დაფასებული, არადა სამშობლოს აღდგენა-გამოხსნისათვის თავდადებით მებრძოლი ბაგრატიონი მონარქი ამას უდავოდ იმსახურებს... ვფიქრობთ, სრულიად გამართლებული იქნება, რომ ეს ქართველი მონარქი ამიერიდან გრიგოლ I-ის სახელით მოვიხსენიოთ. მან ბაგრატიონი ხელმწიფეთა ნუსხაში თავისი კუთვნილი ადგილი უნდა დაიკავოს“ [10, 91].

ან განსვენებული ცნობილი ისტორიკოსი, პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი (1926-2009) ნ. ჯავახიშვილის ზემოხსენებულ მონოგრაფიაზე დანერჩილ თავის რეცენზიაში აღნიშნავდა: „მართალია, სსრ კავშირის არსებობის პერიოდში ქართველი ისტორიკოსები (ნიკო ბერძენიშვილი, თამარ ლომოური, აბელ კიკვიძე, მაქსიმე ბერძენიშვილი, დერმიშა გოგოლაძე და სხვები, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც) თავიანთ ნაშრომებში მიუთითებდნენ გრიგოლ იოანეს ძის გამეფების ფაქტს, მაგრამ შექმნილ პირობებში ამაზე მეტის დანერა სრულიად შეუძლებელი იყო. საბჭოთა ცენზურა გრიგოლთან დაკავშირებით თვით სიტყვა „ქართველ მეფესაც“ კი ბრჭყალებში გვისვამდა!

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, აღნიშნული ბარიერი მოიხსნა. ამჟამად, საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და ამიტომ, სავსებით მართებული და დროულია პროფესორ ნ. ჯავახიშვილის მონოდება, რომ გრიგოლ იოანეს ძე ამიერიდან ქართლ-კახეთის მეფე **გრიგოლ I-ის** სახელით მოვიხსენიოთ... ის უნდა შევიდეს ქართველ ხელმწიფეთა გენეალოგიურ და ქრონოლოგიურ ნუსხაში“ [3, 383].

ამრიგად, კახეთის 1812 წლის სახალხო აჯანყების პირველი ეტაპი თანადროულ საისტორიო წყაროებში ძირითადად ასე აისახა. ამ წყაროთა ობიექტური გაანალიზების შესაძლებლობა ქართველ მკვლევარებს მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ

მიეცათ. ქართველ ისტორიკოსთა უახლესი გამოკვლევებით მტკიცდება, რომ ამ ამბოხების ქეშმარიტ მიზანს წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენა და მის სათავეში ბაგრატიონთა დინასტიის წარმომადგენლის — მეფე გრიგოლ I-ის ჩაყენება, რაც აჯანყებულებმა გარკვეული დროის განმავლობაში კიდევაც მოახერხეს.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ბაგრატიონები, სამეცნიერო და კულტურული მემკვიდრეობა, სამეცნიერო სტატიების კრებული გენეალოგიური ნუსხებითურთ, თბილისი, 2003.
2. ბაგრატიონი თეიმურაზ, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა, თბილისი, 1983.
3. ბენდიანიშვილი ალექსანდრე, საყურადღებო ნაშრომი ბოლო ბაგრატიონი ხელმწიფის შესახებ (რეცენზია), კრებულში ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 2008, №3.
4. გელაშვილი აკაკი, კახეთის 1812 წლის აჯანყება, თბილისი, 2003.
5. გრიშაშვილი იოსებ, ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა, ყურნალი „ლიტერატურული პალიტრა“, 12, თბილისი, 2011.
6. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა; თ. ლომოურის გამოცემა, თბილისი, 1941.
7. დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, დოკუმენტები გამოსაცემად მოამზადა შ. ხანთაძემ, თბილისი, 1999.
8. ორბელიანი ალექსანდრე, მოგონება, ქართული მწერლობა ოცდაათ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1992.
9. ჭავჭავაძე ალექსანდრე, მიმართვა ნიკოლოზ პირველისადმი, საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801-დან 1831 წლამდე, წიგნში: ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, შემდგენელი ვ. შადური, თბილისი, 1962.
10. ჯავახიშვილი ნიკო, გრიგოლ I — უკანასკნელი ქართველი მეფე, თბილისი, 2008.
11. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией. Архив Главного управления наместника Кавказского (под редакцией А. Берже), т. V, Тифлис, 1873.

**Teimuraz Akhalmosulihvili**

*Asistant-Professor of Jakob Gogebashvili Telavi State University*

**The Reflections of the First Stage of the 1812 Kakheti  
Popular Uprising in the Contemporary Historical Sources**

**Summary**

Popular uprising against the Russian Empire started in eastern Georgia on January 31 of 1812, and lasted for more than a year. At the initial stage the revolt was led by prince Gregory (Grigol), son of Ioanne Bagrationi (1789-1830), grandson of king Giorgi XII. The rebels proclaimed him king and offered up prayers in his name in churches. The occupants took him prisoner on March 6, and deported him to Russia.

The present article reviews briefly the principal contemporary historical sources reflecting the first stage of the aforesaid rebellion, lasting from 31 January till early March 1812.



## დოდო ჭუმბურიძე

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბი-  
ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი  
მეცნიერ-თანამშრომელი*

### **შიდა ქართლის სოციალურ-ეკონომიკური პირობები XIX საუკუნის I ნახევარში**

1801 წლიდან, რუსეთის მიერ საქართველოს მიერთებისა და ქვეყნის ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შემდეგ, დიდი ლიახვის ხეობა მთლიანად გორის მაზრაში შედიოდა. ამ მაზრის ნაწილს, ჯავიდან დაწყებული როკა-ერმანის გადასასვლელამდე, ოსების უბანი (Осетинский участок) ეწოდებოდა, მაგრამ ოსები ფაქტურა და პატარა ლიახვის ხეობებსა და საქართველოს სხვა მიდამოებშიც სახლობდნენ.

სამხრეთ ოსეთი ცენტრალურ საქართველოში (შიდა ქართლი) ბუნებრივია, ხელოვნური წარმონაქმნია. ოსების ჩამოსახლება აქ დაიწყო მონღოლებისა და თემურ-ლენგის შემოსევების დროიდან (XIII-XIV სს.), მაგრამ გააქტიურდა გვიანფეოდალურ პერიოდში, ატარებდა სტიქიურ ხასიათს, თუმცა ქართული სახელმწიფო ამას იტანდა, რამდენადაც ისტორიულად იყო მრავალეთნიკური და ტოლერანტულიც: საკუთარი სახელმწიფოებრიობის სამსახურში აყენებდა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა არაქართველს. ასე იყვნენ ოსებიც. მათი დიდი ნაწილი — გლეხები, ქართველ თავადებთან შემოხიზნულები იყვნენ, არაფერი გააჩნდათ და ცხოვრობდნენ მემამულის მიწაზე, ემსახურებოდნენ მას და არსებობდნენ ბატონისგან ბოძებული შემოსავლით. ისინი მთელ საქართველოში (უფრო მეტად, აღმოსავლეთში) ცხოვრობდნენ, მათ შორის შიდა ქართლის ის ტერიტორია, რომელსაც შემდეგში რუსებმა „სამხრეთ ოსეთი“ უწოდეს, დიდად არ გამოირჩეოდა ოსებით დასახლებული სხვა რაიონებისგან. საქართველო ისტორიულად იყოფოდა პროვინციებად, რომელთა შორის იყო შიდა ქართლიც. რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ, მიგრირებული ოსებით დასახლებულ ტერიტორიას „ოსეთი“, შემდეგ კი „სამხრეთ ოსეთი“ უწოდა. ეს მაშინ, როდესაც არც XIX-XX სს-ის დასაწყისში (მხო-

ლოდ საბჭოთა პერიოდში იყო) არ ყოფილა ჩრდილოეთ ოსეთი, მაშასადამე, არც სამხრეთ-ოსეთის შექმნა ყოფილა საჭირო. ოსურ სეპარატიზმს, რომელიც რუსული კოლონიური პოლიტიკის შედეგია, ჭირდებოდა ამგვარი დეფინიცია და, როდესაც მოისურვებდა, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ მისი ამოქმედება, სამხრეთის მიერთება ჩრდილოეთთან, ანუ რუსეთთან, სინამდვილეში კი ძირძველი (ცენტრალური საქართველოს) ოკუპაცია-ანექსია. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი (ამჟამად სეპარატისტების მიერ მიტაცებული და „დამოუკიდებელ სახელმწიფოდ“ გამოცხადებული) ტერიტორია შედგება აღმოსაღეთ და დასავლეთ საქართველოს (ზემო იმერეთის) ტერიტორიისაგან (3,8 ათასი კვ. მ. ანუ საქართველოს ტერიტორიის 5,4 %). ესაა მდინარეების — ქსნის, ლეხურას, მეჯუდას, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონის, ყვირილის, ღარულის და ჯეჯო-რის აუზები.

ისტორიულად საქართველოს ადნისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა რვა ერთეულს მოიცავდა: 1. ქართლი; 2. კახეთი; 3. მესხეთი (სამცხე-საათაბაგო); 4. იმერეთი; 5. ოდიში (სამეგრელო); 6. გურია; 7. სვანეთი; 8. აფხაზეთი. ოსეთი აუცილებლად იქნებოდა, ეს რომ უძველესი — ეთნიკური ოსებით დასახლებული კუთხე ყოფილიყო. სათავადოების რუქებზე ჩანს, რომ ის, რასაც დღეს „სამხრეთ ოსეთს“ უწოდებენ, არის ქართლი და იმერეთი. ესაა 1801 წლამდე შედგენილი რუქები [1, 12].

რაც შეეხება საქართველოს ამ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, ის მთლიანად გადაჯაჭვულია როგორც აქ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებთან, ასევე მთელ საქართველოში არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასთან.

როგორც ცნობილია, ერეკლე მეორემ ქსნის ერისთავებს მამულები ჩამოართვა და საუფლისწულო მამულებად აქცია. რუსულმა მმართველობამ ერისთავებს ეს მამულები დაუბრუნა და ოსები მათ ყმებად გამოაცხადა. ოსურ მოსახლეობას ბატონიშვილებთან უფრო კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, ვიდრე ქსნის ერისთავებთან. ამიტომ მათ გააძლიერეს ბრძოლა ახალი მეზობლების წინააღმდეგ, ამასთანავე, რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ქართველ ბატონიშვილებსაც მხარი აუბეს. ამის შესახებ გენერალი ლაზარევი აღნიშნავდა: „საქართველოს ქვეშევრდომი ოსები, ნაქეზებულნი ბატონიშვილ იულონის მიერ, რომ ის დახმარებას გაუწევს, დიდად შმაგობენ და თავისი ბატონი მაჩაბელიც კი მოკლეს“ [2, 58].

ამის გამო, 1802 წლის თებერვალში, დიდი და პატარა ლიახვისა და ფცას ხეობაში შევიდა პოდპოლკოვნიკ სიმონოვიჩის ექსპედიცია, რომელმაც ოსები დაიმორჩილა.

1802 წლის ზაფხულში იულონმა და ფარნაოზმა იმერეთის ჯარისა და ლეკების დახმარებით სცადეს ოსურ სოფლებში შესვლა, მაგრამ რუსული არმიის სარდლობამ მათ ეს გეგმა ჩაუშალა. რაც შეეხება ბატონიშვილ ლევანს, ის დიდხანს აფარებდა თავს ამ რეგიონს, ოსებით დასახლებულ ქართლის სოფლებს, კერძოდ, სოფელ ნარს, და იქიდან ცდილობდა რუსების წინააღმდეგ აჯანყების გაჩაღებას [3, 6].

ოსებმა მონაწილეობა მიიღეს 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში. ეს საკითხი საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგადაა შესწავლილი (თუმცა არასწორი აქცენტებით) [4].

ცნობილია, რომ სანამ მთიულეები დაიწყებდნენ აჯანყებას, მანამ თავაურელი ოსები გამოვიდნენ რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ. რუსებმა მათ საქართველოს სამხედრო გზასა და კავკასიის ხაზზე სიარული აუკრძალეს. აგრეთვე დუშელ და მუხრანელ ოსებს აეკრძალათ თავაურელებისათვის საჭირო სურსათისა და საქონლის მიწოდება [5, 552-553].

ამ ღონისძებებმა თავაურელი ოსები ისე გაანაწყენეს, რომ დაიწყეს თავდასხმები რუსულ საგუშაგოებზე. იმდენად აუცილებელი იყო მთის ოსების ეკონომიკური ურთიერთობა ბარის საქართველოსთან, რომ ამის ხელოვნური განწყვეტა შეუძლებელი და ოსებისთვის სასიცოცხლო საფრთხის შემცველი იყო. ამიტომ მიიღეს მათ ასე მხურვალე მონაწილეობა 1804 წლის მთიულეთის აჯანყებაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ მისი მეთაურები ლევან ნაზლაიძე და დეკანოზი შიო ბურდული რუსეთის ხელისუფლებას ჟამურელ ოსებთან ემალებიან, რისთვისაც რუსებმა ჟამური გადაწვეს, მისი მცხოვრებლები იმდენად სასტიკად დასაჯეს, რომ კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებმაც კი ეს ფაქტი რუსული სისასტიკის მაგალითად შემოგვინახა [2, 335]. ბურდული ჟამურიდან ღუდას გადავიდა.

1807 წელს დიდი ლიახვის ხეობაში ეპიდემია გავრცელდა. ამის გამო გზებზე კარანტინები იყო. ამან მთის სოფლების ბართან კავშირის შეწყვეტა გამოიწვია. მოსახლეობა ხელისუფლების წინააღმდეგ განენწყო. გამოსვლა დაიწყო სოფელ ქემერტში, სადაც შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობა ცხოვრობდა [7, 687].

გენერალ-მაიორმა გუდოვიჩმა ნებართვა გასცა, რომ ლიახვის ხეობის ქართულ-ოსური მოსახლეობისათვის მარილი და სხვა აუცი-

ლებელი საქონელი, მათ შორის ქსოვილები, მახლობელ სოფლებში შეეტანათ. 1807 წელს მოხდა ოსი და ქართველი მოსახლეობის გამოსვლები ქსნისა და ლეხურის ხეობაში. მაიორი ზაიცოვი ლეხურის ხეობაში სასწრაფოდ გაიგზავნა ორასი ეგერით, ერთი ზარბაზნითა და 20 კაზაკით. ის სოფელ ქვემო ჭალაში ჩავიდა და შეძლო ადგილობრივ გლეხთა დაწყნარება [3, 10].

ოსები უტყვევდნენ მეზობლებს, სასტიკად უსწორდებოდნენ მათი ოჯახის წევრებს, აოხრებდნენ მათ მამულებს. 1807 წლის 22 დეკემბერს ხუთასმა ოსმა იერიში მიიტანა მეჯვრისხევეში მცხოვრებ მეზობლურ ერისთავზე, მაგრამ მთავრობის ჯარებმა სამ საათიანი ბრძოლის შემდეგ მოიგერიეს ეს იერიში. საბჭოთა ისტორიოგრაფია ამართლებდა გლეხთა ანტიფეოდალურ ბრძოლას, მათ შორის ოსთა მიერ ქართველი მეზობლების ოჯახების დაწვა-ანოკებას, ქართული სოფლების განადგურებას, ამტყუნებდა ქართველ ბატონიშვილებს ოსების მიმხრობისათვის რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლაში [3, 11].

ყველა ოსური საზოგადოება კავკასიონის ჩრდილოეთით, ნარმაშონის აუზის მოსახლეობა, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთის რაიონები, გზა-ბილიკების სისტემით იყო დაკავშირებული საქართველოს ბართან, მის სავაჭრო ეკონომიკურ ცენტრებთან.

ოსების საცხოვრებელი ტერიტორია თავისი მთავორიანობის გამო, სოფლის მეურნეობისათვის არახელსაყრელი იყო. საკუთარი მოსავალი მთიელებს არ ჰყოფნიდათ. ამის გამო ისინი მთლიანად ბარზე იყვნენ დამოკიდებულნი. აქ შედარებით უკეთესი პირობები იყო მესაქონლეობისათვის, მაგრამ სათიბ-საძოვრების სიმცირე არც მისი სრულად განვითარების შესაძლებლობას იძლეოდა. თუმცა, მეცხოველეობის პროდუქტები იყო მაინც ის მთავარი საქონელი, რასაც ბართან გასაცვლელი პროდუქტების ექვივალენტი ჰქონდა. მთიელი ოსების ბარზე დამოკიდებულების შესანიშნავი დოკუმენტური ასახვაა გუდამაყრელთა საჩივარი გუდოვიჩისადმი 1807 წელს, სადაც ეხეზიან რა იმ დაბრკოლებებს, რაც ბართან ურთიერთობაში შეექმნათ, აღნიშნავენ: „თუ ბარიდან არ შევიტანეთ რა, რით ვიცხოვროთ?..“ [5, 108].

მკვლევარ გიორგი თოგოშვილის აზრით, — „ბარზე ეს ეკონომიკური დამოკიდებულება მთიელთა, ამ შემთხვევაში ოსთა პოლიტიკური დამოკიდებულების საფუძველიც იყო“ [3, 15].

ჩემი აზრით, მეცნიერის ეს თვალსაზრისი სრულად ვერ გამოხატავს საქართველოს მთაში მცხოვრებ ოსთა პოლიტიკური დამოკიდებულების საკითხს. ზოგადად, საქართველოს მთის რეგიონები — რაჭა-ლეჩხუმი, ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი, ხევი, სვანეთი ბარზე იყო ეკონომიკურად დამოკიდებული, ასეც რომ არ ყოფილიყო, ეს რეგიონები ოდითგანვე საქართველოს პოლიტიკურ შემადგენლობაში შედიოდნენ, ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ კი, XIX—XX საუკუნეების დასაწყისში — თბილისის გუბერნიაში. ასეთივე მდგომარეობაში იყო ქართლის მთის ოსური მოსახლეობა. მარტო ეკონომიკური ფაქტორით საქართველოს ბარზე მათი დამოკიდებულებით ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ამ რეგიონის მოსაზრება, რა თქმა უნდა, ხელოვნურია და მცდარი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის პოლიტიკამ კავკასიაში, იმ ახალმა ეკონომიკურმა რეალობამ, რაც 1801 წლის შემდეგ შეიქმნა, გამოიწვია საქართველოს პოლიტიკური გავლენისაგან ოსების გაუცხოება. რუსეთის ხელშეწყობით, ჩრდილოელი ოსები აქტიურად სახლდებოდნენ დონისა და ყუბანის ველებზე, რუსული ციხე-სიმაგრეები — ვლადიკავკავი, მოზდოკი და სხვები, იქცნენ იმ ცენტრებად, სადაც ჩრდილო ოსები იკმაყოფილებდნენ თავიანთ ეკონომიკურ მოთხოვნებს და მათი კავშირი საქართველოს ბართან შეწყდა ან შესუსტდა. ამიერიდან მათი ეკონომიკური ინტერესები ჩრდილოეთით წარიმართა. რუსეთს არ აწყობდა ოს და ქართველ ხალხს შორის ძველი კავშირების შენარჩუნება. გენერალი ტუჩკოვი 1802 წლის ვახტანგ ბატონიშვილის ამბოხებაში თავაურელ ოსებს ადანაშაულებდა და მათთვის დასჯის ფორმად ქართლიდან მარცვლეულის ყიდვის აღკვეთას ითხოვდა [2, 271].

გენერალმა ციციანოვმაც, სპეციალური ბრძანებით, 1804 წლის ქართლის მთიანეთის აჯანყებასთან დაკავშირებით, განკარგულება გასცა, რომ საქართველოს სამხედრო გზა ჩაეკეტათ თავაურელებისათვის, რომ ყველას, ლარსელების გარდა, ვერ შეძლებოდა ქართლის მთაში შემოსვლა [5, 552].

ციციანოვმა მაიორ ყაზბეგს მოთხოვა, რომ თავაურელები არ შემოეშვა ქართლში, არც მუხრანელი და დუშელი ოსები გაეშვა იქით, რადგან ისინი მალულად მაინც მიდიოდნენ და იქაურ ოსებს საქონელს უცვლიდნენ [5, 553].

მთიელთა დასამორჩილებლად ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება შემდეგშიც გრძელდებოდა. მათ სთავაზობდნენ გარკვეულ

ეკონომიკურ პრივილეგიებს, ოღონდ რუსული ხელისუფლებისადმი ნინაალმდეგობა შეენწყვიტათ.

საქართველოს ოსების ეკონომიკური მდგომარეობა კარგად აქვთ შესწავლილი ოს ავტორებს: აბაევსა და ვანეევს. თუმცა ეს ნაშრომები მთლიანად კონიუნქტურულია, მათში მოტანილი ფაქტობრივი მასალები ჩვენთვის მაინც საინტერესოა [7, 8].

აბაევის აზრით, პატარა ნაკვეთები, რომელიც მთის ოსებს ჰქონდათ, ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მათ ეკონომიკურ მოთხოვნებს, განსაკუთრებით მარცვალზე. მიწა უძალესად ძვირი იყო. ის ნაკვეთი, რომელიც დაიტევდა ხარს, ღირდა ხარი, ერთი დღის სახნავი მიწა კი — 108 ძროხა [7, 40].

მაღალმთიან ოსეთში ითესებოდა ქერი, მიწას ხნავდნენ პატარა გუთნით, რომელშიც სამი უღელი ხარი ება, ველზე ხნავდნენ დიდი გუთნით, რომელსაც ქართულ გუთანს უწოდებდნენ და რომელშიც 7-8 უღელი ხარ-კამეჩი ება. პატარა გუთნით და კავით ერთი დღის ნახნავი იანგარიშებოდა ერთ მეოთხედ დესეტინად, დიდი გუთნის ნახნავი ერთ მეორედ დესეტინად [8, 39].

ოსებში სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. მეურნეობა XIX საუკუნეში ნატურალური იყო. ეს განაპირობებდა კუსტარული საოჯახო წარმოების არსებობას, რაც აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნას სამუშაო იარაღებზე, სამეურნეო ინვენტარსა და საოჯახო ჭურჭელზე, ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე და სხვა.

ლითონისგან ამზადებდნენ კერაზე ჩამოსაკიდებელ ჯაჭვებს, რგხგს — იარაღს, სამუშაო ინვენტარს, ხისგან — გუთნის ხის ნაწილებს, კევრებს, მარხილებს, უღლებს, ორთითებს, ფოცხებს, საოჯახო ჭურჭელს და ავეჯს. ქვისგან — ხელსაფეკვავეს, წისქვილის დოლაბებს, საფლავის ქვებს და ა. შ. ყველაზე გავრცელებული ოსებში იყო მატყლის წარმოება, მისგან ამზადებდნენ ნაბებს, თექებს, წინდებს, ყაბალახს, თავსაბურავებს, ხალიჩებს, თხის ბენვიდან — თივთიკს, რაზეც საზოგადოებაში დიდი მოთხოვნილება იყო. განვითარებული იყო ტყავის დამუშავებაც. საქართველოს მთაში მცხოვრები ოსები დამოკიდებულნი იყვნენ საზამთრო საძოვრებზე, მათ საქონელი ეყენათ მუხრანის ველზე, ალაიანში, გორის მაზრაში კვერნაქის მთაზე. ამიტომაც, პოლკოვნიკი ახვერდოვი 1808 წელს გრაფ გუდოვიჩს სთავაზობდა, რომ ხელისუფლებისა და მებატონეებისადმი დაუმორჩილებელი ოსებისთვის ეს საქონელი ჩამოერთმიათ [9, 218].

პოლკოვნიკი შჩერბაჩევი ჟანდარმთა შეფს — ორლოვს 1850 წლის 16 ივნისის თარიღით წერდა, რომ ოსები კავკასიის მასშტაბით ძალზე ხარისხიან ყველს ამზადებდნენ [7, 73].

ბაზართან კავშირმა ოსებში გაზარდა ფულზე მოთხოვნა, რაც კარგად გამოჩნდა საბატონო თუ სახელმწიფო გადასახადების ფულადი ფორმით შეფასებაში. გადასახების ფულით გადახდა ოსებისთვის სამძიმო იყო, ყორნისელი გლეხები ვორონცოვთან ჩიოდნენ, რომ ფულის გადახდა მათ ისე უჭირდათ, ამისთვის უკანასკნელ სამოსს იხდიდნენ და ჰყიდდნენ [8, 48].

ძირითადი ბაზარი მათთვის თბილისი იყო. თუმცა ოსები აქტიურად ვაჭრობდნენ გეოგრაფიულად ახლო მყოფ ცხინვალის, ახალგორის, გორის, მეჯვრისხევის, ხაშურის და საჩხერის ბაზრებში. ცხინვალსა და ახალგორში ისინი იძენდნენ სპილენძის ჭურჭელს, ქსოვილებს. მათში დიდი ფასი ედო არყისა და ლუდის გამოსახდელ ქვაბებს, რომელთაც ხშირად ურვადისა და სისხლის ანგარიშსწორებისთვისაც იყენებდნენ. ცხინვალსა და ახალგორში იძენდნენ ამ ჭურჭელს, ასევე მარცვლეულს, მარილს, ნავთს, მანუფაქტურას, აბრეშუმისა და ფარჩის ქსოვილებს, საოჯახო საგნებს, თვითონ კი ასაღებდნენ ყველს, ერბოს, მატყლს, პირუტყვს, ფრინველს, ნაბდებსა და თექებს და სხვა. ცხინვალში, XIX საუკუნის 30-იანი წლებისათვის, იანოვსკის მიმოხილვის მიხედვით, გლეხური პროდუქციის გასაღება 30-ათას მანეთს შეადგენდა ვერცხლით [10, 86].

რკინის მოთხოვნას ოსები იმერეთის სოფელ წედისიდან იკმაყოფილებდნენ, სადაც სამთო წარმოება ადრეიდანვე არსებობდა, ადგილობრივი მადნებიდან აღნობდნენ რკინას, ტყვიას და ვერცხლს. გირვანქა ტყვიაში 1826 წლის მონაცემით, ოსები იხდიდნენ 20 კაპიკს ვერცხლით [12, 186-187]. ტყვიაზე მოთხოვნა ოსებში დიდი იყო. არა მარტო საქართველოში მცხოვრები ოსები, არამედ დიგორელებიც დაინტერესებულნი იყვნენ საჩხერისა და ონის ბაზრებზე ვაჭრობით. 1831 წელს გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს სიმონოვიჩი წერდა: ნუ დაუშლით დიგორელებსა და ბასიანელებს რაჭასთან ვაჭრობას, პირიქით, დაუყვავეთ მათ და როდესაც ცხენის ჯოგებს ჩამოიყვანენ, ბაჟიც მოთხოვეთო [3, 27].

აქედან ჩანს, რომ დიგორელებსა და ბასიანელებს რაჭასთან ვაჭრობის დიდი ინტერესი ჰქონიათ და სახელმწიფო ბაჟსაც იხდიდნენ. ვინაიდან ხელისუფლება ხშირად ურჩ ოსებს ეკონომიკურ ცენტრებთან კავშირს უზღუდავდა და ამით სჯიდა, ოსები ახალ ცენ-

ტრებს თავად ქმნიდნენ. მაგალითად, დიდი ლიხვის შუა წელზე მათი ასეთი საბაზრო-სავაჭრო ცენტრი იყო ვანელი, სადაც წელიწადის განსაზღვრულ დროს დიდი ბაზრობა ეწყობოდა. ამ დროს სისხლის აღების წესიც კი ერთი კვირით იკრძალებოდა და მოსისხლენი ერთმანეთს მშვიდობიანად ხვდებოდნენ. ვანელის ეს ფუნქცია XX საუკუნის დასაწყისამდე გაგრძელდა [8, 84].

ეკონომიკური კავშირების მოთხოვნილება ოსებს უბიძგებდა სულ მიეტოვებინათ მთა და ბარში გადმოსახლებულიყვნენ. ასე მოხდა ოსთა განსახლება ქართლის, კახეთისა და იმერეთის ბარში. ოსები ცდილობდნენ მიწები შეეძინათ ფულთ, ან ხიზნად მონყობილიყვნენ, ანდა სახელმწიფო მიწაზე დასახლებულიყვნენ. საქართველოს ბარში ჩამოსახლების სურვილი მარტო ქართლის მთის ოსებს კი არა, ჩრდილო ოსებსაც გაუძლიერდათ. გენერალ გუდოვიჩის წერილიდან 1807 წლის 3 აპრილს ლიტვინოვისადმი ჩანს, როგორ ისწრაფვიან თავაურელები თრიალეთში, კერძოდ, სოფელ დიღმის ხეობაში დასახლებლად. XIX საუკუნის 40-50-იან წლებში თრიალეთში ხდება ოსთა დასახლება, რომელიც 80-იანი წლებისათვის უკვე 200 კომლს ითვლიდა [12, 63].

„დროების“ პუბლიკაციაში, რომელიც თრიალეთის ოსებს ეხებოდა, აღწერილია როგორც მათი აქ დასახლების ისტორია, ასევე მათი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ნათესების სიმცირე, სეტყვა და უამინდობა, რის გამოც ეს მოსახლეობა უღარბესად ცხოვრობდა. მთავარი მაინც ის უნდა ყოფილიყო, რომ მთიდან ჩამოსულ ამ მოსახლეობას ნაკლები სამეურნეო გამოცდილებაც ჰქონდა ადგილობრივებთან შედარებით, ამიტომაც ღარიბად ცხოვრობდნენ. ოსები ქართლის სოფლებში სეზონურ სამუშაოებზე გადიოდნენ, მოგვიანებით მათ ქალაქშიც დაიწყეს საშოვარზე წასვლა, სეზონურ სამუშაოში აღებული ფული ან ნატურალური პროდუქტი აუმჯობესებდა მათ მდგომარეობას.

ოსების სოციალურ მდგომარეობას ამძიმებდა ხელისუფლებისგან შეწერილი ბაჟების გადახდა. ახალგორელთა 1817 წლის ერმოლოვისადმი მიწერილი საჩივრიდან ჩანს, რომ ადრე ქართველი მეფეები და მებატონეები მათ ამგვარი ბაჟისაგან ათავისუფლებდნენ, რუსებმა კი ისინი სასტიკ დღეში ჩააგდო [3, 27].

ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების ნაწილი ისტორიულ ფაქტებს სრულიად ტენდენციურად, ვინროკლასობრივი ინტერესებიდან, ბოლშევიკური იდეოლოგიიდან გამომდინარე ყალბი კონცეფციით აფასებდა.



გიორგი ხაჭაპურიძე წიგნში — „გლახთა მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“, სპეციალურ თავს უძღვნის გლახთა მოძრაობას ე. წ. სამხრეთ ოსეთში. თავის სათაურიც კი ნიშანდობლივია: „გლახთა მოძრაობა სამხრეთ ოსეთსა და საქართველოში“. მარტო ამ სათაურიდანაც ჩანს ქართული ისტორიოგრაფიის კომპრომენტული ხასიათი და ისტორიკოს-მეცნიერთა ბოლშევიკური აზროვნება, რამაც, სხვა მიზეზებთან ერთად, საფუძველი დაუდო ამ ტერიტორიების ოკუპირების გამართლებას და ქართული სამყაროდან გაუცხოებას. დღეს ჩვენ სამართლიანად ვაკრიტიკებთ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ირგვლივ რუსული დაკვეთით შექმნილ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ხასიათის ლიტერატურას, მაგრამ არასამართლიანად ვაფუჩეჩებდით (სხვა სიტყვა არ მოუხდებოდა ამ მოვლენას) ქართველ ისტორიკოსთა კონიუნქტურულ თუ დანაშაულებრივ ნაშრომებს ამ მტკივნეულ თემაზე. მაგალითად იგივე ხაჭაპურიძის ნაშრომები გამოდგებოდა. მათში სამხრეთ ოსეთი ან პირდაპირ ოსეთი ეწოდება ცხინვალის რეგიონს და ოსებით დასახლებულ შიდა ქართლის ჩრდილოეთ სოფლებს, ქართველი თავადები ცხადდებიან მათ არაკანონიერ ექსპლოატატორებად. მაგალითისათვის დასახელებული ნაშრომიდან ეს ადგილი: „ოსეთი იმთავითვე ქართველი ფეოდალების საძიძვნავად გადაიქცა. ქართველი თავადაზნაურობა ავინროებდა ოსეთის მოსახლეობას, სცარცვადა მას და ბოლოს ყმად გაიხადა. მხოლოდ ოსეთის ზოგიერთი საზოგადოება, განსაკუთრებით არდონის სათავეში და სხვა მიუვალ ადგილებში, მაგალითად მამისონის ხეობაში დასახლებული, დარჩა თავისუფალი ქართველი ფეოდალების ბატონობისაგან“. ის რამდენიმე ადგილზე ლანძღავს ქართველ ფეოდალებს — ამილახვრებს, მაჩაბლებს, ერისთავებს, რომლებიც ამ დროს 60 ოჯახს წარმოადგენდა, ოსების ძარცვისათვის. მკვლევარი არაფერს ამბობს იმაზე, რომ ეს „გაძარცვული“ ოსები გაიძვერულად, ჩუმად იყვნენ შემოსულები ამ ფეოდალთა მამულებში და ისინიც ისევე იქნენ მემამულეებისაგან დაბეგრილნი, როგორც ქართველი ყმები იყვნენ. ხაჭაპურიძეს ოსები ყოველმხრივ დაზარალებულად გამოჰყავს, მის ნაწერებში ჩანს: ერთი მხრივ ქართველი ფეოდალების ძარცვა, მეორე მხრივ, რუსული ჯარის დაუზოგავი სადამსჯელო პოლიტიკა ოსური მოსახლეობის წინააღმდეგ. მას აქტივებიდან მოაქვს ის ადგილები, სადაც ასახულია ოსების 1807-1810 წლების ანტირუსული გამოსვლები, გენერალ ტორმასოვის აქტიური ბრძოლა აჯანყებულების წინააღმდეგ, მისი წერილები ერთ-ერთი რაზმის უფროსის — ბულგაკოვისადმი, სადაც

საუბარია ოსების გამოუძიებლად დასჯაზე: „ნებას გაძლევთ თქვენ მიერ შეპყრობილი, ავაზაკობით განთქმული, ოსი პაპა ცხოვრებაში-ლი გამოუძიებლად დაახრჩოთ ცხინვალში, ასევე მოექცით მის ამხანაგებს, 6 კაცს, მხოლოდ დასაჯეთ ისინი ოსეთის სხვადასხვა მოსაზღვრე ადგილებში. ეს აჯანყებულთათვის დამაჯერებელი მაგალითი იქნება“. ეს სიტყვები აქტების IV ტომიდანაა (გვ. 466), მართალია, ძალზე მკაცრი დამოკიდებულებაა, მაგრამ მსგავსი და არანაკლებ დაუზოგავი პოზიცია ჰქონდა რუსული ჯარის მეთაურებსა და კავკასიის სამხედრო ადმინისტრაციას ქართველი აჯანყებულებისადმი 1804, 1812 თუ 1819-1820 წლებში.

ისტორიული ფაქტების სრული დამახინჯებითა და კონიუნქტურით ხასიათდება ვასილ აბაევის ნაშრომი — „სამხრეთ ოსეთის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის“. მასში გაიდებული და გაზვიადებულია ოსური მოსახლეობის წვლილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება დესპოტად, ოსი ხალხის მტრად და გამანადგურებლად არის ნაჩვენები.

აბაევის ნაშრომში საინტერესო ფაქტოლოგიური მასალებია მაჩაბლების ოსი ყმებისა და მათი მდგომარეობის შესახებ.

მაჩაბლის ოსი ყმები ცხოვრობდნენ ჯავის, ურს-ძუარსკის, ჯომაგის, რუქსის, ჩესელთის, ნარისა და კოშკის, იგივე ვანელის ხეობებში. 1848 წლის კამერალური აღწერის თანახმად, და ამიერკავკასიის სახაზინო პალატის მასალებით ამ ხეობებში 5 ნ ოსური სოფელი იყო, სადაც 1137 კომლი ცხოვრობდა: 4351 სული მამაკაცი და 3588 — ქალი, სულ 7939 სული. ამაში არ შედიოდა 135 კომლი, რომელიც აღწერის დროისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გადავიდა. ამიტომ ვერ მოხვდნენ ისინი აღწერაში. ოსები თანახმანი იყვნენ ყოფილიყვნენ რუსეთის ქვეშევრდომნი, მომსახურებოდნენ ხელმწიფე იმპერატორს, მაგრამ წინააღმდეგნი იყვნენ მაჩაბლების ყმობისა. ისინი შეხვდნენ 1837 წელს საქართველოში ჩამოსულ ნიკოლოზ I-ს, შემდეგ კი, მეფისნაცვლის თანამდებობის დაწესების შემდეგ, საჩივარი შეიტანეს როგორც კავკასიის მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვთან, ასევე უმაღლეს სენატში. საჩივარში ისინი უარყოფდნენ მაჩაბლების საბატონო უფლებებს მათ მიმართ [7, 15].

ოსთა ამ ბრძოლას რომ გრძელი ისტორია ჰქონდა, ეს კარგად იცოდნენ პეტერბურგშიც. როდესაც ოსეთის 1850 წლის ექსპედიციის შესახებ მოახსენეს, რომელიც ოსთა დასაწყნარებლად ჩატარდა, მე-

ფემ გამოთქვა აზრი, რომ როგორც არ უნდა ყოფილიყო სასამართლოს გადაწყვეტილება, მაჩაბლებს საბატონო უფლებები აღარ უნდა აღდგენოდათ [13, 449-450].

1852 წელს სენატმა უარი უთხრა მაჩაბლებს ოსი ყმების ყოლაზე, მათთვის ბატონყმური მოვალეობების დაკისრებაზე. მაჩაბლებს ვორონცოვმა ურჩია სენატში საჩივრის შეტანა სანაცვლო კომპენსაციის შესახებ. ეს საჩივარი თავად ვორონცოვმა შეიტანა მათი სახელით. საჩივარი 2 პუნქტისაგან შედგებოდა: 1) მაჩაბლებს უნდა დანიშნოდათ ყოველწლიური პენსია 60 ათასი მანეთის ოდენობით; 2). ოსებს, რომლებიც მათ მიწებზე ცხოვრობდნენ, მაჩაბლებისთვის საერთო მოსავლის ერთი მეათედი უნდა გადაეხადათ. რუსეთის იმპერატორმა ვორონცოვის წარდგინება დააკმაყოფილა. აბაევი წიგნში, რომელიც 1956 წელსაა გამოცემული, აკრიტიკებს ვორონცოვს, მონარქისტს უწოდებს მას, მის პოლიტიკას აგრესიულსა და მემამულეთა ინტერესების დამცველ ხასიათს აძლევს. ამ კანონმა, რომლის ინიცირება მეფისნაცვალმა მოახდინა, ისე დააზიანა ოსები, რომ საბოლოოდ შეაძულა მათ თავი, მას „ვორონცოვის კანონს“ უწოდებდნენ და წყევლიდნენო. აბაევს ის ეპიგრამებიც მოაქვს, პუშკინი რომ უძღვნიდა მიხეილ ვორონცოვს, ოღონდ არ ხსნის ეპიგრამების დაწერის მიზეზს და ოსი მეცნიერის მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ რუსი პოეტის კრიტიკა ზოგადად ვორონცოვის ანტიჰუმანურ პოლიტიკას, მის დაბალ პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდებოდა. თუ ქართველი გლეხები იხდიდნენ რეფორმამდე საბატონო ვალდებულებებს, თუ შემდეგაც, დროებით ვალდებულობის ინსტიტუტის არსებობა მათ გარკვეულ საბატონო ვალდებულებებს უნარჩუნებდა, რატომ არ უნდა ჰქონოდათ ეს ვალდებულებები იმ ოს გლეხებს, რომლებიც მაჩაბლების ან სხვა ქართველი თავადების მიწებზე ცხოვრობდნენ, მოსულნი და დამკვიდრებულნი იყვნენ აქ ზოგი ძალადობით, ზოგიც თავად მებატონეთა ნებართვით. მართალია, ტყის მოჭრისათვის, საძოვრებისათვის და სხვა, მაჩაბლებს ოსი გლეხები გარკვეულ გადასახადს უხდიდნენ ( დაახლოებით, თითო კომლზე 20 მანეთს), მაგრამ ისინი მუდმივად იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ და არასამართლიანად მიიჩნევდნენ ქართველი ფეოდალების სასარგებლოდ რაიმეს გალებას. ესხმოდნენ თავს მათ სასახლეებს, წვავდნენ და კლავდნენ მათი ოჯახის წევრებს.

რეფორმამდელი პერიოდის საქართველოში მცხოვრები ოსების, კერძოდ კი ცხინვალისა და ზოგადად შიდა ქართლის მთიანეთის ოსური მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ფეო-

დალური ბეგარა-გადასახადებისადმი დამოკიდებულება და ბრძოლა საბატონო ვალდებულებების გადასაგდებად ასახულია იმ უამრავ სა-არქივო დოკუმენტში, რომელიც საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივის 240-ე ფონდის საქმეებშია დაცული.

ამ დოკუმენტებში შესულია თავად მარბლების საჩივრები, ოსი გლეხების საბატონო ვალდებულებების ცხრილები, გორის სამხედრო უფროსისა და თბილისის სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორების თვალსაზრისები შიდა ქართლის ოსური მოსახლეობის შესახებ. ხსენებული ფონდის მე-20 საქმეში მოცემულია მარბლების განცხადება, რომ ოსები არ უხდებიან მათ გადასახადებს, გარდა იმისა, რომ ისინი ურჩობენ, არ ემორჩილებიან სასამართლოს მიღებულ გადანყვეტილებებს, სადაც აღიარებულია მათი ვალდებულებები, მაგრამ, მარბლების თქმით, ოსები ისეთ მძიმე მდგომარეობაში არიან, მათ ამ ვალდებულების შესრულება არ შეუძლიათ. ოსებს შეჭირვებული სოციალური მდგომარეობის გამო გამოეყოთ პენსია. ეს მოხდა ნიკო ჭავჭავაძის ინიციატივით, რომელიც თბილისის სამხედრო გუბერნატორი იყო. შემდეგში ეს თანამდებობა გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა დაიჭირა და მასაც დიდი ძალისხმევა დაჭირდა მარბლებსა და ოსებს შორის არსებული კონფლიქტის მოსაგვარებლად. მარბლები ზემოთმოტანილ განცხადებაში აღნიშნავენ იმასაც, რომ მათთვის უბედურება იქნებოდა ოსებისგან გადასახადის მიუღებლობა, ამიტომ, მთავრობას დახმარებას თხოვენ, წინა წლების გადასახადების თუ არა, მიმდინარე წლის ვალდებულების გადახდაში მაინც დახმარებოდნენ ოსებს. ამისთვის ხაზინიდან ფულის გამოყოფას ითხოვენ. მეფისნაცვალმა მურავიოვმა სამხედრო გუბერნატორს — ივანე ანდრონიკაშვილს ისიც კი ურჩია, რომ როგორმე დაერწმუნებინა მარბლები, დაეთმოთ სახელმწიფოსთვის, გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ის მიწები, რომელზეც ოსი ლტოლვილები ცხოვრობდნენ. თუ ამას არ დაეთანხმებოდნენ, დაყაბულებოდნენ მათი მიწების შემოსავლის მეათედს, რასაც ისინი ხაზინიდან მიიღებდნენ ფულადი სახით. თუ ამაზეც უარს იტყოდნენ მარბლები, მაშინ მთავრობა სპეციალურ ექსპედიციას გააგზავნიდა მარბლების მიწების შემოსავლების განსასაზღვრად. ეს გადანყვეტილება 1855 წლისაა და გაცემულია თბილისის საგუბერნიო მმართველობის აპარატიდან [14, 5].

თუმცა ამ ვრცელ დოკუმენტში წინა წლების ისტორიაც არის წარმოდგენილი. მარბელთა სხვადასხვა ოჯახები ჩივიან, რომ ოსები არ უხდინდნენ გადასახადს, ჩამოთვლილი იყო წლები, როდესაც არ გადა-

უხადეს, საუბრობდნენ თავიანთ გასაჭირზე და ხელისუფლებას ფულად დახმარებას თხოვდნენ. წერილებიდან ჩანს, რომ ბევრმა თავადმა წერა-კითხვაც არ იცოდა, მათ ნაცვლად ხელს სხვები აწერდნენ. ირკვევა, რომ ცხინვალში იყო მცირე საწარმოები, მაგალითად, აგურის ქარხანა, რომელიც შერმაზანაშვილებს (სომხური წარმოშობის გაქართველებულ გლეხებს) ეკუთვნოდათ. სტეფანე შერმაზანაშვილს ამ ქარხნისთვის მიწა ცხინვალის მფლობელმა დავით ბარძიმის ძე მაჩაბელმა დაუთმო, მაგრამ შემდეგ მენარმე მას აღარ უხდოდა დაპირებულ გადასახადს ქარხნიდან მიღებული სარგებლის ხარჯზე [14, 827].

ამ საქმეზე საჩივრით დავით მაჩაბელი კავკასიის მთავარმმართველის შტაბის უფროსს, სტატს სეკრეტარს, საიდუმლო მრჩეველსა და კავალერს ალექსანდრე ფიოდორის ძე კრუზენშტერნს მიმართავდა. აღნიშნავდა, რომ დედამისმა მისცა დროებითი უფლება შარმაზანაშვილს, მან კი ახლო მდებარე ბალებიც მიისაკუთრა და პირობა დაარღვია, მაჩაბელი ითხოვდა კანონიერი საკუთრების დაბრუნებას.

იგივე დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი 240-ე ფონდის 1203-ე საქმის მიხედვით ჩიოდა, რომ ოსების მიერ მისაკუთრებული მიწები მდებარეობდა ჯავასა და კოშკის ხეობებში, მდინარეების — დიდი ლიახვისა და ფცას ხეობებში, ჩამოთვლიდა უამრავ სოფელს, წერდა, რომ ეს მიწები მას ეკუთვნოდა წინაპართაგან და აქ მთელი სიმდიდრე იყო. ნაყოფიერი სახნავ-სათესი მიწებით, ხილის ბალებით, ეს ადგილები ყველაფრით საუკეთესო იყო და ამ მიწებისათვის ითხოვდა ხაზინიდან ფულს.

საინტერესოა ვრცელი დოკუმენტი, რომელიც კამერალურ აღწერებს, მეფისნაცვლისა და სამხედრო გუბერნატორის მიერ გატარებულ ლონისძიებებს განიხილავდა ოსებით დასახლებულ ქართლის სოფლებში, ასევე ოსეთის სამხედრო ოკრუგისა და მისი საზღვრების დადგენას ასახავდა. 40-იანი წლების ბოლოს დადგა საკითხი, რომ გადასახადები ოსებს უნდა შეწეროდათ გარკვეული დიფერენცირებით, ძირითადად ოსური მოსახლეობა, შემოსავლებისა და სოციალური შესაძლებლობების მიხედვით რამდენიმე კატეგორიად დაიყო და გადასახადებიც სხვადასხვა დაუნესდა. I კატეგორია გადაიხდიდა 3 მანეთს ფულად გადასახადს და 2-ს ბეგარისას. II კატეგორია 3 მანეთს მიწისას და 1-ს მოსავლისას; III — 2 მანეთს და მოსავლისას 1 მანეთს. გენერალ-ლეიტენანტი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი ივანე ანდრონიკაშვილი თვლიდა, რომ ეს გადასახადები ოსებს ჩვეულებრივ მდგომარეო-

ბაში აყენებდა, მაგალითად, რაჭისა და კუდარო-მამისონის უბნების მოსახლეობასთან, გორისა და ვლადიკავკაზის მოსახლეობასთან.

ამ ცხრილში მოცემულია ოსთა კატეგორიები და მათი საგადასახადო განანესი:

| გასაღების საგნები                         | სოფლები    |     |             |     |              |     | სულ   |     |
|---|------------|-----|-------------|-----|--------------|-----|-------|-----|
|   | I თანრიგის |     | II თანრიგის |     | III თანრიგის |     |       |     |
|   | მან        | კაპ | მან         | კაპ | მან          | კაპ | მან   | კაპ |
| 1 ბარდის, ლობიოსა და ოსპის სავარგულებიდან | 951        | 75  | 118         | 50  | არ არის      |     | 1070  | 25  |
| 2 ტყის მასალა                             | 1805       | „   | 800         | „   | „            | „   | 2605  | „   |
| 3 ხილი                                    | 4290       | 80  | 544         | 80  | „            | „   | 4835  | 60  |
| 4 ყველი და ერბო                           | 8802       | 08  | 7279        | 04  | 2241         | 30  | 18322 | 42  |
| 5 მაუდი                                   | 3801       | 50  | 2602        | „   | 924          | „   | 6787  | 50  |
| 6 თაფლი                                   | 410        | 40  | 63          | „   | „            | „   | 473   | 40  |
| სულ საერთო შემოსავალი                     | 20061      | 53  | 10867       | 34  | 3165         | 30  | 34094 | 17  |
| სულ სუფთა მოგება                          | 13374      | 35  | 7244        | 90  | 2110         | 20  | 22729 | 45  |

ჩინოვნიკმა ხიტროვმა იმოგზაურა ახლად შექმნილ ოსეთის ოკრუგში და სახაზინო პალატაში შეიტანა კითხვა იმ ოსებზე, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ და არსად არ იყვნენ ჩანერილნი. ეს ცხრილიც ხიტროვის მიერ იყო შედგენილი, რომელსაც სახაზინო პალატამ დაავალა მაჩაბლების ყმა ოსების აღწერა. მაში შეტანილი მარცვლული მოსავლის რაოდენობა თავად ოსი გლეხებისაგან იყო მიცემული სახელმწიფო ექსპედიციის წევრებისათვის, ამ ცნობებს შემდეგ ხეობების ე. წ. „სტარშინები“ ამონმებდნენ, რის შემდეგაც ექსპედიციას ეს ცნობები შეჰქონდა სპეციალურ ცხრილებში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს იმ სოციალური ურთიერთობების შესასწავლად, რასაც შიდა ქართლის ოსურ მოსახლეობაში ჰქონდა ად-

გილი. აქედან ვგებულობთ, თუ რა სახის ხილი, ბოსტნეული, ბალჩეული, მარცვლეული კულტურები მოჰყავდათ ამ რეგიონში, სად გაჰქონდათ გასაყიდად ეს პროდუქტები, რა ადგილი ეჭირა რეგიონის ცხოვრებაში მეფუტკერობას, მევენახეობას, მეცხოველეობასა და ამ დარგების პროდუქტების წარმოება-გასაღებას [14, 68].

|   | სავარ-<br>გულის<br>დამუშა-<br>ვების<br>დღეები | ნათეს-<br>თა რაო-<br>დენობა | მიღებუ-<br>ლი მო-<br>სავლის<br>საშუალო<br>რაოდე-<br>ნობა | საშუალო ღი-<br>რებულება ყო-<br>ველ კოდზე |     | მთელი შემო-<br>სავლის ღირე-<br>ბულება |     |
|---|---|-----------------------------|--|--|-----|---------------------------------------|-----|
|   |   | კოდი                        | კოდი   | მან                                      | კაპ | მან                                   | კაპ |
| ხორბალი                                 | 3206  | 1603                        | 4520   |  | 00  | 9040                                  | 00  |
| ქერი                                    | 8806  | 12147,5                     | 58616,5  | 1  | 00  | 58616                                 | 50  |
| შვრია                                   | 351   | 526,5                       | 2632,5   | 00                                       | 80  | 2106                                  | 00  |
| ას-<br>ლი,(პოლ-<br>ბა)სპელ-<br>ტი(ფაფა) | 315   | 154,5                       | 945  |  | 00  | 945                                   | 00  |
| პრასა                                   | 214   | 27,5                        | 1310,3/4   |  | 80  | 1048                                  | 60  |
| სიმინდი                                 | 156   | 39                          | 1208, 1/2  | „  | 80  | 966                                   | 80  |
| ლობიო                                   | 156   | 39                          | 1208, 1/2  | „  | 80  | 966                                   | 80  |
| ცვრცვი                                  | 50  | 6, 1/2                      | 68, 3/4  | 1  | 20  | 82                                    | 20  |
| მუ-<br>ხუდო                             | 4   | 6                           | 8  |  | 0   | 41                                    |     |
| ჯა-<br>მი                               | 7   | 1                           |  |  |     | 3793                                  | 5   |

ხიტროვის მიერ შედგენილი დოკუმენტის მე-6-ე მუხლში ვკითხულობთ:

„ბევრი ოსი ჩუმად და თვითნებურად გადმოდის საცხოვრებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში...“

თავადი მაჩაბლების სამფლობელოდან ამჟამად გამოქცეული ოსები, რომლებიც თავს სხვა ქვეყნიდან მოსულებს და უცხო მინაზე დასახლებულებს უწოდებენ, ესწრაფვოდნენ ერთადერთს, თავად მაჩაბლისაგან თავისუფლების მოპოვებას და არ ითხოვდნენ მინას, „რომლის საფასურადაც მათ მაინც მოუხდებათ მაჩაბლებისთვის სამსახურით გადახდა.“ ხიტროვის ვრცელ ოქმში ვკითხულობთ, რომ რუსული ხელისუფლების დამყარებამდე კავკასიაში, ოსები თავსაც ვერ ირჩენდნენ და მინიმალურ საარსებო მოთხოვნებს ვერ დაიკმაყოფილებდნენ ქურდობის გარეშე როგორც ერთმანეთთან ასევე მეზო-

ბელ სოფლებში, ისე მწირი იყო მათი შემოსავალი. მხოლოდ რუსებმა მისცეს მათ ნორმალური ცხოვრების პირობები. ხიტროვი ადარებს მათ იმერლებს, გორის მაზრის ქართველებს და წერს, რომ — მოხერხებით, გამჭრიახობითა და მყისიერი გადაწყვეტილებების მიღებით ოსები მათზე მაღლა იდგნენ.

ამავე დოკუმენტში საუბარია ოსების რაჭაში ჩასახლების აუცილებლობაზე, თუმცა სხვა საარქივო დოკუმენტი აღწერს, იმ ადგილს, სოფელ უნერაში, სადაც ოსები ითხოვდნენ ჩასახლებას, მიუთითებს ადგილის მცირემიწიანობაზე და ოსებს მოთხოვნაზე უარს ეუბნება. მაგრამ სხვა დოკუმენტში მათ უფლება ეძლევათ ბორჯომის ხეობაში ჩასახლებაზე. სწორედ აქედან იწყება ოსების აქტიური ჩამოსახლება ამ რეგიონში, რაც დღეს საფუძვლად უდევს ოსთა უკანონო პრეტენზიებს ბორჯომისა და ბაკურიანის მიმართ.

| ხეობებში                            | სავარგულის დამუშავების დღეები | შემოსავალი დღიური სამუშაოებისგან |     | სულ   |     |
|-------------------------------------|-------------------------------|----------------------------------|-----|-------|-----|
|                                     |                               | მან                              | კაპ | მან   | კაპ |
| ჯავის და როკის                      | 12623                         | 1                                | 50  | 18934 | 50  |
| უჯვარის, ჯამაგის, ზროგის და ქემელის | 6436                          | -                                | 15  | 4827  | „   |
| სულ                                 | 19059                         | „                                | „   | 23761 | 50  |

[15, 898]

| ხეობებში                            | სავარგულის დამუშავების დღეები | შემოსავალი დღიური სამუშაოებისგან |      | სულ  |      |
|-------------------------------------|-------------------------------|----------------------------------|------|------|------|
|                                     |                               | მან                              | კაპ  | მან  | კაპ  |
| ჯავის და როკის                      | 4717                          | „                                | 75   | 3537 | 75   |
| უჯვარის, ჯამაგის, ზროგის და ქემელის | 4055                          | „                                | 37.5 | 1520 | 62.5 |
| სულ                                 | 8772                          | „                                | „    | 5058 | 37.5 |

[5, 7]

ამრიგად, XIX საუკუნის დასაწყისიდან რუსეთმა საქართველოში მცხოვრები ოსების მიმართ მთელი რიგი სადამსჯელო ღონისძიება შეიმუშავა. მან ხელი შეუშალა ოსთა ინტეგრირებას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში, ხშირად სჯიდა



მათ და არ აძლევდა ქართლის ბართან და ბაზრებთან ურთიერთობის საშუალებას, ახდენდა დემოგრაფიულ ცვლილებებს ქართულ სოფლებში, ატარებდა ქართველებთან ოსი ხალხის გაუცხოების პოლიტიკას. ეს შორსმომავალი მიზანი იყო, რაც ოსური სეპარატიზმის წარმოქმნასა და განვითარებას ემსახურებოდა.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Осетинский вопрос, Тбилиси, 1994, Итонишили Вахтанг, Южная Осетия в центральной Грузии?.
2. Акты собранные Кавказской Археографической комиссией, под ред. А. Берже, т. I, Тифлис, 1867.
3. გ. თოგომვილი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა, თბილისი, 1969.
4. ვ. ტოგონიძე, ქართლის მთიანეთის აჯანყება 1804 წელს, თბილისი, 1951.
5. Акты созданные Кавказской Археографической комиссией, под ред. А. Берже, т. II, Тифлис, 1869.
6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, (სცსსა), ფონდი 16, საქმე 687.
7. Абаев В. Д., Экономическое развитие Юго-Осетии в феодально-крепостническую эпоху (1800-1934), Сталинир, 1955.
8. Ванеев З. Н. Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX в, Сталинир, 1956.
9. Акты собранные Кавказской Археографической комиссией, под ред. А. Берже т. II, Тифлис, 1869.
10. Обзор Российских владений за Кавказом , СПб, 1836, ч. II, разд. VIII.
11. Акты созданные Кавказской Археографической комиссией, под ред. А. Берже, т. VI, часть I, Тифлис, 1870.
12. გ. ჩოჩიშვილი, თრიალეთის ოსები, გაზეთი „დროება“, 1884.
13. П. В. Иваненко, Гражданское управление Закавказьем, Тифлис, 1901.
14. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 240, საქმე 20.
15. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 898.

**Dodo Chumburidze**

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, Chief Scientist researcher of the Department of Modern and Contemporary History*

## **Socio-Economic Situation of Shida Kartli in the First Half of the 19<sup>th</sup> Century**

### **Summary**

Since 1801, after Russia joined Georgia to itself and established new territorial – administrative order, gorge of Didi Liakhvi entirely became the part of Gory uezd. One part of this uezd, from Java up to the Roka - Ermani pass was called Ossetians District. The socio-economic situation of this part of Georgia was totally linked to the political events taking place in this region, as well as with the socio-economic situation of the whole Georgia. The policy of Russia in the Caucasus, the new economic reality that took place after 1801, caused alienation of Ossetians from the political influence of Georgia. King's government and the Caucasian officials as a punishment were forbidding Ossetians with anti-Russian mood trading-economic relations with the Georgian regions of Shida Kartli.

The Russian policy against Ossetians living in Georgia, rural-economic culture of Ossetians, obligations of corvee and obligations towards state is shown in the article. All the materials obviously show that, despite the Russian policy, Ossetians living in Shida Kartli were involved in economic life of Georgia and were belonged to the Georgian environment both politically as well as economically.

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახე-  
ლობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიი-  
სა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთა-  
ვარი მეცნიერ-თანამშრომელი*

## **ეპისკოპოს გაბრიელისა და სენატორ გიორგი მუხრანსკის წერილობითი განაშუქება მცირე ქრებისა და მათი ენების არსებობასთან დაკავშირებით**

სანამ ამ კონკრეტულ საკითხზე ვისაუბრებდეთ, მანამდე მი-  
ზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ მიმოვიხილოთ ის ვითარება,  
რომელიც XIX ს-ის 70-იანი წლებისათვის იყო შექმნილი — კავკასია-  
ში, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე ურთულეს რეგიონში.

... ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ რუ-  
სეთმა შეძლო თავისუფლებისმოყვარე კავკასიელი ხალხების დაპ-  
ყრობა და იქ ხიმტებზე დაყრდნობილი თვითმპყრობლური რეჟიმის  
დამყარება. მოახდინა დაპყრობილი ტერიტორიის დაყოფა რუსულ  
ადმინისტრაციულ ერთეულებად — გუბერნიების, მაზრების, ოლქე-  
ბის, ოკრუგების, თემების შექმნის გზით და ყველგან რუსი მოხელე-  
ები დანიშნა. ახლა საჭირო იყო დაპყრობილის შენარჩუნება და შე-  
მომტკიცება. ამ მიზნით საუკუნეების მანძილზე აპრობირებული —  
„გათიშე და იბატონეს“ პოლიტიკა აირჩია და კავკასიელი ხალხების  
ერთმანეთზე გადაკიდება თავის ყოველდღიურ საქმიანობად აქცია.  
შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ რეგიონში მიმდინარე სისხლის-  
მღვრელ პროცესებში (ბრძოლები, აჯანყებები, შეთქმულებები, ეგ-  
ზეკუციები და ა. შ.) ხელმძღვანელ როლს ცარისტული რეჟიმის გა-  
ერთგულებული არარუსი წარმომობის მაღალჩინოსნები ასრულე-  
ბდნენ (კოვალენსკი, კრონინგი, ციციანოვი, ლაზარევი, პაულუიჩი,  
ერმოლოვი, პასკევიჩი, როზენი, მურავიოვი, ბარიატინსკი, ორბელი-  
ანი და სხვები). სხვისი ხალით წარის გლეჯა — ესეც გამიზნული რუ-  
სული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი იყო. ასეთ პოლიტიკას ატა-  
რებდა ცარისტული ხელისუფლება — არა მხოლოდ საერო, არამედ  
სასულიერო სფეროშიც. უმკაცრეს ცენზურულ პირობებს ექვემდე-  
ბარებოდა ყოველგვარი თავისუფალი აზრი და მათი გამომთქმელი  
პიროვნებები სასტიკად იდევნებოდნენ.

ამ საერთო ორომტრიალში, ყოველთვის წინა პლანზე იყო წამონეული საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი. რუსეთის ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ კავკასიაში მისი საბოლოო დამკვიდრების საქმე დიდად იყო დამოკიდებული ერთმორწმუნე ქართველი ხალხის პოზიციაზე, ხალხზე, რომელიც მოატყუა და მოკავშირეობის ნაცვლად საერთოდ გაუუქმა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ძალით მოახდინა მისი ტერიტორიების ოკუპაცია და ანექსია, დაამხო ევროპაში ერთ-ერთი უძველესი ბაგრატიონების სამეფო დინასტია, ავტოკეფალია წაართვა ქრისტიანულ მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიას და რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდს დაქვემდებარებულ ერთ-ერთ საეგზარქოსოდ აქცია იგი. კავკასიის მთიელ ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლებში მაქსიმალურად გამოიყენა ქართველთა მხედრული ნიჭი და მამაცობა, რითაც შეძლო კავკასიის მაჰმადიანი ხალხების გულებში ქართველი ერისადმი სიძულვილის დათესვა.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა შეძლო კავკასიის ხალხების ფიზიკური დაპყრობა, დღის წესრიგში მათი სულიერი გატეხისა და ეროვნული სახის დაკარგვის საკითხი დააყენა. აქ კი ყველაზე ანგარიშგასანევი ძალა ქართველი და სომეხი ხალხები იყვნენ თავიანთი ისტორიული წარსულით, სარწმუნოებით, ენით, ლიტერატურით, დამწერლობით თუ, საერთოდ, საკუთარი კულტურული ტრადიციებით... ყველაზე ძნელად დასაძლევნი ბარიერი — ენა და დამწერლობა იყო, რითაც მთელი იმპერიის ხალხთა შორის ეს ორი ერი კონკურენციის გარეშე იდგა.

XIX ს-ის 70-იან წლებში, როცა კავკასიის მეფისნაცვალი დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი (იმპერატორ ალექსანდრე II-ის ბიძა) იყო, დაიწყო ახალი „პროექტის“ — მცირე ხალხების შერწყმისა და მათი ენების გაქრობის შესახებ მოქმედებანი. ამ მოსაზრების იდეოლოგიური საფუძველი იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები არარუსთა გარუსება, მათი სახელმწიფოებრივი უფლებების მოშლა და განადგურება იყო.

ჯერ კიდევ 1867 წელს მეფისნაცვლის საბჭოს მითითების შესაბამისად კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს ნევეროვს დაევალა პროექტის შედგენა გიმნაზიებში ადგილობრივი ენების (ქართული, სომხური, თათრული) სწავლების შესახებ. ამ დროს მეფისნაცვლის მთავარი იურიდიული სამმართველოს საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, სენატორი გ. მუხრანსკი იყო. პროექტის თავ-

დაპირველ ვარიანტს თავისი რადიკალურობის გამო მეფისნაცვლის საბჭო არ დათანხმებულა, ვინაიდან იგი მხოლოდ გიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში თვლიდა სავალდებულოდ ადგილობრივი ენების შესწავლას. 1871 წლის ზამთარში, თბილისში, გამართულმა გიმნაზიების დირექტორთა თათბირმა განიხილა ნევეროვის პროექტი და ძირითადად მოინონა იგი. 1872 წლის 4-13 მაისს მეფისნაცვლის საბჭომ რამდენადმე შეცვალა პროექტში მითითებული მოსაზრებანი ადგილობრივი ენების მიმართ. საბჭოს დამტკიცებული პროექტის მიხედვით ადგილობრივი ენები სავალდებულო საგნად დატოვებულ უნდა ყოფილიყო მხოლოდ გიმნაზიებსა და პროგიმნაზიის მოსამზადებელ კლასებში, ხოლო თუ რამდენი გაკვეთილი დაეთმებოდა კვირის განმავლობაში თითოეული ენის შესწავლას, ეს პედაგოგიურ საბჭოებს უნდა გადაეწყვიტათ, დასამტკიცებლად კი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისათვის წარედგინათ [4, 464].

თბილისიდან „С.-Петербургские Ведомости“-ში [18] გიმნაზიის დირექტორების თათბირის შესახებ გაგზავნილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიაში, სადაც ქართველები, სომხები და თათრები სახლობენ, მხოლოდ რუსული ენაა ხმარებაში და ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა დღეში იქნებიან ადამიანები, რომელთა დიდმა ნაწილმა რუსული ენა სრულიად არ იცისო... ანდა, როგორ შეუძლიათ თავიანთი მოვალეობის აღსრულება იმ მოხელეებს, მოსამსახურეებს და ყველა სხვა სამსახურს, რომელნიც კავკასიაში მოღვაწეობენ და ადგილობრივ მოსახლეობის ენები კი არ იციანო. ეს ფაქტი იყო და ამის უარყოფა არავის შეეძლო. საჭიროება მოითხოვდა რაიმე ღონისძიების გატარებას... ჰოდა, მიაგნეს კიდევ ასეთ გამოსავალს. მოძებნეს კაცი, გვარიშვილი და ცარისტული რეჟიმის მაღალი რანგის მოხელე, მეფის ნაცვლის საბჭოს წევრი, სენატორი და განაცხადებინეს: რა საჭიროა მცირე ერების ენების ცოდნა (შესწავლა), როცა ეს მცირე ხალხები საერთოდ უნდა შეერწყან დიდ ერებს და მათი ენებიც უნდა გაქრნენო...

ეს მოხელე გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელი (1821-1877) გახლდათ.

მუხრანბატონები XVI-XIX საუკუნის საქართველოში სამეფო საგვარეულოს — ბაგრატიონების ერთ-ერთ შტოს წარმოადგენდნენ. მუხრანბატონთა საგვარეულო 5 დიდებულთა რიცხვში შედიოდა. ფლობდა 60-მდე სოფელს, დაახლოებით 1500-მდე კომლ გლეხს; ჰყავდა 13 გვარის ვასალი აზნაური, სამფლობელოს ცენტრი

იყო სოფ. მუხრანი, სადაც ჰქონდათ სასახლე, ციხე, კარის ეკლესია და სხვ. სხვადასხვა დროს მუხრანბატონები ქართლის გამგებლებიც იყვნენ: მეფე ვახტანგ ბაგრატიის ძე, ქაიხოსრო ვახტანგის ძე, ვახტანგ თეიმურაზის ძე; ქართლის მეფე იყო ვახტანგ V; ვახტანგ VI... ამ სახლის წარმომადგენელი იყო დიდი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი, ქეთევან წამებული და სხვ. [7, 230].

გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი, დაბადებული იყო 1871 წელს სოფ. მუხრანში. სათანადო განათლების მიღების შემდეგ იგი ცარისტული ხელისუფლების სამსახურში შევიდა და დიდ წარმატებებს მიაღწია. 1855 წლიდან მეფისნაცვლის საბჭოს წევრად დანიშნეს. 1858-1868 წლებში მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს იურიდიულ საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი იყო. 1864 წელს სენატორად აირჩიეს; 1872 წელს მას სტატ-მდივნობა მიანიჭეს. ერთხანს იმპერიის დედაქალაქ — პეტერბურგშიც ცხოვრობდა...

მართალია, ფართო საზოგადოებისათვის იგი მანამდე ცნობილი არ იყო, მაგრამ, მთავარია, მას, მის ერთგულებას, კარიერისტულ მისწრაფებებს კარგად იცნობდნენ კავკასიის სამეფისნაცვლოს მაღალ ეშელონებში და განსაკუთრებული ერთგულებისათვის, პატივსა და ღირსებასაც შესაფერისს მიაგებდნენ.

გ. მუხრანსკომ, ცარიზმის ამ ერთგულმა მსახურმა, ხელისუფლების საამებლად დაწერა და გამოაქვეყნა ბროშურა, რომელშიც გადმოსცა რუსული დიდმპყრობელური რეაქციული ეროვნული პოლიტიკის თეორიული დასაბუთება... [7, 230].

ბროშურაში, რომლის სათაურია — „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“ [1] — ავტორი ამტკიცებს, რომ კაცობრიობის პროგრესი მცირე ერების მოსპობას, დიდი ხალხების გაბატონებას და დიდი მოცულობის „სახალხო ორგანიზაციების“ შექმნის აუცილებლობას გულისხმობდა. მუხრანბატონის აზრით, პატარა ხალხები განწირულნი იყვნენ, მათ არ შეეძლოთ სრულყოფილი სახელმწიფო ორგანიზმის შექმნა, ამიტომ მსხვილ ეროვნულ ერთეულებში უნდა გათქვეფილიყვნენ. პატარა ხალხისათვის დიდ ხალხთან ყოველგვარი შეერთება-შერწყმა ნიშნავდა საკუთარი ენის დაკარგვას. მცირე ხალხების მისწრაფება ინდივიდუალური არსებობის შენარჩუნებისაკენ, — მუხრანბატონს არა-მარტო უიმედოდ, არამედ მავნედაც კი მიაჩნდა [7, 230].

მისი ეს შეხედულებანი ქართული მონინავე საზოგადოების წარმომადგენლების მკაცრი კრიტიკის საგნად იქცა...

ბროშურა, რომელიც სულ 52 გვერდს მოიცავდა, თბილისში გამომავალ კავკასიის მთავრობის ოფიცოზ, გაზეთ „Кавказ“-ში 1872 წელს განსაკუთრებული დამატების სახით დაისტამბა. აღსანიშნავია, რომ ბროშურაზე მითითებული არ იყო არც ავტორის ვინაობა, არც საცენზურო კომიტეტის ნებართვა და სხვ. აქედან კარგად ჩანს, რომ აღნიშნული „ნაშრომი“ ოფიციალური ხელისუფლების მითითებით და დასტურით იყო დაწერილი და დასტამბულიც. ამ მოსაზრებას კიდევ უფრო გვიმტკიცებს თვით გაზეთ „Кавказ“-ში დაბეჭდილი პავლე ზალსკის ვრცელი რეცენზია, რაც მიანიშნებს, ოფიციალური ხელისუფლების დამოკიდებულებაზე... ეს იყო წინასწარ გამიზნული ფანდი იმის გასაგებად, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა იგი, უპირველეს ყოვლისა, კავკასიის მრავალეროვან მოსახლეობაზე.

პირველი ვინც ხსენებული ბროშურის გამოსვლას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა გაზეთი „დროება“ და მისი რედაქტორი ს. მესხი იყო. თავის 8 სექტემბრის ნომრის „ბიბლიოგრაფიის“ განყოფილებაში იგი ბეჭდავს საკმაოდ ვრცელ რეცენზიას, რომელშიც საფუძვლიანადაა შეფასებული ბროშურაში ავტორის მიერ გაცხადებული მოსაზრებები...

ს. მესხი აღნიშნავდა: „არიან ისეთი ცრუ-მეცნიერნი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ადრე თუ გვიან ყველა წვრილი ხალხები უთუოდ უნდა შთაინთქან დიდი ერებისაგანო; პატარა ხალხი როდისმე, უეჭველია ძალაუნებურად უნდა დაემორჩილოს იმ მსხვილ ხალხს, რომელიც იმის მეზობლად ცხოვრობსო; იმან უნდა დაივინყოს თავისი ენა, სარწმუნოება, ხასიათი და ჩვეულება და ყველაფერი იმ თავის მეზობელ მსხვილ ხალხის უნდა შეითვისოსო... ჩვენ არას ვიტყვით, რამდენიც სიმართლე და ჭეშმარიტება არის ამ უნუგეშო და ყოვლად უაზრო სწავლაში იმის მეტი,... რომ ერთმა მაინცა და მაინც მეორე უნდა შთანთქას და მოსპოს, თუ კი ორივეს ცალ-ცალკე თავისუფალი ცხოვრება და არსებობა შეუძლიათ და ამ არსებობით თუ არ შემატებენ, არას დააკლებენ კაცობრიობას...“ [4, 232; 12].

ს. მესხს მიაჩნდა, რომ „ბროშურაში თითქმის არცერთი რიგინი და დამტკიცებული ჭეშმარიტება არ იყო გამოთქმული“ (გვ. 254), რომ ავტორი ეჭიდებოდა ისეთ საკითხებს, რომლის შესახებაც წერა

მისი საქმე არ იყო ანუ კრილოვის აზრი რომ გავიმეოროთ „ხარაზმა პურის ცხობას არ უნდა მოჰკიდოს ხელი და ხაბაზმა კერვასაო“...

რა თქმა უნდა, ს. მესხისათვის მიუღებელი იყო ავტორის ისეთი მოსაზრება, როგორცაა: „კაცობრიობის ყოველ-მხრივი მეცნიერებისა და წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა პატარა ხალხებმა დაჰკარგონ თავიანთი საკუთარი ხალხოსნობა, თავის ენა, ჩვეულება და განსაკუთრებული ცხოვრება და დიდ ხალხებს შეუერთდნენო“ [4, 255]... და ეს „შეერთება“ წარმატებით რომ განხორციელდეს, პირველად „ყოველი ხალხის განმაცალკევებელი“ საშუალება — ენა უნდა „გაუქმდეს“, რადგან „ენა არის ორგანო, რომლის საშუალებითაც კაცობრიობა მიდის წარმატებაში“, ამიტომ რაც უფრო მრავალრიცხოვანია ესა თუ ის ხალხი, იგი მით უფრო განათლებულია და მას ადვილად შეუძლია მთელი კაცობრიობის წინ წაწევა; ხოლო რაც შეეხებათ წვრილი ხალხების ენებს „ისინი უნდა გაუქმდნენ და უნდა სამუდამოდ გაჰქრნენ და აღიხოცონ დედა-მინიდა-ნო“ [4, 255].

ამასთან დაკავშირებით, ს. მესხი შენიშნავდა: „კაცი იფიქრებს, რომ უცნობ ავტორს ხალხი და მათი ენა რომელისამე დეპარტამენტის თანამდებობად მიაჩნია! თითქო ხალხის ენის გაუქმება ისე ადვილი და შესაძლებელი იყოს, როგორც რომელისამე თანამდებობისა დეპარტამენტში!“ [4, 256], რომ ავტორს „ერთის კალმის მოსმით ჰსურს, შესცვალოს ხალხის ხასიათი, ჩვეულება, ცხოვრება; ჰსურს წაართვას მას მშობლიური ენა, რომელიც ყველაზე უფრო ძვირფასია კაცისათვის და რომლის წართმევა თითქმის სიცოცხლის წართმევას უდრის“.

ს. მესხის აზრით, ასეთი ძალდატანებით გაკეთებული საქმე სიკეთეს ვერასოდეს მოიტანდა და, მაშასადამე, „რა მნიშვნელობა აქვს ავტორის იმ რჩევას, რომელსაც იგი იძლევა — რომ დიდი ხალხები წვრილების გაუქმებას უნდა ცდილობდესო“ [4, 254-258].

„რასაკვირველია, — განაგრძობდა „დროების“ რედაქტორი, — ქალაქი რასაც კი დაწერ, ყველაფერს „მოითმენს“, ყველაფერს გამოხატავს თავის თეთრ ფონზე, მაგრამ თუ არავითარი ახალი და საზოგადოებისათვის სასარგებლო არა აქვს-რა თავში გამოსათქმელად, ამისთანა კაცი რისთვის უნდა აწვალდეს ტყუილუბრალოთ ქალაქსა და რისთვის უნდა ხარჯავდეს უნაყოფოდ მელანსა?“ — და შემდეგ სათქმელს უფრო აკონკრეტებს: „ამგვარი აზრები აღიძ-



რა ჩემში, როდესაც ის პატარა უცნობი ავტორის ბროშურა წავიკითხე, რომლის სახელი ზევით არის ამონერილი“ [4, 254].

ს. მესხი ბროშურის ავტორის გასაგონად აღნიშნავდა: „ძალდატანება და ფიზიკური ძალის ხმარება კაცობრიობის გონიერ მოქმედებას არ შეჰფერის. ძალდატანებით გაკეთებულ საქმეს არასოდეს მკვიდრი საძირკველი და დიდი ხნის სიცოცხლე არა აქვს. თუ არ ძალდატანებით, თუ არ გასაკითხი საშუალებების შემწეობით, ხალხი არასოდეს არ მიატოვებს თავის განსაკუთრებულ ცხოვრებას და ამ გვარადაც დაკარგულის აღდგენას ყოველთვის ეცდება. მაშასადამე, რა მნიშვნელობა აქვს იმ რჩევას, რომელსაც უფ. ავტორი აძლევს, რომ დიდი ხალხი წვრილების გაუქმებას უნდა სცდილობდესო! რა მნიშვნელობა აქვს იმ რეცეპტს, რომლითაც იმას ჰსურს ამ საქმის სისრულეში მოყვანა?...“ [12].

იქვე დაბეჭდილ ლექსში — „რჩევა“ ნათლად არის ახსნილი, რომ ბროშურაში განფენილი აზრებით ავტორი „დიდებას უკმევს“, პატარებს „ჯანიც გავარდეს“ პრინციპით... და რომ ასეთი საქციელი, მონის საქციელი იყო!...

„თუმცა დიდთა პირ-ფერობა  
არის მონებრივი ქცევა,  
მაგრამ მაღლა აცოცვისთვის  
უნდა თურმე კუდის ქნევა“ [12].

იმავე ხანებში „დროება“ თავის „ფელეტონის“ განყოფილებაში ბეჭდავს გამონბაურებას „მახარობელი ხუჭუას“ ხელმოწერით, რომელშიც დაუნდობელი მხილებაა, იმ კაცისა, ვინც ივინყებს სახარებას და თავისი განდიდებისათვის ყველაფერზე მიდის...

„მას დღესა შინა იყო კაცი ვინმე,... რომელმანცა უარჰყო თავი და მამულიცა თვისი და იმ განზრახვითა, რათა შედგომილიყო უფლისადმი, არამედ რათა აღსულიყო უმაღლესსა ხარისხსა ზედა ამა სოფლისა. კაცმან მან დაივიწყა ტომი თვისი, უარჰყო სამშობლო მამული და ძმანიცა თვისნი და ქადაგებდა მათ, რათა აღხოცონ სახსენებელი მათი პირისაგან ქვეყნისა, გარნა უფალმან, ყოველთა გულთა მეცნიერმან, გულისხმა ჰყო ესრეთი ბოროტება მის კაცისა, რამეთუ იგი უქადაგებდა კაცსა ესრეთსა, არა სიყვარულისათვის უფლისა თვისისა, არცა კეთილდღეობისათვის მოძმეთა თვისთა, არამედ საკუთარის სარგებლობისათვის მისისა და აღსვლისათვის განზრახულის მისგან ხარისხსა ზედა... ამიტომ განრისხდა უფალი მას ზედა და რქუა მას: „არა აღმოგიკითხავსა, შენ ბოროტო. რომელსა უყვარ-

დეს ძმა თვისი, იგი ნათლისა შინა არს და საცთური არა არს მასთანა, ხოლო რომელსა სძულდეს ძმა თვისი, იგი ბნელსა შინა არს და ბნელსა შინა ვალს, რამეთუ ბნელმან დაუბრმნა თვალნი მისნი?...“ და სხვ. [13].

წლების მერე ეს სახარებისეული სიტყვები რეალობად ექცა გ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, პარიზში სამკურნალოდ მყოფს, ცალი თვალისჩინ წართმეულს, როცა ექიმებმა უთხრეს, მეორეშიაც დაკარგავთ მხედველობას, ანუ დაბრმავდებითო, გული გაუსკდა (როგორც მაშინ წერდნენ „დამბლა“ დაეცა და სული განუტევა!... [15].

ბროშურის გამოცემას, ასევე ოპერატიულად გამომხაურებია თბილისში გამომავალი სომხური გაზეთი „მშაკ“-ი, რომლის რეცენზენტის თქმით, ცივილიზაციის განვითარებაში დიდი წვლილი ჰქონდა შეტანილი — სომხებს, სირიელებს და ქართველებს, რომლებიც პირველი ერები იყვნენ აზიაში ქრისტიანობა რომ მიიღეს და მისი ერთადერთი დამცველები გახლდნენ; რომ „საუკუნეები საუკუნეებს მისდევდა და ეს ერები თავისი გმირული ძალისხმევით განუწყვეტლივ იბრძოდნენ მაჰმადიანური ელემენტების წინააღმდეგ და თავისი სისხლით შეინახეს კავკასია და მცირე აზია ცივილიზაციისათვის“-ო [17].

„დროებისა“ და „მშაკის“ გამომხაურებებს მოჰყვა გაზეთ „კავკაზის“ ორ ნომერში დაბეჭდილი ვრცელი წერილი პავლე ზალსკისა, რომელიც ამასთან ერთად გამომხატველი იყო რედაქციის, ანუ ოფიციალური ხელისუფლების პოზიციისა... და, რა თქმა უნდა, მთლიანად იწონებდა და მხარს უჭერდა გ. მუხრანსკის მიერ ბროშურაში განვითარებულ მოსაზრებებს... «Каждый кто читал брошюру, \_ აღნიშნავდა იგი, \_ помнит, что задача, которую поставил себя ее автор, состоит в том, что «уяснить постоянные причины или законы, управляющие развитием человеческих обществ» [26].

იქვე «Кавказ»-ის კორესპოდენტი ბროშურაში დაფიქსირებულ მოსაზრებას — «слияние малочисленных племен в состав крупных народных единиц, обладающим полны современным организмом, является необходимым и неизбежным историческим законом для выполнение целей predetermined человечеству» — აღტაცებით ხვდება და თავის მხრივ უმატებს: «малочисленные племена необходимо и по собственному побуждению сливаются с многочисленными племенами» [27].

1872 წლის ყურნალ „კრებულის“ მეათე-მეთერთმეტე-მეთორმეტე გაერთიანებულ ნომერში დაიბეჭდა მ. პეტრიძის (პ. უმიკაშვილის) ვრცელი და დასაბუთებული წერილი — სათაურით — „მცირე ტომთა ენებზე“. სტატიას ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს სტრიქონები „ვეფხისტყაოსნიდან“ — „მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ძნელია: ბოროტსა ჰსძლია კეთილმან... არსება მისი გრძელია“.

ავტორი სტატიის შესავალში მიუთითებს: „საკვირველად კარგ დროს გამოვიდა ეს პატარა წიგნი!.. (გულისხმობს გ. მუხრანსკის ბროშურას) ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ აქაურ ადგილობრივის ენების (ქართულის, სომხურის და თათრულის) სწავლებაზე წრეულს დიდი ლაპარაკი იყო არამც თუ ჩვენს საზოგადოებაში, აქაურს ქართულ, სომხურ და რუსულ, არამედ პეტერბურლის და მოსკოვის გაზეთებშიცა...“. მაგრამ მათ განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებაში არ გამოუწვევიათ... რაც შეეხება ახლადგამოსულ პატარა წიგნს, მან ყურადღება მიიქცია იმით, რომ მასში „არის გამოთქმული აზრები“, რომლის მიხედვით „ყველა პატარა ხალხების ენები უნდა გაუქმდეს და შემოვიდეს დიდი ხალხების ენები“ [19; 20].

„კრებულის“ ავტორის აზრით ახლადგამოცემულ „ამ უსახელო ბროშურაში გამოწერილია ის აზრები, რაც ამ ათიოდ წელიწადში გამოთქმულა ენების გაუქმებაზე“, თუმც იმ ბროშურაში მხოლოდ თეორიული სჯა-ბაასია და არა საბოლოოდ ჩამოყალიბებული, პრაქტიკაში პირდაპირ გამოსაყენებელი დებულებანი.

მ. პეტრიძე საკმაოდ დამაჯერებლად უსაბუთებდა ბროშურის ავტორს, მისი აზრების მცდარობას, არ ეთანხმებოდა იმაში, თუ ვინ უნდა განუსაზღვროს ერს ენის საჭიროების აუცილებლობა; რამდენად ვნება მოაქვს ადგილობრივ ხალხთა გონებითი და ზნეობითი ნამდვილი საჭიროებისათვის... და თუ აუცილებელია პატარა ხალხებისა და მათი ენების მოსპობის აუცილებლობა, მაშინ, რით უნდა „გაიზომოს ეს საჭიროება, ან რა უნდა იყოს ამის საზომი“-ო და ა. შ. (გვ. 52). „ვინ უნდა განგვისაზღვროს გამორკვევით მიჯნა ენის ხმარებისა? ნუთუ ავტორს შეუძლია ამის ახსნა?..“ არა! ანუ მისი აზრები დაულაგებელი, არეულ-დარეულია... „აი რასა ჰქვიან აზრების არევ-დარევა და ანარხია! ვისაც ენების როლის განსაზღვრა უნდა, ჯერ კარგად უნდა დაფიქრდეს აზრების ანარხიაზე, დამოკიდებულს ყოფაცქვეის ანარხიაზე“ — დაასკვნის მ. პეტრიძე [19; 20].

დიდ ერებთან მცირე ერების შერწყმისა და, განსაკუთრებით, ამ მცირე ერების ენათა კვდომის შესახებ გ. მუხრანსკის მიერ გამოთქმულ რეაქციულ მოსაზრებას, ი. გოგებაშვილი, დიდი რუსი პედაგოგის კ. უშინსკის სიტყვებით პასუხობდა: „ენა ხალხისა არის საუკეთესო, დაუმჭკნარი და ყოველთვის ახლად გაფურჩქენილი ყვა-ვილი იმის სულიერის ცხოვრებისა, რომელიც ინყობა შორს, ისტორიის საზღვარს იქით. ენაშია შთაბერილი სული მთელის ხალხისა და მთელის იმის დედაქვეყნისა... ენა არის ცხოველი, მკვიდრი კავშირი, რომელიც სულს უდგამს წარსულს, აწმყოს და მომავალს თაობას ერისას. ის არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია — ის არის თვით სიცოცხლე. როცა ხალხის ენა ჰქრება, — ჰქრება ხალხიც. ვიდრე ენა ცოცხალია და ხალხი იმაზე ლაპარაკობს, — ხალხიც ცოცხალია. და იმისთანა აუტანელი ძალადობა არა იქნება-რა, რომ წაართვა ხალხს სამკვიდრო, შექმნილი და დატოვებული აუარაცხელი უწინდელი თაობათაგან. წაართვით ხალხს ყოვლისფერი — და ის ყოველისფერის დაბრუნებას შეიძლებს, მაგრამ, თუ ენა წაართვით, — თავის დღეში ვეღარ შექმნის მას; ახალს სამშობლოს კიდევ შექმნის ხალხი, მაგრამ ენას კი ვეღარ; მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც!.. ენა არის სრული და სარწმუნო მატიანე ხალხის სულიერ და მრავალსაუკუნე გავლილი ცხოვრებისა და იმავე უდიდესი ხალხის მოძღვრი“ [6, 150].

ი. ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე გ. მუხრანსკი თავისი ბროშურით ასე „სახელმძოხვეჭილი“ გახდებოდა, მოურიდებლად და დაუნდობლად ამხელდა მას თავის „გამოცანებში“ სამშობლო ქვეყნის წინაშე „განსაკუთრებული დამსახურების გამო“.

„კობტა და ლობემძვრალა,  
პატარა და ჩამომხმარი,  
ცხვირ-ნისკარტა, ნიკაპ-წვეტი,  
უჟმური და განს-გამდგარი.  
ჭკვით და გულით მოცვეთილა,  
ქვეყანაზე უქმად გდია,  
თვით მალლა ზის, ქვეყნის საქმე  
მასაც ფეხებზე ჰკიდია“ [16, 179-180].

იაკობ მანსვეტაშვილის თქმით, სენატორმა გ. მუხრანსკიმ „სახელი და უფრო კი წარჩინება და აღმატება მოიხვეჭა იმით, რომ დაბეჭდა და საზოგადოებაში ავრცელებდა წიგნაკს ამ სათაურით:

„О существе национальной индивидуальности и...“, სადაც ამტკიცებდა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა უნდა შთანთქან პატარებიო. ცხადაა ამ პატარებში ნაგულისხმევი იყო ჩვენი საქართველოც. ამის გამო ილია სხვა ადგილას ასე სწერდა ამ მუხრანსკიზე:

„პირველ თქვენგანმა, იმა ბედშავმა,  
მას მკვდრის სუდარა გადააფარა“ [3, 126-127].

1872 წლის აგვისტოში ილია გ. მუხრანსკის „ნაშრომის“ განსაქიქებლად სწერს ლექს-პამფლეტს, სათაურით „რჩევა“, რომელსაც აქვეყნებს გაზეთ „დროებაში“ (35).

„თუ გინდა, ძმაო, იგემო  
ამა ქვეყნისა შვებანი,  
დიდთა საფერად მოჰმართე  
შენი გულ-სიტყვის ებანი.

მერე ბრძნობით შეიმოსე,  
დიდთა უკმიე, სხვათ არა,  
და იქადაგებ: — „წესია,  
რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა“.

ამა წესის სიმართლისა  
შენ საბუთი ვინ მოგკითხოს,  
- „ჯერ ეგრე-თქო, დამიჯერეთ,  
- საბუთი-თქო მერე იყოს“

დიდნი ხომ დაგიჯერებენ,  
აბა უარს რად იტყვიან?!  
პატარებს ჯანი გავარდეს,  
დიდნი მადლს გადაგიხდიან.  
თუმცა დიდთა პირფერობა  
არის მონებრივი ქცევა,  
მაგრამ მალლა აცოცვისთვის  
უნდა თურმე კუდის ქნევა...“ [12].

ილიას მეუღლის — ოლლა გურამიშვილის დაკრძალვისას მთანმინდაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოსებ იმედაშვილი იხსენებდა იმ უმძიმეს წლებს, როცა შეუბრალებლად იდევენბოდა ყოველივე ქართული, მათ შორის ქართული ენაც... მისი თქმით: „ქართული ენა იდევენბოდა, მისი

სწავლება ოფიციალურად იკრძალებოდა. მონარქიზმის შავრაზმელ მოხელე რუსიფიკატორთა მთელი ლაშქარი ამჟამად ბრძანებდნენ — რის სამშობლო, რა საქართველო, ბუნების კანონი ასეთია — „დიდი თევზი ყლაპავს პატარა თევზს, დიდი ერი პატარა ერს“. ამ მგლური ეთიკით ჩვენ უკვე „სულთა თანასა“ გვიგალობდნენ...

სამწუხაროდ, ქართველი ერის, ენისა და კულტურის გაუქმება-აღმოფხვრას, ქართველების გარუსებას მხარს უჭერდა ზოგი უღირსი, ტვინთხელი და სვინდისდაკარგული (ხაზგასმა ჩემია — გ. ს.) ქართველიც. მაგ. სენატორი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანსკი, რომელმაც თავი ისახელა ქართველი ხალხის გარუსების დასაბუთებაზე 1872 წელს რუსულად გამოცემული წიგნით.“

მაგრამ ამაოდ ირჯებოდნენ ქართველი ერის მტრები — მონინავე ქართველი ინტელიგენცია ილია ჭავჭავაძის მეთაურობით... მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ შავრაზმელთა შეტევებს და იცავდნენ ქართველი ერის უფლებებს. **ქართველი ერის ღალატისათვის ყოვლად სამღვდელომ ალექსანდრემ** (გულისხმობს ეპისკ. ალ. ოქროპირიძეს — გ. ს.) **სასტიკად შეაჩვენა ეროვნებაწაბილწული ბაგრატიონი**“ [9, 416].

შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ იმ ხანებში საქართველოში პირველად ჩამოვიდა ხელმწიფე-იმპერატორი ალექსანდრე II. მას, რა თქმა უნდა, აღფრთოვანებით შეეგება კავკასიის სამეფოს-ნაცვლო — დიდი მთავრის მიხ. რომანოვის მეთაურობით. რიგები იდგა ქართველი მედროვეებისა, რათა როგორმე თვითმპყრობელის თვალთახედვის არეში მოხვედრილიყვნენ. მათ შორის იყვნენ არა მარტო მუხრან-ბატონთა სახლის, არამედ სხვა გამორჩეული საგვაროების წარმომადგენლები, სადაც უკონკურსოდ წინა რიგებში იდგა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს წევრი, ინფანტერიის განერალი გრ. ორბელიანი, რომელსაც იმპერატორმა თავისი ხელით ჩამოკიდა უმაღლესი სამეფო ჯილდო — წმ. მონამეთა სწორის ანდრია პირველწოდებულის ორდენი... ცოტა ხნის შემდეგ კი გ. მუხრანსკის სტატ-ინსპექტორობა უბოძეს და პეტერბურგში ცხოვრების შესაძლებლობა მისცეს... რაც მისი განსაკუთრებული დამსახურების აღიარებას ნიშნავდა. აქვე ისიც შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის იმპერიის დიდმოხელეს, გენერალ გრ. ორბელიანს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დასარჩენად უკვდავი პოეტური ნაწარმოებებიც ეყოფოდა, მაშინ როცა გ. მუხრანსკის სახელს, იმ „უმსგავსო თეორიისათვის“ (ს. მესხი) ერის მესხიერება არც შემოინახავდა... ანუ შეიძლება ით-

ქვას, რომ „ნაშრომმა“ რომის გადამრჩენელი ბატების როლი შეასრულა მის ცხოვრებაში და ასე შემორჩა ისტორიას...

საინტერესოა ისიც, რომ ცარისტული რეჟიმის უერთგულეს მოხელეს, სენატორსა და სტატ-მდივანს, რამოდენიმე წლის შემდეგ მძიმე ავადმყოფობით გარდაცვალებულს ერთი პატარა სამგლოვიარო განცხადება უძღვნა გაზეთმა „კავკაზმა“, სადაც მითითებული იყო, რომ „კვირას, 16 იანვარს, შუადღისას, სასახლის ეკლესიაში გამართებოდა პანაშვიდი სტატ-მდივნის თავად გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელის გარდაცვალების გამო“ [28].

ხოლო მეორე კერძო სამგლოვიარო განცხადება უფრო მეტი ინფორმაციის შემცველი იყო: „პარიზში გარდაცვლილი სტატ-მდივნის თავად გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკის ძმები — თავადები ივანე და ირაკლი აცნობებენ გარდაცვლილის ახლობლებს, თანამოსამსახურეებს და ნაცნობთ, რომ პარასკევს 21 იანვარს, დღის 12 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი კლასიკური გიმნაზიის ეკლესიაში“ [29].

ესაა და ეს! ოფიციალური ხელისუფლება ამით დაკმაყოფილდა მისთვის ერთგული და დამაშვრალი პიროვნების დამსახურების წარმოსაჩენად.

მხოლოდ გაზ. „დროებამ“ ამცნო თავის მკითხველებს: „ქალაქში ლაპარაკობენ, რომ სენატორი თ-დი გ. მუხრანსკი გარდაცვალა პარიზში, სადაც განსვენებული კარგახანია საექიმოთ იყო წასული. სიკვდილის მიზეზი, როგორც ამბობენ, დავლა ყოფილა: სხვა ავადმყოფობასთან განსვენებული, განსაკუთრებით, თვალეზის მიზეზით იყო ავათ. ასე, რომ ამ უკანასკნელ დროს ერთი თვალით თითქმის დაბრმავებულა. სიკვდილის წინეთ პარიჟის ექიმებს ეთქოსთ ვითომც, რომ ამ ცოტა ხანში მეორე თვალაც დაგიბრმავდებაო. ამ სამწუხარო ამბის გაგონების შემდეგ, განსვენებულს, როგორც ამბობენ, მოსვლია დავლა და უცებ მომკვდარა კიდეც.

თ-დ გ. მუხრანსკის თხზულება: О существе национальной индивидуальности и о крупных единицах... რომელმაც ჩვენ მწერლობაში ამ სამიოდე წლის წინათ დიდი ყურადღება მიიქცია... ჩვენ გავიგონეთ, რომ განსვენებულს პარიზში ფრანცუზულს ენაზე გარდაუთარგმნია ეს თავისი თხზულება და გამოცემასაც ეპირებოდაო“ [15].

აი, ასე „თურმე გარდაცვლილის“ დონეზე გაიგო ქართველმა საზოგადოებამ გამოჩენილი ქართველი გვარიშვილის და რუსეთისათვის თავდადებული მოღვწის სიკვდილის ამბავი...

ერმა იცის, ვის როგორ მიაგოს პატივი!..

\* \* \*

აღსანიშნავია, რომ ეპისკოპოს გაბრიელს ღია პოლემიკაში მონაწილეობა არ მიუღია (ყოველ შემთხვევაში, ბეჭდური სიტყვის მეშვეობით). მაგრამ, როგორც თავისი ქვეყნისა და ხალხის წარსულის საუკეთესო მცოდნეს, მშობლიური ენის მოყვარულსა და დამცველს, ამასთან „ერთ სამეცნიერო ისტორიულ საგანზე ბაასის“ მოსურნეს, ავტორთან წერილობითი საუბრის სურვილი გაჩენია „არა უსარგებლო ცილობის და ამოო თავისმოყვარეობისა გამო, არამედ იმ განსაზღვრით, რომ იქნება ამ ჩვენი ურთიერთ შორის ბაასით ჭეშმარიტება აიხსნას უმჯობესად“ და კაცი, რომელსაც „ამ წიგნს ვწერ საწყენად არ მიღებას ჩემს წერილს, თუმცა-ღა იგი არ ეთანხმება მის აზრებს“ [2, 92].

დიახ, გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, რომლის შესახებაც მოგვიანებით დიდი ილია იტყვის — ეს „საისტორიო კაცი“, რომელიც „სარწმუნოებას ამეცნიერებდა და მეცნიერებას ასარწმუნოებდა“ [ი. ჭავჭავაძე. რწ. ნაწარმ. ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1987, გვ. 421] დინჯად და აუჩქარებლად უსაბუთებს თ-დ გ. ბაგრატიონ-მუხრანსკის, მის მიერ თავის ბროშურაში გამოთქმული აზრების, დებულებების უსამართლობას... და იქვე იმის თქმასაც არ ერიდება, რომ „რადგანაც შენ იურისტი ხარ და გონება ყოველთვის გართული გაქვთ დიდ-დიდ სამოქალაქო საქმეებში, ამოსავლის ნამეტანი ფიცხელი იდეალი შეგიყენებიათ სახელმწიფო მკვიდრობაზე და სიმაგრეზე. ამ შემთხვევაში შენზედაც ითქმის ის ანდაზა, რომელსა ამბობენ შენებრ ფიცხელ იურისტებზე *pereat mundus, fiat justia* (ქვეყანა დაიქცეს, ოღონდ სამართალი კი აღსრულდეს). ქვეყანა თუ დაიქცა სამართალი ვისთვის იქნება საჭირო“ [2, 99].

საინტერესოა აღინიშნოს, რომ წერილები ქართულ ენაზეა დანერგილი. გაბრიელ ეპისკოპოსი ამასთან დაკავშირებით ესიტყვება გ. მუხრანსკის. „ამ შენმა წიგნმა კარგი ქართული ენით დანერგილა, გაამტყუნა ზოგიერთი შენი ბროშურის წამკითხველნი, რომელნიც ამბობდნენ: უთუოდ მან თვითონაც კარგად არ იცისო ის უბედური ქართული ენა, რომელსაც სხვათაშორის უწინასწარმეტყველა



მოსპობა და გაქარვება. მე კი აქვე ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ეს ჩემი პასუხი არ არის ისეთი კარგი ენით დაწერილი, როგორც შენი წიგნი“ [2, 92].

გაბრიელ ეპისკოპოსი წერილის დასაწყისშივე აქცენტს ბროშურაში მითითებულ მართებულ მოსაზრებაზე აკეთებს: „ენა კაცისათვის და მეტადრე საზოგადოდ ხალხისათვის ის არის, რაც სული ხორცისათვის“ [19, 93]. და თუ ეს აზრი, — „ბუნების კანონი არის, უსარგებლო იქნება ყოველი წინააღმდეგი ზრუნვა და ლაპარაკი. ბუნების წესი, ვით თვით ღმერთის წესი, სრულდება ჩვენდა დაუკითხავად. მისთვის სულ ერთია — მოგწონს თუ არა მისი კანონი. მაგრამ რით ამტკიცებ შენ, რომ ის მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება) არის ბუნებითი წესი?“ [19, 93]. ეს არის შენს მიერ გამოთქმული თეორია, მართალია ღრმად მოაზრებული და ღონივრად გამოთქმული თეორია, მაგრამ მაინც თეორია... თეორია, კი რაც გინდ ღრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერასოდეს ვერ ახსნის... კაცობრივს ისტორიულ ცხოვრებასა...“ და იქვე შეახსენებდა ოპონენტს, რომ „დედამინის ზურგზე, დასაბამიდან ქვეყნისა ვიდრე აქამომდე და ახლაც ჩვენს დროებაში, არ ყოფილა და არ არის ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელსაცა შინა ყოველნი მცხოვრებნი ლაპარაკობდნენ ერთი ენით: ყოველ დიდ სახელმწიფოში ყოველთვინ და ყოველგან, გარდა ერთი უმთავრესი სამმართველო ენისა, ყოფილან სხვა წერილწერილნი ენები; გარნა ეს გარემოება არაფერს არ უშლიდა და არც ახლა უშლის, ე. ი. მარტო ამ გარემოებას სახელმწიფო არსად არ გაურღვევია, არც დაუსუსტებია [19, 94].

გაბრიელ ეპისკოპოსი იმასაც შეახსენებს ბროშურის ავტორს, რომ „ისტორია, მართალია, იხსენებს მრავალთა თესლთა და ენათა, რომელნი თითქმის გარქარდნენ ისტორიული ასპარეზიდან, მაგრამ ამის მიზეზი იყო — ძალადობა, მტრობისაგან შევიწროება, იძულება, ამონყვეტა!“ ენის მთლიანად მოსპობა შეუძლებლად მიაჩნია ეპისკოპოსს. თვით საფრანგეთშიც კი, სადაც რომაელმა და ფრანგმა ამონყვიტეს იქ მცხოვრები გალილიები, მაგრამ ენის მოსპობა მაინც ვერ შეძლეს და ნორმანდიის პროვინციაში ახლაც არიან ნაშთნი მათის თესლისა (კელტების), რომელთა მათი ძველი ენა აქვთ შენახული... ანდა იმავე საფრანგეთში, „ისპანიის საზღვრებთან ახლაც ცხოვრობს ერთი ძველი იბერეთის დანარჩენი ხალხი, სახელად ბასკი, რომელიც ახლაც თავის ძველს ენას ხმარობს... ევროპის პირ-

ველმა ენამ (გულისხმობს ფრანგულს — გ. მ.) ვერ მოსპო ბასკების ველური, ძველი ენა, რომელსა ხმარობს ერთი მუჭა ხალხი ორიათა-სი წლის განმავლობაში“ [19, 95].

გაბრიელ ეპისკოპოსი თვლის და ეთანხმება ოპონენტს, — ჩვენი ხალხი და ქვეყანა რომ არ შესულიყო ძლიერი რუსეთის ხელმწიფის ხელში, ახლა ჩვენ შთანთქმულ ვიქნებოდით მაჰმადიანობის სიბნელეში... „შეერთება (слияние) სხვა არის და შთანთქმა სხვა. ყოვლისფერით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთან: სულით, გულით, აზრით, ინტერესებით; მაგრამ მისი ენის მოსპობა არ შეიძლება...“. თუმცა ენაზე უდიდესნი არიან სხვა კავშირნი, რომელიც შეაერთებენ უფრო მაგრათ ხალხთა და ტომთა: შინაგანი კაცის და ხალხის გრძნობა, აზრი, ხასიათი ენაზე უდიდესია: ენა არის მხოლოდ გამოთქმული, გარეგანი სახე. თუ სიყვარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებს კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა აქ ვერაფერს იქს...“ [19, 96-97].

გაბრიელ ეპისკოპოსი მოურიდეებლად ეუბნებოდა გ. მუხრანსკის: შენი ბროშურის აზრს, თუ უკაცრავად არ ვიქნები ამის თქმით: ის ავნებს, რომ იგი გამოთქმულია კატეგორიულად, ანუ აქსიომების მსგავსად. აქსიომები კი „მარტო მათემატიკაში არიან მისაღებნი, ისტორიაში და ფილოსოფიაში ძნელად მოიპოვებიან ისინი“ [19, 97].

იქვე გაბრიელ ეპისკოპოსი მეტად საინტერესო საკითხსაც ეხება და სავსებით დამაჯერებელ მოსაზრებას გამოთქვამს მცირე ერების შესახებ...

„ჩვენც, ქართველნი და სომეხნი მცირე ხალხი ვართ ერთი მხრით; — მეორე მხრით — აფხაზნი, ოსნი, ლეკნი ანუ, ვთქვათ, რუსეთში — მორდვა, ჩერემესი და სხვანი — მცირე ხალხნი არიან, მაგრამ ნუთუ ორივე ამ ღრუბვა (группа) ხალხზე ერთი და იგივე ითქმის შესახებ მათი ენისა?“ რომ ეს ენები უკიდურესად ღარიბნი არიან, მათ არა აქვთ ანბანი და წიგნობრიობა, მითუმეტეს არა აქვთ ლიტერატურა. „თითქმის მამაო ჩვენო ხეირიანად ვერ გადითარგმნება აფხაზურ ენაზე...“ მათ არა აქვთ ისტორიული ცნობიერება... „ამისთანა ხალხებზე მარტო რომ გეთქვა ის აზრი შენი, მაშინ არ გაუძნელდებოდა კიდევ კაცის გონებას მიღება მისი; მაგრამ ქართულს სომხურს და ამათ მსგავსთა ზედაცა თუ გაავრცელეთ ის აზრი, მაშინ არავინ არ შეინყნარებს მას...“. ამის შემდეგ გადაჭრით შეახსენებს: „ქართველის და სომხების ენებს აქვთ მნიგნობრიობა, ლიტე-

რატურა, სამღვთო წერილი და მრავალნი წმ. მამათა წერილნი ნათარგმნი; ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის; მათ აქვს ორი ათასი წლის მეტი ისტორია. ისინი იყვნენ ოდესმე თვით მდგომარენი (ე. ი. დამოუკიდებელი — გ. ს.) სახელმწიფონი...“ [19, 97].

„შენ ერთი მხრით ასე ამბობ: სუყველა მცირე ენები განქარდეს, მხოლოდ სახელმწიფო გამაგრდესო; მაგრამ საქმე ის არის, რომ ამით სახელმწიფო ვერ გამაგრდება... ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა... მცირე ხალხი, მოკლებული თავის ენასა, იქნება მოკლებული ყოველ ინდივიდუალური ხასიათითა და თვისებითა და უსარგებლო იქნება თავისთვისაცა...“ [19, 99].

წერილის დასასრულს გაბრიელ ეპისკოპოსი შეახსენებს გ. მუხრანსკის, რომ მათი მიწერ-მოწერა არავითარ პოლიტიკურ მიმონერას არ წარმოადგენდა, რადგან ისეთი დრო დადგა, რომ „ზოგიერთები ასეთ ბაასში პოლიტიკურ განზრახვას ხედავენო...“

წერილს ამშვენებს ასეთი მინაწერი — „შენი ერთგული, კეთილის და სიმრთელის მსურველი გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა“.

საპასუხო წერილში გ. მუხრანსკი მიუთითებს: „ვიცი მოკეთე ხარ ჩემი და სისწორით მეტყვი შენს აზრს“, ანუ „რასაც სწერ, იმას გრძნობ, მაშასადამე წრფელის გულით მოვისმენ და შევისმინეცა მოწერილობა შენი, ნაყოფი წრფელისავე გულისა“ [19, 100]. მაგრამ მისთვის მიუღებელია წრფელი გულით ნათქვამი, რადგან მიაჩნია, რომ ჭეშმარიტება უფრო მაღალია... ამიტომ სთავაზობს პირუთენელად ლაპარაკს...

„არა ხართ თანახმა ჩემის აზრისა, რომელიც წარმოვსთქვი ჩემს ბროშურაში...“ არადა, მასში მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ „როგორადაც ერთ გვამში შეუძლებელი არის ორი სული, ორი ენაც მოუფიქრებელია ერთს მკვიდრს საზოგადოებაში“.

„ყოველი საქართველოს კაცი, ვინც მოიმედეა განსაკუთრებითის მყობადობისა ქართველთა ხალხოსნობისა... ვსთქვათ ქართველმა ერმა მიინიჭა სრული თავისუფლება, მერე რა მოხდება? იმ ორ გუბერნიაში, სადაც არის დამკვიდრებული საქართველოს ერი — არიან პატარა ხალხნი თავის მიწაზედ ასევე დამკვიდრებულნი, თავიანთი ენის მქონე: მეგრელნი, აფხაზნი, ოსნი... რა პასუხს მისცემთ მათ როდესაც ესენი უეჭველად მოინდომებენ (ან მოანდომებენ მათნი წინა-

მორბედნი პატრიოტნი) განცალკევებას თავიანთ საზოგადოებისას, რადგანაც აქვს მათ თავიანთი განსაკუთრებითი ენა“ [19, 102].

ამგვარი ლოგიკური მსჯელობით გ. მუხრანსკი თავის ბროშურაში გამოთქმულ მოსაზრებაზე — „სწორე გზა პატარა თესლის ერისა არის — სულითადი დაკავშირება ძლიერ ხალხთან, რათა მოიპოვოს განათლება და მით იხსნას თავი თვისი სულიერისა და ხორციელის სიღარიბიდან“ [20, 103]. შეახსენებს თავის ოპონენტს, რომ ნუ აფასებს მის შრომას ფურცელთა რაოდენობით. მასში გამოთქმული ყოველი აზრი მოფიქრებული აქვს... ასე, რომ ის კი არ „ფუშავს წვრილ ენებათ“ არამედ მათი „დამფუშავი არის ბუნებითი და ისტორიული კანონი; მე მარტო ვამხელ აუცილებლივ მოსავლინებელს“... „მომაკვდავს რომ ექიმმა უთხრას კვდებო, უგუნურებაა, თუ საჭიროება არ მოითხოვს“,... „თუ ჩემი აზრი — პატარა ხალხის ენის დაკარგვაზედ მართალია, ვის უნდა დავუმალო; მეგობარს კაცს რომ ვუთხრა — „ორას ნელინადს ვერ იცხოვრებ“-ო, ნუ უკვე უნდა დამემდუროს. მომგზავრეს ზამთარში რომ ვუთხრა, თბილი საცმელი ნაილოს, ისიც უნდა დამემდუროს“

და რუსთაველის სიტყვებს იშველიებს: „დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა“.

და მიაჩნია, რომ „უდროოდ არ იყო ბროშურის გამოცემა“.

„არა, ყოვლად პატივცემულო და პატივ-საცემო მამაო, ჭეშმარიტება კეთილი საქმისათვის არას დროს არ არის მავნებელი. რჩევა საზოგადოებისათვის... არ არის მავნებელი და არცა ნაყოფი ბოროტის განზრახვისა“-ო, დაასკვნოდა გ. მუხრანსკი.

რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის ერთგული ქართველი დიდმოხელის ასეთი პოზიციის მიუხედავად, გაბრიელ ეპისკოპოსს უკან არ წაუღია თავისი სიტყვები. ამის შესახებ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი, გელათში, გაბრიელის კუბოსთან წარმოთქმულ გამოსათხოვარ სიტყვაში მიუთითებდა: „გმადლობს შენ ენაცა მშობლიური, ენა რომელიცა მდიდარჰყავს შენ ქადაგებითა შენითა, ენა რომლისათვისაცა ებძოდი შენ მედგრად იმ განუსჯელთა პირთა, რომელთაცა ენა პეტრინისა, გიორგი მთაწმინდელისა და ამბროსი მქადაგებლისა უარ-ჰყვეს, ვითარცა უვარგისი და გამოუდგარი მეცნიერებისათვის, შენ იყავ ერთად ერთი მაღალი ხარისხის მქონი ქართველი, რომელიც გამოესარჩილე ჩვენს ენას, როდესაც ერთმა დიდმა პირმა უქადაგა ამ ენას სიკვდილი, შენმა წუნმა აღუფრთოვანა სული საქართველოს და თვის მტერ-მოყვარეც დაგიმორჩილა შენ, როდე-

საც იგი ვწერდა თავის პასუხში: „გულისა შინა შენსა არა არს ზაკვა“ (გულისხმობს გ. მუხრანსკის) [21, 109].

ამრიგად, ზოგი ჭირი მარგებელიას“ პოზიციიდან თუ შევხედავთ XIX საუკუნის 70-იან წლებში მომხდარ ამ კონკრეტულ ფაქტს, შეიძლება ითქვას, რომ გ. მუხრანსკის ცარისტული პოლიტიკისადმი გადაჭარბებულმა ერთგულებამ, უკუ შედეგი გამოიღო. მცირე ხალხთა წარმომადგენლებს, მათ შორის ქართველ ხალხს და მის უძველეს ენას უფრო მეტი დამცველი და მოყვარული გამოუჩნდა... ამ უგუნური ჩანაფიქრის გაცხადების შემდეგ უფრო მეტი სიმძაფრით იწყო აღმავლობა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელსაც სათავეში „თერგდალეულთა“ თაობა ედგა დიდი ილია ჭავჭავაძის მეთაურობით.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Г. Багратион-Мухранский, „О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“, Тифлис, 1872.
2. გაბრიელ ეპისკოპოსის მიწერ-მონერა. ჟურნ. „მომამბე“ №3, 1896.
3. ი. მანსვეტაშვილი. მოგონებანი... თბილისი, 1936.
4. ს. მესხი, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1962.
5. ს. მესხი, თხზულებანი, ტ. III, თბილისი, 1964.
6. ი. გოგებაშვილი, პედაგოგ. თხზ. ოთხ ტომად, ტ. II, თბილისი, 1940.
7. ქსე, ტ. 2, თბილისი, 1977.
8. ქსე, ტ. 7, თბილისი, 1984.
9. გ. შარაძე, ილია ჭავჭავაძე 1837-1907, ცხოვრება და მოღვაწეობა, ფოტომატიანე, წიგნი II, თბილისი, 1990.
10. ი. ჭავჭავაძე, რჩეული ნაწერები 5 ტომად, ტ. IV, თბილისი, 1987 წ.
11. ილია ჭავჭავაძის პერსონალური ენციკლოპედია — 1837-1907, სიტყვანი, თბილისი, 2010.
12. გაზ. „დროება“, №36, 1872, 8 სექტემბერი.
13. გაზ. „დროება“, №38, 1872, 29 სექტემბერი.
14. გაზ. „დროება“, №42, 1872, 27 ოქტომბერი.
15. გაზ. „დროება“, №6, 1877, 16 იანვარი.
16. ქართული პოეზია 15 ტომად, ტ. 7, თბილისი, 1977.

17. ჟურნალი „მშაკი“, №33, 1872.
18. ჟურნალი „საქართველოს კალენდარი“, 1890.
19. ჟურნალი „კრებული“, №10, 1872.
20. ჟურნალი „კრებული“, №12, 1872.
21. ჟურნალი „მოამბე“, №3, 1896.
22. К. Д. Ушинский, Педагогические сочинения, т. 1, Москва, 1974.
23. Газета „Петербургские ведомости“, №296, 1871.
24. „Биржевые ведомости“, №295, 1872.
25. Газета „Кавказ“, №112, 1872.
26. Газета „Кавказ“, №113, 1872.
27. Газета „Кавказ“, №119, 1872.
28. Газета „Кавказ“, №2, 1877.
29. Газета „Кавказ“, №4, 1877.

**Gela Saitidse**

*Führender wissenschaftlicher Arbeiter  
der Abteilung der neuen und neuesten  
Geschichte des Iwane-Dshawachschwili  
– Instituts für Geschichte und Ethnologie  
der Staatlichen Iwane-Dshawachschwili  
– Universität Tbilisi, Doktor historischer  
Wissenschaften, Professor*

**Der Briefwechsel zwischen Bischof Gabriel und Senator Giorgi  
Muchranski bezüglich kleiner Nationen und ihrer Sprachen**

**Resümee**

Gegen Ende der 60-er Jahre des XIX Jahrhunderts beendete Russland die Eroberung des kaukasischen Gebiets und setzte sich die Russifizierung seiner multinationalen Bevölkerung zum Ziel. Bei der Realisierung seines heimtückischen Vorhabens hielt es die Verschmelzung von kleinen Nationen mit der erobernden Nation für entscheidend und fand,

dass danach das völlige Verschwinden der Sprachen kleiner Nationen ganz möglich war.

Anfang der 70-er Jahre versuchte das zaristische Regime, seinen Plan in Erfüllung zu bringen. In Tbilisi – im Zentrum der kaukasischen Statthalterschaft – fand die Beratung von Gimnasial-direktoren des Gabiets statt, in der das Projekt von der Stundenverminderung in Lehranstalten in den einheimischen Sprachen (Georgisch, Armenisch, Tatarisch) angenommen wurde.

Zu jener Zeit wurde als Extrabeilage der Zeitung `Kawkas“ die Broschüre unter dem Titel: `О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“ gedruckt, die theoretische Begründung der chauvinistischen Politik der zaristischen Regierung enthielt. Der Autor der Broschüre war der treue Großbeamte des zaristischen Russlands, Senator G. Muchranski. Er behauptete, dass sich kleine Nationen mit großen verschmelzen sollten. Ihre funktionslos gewordenen Sprachen sollten auch verschwinden, weil die Interessen des Staates (in diesem Falle des Russischen Reiches) es verlangten.

Das Erscheinen der Broschüre rief eine große Empörung in der georgischen und armenischen Presse hervor. Gegen diese `Theorie“ traten die georgische Zeitung `Droeba“ , die Zeitschrift `Krebuli“ , die in Tbilisi erscheinende armenische Zeitung `Mschak“ u. a. auf. In seinem satirischen Gedicht `Rat“ entlarvte auch I. Tschawtschawadse den strebsamen Verteidiger der zaristischen Regierung.

Zwar hat Bischof Gabriel nicht direkt an der Polemik teilgenommen, aber wie es sich später erwiesen hat, hat zwischen den beiden Personen ein Briefwechsel stattgefunden, wobei es zu einer heftigen Auseinandersetzung gekommen ist. Leider sind die Ermahnungen des Bischofs ergebnislos geblieben, denn Senator Muchranski hat auf seiner Meinung bestanden, davon überzeugt, dass er die volle Wahrheit sagte.

**Gela Saitidze**

*Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Main Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

## **Correspondence of the Bishop Gabriel with Giorgi Mukhranski about the Existence of the Small Nations and their Languages**

### **Summary**

At the end of the 1960s Russia put the issue of the Caucasian peoples' Russification on the agenda. To reach the goal Tsar's government attached a great importance to merging of small nations with the occupant's after which the extinction of small nations' languages should have been possible. Soon Tsar's government tried to fulfill the goal practically. The theoretical grounding of their chauvinistic project was given in a special booklet of newspaper "Kavkaz" ("Caucasus") which was published in those days. The title of the booklet was: "About the Nature of the National Identity and About the Educational Value of Major National Units". The author of this booklet was a devoted official of the Russian regime, Senator G. Mukhranski.

The author of the booklet tries to prove that small nations should have merge with big ones and their languages should have been disappeared as the languages without functions. This was demanded by the interests of the state, in this case of the Russian empire. But the author knew well that "the language, mother tongue for a man as well as for people, nation generally is the same as a soul for a body".

Output of the booklet by G. Mukhranski was accompanied by great indignation in Georgian and Arminian press. The first who criticized this "theory" was S. Meskhi and his newspaper "Droeba". "Droeba" was followed by Arminian newspaper "Shmak" which used to be published in Tbilisi, then with journal "Krebuli" and etc. Before Ilia Chavchavadze criticized it in his "Riddles" and verse-pamphlet "Advice" and denounced him as a careerist official.

The bishop of Imereti Gabriel in this open discussion was not participated but as it later became clear the burning discussions on the papers of the personal correspondence between these two persons were taking place. Objective suggestions of the bishop were in vane and Senator G. Bagration-Mukhranski remained in his position.



## უცხოელის მოღვაწეობის ისტორიიდან ბათუმში (XIX-XX საუკუნის პირველი ათწლეული)

აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ (1878 წ.) შეიქმნა ბათუმის ოლქი, რომელიც უშუალოდ შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. შეერთებიდან ორი ათეული წლის შემდეგ ბათუმი დიდ ნავსადგურად და მთავარ საექსპორტო პუნქტად იქცა. ქალაქში მტკიცედ დამკვიდრდა როტშილდის, მანთაშევის, ნობელის და, სხვა მონოპოლისტი გაერთიანებები. მათ კონტროლს დაექვემდებარა იმ დროისათვის ტექნიკურად საუცხოოდ აღჭურვილი სანარმოები, რაც ძირითადად განსაზღვრავდა ბათუმის ოლქის კომერციულ პროფილს.

მათგან აღსანიშნავია როტშილდის ქარხანა. ქარხნის დირექტორი ფრანგი გიონი, სამუშაოზე იღებდა მხოლოდ ქართველებს. მისი აზრით: „ქართველები კეთილსინდისიერი მუშები არიან და ყოველთვის დროულად ასრულებენ მათზე მინდობილ საქმესო“. ამიტომაც იყო, რომ როტშილდის ქარხანაში მუშა-მოსამსახურეები ქართველები იყვნენ. გიონი რატომღაც არ სწყალობდა რუსებს. მისი თქმით: „რუსები გამოირჩევიან საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებით“. ამის გამო ფრანგი გიონი აითვალისწინა ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობამ. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან გამართულ თათბირებზე რუსი ჩინოვნიკები თავს ესხმოდნენ ქართველებს და უწოდებდნენ მათ ყაჩაღებსა და ბუნტისთავეებს. ისინი მოითხოვდნენ, რომ შემცირებულიყო ქართველ მუშათა რაოდენობა ფაბრიკა-ქარხნებში, დირექტორებს ავალებდნენ შემეცირებინათ ქართველები და მათ ნაცვლად სამუშაოზე მიეღოთ მხოლოდ რუსები. ხელისუფლების ასეთი შოვინისტური ქმედების წინააღმდეგ გამოდიოდა გიონი და აკრიტიკებდა მას. ის ამბობდა, რომ ჩინოვნიკები არ იცნობდნენ ქართველებს და ამიტომ ცდილობენ ლაფში ამოსვარონ ისინი. აღნიშნავდა, რომ ქართველები კეთილსინდისიერად ასრულებენ სამუშაოებს და რომ როტშილდის ქარხანა მსოფლიო ბაზარზე მონინავე პოზიციებს იჭერს, ეს ქართველების დამსახურებაც არის. ამით გაბოროტებული ბათუმის

ოლქის ხელმძღვანელობა თავს ესხმოდა გიონს, უწოდებდა მას ქართველების აგენტს და აბეზღებდა კავკასიის მეფისნაცვალთან, რომელსაც თხოვდნენ ყველაფერი ელონა „ამ ფრანგის თავიდან მოსაშორებლად“. 1901 წლის 16 აპრილს ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან გამართულ თათბირზე, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ გიონი და გუბერნატორის თანაშემწე მორდიუკოვი. გიონმა მორდიუკოვს კაცთმოძულე უწოდა, თავის მხრივ კი მორდიუკოვმა თქვა, რომ „ბათუმის ოლქი უშუალოდ შედის რუსეთის იმპერიაში და ვიღაც უცხოელების მოსაზრებას ანგარიშს არ გავუწევთ“. შეიძლება ესეც არის მიზეზი იმისა, რომ როტშილდის ქარხანაში გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული გაერთიანება. ყველა გაფიცვა, რომელიც კი გაიმართა როტშილდის ქარხანაში, მუშების გამარჯვებით დამრთავდა. ქარხნის დირექტორი გიონი ყველა ძირითად მოთხოვნას უსრულებდა მუშებს.

აი რას წერს 1901 წლის ნოემბრის ბოლოს ბათუმში ჩამოსულ იოსებ ჯუღაშვილი თავის თანაპარტიელებს თბილისში. წერილი დათარიღებულია 1902 წლის 22 იანვრით: „როტშილდის ქარხნის დირექტორი, ფრანგი გიონი ნამდვილად ჰუმანური კაცია. ის გამოირჩევა ქართველებისადმი სიმპათიით. ამიტომაც არის, რომ აქაურ მუშათა უმრავლესობას ქართველები შეადგენენ... ჩვენ ჩამოვყალიბეთ სოციალ-დემოკრატიული წრეები ქარხანაში, რომელშიც გაერთიანდნენ ჩვენი მომხრე მუშები. ჩვენს მიერ მოწყობილ გაფიცვებს ქარხნის დირექტორი მშვიდად ხვდება და ყოველთვის აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს“.

## **ფრანგი გიმარში და 1905-1907 წლების რევოლუცია**

1905-1907 წლების რევოლუციის დროს გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები. განსაკუთრების გამოირჩეოდნენ სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები. ისინი ხშირად უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. მათ შორის იმართებოდა პოლიტიკური დისკუსიები. მეტად საინტერესოა ის გარემოება, რომ ბათუმის სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი ყოფილა ფრანგი გიმარში, რომელიც კარგად საუბრობდა როგორც ქართულად, ასევე რუსულად. 1905 წლის 24 აგვისტოს, ბათუმში, მარინის პროსპექტზე (დღევანდელი მემედ აბაშიძის გამზირი) მდებარე ერთ სახელში გაიმართა საიდუმლო დისკუსია, რომელშიც მონაწილეობას

ღებულობდნენ სოციალ-დემოკრატები და სოციალ-ფედერალისტები. დისკუსიაში აქტიურად იყო ჩაბმული ფრანგი გიმარში. ის მოუწოდებდა პარტიებს მუშაობა ენარმოებიანთ ეროვნული კუთხით და გაემართათ მიტინგები, სადაც დააყენებდნენ ეროვნულ საკითხებს. მართალია ფრანგის ამ მოსაზრებებს არ დაეთანხმნენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ ფრანგი აყენებდა ეროვნულ მოთხოვნებს მისასალმებელი იყო. გიმარში დაილუპა 1905 წლის 30 ნოემბერს, ბათუმში გამართული საბარეკადო ბრძოლების დროს. აი რას წერდა მის შესახებ სოციალ-ფერელასტური პარტიის წევრი დავით მესხიშვილი 1905 წლის 10 დეკემბერს: „მეტად ცუდი ამბავი მოხდა. ბრძოლების დროს (იგულისხმება 1905 წლის 30 ნოემბერი — ო.გ.) დაილუპა ჩვენი მეგობარი ალექს გიმარში. ის ყოველთვის პრინციპულობით გამოირჩეოდა. უყვარდა საქართველო და იბრძოდა მისი სიკეთისათვის. ჩვენთვის ის იქნება მაგალითის მიმცემი ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლაში.“

### **ფრანგი რეფლერი და კათოლიკური მოძრაობა ბათუმში**

ბათუმში ფრანგების სახელთან დაკავშირებულია კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო მოვლენა. ეს შეეხება კათოლიკურ მოძრაობას აქ 1908-1916 წლებში. ბათუმში მე-20 საუკუნის დასაწყისში ბევრი კათოლიკე ცხოვრობდა. მარტო უმშვენიერესი კათოლიკური ტაძარი რად ღირს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი და მისი აპარატი ყოველნაირად ცდილობდა ხელი შეეშალათ კათოლიკური მოძრაობისათვის. პოლიტიკურ დაბეზლებაში ხშირად ფიგურირებდნენ ბათუმში მცხოვრები ფრანგი მოქალაქეები, რომლებიც ბათუმელ ქართველ კათოლიკეებში ენვეიან ნირვა-ლოცვას კათოლიკურ წეს-ჩვეულებაზე. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე უფრო აქტიურობს, არის კათოლიკე ფრანგი, სმეკალოვის ქუჩაზე მცხოვრები ვინმე რეფლერი. ის ხშირად ხვდება ქართველ კათოლიკებს და მათთან ატარებს საუბარს. 1910 წლის 15 თებერვალს, გუბერნატორისადმი მიწერილ წერილში საუბარი იყო სმეკალოვის ქუჩაზე, რეფლერის სახლში გამართული შეხვედრის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას ებულობდნენ კათოლიკეები თბილისიდან და ქუთაისიდან. შეკრების დროს იყო საუბარი საქართველოს წარსულზე, რუსეთის იმპერიის უარყოფით გავლენაზე და ა. შ. ხოლო 1910 წლის 4 მარტს იმავე გუბერნატო-

რის სახელზე მიწერილ წერილში ნათქვამია, რომ კათოლიკეების შეხვედრებს ფრანგ რეფლერის ბინაზე აქვს სისტემატიური ხასიათი. მათი მიზანია ბათუმში კათოლიკური ცხოვრების გააქტიურება. ასევე მათ სურთ ბათუმი გადაიქცეს კათოლიკური მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად ცენტრად. ამას ისინი იმით ამართლებენ, რომ აქ მოქმედებს ერთ-ერთი ძლიერი კათოლიკური ეკლესია.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის დავალებით, შეიქმნა ჯგუფი რომელსაც დაავალა შეედგინა სპეციალური სამოქმედო პროგრამა. პროგრამაში გათვალისწინებული იყო მთელი რიგი ღონისძიებისა, რომელიც შეაფერხებდა კათოლიკურ მოძრაობას.

გარდა იმისა, რომ კათოლიკეები იკრიბებოდნენ ფრანგ რეფლერთან, ამასთან ხშირად აკრავდნენ ანტისახელმწიფოებრივი მიმართულების პროკლამაციებს, სადაც მხილებული იყო მეფის რუსეთის შოვინისტური მიზნები და ქმედებანი ხელი შეეშალათ ბათუმში კათოლიკური მოძრაობისათვის. ერთი ასეთი პროკლამაცია პოლიციამ ნახა ლორის-მელიქოვის ქუჩაზე 1911 წლის თებერვალში. ამ პროკლამაციის შესახებ სამხედრო გუბერნატორი ავალებდა პოლიცემისტერ როჟანოვს გამოიძიოს თუ ვისი ნამოქმედარი უნდა ყოფილიყო იგი. როჟანოვი საპასუხო წერილში 1911 წლის 25 თებერვალს აცნობებს გუბერნატორს შემდეგს: „გაცნობებთ, რომ ლორის მელიქოვის ქუჩაზე გამოკრული პროკლამაციის ავტორები უნდა იყვნენ ბათუმელი კათოლიკეები. ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ მათ ხელმძღვანელობს ბათუმის მოქალაქე ფრანგი ლეფლერი, რომლის სახლი სმეკალოვის ქუჩაზე, გადაქცეულია ბათუმელი კათოლიკეების თავშეყრის ადგილად. ჩვენ ისიც ვავიგეთ, რომ ლეფლერს და სხვა კათოლიკეებს კავშირი აქვთ საფრანგეთის კონსულთან ბათუმში, რომელსაც როგორც ჩანს თხოვენ აცნობონ საფრანგეთის ხელისუფლებას იმის შესახებ, თუ როგორ ავინროვებენ რუსეთის ხელისუფალნი ბათუმელ კათოლიკეებს“.

1912 წლის მაისში ჩატარდა საეკლესიო მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართველი კათოლიკეები. მათ წინ მიუძღოდა ლეფლერი და სპეციალურად ჩამოსული კათოლიკე მღვდელი იტალიელი ჯაკომი. მსვლელობის მონაწილენი მივიდნენ კათოლიკურ ეკლესიაში. ამ ფაქტმა ძალიან ალაშფოთა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი, მაგრამ თუ რა მოიმოქმედა მან დოკუმენტებიდან ცნობილი არ არის.

1914 წლიდან ბათუმში ხშირი იყო უცხოელების ჩამოსვლის ფაქტები. მაგალითად 1914 წლის ნოემბერში ბათუმში პარიზიდან ჩამოვიდა ვინმე მაქსიმილიან დელაკრუა, რომელიც მოხიბლული დარჩენილა ბათუმის კათოლიკური ეკლესიით. სტუმარი დაინტერესებულა კათოლიკეების ცხოვრებით ბათუმის ოლქში და შეხვედრია ადგილობრივ კათოლიკეებს ათანასე ბალოშვილსა და დავით გიორგაძეს. მათ სტუმრობისათვის უთქვამთ რომ ადგილობრივი რუსული ადმინისტრაცია ყოველნაირად ხელს უშლის კათოლიკებს, ავინროებს მათ, ამიტომაც თვალში საცემი არ არის კათოლიკური მოძრაობაო. სტუმარს პირობა მიუცია, რომ ამის შესახებ იმფორმირებულს გახდიდა საფრანგეთში საზოგადოებას.

### **ფრანგები ბათუმში 1920 წელს**

1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის გადაწყვეტილებით ბათუმის ოლქი გადაეცა ოსმალებს და ისინი აქ დარჩნენ 1918 წლის ნოემბრამდე. შემდეგ კი ბათუმის ოლქში შემოვიდნენ ინგლისელები. ისევე როგორც ოსმალები, ინგლისელები ცდილობდნენ ბათუმის ოლქის მოწყვეტას დედა-სამშობლო საქართველოდან და მის სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცევას, მაგრამ მძლავრმა ქართულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ არ მიცა მტერს ამის განხორციელების საშუალება.

აღსანიშნავია, რომ ინგლისელთა მიერ ბათუმის ოლქის ოკუპაციის ბოლო პერიოდში, კერძოდ 1920 წლის მაისში, ბათუმში იმყოფებოდნენ საფრანგეთის წარმომადგენლები: ჟაკ როშტო, მიშელ ბელონი, ფრანცუა ლუპენი და ჟან-მარი გამბა. ისინი იყვნენ ბათუმის ოლქის ინგლისელი გენერალ-გუბერნატორის გენერალ კუკკოლისის რეზიდენციაში და დიდხანს საუბრობდნენ მასთან.

საინტერესოა ოფიცერ ჯაკ როშტოს შეხედულება ბათუმის შესახებ. როშტო ბათუმში ყოფილა ჯერ კიდევ 1913 წელს. ის ამბობს: „ბათუმი ლამაზი ქალაქია. მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველია. ისინი დიდად სტუმართმოყვარენი არიან. ქართველებს შესანიშნავი ისტორია აქვთ, მათ ტერიტორიაზე ბევრი საუცხოო ეკლესია-მონასტერია. მიუხედავად იმისა, რომ ქართველები დიდი ხანია რაც რუსების კოლონიაა, ისინი თავისუფლების მოყვარე, ამაყი ხალხია. ამჟამად (ე.ი.1920 წელს), ქართველები დამოუკიდებელ სახელმწიფოს აშენებენ და ვფიქრობ კიდევაც გაართმევენ ამას თავს

... ისინი ამის ღირსნი არიან... ბათუმს ლამაზი ნავსადგური აქვს. იქ ინგლისური გემები ასრულებენ სამუშაოებს. ბათუმიდან გააქვთ სხვადასხვა სახის ნაწარმი, ძირითადად ხე-ტყე, სოფლის მეურნეობის პროდუქტები და სხვა.“ 1920– წლის ივნისის შუა რიცხვებში დაიწყო მოლაპარაკება ინგლისელებსა და ქა-რ-თული ჯარის მთავარ-სარდლობას შორის, ბათუმის ოლქის გადმოცემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებაში მონაწილეობას ლებულობდა ფრანგები: ჟაკ როშტო და მიშელ ბელონი. მოლაპარაკების დროს ინგლისელებმა და ფრანგებმა თანხმობა განაცხადეს იმაზე, რომ თუ იქნება უმაღლესი ხელისუფლების თანხმობა, ისინი წინააღმდეგნი არ არიან, ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადაცემაზე. შეხვედრის დროს ფრანგმა ჟაკ როშტომ აღნიშნა: „საქართველოს აქვს უპირველესი უფლება ბათუმის ოლქის მიმართ, რადგან ეს მხარე ისტორიული საქართველოა.“ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1920 წლის 25 ივნისს საფრანგეთის წარმომადგენელი საქართველოში დემარტელი აცნობებდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი გეგეჭკორს: „საფრანგეთი დიდი სიხარულით შეხვდა ბათუმის ოლქის საქართველოსათვის გადაცემას. ინგლისელები ალბათ უახლოეს ხანში მოახდენენ ოლქის დაცლას საქართველოს სასარგებლოდ და ვიმედოვნებ ეს საქმე დროულად მოგვარდება. მივიღეთ ცნობა საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდალ, აღმირალ დებონისაგან, რომელიც აღნიშნავს, რომ ფრანგმა ჯარისკაცებმა, რომლებიც ბათუმში იმყოფებიან სასწრაფოდ უნდა დატოვონ ქალაქი და უკან დაბრუნდნენო. ეს უახლოეს ხანში განხორციელდება.“ ევგენი გეგეჭკორმა მადლობა გადაუხადა საფრანგეთის მთავრობას დახმარებისათვის და იმედი გამოთქვა საფრანგეთთან მომავალ მჭიდრო თანამშრომლობაზე.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. აჭარის ცენტრალური არქივი (შემოკლებით აცსა), ფ. 1, აღნ.1, საქ. 26.
2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ.1 აღნ.1, საქ. 69.
3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ.1640, აღნ.12, საქ. 187.

**Otar Gogolishvili**

*Full Professor of the Shota  
Rustaveli Batumi State Uni-  
versity*

## **The French in Batumi (XIX-XX c)**

### **Summary**

This scientific work deals the personality of Gion, the manager of the factory of Rothschild in Batumi. He employed mainly the Georgians at the factory, and by this fact he made angry the chauvinistic local government.

It is shown also the life of the Givard, he was French, a member of the Social-Federalist Party, and died as a hero in 1905-1907 years.

In this work it is shown also the life of Loffler, he was French by nationality. This work deals also with the issue of the activity of catholic movement. It is narrated also about the French, who were in Batumi in 1929. They appreciated the Georgian people and the history of Georgia very much.

## ქართული ინტელიგენცია 1900-1910 წლებში\*

XX საუკუნის დასაწყისი ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი პერიოდია საქართველოს ისტორიაში. აღნიშნული ქრონოლოგიური მონაკვეთის შესახებ ცალკეულ პრობლემებზე არაერთი საინტერესო გამოკვლევაა შექმნილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამჯერად ყურადღებას გავამახვილებ საზოგადოების მოაზროვნე, ინტელექტუალურ ნაწილად მიჩნეულ ჯგუფზე, რომელმაც თავისი მოღვაწეობით დიდი წვლილი შეიტანა და განსაზღვრა კიდევ XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაში გამოიყენება ტერმინი: კულტურული და პოლიტიკური ელიტა. ამ შემთხვევაში ვიყენებ ორივე ცნებას, რადგან ვფიქრობ, რომ მათ შორის აზრობრივი კავშირი არსებობს. რაც შეეხება დასათაურებას ინტელიგენცია, გამომდინარე იქიდან, რომ XX საუკუნის პირველი ოცნლეულის საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული სიტყვა „ინტელიგენცია“, ამ მოტივით უცვლელად დავტოვე. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ ეტაპზე ინტელიგენციის შემადგენელ ნაწილად აღიქმებოდნენ: პოლიტიკოსები, მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მოსწავლეები, სტუდენტები. აქედან გამომდინარე მათი მოღვაწეობის გაშუქებას მნიშვნელოვანი ადგილი დავუთმე. როგორც უკვე აღვნიშნე, თანამედროვე თეორიულ ლიტერატურაში ინტელიგენციის როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია და სწორედ ის მიიჩნევა ეროვნული იდენტობისთვის დამახასიათებელი კრიტერიუმების გაძლიერებისა და საზოგადოების ფართო ფენების ეროვნული ცნობიერების ამაღლების შემომქმედად. მისი როლი, აგრეთვე გადამწყვეტი იყო XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ზემოთ აღნიშნული ორივე ტერმინი გამოიყენება, საბოლოო ჩამოყალიბებული განსაზ-

---

\* აღნიშნული სტატია დაინერა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (12150) მეშვეობით.



ღვრება თუ ვინ არის ინტელიგენცია არ არსებობს. ამჯერად მე არ შევეცდები ამის განსაზღვრას, რადგანაც ეს სცილდება ჩემი კვლევის სფეროს, თუმცა გამომდინარე იქიდან რომ 1900-1921 წლების მედიასა თუ ლიტერატურაში გავრცელებული და მიღებული ტერმინი ინტელიგენცია იყო და რადგანაც ჩემი მიზანი აღნიშნული პერიოდისთვის დამახასიათებელი მოვლენების შეფასებაა გამოვიყენებ ინტელიგენციის იმ შინაარსობრივ მხარეს, რაც გავრცელებული იყო სწორედ ამ ეპოქაში.

საერთოდ, როდესაც XX საუკუნის პირველი ოცნლეულის ქართველ ინტელიგენციაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ სოციალური ჯგუფის შემადგენელ ნაწილად არ მოვიაზროთ მხოლოდ კულტურული და პოლიტიკური ელიტა, რომელიც ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავდა კიდევ ქართველი ერის ცხოვრების მიმართულებას. ამ პერიოდის ინტელიგენცია შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ: 1. კულტურული და პოლიტიკური ელიტა, რომელშიც შედიოდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები: მეცნიერები, მწერლები, პოეტები, მსახიობები. და 2. ქალაქის და სოფლის ინტელიგენცია: მასწავლებლები, ექიმები, სტუდენტები, მოსწავლეები. ყველა ესენი თავისებური გზით საზოგადოებასთან კავშირის დამყარებას ცდილობდნენ. ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება დაეთმო ინტელიგენციის საკითხის შესწავლას. ამ მხრივ აღსანიშნავია: ერასტი ახოზაძე, „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში“ [2], აკაკი სურგულაძე, „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში (1900-1921)“ [13], „ნარკვევები ქართველი ინტელიგენციის ისტორიიდან“ [12], ქართველი სტუდენტების და მოსწავლეების როლი გაშუქებულა ნაშრომებში: გურამ შენგელია „ასე ირიჟრაჟა... საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში“ [14], „ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1907-1917)“ [15], ვ. ონიანი „დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“ [11] და სხვა. დასახელებული მონოგრაფიები ძირითადად საბჭოთა პერიოდშია შექმნილი, მიუხედავად მათი მეცნიერული ღირებულებისა, რაც გამოიხატება საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ფაქტების საამ-

კარაოზე გამოტანით და შეფასებით აქ მხოლოდ კულტურული და პოლიტიკური ელიტის ერთი ნაწილის ერთი მხარეა შესწავლილი — რევოლუციური მოღვაწეობა.

1900-1910 წ. წ. მეტად რთული პერიოდია. ქართულ სინამდვილეში კაპიტალისტური სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ იწყება ახალი გარდაქმნები არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ეს არის ორი სრულიად განსხვავებული იდეოლოგიის: ნაციონალიზმის და სოციალიზმის პროპაგანდის პერიოდი. ნაციონალიზმის და სოციალიზმის იდეოლოგიები ცდილობენ ყველა სოციალური ფენის ფასეულობათა გაერთვარონებას, განსხვავება იმაშია, რომ სოციალიზმი მიზნად ისახავს საერთო „მშრომელთა“ სახელმწიფოს შექმნას, ნაციონალიზმი — კი სახელმწიფოებრივი და ეროვნული შეგნების ამალღებით თავისუფლების ბრძოლისკენ მოუწოდებდა საზოგადოებას, რაც საფუძველი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებლობის აღდგენისა. მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის აქტიურობისა, საქართველოში ნაციონალისტური იდეოლოგია განმსაზღვრელი იყო, მით უმეტეს, რომ როგორც ცნობილია, თვითონ სოციალ-დემოკრატები ნაწილობრივ ეროვნულ პოზიციაზე იდგნენ. მათი მიზანი იყო, რომ მუშებს გაეცნობიერებინათ მათი კავშირის აუცილებლობა საერთო მტრის, თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რის არარსებობის შემთხვევაში წარუმატებლობა გარდაუვალი იქნებოდა. სოციალ-დემოკრატიის მთავარი მიზანი იყო სოციალიზმის განხორციელება, რომლის რეალიზატორი უნდა გამხდარიყო მუშათა კლასი, როგორც ყველაზე გაცნობიერებული სოციალური ფენა. ფაქტობრივად ეს იყო ერთგვარი იდეოლოგია, რომელსაც ქართული პოლიტიკური ელიტის ნაწილი — სოციალ-დემოკრატია ქმნიდა. ეს სრულიად ახალი ეპოქის შექმნას ითვალისწინებდა.

ასეთ ვითარებაში ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტა ორმაგად საპასუხისმგებლო მდგომარეობაში აღმოჩნდა. საჭირო იყო სწორად შემუშავებული და წარმართული ეროვნული პროგრამა, რომელსაც ერთობის ნევრების ჰომოგენიზაციისთვის უნდა შეენყო ხელი და მომავალში მათი კონსოლიდაცია უზრუნველყო. ეს პირველ რიგში კულტურის ერთობით უნდა გამოხატულიყო. საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელს უნდა ჰქონოდა განცდა იმისა, რომ „ქართველი ერი ერთია: კახელი, იმერელი, ქართლელი, ფშავ-ხევსური, მთიული, ჯავახელი, აჭარელი,

მეგრელი, გურული და სვანი, ყველა ქართველია, ყველას უდის ქართული სისხლი, ყველა ლაპარაკობს ქართულ ენაზე, ყველას ერთად გამოუვლია წარსულ საუკუნეებში ერთი და იგივე სიხარული და უბედურება. დღეს ყველა ერთ ტაფაში იწვის და ყველას უღვივის ან უნდა უღვივოდეს ერთნაირი მისწრაფება—კულტურული თავისუფლება“ [10, 2].

ერთადერთი, რაც ანანილებს ქართველებს ერთმანეთისგან მხოლოდ გეოგრაფიული საზღვრები და გეოგრაფიული სახელწოდებებია. სინამდვილეში კი საქართველო ერთიანი ქვეყანაა და ის მხოლოდ ქართველი ერის კუთვნილებაა. ქართული საზოგადოების ნაწილი ნათლად აცნობიერებდა კულტურის ერთობის აუცილებლობას, საზღვრების მოსპობას, არა მარტო ცალკეულ კუთხეებს, არამედ სოციალურ ფენებს შორის და საერთო, ეროვნული იდეოლოგიის ირგვლივ გაერთიანებას. „სამშობლოს სიყვარული არ შეადგენს ერთი რომელიმე კლასის მონოპოლიას, ის არის საერთო გრძნობა და, როგორც ასეთი დგას კლასობრივ პსიხოლოგიაზე მაღლა. რა იდეალების მომხრეც უნდა იყოს განსაზღვრული სოციალური კლასი, რა გამწვავებული ფორმაც უნდა ჰქონდეს მიღებული კლასობრივ განხეთქილებას, საერთო ეროვნული ინტერესები მაინც რეალური ფაქტია, რომლის უარისყოფა მხოლოდ ძალად დაბრმავეების მომასწავებელია. ეს საერთო ნიადაგი ადვილად დასანახია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერს გარეშე მტრისგან განსაცდელი მოელის და როდესაც მთელი ერი ერთდება ეროვნულ ინდივიდუალობის დასაცავად. ასეთი მომენტი იწვევს ეროვნულ ერთუზიანობას და ეროვნულ ძალთა გაერთიანებას. ასეთ დროს კლასობრივი წინააღმდეგობა კარგავს გამწვავებულ ფორმას, ის დროებით ქრება და ერი მთელ თავის ძალღონით საერთო მტრის წინააღმდეგ მიდის იერიშით [8, 2].

ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მხრიდან ამგვარი მოწოდებები შემთხვევითი არ ყოფილა. ისტორიის განვითარების აღნიშნულ მონაკვეთში ქართულ საზოგადოებას ეროვნული შეგნების ამალგება ნამდვილად ესაჭიროებოდა. სწორედ ამიტომ არ დარჩენილა არც ერთი ჟურნალი და გაზეთი, არც ერთი ეროვნული დაწესებულება, სადაც ამ პრობლემაზე არ იქნებოდა საუბარი. გიორგი გავაზავას აზრით, „პირველი მოთხოვნილება ერის აღსადგენ-ნად არის მისი ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება. თუ ცალკე პირი ვერა გრძნობს, რომ იგი ნაწილია ერისა, რომ

მისი ბედნიერება დამოკიდებულია, თუ მატერიალურად არა, სულიერად მაინც მთელი ერის ბედნიერებაზე, რა თქმა უნდა ყოველი ეროვნული ხასიათის შრომაც შეუძლებელია“ [4, 10].

რუსული გავლენის შედეგად ეროვნული ცნობიერების შესუსტებას თან დაერთო მთელი რიგი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გარდაქმნები, რაც ბატონყმობის გაუქმებას, გლეხობის, როგორც ახალი თავისუფალი ფენის სტატუსით გაჩენას, კაპიტალიზმის დამკვიდრებას და პროლეტარიატის ჩამოყალიბებას, რევოლუციების მრავალრიცხოვნობას და განსხვავებული იდეოლოგიების არსებობას უკავშირდება. ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩენილი გაუთვითცნობიერებელი საზოგადოება არც ერთმანეთს ინდობდა და საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად გაუთავებელ შიდა დაპირისპირებას ახმარდნენ დროსა და ენერჯიას. ამასთან დაკავშირებით 1876 წლის გაზეთ „დროებაში“ ვკითხულობთ: „ქართველებს რომ საღი ეროვნული შეგნება ჰქონდეთ, მტკიცედ იდგნენ იმ რწმენაზე, რომ ეროვნების გარეშე მიუწვდომელია კულტურა, მაშინ შექმნიდნენ ისეთ სულიერ ეროვნულ წრეს, რომელიც წინააღმდეგობას გაუწევდა გარეგან ბოროტებას, ეროვნული ვინაობა არ დაიჩაგრებოდა ისე სასტიკად და შესაძლებელი იქნებოდა პიროვნების წარმოშობა და განვითარება, მიუხედავად გარეგანი დაბრკოლებისა. ამის ნაცვლად, ოჯახში, საზოგადოებაში, კერძობაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ მისწრაფებას ეროვნული წრის მოსპობისადმი. გარეშეების დევნილს ჩვენ თვითონ არა ნაკლებ ვდევნით და ვაძლიერებთ იმ პირობებს, რომლებიც უარყოფენ ჩვენს არსებობას“ [5, 1].

ისტორიული წარსულის გაცნობით ჟურნალ-გაზეთები ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ერთობის ნევრები, რომ საქართველოს როგორც ქვეყნის არსებობა საუკუნეების მანძილზე ქართველთა ბრძოლის შედეგია და ამ მონაპოვარს შენარჩუნება სჭირდება: „მრავალ საუკუნეთა ქარიშხალმა გრიგალივით გადაიარა ჩვენს თავზე, თუმცა ხალხის ჯანი ვერ გასტეხა. საქართველოში სულიერად განმტკიცებული გახლდათ რწმენა, ჩვენი ხატი და წინაპართა თაყვანისცემა. ძველ წესთა და ადათ-რწმენის შერყვნა და გათახსირება არავითარ სასიხარულო მოვლენას არ შეადგენს და მით უმეტეს წინსვლას. ინგრეოდნენ სახელმწიფოები, ისტორიულ სარბიელზე მრავალმა ერმა განუტევა სული და უკვალოდ ჩაიფერფლა თავის ნაშენთა ნანგრევებში. ივერია კი არ გაჰქრა, სულ იმ რწმე-

ნის, ჩვეულების ძალით. ყველა ადამიანის მოვალეობაა დაიცვას თავის ინდივიდუალობა, ასე ირჯებიან ყველა ერები“ [6, 2]. იმისთვის, რომ საზოგადოება იყოს ერთიანი და იბრძოდეს სამშობლოს თავისუფლებისთვის საჭიროა ნათლად ჰქონდეს გაცნობიერებული საკუთარი როლი ერის არსებობის ისტორიაში, საფუძვლიანად იცნობდეს ქვეყნის ისტორიას, ტრადიციას და ამ ყოველივესადმი გააჩნდეს სიყვარული. ქართული ინტელიგენციის მთავარი მიზანი ამ გრძნობის გალვივა იყო. „სამშობლოს სიყვარული ერთი ძირითადი გრძნობათაგანია ადამიანის ბუნებაში, ვინაც სამშობლოს სიყვარულს ატარებს გულში, მას უყვარს დედა-ენა, სამშობლო მხარე, დიდი პატივისცემა აქვს მას სამშობლო გმირებისა, მწერლებისა. სამშობლოს სიყვარული რწმენად ექცევა კაცს და ეს რწმენა მის მოქმედებას განსაზღვრულ მიმართულებას აძლევს. ცხადია, სამშობლოს სიყვარული აცხოველებს ადამიანს, უწერგავს მას ენერგიას, ბადებს მასში იდეალისადმი მისწრაფებას, იწვევს მას საგმირო საქმეებისაკენ“ [6, 2].

ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიერ პრესის საშუალებით ეროვნული მახასიათებლების პროპაგანდა ერთ მიზანს ემსახურებოდა ქართველთა ერთიანობას. „ყველა, ვისაც ქართველი ერის კულტურული აღორძინება სურს, უნდა ეცადოს მოისპოს სამუდამოდ ყველაფერი, რაც აცალკევებს ერთმანეთში ქართლსა და კახეთს, იმერეთსა და ამერეთს, გურიასა და სამეგრელოს, აჭარასა და სვანეთს. ერთი აზრით, ერთი მისწრაფებით უნდა იყოს გამსჭვალული ყველა ქართველი საქართველოს კიდით კიდემდე. ამ საერთო გრძნობების გასაღვიძებლად და გასამაგრებლად აუცილებლად საჭიროა საერთო ეროვნულ-კულტურულ დაწესებულებათა შექმნა, რომ ყველა კუთხის ქართველი ამ დაწესებულებებში ერთმანეთს ხვდებოდეს და საერთო მოქმედებას ეჩვეოდეს. საჭიროა ქართლ-კახეთის თავადაზნაურობა შეთანხმებით იწყებდეს სხვადასხვა საქმეს. თბილისის ქართული გიმნაზია, ქუთაისის გიმნაზიასთან ერთად და შეთანხმებით ეწეოდეს თავის დიად საქვეყნო საქმეს, თბილისის ქართული გაზეთები ქუთაისის ქართულ გაზეთებთან საქმეს იჭერდნენ და ყოველი თბილისისაკენ მცხოვრები ქართველი თავის მოვალეობად სთვლიდნენ ქუთაისისაკენ ქართულ-ეროვნული და საზოგადო ცხოვრების მაჯისცემას თვალ-ყური ადევნოს ისე, როგორც ქუთაისის ყოველი ქართველის თვალი თბილისისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი, რომ ყველამ ერთმანეთის ჭი-

რი და ვარამი თანასწორად იცოდეს, რომ ამ ჭირსა და ვარამს ყველა თანასწორად გრძნობდეს და თავის საკუთარ ჭირად და ვარამად მიიჩნევდეს“ [19, 2].

ეპოქის სირთულიდან გამომდინარე ინტელიგენციის მნიშვნელობა და როლი საკმაოდ დიდი იყო და სწორედ აქედან გამომდინარეობდა მის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლებს განსხვავებული თვალსაზრისი გააჩნდათ ინტელიგენციის მიმართ. არჩილ ჯორჯაძე ინტელიგენციას საზოგადოების გარდამქმნელის როლს ანიჭებდა და მასში ხედავდა მთავარ ძალას ქვეყნის წინსვლის გზაზე. იგი ასევე საუბრობს ქართველი და ევროპელი ინტელიგენციის საერთო და განმასხვავებელ ნიშნებზე. „რა მიზეზია, რომ ევროპაში და ჩვენში ერთ და იგივე ეპოქაში ინტელიგენციას სრულებით განსხვავებული მიზნები ჰქონდათ? ამის მიზეზი ერთადერთია. XIX საუკუნის დასაწყისიდან, ევროპიელ დიდ ერთა ინტელიგენციის ცდა და ნატვრა იყო გაუმჯობესება უკვე არსებულ მრავალშტოიან ნაციონალურ ცხოვრებისა და დემოკრატიულ დაწესებულებათა საშუალებით ეკონომიურ და პოლიტიკურ თანასწორობის დაფუძნება მოქალაქეთა შორის. ჩვენში ქართველ ერის პოლიტიკურ ცხოვრების ძირითად ცვლილებათა გამო ყოველი გონებაგახსნილ ქართველის მოვალეობა იყო — შეექმნა, გამოერკვია და გაემტკიცებინა ის ახალი საქართველოს ვინაობა და პიროვნება, ურომლოდაც არამც თუ წარმატება, არამედ მისი არსებობაც შეუძლებელი იყო. ჩვენს ძველ მოღვაწეების დაფასებაში ეს ყოველთვის უნდა გვექონდეს მხედველობაში“ [12, 31]. ნოე ჟორდანიას ინტელიგენცია მიაჩნდა ხალხისადმი დაპირისპირებულ და მისდამი მტრულად განწყობილ ძალათ. მისი აზრით, „ინტელიგენცია აბნელებს და ბურუსში ხვევს იმ არსებულ ანტაგონიზმს, რომელიც ნამდვილად არსებობს ცხოვრებაში, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ვერ შესულა მთელ თავის ძალაში, ამით ის წინ ელობება ცხოვრების წინმსვლელობას. ინტელიგენცია თავის უნებურად რეაქციულ როლს თამაშობს“ [12, 36].

ქართულ მედიაში საკმაოდ ხშირი იყო ქართველი ინტელიგენციის კრიტიკა არაქართული, არაეროვნული მოღვაწეობის გამო. ქართველი საზოგადოების ნაწილი ფიქრობდა, რომ „გადაგვარებული“ და „გარუსებული“ ინტელიგენცია ვერ ასრულებდა იმ მისიას, რაც დრომ და ისტორიამ დააკისრა. „არსად, არც ერთ ერში,

ინტელიგენცია ისეთ უმოქმედობას არ იჩენს, როგორც ჩვენში. არსად ისე მონყვეტილი არ არის იგი მშობელ ხალხს, როგორც ჩვენში. აიღეთ რომელი კულტურული ერი გენებოთ, თუ ის გაევროპიელეზის გზას დასდგომია და დააკვირდით მის ცხოვრებას. თქვენ ეჭვს გარეშეა, ნახავთ, რომ იქ ინტელიგენცია სათავეში უდგას რა მშობელი ქვეყნის კულტურულ წინმსვლელობას, მთელი თავისი ძალღონით მხურვალე მონაწილეობას იღებს პრაქტიკულ საზოგადო საქმეებში. სოფლად და ქალაქად ყოველგვარ კულტურულ დაწესებულების დაარსებასა და წარმოებას ის კისრულობს. იგი კვალდაკვალ მისდევს ხალხის ეკონომიურ და გონებრივ განვითარებას. აარსებს ხალხისავე დახმარებით დროისა და გარემოების შესაფერ კულტურულ დაწესებულებებს, ენერგიულად და ნათლად აწარმოებს ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს, რითაც საუკეთესო მომავლისაკენ მიუძღვის ქვეყანას, ნათელ სხივსა ჰფენს ის მშრომელთა და დაბეჩავებულთა მძიმე ცხოვრებას. ეს ხდება, როგორც დამოუკიდებელ, ისე ჩვენსავით დაბეჩავებულ ერებში, მიუხედავად კლასობრივ წინააღმდეგობის გაღრმავებისა“ [3, 1].

ქართველი ინტელიგენციის დანიშნულებად მიიჩნეოდა ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების ამაღლება და მათი ინტერესების დაცვა. რუსეთის თვითმპყრობელობის ანტიქართული პოლიტიკის შედეგად გამოწვეული პრობლემები, რაც ეროვნული ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში გამოიხატებოდა, ბუნებრივია, ქართველი ერის ცნობიერების და ცხოვრების წესის შეცვლას განაპირობებდა. ინტელიგენცია კი, საზოგადოების ყველაზე განათლებულ და გათვითცნობიერებულ ნაწილად მიიჩნეოდა და არც თუ უსაფუძვლოდ, ამიტომ მათ მოვალეობას შეადგენდა ქართველი ერის ინტერესების დაცვა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ ელიტაში სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებული, ამიტომ თითოეული მათგანი პირველ რიგში, საკუთარი პარტიის და ინტერესების დაცვას ესწრაფვოდა და მათი შეხედულებებიდან და მრწამსიდან გამომდინარე ცდილობდა საკუთარი იდეოლოგიის რეალიზებას საზოგადოებაში. ამიტომ „ივერია“ ინტელიგენტს შემდეგ მოვალეობას აკისრებს: „ყველა ერის ინტელიგენტობის აუცილებელ და უთუო მოთხოვნილებას შეადგენს, რომ მას გარკვეული ჰქონდეს და იცოდეს თავისი ერის წარსული ცხოვრება, რომ მას გაგებული ჰქონდეს ის

მისწრაფება და იდეები, რაც მას ასულდგმულება და ერად ხდიდა, რომ მას შესწავლილი ჰქონდეს ერის თანამედროვე ვითარება, მისი გონებრივი, ზნეობრივი და ეკონომიური მდგომარეობა... აქვთ თუ არა ქართველ ინტელიგენტებს აუცილებელი თვისება ინტელიგენტობისა? გადაჭრით შეიძლება ვთქვათ, რომ არა და არა! [7, 3]. ინტელიგენციის როლი და მოვალეობა ქართველი ერის თვითშეგნების ამალღება და ქართული საქმის კეთება იყო, რადგანაც სწორედ ის წარმოადგენდა საზოგადოების განათლებულ და გათვითცნობიერებულ ნაწილს, რომელიც ნათლად ხედავდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გადარჩენის საჭიროებას. ამის ნაცვლად კი სანინალმდეგო ვითარება იყო: „საკუთარ ისტორიულ ხანაში ინტელიგენცია ბრძოლის უნარს კარგავს და დედაქალაქის დანესებულებებს აფარებს თავს. სრულიად საქართველოს ინტელიგენცია ამჟამად თბილისში ზის. სხვა კუთხეები საქართველოსი მარტო მოხელეთ, კომისრებსა, ერობის მოღვაწეთ და მილიციის უფროსებს დარჩენიათ. დღეს ჩვენი ინტელიგენცია დაეშვა ამ მიმართულებით, საიდანაც მას აღმართი წინააღმდეგობა არ მოჰხვდება. ინტელიგენცია გაპასიურდა, ყველა თბილისში და პროვინციებში არავინ. აი, დღევანდელი დევიზი ინტელიგენციისა“ [7, 4].

საერთოდ, კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიზანი ერთი იყო: ქართველი ერის ეროვნული ცნობიერების ამალღება და თავისუფლების მოპოვება. თუმცა ამ მიზნამდე სხვადასხვა გზებით მიდიოდნენ. კულტურული ელიტა, რომელსაც მწერლები, მეცნიერები და მსახიობები შეადგენდნენ სოციალური ფენების საგანმანათლებლო და ეროვნული შეგნების ამალღებას ცდილობდა. პოლიტიკური ელიტა უფრო მეტი რადიკალური ხასიათის ნაბიჯებით გამოირჩეოდა და საქართველოს სახელის საზღვარგარეთ გატანას და ევროპის დახმარებით რუსეთის გავლენისგან განთავისუფლებას ცდილობდა. ამ მხრივ აღსანიშნავია, ჯერ კიდევ 1907 წელს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე ქართველთა მხრიდან მცდელობა საქართველოს შესახებ ინფორმაცია ევროპისთვის მიეწვდინა, რასაც შედეგად რუსეთის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის პრინციპების დაცვა უნდა მოყოლოდა. როგორც ვხედავთ, ამ ეტაპზე გადამწყვეტ მოთხოვნებს არ აყენებენ და მხოლოდ ავტონომიით კმაყოფილდებიან. მოგვიანო პერიოდში კი უფრო რადიკალური ნაბიჯებით გამოირჩევიან. აღსანიშნავია 1913 წელს ჟენევაში ქართველთა ჯგუფის მიერ „თავისუფალი საქართველოს“ დაარსება,



1914 წელს შენევაშივე ჩამოყალიბებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“. 1916 წელს მიხაკო წერეთლის გამოსვლა მცირერიცხოვან ერთა II კონგრესზე ქალაქ ლოზანაში. მისი მოხსენების თემა იყო „ქართველი ერის უფლებანი“, სადაც მოუწოდა ყველას დახმარებოდნენ ქართველ ერს რუსეთის მიერ დარღვეული გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენაში.

გაზეთი „ახალი საქართველო“ 1919 წელს წერდა: „საქართველოს სინამდვილემ მშობლიური ინტელიგენცია ბრძოლის ქარცეცხლში გამოატარა. ქართველი ინტელიგენცია ამ სიტყვის ჭეშმარიტი აღქმით თვითმპყრობელ რუსეთის საქართველოში ბარბაროსობის და ძალმომრეობის პროტესტი იყო. ჩვენი ინტელიგენცია ეროვნულ-რევოლუციური ცეცხლით იყო ანთებული. ინტელიგენტ-ტერორისტების სახეები და ციმბირში დაჭლექებული ფილტვები მოწმობენ, რომ ქართველი ინტელიგენცია მუდამ აქტიური იყო, ყოველთვის ომობდა, მუდამ აქტიური იყო“ [1, 4].

XIX საუკუნის II ნახევრიდან, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როდესაც მიმდინარეობდა სხვადასხვა სახის რეფორმები საზოგადოების უფლებების გაზრდისათვის და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩართვისთვის, სამოციანელები ამასთან ერთად ეროვნული ცნობიერების ამაღლებისთვის გადამწყვეტ ნაბიჯებს დგამენ.

სწორედ აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული საკმაოდ აქტიურდება საზოგადოება ქართველი სტუდენტების დასახმარებლად, რომლებიც განათლებას საქართველოს ფარგლებს გარეთ, რუსეთში იღებდნენ. ქართული კულტურული ელიტა იმედოვნებდა, რომ განათლებამიღებული ქართველები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ახალი ძალებით შეუდგებოდნენ სამშობლოს ინტერესების დასაცავად მოღვაწეობას და რუსეთში მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას საკუთარი ქვეყნის აღორძინებას მოახმარდნენ. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში თბილისში ჩამოყალიბდა „თბილისის კეთილმოქმედი საზოგადოება“, რომლის მიზანი ღარიბი სტუდენტების დახმარება იყო. ამ მიმართულებით დიდი როლი ითამაშა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“, რომელიც სხვადასხვა ცნობილ საქმიანობასთან ერთად ქართველი სტუდენტების დახმარებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ამგვარი ღონისძიებები ქართველი საზოგადოების მხრიდან მხოლოდ ერთჯერადი არ ყოფილა და მთელი

XIX საუკუნის II ნახევარში მაქსიმალურად ცდილობდნენ ამ მიმართულებით მოღვაწეობის გაძლიერებას. ამ საკითხს ნათლად ასახავს ირ. ტატიშვილის და თ. დეკანოზიძის ნაშრომი „მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა“ [16].

XX საუკუნის დასაწყისისთვის უკვე ფართო ხასიათი ჰქონდა მიღებული ქართველი ახალგაზრდების საზღვარგარეთ სწავლას, რომელთა გარკვეული ნაწილი პოლიტიკური, ნაწილი კი კულტურული ელიტის წარმომადგენელი გახდა. სამსონ ფირცხალავა იგონებს თავის მემუარებში ქართველი სტუდენტების რუსეთში ცხოვრების შესახებ. „დიდი ხნით და ამბით ვემზადებოდით ქართველი სტუდენტები ყოველწლიური ქართული „სალამო-ბალის“ მოსაწყობად. იგი იყო არათუ მატერიალური სახსრის მომცემი, არამედ ქართული კულტურის პროპაგანდის საშუალებაც. ყველა ზომას ვხმარობდით რომ იგი რაც შეიძლება შინაარსიანი და საინტერესო გამოსულიყო. და, მართლაც, ჩვენი „სალამო“ დიდ საზოგადოებას იზიდავდა, საქართველოშიც ვუგზავნიდით წარჩინებულ პირებს საპატიო ბილეთებს, რასაკვირველია, ისინი ვერ გვესწრებოდნენ, მაგრამ დახმარებას გვიგზავნიდნენ. „სალამოს“ პროგრამაში აუცილებლად შედიოდა ქართული სიმღერები, ქართული ცეკვა და ცოცხალი სურათები, ქართული ლიტერატურიდან და ცხოვრებიდან“ [17, 26].

XX საუკუნის დასაწყისიდან ქართულ მედიაში ინტენსიური ხდება სტუდენტების და მოსწავლეების მდგომარეობასთან და მათი ეროვნული შეგნების ამაღლებასთან დაკავშირებით პუბლიკაციების ბეჭდვა, რაც ერთ მიზანს: მათი როლის და ფუნქციების გამოკვეთას ემსახურებოდა მოდერნულ პერიოდში. XIX საუკუნის II ნახევრიდან დაწყებული პროცესი, 90-იან წლებში გარკვეულ ცვლილებას განიცადის, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ, გლეხობის და მეორე მხრივ, ახალი სოციალური ფენის პროლეტარიატის ინტერესების დაცვასთან. XIX საუკუნის 90-იან წლებში პოლიტიკური სიტუაცია იცვლება მთლიანად რუსეთში და ბუნებრივია ეს თავისებურ გამოძახილს უწოდებს საქართველოშიც. ამ გავლენის შედეგად ქართულმა ეროვნულმა იდეამ ტრანსფორმაცია განიცადა, მართალია გრძელდება ილიას მიერ ჩამოყალიბებული იდეოლოგიის მიზანმიმართული განხორციელება, მაგრამ ეროვნული შეგნების გაძლიერებასთან ერთად, მიმდინარე პოლიტიკური, თუ სოციალურ-ეკონომიკური ცვლილების გათვალისწინებაც საჭირო ხდება.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ქართველი საზოგადოება ყოველთვის თანაგრძნობით ეკიდებოდა სტუდენტების მდგომარეობის გაუმჯობესებას. გაზეთი „ივერია“ წერდა: „წელს პეტერბურგის ქართველობას დიდი გამოფხიზლება ეტყობა: სტუდენტების სალამომ ჩინებულად ჩაიარა, სხვა წარსულ წლებზედ მეტი წმინდა შემოსავალი დარჩათ მოსწავლეებს. შესდგა ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა წრე, რომელიც დიდი ხალისით სწავლობს ქართულ ისტორიას და ლიტერატურას. ახალგაზრდა, ჩვენი პრივატ-დოცენტი ი. ჯავახიშვილი უკითხავს მათ ყოველ კვირას ლექციებს კერძო ბინაზედ, მსმენელნი გულმოდგინეთ ემზადებიან ამ ლექციებისთვის, სწერენ რეფერატებს და ჩვენთვის უჩვეულო თავგამოდებით ეპყრობიან ამ საქმეს. ამას გარდა, არსდება აქ რამოდენიმე ახალგაზრდებისაგან ინტელიგენტ ქართველთა მუდმივი წრე, რომელსაც აზრად აქვს, შეძლებისდაგვარად ქართულ მორიგ კითხვისათვის სატახტო ქალაქშივე ზრუნვა. ამ აზრით დანყებულია უკვე მოლაპარაკება ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებთან, რომ სხვადასხვა საჭიროებათა შესახებ შეიძლებოდეს აზრის გამოთქმა პერიოდულად რუსულ პრესაში. ერთი სიტყვით, ქართველი საზოგადოება ფხიზლდება აქ. ვინატროთ, რომ დიდხანს გაჰყოლოდეს მას ეს განწყობილება და „ჩვენებურად“, ჩვეულებრივად არ დაევიწყებინოს საქები და სასურველი აზრები“ [8, 3].

1920 წელს „ქართველი სტუდენტი“ წერს: „ქართველი სტუდენტობა ყოველთვის იყო გამსჭვალული ერისადმი სიყვარულის უწმინდეს გრძნობით. დროის ხანგრძლივობამ და უკიდურესმა დევნამ უცხო მხარეში ვერ ჩაჰკლა ის დიადი სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობა, რომელიც ცეცხლებრივის გზებით ღვივოდა მის გულში, სამშობლოს უკიდურეს გასაჭირის და საშინელ მოვალეობის ღრმა შეგნებით დადგა ერის თავისუფლების მოწინავე სადარაჯოზე და თავგანწირვით იბრძოდა სახელოვნად“ [18, 2].

ამრიგად, ბუნებრივია, ასეთი ფართო მასშტაბის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ერთი სტატიის ფარგლებში რთულია, თუმცა განხილული ფაქტობრივი მონაცემები ცხადყოფს ქართველი ინტელიგენციის მოღვაწეობას საქართველოს ინტერესების დაცვისათვის. მართალია, ეპოქის სირთულისა და მრავალმხრივობიდან გამომდინარე, მათი აქტიურობა ყოველთვის ერთგვაროვანი არ იყო. სხვადასხვა წყაროთა ბაზაში დაცული მასალები კი საშუალებას

მოგვცემს შევაფასოთ როგორ აღიქმებოდა ინტელიგენციის მოღვაწეობა XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზეთი, ახალი საქართველო, 1919, №1.
2. ახოზაძე ე., ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში: 1900-1907, თბილისი, მეცნიერება, 1977.
3. გაზეთი, ბათუმის გაზეთი, 1912, №67.
4. გიორგი გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებებისა, თბილისი, 1920.
5. გაზეთი, დროება, 1909, №44.
6. გაზეთი, თემი, 1911, №29.
7. გაზეთი, ივერია, 1901, №128
8. გაზეთი, ივერია, 1903, №38.
9. გაზეთი, ივერია, 1905, №148.
10. გაზეთი, ივერია, 1909, № 2.
11. ონიანი ვ., დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1958, 1.
12. სურგულაძე ა., ნარკვევები ქართველი დემოკრატიული ინტელიგენციის ისტორიიდან, თბილისი, მეცნიერება, 1980.
13. სურგულაძე ა., ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია სამ რევოლუციაში (1900-1921), თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1986.
14. შენგელია გ., ასე ირიყრაყა... საქართველოს დემოკრატიული ინტელიგენცია რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში, თბილისი, 1989.
15. შენგელია გ. ქართველი დემოკრატიული ინტელიგენცია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში (1907-1917), თბილისი, 1991.
16. ტატიშვილი ი., მოსკოვის უნივერსიტეტი და ქართველი ახალგაზრდობა. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1960.
17. ფირცხალავა ს., მოგონებათა ფურცლები, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1988.
18. გაზეთი, ქართველი სტუდენტი, 1920, №1.
19. გაზეთი, ჩვენი დროება, 1913, №30.

## **Georgian Inteligency in 1900-1919**

### **Summary**

In 1900-1910 in Georgia, intelligentsia, or the educated segment of society played an important role in creation of public consciousness. In modern theoretical literature the term: cultural and political elite is used. In the thesis both terms are used as synonyms, because of the semantic connection between them. In reference to the paragraph, the heading `intelligentsia`, is left unchanged since in the first two decades of the 20<sup>th</sup> century in Georgia the term intelligentsia was widely spread. The more so because in the given period pupils and students were perceived as an integral part of intelligentsia. Therefore a separate paragraph is dedicated to their activities.

Generally, when speaking about the Georgian intelligentsia of the first two decades of the 20th century, first of all, we should consider that we must not perceive as the constituent of this social group only the cultural and political elites, who were really a leading force and often determined the orientation of the nation's life. The intelligentsia of that period can be divided into two groups: 1. Cultural and political elites, comprising representatives of various political parties and public figures: scientists, writers, poets, actors etc. 2. Urban and rural intelligentsia: teachers, doctors, students, pupils. All of them tried to establish communication with the public in their own way.

The task of intelligentsia considered increasing national consciousness and protecting national interests. The problems caused by anti-Georgian policy of Russian autocracy, which was reflected in almost all spheres of national life, should naturally cause transformation of mentality and lifestyle of the nation. The duty of intelligentsia, which was not unreasonably considered as the society's most educated and conscious part, was to protect the interests of the nation.

## ბექა კობახიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი*

### **საქართველოს პირველი რესპუბლიკის დიპლომატიის უცნობი მხარეები — დავით ლამბაშიძე**

პირველ მსოფლიო ომში ანტანტის სახელმწიფოთა გამარჯვებამ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ახალ დიპლომატიურ რელსებზე გადასვლა დაუსახა ამოცანად. გერმანული ორიენტაცია მყისიერად უნდა შეცვლილიყო ანტანტოფილური ორიენტაციით.

ამ მიმართულებით 1918 წლის შემოდგომიდან მოღვაწეობდნენ დასავლეთ ევროპაში მყოფი დიპლომატები - აკაკი ჩხენკელი, დავით ლამბაშიძე, ზურაბ ავალიშვილი, კონსტანტინე გვარჯალაძე და სხვ. მათი მუშაობის სინქრონულად საქართველოში ადგენდნენ ფართომასშტაბიან მისიას, რომელიც გაიგზავნებოდა პარიზის საზავო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად და სხვადასხვა ევროპულ დედაქალაქებში საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების, ასევე მისი დაცვის გარანტიების მოსაპოვებლად.

დელეგაცია 20 კაცის შემადგენლობით, რომელსაც რუსეთის რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწენი - კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი მეთაურობდნენ, კონსტანტინოპოლისაკენ 1919 წლის იანვრის დასაწყისში გაემგზავრა და მისი გავლით უნდა წასულიყო პარიზისაკენ. 20 იანვარს ქართული, აზერბაიჯანული და ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა წარმომადგენლები ფაქტობრივად ერთდროულად ჩავიდნენ კონსტანტინოპოლში [1, 19-20]. კავკასიელი დელეგატების პარიზისაკენ გატარების საკითხზე, ბრიტანეთისა და საფრანგეთის სარდლობებს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდათ. ყველაზე დიდი უნდობლობით მოკავშირეები აზერბაიჯანელებს ეკიდებოდნენ (თურქულ პოლიტიკასთან მათი მჭიდრო კავშირის გამო) და მათი რამდენიმე წარმომადგენელი დააკავეს კიდევ [1, 20; 2]. ჩხეიძისა და წერეთლის შესახებ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენ-

ტის<sup>1</sup> ხელმძღვანელი — ჯორჯ კიდსტონი და სამინისტროს ექსპერტი რუსეთის საკითხებში — პროფესორი ჯეიმს სიმპსონი აცხადებდნენ, რომ ისინი განონასწორებული, ზომიერი ფიგურები არიან, ცნობილნი არიან ჯერ კიდევ კერენსკის რეჟიმიდან მოყოლებული, აქიდან გამომდინარე მათი პარიზისაკენ გამგზავრებით საფრთხეს ვერ ხედავენ [2]. ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, 17 იანვარს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი იმის თაობაზე, რომ დიდი ბრიტანეთი ყველანაირად დაეხმარება საქართველოს დელეგაციას კონსტანტინოპოლით კონფერენციაზე გასამგზავრებლად და რომ ის კეთილგანწყობით ეკიდება საქართველოს დამოუკიდებლობას, ხოლო ქართული დელეგაციის მიღება საფრანგეთის სამომავლო საზრუნავია [4].

აზერბაიჯანული მისიის მეთაურის — ალი მირზანბეკ თოფჩიზაშევის მტკიცებით, ზემოთ ნახსენებმა ქართულმა ტანდემმა, პირადი კონტაქტების დახმარებით ფრანგებთანაც მოახერხეს საქმის მოგვარება. მას სამი არგუმენტი მოჰყავს: 1. ჩხეიძესა და წერეთელს ნებართვა მისცეს როგორც საერთო რუსულ მოღვაწეებს; 2. მათ ნებართვა მიიღეს როგორც სოციალისტებმა, ფრანგი სოციალისტების მიერ საკუთარ მთავრობაზე ზენოლის შედეგად; 3. მათ ნებართვა მიიღეს ირაკლი წერეთლის დის — ეთერ წერეთლის ახლო ნაცნობის, ერთერთი ფრანგი პოლკოვნიკის დახმარებით [1, 22]. ასე იყო თუ ისე, ფაქტია რომ გამგზავრების უფლების მოპოვებაში ქართველ მოღვაწეთა პირადმა ავტორიტეტმა ერთერთი უმთავრესი როლი შეასრულა.

1919 წლის თებერვლის ბოლოს ჩხეიძე და წერეთელი უკვე საფრანგეთში იყვნენ და იქიდან ცდილობდნენ დელეგაციის დარჩენილ წევრთათვის ვიზის მოპოვებაში დახმარებას [5, 1-7].

როგორც გრიგოლ რცხილაძის მიერ კარლო ჩხეიძისადმი 1919 წლის 14 აპრილს გაგზავნილი დეპეშიდან ირკვევა, საქართველოს დელეგაციის 11 წევრი 30 მარტს უკან თბილისისაკენ გაბრუნდა. მას მარტის ბოლო რიცხვებში უნახავს საფრანგეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი და უკითხავს თუ რატომ არ ეძლევა დელეგაციას გამგზავრების ნება. დუპარკმა (საფრანგეთის წარ-

---

<sup>1</sup> 1919 წლიდან საქართველოს საკითხი გამოეყო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის განყოფილებას და გადავიდა იმავე სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში [3]

მომადგენელი — ბ. კ.) უპასუხა, რომ მთავრობის აზრით როგორც საქართველო, ისე სამხრეთ რუსეთის სხვა რესპუბლიკები უკვე საკმაოდ წარმოდგენილია სამშვიდობო კონფერენციაზე და დელეგაციის დანარჩენ წევრებს პერსონალურად შეიძლება მიეცეთ ნებართვა პარიზში წასვლისათვის, თუ ფრანგთაგან ვინმე თქვენ თავდებობას იკისრებსო. ამ მიმართულებით სოციალისტ-რევოლუციონერ იოსებ გობეჩიას და ნიკო ნიკოლაძეს აღუძრავთ, პირადი ნაცნობების დახმარებით, შუამდგომლობა. გობეჩია 14 აპრილს გაემგზავრა პარიზს, ხოლო ნიკოლაძე არ დალოდებია პასუხს და თბილისში გაბრუნებულა. კონსტანტინოპოლში დარჩენენ გრიგოლ რცხილაძე, ანდრია დეკანოზიშვილი, სოსო გოგოლაშვილი<sup>1</sup> და ცოლქმარი ვოიტინსკები [6, 3-4].

როგორც ვხედავთ სხვებთან ერთად კონსტანტინოპოლში ნებართვას ელოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, პარტიული რუსულენოვანი გაზეთის „ბორბას“ რედაქტორი ვლადიმირ ვოიტინსკიც მეუღლითურთ. მას შემდეგ რაც პარიზში გამგზავრება გამოირიცხა ვოიტინსკიმ ლონდონში წასვლა გადწყვიტა და უკვე ბრიტანელთაგან ელოდა ნებართვას [6, 3-4].

ამ დროისათვის დიდ ბრიტანეთში საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლად მუშაობდა ანტანტის სახელმწიფოთა პოლიტიკურ წრეებში კარგად ნაცნობი დიპლომატი, თავის დროზე ლონდონში რუსეთის იმპერიის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი დავით ლამბაშიძე. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის დეპარტამენტის ხელმძღვანელის - ჯორჯ კიდსტონის მოწმობით, ლამბაშიძეს, პირველი მსოფლიო ომის მსვლელობის დროს, დამყარებული ჰქონდა კონტაქტი სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტთან [3]. ის, როგორც ქვეყნის პატრიოტი, საქართველოს დამოუკიდებლობითა და კავკასიის გავლით სპარსეთისაკენ დერეფნის გაჭრით ინგლისური წრეების დაინტერესებას ჯერ კიდევ 1918 წლის 26 მაისამდე ცდილობდა [7, 182-183]. აკაკი ჩხენკელმა, როგორც იმჟამინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბერლინიდან უკვე 1918 წლის 28 ნოემბერს გაუგზავნა მას რწმუნებათა სიგელი და გამარჯვებულ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება დაავალა [8, 1]. ჩხენკელის მიერ ბერლინიდან სა-

---

<sup>1</sup> რცხილაძე საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენლად დაინიშნა კონსტანტინეპოლში, ხოლო დეკანოზიშვილი და გოგოლაშვილი კი მის მდივნებად.



ქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილი 1918 წლის 15 დეკემბრის წერილიდან ირკვევა, რომ ლამბაშიძეს უკვე შეუშზადებია ბრიტანელებთან კარგი ურთიერთობის დასამყარებლად საფუძველი და იქვე მიუთითებს: „საჭიროა იცოდეთ, ლამბაშიძე მუშაობს დამოუკიდებლობის ნიადაგზე, ძალიან კარგად უყურებენ, როგორც ანტანტოფილს, გამოდის მიტინგებზე, სხვადასხვა გავლენიან წრეებში, აგრეთვე საგარეო სამინისტროშიც...“ [9, 1-2]. ამას მოჰყვა დავით ლამბაშიძისა და ზურაბ ავალიშვილისადმი გაგზავნილი, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის - სერ ლუის მალეტის, შემდეგი შინაარსის ნოტა: „მისი უდიდებულესობის მთავრობა თანაგრძნობით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას და მზად არის დაიცვას მისი ცნობა სამშვიდობო კონფერენციაზე“ [10, 195].

ლამბაშიძემ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მისი უდიდებულესობის მთავრობასთან საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალურ წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ რწმუნებათა სიგელები გადაუგზავნა 1919 წლის 14 მარტს. მინისტრის მოადგილის — ლორდი კერზონის სახელით მას აცნობეს, რომ ბრიტანეთი მას ოფიციალურად ვერ მიიღებს, რადგან სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს ცნობის საკითხის გადაწყვეტა ჯერ კიდევ ლონდონის რეჟიმშია. თუმცა ლორდი კერზონი მოხარული იქნება თუ მასთან დამყარდება არაოფიციალური ურთიერთობა პროფესორ სიმფსონის შუამავლობით [11]. ლამბაშიძის მიმართვის შესახებ საგარეო სამინისტრომ სამშვიდობო კონფერენციაზე ბრიტანეთის დელეგაციას 1919 წლის 2 აპრილს აცნობა. ამ შეტყობინების თაობაზე, 11 აპრილს, ანალოგიური შინაარსის ინსტრუქციის გაგზავნის რჩევა მისცა ბრიტანელმა დელეგატმა არნოლდ ტონინიმ საგარეო საქმეთა მინისტრ ბალფურს [12]. ინსტრუქცია, ბალფურის სახელით, იმავე დღეს პარიზიდან ლონდონში გაეგზავნა კერზონს: „მანამ, სანამ საქართველოს სტატუსი არ არის გადაწყვეტილი კონფერენციის მიერ, ის ისევე უნდა იყოს მოპყრობილი ლონდონში, როგორც ლატვიის, ფინეთის და ესტონეთის წარმომადგენლები, არაფორმალური დიპლომატიური წარმომადგენლის რანგში.“

ლამბაშიძემ მოთხოვნა გაიმეორა 1920 წლის 14 იანვარს, ბრიტანეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის “დე ფაქტო” აღიარების შემდეგ, მაგრამ 29 იანვრით დათარიღებულ პასუხში საგარეო საქმეთა სამინისტრომ მას კვლავ უარით უპასუხა, იმ მო-

ტივით, რომ დე ფაქტო აღიარება არ გულისხმობს ოფიციალურად აკრედიტირებული დიპლომატის ყოლას ქვეყანაში, ამასთანავე ქართველმა დიპლომატმა პირობა მიიღო, რომ არაოფიციალურად ყოველთვის კეთილად მიიღებდნენ როგორც საქართველოს წარმომადგენელს ბრიტანეთში [13]. მიუხედავად ზემოთქმულისა, ქართველი დიპლომატი მთელი ამ პერიოდის მანძილზე მუხლჩაუხრელად და ხშირად წარმატებით მუშაობდა თავისი ქვეყნის საკითხებზე. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, აღმოსავლეთის დეპარტამენტის კავკასიის რეგიონის განყოფილების არქივს წითელ ზოლად გასდევს მისი საქმიანობა, სადაც ის ყოველთვის „პრო-ბრიტანული ორიენტაციის პოლიტიკოსად“, „სანდო ადამიანად“ მოიხსენიება.

დავით ღამბაშიძემ დაწერა და 1918 წელს ლონდონში გამოაქვეყნა 40 გვერდიანი ნაშრომი *The Caucasian Petroleum Industry and its Importance For Eastern Europe and Asia* („კავკასიის ნავთობინდუსტრია და მისი მნიშვნელობა აღმოსავლეთ ევროპისა და აზიისათვის“). 1918 წლის გაზაფხულზე, კავკასიაზე თურქეთის შეტევის დროს, მანვე გამოსცა ლონდონში 24 გვერდიანი ბროშურა *The Caucasus: Its People, History, Economics and Present Position* (კავკასია: მისი ხალხი, ეკონომიკა და თანამედროვე მდგომარეობა), სადაც ავტორი თურქეთის გეოპოლიტიკური ზრახვების წარმოჩენას შეეცადა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ბრიტანეთის ინტერესებს და, ამ ფაქტის გათვალისწინებით, ღამბაშიძე მისი უდიდებულესობის მთავრობას საქართველოსა და სომხეთის დახმარებისაკენ მოუწოდებდა. 1919 წელს ლონდონშივე გამოსცა 200 გვერდიანი ნიგნი *Mineral Resources of Georgia and Caucasia – Manganese Industry of Georgia* („საქართველოსა და კავკასიის მინერალური რესურსები — მარგანეცის ინდუსტრია საქართველოში“), სადაც მკითხველი არა მხოლოდ მეურნეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, არამედ საქართველოს მოკლე ისტორიას, ბუნებას და პოლიტიკურ ვითარებას ეცნობა. ეს ნაშრომები, დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, გახლდათ სამაგიდო ნიგნები საქართველოთი დაინტერესებული ინგლისელი მრეწველებისათვის.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> მათ არც დღეს დაუკარგავთ აქტუალობა, რისი მაჩვენებელია ის, რომ უკანასკნელ წლებში კიდევ რამდენჯერმე გამოიცა ბრიტანეთში ეს ნიგნები და მკითხველს შეუძლია მათი შექმნა სხვადასხვა ინტერნეტ მაღაზიებში.

თუმცა ლამბაშიძეს ჰქონდა ერთი „ნაკლი“ — იგი არ გახლდათ მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ის უფრო კონსერვატორი იყო, რაც მისდამი ნდობას არ ზრდიდა ხელისუფლების თვალში. ვლადიმირ ვოიტინსკის ლონდონში ჩასვლით კი, მის, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის, პოზიციებს საფრთხე შეიძლებოდა შეჰქმნოდა.

ვოიტინსკი გახლდათ პოლონური წარმოშობის რუსი მენშევიკი, რომელიც რუსეთში მოღვაწეობისას დაუმეგობრდა კარლო ჩხეიძესა და ირაკლი წერეთელს. ამ უკანასკნელთან ერთად მან ციმბირში, გადასახლებაში რამდენიმე წელიც გაატარა. 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ვოიტინსკი და მისი ცოლი — ემა, ჩამოყვენენ საქართველოში დაბრუნებულ ქართველ მოღვაწეებს და ჩადგენენ დემოკრატიული რესპუბლიკის სამსახურში. 1918 წელს, ნოე ჟორდანიას პირადი თხოვნით, ვოიტინსკი ხდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალური რუსულენოვანი ორგანოს — „ბორბას“ რედაქტორი. პარიზში გამგზავრებამდე, ცოლ-ქმარმა ვოიტინსკებმა, კარლო ჩხეიძის თხოვნით სრული დაშვება მოიპოვეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საიდუმლო მასალებზე, მოახდინეს მათი კლასიფიკაცია და გამოსაქვეყნებლად მიზანშეწონილი დოკუმენტები გამოსცეს რუსულენოვან კრებულში „დოკუმენტები და მასალები ამიერკავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკიდან“. აღნიშნული კრებული მიზნად ისახავდა ანტანტის ქვეყნების წარმომადგენელთათვის აეხსნა ქართული მხარის პროგერმანული ორიენტაციის იძულებითი ხასიათი.<sup>1</sup> მოგვიანებით, 1919 წელს, მან პროპაგანდისტული ხა-

---

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ „ბორბას“ რედაქცია ნოე ჟორდანიას საცხოვრებელ სახლში მდებარეობდა, რამაც ვოიტინსკისა და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის დაახლოება გამოიწვია. როგორც ვოიტინსკი თავის მემუარებში იხსენებს, ჟორდანია ხშირად შედიოდა ხოლმე მასთან ქვეყნისათვის ყველაზე მგრძობიარე და მნიშვნელოვან საკითხებზე სასაუბროდ. ეს სიახლოვე იმ დონემდე მივიდა, რომ 1918 წლის ზაფხულში, მთავრობის თავმჯდომარემ 2 კვირით, თავისთან ერთად დასასვენებლად დაპატიჟა ცოლ-ქმარი ვოიტინსკები აბასთუმანში. მიუხედავად წერეთელთან და ჩხეიძესთან ერთად გატარებული მრავალი წლისა, ვოიტინსკი განსაკუთრებული სითბოთი და შთაბეჭდილებით იხსენიებს ნოე ჟორდანიას პიროვნებას [14, 411-415].

აღსანიშნავია, რომ ვოიტინსკის მემუარები 1961 წლის შემდეგ აღარ გამოცემულა, ის ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე და

სიათის წერილები პოპულარულ იტალიურ გაზეთ “მასაჯეროშიც“ გამოაქვეყნა [15]. რთული არ იყო იმის გამოცნობა თუ ვის დაეყრდნობოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ზემოთ დასახელებული ორივე პიროვნება ერთდროულად რომ ყოფილიყო ლონდონში. მას შემდეგ რაც დავით ლამბაშიძემ შეიტყო ვოიტინსკის გეგმები ლონდონში გამგზავრების თაობაზე, 1919 წლის 22 აპრილს საქართველოს მთავრობისაგან ფარულად წერილი მისწერა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს. იგი მისი უდიდებულესობის მთავრობისაგან მოითხოვდა, რომ საქართველოსკენ არ გაემავთ რუსი და ებრაული წარმოშობის ხალხი, რადგანაც ყველა მათგანი პოტენციური ბოლშევიკები არიან.<sup>1</sup> იქვე დასძენდა, რომ ლონდონისაკენ არ გაეტარებინათ რუსული წარმოშობის ცოლქმარი ვოიტინსკები და პოლონური წარმოშობის ვოლსკი, რადგანაც ისინი, ლამბაშიძის განცხადებით, ბოლშევიკური ტენდენციების მატარებელი ხალხია.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეს ცნობა კონსტანტინოპოლში დიდი ბრიტანეთის ჯარების მთავარსარდალ ადმირალ კალთორპს გადაუგზავნა და იქვე შენიშვნა დაურთო, რომ მოწოდებული ცნობების გადამოწმება შეუძლებელია, თუმცა ბატონი ლამბაშიძე გულწრფელი სჩანდა და ეტყობა სურდა დაგვხმარებოდაო [16].

კიდევ ერთ ქართველ სოციალ-დემოკრატ — ვოლსკისთან მიმართებაში ლამბაშიძეს დაავიანდა, რადგან ვოლსკი 14 აპრილამდე უკვე გამგზავრებული იყო ლონდონისაკენ [6, 3-4] (სამინისტროსადმი წერილი კი 22 აპრილით თარიღდება). გრიგოლ რცხილადის სიტყვებით, ვოიტინსკიმ ყველა საშუალება ამოწურა ნებარ-

---

სამწუხაროდ დღემდე გამოუყენებელი რჩება ქართველ ისტორიკოსთა მიერ. ჩვენი სტატიისათვის საინტერესო საკითხებთან ერთად, ავტორი ეხება საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან მრავალ საკითხს, ყველა ჩვენთვის დღემდე უცნობ ეპიზოდებს. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ნაშრომის სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანა წაადგებათ პერიოდით დაინტერესებულ მკვლევართ.

<sup>1</sup> ამის შემდეგ, კონსტანტინეპოლში მყოფ, საქართველოში წასვლის მსურველ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ბრიტანული სარდლობა საქართველოს წარმომადგენლობაში აგზავნიდა ვიზის მისაღებად. ეს ცნობა წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა გრიგოლ რცხილადიმ 1919 წლის 5 მაისს წერილში მიანოდა კარლო ჩხეიძეს, თუმცა თვითონ არც კი იცოდა რა იყო შეცვლილი პოლიტიკის მიზეზი [6, 5-7].

თვის მოსაპოვებლად, მაგრამ რომ ვერაფერს გახდა თბილისისაკენ გაბრუნდა 6 მაისს [6, 5-7].

სავარაუდოთ ეს არ ყოფილა ღამბაშიძის ერთადერთი ფანდი ვოიტინსკისადმი. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ნიკოლაძემ და გობეჩიამ პირადი ნაცნობობის საფუძველზე მიიღეს გამგზავრების ნებართვა (თუმცა ნიკოლაძე არ დაელოდა და თბილისში გაბრუნდა), მათთან ერთად საფრანგეთის ვიზა გაიცა ვახტანგ ღამბაშიძეზე, რომელიც გახლდათ დავით ღამბაშიძის ძმა. იგი დელეგაციაში გამწესებული იყო თანაშემწედ და არა დელეგატად. კარლო ჩხეიძე გაცემას ვერ მალავს თუ როგორ უთხრეს უარი დელეგატებს და ნება დართეს ღამბაშიძეს. ჩხეიძე ასე ხსნის ვითარებას: ვილაცას კონსტანტინე გვარჯალაძისთვის უთქვამს რომ ღამბაშიძე დელეგაციაში წევრიყო და მასაც სიაში ჩაუსვამსო.

ვინ იყო ის ვილაც? გვარჯალაძესთან ერთად იმ დროს მხოლოდ ზურაბ ავალიშვილი და დავით ღამბაშიძე იყვნენ. ნაკლებსავარაუდოა, რომ ავალიშვილს მსგავსი არასწორი ინფორმაციის გავრცელება რამეში დასჭირვებოდა. კარლო ჩხეიძე კი პრიორიტეტად არა ღამბაშიძის, არამედ შემდეგი ოთხი პიროვნების გამგზავრებას ასახელებს: ვლადიმირ ვოიტინსკი, გრიგოლ რცხილაძე, გენერალი გიორგი ოდიშელიძე და პროფესორი ივანე ჯავახიშვილი [5, 3]. აღნიშნულ ინფორმაციას თავად ვოიტინსკიც ადასტურებს თავის მემუარებში, სადაც აცხადებს, რომ სწორედ კარლო ჩხეიძის დაჟინებული თხოვნით უცდიდა ოთხი თვის განმავლობაში კონსტანტინოპოლში, პარიზისაკენ წასვლის ნებართვას [14, 427]. მოხდა კი პირიქით, ჩხეიძის მიერ ჩამოთვლილმა ვერცერთმა პიროვნებამ ნებართვა ვერ მიიღო. მოვლენა თავისთავად ძალიან უარყოფითია, მაგრამ მეორემხრივ ის აშკარად მეტყველებს ბრიტანულ წრეებში დავით ღამბაშიძის დიდ ავტორიტეტზე.

მას შემდეგ რაც ვოიტინსკის პარიზსა და ლონდონში წასვლა გამოირიცხა, 1919 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ გადანყვიტა მისი შეყვანა დელეგაციაში, რომელიც რომში მიემგზავრებოდა. მისიის მიზანი იყო იტალიის მთავრობისაგან იარაღის შესყიდვის, სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების, კონცესიების გადაცემის, სატრანსპორტო მიმოსვლის და სხვა საკითხებზე მოლაპარაკება. მას ხელმძღვანელობდა კონსტანტინე საბახტარაშვილი, ხოლო უშუალოდ ვოიტინსკის ევალეობოდა იარაღის საკითხებზე დია-

ლოგის წარმოება და აღნიშნულ მოლაპარაკებებზე ანგარიშის შედგენა, რაც მან მოგვიანებით შეასრულა კიდეც [17, 1-10].

მანამდე კი, 1919 წლის 28 სექტემბერს, დიდი ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა კავკასიაში - ოლივერ უორდროპმა საიდუმლო წერილი მისწერა საგარეო საქმეთა სამინისტროს, სადაც ის ითხოვდა, რომ საქართველოდან გაეშვათ, მაგრამ კონსტანტინოპოლში დაეკავებინათ იტალიაში გასამგზავრებელი ქართული მისიის წევრები — ცოლ-ქმარი ვოიტინსკები და გიორგი მაჩაბელი. მაჩაბელზე უორდროპი ამბობს, რომ ის არის გერმანიის აგენტი, მოჰყავს ფაქტები მისი პრო-გერმანული წარსულიდან და იქვე აღნიშნავს მისი ცოლის ვინაობას, რომელიც არის ცოლყოფილი გერმანიის პროპაგანდის სამსახურის უფროსისა. ვოიტინსკებზე უმაღლესი კომისარი იმავე ბრალდებებს ავრცელებს, რაც გადმოცემული იყო ლამბაშიძის 22 აპრილის წერილში [18] და ამის გამო ძალიან სარწმუნოა ის მოსაზრება, რომ უორდროპი სწორედ ამ წყაროს ეყრდნობოდა თავის ბრალდებებში.

საქართველოში იტალიური მისიის ხელმძღვანელმა - პოლკოვნიკმა გაბბამ 1919 წლის ოქტომბერში აღნიშნულ საკითხზე დეტალური განმარტება მისწერა იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს: "...კონსტანტინოპოლში ინგლისის სამხედრო ხელისუფალნი ზემოთ დასახელებულ ბატონს (ვლადიმირ ვოიტინსკის — ბ. კ.) ბოლშევიკთა აგენტათ თვლიან. როდესაც ქვემოთ ხელმომწერმა მისიამ (გაბბას იტალიურ მისიაზე საუბარი — ბ. კ.) მიიღო შეტყობინება ქართული დელეგაციის შემადგენლობის შესახებ, მას უყურადღებოდ არ დაუტოვებია შემდეგი ინფორმაცია: აღმოჩნდა, რომ ბატონი ვოიტინსკი გახლავთ მთავრობაში მეტად მიღებული პიროვნება; ის არის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი (ისევე როგორც დელეგაციის დანარჩენი წევრები); მთავრობის ოფიციალური გაზეთის — „ბორბის“ რედაქტორი; ავტორი ჩვენთან, „მასაჯეროში“ გამოჩენილი რამდენიმე სტატიისა, სადაც გამოჩნდა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება იტალიისადმი; ის გახლავთ ძალიან ჭკვიანი ადამიანი და ძირითადად დაკავებულია სოციალური და ეკონომიკური საკითხებით... ბათუმში ინგლისის ხელისუფლებამ წინასწარ გამოჰკითხა მისიას, მისი შემადგენლობის თაობაზე, მაგრამ ამასთანავე არ გამოუთქვამთ არანაირი წინააღმდეგობა. მხოლოდ გამგზავრებისას გამოირკვა, რომ, მისი რუსული წარმომავლობის გამო, ბატონი ვოიტინსკი შესაძლო იყო დაეტოვებინათ

და, არსებული წესების თანახმად, მას მხოლოდ კონსტანტინოპოლამდე გამგზავრების ნება დართეს.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა თხოვნით მომმართა მიმენერა მისი უდიდებულესობა — კონსტანტინოპოლში უმაღლესი კომისრისათვის (საუბარია იტალიის უმაღლეს კომისარ კარლო სფორცაზე — ბ. კ.), რათა მას გაეადვილებინა მისიის გადაადგილება. ეს თხოვნა მე შევასრულე. მინისტრმა გეგეჭკორმა პირადად მთხოვა განმეცხადებია, რომ საქართველოს მთავრობა სრულ პასუხისმგებლობას იღებს დელეგაციაში აღნიშნული ბატონის შეყვანაზე. მიუხედავად იმისა, რომ ვოიტინსკი არ არის ქართველი, საქართველოს მთავრობამ გააკეთა სწორი არჩევანი, რომელიც შესაბამისობაში მოდის მის მიერ დასახულ ამოცანებთან.

ბატონმა ვოიტინსკიმ გამგზავრებამდე მისთვის ორი რეკომენდაციის მიცემა მთხოვა: ერთი იტალიური ბეჭდვის ასოციაციის პრეზიდენტ — ანდრეა ტორესადმი და მეორე მისი უდიდებულესობა ბატონ ბისოლატისადმი. მე არ შემეძლო მისთვის უარი მეთქვა, მითუმეტეს მაქვს პატივი უკანასკნელს (ბისოლატის — ბ. კ.), რომელიც სამეფო არმიაში საქმის წარმოებას ხელმძღვანელობდა, თავად ვიცნობდე. დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ვოიტინსკის იტალიაში ყოფნა რაიმე გაუგებრობას არ შექმნის. ყოველ შემთხვევაში მე თავი მოვალედ ჩავთვალე ეს ყველაფერი თქვენთვის მომხსენებია“ [15].

მოყვანილი წერილის შემდეგ იტალიელებმა მყისიერად მიიღეს გადაწყვეტილება მისი რომში მიღების თაობაზე, მაგრამ ბრიტანელები მაინც უორდროპის ინსტრუქციის თანახმად მოქმედებდნენ. 1919 წლის 3 ოქტომბერს თბილისიდან გასულ დელეგაციას, გარდა ვოიტინსკისა, რომელსაც საქმის გარკვევა კონსტანტინოპოლში ურჩიეს, ბათუმში იტალიისაკენ გამგზავრების ნებართვა მისცა ბრიტანელმა გენერალ-გუბერნატორმა კუკ-კოლისმა. 11 ოქტომბერს დელეგაცია უკვე კონსტანტინოპოლში იყო და გეგმისამებრ გემზე დააკავეს ცოლ-ქმარი ვოიტინსკები [19, 7]. მათი მხლებელი იტალიელი მაიორი<sup>1</sup> ბოლო ხმაზე უყვიროდა პოლიციის განყოფილებაში ფრანგ ოფიცერს: „ეს აღმაშფოთებელია! თქვენ ფიქრობთ, რომ შეგიძლიათ აუკრძალოთ მისი უდიდებულესობის

---

<sup>1</sup> მის გვარს ვოიტინსკი არ ასახელებს, თუმცა ის გახლდათ მაიორი კარპონეტო. იგი გვხვდება იტალიაში საქართველოს მისიის ხელმძღვანელის — კონსტანტინე საბახტარაშვილის განმარტებით წერილში საგარეო საქმეთა მინისტრისა და მთავრობის თავმჯდომარისადმი [19, 7].

მთავრობას (იგულისხმება იტალიის მთავრობა — ბ. კ.) ისეთი დამოკიდებულება იქონიოს სხვა ქვეყნებთან, როგორც ეს მას მოესურვება?!“ ; ...შეაჩერეთ ეს უაზრობა! ეს უკვე ძალიან შორს მიდის. მე დანიშნული ვარ ჩემი მთავრობის მიერ, რათა ბატონი და ქალბატონი ვოიტინსკები და მათთან ერთად მიმავალი ხალხი მივაცილო რომში, როგორც ჩემი მთავრობის სტუმრები. თუ ხელს შემიშლით აღნიშნული ინსტრუქციის შესრულებაში, მე დაუყოვნებლივ დავურეკავ ჩვენს ელჩს და თქვენ გექნებათ დიპლომატიური გართულებები“ [14, 433]. როგორც საფრანგეთის წარმომადგენელმა მობოდიშების შემდეგ განაცხადა, მათ ჰქონდათ ყალბი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვოიტინსკი არის ბოლშევიკური გაზეტის რედაქტორი [19, 7]. ამას მოჰყვა კონსტანტინეპოლში საქართველოს ელჩის - გრიგოლ რცხილაძის საპროტესტო წერილი საფრანგეთის უმაღლესი კომისრის - დიუპრანისადმი და დიუპრანის ბოდიში ქართული მისიისადმი [19, 3-5].

მიუხედავად ყველაფერისა, გემში ჩასხდომისას კიდევ ერთხელ შეაჩერეს ბრიტანელებმა ვოიტინსკები და მათ პოლიციის განყოფილებაში წასვლა მოსთხოვეს. აქაც იტალიელი მაიორი ჩაერია საქმეში და უხეშად უპასუხა ბრიტანელ ოფიცერს, რომ ისინი უკვე იყვნენ განყოფილებაში, სადაც მათ ბოდიში მოუხადეს.

— „რა იქნება თქვენი მისამართი რომში?“ არ მოეშვა ბრიტანელი ვოიტინსკებს.

— „საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომი!“ მოუჭრა იტალიელმა და აქ შეწყდა ბრიტანელთა წინააღმდეგობა [14, 433].

მართლაც არ შეიძლებოდა სახელისუფლებო ბეჭდური ორგანოს რედაქტორი და ისეთი სახელმწიფო მოღვაწეების პირადი მეგობარი, როგორებიც, ჟორდანია, ნერეთელი, ჩხეიძე და გეგეჭკორი იყვნენ, ბოლშევიკური ტენდენციების მქონე პიროვნება ყოფილიყო, მასვე ეწარმოებინა მოლაპარაკება ისეთ სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეზე, როგორიც იარაღით ვაჭრობაა. როგორც გამოჩნდა, ცალკე ჩხეიძე და ცალკე გეგეჭკორი ვოიტინსკის პიროვნებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ და მის გამგზავრებას პარიზში, ლონდონში თუ რომში პრიორიტეტულად სახავენ. თავად პოლკოვნიკმა გაბბამაც კი მისცა მას პირადი სარეკომენდაციო ბარათები იტალიაში გამგზავრების წინ. 1921 წელს ემიგრაციაში წასულ ვოიტინსკის არანაირი კავშირი არ ჰქონია ბოლშევიკებთან და სიცოცხლის ბოლოს, ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწერილ



მემუარებში მენშევიკ თანაგუნდელებთან გატარებულ სასიამოვნო მოგონებებზე საუბრობს.

არ არსებობს არცერთი ჩვენება, გარდა ლამბაშიძის წერილისა, რომელიც ვოიტინსკის ბოლშევიკობასა და არასანდოობაზე მიანიშნებდა. საპირისპირო არგუმენტები კი, როგორც ვხედავთ, მრავალია. სწორედ ეს წარმოშობს გონივრულ ეჭვს იმის თაობაზე, რომ პიროვნული, თანამდებობრივი მოსაზრებებით ლამბაშიძეს 1919 წლის აპრილში ვოიტინსკის ლონდონში ჩასვლის შეეშინდა. მის მსგავს დამოკიდებულებას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1920 წლის დასაწყისში, სავარაუდოდ უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხზე, მას უკმაყოფილება მოუვიდა ინგლისში ქართული საზოგადოების დამაარსებელთან და მთავრობის არაოფიციალურ წარმომადგენელთან - კონსტანტინე ჯაყელთან,<sup>1</sup> რომელმაც მათი უთანხმოების საკითხის განხილვა ლონდონის სამშვიდობო კონფერენციაზე ჩასულ ქართულ დელეგაციას სთხოვა [20, 19; 21, 16-17].

ლამბაშიძის წერილმა ვოიტინსკი ბრიტანელთა შავ სიაში შეიყვანა და ამის შედეგი იყო 1919 წლის ოქტომბერში ხელახლა წარმოქმნილი გაუგებრობა. თუმცა, ბრიტანეთში საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა ეს ქმედება იმდენად მოხერხებულად განახორციელა, რომ ვოიტინსკიმ მასზე ეჭვის მიტანა ემიგრაციაში, ათწლეულების შემდეგაც კი ვერ შეძლო და აღნიშნულ მოვლენათა ლოგიკური ახსნა გაუჭირდა [14, 433].

დავით ლამბაშიძის მხრიდან არც ეს ყოფილა საქართველოს მთავრობის ზურგს უკან ჩადენილი უკანასკნელი ქმედება. ამის შესახებ ცნობას ვღებულობთ კონსტანტინეპოლში საქართველოს დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის - გრიგოლ რცხილაძის მიერ კარლო ჩხეიძისადმი, 1919 წლის 5 ივლისს, მიწერილი წერილიდან: „დავით ლამბაშიძემ კონსტანტინეპოლში თითქმის ერთი თვე გაატარა. სულ ხუთი თუ ექვსი დღეა, რაც კონსტანტინეპოლიდან წავიდა. აქ ლამბაშიძე დაიარებოდა ინლისელთა შტაბის მოხელეებთან, მაგრამ რა გაარიგა, ან რისი გარიგება უნდოდა მათთან, ამის არაფერი ვიცი“ [22, 19].

ეს ის პერიოდია, როდესაც გენერალ დენიკინის მიერ ჩრდილო კავკასიის ოკუპაციისა, საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებთან ჯარების კონცენტრაციის გამო, ძალიან გართულდა

---

<sup>1</sup> კონსტანტინე ჯაყელი გახლდათ რუსეთის ყოფილი იმპერიის კონსული ქალაქ ლივერპულში.

ურთიერთობა საქართველოს მთავრობასა და კონსტანტინეპოლის ბრიტანეთის უმაღლეს სარდლობას შორის. ლამბაშიძის, როგორც ბრიტანელებთან მიმართებაში ავტორიტეტის მქონე დიპლომატის, კონსტანტინეპოლის სარდლობასთან ურთიერთობის დეტალების ცოდნას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მთავრობისათვის. თუმცა, როგორც ვხედავთ, მან მთელი თვის მანძილზე კონსტანტინეპოლში ყოფნის მიუხედავად, არ გააცნო აღნიშნული ურთიერთობის დეტალები საქართველოს მისიის მეთაურს. არსებულ შეხვედრებზე ჩანანერებს ვერც სხვა ქართულ დოკუმენტებში ვხვდებით, რაც გვარწმუნებს, რომ მან მთავრობისაგან ბოლომდე საიდუმლოდ დატოვა თავისი ერთ თვიანი მოღვაწეობის უმნიშვნელოვანესი დეტალები. სამაგიეროდ აღნიშნულ შეხვედრათა თაობაზე დანვრილებითი ანგარიში, პირადი წერილის სახით, მისწერა პროფესორ სიმპსონს.<sup>1</sup> ამ უკანასკნელთან ლამბაშიძის მიმონერიდან ირკვევა, რომ ქართველი დიპლომატი მას პერიოდულად უგზავნიდა ანგარიშებს მის მიერ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრათა თაობაზე. ეს მაშინ, როდესაც ანალოგიური ინფორმაცია საქართველოს მთავრობას არ მიეწოდებოდა. უფრო მეტიც, კონსტანტინეპოლში გამგზავრებისას მას კონსტანტინეპოლის სარდლობასთან, სამხედრო ატაშესთან და თბილისში გენერალ ბიჩთან შესახვედრად სარეკომენდაციო წერილი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვამ გაატანა. თუმცა ამ ურთიერთობებში ლამბაშიძე არსად არ მოსჩანს როგორც „ბრიტანეთის აგენტი“, პირიქით, კულუარული ურთიერთობებისას ის კრიტიკას არ იშურებს ამ უკანასკნელთათვის და თავგამოდებული მოუწოდებს საქართველოსათვის დახმარების განწევას [23; 24].<sup>2</sup>

1920 წლის 23 თებერვალს ლამბაშიძისადმი უკმაყოფილებას გამოხატავს პარიზიდან ლონდონში სამუშაოდ გადასული ქართული

---

<sup>1</sup> ლამბაშიძე ასე მიმართავს „ძვირფასო სიმპსონ“, რაც მათ ახლო ურთიერთობას გვაფიქრებინებს.

<sup>2</sup> პროფესორ სიმპსონის განცხადებით, მისი ნაცნობობა ლამბაშიძესთან 1917 წლის შუახანებში დაიწყო. სიმპსონი მას ახასიათებს, როგორც არაჩვეულებრივად კარგად ინფორმირებულ და მაღალგანვითარებული პოლიტიკური ალღოს მქონე პიროვნებას. იმავე მოხსენებაში ბრიტანელი დიპლომატი დასძენს, რომ ლამბაშიძეს ქართული იმპერიული მისწრაფებები აქვს [25]. ეს უკანასკნელი მოსაზრება, რასაკვირველია საკამათოა, თუმცა ცხადად გამორიცხავს ლამბაშიძის აგენტობას და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის პატრიოტულ მოტივებს.

სამშვიდობო დელეგაციის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე, რომლის განცხადებითაც ლამბაშიძე დელეგაციას მოხსენების გაკეთებას, მისი ლონდონში მუშაობის თაობაზე, ჯერ კიდევ პარიზში ყოფნისას დაჰპირდა, თუმცა დაპირება არ შეასრულა. ჩხეიძე იგივე უკმაყოფილებას იმეორებს 2 მარტს, დელეგაციის მორიგ სხდომაზე, რასაც საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე გვარჯალაძე უმატებს, რომ მას ბევრჯერ ჰქონია ლამბაშიძესთან საერთო მუშაობის შესახებ ლაპარაკი და უთხოვნია მისთვის თავისი მუშაობის შესახებ ცნობები გაეგზავნა დელეგაციისათვის, თუმცა ლამბაშიძე ყოველთვის ჰპირდებოდა და არასოდეს ასრულებდა დანაპირებს. უფრო მეტიც, 1920 წლის 24 მარტს გამართულ ქართული დელეგაციის სხდომაზე ქართველმა მრენველმა აკაკი ხომჭარიამ და კონსტანტინე გვარჯალაძემ ურთიერთსაუბრისას გამოარკვიეს, რომ ლამბაშიძე მათ, პურის შექმნასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ცნობებს აწვდიდა. გვარჯალაძემ დელეგაციის თავმჯდომარეს სთხოვა აღნიშნული დამოკიდებულების შესახებ ეცნობებინათ საქართველოს მთავრობისთვის [20, 1-19]. როგორც სჩანს ეს ცნობა თბილისში არ გაგზავნილა და მთავრობას არაფერი შეუტყვია დიდ ბრიტანეთში მისი დიპლომატიური წარმომადგენლის საეჭვო მოქმედების თაობაზე.

ლონდონში, ინგლისელებთან ლამბაშიძის ფარული მოლაპარაკებების დეტალებს სხვა ბრიტანულ დოკუმენტებშიც ვხვდებით. ის 1920 წლის 13 იანვარს ესაუბრა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცენტრალური დეპარტამენტის ხელმძღვანელ სერ ერიკ ფიჰსს. მან მადლობა გადაუხადა ბრიტანეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დე ფაქტო აღიარების ინიცირებისათვის, გარდა ამისა საუბარი შეეხებოდა საქართველოსათვის ტყვია-ნამლისა და სურსათის მოწოდებას, კრედიტის გამოყოფას და სხვ. დიალოგის ბოლოს ლამბაშიძემ აღნიშნა, რომ: ის თავად კონსერვატორი გახლავთ და სოციალ-დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლობას მხოლოდ პატრიოტული მოტივებით დასთანხმდა. მან ასევე განაცხადა, რომ საქართველოს გლეხობის 83% არის კონსერვატიული შეხედულების და იმ შემთხვევაში თუ ეს ხალხი არ მიიღებს შესატყვის კონსტიტუციას, ისინი მზად არიან ჩამოაგდონ ეს მთავრობა და სხვ. [26].

ეს გახლდათ, პიროვნული წარმოჩინების მიზნით, დიპლომატიური კეკლუცობა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს

ნინაშე, რომელსაც 1920 წლისათვის კონსერვატორი ლორდი კერ-ზონი ხელმძღვანელობდა და, საქართველოსადმი სიმპატიების ქონის მიუხედავად, მინისტრს თვალში არ მოსდიოდა მთავრობის სოციალისტობა [27]. რასაკვირველია ღამბაშიძემ ამ გამოსვლით პირადი რეპუტაციის კიდევ უფრო აწევა სცადა. ამავდროულად, ეს უკანასკნელი დოკუმენტი კიდევ უფრო მეტ კითხვის ნიშანს ბადებს თუ რა სახის მოლაპარაკებას აწარმოებდა ქართველი დიპლომატი 1919 წლის ზაფხულში კონსტანტინეპოლის ბრიტანულ სარდლობასთან და თუ რატომ დასჭირდა მისი დეტალების გასაიდუმლოება.

მას დიდად არ უზრუნია დასავლეთ ევროპაში მყოფ ქართველ დიპლომატთა შორის კარგი სახელის მოსახვეჭად, რადგან იცოდა, რომ მისი დანიშვნისა და მოხსნის შესახებ გადაწყვეტილება თბილისში მიიღებოდა. ამის გათვალისწინებით, მას საქართველოში არასოდეს გამოუთქვამს მთავრობის სანინააღმდეგო მოსაზრება. უფრო მეტიც, მას შემდეგ რაც 1919 წლის ზაფხულში ცოტა ხნით ევროპიდან სამშობლოში დაბრუნდა, საქართველოს საერთაშორისო ვითარებაზე მოხსენება წაიკითხა ჯერ მთავრობის სხდომაზე 8 ივლისს [28, 223] და შემდეგ არა დამფუძნებელი კრების ან მისი კომიტეტის (სადაც სხვადასხვა პარტიები იქნებოდნენ წარმოდგენილნი), არამედ სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სხდომაზე [29].

მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების ვიზიტის დროს, მთავრობა ყოველთვის მას გამოიხმობდა ხოლმე, როგორც სანდო და ამასთანავე დასავლურ წრეებში გასულ პიროვნებას. ასე მაგალითად: მან უმასპინძლა და შემდეგ ბანკეტზე უთამადა გენერალ ჯეიმს ჰარბორდის ამერიკულ მისიას, რომელსაც კავკასიასა და მცირე აზიაში ვითარების გამორკვევა ჰქონდა დავალებული [30]; ის დახვდა დიდი ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის საზღვაო ძალების სარდალს ადმირალ დე რობეკს. ღამბაშიძემ მასზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ასევე დაანახა თუ რამდენ ქართველ ახალგაზრდას სურს ინგლისში განათლების მიღება [31]; სწორედ ღამბაშიძე დაიბარა ლორდმა კერზონმა 1920 წლის 11 ივნისს, რათა ეცნობებინა მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილება ბათუმიდან ჯარების ევაკუაციის თაობაზე და ამასთანავე სთხოვა გაჰყოლოდა პოლკოვნიკ სტოქსს საქართველოში, მთავრობასთან მოლაპარაკებებში მონაწილეობის მისაღებად [32, 3-4].

მსგავსი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასამტკიცებლად, რომ დავით ღამბაშიძე, თავისი დიპლომატიური მოქ-

მედებით, ახერხებდა მისაღები პიროვნება ყოფილიყო როგორც ქართული, ასევე ბრიტანული მხარისათვის.<sup>1</sup> მის ქმედებათა მორალური შეფასება განსჯის საკითხია, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მას საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის არასოდეს უღალატია და ალბიონის კუნძულზე ყოველთვის რჩებოდა სამშობლოს ერთგულ მსახურად.

მასთან სამსახურებრივად ყველაზე დაახლოებული ორი პიროვნება - ზურაბ ავალიშვილი და კონსტანტინე გვარჯალაძე, რომლებთან ერთად, ფართომასშტაბიანი ქართული დელეგაციის ევროპაში გამგზავრებამდე, 1918 წლის სექტემბრიდან 1919 წლის თებერვლამდე, ღამბაშიძე ამზადებდა ნიადაგს ანტანტის სახელმწიფოებთან ურთიერთობების დასამყარებლად, აბსოლიტურად

---

<sup>1</sup> ბრიტანეთის საქართველოთი დანტერესებას განსაზღვრავდა 1919 წელს სპარსეთზე პროტექტორატის აღება [33], რათა კავკასია გამხდარიყო ბუფერი სპარსეთსა და რუსეთს შორის. ცნობილი ქართველი ნავთობმრეწველი აკაკი ხომტარია, როგორც ცნობილია, საბადოებს ფლობდა ჩრდილოეთ სპარსეთში. ამ საკითხზე ძალიან საინტერესო წერილს წერს ბათუმის ბრიტანელი გენერალ გუბერნატორი სამხედრო სამინისტროს: “სრულიად საიდუმლოდ! საზონოვი და დენიკინი ზენოლას ახორციელებენ ქართველ ბიზნესმენ ხომტარიასზე, რომ მან 5 მილიონ ფუნტად გაყიდოს თავისი კონცესიები ჩრდილო სპარსეთში. ღამბაშიძე 3 თვის განმავლობაში ცდილობდა, რომ ხომტარიას არ მიეყიდა ეს კონცესიები რუსებისათვის. თუმცა ხომტარიას ეშინია, რომ თუ რუსები თავიანთ გავლენას აღადგენენ სპარსეთში, ისინი კონფისკაციას გაუკეთებენ მის ქონებას.

თუ შეგიძლიათ მაცნობოთ, დევს თუ არა აქ ბრიტანეთის ინტერესები, რათა დავიცვათ ხომტარია კონცესიების გაყიდვისაგან და თუ შესაძლებლობა იქნება ბრიტანულ კორპორაციებს შესთავაზოთ ამ ქონების 5 მილიონზე იაფად შესყიდვა.

ღამბაშიძეს იცნობენ საგარეო საქმეთა სამინისტროში და ის ცნობილია, როგორც ძლიერ პრო-ბრიტანული პოზიციების მქონე ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი [34].“

ამ პატარა ეპიზოდში გაერთიანებულია დავით ღამბაშიძის ყველა თვისება: 1. საქართველოს ეროვნულ ინტერესებზე ზრუნვა, რათა ქართველმა მრეწველმა ქონება ხელში არ ჩაუგდოს რუსებს და მისი დაცვა; 2. საქართველოს ინტერესების ბრიტანულ ეროვნულ ინტერესებთან შეთავსება; 3. ბრიტანელებთან მიმართებაში ღამბაშიძის მაღალი ავტორიტეტი; 4. საქართველოს მთავრობის ზურგსუკან მოქმედება, რადგან არსად არ ჩანს, რომ მთავრობამ ამ მოვლენებზე რაიმე იცოდა. უფრო მეტიც, როგორც ჩანს ღამბაშიძის აღნიშნული შეთავაზება იტალიელთა ყურამდე მივიდა. ამ უკანასკნელთა სამშვიდობო დელეგაციამ პარიზში, 1919 წლის ნოემბერში, კითხვით მიმართა ქართულ მხარეს, ხომ არ აპირებდნენ ქართველები 5 მილიონ გირვანქად დაეთმოთ “გარკვეული” მონოპოლიები ინგლისელთათვის. ამ შეკითხვამ ქართველ დელეგატთა გაკვირვება გამოიწვია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ მოლაპარაკებათა საქმის კურსში არ იმყოფებოდა [35, 132].

ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებას აძლევენ ამ უკანასკნელის მოღვაწეობას. ავალიშვილი ბრიტანეთში საქართველოს წარმომადგენელს ძალიან პოზიტიურად, ბევრი კარგი საქმის გამკეთებლად ახასიათებს, ხოლო გვარჯალაძის აზრით ღამბაშიძე არის არასანდო პიროვნება, რომელიც სიმართლეს არასოდეს არ ამბობს, მან ყურადღება არ მიაქცია ქართველ სტუდენტებს, არაფერი უღონია ქართული წარმომადგენლობის ხეირიანად დასაარსებლად, მთავრობის მიერ ამ მიზნისათვის მისთვის მიცემული ფული პირად საკუთრებათ მიაჩნია, იგი გახვეულია კომერციულ ინტრიგებში და სხვ [10, 191; 21, 53-55]. რასაკვირველია ორივე მოსაზრებაში არის სიმართლის მარცვალი, მაგრამ დავით ღამბაშიძის ღვაწლი, მისი მუშაობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების მოსაპოვებლად, მისი გამუდმებული მცდელობა ბრიტანული ტყვია-წამლით, სურსათით, კრედიტით, ინვესტიციების მოზიდვით შეემსუბუქებინა სამშობლოს ყოფა, სამომავლო კვლევის საგანია.

### **დამონმებული ლიტერატურა და წყაროები:**

1. А. М. Топчибашев, Письма из Парижа, Баку, 1998.
2. დიდი ბრიტანეთის ეროვნული არქივი, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი (Foreign Office — შემდეგში FO.). FO 371/3661, ადმირალ კალთორპის მიერ კონსტანტინოპოლიდან გადმოგზავნილი წერილის განხილვა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, 1919, 24 იანვარი.
3. FO 371/3667, ჯორჯ კიდსტონის წერილი ლორდ კერზონისადმი, 1919, 6 თებერვალი.
4. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, 19 იანვარი.
5. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2115, აღწ. 1, საქმე 90, კარლო ჩხეიძის წერილები მარსელიდან და პარიზიდან გრიგოლ რცხილაძისადმი.
6. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2115, აღწ. 1, საქმე 120, გრიგოლ რცხილაძის წერილები კარლო ჩხეიძისადმი კონსტანტინეპოლიდან პარიზში.
7. Lieutenant-Colonel Repington (personal experience) – The First World War 1914-1918, Boston, 1920.

8. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1831, აღნ. 2, საქმე 88, აკაკი ჩხენკელის წერილები ბერლინიდან და ბერნიდან დავით ღამბაშიძისადმი.
9. სცსა, ფონდი 1831, აღნ. 2, საქმე 89, აკაკი ჩხენკელის წერილები ბერნიდან და ჟენევიდან საქართველოს მთავრობისადმი, ანტანტის ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობების, ეკონომიკური კავშირების დამყარების შესახებ.
10. ზურაბ ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბილისი, 2011.
11. FO 371/3661, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი დავით ღამბაშიძისადმი, 1919 წლის 25 მარტი.
12. FO 608/88/2, საქართველოს ცნობა და მისი წარმომადგენელი ლონდონში.
13. FO 371/3673, დავით ღამბაშიძის წერილი (მინისტრის სახელზე დანერილი) ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლად მიღების შესახებ. 1920 წლის 14 იანვარი. იქვე, სამინისტროს პასუხი 1920 წლის 29 იანვრით დათარიღებული.
14. W. Woytinsky, Stormy Passage, New York, 1961.
15. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ილია ტაბალუას არქივში დაცული იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო დოკუმენტები – პოლკოვნიკ გაბბას წერილი იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი. 1919 წლის ოქტომბერი.  
(ილია ტაბალუას არქივი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს სულ ეხლახანს გადაეცა, მასალა ჯერჯერობით არ ვახლავთ კატალოგიზირებული და ამიტომ ვერ ვახერხებთ საქმეების ნომრების მითითებას).
16. FO 371/3661, დავით ღამბაშიძის წერილი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი. 1919 წლის 22 აპრილი.
17. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2115, აღნ. 1, საქმე 109. ვლადიმერ ვოიტინსკის ანგარიში რომიდან პარიზში კარლო ჩხეიძისადმი იტალიასთან, იარაღის შესყიდვის, მოლაპარაკებების შესახებ, 1920 წლის 11 იანვარი.
18. FO 371/3663, ოლივერ უორდროპის საიდუმლო შეტყობინება დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსადმი, 1919 წლის 28 სექტემბერი.

19. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღნ. 2, საქმე 229.
20. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღნ. 2, საქმე 305, ლონდონში ქართული დელეგაციის სხდომის ოქმები, 1920 წლის 23 მარტი.
21. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864. აღნ. 2, საქმე 314, კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი კარლო ჩხეიძეს ლონდონიდან პარიზში, 1920 წლის 9 იანვარი.
22. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღნ. 2, საქმე 122.
23. FO 608/85/1, ღამბაშიძის 1919 წლის 30 მაისისა და 12 ივნისის წერილები სიმპსონისადმი.
24. FO 608/85/2, 1919 წლის 28 აპრილის საუბარი ვიცე-პოლკოვნიკ გრიბონსა და ღამბაშიძეს შორის.
25. FO 608/195/2, სიმპსონის რეპორტი საგარეო საქმეთა სამინისტროს, მისი ღამბაშიძესთან საუბრის შესახებ.
26. FO 371/3673, ფიქსის რეპორტი დავით ღამბაშიძესთან საუბრის თაობაზე, 1920 წლის 13 იანვარი.
27. FO 371/3661, მთავრობის უწყებათაშორისი სხდომა აღმოსავლეთის საკითხზე, 1919 წლის 6 მარტი.
28. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1861, აღნ. 3, საქმე 13.
29. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 11 ივლისი, 151.
30. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წლის 4 ოქტომბერი, 223.
31. FO 371/3664, ადმირალ რობეკის შენიშვნები შავიზღვისპირეთში მოგზაურობის თაობაზე, 1919 წლის ოქტომბერი.
32. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2116, აღნ. 1, საქმე 113, კონსტანტინე კანდელაკის წერილი კარლო ჩხეიძისადმი ლონდონიდან პარიზში, 1920 წლის 11 ივნისი.
33. The fight for oil: Britain in Persia 1919; History Today, vol 31, Issue 9, 1981.
34. FO 371/3671, ბათუმის სამხედრო გუბერნატორის წერილი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს, 1919 წლის 9 ოქტომბერი.



35. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1864, აღნ. 2, საქმე 129, პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციის სხდომის ოქმები.

**Beka Kobakhidze**

*PhD Student in History at Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

**Unknown Sides of The First Georgian Republic's (1918-1921)  
Diplomacy – Davit Ghambashidze**

**Summary**

The article above refers to the distinguished personality of The First Georgian Republic's diplomatic representative in Great Britain – Davit Ghambashidze. Hereby is described his loyal service to his country's interests on one hand and his undercover activities against the lines drawn by Georgian government on the other. Even though these two aspects seem to be contradictory to each other, Mr. Ghambashidze managed to match them by means of utilizing his excellent diplomatic skills. Georgian diplomat enjoyed substantial trust from the side of His Majesty's Government and was considered to be the most pro-British Georgian politician and at the same he was given a cart-blanc by the Georgian government, though he was not a member of ruling Social-Democratic party. His diplomacy quite often went over moral frames in terms of his loyalty to his government, nevertheless he had never betrayed national interests of his country. Moreover, while his service he was making consistent efforts for gaining recognition of Georgia from Great Britain, he wrote two books in English on Georgian national resources in order to attract British investments, he was trying to get and send food and munitions supplies, money credits to Georgia.

The article is based exclusively on unknown historic sources. Here are utilized materials from British Foreign Office Archives, Georgian National Archives, Italian Foreign Ministry Archives, the books and newspaper articles which were not used before by Georgian scholars etc. Aim of the article is revealing of unknown sides of The First Georgian Republic's diplomacy. We remain open for the further discussions.

## შოთა ვადაჭკორია

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

### ქართული პოლიტიკური აზრი ოსური საბჭოური ავტონომიის შექმნისა და მისი სამართლებრივი შეფასების შესახებ (XX ს- ის 20-იანი წლები)

#### (წერილი III)

გასაბჭოებული საქართველოს ხელისუფლების მხრიდან შიდა ქართლში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისადმი გვერდის ავლა და პრობლემის სულ სხვა მიმართულებით მანიპულირება, ქვეყნის მმართველი პარტიის მიზანმიმართულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ სულას წარმოადგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ ყურნალ „მომამბეში“ ოსურ საკითხზე დაბეჭდილ სარედაქციო წერილში — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ერთეულის შესახებ“ ის ძირითადი მიზეზები უნდა ყოფილიყო წინა პლანზე წამოწეული, რამაც 51 ქართული სოფლის მოსახლეობას „სამხრეთ ოსეთის“ რეკომისიისადმი მორჩილებაზე უარი ათქმევინა და კატეგორიული ფორმით გორის სამაზრო რეკომზე მიწერის მოთხოვნა დააყენებინა. იგივე სტატია, ყურადღების მიღმა მეორე კითხვასაც ტოვებდა. **კერძოდ, რამდენად იყო გამართლებული ცხინვალის რაიონის 8 სოფლის საზოგადოებაში მცხოვრები 11619 ქართველის ინტერესების, 1100 ოსის ინტერესთა სამსხვერპლოზე მიტანა.** ამ უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი შეგნებულად გვერდის ავლამ, სარედაქციო სტატიის ავტორს, ოსი სეპარატისტების მიერ წამოყენებული პრეტენზიებისადმი მხარდაჭერისა და გარკვეული „მტკიცებულებების“ მოშველიების შესაძლებლობა მისცა. თუ რა ფორმით ცდილობდა იგი ცხინვალისა და მისი მიმდებარე ქართული სოფლების „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში შეყვანის აუცილებლობის „დასაბუთებას“, ამის საილუსტრაციოდ იმავე სტატიიდან შესაბამის ამონაწერს მოვიტან და თავად მკითხველმა განსაჯოს, რამდენად ობიექტური და არგუმენტირებულია აღნიშნული სარედაქციო

ნერილის პოზიცია. „შეუძლებელი და დაუშვებელია— ვკითხულობთ ნერილში— ოსეთის ავტონომიური ოლქის არსებობა უცენტროთ. ცენტრს კი წარმოადგენს ცხინვალი. მისი გამოგლეჯა ოსეთის ავტონომიური ერთეულისაგან ყოველად შეუძლებელია. ეს ფრიად შეაფერხებს ადგილობრივ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეს. ამიტომ, ცხინვალი უსათუოდ უნდა დარჩეს ავტონომიური ოსეთის ფარგლებში. ამას მოითხოვს როგორც ქართველი და ოსი მშრომელი მასების, აგრეთვე თვით საბჭოთა ხელისუფლების ინტერესები... ადგილობრივ მომუშავე ამხ. კომუნისტების მოვალეობას შეადგენს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და როგორც საქმით, ისე პროპაგანდა— აგიტაციით დაუმტკიცონ ადგილობრივ მცხოვრებ ქართველებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ყველგან და ყოველთვის იცავს მხოლოდ მშრომელთა ინტერესებს... ადგილობრივი ქართველები უნდა დარწმუნდეს, რომ ნაციონალური მტრობის გამწვავება ხელს უშლის მშრომელთა დიქტატურის განმტკიცებას და საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობით მუშაობას“ [1, 21].

თუკი ჩემს მიერ მოტანილ ამ ამონაწილს საფუძვლიანად გაავანალიზებთ, მასში რამდენიმე საკითხი გამოიკვეთება: ა) ცხინვალისა და მისი რაიონის „სამხრეთ ოსეთისადმი“ გადაცემა თითქოს იმ „აუცილებლობით“ იყო განპირობებული, რომ აღნიშნული ოპერაციის განხორციელება ქართველი და ოსი მშრომელების და თვით საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა. ჩვენს ხელთ არსებული საარქივო მასალების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ოსებისათვის ცხინვალის რაიონის დაკანონება, ოსი სეპარატისტების ოცნებას წარმოადგენდა. ამისათვის იბრძოდნენ ისინი დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ 1918-1920 წლებში და დასახული მიზნის მისაღწევად აჯანყებებსაც აწყობდნენ. ოსების ზემოაღნიშნული ჩანაფიქრისადმი გასაბჭოებული საქართველოს მმართველი წრეების პოლიტიკური კურსის დამთხვევა იმის მიმანიშნებელია, რომ ქართველთა ნიღბით შემოსილი ბოლშევიკების მარიონეტული ხელისუფლება, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობისა და საქართველოს სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად, არანაირ დადგენილებას და სამართლებრივ აქტს არ მიიღებდა. მითუმეტეს, შესაბამისი სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა ოსების სასარგებლოდ სამთავრობო დონეზე ოფიციალურად მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების მცდარი და ეროვნული ლალატიით დამძიმებული გადაწყვეტილებების გატარების წინააღმდეგ, როგორც პირველ

ნერილში მქონდა რამდენჯერმე აღნიშნული, შიდა ქართლის ქართველობა თავგამოდებით იბრძოდა; ბ) იმავე ციტატის მიხედვით, შიდა ქართლის ქართული სოფლის მოსახლეობა ნაციონალური მტრობის გამღვივებლადაა გამოცხადებული, ხოლო ოსური სეპარატიზმის თავაშეებულობის მხილებისა და მისი მოთოკვის აუცილებლობის შესახებ, მინიშნებაც არ არის გაკეთებული. ქართველთა მხრიდან ამ მიმართულებით შეუპოვარი წინააღმდეგობის განევა და სამართლებრივი უფლებების აღდგენისათვის ბრძოლა, სახელისუფლებო იდეოლოგიური პროპაგანდის მიერ მიუღებლად და საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის ხელშემშლელადაა აღიარებული. ქართველთა ჩასაწინხლად სახელმწიფოებრივ დონეზე გატარებულ პოლიტიკურ კურსს, „სამხრეთ ოსეთის“ მმართველი წრეები სავსებით მისაღებად თვლიდნენ და ამ ფაქტს შესაბამისი დოკუმენტებითაც ადასტურებდნენ. ამის ერთ-ერთ მაგალითს, საქართველოს კპ (ბ) „სამხრეთ ოსეთის“ პირველი საოლქო პარტიული კომფერენციის (1922 წლის 6 იანვარი) დადგენილება წარმოადგენს. საქართველოს მთავრობის მიერ ოსებისადმი მხარდაჭერიდან გამომდინარე, ამ დოკუმენტში ხელისუფლების ეროვნული პოლიტიკის მოწონებასთან ერთად გარკვეული კმაყოფილებაც იყო გამოთქმული. ეს ფაქტი, იმავე კონფერენციის მონაწილეებმა, საქართველოს მთავრობისადმი გაგზავნილი მისასალმებელი ნერილითაც დაადასტურეს [2, 106].

საარქივო მასალებით ირკვევა, რომ ავტონომიის სამართლებრივად დასაკანონებლად, საქართველოს ხელისუფლების დაჩქარებას „სამხრეთ ოსეთის“ რეკომი მაქსიმალურად ცდილობდა. ამ მხრივ, ყოველგვარი სახის პოლიტიკურ საშუალებებს მიმართავდა. ძირითად არგუმენტად ოსური ეთნოსის და ოსური ეროვნული კულტურის (ასეთი იმ ეტაპზე თუკი გააჩნდათ) გადარჩენის საბაბს იყენებდნენ. ამ მოტივით, ოსების პარტიული ნომენკლატურა შიდა ქართლში ოსური სახელმწიფო წარმონაქმნის შესაქმნელად თავს არ ზოგავდა. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა ჩრდილო კავკასიის ოსეთში ამ მხრივ სრული წყვდიადი იყო დასადგურებული. საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთა წინაშე ოსური ავტონომიის შექმნა — არშექმნის საკითხი არც კი განიხილებოდა. საქართველოში ოსების პრეტენზიული ფორმით გააქტიურების ერთ-ერთ ფაქტორს, ოსი სეპარატიზტებისადმი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მაღალჩინოსნების და კავბიუროს მხარდაჭერა განაპირობებდა. ამის საუკეთესო გამოვლინებას საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის პირველი მუხლის შე-

ნიშვნა წარმოადგენს. მხედველობაში მაქვს თვითგამორკვევის მოტივაციით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნისა და კონსტიტუციურად დადასტურების (1922 წლის 2 მარტი) ფაქტი [3, 73]. ამ შემთხვევაში, ბუნებაში ფიზიკურად არარსებული და შესაბამისი საკანონმდებლო ორგანოს მიერ ჯერკიდევ სამართლებრივად გაუფორმებელი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის დაკანონება, ქვეყნის კონსტიტუციის მეშვეობით წინასწარ იქნა განხორციელებული. ამ ფონზე, განსაკუთრებულ ყურადღებას „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ, საქართველოს რევკომის მიერ მომზადებული დეკრეტის პროექტი იქცევს. იგი საქართველოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ კონსტიტუციის მიღებიდან 18 დღის შემდეგ, თანდართული წერილით 2845 შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს გადაუგზავნა (1922 წლის 20 მარტი) და აღნიშნულ უწყებას ამ დოკუმენტისათვის საბოლოო ვარიანტის სახის მიცემა დაავალა. რაც შეეხება დეკრეტის პროექტის შინაარს, იგი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ 1921 წლის 20 ივლისს მიღებული დადგენილების დუბლიკატს წარმოადგენს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ გარეგნულად დეკრეტისათვის დამახასიათებელ ფორმას ატარებს, რევკომის თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის ერთობლივ ხელმოწერას ითვალისწინებს.

**ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დეკრეტის პროექტის ხუთივე მუხლში მოტანილი დებულებები ამ უწყებისათვის ძირითადად მისაღები უნდა ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის საკითხთან მიმართებაში, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის პოზიციის მაქსიმალურად გათვალისწინებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინა. წარმოდგენილი დეკრეტის პროექტში საჭირო ცვლილებების შეტანა და მასზე კომპენტენტური დასკვნის გაკეთება ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილების გამგეს გრ.გველესიანს დაავალა. ამის დამადასტურებლად, იმავე გრ.გველესიანის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის სახელზე 1922 წლის მარტის ბოლოს გაგზავნილი მოხსენება გამოდგება.**

ეს ვრცელი დოკუმენტი საკითხის ღრმა ცოდნითაა დაწერილი და სრულად ასახავს იმ ურთულეს სიტუაციას, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, 1922 წლის მარტამდე „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური წარმონაქმნის მიზანშეწონი-

ლობასთან დაკავშირებით იყო შექმნილი. ხელისუფლების მხრიდან 1921 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით მიღებული დადგენილებების, 1888 წლის საოჯახო აღწერის სტატისტიკური მონაცემებისა და შიდა ქართლის ქართული, ებრაული, სომხური და ოსური მოსახლეობის პოზიციის წინ წამოწევის ფონზე, მოხსენებაში დამაჯერებელი არგუმენტებითაა დასაბუთებული ცხინვალის რაიონის ქართული სოფლების ოსური ავტონომიისადმი გადაცემის დაუშვებლობა. რაც შეეხება ქ. ცხინვალის „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის ცენტრად გამოცხადებას, ამ საკითხთან დაკავშირებით, პრობლემის სამართლებრივად გადაჭრის ამოსავალ საფუძვლად, გრ. გველესიანს მთავრობის 1921 წლის 12 და 20 დეკემბრის დადგენილებები მიაჩნდა. ამ ფონზე იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის პოზიციის გათვალისწინებას ანიჭებდა და იქვე დასძენდა: „როგორც მთავრობის, ისე პარტიის გადაწყვეტილება ისეთია, რომ ცხინვალის რაიონი იმ დრომდე ვიდრე ქართველი მოსახლეობა ამ რაიონისა არ მოისურვებს შეუერთდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიას, უნდა ექვემდებარებოდეს გორის მაზრის ხელისუფლებას. მაშასადამე, ... ქალ. ცხინვალი ასეთ ცენტრად ხდება მხოლოდ მას შემდეგ, თუ ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ავტონომიურ ოსეთში შესვლის სურვილს გამოთქვამს.“ ყურადღებას ის ფაქტიც იქცევს, რომ გრ. გველესიანმა დეკრეტის პროექტის მეორე მუხლიც არ დატოვა პასუხგაუცემელი. მხედველობაში მაქვს ცხინვალის „სამხრეთ ოსეთის“ რევეკომის დროებით რეზიდენციად აღიარება. „დეკრეტის პროექტის მეორე მუხლით — ვკითხულობთ მოხსენებაში — ქ. ცხინვალი აღიარებულია სამხრეთ-ოსეთის რევეკომის დროებით ცენტრად იმიტომ, რომ ცხინვალი არ შედის იმ შვიდი სოფლის საზოგადოების ფარგლებში, რომელიც ამავე დეკრეტით ავტონომიურ ტერიტორიად არის გამოცხადებული. ცხადია, ასეთი მუხლის დეკრეტში შეტანით მთავრობა ფიქრობდა, დახმარებოდა სამხრეთ-ოსეთის ხელისუფლებას იმით, რომ მას რეზიდენციას დროებით ცხინვალში აძლევს, ვიდრე ოსეთის ცენტრში — ჯავაში ბინები მოეწყობოდა.“ ასეთი განმარტებისა და ზემოაღნიშნული დასკვნის გაკეთების შემდეგ, გრ. გველესიანი საფუძვლიანად წარმოაჩინა ცხინვალის რაიონის ქართული მოსახლეობის უარყოფით დამოკიდებულებას ოსების ავტონომიისადმი ქ. ცხინვალის გადაცემასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში, იგი 1921 წლის ოქტომბერ-ნოემბერში და 1922 წლის იანვრიდან მარტის ჩათ-

ვლით, ქართული სოფლების მიერ ხელისუფლებისასდმი გაგზავნილ საპროტესტო წერილებს ეყრდნობოდა.

რაც შეეხება უშუალოდ დეკრეტის პროექტს, გრ.გველესიანმა ამ დოკუმენტთან მიმართებაში დასაბუთებული ფორმით ანგარიშგასაწვეი შენიშვნები გამოთქვა. მისი მტკიცებით: 1) „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის დეკრეტის პროექტის შედგენამდე და დამტკიცებამდე, პირველ რიგში ავტონომიის კონსტიტუცია უნდა შემუშავებულიყო და საზღვრები დაედგინათ. „მთავარი ხაზები საზღვრების აღმნიშვნელი, — წერს იგი — დეკრეტის შედგენის დროს უკვე გარკვეული უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიქმნება ქაოსი და არ გვეცოდინება თუ სად უნდა თავდებოდეს ავტონომიური ხელისუფლების მოქმედება, ან კიდევ უარესი, ერთსა და იმავე ადგილას შეიქმნება ორი ხელისუფლება, როგორც ეს ამჟამად ხდება გორის მაზრის სხვადასხვა რაიონებში“; 2) გორის მაზრის ცხინვალის რაიონის მოსახლეობის მიერ კატეგორიული სურვილის მიუხედავად, ცხინვალის რაიონი „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში მაინც რომ შეეყვანათ, ამ ფაქტის დეკრეტში დაფიქსირება, გრ.გველესიანს დაუშვებლად მიაჩნდა. „ამას დეკრეტში ვერ დავწერტ — აღნიშნავდა იგი — ვინაიდან სხვადასხვა დროს ამ ტერმინს სულ სხვადასხვა შინაარსი ჰქონდა და დღესაც არ ვიცი თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ცხინვალის რაიონის ქვეშ.“ ასეთი სიფრთხილე შემთხვევითობით არ იყო განპირობებული, მითუმეტეს, იმ ეტაპზე „სამხრეთ ოსეთის“ რეკომი ცხინვალთან ერთად მის გარშემო არსებულ ქართულ თემებზეც აცხადებდა პრეტენზიას და ოსური ავტონომიის საზღვრებში მოქცევას მაქსიმალურად ცდილობდა; 3) ზემოაღნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, გრ.გველესიანის აზრით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის მთავარი სასაზღვრო ხაზის დადგენამდე, დეკრეტის გამოქვეყნება დროებით უნდა შეჩერებულიყო; 4) იმ შემთხვევაში, თუკი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, დეკრეტის დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას მთავრობა აუცილებლობად ჩათვლიდა, საქართველოს რეკომის მიერ მომზადებულ პროექტს გრ.გველესიანი გარკვეული შესწორებების გათვალისწინებით სრულიად მისაღებად მიიჩნევდა. ამასთან დაკავშირებით, მის მიერ მომზადებულ დასკვნაში ვკითხულობთ: „მიუხედავად ჩვენი მოსაზრებისა, მთავრობა თუ საქიროდ ჩათვლის დეკრეტის დაუყოვნებლივ გამოცხადებას, ამ შემთხვევაში სრულიად მისაღებია საქ. სოც. საბჭ. რეს-

პუბლიკის რეგულაციური კომიტეტის დეკრეტის პროექტი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ,... რომელიც არაფრით არ ეწინააღმდეგება... როგორც მთავრობის 20 დეკემბრის, ისე კომუნისტ. პარტიის 12 დეკემბრის დადგენილებას — სამხრეთ ოსეთის შესახებ.“ ამ დებულების დამადასტურებლად იმავე მოხსენებაში ორივე დადგენილების ძირითადი შინაარსია მოტანილი და თითოეული დოკუმენტის სამივე მუხლის დასაბუთებული განმარტებაა მოცემული.

ამ ფონზე, განსაკუთრებულ ყურადღებას ის ფაქტი იქცევს, რომ გრ. გველესიანმა, აღნიშნული დეკრეტის პროექტს გარკვეული რედაქტირება გაუკეთა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს თურა სახით გადაეცა დეკრეტის პროექტი — „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ და რა სარედაქციო ცვლილებები იქნა შეტანილი გრ.გველესიანის მიერ, ამის საილუსტრაციოდ აღნიშნული დოკუმენტის სრულ ტექსტს მოვიტან. კვადრატული ფორმებით და ბოლდით გამოყოფილი გეოგრაფიული სახელები, ზოგირით ტერმინი, დეკრეტის პროექტის მეორე და მესამე მუხლები, გრ.გველესიანისეულ სარედაქციო ცვლილებას აღნიშნავს. „1) შეიქმნას ავტონომიური სამხრეთ ოსეთის ოლქი შემდეგი შვიდი ყოფილი საზოგადოებიდან: ა) როკის, წუნარის **[სოფ. ნულის გამოკლებით — გრ. გველესიანი]**, ყორნისის, ჯავის, ყემულთის, ორტვის და ბელოთის; ბ)ის სოფლები, რომლებშიაც მოსახლეობენ ქართველები: ვანათი, ბელოთი, ხოშორი, საცხენეთი, ხადურიანთკარი, ზემო და ქვემო ავნიეები **[დვანი, აწრისხევი — გრ. გველესიანი]**, დარჩებიან გორის მაზრის ცხინვალის რაიონში; 2) სამხრეთ ოსეთის საბჭოთა პირველი ყრილობის მონვევამდის მთელი ხელისუფლება მინიჭებული აქვს სამხრეთ ოსეთის რეგომს, რომლის ცენტრად დროებით აღიარებული იქნას ქალაქი ცხინვალი. **[2] სამხრეთ ოსეთის აღმასრულებელი კომიტეტის დროებით ცენტრად აღიარებული იქნას ქალაქი ცხინვალი — გრ. გველესიანი.** 3) საბჭოთა ყრილობა აირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს, რომელსაც მიენიჭება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის უფლება. **[3] სამხრეთ ოსეთის აღმასრულებელ კომიტეტს ენიჭება მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის უფლება — გრ. გველესიანი.**“

4) დავვალოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს შექმნას შერეული კომისია სამხრეთ ოსეთის საზღვრების დადგენისათვის.



5) დაევალოს გორის რეგკომს დაუყოვნებლივ გადასცეს სამხრეთ ოსეთის რეგკომს [ალმასრულებელ კომიტეტს — გრ. გველესიანი] ყველა საქმეები, რომელიც ეხება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას და მის მცხოვრებლებს.“

გრ. გველესიანის მიერ შეტანილი შესწორებების გათვალისწინებით, დეკრეტის აღნიშნული პროექტი, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიას ტერიტორიულად მხოლოდ გორის მაზრის ჩრდილოეთით მდებარე მთიანი ზონის 7 სასოფლო საზოგადოების საზღვრებში აქცევდა და სამაზრო უფლებებს აძლევდა. იმ შემთხვევაში, თუკი შიდა ქართლის ოსების პრობლემა ამ პროექტის მიხედვით გადაწყებოდა; ა) შიდა ქართლის ქართული სოფლების მოსახლეობის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდებოდა; ბ) საქართველოს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესებისა და საბჭოთა ფედერაციული რუსეთის სინამდვილის გათვალისწინების ფონზე, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, ოსებთან მიმართებაში უდუდეს კომპრომისულ სახეს მიიღებდა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი საქართველოს ხელისუფლებისა და კავშიუროს ლიდერები, კოსმოპოლიტიზმზე მაღლა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს დააყენებდა. მითუმეტეს, მოხსენების დასკვნით ნაწილში, გრ. გველესიანი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ერთხელ კიდევ შეახსენებდა: „დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია — ვკითხულობთ დოკუმენტში, — რომ გორის მაზრის ზოგიერთი... ქართული მოსახლეობის მდგომარეობა ამჟამად იმდენად მძიმე და აუტანელია, რომ საჭიროა საკითხი... თანახმად მათი სამართლიანი მოთხოვნისა და ერთსულოვნად გამოთქმული ნებასურვილისა — საჩქაროდ გადაწყდეს. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში ყოველდღე შემოდის პირადი წერილობითი განცხადებანი, საჩივრები, რომელთაც ამასთანავე ვადგენ და რომელნიც ამ მდგომარეობას გვაცნობენ“.

გრ. გველესიანის ეს მოხსენება იმ დროს დაინერა, როცა „ნაციონალ-უკლონისტებად“ წოდებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა ფაქტიურად დამარცხებული იყო. კავშიუროსა და განსაკუთრებით ს. ორჯონიკიძის ძალისხმევით, საქართველოს კომპარტიის პირველმა ყრილობამ (1922 წლის 23 იანვარი-1 თებერვალი) „ნაციონალ-უკლონისტური“ ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა უარყოფითად შეაფასა და მისი ახალი შემადგენლობა დაამტკიცა [4, 26- 27]. ეს ფაქტი, სავსებით საკმარისი აღ-

მოჩნდა იმისათვის, რომ „ნაციონალ-უკლონისტების“ მხარდამჭერი თანამდებობის პირთა მიმართ, ბეჭდვითი ორგანოების მეშვეობით პოლიტიკური ბრალდებები წაეყენებინათ. ამის ერთ — ერთ დადასტურებას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ყოველკვირიულ ორგანოში ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებული სარედაქციო სტატია — „ოსეთის ავტონომიური ერთეული“ წარმოადგენს. „თუ სადმე დღემდე სათავეში იყო — ვკითხულობთ წერილში — უღირსი პირი, რომელიც თავისი მოქმედებით ხელს უწყობდა ნაციონალური შუღლის გაღვივებას, ხელისუფლების ორგანოებში ეხლა მოექცევიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც ნამდვილი დამცველები იქნებიან მუშათა და გლეხთა ინტერესებისა და რომელთა მოღვაწეობა ხელს შეუწყობს ნაციონალური შუღლის სამუდამოთ მოსპობას“ [1, 21].

აღნიშნული ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ ოსურ საკითხთან მიმართებაში პრობლემის ობიექტურად გადაწყვეტის, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობისა და ეროვნული სახელმწიფოს ინტერესების მეტნაკლებად გამტარებელი თანამდებობის პირნი, „უღირსად“, „ნაციონალური შუღლის გამღვივებლებად“, „მუშათა და გლეხთა ინტერესების მოწინააღმდეგეებად“ იყო გამოცხადებული. დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ კავშიუროსა და განსაკუთრებით ს.ორჯონიკიძის ინიციატივით, მისთვის არასასურველი პირები თანამდებობიდან იქნა გადაყენებული. ასეთივე ბედი ერგო წილად შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ბ.კვირკველიასაც, რომელიც 1922 წლის თებერვლის დასაწყისიდან სამხედრო — საზღვაო კომისრად გადაიყვანეს და მის ადგილზე ალ.გეგეჭკორი დანიშნეს.

**საქართველოს ხელისუფლების მაღალ ეშელონებში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, ოსური საკითხის გადაწყვეტის ის ფორმა, რომელსაც საქართველოს რევკომის ზემოაღნიშნული დეკრეტის პროექტი ითვალისწინებდა, საქართველოს კომპარტიის ახლადარჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობისა და ახლად დანიშნული შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. ამის აუცილებლობას „ნაციონალ-უკლონისტებზე“ გამარჯვებული ს.ორჯონიკიძისა და მისი დაჯგუფების ინტერესები მოითხოვდა. მითუმეტეს, ჯერ კიდევ რკპ (ბ) კავკასიის სამხარეო პარტიულ თათბირზე (1921 წლის 12 აგვისტო) წაკითხულ მოხსენებაში, ს.ორჯონიკიძეს კატეგორიული ფორმით შემდეგი სახის განცხადება ჰქონდა გაკეთებული: „განაპირა მხარეების საკითხში ჩვენ მთლიანად იმ თვალსაზრისზე დავდევით,**

რომ მიენიჭოს ამ მხარეებს ფართო თავისუფლება, თვით დამოუკიდებლობამდე“ [5, 247]. სამწუხაროდ, „განაპირა მხარეებში“ იგი „სამხრეთ ოსეთსაც“ გულისხმობდა. იმავე ს. ორჯონიკიძემ, ნაციონალური საკითხის შესახებ საქართველოს კომპარტიის პირველ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში (1922 წლის 30 იანვარი) „სამხრეთ ოსეთის“ ფართო ავტონომია შექმნილად გამოაცხადა. „თქვენ მიეცით სამხრეთ ოსეთს ფართო ავტონომია — ამბობდა იგი — და თავისუფლებისმოყვარე ოს ხალხს, ... ძმური ერთობა აქვს მუშურ — გლეხურ საქართველოსთან“ [5, 287]. ეს იმ დროს ხდება, როცა „სამხრეთ ოსეთისათვის“ ავტონომიის სტატუსის მინიჭების დამადასტურებელი სამართლებრივი აქტი — დეკრეტი ოფიციალურად ჯერ კიდევ არ იყო მიღებული და მისი პროექტი სარედაქციო დამუშავების სტადიაში იმყოფებოდა. მხედველობაში მაქვს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს რევკომის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისადმი 1922 წლის 20 მარტს გადაგზავნილი ზემოაღნიშნული დეკრეტის პროექტი, რომელიც ადმინისტრაციულ ერთეულთა განყოფილებას ჰქონდა განსახილველად გადაცემული. ჩვენს მიერ მოტანილი ფაქტი, კავშიუროსა და პირადად ს. ორჯონიკიძის მხრიდან ოსებისათვის ფართო ავტონომიის მინიჭების ლობირებაზე მეტყველებს. ისტორიოგრაფიაში დადასტურებულია, რომ თავისი პოზიციისა და შეხედულების ცვალებადობა, ს. ორჯონიკიძეს არ სჩვეოდა. ამ მხრივ იგი განსაკუთრებული სიჯიუტით გამოირჩეოდა და დასახული მიზნის მისაღწევად, ოპონენტების ფიზიკურად განადგურებასაც არ ერიდებოდა. ამ ფონზე თუკი განვიხილავთ იმავე დეკრეტის პროექტსა და გრ.გველესიანის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატადმი წარდგენილ მოხსენებას, — „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის საკითხის ამ დოკუმენტების მიხედვით გადანყვეტა სათავეშივე იყო გამორიცხული. ამ ფაქტორის გათვალისწინება უნდა დადებოდა საფუძვლად გრ.გველესიანის იმ ახალ მოხსენებას, რომელიც „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის გამოყოფის ისტორიას ეხება. ამას თუნდაც ის ფაქტიც გვაფიქრებინებს, რომ ამ დოკუმენტის მიხედვით, ოსების ავტონომიის უფლებები სამაზრო ავტონომიიდან — საოლქო ავტონომიის სტატუსის დონემდეა გაფართოებული. ოსური პრობლემის გადანყვეტისადმი მიდგომის თვალსაზრისით, აღნიშნული მოხსენება პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1) რამდენად მიზანშეწონილი იყო საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე ოსების პოლიტი-

კური ავტონომიის არსებობა; 2) უკიდურეს შემთხვევაში, რა პირობების გათვალისწინების საფუძველზე უნდა მომხდარიყო „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნა. ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე დასაბუთებული პასუხი გაცემული დასახელებულ მოხსენებაში. რაც შეეხება დოკუმენტის პირველ ნაწილს — საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე ოსების პოლიტიკური ავტონომიის შექმნასთან მიმართებაში გრ. გველესიანის დამოკიდებულებას, ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამისი ფაქტების ანალიზის საფუძველზე მის მიერ გაკეთებული დასკვნები, შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: 1) ერთა თვითგამორკვევის პოლიტიკური დოგმა ისეთ სამართლებრივ ჩარჩოში უნდა მოქცეულიყო, რომ ნებისმიერი ეროვნების ქმედება, თვითნებობისა და ძალადობის სფეროში ვერ გადაზრდილიყო და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების საზიანო არ გამხდარიყო. აღნიშნული საფრთხის აცილების ერთ — ერთ გარანტად, იგი ქვეყნის მოქალაქეების ერთნაირი უფლებებით და მოვალეობებით აღჭურვას მიიჩნევდა. „ერი სახელმწიფოს წარმომშობი — წერდა გრ. გველესიანი, — სხვა დანარჩენ ერთა სწორია. გაბატონებული ერი, ისე როგორც გაბატონებული კლასი, ერთნაირად მიუღებელია — აი, ჩვენი ეროვნული პოლიტიკა.“ შიდა ქართლში ოსური პრობლემის გადაწყვეტას გრ. გველესიანი სწორედ ამ დებულების საფუძველზე მოითხოვდა.

ა) მიუხედავად იმისა, რომ გრ. გველესიანი ერთა და ეროვნებათა თანასწორობის თავგამოდებული დამცველი იყო, ეროვნული სახელმწიფოს ინტერესებს ერთი წუთითაც არ ივიწყებდა. ამის მაგალითს, აღნიშნულ მოხსენებაში ოსური საკითხისადმი მისეული მიდგომის ფორმა წარმოადგენს. გრ. გველესიანის მტკიცებით, ოსების მოთხოვნებისადმი დამოკიდებულება საქართველოს სახელმწიფოს ინტერესებისა და ქვეყნის შიგნით არსებული რეალური პირობების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო. ამ შემთხვევაში, იგი შიდა ქართლის მთიან ზონაში ოსების კომპაქტურად დასახლების რეალობას გულისხმობდა. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, შიდა ქართლში კომპაქტურად დასახლებულ ოსებს (32 ათასი სული) იგი შვიდი სასოფლო საზოგადოებით შემოფარგლავდა. აქედან გამომდინარე, ოსებისათვის ტერიტორიულ ავტონომიას, მხოლოდ ამ შვიდი სასოფლო საზოგადოების ფარგლებში მიიჩნევდა შესაძლებლად. „სხვა ნაწილებზე, სხვა რაიონებზე ლაპარაკი სრულიად მეტია, იმიტომ რომ ეს ნაწილები მე-

ტად უმნიშვნელოდ ჩანვეთბულია ქართველ მასებში და... ერთმანეთთან გეოგრაფიულ სხეულად ჩამოყალიბება ყოვლად შეუძლებელია. მართალია, სხვა მხარეებთან შედარებით დუშეთის მაზრაში ოსური რაიონები საკმაოდ საგრძნობ ტერიტორიას და მოსახლეობას შეიცავენ, მაგრამ, მთის მაღალი ქედებით გორის მაზრას მონყვეტილნი, გეოგრაფიულად განცალკევებულნი, ავტონომიურ ტერიტორიაში ვერ შევლენ ისე, თუ არა ხელოვნური შეკონინებით.“ ოსების ავტონომიის ტერიტორიული საზღვრების შემოფარგვისას, გრ.გველესიანი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1921 წლის 20 ივლისის დადგენილებითა და საქართველოს რევკომის 1922 წლის 20 მარტის დეკრეტის პროექტით ხელმძღვანელობდა.

დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ იმ ეტაპზე აღნიშნულ 7 სასოფლო — საზოგადოებაში არა თუ მრეწველობის ელემენტარული ჩანასახი, არამედ წვრილი აღებ-მიცემობა და ერთი ქალაქიც არ არსებობდა. ასეთი პირობები ოსების ტერიტორიული ავტონომიის შექმნას შეუძლებელს ხდიდა. „ყოველივე ეს — წერდა გრ. გველესიანი, — ძალიან კარგად ესმით... ოსთა ხელმძღვანელ წრეებს და ამიტომაც არის, რომ ისინი დამოუკიდებელი ეროვნული არსებობისათვის ბრძოლაში არავითარ საშუალებებს არ ერიდებიან... ქართველი ერის ხარჯზე ტერიტორიალურ გამდიდრებას, მთლიანი (ოსური შ. ვ.) ტერიტორიის ხელოვნურად შექმნას... საქართველოს გარეშე ჩრდილოეთ კავკასიის მინა-წყალთან გაერთიანებას ესწრაფვიან, რომელიც თერგის ოლქში მდებარეობს და ოსებითა დასახლებული.“ ოსების საბოლოო მიზნის წინა პლანზე წამოწევით და საქართველოსათვის გარდუვალი მოსალოდნელი საფრთხის შესახებ განსაკუთრებული ყურადღების გადატანის ფონზე, ოსების ტერიტორიული ავტონომიის საკითხის გადაწყვეტას, გრ.გველესიანი არა ოსების, არამედ ქართველი ერის პრეროგატივად თვლიდა.

ბ) ოსებისადმი ტერიტორიული ავტონომიის მიცემა, გრ.გველესიანს მანამდე მიაჩნდა შეუძლებლად, სანამ მეფის რუსეთის მიერ 1858 წელს მიტაცებული დვალეთი და არდონის ქვაბ — ხეობა საქართველოს არ დაუბრუნდებოდა. ამ ფაქტისადმი მისი განსაკუთრებული ყურადღება იმით იყო განპირობებული, რომ ეს ხეობა ჩრდილოეთისკენ ერთადერთი გასავალი იყო და მტრის მოსალოდნელი შემოსევის შემთხვევაში მისი გამაგრება და დაცვა ადვილად შეიძლებოდა.

„დღეს ეს გასავალი — წერდა იგი — ჩვენს ხელთ არაა. არდონის ქვაბ-ხეობას სამხრეთით საქართველოსკენ 11 გადმოსასვლელი აერთებს და მაშასადამე ავტონომიურად მოწყობილ სამხრეთ ოსეთს შეუძლია დიდი საომარი სამზადისი გააჩალოს ამ თერთმეტი გადმოსასვლელის წყალობით.“ ეს დებულება ჯერ კიდევ 1919 წელს საუნწყებათაპორისო კომისიის 31 ივლისისა და 1 აგვისტოს სხდომებზე აბენაშვილისა და ივ.ჯავახიშვილის მიერ იქნა გამოთქმული. ხოლო, საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრების გამაგრების აუცილებლობიდან გამომდინარე, იგივე დებულება უფრო დასაბუთებული ფორმით ი.ოდიშელიძემ საქართველოს მთავრობას მემორანდუმის სახით 1920 წლის თებერვალში წარუდგინა. ჩრდილოეთიდან ოსების მოსალოდნელ საფრთხესთან დაკავშირებით გრ.გველესიანმა თავისი პოზიციის გასამყარებლად, ზემოთ დასახელებულ პიროვნებათა თვალსაზრისი სავსებით კანონზომიერად მოიშველია. მაღალი დონის სპეციალისტების მხრიდან მეცნიერულ დონეზე გაკეთებულმა დასკვნებმა, გრ.გველესიანს შესაძლებლობა მისცა მსჯელობა შემდეგი კუთხით წარემართა: „როდესაც ყოველივე ეს ვიცი — ვკითხულობთ მოხსენებაში — როდესაც ქართლის ცენტრი — გორის მაზრა ხელოვნურად შუაზე იპოზა, როდესაც საქართველოს ეცლება ისეთი ადგილები სადაც ოსეთის ტერიტორიის ნასახიცი კი არ არის, როდესაც საქართველოს რესპუბლიკა ჩრდილოეთიდან მოსალოდნელი მტრის ხელში ვარდება — მაშინ სრული მოქალაქეობრივი შეგნებით და საღი პოლიტიკური სვინდისით ვამბობთ: არც ერთს ეროვნულ უმცირესობას და მათ შორის ოსობას, ვერ მიეცემა ისეთი პოლიტიკური წესწყობილება, რომელიც საერთო-სახელმწიფო ინტერესებს ძირს უთხრის, რომელიც სამშობლოს საფრთხეში აგდებს... ოსთათვის ავტონომიური ერთეულის გამოჭრის საკითხი... ჩვენ მეტად სერიოზულ სახიფათო საკითხად მიგვაჩნია“.

საქართველოსადმი ოსების მხრიდან გარდუვალი საფრთხის ერთ-ერთ პირობად, გრ. გველესიანი ჩრდილო კავკასიის ოსეთის და „სამხრეთ ოსეთის“ ერთ პოლიტიკურ ერთეულად გაერთიანების სწრაფვას ასახელებდა. ამ ფონზე, ოსების ტერიტორიულ-პოლიტიკური ავტონომიის შექმნის პრეცედენტის დაშვებას იგი საქართველოს რესპუბლიკის „წელში გატეხვად“, „სიცოცხლეს მოკლებულ ჩონჩხად გადაქცევად“, „დიდის პატარისადმი“ შეწირვად და „პატარას მხრიდან დიდის ინტერესების ჩაყლაპვად“ აღიქვამდა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართვე-

ლოს უსაფრთხოების ინტერესების დაცვის მიზნით, ოსებისათვის გრ.გველესიანი მხოლოდ პერსონალურ პრინციპებზე აგებული კულტურული ავტონომიის შექმნას მიიჩნევდა მიზანშეწონილად.

2) რაც შეეხება მეორე საკითხს — უკიდურეს შემთხვევაში თუ რა პირობების გათვალისწინებით შეიძლებოდა შექმნილიყო „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, ამის შესახებ იმავე გრ. გველესიანის მოხსენებაში, საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების გათვალისწინებით, უაღრესად საყურადღებო და ანგარიშგასაწევი მოსაზრებაა გამოთქმული. მისი მტკიცებით, ოსებისათვის პოლიტიკური ავტონომიის მიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი, თუკი ოსების წარმომადგენლობასთან წინასწარი შეთანხმებით შემდეგი პირობები იქნებოდა დაცული: ა) ოსების ავტონომიური ტერიტორია მხოლოდ შვიდი სასოფლო — საზოგადოებით შემოიფარგლებოდა; ბ) ამ ტერიტორიის ფარგლებში მოხდებოდა მოსახლეობის გამოკითხვა, თუ როგორი სახის ავტონომიური თვითმმართველობა სურდა; გ) თუკი შეიქმნებოდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები. ეს ბერკეტი იმითაც იყო აუცილებელი, რომ დანიშნულებისამებრ მისი ამოქმედება შიდა ქართლში მცხოვრებ ოსებში სეპარატისტულ ტენდენციებსა და ყოველ მარჯვე დროს თავდასხმის შესაძლებლობებს მაქსიმალურად შეასუსტებდა; დ) საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების პირველი რიგის გარანტიად გრ. გველესიანი საქართველოსათვის დვალეთის დაუყოვნებლივ დაბრუნებასა და ჩრდილოეთისაკენ გადასასვლელი ერთადერთი არღონის კარის გამაგრებას ასახელებდა. მისი მტკიცებით, თუკი ეს საკითხი საქართველოს სასარგებლოდ არ გადაწყდებოდა, ოსებისათვის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის შექმნა დღის წესრიგიდან უნდა მოხსნილიყო; ე) დაუყოვნებლივ მომხდარიყო შიდა ქართლის ოსური მოსახლეობის განიარაღება. აღეკვეთათ ის მილიტარისტული ტენდენციები და ოსური მოსახლეობის გამალებული შეიარაღების პროცესი, რომელსაც „სამხრეთ ოსეთის“ რევკომი ეწეოდა; ვ) „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის სტატუსის განსაზღვრის დროს, შესაბამის დოკუმენტებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტიის უზრუნველმყოფელი მუხლები უნდა შეეტანათ. „თუ ყველა ეს პირობები იქნება დაცული — ვკითხულობთ მოხსენებაში — აი, ამ შემთხვევაში ქართველი ერის სუვერენული ძალაუფლება მოვალეა, ყურად იღოს სა-

ქართველოს ოსების ეროვნული აღორძინებისაკენ მიმართული სწრაფვა და... მისცეს ავტონომიური წესწყობილება საკანონმდებლო უფლებებით ადგილობრივ საქმეთა ფარგლებში“.

მართალია, ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები და დებულებები, ძირითადად შიდა ქართლის ქართული მოსახლეობისა და საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესებს პასუხობდა, მაგრამ, საქართველოს ხელისუფლების რომელიმე უწყებისადმი მისი წარდგენა ეჭვქვეშ დგება შემდეგი გარემოების გამო: 1) ეს მოხსენება ხელნაწერის სახით მცირე ფორმატის რვეულის ფურცლის ორივე გვერდზეა შესრულებული და მასში, მთელი რიგი წინადადებები გაუმართავია; 2) ქვეყნის ხელისუფლებისადმი ამ დოკუმენტის წარდგენა რომ მომხდარიყო, დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე, სხვა მოხსენებების მსგავსად გრ.გველესიანი ხელის მანქანაზე გადააბეჭდვინებდა და ხელნაწერთან ერთად ნაბეჭდი ეგზემპლარიც დარჩებოდა. თუკი ეს პროცედურა არ განხორციელდა, ამის ძირითადი მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: ა) გრ.გველესიანის ამ მოხსენების მსვლელობის მიცემამდე, სრულიად საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 28 მარტის სხდომამ, სამთავრობო კომისიის მიერ შედგენილი „პროექტი დეკრეტისა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაარსების შესახებ“ ძირითადად მოიწონა და იმავე დღესვე დაამტკიცა. იმავდროულად, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის საზღვრის საკითხის მოგვარებისთანავე, აღნიშნული პროექტის სრულად გამოქვეყნება საქართველოს ცაკ-ის თავმჯდომარეს ფ. მახარაძეს დაავალა; [6, 9; 8, 111]. ბ) ეს ფაქტი იმის დამადასტურებელია, რომ 1922 წლის 28 მარტისათვის „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გადანყვეტილი იყო. აქედან გამომდინარე, შესაბამისი სამთავრობო უწყების მისამართით გრ.გველესიანის მოხსენებაში დასაბუთებული ფორმით გატარებულმა შეგონებითმა დებულებებმა— დანიშნულება დაკარგა; 3) ჩემს მიერ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საქართველოს რევკომის ფონდების საგულდაგულოდ შესწავლის მიუხედავად, დასახელებული უწყებებისადმი გათვალისწინებული გრ.გველესიანის ამ მოხსენების რედაქტირებულ და ხელის მანქანაზე გადაბეჭდილ ეგზემპლარს ვერ მივაკვლიე. ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს მაძლევს ვიფიქრო,



რომ რესპუბლიკაში სამთავრობო პოლიტიკური სიტუაციის ცვა-  
ლებადობის გამო და უმაღლეს საკანონმდებლო უწყებებში „სამ-  
ხრეთ ოსეთისათვის“ ავტონომიის მიცემის პრაქტიკულად გადან-  
ყვეტიდან გამომდინარე, ეს მოხსენება გრ.გველესიანს დანიშნუ-  
ლებისამებრ არ გაუგზავნია. მიუხედავად ამისა, მას განსაკუთრე-  
ბული ღირებულება ენიჭება იმ თვალსაზრისით, რომ იგი საფუძ-  
ვლიანად წარმოაჩინს ქართული პოლიტიკური აზრის ერთ-ერთი  
ბრწყინვალე წარმომადგენელის გრ.გველესიანის ნააზრევსა და  
პოზიციას ოსურ პრობლემასთან მიმართებაში.

საარქივო მასალებით დადასტურებულია, რომ კავბიურო,  
„სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის საკითხის გადანყვეტას ფორსირებუ-  
ლი ტემპით ცდილობდა. მიუხედავად ამისა, კომისიის საბოლოო დას-  
კვნის დადებამდე პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმისაგან იმ ეტაპზე  
თავს იკავებდა. ამის ერთ-ერთ მაგალითს საქართველოს კომპარტიის  
ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1922 წლის 30 მარტის სხდო-  
მაზე მიღებული დადგენილება წარმოადგენს. ამ დოკუმენტში გარ-  
კვევითაა მითითებული, რომ კომისიის მიერ „სამხრეთ ოსეთის“ ავ-  
ტონომიის საზღვრის დადგენას, ცენტრალური აღმასრულებელი კო-  
მიტეტი შესაბამისი დეკრეტით დაადასტურებდა და მის შესრულება-  
ზე პასუხისმგებლობა გორის მაზრის ყველა უწყებას დაეკისრებოდა  
[7, 361; 179- 180].

რამდენადაც არსებული პრობლემის მოგვარება და მისი სამარ-  
თლებრივად დაკანონება კომისიის დასკვნას უკავშირდებოდა, ასეთი  
პოზიცია „სამხრეთ ოსეთის“ ხელმძღვანელობისათვის მიუღებელი აღ-  
მოჩნდა. ოსების ყოველი ქმედება ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ  
იგი ქართველი ხალხის მიერ თითქოს მიტაცებული ტერიტორიის უკან  
დასაბრუნებლად და სამართლიანობის აღსადგენად იბრძოდა. ოსი სე-  
პარატისტებისათვის ასეთი ხელშემწყობი სიტუაციის შექმნაში ლომის  
წილი საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებასა და კავბიუროს ედო.  
არცერთ მათგანს, „სამხრეთ ოსეთის“ რეკომის ნევრების „დატუქ-  
სვის“ კურსი არ გაუტარებია. არც ის უცდია, შიდა ქართლის მთიანი  
ზოლის ტერიტორიის კუთვნილების, ან საქართველოში ოსების ჩამო-  
სახლების საკითხთან მიმართებაში ქართველი მეცნიერები მოეწვია და  
პრობლემის გარშემო დისკუსია გაემართა. ოფიციალურად თუ არა,  
კულუარებში ეთქვა, რომ ქართულ მიწებთან მიმართებაში, ოსების  
პრეტენზიული მისწრაფებები ყოველგვარი სახის სამართლებრივ ნორ-  
მებს სცილდებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი ქართველი ხალხი რაიმე

დათმობაზე ნავიდოდა, იმითაც კმაყოფილნი ყოფილიყვნენ. იმავდროულად გარკვეული ფორმით მიენიშნებინა, რომ რუსეთის მიერ მიტაცებულ ჩრდილო კავკასიის ოსეთის ბედზე და თავიანთ ისტორიულ სამშობლოში სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ეზრუნათ. კოსმოპოლიტიზმის სენით დაავადმყოფებულმა გასაბჭოებული საქართველოს მაშინდელმა სახელისუფლებო წრეებმა, ეროვნული საზომით პრაგმატული ნაბიჯი ვერ გადადგა. ასეთი პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, ოსი სეპარატისტები მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდნენ. მხედველობაში მაქვს, შიდა ქართლის მთიანი ზონის „სამხრეთ ოსეთად“ დასაკანონებლად მათი შეუპოვარი ბრძოლა. ამის ერთ-ერთ მაგალითს „სამხრეთ ოსეთის“ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საოლქო პარტიული კომიტეტის 1922 წლის 19 აპრილის გაერთიანებული სხდომის დადგენილება წარმოადგენს. ეს დოკუმენტი საქართველოს ხელისუფლებას გარკვევით მიანიშნებდა: 1) „სამხრეთ ოსეთის“ საზღვრისპირა (ასეთი საზღვარი ჯერ კიდევ დადგენილი არ იყო) მაზრების რაიონები, რომლებიც თითქოს „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში უნდა შესულიყო — საბჭოთა და პარტიული მუშაობა თითქმის არ არსებობდა; 2) სანამ ეს რაიონები გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა და „სამხრეთ ოსეთს“ სასწრაფოდ იურიდიულად არ დაექვემდებარებოდა, მანამ პროვოკატორი ელემენტები ამ ფაქტს საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის გამოიყენებდა; 3) საზღვრის საკითხში შექმნილი გაურკვეველი მდგომარეობა, ოლქის პარტიულ და აღმასრულებელ კომიტეტებს შეუწყნარებლად მიაჩნდა; 4) ოლქის პარტიული და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების გაერთიანებული სხდომა, საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის იურიდიულად გაფორმების დამადასტურებელი დეკლარაციის დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას სთხოვდა [8, 9].

რაგინდ პარადოქსადაც არ უნდა მოჩანდეს, ამ დადგენილებიდან მეორე დღეს, საქართველოს სსრ ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1922 წლის 20 აპრილს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მონყობის შესახებ დეკრეტი №2 მიიღო. ეს დოკუმენტი ორი ნაწილისაგან შედგება: 1) „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიული საზღვრები; 2) „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მმართველობის სისტემა და უფლებები.

რაც შეეხება დეკრეტის პირველ ნაწილს — „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვარს, იგი 1921 წელს მიღებული

ორი დოკუმენტის დუბლიკატს წარმოადგენს. მხედველობაში მაქვს: 1) „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის, პარტკომისა და პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების 1921 წლის 6-8 სექტემბრის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრის პროექტი; 2) კ. კაკაბაძის კომისიის მიერ 1921 წლის 8 დეკემბრს მიღებული დადგენილება (ოქმი № 4). აღნიშნული დოკუმენტებისაგან განსხვავებით, დეკრეტში უმნიშვნელო შესწორება მხოლოდ აღმოსავლეთის საზღვრის ბოლო ნაწილში არის შეტანილი. დეკრეტი № 2- ით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ზემოაღნიშნულ საზღვრებში დამტკიცება, ოსი სეპარატისტების უდაო გამარჯვებას წარმოადგენდა. ასეთი სახის დოკუმენტის მიღებით, საქართველოს ხელისუფლებამ, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის მრავალგზის კატეგორიული მოთხოვნების შეგნებული იგნორირება გააკეთა. საკითხი, ოსებისგან შევიწროებული და გატანჯული არა ქართული მოსახლეობის, არამედ საქართველოს ტერიტორიის მიტაცებით დაინტერესებული ოსი სეპარატისტების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ სამთავრობო დონეზე მიღებული დადგენილებებიდან გამომდინარე, დეკრეტის გამოქვეყნება მხოლოდ მას შემდეგ უნდა მომხდარიყო, როცა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის საზღვარი საბოლოოდ დაზუსტდებოდა და მოსაზღვრე მაზრებთან სადაო საკითხები გადაწყვეტილად ჩაითვლებოდა. სამწუხაროდ, ხელისუფლების მხრიდან ეს პრინციპი დარღვეული იქნა და არსებული პრობლემის მოგვარების გარეგნულ ფორმას, ეტაპობრივი სახე მიეცა. ამ ფაქტის სისწორეს, დეკრეტის მერვე მუხლიც ადასტურებს. დოკუმენტის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის მოსაზღვრე ან ოლქში მოქცეული ზოგიერთი დასახლების კუთვნილების გადაწყვეტა, „სამხრეთ ოსეთის“ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, მოსაზღვრე დაინტერესებული მაზრების აღმასრულებელი კომიტეტებისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან შექმნილ შერეულ კომისიას ქონდა დავალებული, რომელსაც ეს სამუშაო 1922 წლის 1 მაისისათვის უნდა დაემთავრებინა. აღნიშნული ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს ხელისუფლება, კომისიის საბოლოო დასკვნას არ დაელოდა, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესები უკანა პლანზე გადაიტანა და ოსი სეპარატისტების მიერ 19 აპრილს მიღებული თხოვნა — „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლ-

ქის იურიდიულად გაფორმების დაჩქარების შესახებ, მეორე დღესვე (20 აპრილი) შეასრულა, რითაც ზემოაღნიშნული კომისია მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა. ასეთი ოპერატიულობა, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობის მოთხოვნებთან მიმართებაში მთავრობის მხრიდან არცერთი სახის საარქივო დოკუმენტით არ დასტურდება.

დეკრეტი № 2 „სამხრეთ ოსეთის“ რეკომის მტაცებლურ მადაზე და მისი მოთხოვნის დაუყოვნებლივ შესრულებაზე იყო გათვლილი. იგი სახელდახელოდ მომზადდა და ოლქის ადმინისტრაციული ტერიტორიის სასაზღვრო ზოლის გატარების დროს, მეზობელი მაზრების ინტერესები ელემენტარულადაც არ იქნა გათვალისწინებული. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში მოქცეული ქართული სოფლების მოსახლეობაც. ამის უდაო დადასტურებას, დოკუმენტის დამტკიცებიდან მეხუთე დღეს, დეკრეტში შეტანილი ცვლილებები წარმოადგენს. მხედველობაში მაქვს, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1922 წლის 25 აპრილს მიღებული დადგენილება. ამ 6 პუნქტიანი დოკუმენტის მეორე მუხლის მიხედვით, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის შემადგენლობაში შემავალ ქართულ სოფლებში ადმინისტრაცია და მილიცია ქართული რჩებოდა, ხოლო მესამე მუხლი, კობის რაიონს დუშეთის მაზრის ადმინისტრაციულ მმართველობას უქვემდებარებდა [8, 87]. დეკრეტში შეტანილი ასეთი ცვლილებების მიუხედავად, მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება განვაცხადო, რომ დეკრეტი № 2- ით დაკანონებულ საზღვრებში „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის შექმნით, გასაბჭოებულმა საქართველოს ხელისუფლებამ, ქართველ ერს გული ამოგლიჯა, ლარნაკზე დადებული ოს სეპარატისტებს მიაართვა და სამომავლოდ მათი შეხედულებისამებრ საჯიჯგნად მოამზადა.

საქართველოს სხეულზე ჩატარებული ამ საექსპერიმენტო ქირურგიული ოპერაციის კანონზომიერებასთან დაკავშირებით, ვახ.ითონიშვილი სავსებით სამართლიანად წერს: „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნით, „რუსმა და ქართველმა ბოლშევიკებმა... კნორინგ — პასკევიჩისგან მემკვიდრეობით მიღებული „Осетия“/ „Южная Осетия“-ს გამოყენების ისედაც ვრცელი არეალი ორჯრ გააფართოვეს უპირატესად ან მთლიანად ქართველებით დასახლებული დიდი და პატარა ლიხვის, ქსნის, ლეხურას, მეჯუდასა და ფრონეების ხეობების მთისწინა და ბარის რაიონების ხარჯზე და შუაგულ საქართველოში უგვანოდ გამოჩორკნილ ავტონომიურ ერთეულს საოლქო

ცენტრად ცხინვალის უფექაშეს“ [9, 204]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს გასაბჭოების პირველი თვეებიდან (მარტიდან) შიდა ქართლში მძლავრი ნაკადით ოსიანობის განახლების დაწყებას ჰქონდა ადგილი, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის მომენტი-სათვის (1922 წლის აპრილი), ცხინვალში ოსების რაოდენობა მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენდა. იმ პერიოდის სტატისტიკური მონაცემებით დადგენილია, რომ 1922 წლისათვის ცხინვალში 613 სული ოსი ცხოვრობდა, ე.ი. მოსახლეობის 13%; 1651 ებრაელი — მოსახლეობის 36,3%; 1436 ქართველი — მოსახლეობის 31,7%; 765 სომეხი — მოსახლეობის 16,8% [9, 204]. ეს ფაქტი, ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ადმინისტრაციულ ცენტრად ცხინვალის გამოცხადების უკანონობაზე.

საქართველოს ხელისუფლების მიერ, მსოფლიო ისტორიაში ოსების სასარგებლოდ ჩატარებული უპრეცედენტო ექსპერიმენტი, ოსური სეპარატიზმისადმი განსაკუთრებულ მხარდაჭერაზე მიუთითებს. აქედან გამომდინარე, ოსების მხრიდან გარდუვალ საფრთხესა და მოსალოდნელ ტრაგედიას, შიდა ქართლის ქართული მოსახლეობა შესანიშნავად აცნობიერებდა. ამიტომ იყო, რომ ხელისუფლების ზემოაღნიშნულ უგუნურ გადაწყვეტილებას სოფლის კრებებზე მიღებული დადგენილებებით ისევ აპროტესტებდა. ამის დადასტურებას 1922 წლის ივლისიდან — ოქტომბრის ჩათვლით, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში გაგზავნილი ქართველთა წერილები და სოფლის კრებებზე მიღებული დადგენილებები წარმოადგენს. ამ და სხვა დოკუმენტურ მასალას ეყრდნობოდა იმავე კომისარიატთან შექმნილი სპეციალური კომისია (გრ. გველესიანი, დ.კარიჭაშვილი, ს. გორგაძე), რომლმაც მთავრობის მიერ 1921 წელს მიღებული დადგენილებების გამოყენების საფუძველზე, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება წარუდგინა. ამ დოკუმენტში გარკვევით იყო მითითებული: 1) დეკრეტი 2-იდან გამომდინარე, „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომია ვრცელდებოდა ისეთ რაიონებსა და თემებზე, რომლებიც მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული; 2) „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში კანონდარღვევით იქნა შეყვანილი: ა) დასავლეთით — რაჭისა და შორაპნის მაზრების, ბ) აღმოსავლეთით — დუშეთის მაზრის დიდი ნაწილი, გ) სამხრეთით — იმ სოფლების მთელი წყება, რომლებიც მთავრობისა და კომუნისტური პარტიის 1921 წლის 12 და 20 დეკემბრის დადგენილებების მესამე მუხლის თანახმად, პლებისციტის ჩატარებას და მხოლოდ მის შედეგებზე

დაყრდნობით ითვალისწინებდა შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. საქართველოს ხელისუფლების უკანონო ქმედების მხილებისა და ამ ფაქტის წინ წამოწევის მიზნით, კომისიის მოხსენებაში იმ რვა ქართული სოფლების საზოგადოებების მცხოვრებთა დემოგრაფიული მონაცემები იყო მოტანილი, რომლებიც მათი სურვილის საწინააღმდეგოდ დეკრეტი № 2-ით „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი. ამ ფაქტობრივი მასალით, კომისიის წევრები არსებულ ხელისუფლებას ერთხელ კიდევ შეახსენებდა, რომ უმრავლესობის (ქართველების) ინტერესების უმცირესობისადმი (ოსებისადმი) შეწირვა დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენდა. ასეთი თვალსაზრისის გატარების ფონზე, იმავე კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: „სპეციალურ კომისიას შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულს აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია გადასინჯული იქნას ის დეკრეტი (№ 2), რომლითაც ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებში შეტანილია მრავალი სოფელი ქართული მოსახლეობით (გორის და დუშეთის მაზრა) ან კიდევ მოსაზღვრე მაზრების ისეთი ნაწილები, შერეული თუ წმინდა ოსური მოსახლეობით, რომელნიც გეოგრაფიული, ეკონომიური და სხვა პირობების გამო, მრავალნაირ უხერხულობას, დაბრკოლებას, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესთა დაჩაგვრას იწვევენ... ის რაც მთავარ ყურადღებას უნდა იქცევდეს,— ქართლის შუაგულის ქართული სოფლები ტერიტორიულად კვლავ სამხრეთ ოსეთის ფარგლებში რჩება და მაშასადამე, ამ უკანასკნელის ხელისუფლების ქვეშ.

ყოველივე ზემოთ მოხსენებული საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ დასახელებული დეკრეტი (№ 2), რომლითაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრები ჩამოყალიბდა, საჭიროებს რადიკალურ გადასინჯვას იმ მიზნით, რათა ერთხელ და სამუდამოდ ოს — ქართველთა ურთიერთობა ნორმალურ პირობებში ჩადგეს და... ტერიტორიულ ნიადაგზე დავა შეიცვალოს სრულის სოლიდარობით და მშვიდობიანი... თანამშრომლობით“.

ჩემს მიერ მოტანილი ეს ვრცელი ამონაწერი აშკარად მიგვანიშნებს, რომ ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე, კომისიამ დეკრეტი № 2 კანონდარღვევით შექმნილ დოკუმენტად და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის დაჩქარების ხელშემწყობ სამართლებრივ აქტად გამოაცხადა. ჩადენილი დანაშაულებრივი შეცდომის გამოსწორების მიზნით, იმავე კომი-

**სიამ, ხელისუფლებას დეკრეტის დაუყოვნებლივ რადიკალური გადასინჯვისკენ მოუწოდა.** ისიც გასათვალისწინებელია, რომ კომისიის აღნიშნული დასკვნა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მიერ იქნა მოწონებული. ამის საფუძველს იმავე დოკუმენტზე მისი ხელმოწერით დართული წერილი იძლევა, რომელიც კომისიის დასკვნასთან ერთად 1922 წლის 16 დეკემბერს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს გადაეგზავნა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი დეკრეტი 2-ის გადასინჯვას ხელისუფლების მხრიდან პრინციპულად მოითხოვდა. „ვადგენ რა ამასთანავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული სპეციალური კომისიის მოხსენებას, ფაქტიური მასალით დასაბუთებულს,....— ვკითხულობთ დოკუმენტში — ვშუამდგომლობ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა მიღებული იქნას ჯერჯერობით მხოლოდ პრინციპიალური გადაწყვეტილება — გადასინჯული იქნას დეკრეტი 2. რაც შეეხება... საკითხის დეტალურ განხილვას, თუ რა ცვლილებანი იქნას შეტანილი ამ დეკრეტში, ეს მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალოს საკითხის განხილვა სპეციალურ კომისიაში სამხრეთ — ოსეთის წარმომადგენლის მონაწილეობით“ [10, 79].

დოკუმენტური მასალით დადასტურებულია, რომ რაჭის, გორისა და დუშეთის მაზრების მოსახლეობის კანონიერ მოთხოვნებზე დაფუძნებული ზემოაღნიშნული კომისიის დასკვნა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თხოვნა — „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიულ საზღვრებთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ, გასაბჭოებული საქართველოს მაშინდელი ხელისუფლებისა და კავბიუროს ხელმძღვანელობის მიერ გათვალისწინებული არ იქნა.

**ამრიგად, ჩემს მიერ მოტანილი დოკუმენტური მასალის ანალიზიდან გამომდინარე, შემდეგი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობა გვეძლევა:** 1) საქართველოს ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1922 წლის 20 აპრილის დეკრეტი №2 „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის შექმნის შესახებ, საზღვრების საკითხში; ა) „სამხრეთ ოსეთის“ რევკომის, პარტკომისა და პასუხისმგებელი პარტიული მუშაკების გაერთიანებულ სხდომაზე (1921 წლის 6-8 სექტემბერი) მიღებული პროექტის და ბ) კ.კაკაბაძის კომისიის 1921 წლის 8 დეკემბრის დადგენილების (ოქმი № 4) დუბლიკატს წარმოადგენდა. ამ დოკუმენტით, საქარ-

თველოს ხელისუფლებამ ოსი სეპარატისტების პრეტენზიების დაკმაყოფილება მოახდინა. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი-ატთან არსებული კომისიის (გრ.გველესიანი, დ.კარიჭაშვილი, ს.გორგაძე) მიერ დეკრეტი № 2- ის გადასინჯვის დასაბუთებული ფორმით მოთხოვნა, საზღვრების საკითხში სამართლიანობის აღდგენას ითვალისწინებდა და ქართული მოსახლეობის ინტერესების დაცვას ისახავდა მიზნად.

#### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჟურნალი „მოამბე“, 1922, № 28.
2. უ. ბახტაძე, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა და მისი სამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 1968.
3. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921—1978), თბილისი, 1983.
4. გ. ჟვანია, ეგრეთ წოდებული „ნაციონალ უკლონიზმის“ შესახებ, თბილისი, 1990.
5. გ. კ. ორჯონიკიძე, სიტყვები და სტატიები, ტ, 1, თბილისი, 1957.
6. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.1, აღწ. 1, საქ. 278;
7. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.14, აღწ. 1, საქ. 292; ლ. თოიძე, როგორ შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი,
8. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ.14, აღწ. 1, საქ. 263.
9. ვ. ითონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბილისი, 2002.
10. საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. 284, აღწ. 1, საქ. 62.



**Shota Vadachkoria**

*Doctor of Historical Sciences, Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Main research scientist of the Department of Modern and Contemporary History*

**Georgian Political Thought About the Issue of Creating  
Ossetian Autonomy and its Legal Evaluation  
(the 20es of the 20<sup>th</sup> century)**

**Summary**

On the basis of the documentary material it is stated that the decree №2 of the Central Committee of Georgia and the Council of the People's Commissars about the creation of the "South Ossetia" Autonomous Region dated to 1922, April, 20 was hurriedly written. In fact, it was a copy of 1) a project received at the united meeting of the "South Ossetia" Revolutionary Committee, Party Committee and active party workers in September, 6-8, 1921 and 2) the resolution of the Kakabadze's commission received on December, 8, 1921 (minutes №4). Thus, by receiving decree #2 the Georgian government on behalf of the interests of the Ossetian separatists ignored the interest of Georgian population living in the mountain area of Shida Kartli (Inner Kartli) and satisfied the claims of separatists. The demand of the commission attached to the People's Commissariat of the Internal Affairs (G. Gvelesiani, D. Karichshvili and S. Gorgadze) to revise the decree, mainly the borders issue, meant to restore the justice and defense Georgian population.

## ლელა სარალიძე

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

### სსრკ-ის დაშლისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის ისტორიიდან (XX საუკუნის 90-იანი წლები)

XX საუკუნის 80-იანი წლების დამლევს, საბჭოთა კავშირში მმართველობის შესუსტებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ახალი ძალით იფეთქა. საბჭოთა ხელისუფლების სანინააღმდეგო საჯარო საპროტესტო გამოსვლები გააქტიურდა, რასაც საბჭოთა მმართველების მხრიდან რეპრესიული ზეწოლა მოჰყვა.

მშვიდობისმყოფელის საბურველში გახვეული რუსეთი, ყოველთვის ახერხებდა სიტუაციის გამწვავებას ქართველ და ოს ხალხს შორის. გაღვივებული კონფლიქტის ფონზე საკავშირო ცენტრის მიერ შემუშავდა საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ეთნიკური დაპირისპირების შემდგომი გამწვავების იურიდიული ბაზა გახდა. 1990 წლის 3 აპრილს, სსრკ-ის პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის ხელმოწერით, მიიღეს კანონი „სსრ კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკების გასვლასთან დაკავშირებული წესის შესახებ“. კანონის III მუხლის თანახმად, „მოკავშირე რესპუბლიკაში, რომლის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური ოლქები და ავტონომიური ოკრუგები არიან, რეფერენდუმები ეწყობა ცალკე-ცალკე თითოეულ ავტონომიაში. ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ფორმირებების ხალხებს უნარჩუნდებათ სსრ კავშირში ან გამავალ მოკავშირე რესპუბლიკაში ყოფნის საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრის, აგრეთვე, თავის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი სტატუსის საკითხის დაყენების უფლება“ [1, 303-308]. აღნიშნულმა კანონმა, ფაქტობრივად ხელი შეუწყო ავტონომიურ წარმონაქმნებში შექმნილი სეპარატისტული განწყობის შემდგომ გაღვივებას.

1990 წლის 10 აგვისტოს, ე. წ. სამხრეთ ოსეთის XX მოწვევის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭომ, 1989-1990 წლებში ოლქში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გამო, სპეციალური გადაწყვეტილება მიიღო. გადაწყვეტილებაში ნათქვამია: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება 1989 წლის მაისიდან დღემდე საგანგებოა... სასწრაფოდ დაისვას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე საკითხი: ავტონომიური ოლქისათვის იმ მატერიალური და მორალური ზარალის ანაზღაურების შესახებ, რაც გამოიწვია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციამ, რის შედეგადაც მოხდა 1989-1990 წლების ტრაგიკული მოვლენები“ [2, 27-28].

1990 წლის 20 სექტემბერს, ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს XX-ე მოწვევის XIV-ე სესიის მიერ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ“. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „ეთხოვოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის დემოკრატიული რესპუბლიკის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტის შეყვანის შესახებ, ეთხოვოს საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკასთან დადონ ხელშეკრულებები მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ,“ [2, 37]. იმავე სესიამ მიიღო გადაწყვეტილება ოლქის ტერიტორიაზე სახლების ყიდვა-გაყიდვასა და ჩანერაზე მორატორიუმის დაწესების შესახებ: „ითვალისწინებს რა ოლქში დემოგრაფიული სიტუაციის სერიოზულ გართულებას, სახლ-კარის ყიდვა-გაყიდვის უკანონო ოპერაციების, მიწის ნაკვეთების თვითნებურად მიტაცების, საპასპორტო რეჟიმის დარღვევის, აგრეთვე, მიწის ნაკვეთების უკანონოდ გამოყოფის მიზნით, რესპუბლიკის არაფორმალურ გაერთიანებათა მხრიდან, ოლქის ოფიციალურ პირებზე გაძლიერებული ზეწოლის, უპირატესად ქართველებით დასახლებული სოფლებიდან ოსური ეროვნების პირების იძულებით გამოსახლების შემთხვევების გახშირებას, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მეოცე მოწვევის მეთოთხმეტე სესია წყვეტს: გამოცხადდეს მორატორიუმი ოლქის მოქალაქეთა ჩანერაზე, სახლების და სხვა სახმფლობელობის ყიდვა-გაყიდვაზე, მიწის ნაკვეთების გამოყოფაზე სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუ-

ტატთა საოლქო საბჭოს ლტოლვილთა და გადმოსახლებულთა საქმე-  
ების კომისიის სანქციის გარეშე“ [2, 39].

ამ აქტით (მათ ეს გადაწყვეტილება 1991 წლის 4 მაისს გააუქ-  
მეს - ლ. ს.), ოსი სეპარატისტები სახელმწიფო ხელისუფლების  
უზურპაციას ცდილობდნენ რათა, საქართველოს რესპუბლიკის ტე-  
რიტორიული მთლიანობის ხელყოფა მოეხდინათ და საქართველოს-  
თვის მისი ისტორიული, განუყოფელი ნაწილი ჩამოემორებინათ. ეს  
ამკარად ეწინააღმდეგებოდა არა მარტო საქართველოს რესპუბლი-  
კის, არამედ თვით სსრ კავშირის კონსტიტუციას და საერთაშორისო  
სამართლის ნორმებს.

1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში უზენაესი საბჭოს  
არჩევნები ჩატარდა. არჩევნებს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიუ-  
რი ოლქის ეთნიკური ოსი მოქალაქეების უმრავლესობამ ბოიკოტი  
გამოუცხადა. 1990 წლის 2 ნოემბერს ცხინვალში ჟურნალისტები გა-  
იფიცნენ. ცხინვალის სტამბა არ ბეჭდავდა ქართულ გაზეთს. ამ ფაქ-  
ტთან დაკავშირებით ქართული პრესა იწყებოდა: „საგანგაშო ცნო-  
ბა მივიღეთ ცხინვალიდან. იქაურმა კოლეგებმა, გაზეთ „საბჭოთა  
ოსეთის“, რედაქტორ-თანამშრომლებმა, შეგვაცუბინეს, რომ კანო-  
ნიერი ხელისუფლების მაგიერ მოქმედი, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბ-  
ჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა“, უგულვებელჰყოფს  
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ყოველგვარ დადგენილებას  
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ“ [3].

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის ახლა-  
დარჩეულმა უზენაესმა საბჭომ გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონო-  
მიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემ-  
ბრის გადაწყვეტილება ავტონომიური ოლქის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის  
საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“, გარდაქმნის შესახებ და  
აქედან გამომდინარე მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება,  
მათ შორის 1990 წლის 2 დეკემბრისათვის არჩევნების დანიშვნისა და  
ჩატარების შესახებ.

მიუხედავად საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების  
უმაღლესი ორგანოების მხრიდან, არაერთი გაფრთხილებისა, აღკვე-  
თილიყო ავტონომიური ოლქის თვითმარქვია ხელისუფლების უკანო-  
ნო მოქმედებანი, ოლქში, 1990 წლის 9 დეკემბერს, ჩატარდა ე. წ. „სამ-  
ხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის“, უმაღლესი საბჭოს არჩევნები,  
რითაც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა რე-

ალური საფრთხის ქვეშ დადგა. ოსური მხარის ინფორმაციით, არჩევნებში მოსახლეობის 71%-მა მიიღო მონაწილეობა [4, 24].

იმის გათვალისწინებით, რომ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, 1922 წელს შეიქმნა ამ რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის ნების უგულვებელყოფით და საქართველოს ინტერესების სრულიად საზიანოდ, რაც არაერთხელ დადასტურდა ოლქის არსებობის მანძილზე, ასევე, გამომდინარე იქედან, რომ ოს ხალხს საბჭოთა კავშირში გააჩნდა საკუთარი სახელმწიფოებრიობა, თავის ისტორიულ ტერიტორიაზე — ჩრდილოეთ ოსეთში და რომ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრები ოსი მოსახლეობის, მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობდა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ფარგლებში, სადაც მათ ჰქონდათ კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, 1990 წლის 11 დეკემბერს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, თავმჯდომარის — ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, მიიღო კანონი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ. საქართველოს უზენაესი საბჭოს იმავე 11 დეკემბრის დადგენილებით, ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ იქნა ცნობილი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 დეკემბრის არჩევნები და მისი შედეგები [5, 10-12]. საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიას, რომელზეც მიიღეს კანონი ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, ესწრებოდა ცხინვალში განთავსებული, სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლკის მეთაური, გენერალი მალიუშკინი, რომელმაც ცხინვალში არსებულ სიტუაციას ფეთქებადსაშიში უწოდა და აღნიშნა, რომ „კანონმა უნდა იმუშაოს ქართველი ხალხის ინტერესებისთვის“ [4, 24]. აღსანიშნავია, რომ 1922 წელს, უკანონო ავტონომიის შექმნას, ადგილობრივ მცხოვრებთა, როგორც ოსების, ასევე, ქართველების მხრიდან, დიდი უკმაყოფილება მოჰყვა.

საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის დაცვის, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის მიზნით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება:

„1. გამოცხადდეს საგანგებო წესები ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე 1990 წლის 12 დეკემბრიდან. საგანგებო წესების მოქმედების ვადა განისაზღვროს ერთი თვით;

2. ქ. ცხინვალის ტერიტორიაზე და ჯავის რაიონში შემოღებულ იქნეს კომენდანტის საათი 1990 წლის 12 დეკემბრის 22 საათიდან. კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვროს 22.00 საათიდან 7.00 საათამდე;

3. ქ. ცხინვალისა და ჯავის რაიონის კომენდანტს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი.

4. მოქალაქეთა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სახალხო მეურნეობის ობიექტების ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის გამოყენებულ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ძალები და ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში განლაგებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები. ისინი ხელმძღვანელობენ იმ კანონებითა და წესდებებით, რომლებიც არ ხელყოფენ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს, [5, 20-23]. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ აცნობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს — ხავიერ პერეს დე კუელიარს.

ამრიგად, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, რომელიც 1922 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ ხელოვნურად თავს მოახვია იქაურ მოსახლეობას და რომელიც 3,8 ათას კვ. კილომეტრ ფართობს მოიცავს, 1991 წლის 11 დეკემბერს, ოფიციალურად გაუქმდა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 11 დეკემბრის სესიის მიერ მიღებული კანონის თანახმად, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, გაუქმდა ასევე, ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შინაგან საქმეთა სამმართველო.

კანონის გამოცემას შედეგად მოჰყვა სიტუაციის დაძაბვა ცხინვალის რეგიონში. 1990 წლის 12 დეკემბერს ქ. ცხინვალში დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტები: რევაზ ურიდია, სერგო ცხოვრებაშვილი და ხეცურიანი, დაჭრეს რამოდენიმე მოქალაქე [6]. 13 დეკემბრისათვის ქ. ცხინვალში, ცხინვალისა და ჯავის რაიონებში მდგომარეობა კვლავ დაძაბული იყო. ადგილობრივი თვითმარქვია ხელისუფლება

— ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის სეპარატისტული ძალები, კვლავ აღვივებდნენ დაძაბულობას, ხელს უშლიდნენ საგამოძიებო ორგანოებს 12 დეკემბერს მომხდარი ქართველი მოქალაქეების დახოცვის და დაჭრის საქმის გამოძიებაში, ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რათა ცხინვალსა და ჯავის რაიონში ქართული მილიცია არ დაეშვათ. ასეთ პირობებში, როცა ერთმანეთთან დაპირისპირებული აღმოჩნდნენ ოს ექსტრემისტთა შეიარაღებული ფორმირებები და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ძალები, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების კონტინგენტი, ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონში, ასრულებდნენ საგანგებო წესებითა და კომენდანტის საათით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. 1990 წლის 13 დეკემბერს, ე. წ. სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ, ტ. კულუმბეგოვის ხელმოწერით, მიიღო გადაწყვეტილება „სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) მოქმედების შესახებ“. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „შეჩერდეს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოქმედება, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, სსრ კავშირის კანონებს, საქართველოს კანონს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ. ეთხოვოს სსრ კავშირის შესაბამის ორგანოებს, უშუალოდ საკავშირო ორგანოებს დაუქვემდებარონ საბჭოთა ხელისუფლების ყველა სტრუქტურა“ [7].

ოსი სეპარატისტების ნაქეზებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სსრკ-ის პრეზიდენტის, მ. გორბაჩოვის, ბრძანებულებამ „ქართულ-ოსური კონფლიქტის სამართლებრივი შეფასებისა და მის საფუძველზე განვითარებული ძალოვანი დაპირისპირების შესახებ„. მ. გორბაჩოვი საბჭოთა კონსტიტუციასთან შეუთავსებლად მიიჩნევდა, როგორც თბილისის, ასევე, ცხინვალის ხელისუფალთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ავტონომიის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, რომლებიც გახდა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიის არა თუ შეზღუდვის, არამედ მისი მთლიანად გაუქმების საფუძველი. მ. გორბაჩოვს მიაჩნდა, რომ „სამხრეთ ოსეთის“ სტატუსის ცვლილების შესახებ ნებისმიერ გადაწყვეტილებას, იურიდიული ძალა, მხოლოდ, მას შემდეგ შეიძლება ჰქონოდა, რაც მას სსრკ-ის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო დაამტკიცებდა. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ არ დაიცვა საბჭოთა კანონებით განსაზღვრუ-

ლი, ავტონომიის სტატუსის შეცვლის პროცედურა. საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლება, ასევე, უკანონოდ მიიჩნედა საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ საგანგებო მდგომარეობას ცხინვალისა და ჯავის რაიონებში, რითაც უხეშად ერეოდა საქართველოს საშინაო საქმეებში.

საქართველოს რესპუბლიკის, 1990 წლის 11 დეკემბრის, კანონი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის გაუქმების შესახებ, შეიცავდა იმ ძირითად დებულებებს, რომლებიც უნდა შეესრულებინა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს. საქართველოს რესპუბლიკის კანონის იურიდიული ძალის უარყოფა არ შეეძლო სსრ კავშირის ხელისუფლების არც ერთ ორგანოს, რადგან საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის და სსრკ-ის კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკა წარმოადგენდა სუვერენულ სახელმწიფოს და საკუთარი საზღვრების ფარგლებში ანხორციელებდა ტერიტორიულ უზენაესობას (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 70-ე და სსრ კავშირის კონსტიტუციის 78-ე მუხლი). აღსანიშნავია ისიც, რომ ყოფილი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ გარდა, სადაც 65 000 ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობდა, საქართველოს სხვა რაიონებში 100 000-ზე მეტი ოსი ეროვნების ადამიანი იყო დასახლებული, რომლებიც ყველა სამოქალაქო და ეკონომიკურ-კულტურული უფლებით სარგებლობდნენ.

აღნიშნული კანონით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არ აკნინებდა ეროვნებებისა და ხალხების თვითგამორკვევის უფლებას სახელმწიფოებრივი ერთეულის შექმნის ჩათვლით და დაუშვებლად მიიჩნედა ამ უფლების გავრცელებას საქართველოში მცხოვრებ იმ ეროვნულ უმცირესობებზე, რომლებსაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა გააჩნდათ საქართველოს ფარგლებს გარეთ. თვით საერთაშორისო სამართალიც კი მათ, ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლებას და ცხოვრების ყველა სფეროში თანასწორუფლებიანობას ანიჭებდა.

შიდა ქართლში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მოქმედება, მხოლოდ ამწვავებდა სიტუაციას. ისინი აშკარად მხარს უჭერდნენ და აქეზებდნენ ოს ექსტრემისტებს. 1991 წლის 4 იანვარს ქ. ცხინვალში, ოსი ექსტრემისტები თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის პასუხისმგებელ



მუშაკებს, რომელთაც ფიზიკური შეურაცხველობა მიყენეს და ტაბელური იარაღი წაართვეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ახალი დადგენილება, რომლის მიხედვით 1990 წლის 12 დეკემბრის დადგენილების მე-2 პუნქტი შეიცვალა: ქ. ცხინვალის და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე კომენდანტის საათის მოქმედების ხანგრძლივობა განისაზღვრა 19-დან 17 საათამდე (ნაცვლად 22-დან 7 საათამდე).

ოსი ექსტრემისტები, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოსთვის მოეგლიჯათ ისტორიული შიდა ქართლი, აქტიურად იარაღდებოდნენ რუსი სამხედროებისაგან. ოს ექსტრემისტთა მეთაურის ტორეზ კულუმბეკოვის შტაბი ცხინვალის ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში იყო განლაგებული. რუსეთის მთავრობა ჩრდილოეთ ოსეთიდან გზავნიდა დივერსანტებს, უახლესი სამხედრო საჭურვლით შეიარაღებულ სნაიპერებს. ოსმა ექსტრემისტებმა ქართველები ლტოლვილებად აქციეს საკუთარ სამშობლოში. ექსტრემისტები, რუსებთან ერთად, არად აგდებდნენ სამაჩაბლოს მკვიდრი მოსახლეობის სურვილს და ცდილობდნენ დედა სამშობლოსაგან მათ იზოლირებას. რუსეთი კვლავ აწარმოებდა დეზინფორმაციულ პროპაგანდას მასობრივი ინფორმაციის ცენტრალური ორგანოების საშუალებით, რომლის მიხედვით, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესები დამახინჯებულად იყო გადმოცემული. უფრო მეტიც, საინფორმაციო საშუალებები, ოსი ეროვნების მოსახლეობას ქართველ მოიერიშეთა მსხვერპლად წარმოაჩენდნენ. რუსეთი უხეშად ერეოდა საქართველოს შიდა საქმეებში და საქართველოს მთავრობას არ აძლევდა საშუალებას, თვითონვე გადაეწყვიტა ცხინვალის რეგიონის პრობლემებთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

შიდა ქართლში პოლიტიკური სიტუაციის უკიდურესი დაძაბვა გამოიწვია სსრკ-ის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვის, 1991 წლის 7 იანვრის, ბრძანებულებამ „საქართველოს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის შესახებ“. აღნიშნული ბრძანებულება ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან ყველა შეიარაღებული ფორმირების გაყვანას მოითხოვდა, გარდა სსრკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა, რითაც რუსეთს ხელ-ფეხი ეხსნებოდა თავისუფლად ემოქმედა საქართველოს ისტორიულ მინა-წყალზე [2, 53]. უკანონო ბრძანება აქეზებდა ოს ექსტრემისტებს გამოენვია დესტაბილიზაცია სა-

ქართველოს ტერიტორიაზე, რომლის მოსახლეობა იღწვოდა დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის.

რუსეთის ხელისუფლების მიერ, ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ოსი ექსტრემისტების ნაქეზების არაკონსტიტუციური გადანყვეტილებები, სასტიკად დაგმეს თვით ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა. რუსეთის ნამქეზებლური პოლიტიკა, საკმაოდ ტენდენციურად შუქდებოდა პროგრამა „ვრემიას“ საშუალებით. აღნიშნული გადაცემით აღშფოთებულმა ოსი ეროვნების წარმომადგენლებმა, 1991 წლის თებერვალში, ღია წერილით მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერეს დე-კუელი-არს, პროგრამა „ვრემიას“, სსრ კავშირის პრეზიდენტს - მიხეილ გორბაჩოვს და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს - ზვიად გამსახურდიას. მიმართვაში აღნიშნული იყო: „...კმარა, თითოეული ჩვენგანის მოთმინების ფიალა აივსო. დაე, იცოდეს მსოფლიო საზოგადოებამ, ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანმა, რომ პრეზიდენტი გორბაჩოვი — „საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების ლიდერი“ — არის ჩვენი უბედურების, ჩვენი ცხოვრების გაუკუღმართების მოთავე. დროა ყველა მოქმედებას დაერქვას თავისი სახელი. იცოდეს მსოფლიომ, ვინ არის დამნაშავე. დამნაშავეა ყველა, ვინც საუკუნეებით ნაჭედი ქართველი და ოსი ერის ძმობა, ერთობა, მეგობრობა, ნათესაობა დაარღვია თითოეულ მათგანს ღმერთი დასჯის. ჩვენ, ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლები პროტესტს ვუცხადებთ პროგრამა „ვრემიას“ ცრუ სიუჟეტებისა და ინფორმაციების გამო და მოვითხოვთ... სამაჩაბლოდან, ე.წ. „სამხრეთ ოსეთიდან“ საბჭოთა არმიის გასვლას. იმ ოსებმა, რომელთაც არ სურთ საქართველოს, ქართველი ხალხის დამოუკიდებლობა და რომელნიც იზიარებენ იმპერიის დამპყრობლურ, უმართებულო მოქმედებებს, დროა დატოვონ საქართველოს მიწა-წყალი. ჩვენ, საქართველოს შვილები ვართ, ქართულმა მიწამ გვშვა და ქართული მიწისთვის დავიხოცებით“ [8].

სსრ კავშირის პრეზიდენტის, 1991 წლის 7 იანვრის, ბრძანებულება წარმოადგენდა სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის უხეშ ხელყოფას, რადგან დემოკრატიული წესით არჩეულ საქართველოს ხელისუფლების უზენაეს ორგანოს, საკუთარი სამართალდამცავი ორგანოების მეშვეობით, ქვეყნის ტერიტორიის გარკვეული ნაწილის კონტროლს უკრძალავდა.

1991 წლის 12 იანვარს ღამით, საქართველოს მილიციამ ჯავშანტრანსპორტიორებით დაიწყო ქ. ცხინვალის სხვადასხვა რაი-

ონში აგებული ბარიკადების დაშლა, რის გამოც ექსტრემისტებმა ცეცხლი გახსნეს, რასაც ქართულმა პოლიციამ, ასევე, ცეცხლით უპასუხა. შეტაკების დროს დაიჭრა თბილისის მილიციას უმაღლესი სკოლის თანამშრომელი, მილიციის მაიორი ალექსი სუბოტინი. 13 იანვარს, სალამოს კომენდანტის საათის დადგომის შემდეგ, თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტთა ჯგუფს, რომლებსაც ავტობუსით სურსათი მიჰქონდათ სოფელ თამარაშენის მოსახლეობისთვის, თავს დაესხა ოს ექსტრემისტთა რაზმი. მათ ჯერ ხელყუმბარა ესროლეს ავტობუსს, შემდეგ კი ავტობუსებით დაცხრილეს. პოლიციის სკოლის კურსანტებმა საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს თავმდამსხმელებს. ადგილზე მივიდა სსრ კავშირის ჯავშანტრანსპორტიორი, რომელმაც ჰაერში ისროლა. ამის შემდეგ, ექსტრემისტები მიიძალნენ. 1991 წლის 22 იანვარს ოსმა ექსტრემისტებმა კვლავ განაახლეს შეტევა და ქ. ცხინვალის ყველა კუთხიდან ცეცხლი დაუშინეს საქართველოს მილიციის მუშაკებს. დაიჭრა თბილისის კრწანისის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების მუშაკი, მილიციის სერჟანტი იური ფეიქრიშვილი. 19 საათისთვის ექსტრემისტებმა ქალაქის სხვადასხვა უბნიდან ნაღმსატყორცისა და ყუმბარსატყორცის სროლა დაიწყეს. ნაღმი აფეთქდა ცხინვალის შესასვლელში განლაგებული ავტონისპექციის საგუშაგოს შენობის გვერდით. ღამის საათებში რკინიგზის სადგურიდან ისროდნენ რაკეტებს, ხოლო ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტთან მოწყობილი პიკეტიდან მთელი ღამის განმავლობაში ყუმბარმტყორცნიდან ისროდნენ. ექსტრემისტების შემოტევაზე მილიციის მხრიდან გახსნილი ცეცხლის შედეგად, სამი ექსტრემისტი დაიღუპა და რამდენიმე დაიჭრა. ოსური მხარე ადასტურებს 15 წლის ორი ოსი ბიჭის დაღუპვის ფაქტს [4, 29]. 22 იანვარს, მილიციის მუშაკებმა ცხინვალის რაიონში დააკავეს უმუშევარი იური ბეკოევი, რომელსაც რამდენიმე ცალი ტყვიამფრქვევის ვაზნა აღმოაჩნდა.

1991 წლის 25 იანვარს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი დილარ ხაბულიანი შეუთანხმდა ოსურ მხარეს ცეცხლის შეწყვეტისა და საქართველოს შს სამინისტროს ქვედანაყოფების გაყვანის თაობაზე იმ პირობით, რომ ისინი დააბრუნებდნენ ქართული მილიციისგან მიტაცებულ იარაღს, მაგრამ 29 იანვარს, ცხინვალის რეგიონის სამხედრო კომენდანტის კვანტალიანის მიერ, სამხრეთ ოსეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ტორეზ კულუმბეგოვის დაკავების შემდეგ, სიტუაცია რეგიონში კვლავ დაიძაბა. ტ.

კულუმბეკოვმა ერთი წელი გაატარა ქართულ ციხეში, იგი, ზვიად გამსახურდიას მმართველობის ძალადობრივი გზით დამხობის შემდეგ, გაათავისუფლეს. ჯერ კიდევ 26 იანვარს ქართული მილიცია იძულებული გახდა დაეტოვებინა ცხინვალი და ქალაქის შესასვლელში გამაგრებულიყო, სადაც განთავსებული იყო შტაბი და ჯავშანტექნიკა. ქართული ძალების ნაწილი, ასევე, განლაგებული იყო ქართულ სოფლებში ცხინვალის ჩრდილოეთით. დაპირისპირებულ მხარეებს შორის შეტაკებები ცხინვალის მისადგომებთან გაჩაღდა. დაპირისპირება ქართულ გასამხედროებულ ფორმირებებსა და ოსებს შორის, 31 იანვარს, ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში მოხდა. ქართული ძალები, აწარმოებდნენ რა სროლებს ქალაქის მიმართულებით, აკონტროლებდნენ სტრატეგიულ სიმაღლეებს ცხინვალის ირგვლივ, ხოლო ოსური რაზმები, რომლებიც ბლოკირებულ ცხინვალში იმყოფებოდნენ და განიცდიდნენ იარაღისა და ტყვიანამლის მწვავე უკმარისობას, მცირე დივერსიულ ჯგუფებად მოქმედებდნენ.

კრემლის მიერ ინსპირირებული საომარი მოქმედებების პასუხად, ზვიად გამსახურდიამ ოს მოსახლეობას იარაღის დაყრისაკენ და მშვიდობიანი თანაცხოვებისკენ მოუწოდა. 1991 წლის 4 მარტის მიმართვაში ნათქვამი იყო: „ქართველები და ოსები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე მშვიდობიანად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ამ მიწაზე, ახლა ურთიერთს ხოცავენ, ეომებიან გარეშე ძალის ნაქეზებით, ვინაიდან ეს ძმათამკვლელი ომი ვილაცის იმპერიული ამბიციების დასაყრდენია. სირცხვილი იქნება, თუ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით არ აღდგება მშვიდობა და თანხმობა ჩვენს ხალხებს შორის. ამის უპირველესი და აუცილებელი პირობაა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მიერ იარაღის ჩაბარება შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის, მათი სრული და უსიტყვო განიარაღება, რაც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ცხინვალი გამოწვევის არ უნდა იყოს. შეიარაღებული ჯგუფები უნდა განიარაღდნენ. სამაგიეროდ, ჩვენ სრული ხელშეუხებლობის გარანტიას ვაძლევთ მათ, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს იარაღს და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდება... ოსებისათვის შენარჩუნებული იქნება კულტურული ავტონომიის ყველა უფლება, რომელიც მათ ოლქის არსებობის პერიოდში ჰქონდათ. ის უფლებები კიდევაც გაიზრდება, გაფართოვდება და განმტკიცდება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით... ქართველები და ოსები თა-

ნაბარი უფლებებით ისარგებლებენ. გარანტირებული იქნება მათი ხელშეუხებლობა, შრომითი მონყობა და მშვიდი ცხოვრება შიდა ქართლის მთელ ტერიტორიაზე... მოვუხმოთ კეთილგონიერებას, სანამ გვიანი არ არის, ვინაიდან ჩვენი კონფლიქტი და სისხლისღვრა მხოლოდ ჩვენს მტერს აძლევს ხელს“ [9].

1991 წლის 7 მარტს, დილის 8 საათზე, ოს ექსტრემისტთა 100 კაციანი ბანდა თავს დაესხა ცხინვალის რაიონის ქართულ სოფლებს, ზემო აჩაბეთსა და მონასტერს. ბანდიტებმა მშვიდობიან მოსახლეობას დაუშინეს ყუმბარები, ცეცხლი გახსნეს ავტომატური იარაღიდან. მათ მიერ მოკლული იქნა ადგილობრივი მცხოვრები ტარიელ ხეთაგაშვილი. ბანდიტთა შემოტევა, დღის 12 საათამდე გრძელდებოდა და აღკვეთილი იქნა, მხოლოდ საქართველოს მილიციის და სოფლის მოსახლეობის ძალისხმევით. ოს ექსტრემისტთა შეტევის ადგილიდან ამოღებულ იქნა ერთი რაკეტა, თვითნაკეთი ყუმბარმტყორცნები და სანადირო თოფები. შიდა ქართლში ოსი ექსტრემისტების მიერ გაჩაღებულმა საომარმა მოქმედებამ ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გორის და გორის რაიონის პრეფექტის, 1991 წლის 10 დეკემბრის, განკარგულებით პრეფექტურასთან შეიქმნა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და თავისუფლებისათვის ბრძოლისას შიდა ქართლში ტრაგიკულად დაღუპულთა ოჯახების დახმარების ფონდი.

რუსეთმა თითქოსდა „რუსულენოვანი“ მოსახლეობის დაცვის საბაბით, შიდა ქართლში სსრ კავშირის შეიარაღებული ჯარის ნაწილები შეიყვანა. 1991 წლის 17 მარტს, დაინიშნა საკავშირო რეფერენდუმი, რომელიც მიზნად ისახავდა კვლავ იმპერიის მარწუხებით შეებოჭა თავისუფლებისმოყვარე ხალხები. ამ ფაქტით, რუსეთი ახდენდა მათი უფლებების ხელყოფას — ყოფილიყვნენ მსოფლიო ცივილიზებული სახელმწიფოების წევრები. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, ზ. გამსახურდიას ხელმძღვანელობით, სპეციალური დადგენილება მიიღო, რომელშიც ნათლად იყო ჩამოყალიბებული ქართველი ხალხის პოზიცია. დადგენილებაში აღნიშნული იყო: „ქართველმა ერმა თვითგამორკვევა საკუთარი სახელმწიფოებრიობის შექმნით განახორციელა სულ ცოტა 2500 წლის წინათ და დღემდე განუწყვეტელ ომებში იცავდა და იცავს მას. XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ მოახდინა საქართველოს სამეფო-სამთავროების ოკუპაცია-ანექსია, ხოლო 1921 წელს რსფსრ-მ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

ოკუპაცია და ფაქტობრივად ხელმეორე ანექსია. 1919 წლისა და 1990 წლის არჩევნებით ქართველმა ხალხმა XX საუკუნეში, უკვე ორჯერ დაადასტურა თავისი ნება — ჰქონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ამიტომ საბჭოთა კავშირის შენარჩუნების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების არავითარი საფუძველი არ არსებობს. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილება:

1. არ ჩატარებულიყო საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1991 წლის 17 მარტს დანიშნული რეფერენდუმი,

2. რეფერენდუმის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკაში დანიშნულიყო რეფერენდუმი 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე, ერთადერთი კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე„ [10, 24-26].

საქართველოში მცხოვრები პროგრესულად მოაზროვნე სხვადასხვა ერის წარმომადგენლები ყველას მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ საკავშირო რეფერენდუმისთვის და როგორც საქართველოს სრულუფლებიან მოქალაქეებს, მონაწილეობა მიეღოთ, 1991 წლის 31 მარტს, საქართველოში დანიშნულ რეფერენდუმში და ერთსულოვნად მიეცათ ხმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. მიუხედავად აღნიშნული მოწოდებისა, რუსეთისაგან ნაქეზებული ოსი ექსტრემისტები ყველა საშუალებით აღვივებდნენ განხეთქილებას ხალხთა შორის. სამწუხაროდ, ოსმა ექსტრემისტებმა ყურად არ იღეს თავიანთი თანამემამულეების მოწოდება — ქართველთა და ოსთა ტრადიციული კეთილმეზობლობის აღდგენისათვის და თავიანთი მოქმედებით ხელი შეუწვეეს რუსეთის იმპერიულ ძალებს საკუთარი ზრახვების განხორციელებაში. მათი ბოროტი მიზნები — ისტორიული შიდა ქართლის ხელში ჩაგდება და იქედან საქართველოზე კონტროლის განხორციელებით იყო განპირობებული. სინამდვილეში რუსებს არაფერში ადარდებდათ არც ოსი და არც ქართველი ხალხი.

1991 წლის 23 მარტს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, დაბა ყაზბეგში, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია და რუ-

სეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბორის ელცინი. ხელმოწერილი იქნა „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი“. მასში ორჯერ (III და IV მუხლებში) იხსენიება არა „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ოლქი, არამედ „ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ბორის ელცინი კანონიერად მიიჩნევდა საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმებას და ამავე დროს არ ცნობდა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის ბრძანებას ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღდგენის შესახებ. რაც მთავარია, მოლაპარაკების ოქმის IV მუხლი საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინაშე აყენებდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საკითხს. მოთხოვნის შესრულების შემთხვევაში, ოსი სეპარატისტები მოკავშირის გარეშე დარჩებოდნენ. მხარეები შეთანხმდნენ საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დადების თაობაზე, რომლის პროექტი 1991 წლის აპრილის განმავლობაში უნდა მომზადებულიყო (მუხლი I). 1991 წლის 23 მარტს დაბა ყაზბეგში ხელმოწერილი საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოების თავმჯდომარეთა „შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი“ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების და მაშინდელი ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო. VIII პუნქტში აღნიშნულია: „შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს ნამოჭრილ მიმდინარე საკითხებს“ [11]. აღნიშნული შეხვედრის საპასუხოდ, 26 მარტს ქ. ცხინვალში მიტინგი გაიმართა, ლოზუნგით: „სირცხვილი ელცინს ქართველ ფაშისტებთან მოთათბირების გამო... ხელმოწერილი ოქმი ითვალისწინებდა „სამხრეთ ოსეთის“, ტერიტორიაზე ქართული და რუსული მილიციას ერთობლივი რაზმის შექმნას, რომელიც შეისწავლიდა რეგიონში შექმნილ ვითარებას და ობიექტურად შეაფასებდა სიტუაციას. აღნიშნულმა შეთანხმებამ, რუსეთის სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მხრიდან, ფართო პროტესტი გამოიწვია, რის შედეგადაც რსფსრ უმაღლესმა საბჭომ სამშვიდობო ოპერაციის განხორციელება დაბლოკა.

იმდროინდელ ქართულ პრესაში იბეჭდებოდა ცხინვალის რეგიონში მიმდინარე პროცესების ამსახველი წერილები. ივანე მაჩაბლის საზოგადოების წევრი, ჯემალ ზანდალაძე, ცხინვალის რეგიონში შექმნილ, დაძაბულ სიტუაციას, უკანონო ავტონომიური ოლქის შექმნით ხსნის და პასუხისმგებლობას ოს ექსტრემისტებს აკის-

რებს. იგი წერს: „...დღეს საქართველოში ყველაზე მტკივნეული და ცხელი წერტილი სამაჩაბლოა. ამ რთულ მდგომარეობამდე მიგვიყვანა ქართველი ერის მოღალატე ბოლშევიკებისა და ოსი სეპარატისტების მიერ ე. წ. უკანონოდ შექმნილმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა, თუ ადრე, XX საუკუნის დამდეგს სამაჩაბლოში თითო-ოროლა ოსი ცხოვრობდა, ბოლო 70 წლის მანძილზე მთიდან დაძრული ოსები ქ. ცხინვალში ისე მომრავლდნენ, რომ გაცილებით მეტი აღმოჩნდნენ ქართველებზე. აქ ოსური მოსახლეობა ისე გაიზარდა და მომრავლდა, რომ ქ. ცხინვალის საზღვრები არ ეყოთ და ქართულ სოფლებში შეიჭრნენ. ამ ბოლო ხანებში თითქმის მთლად ჩაყლაპეს ქართული სოფლები დგვრისი და გუჯაბაური, სოფელ თამარაშენის მამულების ერთი მესამედი დაიკავეს, როცა ამ სოფლის ჩაყლაპვის რიგი დადგა, ოსი სეპარატისტები ოლქს არ დასჯერდნენ და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა“ გამოაცხადეს, რითაც მოინდომეს ძირძველი ქართული მიწის მიტაცება. ამ ძალმომრეობამ აავსო ქართველების მოთმინების ფიალა, გააძლიერა ეროვნული ფენომენი... ცენტრის ხელშეწყობით და წაქეზებით ოსმა სეპარატისტებმა ჯავისა და ცხინვალის მხრიდან ბლოკადაში მოაქციეს ისტორიული ქართული სოფლები: თამარაშენი, ქვემო და ზემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, სვერი, ქემერტი, ძარწემი და ხეითი...“ [12].

ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა 29 აპრილის მიწისძვრის შედეგად. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ოფიციალური მიმართვა გაავრცელა: „საქართველოს ყველა ღრმა და მწარე ჭრილობა შიდა ქართლშია განსნილი. მართალია აღსდგა ისტორიული კანონზომიერება. გავაუქმეთ ძალადობით შეკონინებული ოლქი, ცხინვალის რაიონი გორს დავუბრუნეთ, ყორნისის რაიონი — ქარელს, მაგრამ აღნიშნულ რეგიონში პრობლემები ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვს ჩვენს მობილიზებას და არა მხოლოდ მორალურ თანადგომას. ჩვენი დაუღლებელი ყოფა სტიქიამ კიდევ უფრო დაამძიმა. 29 აპრილის მიწისძვრამ, იმერეთზე და რაჭაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შიდა ქართლში ასეულობით ბინა დაანგრია და დააზიანა. ბოლო 15 ივნისის ნგრევამ — ათასობით ჭერი დააქცია. არც 4 ივლისს დაგვიწოდო სტიქიამ, კიდევ ერთხელ მოგვივლინა განსაცდელი, წინა მიწისძვრებს გადარჩენილი საბოლოოდ გაანადგურა. რაც ყველაზე სავალალოა დაილუპნენ ადამიანები. სვერი, ქემერტი, ძარწემი, კეხვი, ქურთა, ხე-



ითი, ქვემო აჩაბეთი, ჭარები, ქსუისი, დისევი, ანრისხევი, ბელოთი, საცხენეთი, ჯიჯიანთ უბანი, ვანათი... აი, არასრული სია იმ სოფლებსა, რომელთა ნაწილი მიწასთან არის გასწორებული... ღმერთმა ხომ იცის, აღარაფერი დაგვჩა დასაკარგავ-გადასაცემი, ამიტომ, სამაჩაბლოში დაბრუნებული თითოეული ოჯახი საქართველოსთვის მტკიცე ციხე-სიმაგრის ტოლფასია... ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ბედი დღეს შიდა ქართლში წყდება“ [13].

აღსანიშნავია, რომ, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტი საბჭოთა კავშირის დაშლის ფონზე მიმდინარეობდა. თვით იმპერიის გულში — მოსკოვში მიმდინარე კანონზომიერი პროცესები, რაც იმპერიის ნგრევით იყო განპირობებული, ხელს უწყობდა ისტორიის სასწორი სიმართლისა და ერთა თავისუფლებისაკენ გადახრილიყო. 70 წლიანი კომუნისტური რეჟიმის შემდეგ, საქართველოს რეალურად გაუჩნდა დამოუკიდებლობის მოპოვების შანსი. თვით რუსეთის იმპერიის ცენტრში გამოჩნდნენ ძალები, რომლებიც რუსეთის ხსნას საშინელი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისაგან, ჭეშმარიტი დემოკრატიის დამყარებასა და დაპყრობილი ერებისათვის დამოუკიდებლობის დაბრუნებაში ხედავდნენ. დემოკრატიული რუსეთის მრავალფეროვან სპექტრში გამორჩეული ადგილი ეჭირათ რსფსრ-ს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბორის ელცინს და ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეს იური აფანასიევს. თვით სახელგანთქმული სოლჟენიცინიც, რომელიც ბოლომდე ვერ ელეოდა „ველიკორუსულ“, იღებებს, რუსული ჩექმის ქვეშ მყოფი ერების თავისუფლებას ქადაგებდა. აღნიშნული ავტორიტეტული პირების დემოკრატიული რუსეთის შექმნისათვის ბრძოლამ, რუსი ხალხის დიდი ნაწილის შეგნებაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოახდინა. რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის მებრძოლთა მხარდასაჭერად გრანდიოზული გამოსვლები მოეწყო. იმავდროულად თითქმის მილიონობით რუსი მოითხოვდა კომუნისტური დიქტატურის მოსპობას, არსებული მთავრობის გადადგომას და გასამართლებას. 1991 წლის 19 თებერვალს, ბორის ელცინმა სსრკ-ს პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს, პირდაპირ ბრალი დასდო დიქტატურის დამყარებაში და ღიად მოუწოდა რუს ხალხს მხარი დაეჭირათ დემოკრატიული რუსეთისათვის ბრძოლაში, რომლის მტრადაც დაუფარავად გამოაცხადა სსრკ-ის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი და მისი გარემოცვა.

სსრკ-ის მაშინდელმა პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა, აღმოსავლეთ ევროპის სატელიტური ქვეყნების იძულებითი გზით, ხელისუფლების მშვიდობიანი დათმობის გამო, დასავლეთის დემოკრატიულ სამყაროში სამართლიანი და ჰუმანური მმართველის იმიჯი შეიქმნა. სინამდვილეში, ეს მისი მოჩვენებითი პოლიტიკა იყო, ვინაიდან თბილისში, ბაქოში, ერევანსა და ვილნიუსში დაღვრილი სისხლით გასვრილი ხელები, ნათლად მონუმობდნენ, მის მიერ „სამართლებრივი“, სახელმწიფოს აშენების სურვილს.

1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, ერთხმად მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი. სსრკ-ის პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი მუქარის ძალით ცდილობდა მორჩილებაში ჰყოლოდა ურჩი რესპუბლიკები და ასე შეეჩერებინა მათი გასვლა კავშირიდან. ამასთანავე, მ. გორბაჩოვი, ზ. გამსახურდიას ხელისუფლებისგან, სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს პრობლემები შეექმნებოდა ცხინვალის რეგიონში. ზ. გამსახურდიამ ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერა.

1991 წლის 27 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის გამოცემული კანონით ცხინვალის რაიონი გაუქმდა და მისი ტერიტორია გორის რაიონს შეუერთდა, ასევე, გაუქმდა ყორნისის რაიონი და მისი ტერიტორია ქარელის რაიონს გადაეცა. კანონში აღნიშნულია: „ამოღებული იქნეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 71-ე მუხლიდან სიტყვები „ყორნისის“, და „ცხინვალის“. იმავე 1991 წლის 27 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება ჯავის რაიონიდან სინაგურის, კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოების გამოყოფის შესახებ. დადგენილებაში წერია: „გამოეყოს ჯავის რაიონს და გადაეცეს: საჩხერის რაიონს სინაგურის სასოფლო საბჭო (20,4 ათასი ჰექტარი მიწა); ონის რაიონს კიროვისა და ჩასავლის სასოფლო საბჭოები (3,6 ათასი ჰექტარი მიწა). დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი [14, 83].

ე. წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ, 1991 წლის 4 მაისს, მიიღო გადანყვეტილება სამხრეთ-ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკის გაუქმებისა და მისთვის ავტონომიური ოლქის სტატუსის დაბრუნების შესახებ. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო, სა-

სოფლო საბჭოების კრების დადგენილებაში სსრკ პრეზიდენტის 1991 წლის 1 აპრილის დადგენილების შესახებ“ ნათქვამია: „... გაუქმდეს „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ“, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მე-14 სესიის 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება... აღდგეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის იმ ორგანოების საქმიანობა, რომლებიც მუშაობდნენ 1990 წლის სექტემბრამდე... კრება ეყრდნობა სსრ კავშირის შენარჩუნებისა და განახლების შესახებ 1991 წლის 17 მარტის რეფერენდუმის შედეგად გამოვლენილ სამხრეთ ოსეთის ხალხის ნება-სურვილს და აუცილებლად მიაჩნია სთხოვოს სსრკ უზენაეს საბჭოს შუამდგომლობა, რომ ცნოს ოლქი სუვერენულ რესპუბლიკათა კავშირის შესახებ ხელშეკრულების დამოუკიდებელ მონაწილედ და როგორც ფედერაციის სუბიექტმა, მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას. ხელშეკრულების მომზადებაში მონაწილეობისა და ხელმოწერისათვის შეიქმნას ავტონომიური ოლქის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: 1. ზ. ი. გასიევი — დელეგაციის ხელმძღვანელი; 2. გ. ვ. კოჩიევი; 3. ვ. ნ. ხუბულოვი; 4. გ. გ. ხუგაევი; 5. ა. გ. ჩეხოევი. ეთხოვოს სსრკ უზენაეს საბჭოს დაამტკიცოს ეს გადაწყვეტილება“ [15].

1991 წლის 12 მაისს გამოიცა სსრკ უზენაესი საბჭოს დადგენილება „სსრკ პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებებისა და სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 აპრილის დადგენილების შესრულების შესახებ“, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატთა კრების 1991 წლის 4 მაისის დადგენილების თაობაზე. მასში ნათქვამია: „განიხილა რა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატთა კრების დადგენილება, სსრკ უზენაესი საბჭო ადგენს: მიღებულ იქნეს ცნობად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების დეპუტატთა კრების დადგენილება „სსრკ პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულებისა და სსრკ-ის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 აპრილის დადგენილების შესრულების შესახებ“. დადგენილებას ხელს აწერს სსრკ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ლუკიანოვი. [2, 73].

1991 წლის 14 მაისს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ საპასუხო განცხადებაში აღნიშნულია: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო გაეცნო სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 12 მაისის დადგენილებას“ პრეზიდენტის 1991 წლის 7 იანვრის ბრძანებულების და სსრკ უზენაესი საბჭოს 1991 წლის 1 აპრილის დადგენილების შესრულების შესახებ“, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო, საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების სახალხო დეპუტატთა ყრილობის 1991 წლის 4 მაისის დადგენილების თაობაზე და აცხადებს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება წარმოადგენს სსრკ უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის უხეშ მცდელობას. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია შეადგენს საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს და არავის აქვს მისი სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან შეერთების საკითხის განხილვის უფლება... სამწუხაროა, რომ სსრკ უზენაესი საბჭოს 12 მაისის დოკუმენტი მიიღეს მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ინიციატივით და საკავშირო დეპუტატთა მონაწილეობით შექმნილია სამხრეთი საპარლამენტთაშორისო კომისია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, სსრკ უზენაესი საბჭოს, რსფსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობით, რომელმაც უნდა შეიმუშაოს წინადადებათა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე კონფლიქტური სიტუაციის მოსაგვარებლად... აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სსრკ უზენაესი საბჭოს, როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, უფლება არ ჰქონდა განეხილა **იმ ყოფილი დეპუტატების დადგენილება, რომლებმაც თვითონ მოიხსნეს უფლებამოსილება ავტონომიური ოლქის რესპუბლიკად გამოცხადებით...** [15, 79-80]. განცხადებას ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი.

ოთხი თვის შემდეგ, იმავე წლის 1 სექტემბერს, იმავე სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესიამ გააუქმა სახალხო დეპუტატთა ყრილობის 4 მაისის გადაწყვეტილება და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა გამოაცხადა.

1991 წლის 25 ნოემბრის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებით, ქ. ცხინვალსა და ჯავის რაიონის ტერიტორიაზე საგანგებო წესები გაუქმდა [2, 90]. 1991 წლის დეკემ-

ბერში, კვლავ გრძელდებოდა კონფლიქტი ყოფილი ე. წ. „სამხრეთ ოსეთის„ ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე. საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ 1991 წლის 2 დეკემბერს გამოსცა სპეციალური ბრძანებულება. მასში ნათქვამია: „შიდა ქართლში ოსი სეპარატისტები, რომლებსაც უზურპირებული აქვთ ხელისუფლება, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის მხარდაჭერით კვლავ განაგრძობენ ანტიკონსტიტუციურ, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას, რითაც აშკარად ცდილობენ ხელყონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, შეზღუდონ საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებები. მიმდინარე წლის 26 ნოემბერს ა. ჩოჩიევის ხელმძღვანელობით ჩატარდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელზედაც განიხილეს რესპუბლიკის სახელწოდების შეცვლის, ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურის, კონსტიტუციის მიღების, რუსეთთან ადრე მიღებული გადანყვეტილებების დადასტურება, საგანგებო მდგომარეობის შემოღების, საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადების, გვარდიის შექმნისა და სხვა საკითხები. სესიამ ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ აირჩია ზნაურ გასიევი და მასვე დააკისრა თავმჯდომარის მოვალეობა. ნიშანდობლივია, რომ თვით ამ ე. წ. სესიამ აღიარა, რომ 1991 წლის 4 სექტემბრის გადანყვეტილებების შემდეგ, რომელიც მიიღო უკანონო ორგანომ, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის ყველა დონის სახალხო დეპუტატთა სესიამ“, ამ რეგიონში შეიქმნა კონსტიტუციური ვაკუუმი, მაგრამ მიუხედავად ამ აღიარებისა, ოსი სეპარატისტები შიდა ქართლში „კონსტიტუციური ვაკუუმის“ შევსებას კვლავ უკანონო, ანტიკონსტიტუციური მოქმედებებით ცდილობენ...საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე ვადგენ:

„1. ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ანტიკონსტიტუციური, ანტისახელმწიფოებრივი ორგანოს ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 26 ნოემბრის გადანყვეტილებები.

2. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ გაატაროს კანონით გათვალისწინებული ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებმაც შიდა ქართლში შექმნეს ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლე-

ბების შეზღუდვა, საქართველოს რესპუბლიკისაგან მისი ტერიტორიის ნაწილის გამოყოფა.

3. დაისვას საკითხი სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე შიდა ქართლში დისლოცირებული სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ნაწილების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ“ [16, 5-6].

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის სამართლიან მოთხოვნას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის შესახებ, რუსეთის ხელისუფლებამ ოსი ექსტრემისტების შეიარაღებით და საქართველოში სამოქალაქო დაპირისპირების პროვოცირებით უპასუხა.

1991 წლის 8 დეკემბერს, რუსეთის ფედერაციის, ბელორუსიის და უკრაინის სახელმწიფო მეთაურთა მიერ, ხელი მოეწერა დოკუმენტს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნის შესახებ. ამ დოკუმენტის მიღებით საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. შეთანხმებას ხელი მოეწერა ბელოვეჟში (ბელორუსია) მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირებისა და მთავრობის მეთაურთა მიერ: (ბორის ელცინი და გენადი ბურბული-სი (რსფსრ), სტანისლავ შუშკევიჩი და ვიჩანესლავ კებიჩი (ბელორუსია), ლეონიდ კრავჩუკი და ვიტოლდ ფოკინი (უკრაინა)). დოკუმენტის პრეამბულაში აღნიშნულია: „საბჭოთა კავშირი, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა, წყვეტს თავის არსებობას“. შეთანხმების I მუხლში ნათქვამია: „შეთანხმების მხარეები ქმნიან დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას“ (დსთ). მიხეილ გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის (რსფსრ) პირველი პრეზიდენტი ბორის ელცინი (1931-2007 წწ) გახდა. იგი ქვეყანას 1991-1999 წლებში მართავდა. ბ. ელცინმა დემოკრატიის საფუძვლების მშენებლობაში დიდი როლი შეასრულა, რის გამოც რუსეთში მას ხშირად აკრიტიკებდნენ.

მოგვიანებით, 1922 წლის სამოკავშირეო ხელშეკრულების გაუქმება ანტიკონსტიტუციურ აქტად იქნა მიჩნეული. ხელშეკრულების გაუქმება, ზოგიერთი რუსი პოლიტიკოსის აზრით, რსფსრ კონსტიტუციის, იმდროინდელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევას წარმოადგენდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის მიერ განხორციელებული რეფორმების შედეგად, დასრულდა ცივი ომი (1990 წელს მ. გორბაჩოვს მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიანიჭეს). ამასთანავე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ჰეგემონიაც დამთავრდა და საბჭოთა კავშირი დაიშალა. რსფსრ კონსტიტუციის IV მუხლის ძალით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 1977 წლის საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია 1993 წლის დეკემბრამდე მოქმედებდა, თუმცა მოკავშირე რესპუბლიკა რსფსრ უფრო ადრე გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო — რუსეთის ფედერაცია. 1991 წლის 21 დეკემბერს მიიღეს ალმა-ატის დეკლარაცია, რომლითაც სსრ კავშირის მემკვიდრე ე. წ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) გახდა. მის შემადგენლობაში საქართველო და ბალტიისპირეთის სახელმწიფოები არ შევიდნენ. ალმა-ატაში რუსეთის იმპერია ახალი, დსთ-ს სახელით გაფორმდა, სადაც ბელორუსიას, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინასთან ერთად, დსთ-ს მიზნებისა და პრინციპების შესახებ დეკლარაციას მოაწერეს ხელი [17, 7].

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შესახებ შეთანხმებას შეუერთდნენ: 1991 წლის 21 დეკემბერს — აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდავეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი. საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ დსთ-ში ქვეყნის განევრიანებაზე უარი განაცხადა.

სწორედ, 1991 წლის დეკემბრის მიწურულს, რუსეთის იმპერიული ძალების ხელშეწყობით, საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა. რუსეთის ხელისუფლების გათვლა საქართველოს უმძიმეს მდგომარეობაში ჩაყენებასა და დსთ-ში მისი ძალით განევრიანებაში მდგომარეობდა. საქართველო დსთ-ს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობის და შევარდნაძის რეჟიმის პერიოდში — 1993 წლის დეკემბერში შეუერთდა. საქართველომ დსთ-ს შექმნის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია 1993 წლის 3 დეკემბერს მოახდინა, ხოლო დსთ-ს წესდების რატიფიცირება — 1994 წლის 19 აპრილს.

საქართველოს წინააღმდეგ რუსული აგრესიის შემდეგ, 2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა განცხადება საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შესახებ. 2008 წლის 14 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად (117 ხმით) მიიღო გადაწყვეტილება დსთ-დან საქართველოს გამოსვლის პროცედურის დაწყების შესახებ. დსთ-ს წესდების თა-

ნახმად (I განყოფილების მუხლი - IX) თანამეგობრობიდან გასვლის მსურველი ქვეყანა ვალდებულია განაცხადი ამის შესახებ 12 თვით ადრე გააკეთოს. ამჯერად, 2009 წლის 18 აგვისტოდან, საქართველო დსთ-ს წევრი ოფიციალურად აღარ არის.

1991-1992 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი, მედეა თუშმალიშვილი, რომელსაც 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელი აქვს მოწერილი, ასე აფასებს 90-ანი წლების მოვლენებს: „რუსეთის დაკვეთით და რუსეთის დაფინანსებით განხორციელდა 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში. საკამათო და დასადგენი აქ არაფერია. ისიც ფაქტია, რომ რუსეთმა ეს გადატრიალება განხორციელა იმდროინდელი ქართული ოპოზიციის მხარდამჭერების მეშვეობით... 90-იან წლებში საქართველო ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული სახელმწიფო მყარი ინსტიტუტებით, სამართალდამცავი სტრუქტურით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება თავის პირველ ნაბიჯებს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პირობებში დგამდა. საბჭოთა სისტემა არ იყო გუშინდელი დღე, ეს იყო იმდროინდელი რეალობა. ასევე, სრულიად განსხვავებული იყო დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ზვიად გამსახურდიას მისი ოპონენტები ბრალად სდებდნენ, რომ მან ქვეყანა იზოლაციაში მოაქცია, უსამართლო ბრალდებაა. მთავარი იყო ის, რომ დასავლეთმა, კერძოდ, ამერიკის იმდროინდელმა ადმინისტრაციამ გეუზი აილო არა ყოფილი რესპუბლიკების დახმარებაზე, არამედ გორბაჩოვის, მოგვიანებით კი ელცინის რუსეთის მხარდაჭერაზე. მათ აშინებდათ ქაოტურად დაშლილი საბჭოთა კავშირი ოთხი ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნის პერსპექტივით. როდესაც ზვიად გამსახურდიამ ამერიკის ყოფილ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს უთხრა: „შემოიყვანეთ ნატოს ჯარები კავკასიაში და ამ ურჩხულისგან გაგვათავისუფლეთ“, მაშინ დასავლეთი ჯერ მზად არ იყო ასეთი წინადადებისათვის. ზვიად გამსახურდიამ, როგორც ყოველთვის, თავის დროს ათეული წლებით გაუსწრო, ალბათ, სწორედ ეს იყო მისი სიდიადეც და მისი პირადი ტრაგედიის მიზეზიც, [19]. ალსანიშნავია, რომ ამერიკის ხელისუფლების მხრიდან საბჭოთა კავშირის ცენტრალური ხელმძღვანელობა აღიქმებოდა, როგორც პოლიტიკური, რეგიონალური და ეკონომიკური სტაბილურობის ხელშეწყობი ფაქტორი.

ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი, ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი რიჩარდ ჰაიპსი 90-



იანი წლების პროცესების შეფასებისას აღნიშნავდა: „საქართველოსთვის ყველაზე სერიოზული პოლიტიკური პრობლემაა სამხრეთ ოსეთი. ოსები, ... გაყოფილნი არიან ორ ადმინისტრაციულ ერთეულად, რომელთაგან ჩრდილოეთი შედის რუსეთის, ხოლო სამხრეთი — საქართველოს შემადგენლობაში. მოსკოვი ექსპლუატაციას უწევს ოსების გაერთიანების სურვილს, ქმნის სამხედრო ბაზას საქართველოს ტერიტორიაზე. ის უწევს კონტროლს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრებს საქართველოსთან და აღვივებს ანტაგონიზმს ორ ხალხს შორის. ორივე მხარე ჩათრეულია ტერორიზმში და ვნებები უკიდურესად დაძაბულია. ეს საკითხი თავისი სიმძაფრით ჰგავს პროტესტანტობისა და კათოლიკეების დავას ჩრდილოეთ ირლანდიაში, თუმცა უფრო ძნელად გადასაწყვეტია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსკოვი დაინტერესებულია მისი გამწვავებით“ [20, 6].

საქართველოში სამხედრო გადატრიალების შედეგად, ხელისუფლებლაში მოსულმა სამხედრო საბჭომ, გააუქმა ზ. გამსახურდიას მმართველობის პერიოდში მიღებული ბევრი გადაწყვეტილება, მაგრამ „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით იგივე პოზიცია შეინარჩუნა. სამხედრო საბჭოს მიერ, 1992 წლის 21 თებერვალს, მიღებულ დეკლარაციაში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოში არსებობს ორი ავტონომია — აფხაზეთის და აჭარის. დოკუმენტში „სამხრეთ ოსეთზე“ ლაპარაკი არ არის.

1992 წლის 24 ივნისს ე. შევარდნაძემ და ბ. ელცინმა დაგომისში ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაციის სამხედრო შენაერთებს ოფიციალურად მიეცა „სამშვიდობო ძალების სტატუსი“ ცხინვალის რეგიონში. მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა რუსეთსა და საქართველოს შორის დაგომისის ხელშეკრულებას, ცალკეული საცეცხლე კონტაქტებისა და რეიდების დონეზე განხორციელებული სამხედრო მოქმედებები მთლიანად შეწყდა. 1992 წლის 14 ივლისს კონფლიქტის ზონაში შეყვანილ იქნა სამშვიდობო ძალები სამი ბატალიონის (რუსული, ქართული და ოსური) შემადგენლობით. დაგომისის ხელშეკრულება ითავლისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას, უნდა შექმნილიყო კონფლიქტის დარეგულირების ორგანო — შერეული საკონტროლო კომისია (შსკ), რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ქართული და ოსური მხარეები, რუსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი. ხელშეკრულების მნიშვნელოვანი შედეგი იყო ცეცხლის შეწყვეტა კონფლიქტის ზონაში, კონფლიქტის ზონის დაყოფა, ერთ მხრივ, საქართველოს, მეორე მხრივ „სამხრეთ ოსეთის“ კონტროლის ზონებად. შეიქმნა შერეული

საკონტროლო კომისია ოთხმხრივი ორგანო: საქართველოს, სამხრეთ ოსეთის, რუსეთის, ჩრდილოეთ ოსეთის მონაწილეობით და ეუთოს პატრონაჟით. 2008 წლის სამხედრო კონფლიქტის შემდეგ, 2008 წლის მარტიდან საქართველომ შეწყვიტა შსკ-ში მონაწილეობა.

XX საუკუნის 90-იანი წლების კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში ქართული სახელმწიფოსთვის მეტად მძიმე შედეგებით დასრულდა. საქართველომ ადმინისტრაციული კონტროლი დაკარგა შიდა ქართლის ძირძველი ქართული ტერიტორიების 60%-ზე, რომელიც ისტორიულად ყოველთვის საქართველოს ეკუთვნოდა. რუსეთმა ხანგრძლივი დროით შეანელა საქართველოს ბუნებრივი სწრაფვა დასავლური და ევროპული სივრცისაკენ. რუსეთი პრაქტიკულად აკონტროლებდა ქვეყნის პოლიტიკურ ნებას, ქვეყანა ეკონომიკურად რუსეთზე იყო მიზმული, საზოგადოება გახლეჩილი და ურთიერთდაპირისპირებული. ამას ემატებოდა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან საზოგადოებაში არსებული განხეთქილებით მანიპულირება და მცდელობა შეემუშავებინა კონფლიქტის მოგვარების მისთვის მისაღები მექანიზმები. რუსეთის ხელისუფლებას, გაყინული კონფლიქტების გაღობა და საჭირო დროს გამწვავება, მის ხელთ არსებული ბერკეტების გათვალისწინებით, ნებისმიერ დროს შეეძლო.

2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად, საქართველომ ცხინვალის რეგიონის დანარჩენ ტერიტორიებზეც დაკარგა კონტროლი. აღნიშნული ტერიტორიები საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აღიარებულია საქართველოს კუთვნილ ტერიტორიებად. დღეისათვის, საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 20% ფაქტიურად რუსეთის კონტროლის ქვეშ იმყოფება და მიუხედავად საერთაშორისო ძალების ძალისხმევისა რუსეთის ხელისუფლება არ აპირებს უკანონოდ ოკუპირებული ტერიტორიების დაცლას. მას შემდეგ, რაც საქართველო ოფიციალურად გამოვიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან, რუსეთის ფედერაციის ჯარს მიენიჭა საოკუპაციო ჯარის სტატუსი, თუმცა ამ სტატუსით იგი კვლავ უკანონოდ აგრძელებს საქართველოს ანექსიას.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს უწყებები, 15, 1990.

2. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში—სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2005). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. კრებულის შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თამაზ დიასამიძე, თბილისი, 2005.
3. გაზეთი „ახალი საქართველო“, 9, 10 ნოემბერი, 1990.
4. Южная Осетия 1988-1992, Хроника событий грузинской агрессии, составители: Б. Е. Чочиев, М. К. Джиоев, Цхинвал, 1996.
5. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 12, 1990.
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, „მდგომარეობა შიდა ქართლში“, 8, 14 დეკემბერი, 1990.
7. გაზეთი „Советская Осетия“, 3 იანვარი, 1991.
8. საქართველოს, ქართველი ხალხის ერთგული ოსი ეროვნების ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს პერე დე-კუელიარს, პროგრამა „ვრემიას“, სსრ კავშირის პრეზიდენტს მიხეილ გორბაჩოვს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ზვიად გამსახურდიას. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1 მარტი, 41 (61), 1991.
9. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 64, 2 აპრილი, 1991.
10. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 3, 1991.
11. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 27 მარტი, 58, 1991.
12. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 4 მარტი, 1991.
13. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 210, 29 ოქტომბერი, 1991.
14. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 4, 1991.
15. გაზეთი „Советская Осетия“, 41, 16 მაისი, 1991.
16. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 6, 1991.
17. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 12, 1991.
18. Дипломатический Вестник, №1, 1992.
19. მედეა თუშმალიშვილი, ერმა იცის თავისუფლების ფასი და იგი მას ადვილად აღარ დათმობს, საიტზე: [www.diaspora.gov.ge](http://www.diaspora.gov.ge)
20. ჟურნალი „პოლიტიკა“, 8, 1991.
21. О поиске причин, динамики, путей урегулирования и возможных направлениях развития грузино-осетинского конфликта (анализ и рекомендации независимых экспертов грузинской и осетинской сторон), Клуб „Гражданское общество“, №2, Владикавказ, 2006.

**Lela Saralidze**

*Doctor of History, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, Senior researcher scientist of the Department of Modern and Contemporary History*

**From the History of the Soviet Union Dissolve and Tskhinvali Region Conflict (The 90es of the 20<sup>th</sup> century)**

**Summary**

On the basis of the documentary material analyses the history of Tskhinvali region conflict of the 1990es is discussed in the article. At the end of the 1980es the weakening of the Soviet Union rule was obvious and inevitable. In Georgia of this period a new blow up of the national-liberation movement took place. Public protests against Soviet government became active. Communist government of Georgia and the Soviet Union Central Committee answered public protests with repressions. Russia in the robe of peacemaker could always manage to aggravate the situation between Georgian and Ossetian peoples. On the background of the stirred up conflict legislations, which became juridical basis of the ethnic conflict aggravation, were worked out. In September, 20, 1990 14<sup>th</sup> session of the 20<sup>th</sup> convocation of the regional council of the so called the South Ossetian Autonomous Oblast public deputies adopted a resolution "about the transforming the South Ossetian Autonomous Oblast into the Soviet Democratic Republic of South Ossetia". The session appealed to the Supreme Council of the Soviet Union and demanded to unite so called Democratic Republic of South Ossetia with the Soviet Union as an independent legal unit. The same session received a decision to establish a moratorium on registration, buying and selling houses. It was an attempt of the usurpation of the people's government by the Ossetian separatists. It was an action against the territorial unity of Georgia; action to separate its historical, integral part from the mainland. It obviously was against not only the constitution of the Republic of Georgia, but the Soviet Union and international law norms. In November, 22, 1990 newly elected Supreme Council of the Republic of Georgia abolished the South Ossetian Autonomous Oblast public deputies' decision of September, 20, 1990 to transform it into so called "The Soviet Democratic Republic of South Ossetia".

Consequently all decisions and the decision of December, 2, 1990 about appointing and holding elections among them, were abolished.

Despite repeated warnings of the supreme organs of the Georgian Republic government against stopping of all illegal activities of the self-styled autonomous region government, the elections of the so called "The Soviet Republic of South Ossetia" Supreme Council were held in December, 9, 1990. After these elections the Republic of Georgia faced a real threat of disintegration. In December, 11, 1990 the Supreme Council of the Republic of Georgia chaired by Zviad Gamsakhurdia received a law about abolishing the so called "The South Ossetian Autonomous Oblast". With the same resolution the elections of the so called "South Ossetia" Soviet Republic Supreme Council in December, 9, 1990 with their results were found void and without legal force. After the ordination of the law the situation in Tskhinvali region became tense. The attacks on the Georgian population and the police took place. The situation was aggravated by the actions of the Soviet Union Internal Affairs Ministry troops deployed in Shida Kartli. In April, 9, 1991 The Supreme Council of the Republic of Georgia on the basis of the March, 31 referendum results unanimously adopted the Declaration of Independence of Georgia. It is underscored in the article that the president of the Soviet Union, M. Gorbachov tried to keep rebellious republics by threat to prevent their leaving the union. Besides M. Gorbachov demanded from Z. Gamsakhurdia's government to sign inter-allied treaty. If the government denied the demand, Georgia should have faced problems in Tskhinvali region. Z. Gamsakhurdia did not sign the treaty. In the period of E. Shevardnadze's rule Georgia became a member of the Newly Independent States of the Former Soviet Union. It is mentioned in the article that the results of the 1990es conflict in Tskhinvali region came to an end with heavy results for the Georgian state. Georgia lost administrative control over 60% of Shida Kartli ancient territories belonged to it. Russia slowed for a long time Georgia's aspiration towards Western and European world. In fact Russia was controlling the political will of the country. The country was economically tied to Russia, society was split and opposed to each other and in addition, Russia manipulated this split of the society and was trying to work out the conflict resolution mechanisms acceptable for Russian policy.

# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი   დ ა   მ ს თ ე ლ ი თ

## გულნაზ ჯავახიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თე-  
ლავის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულ-  
ტეტის საქართველოს ისტორიის კათ-  
ედრის დოქტორანტი

### იაკობ გოგებაშვილი XIX საუკუნის 60-იანი წლების მსოფლიო ისტორიული მოვლენების შესახებ

იაკობ გოგებაშვილი დიდი ქართველი პედაგოგი და ქართუ-  
ლი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი  
წარმომადგენელია. მან, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო  
ნიკოლაძისა და სხვა ღირსეული შვილების გვერდით იღვანა  
ეროვნული იდეალების გადასარჩენად, მათთან ერთად, დიდი  
წვლილი შეიტანა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში, კოლონი-  
ური რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად მის დარაზმვაში. დიდ-  
მა სწავლულმა და პედაგოგმა, რომელმაც ქართული პედაგოგიუ-  
რი აზროვნების კლასიკოსის ტიტული დამსახურებულად მოიპო-  
ვა, შექმნა საბავშვო მწერლობის საუკეთესო ნიმუშები, დაწერა  
უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის სახელმძღვანელოები, ამას-  
თანავე, მისი პუბლიცისტიკით, ისტორიული წარსულისადმი და-  
მოკიდებულებითა და მომავლისადმი საკუთარი ხედვით მან არა-  
ნაკლებ საინტერესო კვალი დატოვა ქართული აზროვნების ის-  
ტორიაში.

იაკობ გოგებაშვილმა სასულიერო განათლება მიიღო. 1861  
წელს, თბილისის სასულიერო სასწავლებელი დაასრულა და კიე-  
ვის სასულიერო აკადემიაში შევიდა. სუსტი ჯანმრთელობის გამო  
ვერ დაასრულა სასწავლებელი, მაგრამ თვითგანვითარებითა და  
გავლილი კურსის წარჩინებულად ათვისებით იმდენი ცოდნა შეი-  
ძინა, რაც სრული კურსის გავლის შემდეგ შეიძლებოდა მიეღო.  
თბილისში დაბრუნებულმა მშობლიურ სასულიერო სასწავლე-  
ბელში მათემატიკისა და გეოგრაფიის მასწავლებლად დაიწყო მუ-  
შაობა. ეს იყო დრო, როდესაც პეტერბურგიდან დაბრუნებულმა

ილია ქავჭავაძემ დააარსა „საქართველოს მოამბე“ და დაიწყო პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა გარს შემოკრება. ამათ შორის მოხვდა იაკობ გოგებაშვილიც.

1868 წელს იაკობ გოგებაშვილი სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად დაინიშნა. ამ თანამდებობაზე ის ექვსი წელი მუშაობდა. მან სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა სასწავლებლის რეჟიმს: დასმენებს, ბავშვთა ფიზიკურად დასჯას.

სემინარიაში დანერგილი ჰუმანიზმისა და თავისუფალი ატმოსფეროსთვის, გოგებაშვილს დევნა დაუწყო საქართველოს რუსმა ეგზარქოსმა ევსევმა, რუსეთის სინოდმა და კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ. სემინარიის რექტორმა ვალენტინმა არაერთხელ დაასმინა გოგებაშვილი ეგზარქოსთან. ეგზარქოსი თავად დაესწრო დიდი პედაგოგის მიერ ჩატარებულ მათემატიკის გაკვეთილს და აღიარა: „ეს დიდი ნიჭის კაციაო“, მაგრამ მას მატერიალისტობაში მაინც დასდო ბრალი. მალე თბილისში გამოგზავნეს რევიზორი კერსკი, რომელსაც სინოდის მიერ დავალებული ჰქონდა გოგებაშვილის შემოწმება და თანამდებობიდან მოხსნა. საიდუმლო მოხსენებაში რევიზორი წერდა: „კომპეტენტური წყაროებიდან ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ქ. თბილისში მოსვლის შემდეგ, თავის ბინაზე, სემინარიის შეგირდებისათვის აწყობდა ლიტერატურულ კითხვას. საგანი ამ კითხვისა, რომელიც ფარულად და სათანადო ნებართვის გარეშე ტარდებოდა, არ არის ცნობილი: მიუხედავად ამისა, ამ ლიტერატურული კითხვის ხასიათის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, რომ დაახლოებით იმავე დროს მოსწავლეები შეეჩვივნენ უარყოფითი მიმართულების წიგნების კითხვას“. კერსკი მიუთითებდა გოგებაშვილის შესაძლო მავნე ზეგავლენაზე, რადგან მოსწავლეებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და გეოგრაფიის წიგნებს აძლევდა წასაკითხად. მწერალი ვასილ ბარნოვი იაკობ გოგებაშვილის შესახებ წერდა: „იქნება ბედგამწარებულს, მრავალთა მსგავსად, მეც დეზი მეკრა სასწავლებლისათვის, რომ ამ დროს ზედამხედველად არ დაენიშნათ იაკობ გოგებაშვილი. . . შემოსვლისთანავე ყველაფერს თავისი მადლიანი ბეჭედი დაასვა. უწინარეს ყოვლისა, სასტიკად აკრძალა მონაფეთა ბარბაროსული დასჯა. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა, რომ „ნორჩ სულთა საჯალათო“ სასწავლებლისთვის დაემსგავსებინა“ [1, 135-136].

რევიზიას თავად გოგებაშვილი არ ესწრებოდა. ის იმ დროს საავადმყოფოში იწვა. რევიზიის შედეგად, გოგებაშვილი მოიხსნა დაკავებული თნამდებობიდან იმდროინდელი რუსული კანონმდებლობის III მუხლის მიხედვით — როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება. გოგებაშვილმა პროტესტის ნიშნად დანვა ყველა თავისი ოფიციალური დოკუმენტი და ამის შემდეგ, 38 წელიწადი, სიკვდილამდე უანგაროდ ემსახურა ხალხს და ოფიციალურ სამსახურში აღარასოდეს შესულა.

ეს იყო კოლაბორაციონიზმზე უარის თქმის ყველაზე მკაფიო მაგალითი კოლონიური რეჟიმის ქართულ საზოგადოებაში. ამით იაკობ გოგებაშვილი უსათუოდ დგას მოწინავე მამულიშვილთა რიგებში.

თბილისის სასულიერო სემინარიაში იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის შესახებ მწერალმა დავით კასრაძემ ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“ გამოაქვეყნა წერილი „ვ. ბარნოვის ლიტერატურული პორტრეტი“ [1, 135-136]. საინტერესოა რევიზორ კერსკის ანგარიში, სადაც იაკობ გოგებაშვილი დადანაშაულებულია სტუდენტებთან თავისუფალ ურთიერთობაში [2, 139-140].

იაკობ გოგებაშვილს, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, თავის მთავარ მისიად მიაჩნდა სახალხო განათლებაში რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლა, სახალხო სკოლების შექმნა და ხალხის ფართო მასებისათვის ცოდნის გადაცემა. მას კარგად ჰქონდა შეგრძნობილი ამ მისიის სირთულე, ამიტომ იკრებდა თავის გარშემო ახალგაზრდებს, რომლებიც ყოველ კვირას იკრიბებოდნენ მის ბინაზე. ამ ფაქტზე მოგონებები ეკუთვნის მწერალ სოფრომ მგალობლიშვილს [3, 36].

თითქმის სრულიად შეუსწავლელია იაკობ გოგებაშვილის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ისტორიული შეხედულებები, მწერლის და დიდი პედაგოგის დამოკიდებულება XIX საუკუნის მეორე ნახევრის და 900-იანი წლების მსოფლიო ისტორიულ მოვლენებთან, ახლად ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პარტიებთან. გოგებაშვილი ეხმაურებოდა საქართველოში მომხდარ ყველა მოვლენას, და არა მარტო საქართველოში. უაღრესად საინტერესოა ის პოლიტიკური მიმოხილვები, რომელშიც მწერალი აანალიზებდა აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს.



განსაკუთრებული ენთუზიაზმით მწერალი-განმანათლებელი გამოეხატა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1860-1864 წლებში მიმდინარე სამოქალაქო ომს. ამ საკითხს მან ვრცელი წერილი მიუძღვნა სათაურით: „ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის ლინკოლნის მოკვლის შემდეგ კონგრესსა და ახალ პრეზიდენტს შორის“. წერილი გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა, 1866 წლის 29 აპრილს. წერილს სათაურად ჰქონდა: „ამერიკა (პოლიტიკური მიმოხილვა)“. წერილი ავტორის ხელმოწერადა დაიბეჭდა. იგი გოგებაშვილმა გარდაცვალებამდე ორი წლის წინ, 1910 წელს გამოქვეყნებულ „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველ ტომში შეიტანა. ესაა გოგებაშვილის პირველი ნაწარმოები პოლიტიკურ თემაზე. სტატიას დიდი მნიშვნელობა აქვს ავტორის, როგორც თავისი დროის პროგრესისტ-დემოკრატის და სამოციანი წლების განმანათლებლის მსოფლმხედველობის შესასწავლად. სტატიაში დასმულ პრობლემას რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ გოგებაშვილს თავისი ხელით შედგენილი კრებულისთვის ეს სტატია წაუძღვარებია.

სტატიაში ამომწურავადაა განხილული ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის მთელი ისტორია, შიდა დაპირისპირების მიზეზები, მასში ჩანს ქართველი მწერლის პოზიცია, — მონობისადმი მისი უარყოფითი დამოკიდებულება, ზიზღი, რაც ამ დროისათვის მსოფლიოს მონინავე ქვეყნებისთვისაც კი მონინავე, ლიბერალური თვალსაზრისი იყო [4, 3-72].

როგორც ვიცით, 1865 წლის 2 აპრილს (ძველი სტილით) ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი მოკლეს. იაკობ გოგებაშვილი ლინკოლნს განსაკუთრებული ეპითეტებით ამკობს, უწოდებს კაცთმოყვარეს, მონობისა და ბოროტების წინააღმდეგ დაუძინებელ მებრძოლს. მისი თქმით, „მებრძოლმა ჩრდილოეთმა, სამხრეთის მსწრაფლ დამარცხებით, მთელი კაცობრიობა გააოცა და გაახარა... ამერიკის ერმა იმ საშინელს შემთხვევაში მთელს ქვეყანას წრმოუდგინა გასაოცარი მაგალითი თავისი პოლიტიკური ჭკუისა“ [4, 4].

იაკობ გოგებაშვილი დანვრილებით განიხილავს ლინკოლნის შემდეგ არჩეული ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის — ენდრიუ ჯონსონის მოღვაწეობას, მის დაპირისპირებას კონგრესთან. ეს კონფლიქტი, მისი აზრით, თეთრკანიანებ-

თან ზანგების უფლებრივი გათანასწორების საკითხს ეფუძნებოდა. კონგრესს უნდოდა ზანგები კონგრესშიც შეეყვანა, რასაც ჯონსონი ნაადრევად მიიჩნევდა. მას მხოლოდ სამხრეთ შტატების გათანასწორება სურდა ჩრდილოეთის შტატებთან და ეკონომიკურად მათი დაწინაურება. რესპუბლიკური პარტია ჯონსონის ამ თვალსაზრისს შავკანიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკად თვლიდა, მისი აზრით, „ზანგების ბედი ისევ პლანტატორებს ჩაუვარდებოდათ ხელთ“. გოგებაშვილი აქებდა რესპუბლიკურ პარტიას და მას „ძლიერ, მხნე“ პარტიად ასახელებდა. ის ერთმანეთს ადარებდა კონგრესის წევრის — რესპუბლიკელი სტიფენსისა და პრეზიდენტის გამოსვლებს. პრეზიდენტი სიტყვით გამოვიდა ვაშინგტონის საიუბილეო საღამოზე, 1866 წლის 22 თებერვალს. გოგებაშვილის წერილში ეს სიტყვა სრულად არის მოტანილი. „ჩემთვის, — სთქვა პრეზიდენტმა ჯონსონმა, — დიდი ნუგეშია, რომ ამდენს მოქალაქეს მოსწონს ჩემი პოლიტიკა. ამ პოლიტიკის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ სამხრეთის შტატები ღირსეული დიდებით შემოვიერთოთ და მათი უწინდელი დამოკიდებულება მმართველობასთან აღვადგინოთ. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენს მამულში აღმოჩნდა ორი პარტია, ერთი მეორის მტერი. ერთს მათგანს უნდოდა დაემხო საერთო მმართველობა, რათა მონობა უწინდელ მდგომარეობაში დაეტოვებინა. მეორე მხარეც აგრეთვე მმართველობას ძირს უთხრიდა, მაგრამ იმ განსაზღვრით, რომ მონობა მოესპო. ვინც უნდა იყვნენ საზოგადო სიმშვიდის დამრღვევები, ჩრდილოელები თუ სამხრეთელები, მე მაინც ჩემს უწინდელ აზრზედ მტკიცედ ვიდგები. როცა სამხრეთის შტატები აშფოთდნენ, მე, სამხრეთელი, მტკიცედ დავდექ მართველობისკენ, ასევე ვექცევი ახლაც შტატების ერთობის წინააღმდეგს ჩრდილოელებს... ჯერ თოფის წამლის ბოლი არ მოგვეშორებია თავიდან და ახალი შფოთი გვიჩნდება. ამ ახალი შფოთის წადილი ის არის, რომ წინააღმდეგ მმართველი პოლიტიკისა, სამხრეთის შტატები ჯერ კავშირში არ შემოუშვას და მორჩილების ქვეშ-კი ჰყავდეს...“

ჯონსონის სიტყვაში ჩანდა ჩრდილოეთის შტატების ზოგიერთი პოლიტიკოსის აგრესიული განწყობა სამხრეთელებისადმი. ჯონსონმა მსმენელთა თხოვნით მათი გვარებიც დაასახელა: თავდეუზ სტიფენსი, ჩარლზ სომნერსი, ვენდელ ფილიპსი, „რომელთაც მრავალი სხვა პირების შემწეობით საერთო მმართველობის

საფუძვლების შერყევა სურთ. შეუძლიათ ამათ რამდენიც უნდათ მაძაგონ, როგორც უნდა მომთხარონ, მე მაინც მშვიდობიანად ვიდგები ჩემს გზაზე (უნონებს ხალხი) და არ შევუშინდები ჩვენს მონინაალმდეგებს (ყვირილი: ხალხი მხარს მოგცემს)...“ პრეზიდენტმა ისიც თქვა, თუ რა აგრესია ჩანდა ჩრდილოელი დეპუტატების განცხადებებში, „საქვეყნოდ იყო გამოცხადებული, რომ რომელსამე პირს თავი უნდა მოეკვეთოსო, უნდა მოვიცილოთ ის დაბრკოლება, რომელსაც გვიქმნის პრეზიდენტი“. ამაზე ჯონსონი პასუხობდა. რომ ეკლესია განადიდებდა მონამეობრივ ადამიანს, თავად კი მაღლობას უხდოდა ხალხს იმ პატივისცემისათვის, რასაც მისგან ლებულობდა.

იაკობ გოგებაშვილს ამ ვრცელ სტატიაში მოაქვს კონგრესმენ სტიფენის დეპუტატთა პალატაში წარმოთქმული სიტყვა. ამ სიტყვაში ჩანს ჯონსონისადმი დეპუტატის უარყოფითი დამოკიდებულება, თუმცა ის ამას პირდაპირ არ ამბობს და სამხრეთელებს მიანერს პრესით პრეზიდენტის დამცირებას. წერილში სამხრეთელები „სპილენძ-გოგრიანებად“ არიან მოხსენიებული და გოგებაშვილის შენიშვნაც ახლავს: ასე უნოდებდნენ სამხრეთელ პლანტატორებსო. სტიფენსმა სიტყვაში მთლიანად მოიტანა სამხრეთელების შეფასება, პრესით მათ მიერ პრეზიდენტ ჯონსონის ძაგება და სინანულიც გამოთქვა ქვეყნის პირველი პირისადმი ამგვარი უპატივცემულო დამოკიდებულების გამო. ეს, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ფარისევლობა იყო, რადგან სტიფენსი სხვების გამონათქვამებით ცდილობდა პრეზიდენტის დამცირებას, მის გამოცხადებას ლოთად, კალიგულად და ასე შემდეგ. ამ გამოსვლას დეპუტატები აღუშფოთებია და სიცილიც დაუყრიათ სტიფენსისათვის.

გოგებაშვილის სტატიაში მოტანილია მაგალითები ამერიკის პრეზიდენტის და კონგრესის უთანხმოებაზე. ერთი წელიც არ იყო გასული, რომ ჯონსონმა კონგრესის მიერ მისაღებ ორ კანონზე (გოგებაშვილი წერს „ბილლს“) დადო ვეტო. ერთი ეხებოდა მონობიდან განთავისუფლებული ზანგების ბიუროს, მეორე — ზანგების სამოქალაქო უფლებების გათანასწორებას თეთრკანიან მოსახლეობასთან. ჯონსონისა და რესპუბლიკური პარტიის უთანხმოება იმდენად დაიძაბა, რომ ორივე ერთმანეთს დებდა ბრალს ანტისახელმწიფოებრივ და ანტიკონსტიტუციურ ქმედებებში. ჯონსონი კონგრესის მიერ ზანგების უფლებებზე მისაღები

კანონის შეჩერებას ასე ხსნიდა: „ჩვენ გვიჩნდება უაღრესი საჭიროება ვიკითხოთ: ეთანხმება გონივრულ პოლიტიკას, რომ ყველა შეერთებულის შტატების ზანგებს მოქალაქობის წოდება მივცეთ, მაშინ, როდესაც კონგრესში არ არიან მიღებულნი თერთმეტი შტატების წარმომადგენლები? რა ჭკუა იქნება ვიფიქროთ, რომ ოთხს მილიონს ზანგს, აქამომდე მონობაში ყოფილს, ჰქონდეთ იმისთანა თვისებანი, რომელნიც იმათ ყველას სამოქალაქო უფლების ღირსად ხდიდნენ, როდესაც უცხო ქვეყნიდან ახლად მოსულმა პირმა, სრულიად განათლებულმა, ხუთი წელი უნდა იცადოს კანონისამებრ, რომ ამ უფლებას ეღირსოს“ [4, 10].

გოგებაშვილის ინფორმაციით, ჩრდილოეთ ამერიკის სატახტო ქალაქ ვაშინგტონში დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კონგრესი პრეზიდენტს არ დაემორჩილებოდა და ამ კანონებს უმისოდ, ხმების საჭირო ორი მესამედით თავად მიიღებდა. მისი აზრით, როგორც სენატში, ასევე დეპუტატთა პალატაში უკვე შეკრებილი იყვნენ რადიკალი დეპუტატები და ხმების ორი წილი უკვე არსებობდა. „თუ ეს მართალია, — წერდა გოგებაშვილი, — მაშინ უკანასკნელი ბილლი დამტკიცდება და ძალას მიიღებს, როგორც სავალდებულო კონსტიტუციის კანონი და ზანგები სამოქალაქო უფლებებით თეთრებთან გათანასწორდებიან, წინააღმდეგ პრეზიდენტის აზრისა და ნებისა“.

რესპუბლიკურ პარტიასთან პრეზიდენტის დაპირისპირებამ უკიდურესი ფორმა მიიღო, რასაც ქართველი მწერალი ფრანგულ პრესაში გამოქვეყნებული ვაშინგტონელი კორესპონდენტის წერილით გადმოსცემს. გოგებაშვილის სტატიაში მოტანილი ეს ვრცელი წერილი სრულად გვაცნობს იმ პოლიტიკურ კრიზისს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა 1866 წელს და რასაც პრეზიდენტ ენდრიუ ჯონსონის გადაგომა მოჰყვა.

„ადრევე დაწყებული აგიტაცია, რომ პრეზიდენტი ჯონსონი მიეცეს სამართალში, მატულობს, ძლიერდება. მხოლოდ ძნელია — კი, კონგრესმა გადაწყვეტით მოინდომოს — პრეზიდენტს უფლებამოსილება წაართვას და იგი მისცეს სამართალში. რადიკალები მაინც ცდილობენ, რომ ჯონსონის სამართალში მიცემა კონგრესში ოფიციალურად მოითხოვონ. მაგრამ რადიკალებს სხვა ბევრი ღონისძიებაც აქვთ, რომ პრეზიდენტი აუტანელს მდგომარეობაში ჩააყენონ. რადგანაც თავის მხარეზე ჰყავთ უმეტესი ნაწილი კონგრესისა, იმათ შეუძლიათ გადასდონ კონგრესის

კრებები დიდი ხნობით და ამ სახით პრეზიდენტის ბევრი საჭირო განკარგულებანი არ დაამტკიცონ. იმათ შეუძლიანთ უარი უთხრან პრეზიდენტს მოთხოვნილ ფულებზედ. ამის გარდა, პრეზიდენტს არ შეუძლიან სენატის უნებურად, ვინმე თანამდებობაში დანიშნოს. რადიკალებისათვის ესეც ცოტაა: სტიფენსმა შეიტანა კონგრესში წინადადება, რომ პრეზიდენტს წაერთვას მოხელეების თანამდებობიდან დათხოვნის უფლებაც სენატის უნებურად. თუ ამ წინადადებას როდისმე კონგრესი მიიღებს, მაშინ პრეზიდენტი თავის მოწინააღმდეგეების თანამდებობიდან დათხოვნის უფლებას დაჰკარგავს და იმისი სახელმწიფო საქმეებზედ ახლანდელი გავლენა სრულად გაუქმდება.

ერთმა ღმერთმა იცის მოხდება თუ არა მორიგება პრეზიდენტსა და კონგრესს შუა. პრეზიდენტის უზომო ცუდმადობა, ცხადი სიძულვილი ყველასი, ვინც-კი პირში მას არ ეფერება და არ აქებს, მისი ორ-პირობა კონგრესის წინაშე, მასთან მორიგებას ძლიერ აძნელებს. რადგანაც პრეზიდენტი სპილენძ-გოგრიანების მხარეს ცხადად გადავიდა და არ სურს კონგრესს არაფერი დაუთმოს, ამიტომ კონგრესს განზრახვა აქვს, კავშირის გადაკეთებას თვითონ შეუდგეს. კონგრესის აზრით, პრეზიდენტს არ ჰქონდა უფლება, რომ მარტო თავისი ძალით სამხრეთის შტატებში ახალი წესდებულება შემოეღო, და თუ იმან ეს მოახდინა და ახლა უარს ამბობს კონგრესთან მორიგებაზე, კონგრესს აქვს სრული უფლება აგრეთვე მარტო თავისი ძალით იმოქმედოს და თავის პლანზედ კავშირის აღდგენას შეუდგეს. კონგრესის განკარგულებას უნდა ჰქონდეს ისეთივე ძალა და მნიშვნელობა, როგორც პრეზიდენტისას, და არა ნაკლები. თუ პრეზიდენტს აქვს უფლება უკენგრესოდ გამოსცეს განკარგულება, კონგრესსაც თავის მხრივ, შეუძლიან პრეზიდენტის დაუკითხავად მოახდინოს ზოგიერთი განკარგულებანი. თუ მოხდა, რომ რომელიმე სამხრეთის შტატის კავშირის ერთგულმა მცხოვრებლებმა უყურადღებოდ დააგდეს ჯონსონის განკარგულება და მოინდომეს თავის წარმომადგენლების აღმორჩევა და კონგრესში გამოგზავნა, თანახმად კონგრესის განკარგულებისა, მაშინ კონგრესი მიიღებს ამათ და ჯონსონის ამ შტატის მომხრეების წარმომადგენლებს-კი უკანვე გაგზავნის. ეს პლანი ჯერ კიდევ საკმაოდ არ მომნიშვნებულა და ამის სრულს მოსაზრებას კიდევ დრო მოუწდება. და თუ ეს პლანი აღსრულდება, მაშინ მოხდება ერთი ორთაგანი: ან სამხრეთის

შტატები ისევ ომს აუტეხავენ ჩრდილოეთს, ან პრეზიდენტს ჯონსონს დათმობის იქით გზა აღარ ექნება და კონგრესის პოლიტიკას დაემორჩილება“.

წერილის მინაწერიდან ირკვევა, რომ მისი დაწერიდან მცირე ხნის გავლის შემდეგ პოლიტიკური კრიზისი ამერიკაში დასრულდა. პრეზიდენტი ენდრიუ ჯონსონი იძულებული გახდა გადაამდგარიყო. ხელისუფლების სათავეში აბრაამ ლინკოლნის ერთგული მეგობარი, სამხრეთის შტატების დამარცხებაში გამორჩეული წვლილის შემტანი ულის გრანტი მივიდა. ზანგები განთავისუფლდნენ მონობიდან და უფლებრივად თეთრკანიანებთან გათანაბრდნენ. ამერიკის კონგრესმა მიიღო ფიცი კავშირის ერთობაზე და სამხრეთ შტატების დეპუტატებმა კონგრესში წინანდელი კუთვნილი ადგილი დაიკავეს.

წერილში აშკარად ჩანს იაკობ გოგებაშვილის სიმპათია ამერიკის შეერთებული შტატების იმ პროგრესული ძალებისადმი, რომლებიც მონობის წინააღმდეგ, მისი გაუქმებისათვის იბრძოდნენ. წერილი მკაფიოდ ადასტურებს გოგებაშვილის, როგორც პროგრესისტ-დემოკრატის, ლიბერალურად მოაზროვნე პიროვნებისა და სამოციანი წლების განმანათლებლის მოწინავე შეხედულებებს.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. დავით კასრაძე, ვასილ ბარნოვის ლიტერატურული პორტრეტი, ჟურნალში: „ქართული მწერლობა“, 1978, 2.
2. Отчет о ревизии духовно-учебных заведений в Тбилиси в 1873-1874 г г.
3. სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, თბილისი, 1938 .
4. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, I, თბილისი, 1952.

**Gulnazi Javakhishvili**

*Doctoral Student of Iakob Gogebashvili Te-  
lavi State University, Faculty of Humanities,  
the Department of Georgian History*

**Iakob Gogebashvili About the Events  
of the World History of the 1860es**

**Summary**

Iakob Gogebashvili is a great Georgian pedagogue, writer and thinker. He was deeply interested not only in ongoing social-political events in Georgia, but in the whole world. Those political reviews, where the writer was analyzing the processes taking place in USA and Europe, are of great interest. Writer and enlightener responded with a special enthusiasm on the civil war in USA in 1860-1864. He dedicated a long letter to the subject with the following title: `The Fight in the United States of America Between Congress and a New President after Killing President Lincoln` . The article was published in the newspaper `Droeba` in April, 29, 1866. The materials given in the article obviously show the political crisis that took place in America in 1866, the opposition of the Republican Party and president Andrew Johnson that caused his resignation and appointment of Ulysses S. Grant, the follower of Lincoln, as a president.

## გულნაზ ჯავახიშვილი

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თე-  
ლავის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულ-  
ტეტის საქართველოს ისტორიის კათ-  
ედრის დოქტორანტი

### იაკობ გოგებაშვილი და ირლანდიის საკითხი

დიდი ქართველი პედაგოგი, ლიბერალურად მოაზროვნე პუბლიცისტი და განმანათლებელი — იაკობ გოგებაშვილი ობიექტურად აფასებდა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. ის ყოველთვის უჭერდა მხარს მონობის წინააღმდეგ ბრძოლას, ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მწერლის სტატიები — „ირლანდიას უთენდება“.

სტატია პირველად გაზეთმა „დროებამ“, 1881 წლის 77-ე და 82-ე ნომრებში გამოაქვეყნა. ეს იყო მეთაური, ხელმოუწერელი წერილები [1; 2]. შემდეგში ის იაკობ გოგებაშვილმა 1910 წელს თავისი ხელით შედგენილ „რჩეული პედაგოგიური თხზულებების“ პირველ ტომში შეიტანა.

ვინაიდან წერილი 1881 წელს გამოქვეყნდა, გოგებაშვილი, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუვლიდა იმ ტრაგიკულ მოვლენას, რაც რუსეთის იმპერიის ცენტრში მოხდა: 1881 წლის 1 მარტს მოკლეს იმპერატორი ალექსანდრე მეორე, ადამიანი, რომელმაც ყველაზე მეტი გააკეთა ჩაგრული გლეხების გასათავისუფლებლად, ბატონყმური უღლის გადასაგდებად. „გამანათავისუფლებელი“ ხელმწიფე იმავე ჩაგრული ხალხის სახელით რევოლუციურ-რადიკალური ჯგუფების ნაქეზებით იქნა მოკლული. გოგებაშვილის აზრით, ამ სამწუხარო ტრაგიკულმა აქტმა მოსახლეობას ჩააშხამა აღდგომის ბრწინვალე დღესასწაულის სიხარული. აქვე დიდი ქართველი პედაგოგი არ კარგავდა შესაძლებლობას და „რუსეთის ჩამორჩენილობასა და კულტურული ცენტრიდან დაშორებაზე“ აკეთებდა აქცენტს. „მაგრამ სანუგეგოდ, — წერდა იგი, — რუსეთი მხოლოდ ერთადერთი კუთხეა ხმელეთისა, ისიც კულტურულ ცენტრს მოშორებული, მხოლოდ ერთი ნაწილია კაცობრიობისა, ისიც მეტად უკან ჩამორჩენილი. ბევრი სხვა კუთხეები, სხვა ნაწილები სრულიად სხვა სურათს წარმოგვიდგენენ. არაერთ დაჩაგრულს ერს უთენდება დღეს ბედნი-



ერი აღდგომა, არაერთი დავრდომილი კუთხე შეჰხარის დღევანდელის ზარის რეკას იმედით და სასოებით...“ [3, 258].

ასეთ ბედნიერ ხალხად და კუთხედ გოგებაშვილი ირლანდიას ასახელებდა. ყვებოდა რა ირლანდიის ისტორიულ მდგომარეობაზე, მას ისე ახასიათებდა, რომ მკითხველს თავისუფლად შეეძლო პარალელი გაეელო საქართველოსა და მის ისტორიულ მტერთან, მეზობელ რუსეთთან. ირლანდიის განმათავისუფლებელი ბრძოლა ინგლისის წინააღმეგ, უეჭველია, სამოციანი წლების თავდადებული მებრძოლისთვის ქვეტექსტი იყო რუსეთის კოლონიური უღლისაგან თავდახსნისათვის მისი სამშობლოს მომავალი ბრძოლისა. „ირლანდიას უთენდება“ — შეიძლება ასეც გავიაზროთ — „საქართველოს უთენდება“. ეს, ალბათ, ოცნების სფეროდან უფრო იქნებოდა, რადგან გოგებაშვილი იმპერატორ ალექსანდრე II-ის მოკვლის შემდეგ იმპერიის მასშტაბით დატრიალებული პოლიტიკური რეაქციის პირობებში მსგავსი თეზისის რეალურ განხორციელებას ვერ წარმოიდგენდა.

„თუმცა ირლანდიელი ერის სამშობლო ქვეყანა ყველაფრით შემეკულია, — წერდა გოგებაშვილი, — მაგრამ მას, თავისი მეზობლის, ინგლისის წყალობით, სამასი წლის განმავლობაში ერთი სასიხარულო აღდგომა არ გათენებია. მხოლოდ ახლა, ამ უკანასკნელს ჟამს იმის ცხოვრებაში ამოაშუქა შეღავათის, ლხენის სხივმა და მრავალტანჯული ხალხი აავსო იმედით, სასოებით და წლევანდელი აღდგომა ბედნიერ დღედ გარდაუქცია. ამ სხივს შეადგენს ბილლი, რომელიც სახელოვანმა გლადსტონმა წარუდგინა პარლამენტს და რომელსაც შეუძლიან პირველად შესცვალოს ამ დაჩაგრული ხალხის მდგომარეობა.“

ამის შემდეგ სტატიის ავტორი ირლანდიის ისტორიულ წარსულს გადმოგვცემს. ის ორ პერიოდს გამოყოფს ამ ქვეყნის ცხოვრებაში: დამოუკიდებლობისა და ქვეშევრდომობის ხანას. ამ ორ პერიოდს შორის განსხვავებას ჯოჯოხეთსა და სამოთხეს ადარებს. სამოთხედ დამოუკიდებლობის პერიოდს სახავს, როდესაც ირლანდია ძლიერ, აყვავებულ ქვეყანას წარმოადგენდა ათი მილიონი მცხოვრებით. სიმდიდრის და ძლიერების ქვაკუთხედად პუბლიცისტი თვლის სოფლის მეურნეობას, მინაზე კერძო საკუთრებას, გლეხთა სრულ უფლებას მინაზე. მას მოაქვს მეცნიერ რეკლიუს აზრი, რომ ძველი, დამოუკიდებელი ირლანდია კულტურულად, გა-

ნათლებითა და მეცნიერების დონით თვით ინგლისზე მაღლა იდგა და ინგლისელებს მისგან ბევრი რამ გადაჰქონდათ.

როდესაც სამჯერ მეტი ინგლისი დაესხა თავს ირლანდიას, სძლია და დაიმორჩილა, „ირლანდიის ბედის ჩარხი უკუღმა დატრიალდა“. რეკლიუს აზრით, — წერს გოგებაშვილი, — ირლანდიის დაპყრობას ინგლისის მიერ ირლანდიაზე ისეთივე ზეგავლენა ჰქონდა, როგორც ბარბაროსების თავდასხმას ევროპაზე. თავისუფლებადაკარგულმა ირლანდიამ დაკარგა განვითარების შესაძლებლობა, დაკარგა ყველა ის თვისება, რაც თავისუფლებას უკავშირდება. ყველაზე მეტი ზიანი იმით მიადგა ირლანდიას, რომ დამპყრობელმა აქაურ გლეხებს წაართვა მინა-წყალი და ინგლისელ ლორდებსა და მეზატონეებს მისცა. ამ მოვლენას გოგებაშვილი ადარებდა ალექსანდრე მაკედონელის დროს და აზოს მიერ თავისი მხედრებისათვის ქართული მიწების გადაცემას. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი შორეული პარალელი მოჰქონდა, ინგლისისგან დაპყრობილი ირლანდიის აღწერაში მკითხველი უთუოდ ამდროინდელ საქართველოს, ილიას „ბედნიერი ერით“ დახატულ რეალობას დაინახავს. განადგურებული ქვეყანა ათი მილიონიდან ოთხამდე შემცირდა, ხალხის დიდი ნაწილი ევროპის სხვა ქვეყნებში, უფრო მეტი კი, ამერიკაში გადასახლდა, ასეთ რეალობას ხატავდა მწერალი.

ირლანდიის მდგომარეობის აღწერის შემდეგ, გოგებაშვილი ყურადღებას მსოფლიოში არსებულ არასამართლიანობაზე ამახვილებდა, აკრიტიკებდა იმ ბარბაროსულ მეთოდებს, რასაც დიდი ქვეყნები პატარების მიმართ იყენებენ და თავიანთი ძალადობით დიდი წარსულის მქონე ერებს ანადგურებენ.

„ინგლისელთა ამგვარი მოპყრობა ირლანდიის ერთან ერთხელ კიდევ ცხადად გვიჩვენებს, — წერდა იგი, — რომ განათლება, კაცთმოყვარეობითი მიმართულება, ჰუმანური პრინციპები ჯერეთ დაწინაურებულს კაცობრიობის ნაწილსაც კი მხოლოდ ენაზედ ადგია და ძვალ-რბილში არ ჩაუტანებია. ახლანდელი კაცობრიობა უფრო მხეცთა გროვას წარმოადგენს, ვინემ სათნო ადამიანთა საზოგადოებასა. ჯერეთ მის მოქმედებასა და ნებას მართავს ძველი დევიზი: „ვაგლახი ძლეულთა“. ჯერეთ იგი ფიქრობს სწორედ ისევე, როგორც ფიქრობენ ბარბაროსები: რაკი მოგერიე და ხელში ჩაგიგდე, თვალსაც მოგთხრი, ტვინსაც ამოგწოვ და ძალღივით დაგახრჩობო“...[3, 261].

იაკობ გოგებაშვილის ლიბერალური პოლიტიკური შეხედულებები XIX საუკუნის 60-80-იანი წლების საქართველოსთვის მნიშვნელოვანი ტესტი იყო: კოლონიური ქვეყნის შვილები თანაუგრძნობდნენ და მხარს უჭერდნენ თავისუფლებისა და მონობის წინააღმდეგ მებრძოლ სხვა ქვეყნის შვილებს. მითუმეტეს, ლიბერალიზმი ევროპამ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან დაუკავშირა პოლიტიკურ იდეათა განსაკუთრებულ ერთობლიობას. თავად გაერთიანებულ სამეფოში მის დამკვიდრებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ ვიგები თავიანთ თავს ლიბერალებს უწოდებდნენ, პირველი ლიბერალი მთავრობა მხოლოდ 1868 წელს ჩამოყალიბდა, როდესაც ქვეყნის სათავეში გლადსტონი მოვიდა [4, 28].

ის, რაც გოგებაშვილისა და სამოციანი წლების ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ოცნებას წარმოადგენდა, ირლანდიაში განხორციელდა. ეს იყო ხალხის აზავთება არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, კოლონიური უღლის გადასაგდებად ირლანდიელთა ერთსულოვანი გამოსვლა. პუბლიცისტის თქმით, კენესის და ჩივილის ნაცვლად, რასაც ინგლისში ყური არავინ მიუგდო, დაიწყო ნამდვილი ბრძოლა ინგლისელ ლორდთა და მემამულეთა წინააღმდეგ. იმდენი საშიში მოვლენა მოხდა, რომ ამან ინგლისის მმართველი წრეებიც კი დააფიქრა. ის იძულებული გახდა აღარ გაენია წინააღმდეგობა იმ ადამიანებისათვის, რომელიც ირლანდიის პრობლემის მოგვარებას კანონმდებლობითი ნორმებით ცდილობდნენ.

ყველაზე მეტი ინგლისის ხელისუფლებიდან გლადსტონმა გააკეთა ირლანდიელებისათვის. ყველაზე დიდ მოვლენად გოგებაშვილი გლადსტონის ბოლო რეფორმას თვლიდა, რომელიც მინიმფლობელობის პრობლემას ეხებოდა და ირლანდიელ მემამულეებს ხელ-ფეხს უბორკავდა გლეხების შევიწროების თვალსაზრისით. „გლადსტონის ბილლის ძალით ლორდებს უფლება აღარ ექნებათ, რომ ღალა თავისი ნებით გადაუჭრან გლეხს, თავისი ნებით დაითხოვონ ის მამულიდან და თავისი ნებით მოუშალონ მას ბინა. ამ საქმეების გამგებელად არსდება განსაკუთრებული კომისია მედიატორებისა. ამ კომისიამ უნდა გადაჭრას ხოლმე ღალა თხუთმეტი წლობით, რომლის განმავლობაში მეპატონეს არ შეუძლიან კრინტიც კი დასძრას ღალის მომატებაზედ. გლეხს ნება ეძლევა ყოველ შევიწროებაზედ, რომელსაც მას მემამულე მიაყენებს,

უჩივლოს მას კომისიაში და მიიღოს დაკმაყოფილება. გლესხ ეძლევა ასევე ნება რომ იჯარით აღებული მამულითავისი შენობებით მიჰყიდოს სხვას, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მსყიდველმა გადაჭრილი ღალა აძლიოს მემამულეს.“

გლადსტონის რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვან მხარედ ქართველი მწერალი მიიჩნევა ახლადშექმნილი კომისიის ვალდებულებას — შეესყიდა ლორდთა მამულები, პატარ-პატარა ნაწილებად დაეყო და ისე მიეყიდა გლეხებისათვის. გლეხები ამ შესყიდვას მომგებიანი პირობით განახორციელებდნენ — ფულს გადაიხდიდნენ 20-30 წლის მანძილზე, კომისიას კი საჭირო თანხას პარლამენტი მისცემდა.

რეფორმამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო ირლანდიაში და ინგლისში, არამედ მთელ მსოფლიოში. იყო იმის საშიშროება, რომ ლორდთა პალატა წინააღმდეგობას გასწევდა ბილის დამტკიცებისას, მაგრამ იმდენად სიხარულით მიიღო ეს რეფორმა საზოგადოებაში, პრესაში, ადამიანებმა, რომ ლორდთა პალატამაც დაიხია უკან. ამის მიზეზად გოგებაშვილი ასახელებს ირლანდიაში მემამულეების მკვლევლობს უამრავ ფაქტს, მეორე რიგში კი ლორდების პალატის თავმჯდომარის — ბიკონსფილდის სიკვდილს, რის შემდეგაც სამინისტროს ზედა პალატის წინააღმდეგობის დაძლევა არ გაუჭირებოდა. როდესაც გოგებაშვილი ხაზს უსვამს გლადსტონის რეფორმის ლიბერალობას, ამის დასადასტურებლად ამ კანონისადმი ირლანდიელი რადიკალი რევოლუციონერის — პარნელის დადებითი დამოკიდებულება მოაქვს. პარნელის რწმენით, ეს ბილლი რამდენიმე წელიწადში ირლანდიას განვითარების გზაზე დააყენებდა. „ღმერთმა ინებოს, წერს ქართველი პუბლიცისტი, — ერთი დაჩაგრული ხალხის კვნესა მაინც მოაკლდება ამ ცოდვილს დედამიწასა“ [3, 262].

ირლანდიისადმი მიძღვნილ მეორე წერილში იაკობ გოგებაშვილი გლადსტონის მიერ შემუშავებული კანონის დეტალურ განხილვას ახდენს. გლადსტონის კანონს ირლანდიის შესახებ საზოგადოებაში დაპირისპირება, ორად გახლეჩა მოჰყვა. საკითხი პოპულარული არა მარტო ირლანდიასა და ინგლისში გახდა, არამედ მთელს ევროპაში. მსჯელობს რა ლორდების წინააღმდეგობაზე ამ კანონისადმი, გოგებაშვილი აკრიტიკებს ამ სოციალურ ფენას, მათი საკუთრება მამულზე ვინროვდება, მათ გაუმადლარ თვალსა და ჯიბეს ბევრი აკლდება, მოღალე გლეხები კანონს მათი ყურმოჭრილი მონობიდან გამოჰყავს, მემამულეთა გაუმადლარ მადას ლაგმავს ეს ბილლი და ამიტომ არ

მოსწონთო. მრენველ-კაპიტალისტებიც, გოგებაშვილის აზრით, ეწინააღმდეგებოდნენ კანონს. „გლადსტონის ბილს სოციალური თვისება აქვს, წერს იგი, — სოციალური ცვლილების ქვაკუთხედს დებს./ აი მიზეზი, რის გამოისათაც ბურჟუაზია მხარს აძლევს და ეხმარება ამ საქმეში ლორდებს, მემამულეებს.

მოგეხსენებათ, აწმდგომი წესწყობილება კაცობრიობისა იმგვარია, რომ გლეხობა და მუშა ხალხი მთლად დამოკიდებულია, სრულიად დამონებულია მემამულეებისა და მეფაბრიკეებისაგან, რომელნიც მათი გაჭირვებით სარგებლობენ და შრომის ფასს, რაც შეიძლება ნაკლებს აძლევენ...”

პუბლიცისტი აკრიტიკებდა მდიდართა ფსიქოლოგიასა და უდიერობას, ამასთანავე ყურადღებას ამახვილებდა სოციალური უფლებებისათვის მეზრძოლ ძალაზე, რომელიც ცდილობდა კაცობრიობის ამგვარი უბედურებიდან გამოყვანას. ეს ძალა იყო ახალი იდეოლოგიური ჯგუფი სოციალისტებისა, რომელსაც, გოგებაშვილის აზრით, კეთილშობილური მიზნები ამოძრავებდა კაცობრიობის ნათელი მომავლის ასაშენებლად. ეს ის პერიოდია, XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი, როდესაც მარქსიზმი საქართველოში ახალი შემოსული იყო. სოციალისტური იდეოლოგიისადმი ქართველი ინტელიგენციის ნაწილი დადებითად განეწყობდა, რადგან ქართველი, და არა მარტო ქართველი, — ჩაგრული ხალხების შველა ამ ახალ აზროვნებასთან დააკავშირა. გოგებაშვილი და მისი თანამოაზრენი სოციალიზმის იდეას იმ ერთადერთი სურვილით იზიარებდნენ, რომ ქართველ ხალხს უკეთესად ეცხოვრა და ყველა სოციალური ფენა თანაბრად განვითარებულიყო.

სოციალისტების დახასიათებასთან ერთად, გოგებაშვილი მათ ორ ჯგუფსაც გამოჰყოფდა: ერთნი ისინი იყვნენ, ვინც ბრძოლისა და რევოლუციური გადატრიალებების გზას ირჩევდნენ, მეორენი კი, მშვიდობიან შრომასა და გარდაქმნებს უჭერდნენ მხარს. გლადსტონის ბილს გოგებაშვილი სოციალიზმის იდეის პოპულარიზებას უკავშირებდა და მის დიდ მნიშვნელობაზეც ამ ნიშნით საუბრობდა: „წინეთ სოციალისტები მცირე რაზმს შეადგენდნენ და მათ თითქმის მთელი საზოგადოება ძალიან ავის თვალთ უცქეროდა. ეხლა კი მათმა რიცხვმა ისე იმატა, რომ მთელი ევროპის სახელმწიფონი მოფენილნი არიან სოციალისტებით, ზეგავლენა მათი ისე გაძლიერდა, რომ მრავალნი მომხრენი ჰყავთ თვით მდიდართა ნოდებაში. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბოლო დროს დანინაურე-

ბულნი სახელმწიფო პირნიც აშკარად აღიარებენ საფუძვლიანობას და სამართლიანობას ბევრის მათის სწავლისას. საქმე უფრო შორს მიდის. თვით სახელმწიფო პირნი ცდილობენ ახლავე სისრულეში მოიყვანონ ზოგიერთი მოთხოვნილებანი სოციალიზმისა, ამ სახელმწიფო პირთა შორის პირველი ადგილი დაიჭირა ინგლისის პირველმა მინისტრმა გლადსტონმა, რომელმაც თავისი საირლანდიო ბილლით სოციალიზმის მნიშვნელობა და უფლება აღიარა“.

გოგებაშვილი გამოთქვამდა რწმენას, რომ გლადსტონის აქტი ახალ ერას დაიწყებდა კაცობრიობის ისტორიაში. განსაკუთრებით გამოყოფდა იმ მუხლს, რომელიც სახელმწიფოს ორასი მილიონის მიცემას ავალდებულებდა მემამულეებისა და გლეხების ურთიერთობის მომრიგებელი კომისიისათვის. კომისია ამ ფულით გამოისყიდდა მიწებს ლორდებისაგან, პატარა ნაჭრებად დაყოფდა და გლეხებს დაურიგებდა იმ პირობით, რომ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ დაუბრუნებდნენ ამ ფულს კომისიას. ამ მუხლის აღსრულების შემდეგ ირლანდიელი გლეხები მიწის მესაკუთრენი გახდებოდნენ. ისინი საბოლოოდ დააღწევდნენ თავს „იმ ეკონომიკურ მონობას, რომელმაც ნიჭიერი და მხნე ირლანდიის ხალხი მიწასთან გაასწორა“ და დაადგებოდნენ ახალი ცხოვრების გზას.

გოგებაშვილს სწამდა, რომ გლადსტონის რეფორმა ევროპის სხვა ქვეყნებსაც გაუადვილებდა სამართლიანობისათვის ბრძოლას. რაც შეეხება ბილლს, მის მიღებას არცთუ მცირე წინააღმდეგობას უწინასწარმეტყველებდა ქართველი პუბლიცისტი. ამის დამადასტურებლად ის თვლიდა არა მარტო კონსერვატორების, არამედ ზოგიერთი ლიბერალის წინააღმდეგობასაც კანონისადმი, თვით გლადსტონის მეგობრის — აგრაილის გამოსვლას სამინისტროდან და ბილლზე დაუთანხმებლობას. მიუხედავად ამისა, ლორდთა პალატის წინააღმდეგობას სამინისტრო ინგლისის მეფის წყალობით მაინც დაძლედა. გარდა ამისა, თავად ირლანდიელი ხალხის ერთიანობა და პროტესტი მონობისადმი. მისი თავისუფლების მუხტი გამარჯვების საწინდარი იყო. „მთელი ერი, დიდი, თუ პატარა, მოხუცი, თუ ყმაწვილი, ქალი, თუ კაცი ერთი აზრით არიან აღვსილნი, ერთს მიზანს ადგიან, ერთი ნატვრა აქვთ: გლეხების განთავისუფლება ლორდების მონობისაგან. უწინაც მოხდებოდა ხოლმე ირლანდიაში მოძრაობა, მაგრამ ერთი პირი არა ჰქონდა ხალხსა. ბევრი ირლანდიელი პირადი ინტერესის გამო ემორჩილე-

ბოდა ინგლისელებს და თავის ხალხს ღალატობდა, ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც ინგლისი ადვილად ეუბნებოდა უარს ცვლილებაზედ, გაუკეთესოებაზედ. ამ ჟამად-კი ირლანდია სრულად სხვა სურათს წარმოადგენს. მთელს ხალხს ერთი პირი აქვს და ერთხმად ითხოვს რეფორმას ინგლისისაგან. რაც გლეხობას სწადიან, მასვე ბანს აძლევს სამღვედლოება, რასაც ლიბერალები თხოულობენ, იგივე უნდათ კონსერვატორებს, რისთვისაც შეუპოვრად იბრძვის პარნელი, მასვე მხურვალედ თანაუგრძნობს მისი მოხუცებული დედა და აღტაცებით ეგებება მისი ნორჩი და. თუ ამას დავუმატებთ გონიერს, მაგარს ორგანიზაციას საადგილ-მამულო ლიგისას, მაღალ ნიჭიერს, გამოცდილ და შეუპოვარ მოთავეებს, წინამძღოლებს, მაშინ ჩვენ ცხადად დავინახავთ, თუ რამდენად უნდა ემინოდეს ინგლისს უარის თქმისა სოციალურ ცვლილებაზედ. ეს შიში პირ-და-პირ გამოაცხადა გლადსტონმა პარლამენტში, როდესაც წარმოსთქვა: ბილლის მოწინააღმდეგეებს უნდა კარგად ესმოდეს, რომ ისინი კისრულობენ პასუხის გებას ქვეყნის წინაშე საზარელი შინაური ომის ატეხისას.

ინგლისს არა ერთხელ დაუმტკიცებია, რომ მას კარგად ესმის ის ბრძნული აზრი, რომელიც გამოიხატება ქართული ანდაზით: ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო. და ამიტომ ირლანდიას იგი ნებით ჩაჰყვება, რომ ძალით არ იქნას ჩათრეული“.

ირლანდიის თემაზე დაწერილ წერილებში კარგად ჩანს გოგებაშვილის დემოკრატიულ-ლიბერალური აზროვნება, მისი ჰუმანური იდეები, პროგრესული მოვლენებისადმი მხარდაჭერისა და მოვლენების სწორად შეფასების უნარი. დიდი ქართველი პედაგოგი და განმანათლებელი ევროპის ერთი პატარა ქვეყნის — ირლანდიისა და მისი მოსახლეობის თავისუფლებისადმი სწრაფვას, კოლონიური უღლისაგან მისი გათავისუფლებისათვის ბრძოლას, საერთო-საკაცობრიო წარმატებად და ხალხთა ბედნიერებად მიიჩნევდა.

### **დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზეთი „დროება“, 1881, №77.
2. გაზეთი „დროება“, 1881, №82.
3. იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, I, თბილისი, 1952.
4. ენდრიუ ჰეივედი, პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი, 2004.

**Gulnazi Javakhishvili**

*Doctoral student of Iakob Gogebashvili Te-  
lavi State University, Faculty of Humanities,  
the Department of Georgian History*

## **Iakob Gogebashvili and Ireland**

### **Summary**

Iakob Gogebashvili always supported the fight against serfdom, the fight of the oppressed peoples for national-liberation movement. From this point of view the articles of the writer: "The Sun is Rising for Ireland" published in the newspaper "Droeba" in 1881 are significant.

In the articles written about Ireland the Democratic-Liberal outlook of the writer, his humanistic ideas, the ability of supporting progressive events and estimating events rightly is obviously seen. The legislative activity of William Ewart Gladstone, the first head of the United Kingdom first Liberal government, is mostly appreciated in his articles. Great Georgian pedagogue and enlightener believed that the aspiration of a small European country – Ireland and its population for independence, for liberation from colonial rule was a success and the happiness of the whole mankind.



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დეპარტამენტის სრული პროფესორი

## **ბარსამყარო და ქართველ მოღვაწეთა ორიენტირი (ეპროპა, რუსეთი, ამერიკა)**

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ევროპისაკენ რელიგიური, პოლიტიკური და კულტურული სწრაფვის ბევრ თვალსაჩინო ფაქტს გვამცნობს. ეს იყო ის სამი ძირითადი სვეტი, რომლის ასაგებად თავგამოდებით იბრძოდნენ საქართველოს პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.

საქართველოს ცხოვრება, აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროსთან მჭიდრო პოლიტიკური, რელიგიური და კულტურული ურთიერთობებით მიმდინარეობდა, მითუმეტეს, ქვეყანა იღებდა მას, რაც მის ტრადიციებს და ეროვნულ სულისკვეთებას ესადაგებოდა. ცხადია, ყოველივე ამაში დიდი როლი ქრისტიანობამ შეასრულა.

უდავოა, საქართველოს ურთიერთობას ბერძნულ და რომაულ (ბიზანტიურ) სამყაროსთან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნისათვის. თუმცა, სახეზეა ნეგატიური შედეგებიც, განსაკუთრებით ბიზანტიის დესპოტური და თვითმპყრობელური მმართველობის მხრიდან, რომლის მეურვეობისაგან განთავისუფლება ასე ადვილი არ აღმოჩნდა. ამ მხრივ, პირველი ნაბიჯები იოანე და გიორგი მთანმინდელებმა გადადგეს, რომლებმაც შეძლეს მოეძებნათ ურთიერთობები დასავლეთ ევროპასთან, კერძოდ — კათოლიკურ ეკლესიასთან. როგორც ჩანს, ისინი მაშინ იცნობიერებდნენ, რომ პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური თვალსაზრისით, ეს გზა იყო საჭირო.

თავის დროზე ბიზანტიური იმპერიულობისაგან თავის დაღწევას შეეცადნენ დიდი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები დავით აღმაშენებელი და, მოგვიანებით — მეფე თამარი.

სამწუხაროდ, **შემდგომში საქართველოს სწრაფვას დასავლური სამყაროსაკენ ოსმალეთი და ირანი გადაეღობნენ, მითუმეტეს ევროპულმა პრაგმატიზმმა მაშინ უპირატესობა მიანიჭა ძლიერ მაჰმადიანურ ქვეყნებთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობებს, ვიდრე დაქუცმაცებულ საქართველოსთან.**

ნიშანდობლივია, რომ ბიზანტიური იმპერიის დაშლის შემდეგ, მისი მემკვიდრეობა რუსეთმა იტვირთა და რეალობად აქცია. მითუმეტეს, ის ქრისტიანული სამყაროს ცენტრი გახდა. შესაბამისად, მას ერგო წილად ბიზანტიური დესპოტური და თვითმპყრობელური მართვის სისტემა, რომელმაც ქართველ პოლიტიკოსთა გარკვეული მცდელობის მიუხედავად, ქვეყანას საკმაოდ დროით გადაუღობა გზა ევროპისაკენ.

ერთ-ერთი პირველი ქართველი მოღვაწე, ვინც იმთავითვე უარყოფითად აფასებდა რუსეთთან საქართველოს კავშირის დადებითობას, დავით გურამიშვილი იყო. მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა მაჰმადიანური სახელმწიფოების — ირან-ოსმალეთის ორ საბელში თავგაყოფილი საქართველოსთვის კიდევ ერთი, რუსეთის მესამე „საბელის“ გაჩენა. ამ დროისათვის ქვეყანა სამი ვეშაპის პირისპირ აღმოჩნდა და თანამედროვე ტერმინოლოგიას თუ ვიხმართ ქართული სახელმწიფო „მრავალსტანდარტიან“ პოლიტიკურ მახეში გაიხლართა.

როგორც გ. გაჩეჩილაძე შენიშნავს, „საბელები“ პოლიტიკურ ლექსიკონში დავით გურამიშვილის მიერ შემოტანილი მეტაფორაა, ხოლო განსჯის საგანია ის სააზროვნო სიტუაცია, რომლის წინაშე XVIII საუკუნის დასაწყისის ქართული პოლიტიკური ცნობიერება აღმოჩნდა. მითუმეტეს, საქართველოს პოლიტიკური კლასის ცდა, ევროპის საშუალებით გაერღვია ირანისა და ოსმალეთის ბლოკადა, მარცხით დამთავრდა.

იმ პერიოდის ევროპა ყელამდე იყო ჩაფლული საკუთარი პრობლემების მორევში. ამერიკის აღმოჩენამ შეანელა ხმელთაშუა ზღვისადმი გეოპოლიტიკური ინტერესი. იმავდროულად, ევროპას დიდმა კრიზისებმა, რევოლუციებმა, გადატრიალებებმა, რეფორმებმა თუ ინკვიზიციებმა გადაუარა. დაიწყო ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი.

ევროპის კრიზისით მოსარგებლე თურქეთმა ჯერ აღმოსავლეთ ევროპა დაიკავა, ხოლო შემდეგ შუაგულ ევროპას დაემუქრა. ევროპას სხვა გზა არ ჰქონდა და თურქეთის შესაჩერებლად ირანი დაიმეგობრა. ასეთ ვითარებაში ჩავიდა სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში და მისგან ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება ითხოვა, მაგრამ იმ პერიოდში ევროპას არ ჰქონდა გაცნობიერებული გლობალურ პოლიტიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის ისტორიამ ქართულ ცნობიერებაში რუსეთი, ერთის

მხრივ, დამპყრობელ სახელმწიფოდ დამკვიდრა, მაგრამ მეორე მხრივ, მტრისადმი შეურიგებლობა ქართულ კულტურასა და ცნობიერებაში რუსოფობიად ვერ იქცა.

უდავოა, იმპერიულობის მოწინააღმდეგე საქართველო, რუსეთთან არაერთი ომისა და აჯანყების მომხსრეა, რაც ასახულია ქართულ ლიტერატურაში, კულტურასა და ფოლკლორში, რომ არაფერი ვთქვათ პოლიტიკურ, ისტორიულ, მემუარულ და სხვა სახის ლიტერატურასა თუ წყაროზე.

როგორც ჩანს, რუსოფობიის დამკვიდრებას ხელი შეუშალა ქრისტიანულმა რელიგიამ, რომელიც ქართული და რუსული სახელმწიფოებრივი დაპირისპირებისა და დიდმპყრობელური რუსული შოვინიზმის მიუხედავად, ორივე ხალხისთვის მისაღები იდეოლოგია აღმოჩნდა.

მკვლევრები ფიქრობენ, რომ პირველი, საქართველოში გახმაურებული ანტირუსული ტექსტი, ერეკლეს მიერ რუსეთში გაგზავნილ საქართველოს ელჩს, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის ტექსტის ერთ-ერთ ავტორს, გარსევან ჭავჭავაძეს მიეწერება.

თუმცა, შენიშნავენ, რომ ამ ტექსტს წინ უსწრებდა დავით გურამიშვილის „დავითიანი“, რომელმაც საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში მოაღწია და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში წინ წამოსწია, იმპერიის მხრიდან, ამკარა ლაღატის თემა.

გ. გაჩეჩილაძე ფიქრობს, რომ ამავე განწყობილების მეორე ტექსტი ეკუთვნის გარსევან ჭავჭავაძის შვილს, ეკატერინე მეორის ნათლულს, გენერალსა და პოეტს ალექსანდრე ჭავჭავაძეს. მკვლევარი გვარწმუნებს, რომ ა. ჭავჭავაძემ ლექსში „მუსტაზადი“ ამხილა ჩამორჩენილი და უკულტურო რუსეთი და მიუთითა ქართული და რუსული კულტურების შეუთავსებლობაზე. მოგვიანებით, რუსულ-ქართული პოლიტიკური კონფლიქტის შეფასება კარგად გამოჩნდა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, ვაჟა-ფშაველას, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვების შემოქმედებაში.

თუ გავიზიარებთ იმ შეხედულებას, რომ პოლიტიკა არის კულტურის დარგი, ხოლო კულტურა სივრცის ორგანიზაციის ფორმაა, მაშინ პოლიტიკა ძალისმიერი მეთოდებით სივრცის ორგანიზაციის ფორმად შეიძლება ვალიაროთ. თუმცა, დაისმება კითხვა: რა უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკაში ძალის საზომად? აქ, ალბათ, აუცილებელი იქნებოდა გაგვეხსენებინა მაკიაველის შენიშვნა: „ყველა შეიარაღებულმა მოციქულმა გაიმარჯვა და ყველა შეუიარაღებელი მოციქული და-

ილუზია“. ეს სიტყვები გარკვეულწილად იქცა პოლიტიკური ძალის განსაზღვრის ამსახველ კონცეფციად.

თუმცა, ისტორია იმასაც გვასწავლის, რომ პოლიტიკური ძალის და, შესაბამისად, შეიარაღების, ეკონომიკის, ენერგორესურსების, სასიცოცხლო სივრცის ფართობის და ა.შ. მქონე ქვეყნები, მაგ.: რუსეთი, აშშ და სხვები განდევნეს ავლანეთიდან, ვიეტნამიდან, დამპყიდებელი არ არის ჩრდილოეთ კავკასია, ერაყი, ლიბია, სირია და ა.შ.

ძალადობა არ არის მარადიული კატეგორია და ბოროტება საბოლოოდ მარცხდება სიკეთესთან. ამ კონტექსტში ხშირად იხსენებენ 1945 წელს, ამერიკაში თომას მანის მიერ წაკითხულ მოხსენებას „გერმანია და გერმანელები“. ის ამბობდა: „არ არსებობს ორი გერმანია, კეთილი და ბოროტი; არის ერთადერთი გერმანია, რომლის საუკეთესო თვისებები ეშმაკეულმა ვერაგობამ გარდაქმნა ბოროტებად. ბოროტი გერმანია იგივე კეთილი გერმანიაა, რომელიც ნავიდა მცდარი გზით და ახლა დგას კატასტროფის წინაშე, აი, გერმანელად დაბადებულისათვის რატომაა შეუძლებელი მთლიანად მონყდეს ისტორიული დანაშაულით დამძიმებულ ბოროტ გერმანიას და განაცხადოს მე კეთილი, კეთილშობილი, სამართლიანი გერმანია ვარ. შეხედეთ, როგორ ქათქათა სამოსელში ვარ გამოწყობილი. რაც შეეხება ბოროტებას, თქვენ გთავაზობთ გასათვლად...“

მის გამაბოროტებელ მარტოსულობაში მუდამ ცოცხლობდა — და ვინ არ უწყობდა ეს! — ოცნება ჰყვარებოდა და ყოფილიყო საყვარელი. ბოლოს და ბოლოს, გერმანიის უბედურება — მხოლოდ ადამიანური ტრაგედიის სახეობაა. გულმონყალებას, რომელიც ასე სჭირდება დღეს გერმანიას, ვსაჭიროებთ ჩვენც“.

ამ და სხვა ქმედებაში თავსდება და ზოგადდება ქართველობის რუსეთისადმი დაუმორჩილებლობის სულისკვეთება რუსოფობიის გარეშე. გ. გაჩეჩილაძის რწმუნებით: „ქართველი ერი და კულტურა აღმოჩნდა თითქმის ერთადერთი ერი და კულტურა, სადაც რუსეთისადმი დაუმორჩილებლობის ინსტიქტი არ გაფორმდა რუსოფობიად“.

ქართულ სინამდვილეს ყველა მიზეზი ჰქონდა რუსეთის იმპერიული ქმედების გამო გზა გაეხსნა რუსოფობიისაკენ, მაგრამ ქართველი ერის თვითმიღებისა და თვითგანსაზღვრის პრინციპი, სხვათა მიღებითა და პატივისცემით განისაზღვრა და, შესაბამისად, რუსეთის ძალადობისადმი ქართული ცნობიერების შეურიგებლობა არ იქცა რუსოფობიად. ქართულმა ქრისტიანიზმმა უფრო ჭეშმარიტად გაი-

თავისა სახარებისეული მცნება „გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა მოყვასი შენი“. ვიდრე რუსულმა მართლმადიდებლურმა აზროვნებამ და პრაქტიკამ.

გ. გაჩეჩილაძე გვამცნობს, რომ დავით გურამიშვილის შემდეგ რუსეთის ნეგატიური სახისმეტყველება ჩამოაყალიბა ნიკოლოზ ბარათაშვილმა. მისი აზრით, რუსეთისაგან საქართველოს განთავისუფლების ახალი სტრატეგემა შემდეგში მდგომარეობდა:

**1. პატარა საქართველო უზარმაზარ რუსეთს უნდა დაპირისპირებოდა არა პირდაპირი, არამედ პოზიციური ბრძოლის ტაქტიკით;**

**2. ბრძოლის ადგილად უნდა ქცეულიყო არა მცირემინიანი და მცირერიცხოვანი საქართველო, არამედ უზარმაზარი რუსეთი და მისი დედაქალაქი;**

**3. ბრძოლის საგანი, რომელშიც ფიზიკურად და ინტელექტუალურად უნდა მიეღოთ ქართველებს მონაწილეობა, თავისუფლებისა და სამართლიანობის საკაცობრიო ფასეულობები უნდა ყოფილიყო.**

გ. გაჩეჩილაძე ცდილობს ამტკიცოს, რომ პირველად ილია ჭავჭავაძემ შეძლო ნიკოლოზ ბარათაშვილში დაენახა ის „მოციქული“, რომელმაც საქართველოს გათავისუფლების ახალი გზა დასახა თავის ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“, სადაც მიაწინა, რომ პატარა საქართველო უზარმაზარ რუსეთს უნდა დაპირისპირებოდა არა აჯანყებით, არამედ პოზიციური ბრძოლის ტაქტიკით; ბრძოლის ადგილად უნდა ქცეულიყო არა მცირემინიანი და მცირერიცხოვანი საქართველო, არამედ უზარმაზარი რუსეთი და მისი დედაქალაქი. ბრძოლის საგანი, რომელშიც ქართველებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა, თავისუფლებისა და სამართლიანობის კაცობრიული ფასეულობები უნდა ყოფილიყო, ხოლო ამ ფასეულობათა რესურსი და ორიენტირი საქართველოსთვის მდებარეობდა დასავლურ კულტურაში.

ნ. ბარათაშვილის ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“, მოცემული ეს კრედიო მოგვიანებით განავითარა ილია ჭავჭავაძემ, რომელმაც 1879 წელს დაწერილ პუბლიკაციებში მიუთითა „აღმოსავლეთის“ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობებზე, როდესაც აზია-აღმოსავლეთში დამკვიდრებისთვის ორი დაუძინებელი მეტოქე – რუსეთი და ინგლისი დაპირისპირდა ერთმანეთს. ცხადია, რუსეთი ამ პრობლემას წყვეტდა ძალადობის გზით, ხოლო ინგლისი თავის სახელმწიფოებრივი მოწყობის დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, უფრო ცი-

ვილური მეთოდებით და ხერხებით ცდილობდა აზია-აღმოსავლეთის რეგიონში გაბატონებას, უდავოა, რუსეთის, ისე როგორც ინგლისის ურთიერთობა ამ რეგიონთან კოლონიური ხასიათის მატარებელი იყო, მაგრამ განსხვავებით რუსეთისაგან, ინგლისური ანუ ევროპული კოლონიურობა უფრო მისაღები იყო რეგიონისათვის.

ამ კონტექსტში პოლიტიკის მკვლევარები ყურადღებას მიაპყრობენ ი. ჭავჭავაძის ფრაზას: **„აზია საერთოდ და ჩვენ საკუთრივ ვართ საჭირონი არამც თუ ჩვენის თავისთვის მხოლოდ, არამედ სხვებისთვისაც“**. თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ ბიოლოგიაში ფუნქციის იდეა უსწრებს ორგანოს შექმნის საჭიროებას, პოლიტიკურად ერის ფუნქციის იდეა უსწრებს მისი სახელმწიფოებრივად შექმნის საჭიროებას და, რაკი გაჩნდა საქართველოს ფუნქციის საჭიროება, გაჩნდა ქართული სახელმწიფოებრიობის, როგორც ორგანოს შექმნის საჭიროებაც. თუმცა, ამ დღის დადგომამდე საქართველოს ბევრი მსხვერპლის გაღება მოუხდა და „ევროპული ხელის“ გამოწოდებაც ინვინია, მაგრამ ამას რაიმე კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია და რუსეთის იმპერიულობამ ქართველ ხალხს წაართვა თავისუფლება და მოუსპო იმ ისტორიული მისიის შესრულების შესაძლებლობა, რაც მას გეოპოლიტიკური თვალსაზრისით დაეკისრა.

ი. ჭავჭავაძეს, ერთი მხრივ, სამაგალითოდ მიაჩნდა ევროპის განვითარებული ქვეყნების: ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტები, მეორე მხრივ, იგი აშუქებდა ირლანდიაში, საბერძნეთში, ბულგარეთსა და ჩეხეთში მიმდინარე პროცესებს, რადგან ბევრ რამეში ამ ქვეყნების ცხოვრების გზები მსგავსი იყო საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან. მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო საქართველოსთან. ილია ცდილობდა დაენერგა ყოველივე საუკეთესო, რაც ევროპისათვის იყო დამახასიათებელი.

ი. ჭავჭავაძე ქართველ სამოციანელთა შორის პირველი იყო, რომელიც აღტაცებას გამოხატავდა ფრანგი ხალხისა და მათი მოაზროვნეების: ვოლტერის, ბალზაკის, ჰიუგოს, პასტერის და სხვათა მიმართ.

ი. ჭავჭავაძე დიდი ყურადღებით სწავლობდა ევროპის მეორე განვითარებული ქვეყნის – ინგლისის საშინაო და საგარეო პოლიტიკურ საკითხებს, ამ ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის სისტემას, განსაკუთრებით აშკარად გამოხატავდა თავის სიმპათიებს ინგლისის პარლამენტისადმი.

საყურადღებო იყო ილიას მოსაზრებები გერმანიის, იტალიის და სხვა ქვეყნების მიმართ და ფიქრობდა იმ დროის მოსვლაზე, რომელიც საქართველოშიც დაამკვიდრებდა დემოკრატიულ წყობას, ევროპული ცხოვრების წესს და მოსპობდა რუსეთის თვითმპყრობელურ რეჟიმს. **„საათი ქვეყნისა მოშლილია და არ ვიცი, მამლის ყივილამდე ბევრი დრო დარჩა კიდევ თუ არა. ვზივარ და შევყურებ სულთა მხუთავს, ვზივარ ლოდინით დაღლილი და ვნატრობ მამლის ყივილსა. როდემდის უნდა მალოდინო, როდემდის! შე დალოცვილო მამალო, რაღას უყურებ და არ დაიყვილებ“.**

ილია ჭავჭავაძე ნათლად გრძნობდა, რომ უსასტიკეს გამოწვევათა წინაშე საქართველო მარტო აღმოჩნდა და შესაძლებელი იყო ქართველობის ტომობრიობიდან ეროვნულობისკენ აღმასვლის გზა შეტრიალებულიყო ეროვნულობიდან ტომობრიობისკენ დაღმასვლის მიმართულებით.

გ. გაჩეჩილაძე ფიქრობს, რომ ერი და ხალხი ისევე არ არიან იგივეობრივი, როგორც ღირსების განმასახიერებელი კაცი და ადამიანი. ამაშია „კაცია — ადამიანის?“ როგორც კითხვის მთელი გენიალობა. „კაცია — ადამიანი?“ — ამ ორი სიტყვით, ილიამ ქართველ ხალხს შეახსენა, რომ ადამიანად დაბადება არ არის კაცად არსებობის გარანტია. ადამიანად დაბადება არის კაცად გახდომის შესაძლებლობა და არა გარანტია. ხალხად არსებობა არის ერამდე ამაღლების შესაძლებლობა და არა გარანტია.

უდავოა, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის წარუმატებელი ომების შემდეგ ქართველებს არ შეუცვლიათ თავისუფლებისათვის ბრძოლის მიზანი, მაგრამ ამ მიზნის მიღწევის ტაქტიკა შეცვალეს. თუმცა, დამარცხებული ომების გამო ძალაგამოცლილი საქართველოს რეალობა იყო უნუგემო: ერი – შემოქმედებითი უმცირესობისგან დაცარიელებული, ისტორიული ჰორიზონტის სცენა – შესაძლებელი პარტნიორისგან მიტოვებული.

ილია ჭავჭავაძე ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ირლანდიელთა ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. ის ამ ბრძოლაში ხედავდა საქართველოს მაშინდელი ყოფის ანალოგებს. ირლანდიელი ერი, ისევე როგორც ქართველი ერი, მდიდარი თვითმყოფადი კულტურის მქონე ერი იყო. ილიას სურდა ირლანდიელი ხალხის საბრძოლო გამოცდილება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გამოეყენებინა. ამიტომ იყო, რომ ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო

მოღვაწემ ირლანდიელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გაშუქებას პუბლიკაციების მთელი სერია მიუძღვნა.

ილია ჭავჭავაძე მხარს უჭერდა უნგრეთის, ჩეხეთის, ჰოლანდიის, ბელგიის, შვეციის, ნორვეგიის, დანიის ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებს.

უდავოა, ი. ჭავჭავაძე მხარს უჭერდა საქართველოს ევროპეიზაციის იდეას, პროგრესულ ევროპულ შეხედულებათა ეროვნულ ნიადაგზე გადმონერგვას. ილია ევროპაში მიმდინარე პროცესების გაშუქებისას კონკრეტულ მაგალითებს იშველიებდა და მსჯელობას გლობალურ ხასიათს აძლევდა.

ცხადია, ილია ჭავჭავაძისათვის უცხო არ ყოფილა ამერიკის თემაც. 1889 წელს ილიამ გამოაქვეყნა წერილი „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“. ამ პუბლიკაციაში ავტორმა წინასწარმეტყველური, თუმცა, დღეისათვის რეალობად ქცეული იდეა ჩამოაყალიბა – ამერიკის მსოფლიო ლიდერობის შესახებ.

ამ დროისათვის, როდესაც ეს იდეა ხმოვანდებოდა რუსეთს მოთავებული ჰქონდა მთლიანი საქართველოს ოკუპაციის და ანექსიის პროცესი, რომელსაც რუსეთის მხრიდან საქართველოსთან რამდენიმე ომი დასჭირდა. „დამარცხებულმა ქართველებმა არაადექვატურად მიიჩნიეს არა თავისუფლებისათვის ბრძოლის მიზანი, არამედ ამ მიზნის აჯანყების გზით მიღწევის ტაქტიკა“ (გ. გაჩეჩილაძე). იმ პერიოდის ქართული ელიტა მოერიდა „უაზრო მსხვერპლის“ (ნ. ბარათაშვილი) გაღებას. საქართველოს არ შეეძლო ძალისმიერი გზით გადაეწყვიტა დამპყობი რუსეთის ჩამოცილების პრობლემა. ქართველებს ლოდინის ტაქტიკა უნდა გამოეყენებინათ, რომელიც დრო და დრო, პასიური იყო, მაგრამ აქტიურიც ხდებოდა.

როგორც ჩანს, 1889 წლისათვის ილია ჭავჭავაძე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მოძალადე და უსამართლო რუსეთი არც ქართველი ერის უფლებებით იყო დაინტერესებული და, შესაბამისად, არც მისი მომავალი სახელმწიფოებრიობით. ამ მხრივ, საიმედოდ არც ევროპა გამოიყურებოდა. აღნიშნულის დამადასტურებელია ილიას მიერ 1889-1890 წლებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები — „მილიტარობა ევროპაში“, „ისევ ევროპის მილიტარობის შესახებ“, „ევროპის მილიტარობა და ამერიკის მერმისი“, „ევროპის დიდი და პატარა ონავრები“.

ამ პუბლიკაციებში ილიამ მოგვცა მილიტარობით დატვირთული ევროპის სამხედრო-პოლიტიკური პორტრეტი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მას შემდეგ, რაც ევროპა მილიტარიზაციის გზას და-



ადგა, მან დაკარგა არა მხოლოდ ცივილიზაციური პრიორიტეტი, არამედ ეკონომიკური განვითარების პერსპექტივაც. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ევროპა არ იქნებოდა მსოფლიო მიბაძვის ეტალონი და თვითგადარჩენის საფრთხის წინაშე მდგომი პოლიტიკური სივრცე ხდებოდა. მითუმეტეს, მილიტარულობა სისტემის თვითლიკვიდაციის მიზეზი შეიძლება გახდეს და ჩვენს თვალწინ ეს დაემართა რუსეთის, გერმანიის და სხვა იმპერიებს.

ამერიკისათვის მსოფლიოს მომავალი ლიდერის ფუნქციის მინიჭება იმის მიმანიშნებელი იყო, რომ მილიტარობაზე უარისმთქმელი ქვეყნისათვის პოლიტიკური ძალის საზომი იარაღი და ძალადობა კი არ იყო, არამედ ეკონომიკა და სამართლიანობის იდეოლოგია.

ილია ჭავჭავაძის წინასწარმეტყველებიდან 120 წელზე მეტი გავიდა. „სამყარო – იმპერიის მოდელი ჩვენს თვალწინ შეიცვალა „სამყარო — ეკონომიკის“ მოდელით. ცივილიზაციის ამ პროცესის გზამკვლევი კი აღმოჩნდა ამერიკა“ (გ. გაჩეჩილაძე). დედამიწაზე ე.წ. სამოთხის თუ კომუნიზმის მშენებლობის იდეამ კრაზი განიცადა. ამერიკა კაცობრიული კეთილდღეობისა და სამართლიანობის მჩემბელი სახელმწიფო გახდა. ესლა ძნელია მტკიცება ცოდვის თუ უცოდვილობის რა ხარისხით უნდა განისაზღვროს ამერიკის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო იდეოლოგია მსოფლიო სივრცეში. არის თუ არა ამერიკა ერთპოლუსიანი მსოფლიოს ისეთი მეთაური, რომელიც მოკლებულია იმპერიულ ამბიციებს და მთელ მსოფლიოს გზას უხსნის მხოლოდ სამართლიანობის, კეთილდღეობისა და დემოკრატიული ღირებულებებისაკენ, მაგრამ **120 წლის წინ ილია ჭავჭავაძეს სჯეროდა ევროპის მილიტარობის და ამერიკის მერმისის და ეს აზრი დღესაც ცოცხლობს თანამედროვე „ოკეანედალეულთა“ პოლიტიკურ პროგნოზებში.**

გ. გაჩეჩილაძე პუბლიკაციაში „ისმინეთ და გააიგივეთ ქართველობავ!“, რომელიც 2005 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი“, პარალელს ავლებს ორ ქართველს – მსოფლიო უდიდესი პოლიტიკურ, სახელმწიფო მოღვაწეს და დიქტატორს იოსებ სტალინსა და საქართველოს უდიდეს პატრიოტსა და საზოგადო მოღვაწეს — ილია ჭავჭავაძეს შორის, რომლებიც საკმაოდ კარგად იცნობდნენ ერთმანეთს იმ დროიდან, როდესაც დიდი ილია პატრიოტულ ლექსებს უბეჭდავდა ჟურნალ „ივერიის“ პირველ გვერდზე ყმანვილ სოსო ჯუღაშვილს.

უდავოა, მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს დამაარსებელს და მეთაურს წაკითხული ჰქონდა ილიას წინასწარმეტყველება ამერიკის შესახებ, თუმცა, ისიც სწამდა, რომ კომუნისტური რუსეთი მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილის ლიდერი იყო და მთელი პლანეტის მეთაურიც გახდებოდა. გამორიცხული არ არის სწორედ ამერიკასთან მოქიშპეობამ გადაადგმევინა მას ნაბიჯი ორად გაყოფილი გერმანიის გაერთიანებისაკენ. ამერიკასთან დაპირისპირებულ რუსეთს, ევროპის სათავეში მდგომი გერმანიაც უნდა დამატებოდა. „ეს იყო სტალინის სურვილი, რაღაც არ უნდა დაჯდომოდა, დაებრუნებინა გერმანია ისტორიის ძველ ღერძზე, რათა გამოეთიშა ის ერთიანი ევროპული ოჯახიდან და ექცია ახალი ომის ინიციატორად. ეს იყო პერსპექტივა, რომელიც რუსეთს ევროპის შიდა საქმეებში ჩარევის და პოლიტიკური ლიდერის ფუნქციის დაბრუნების ილუზიებს უქმნიდა“ (გ. გაჩეჩილაძე).

1990 წელს საქართველომ აღიდგინა დაკარგული დამოუკიდებლობა. თუმცა, რუსეთისათვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. შედეგად, კრემლმა შეძლო სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა და ეროვნული ხელისუფლების დამხობა. საქართველო კვლავ მძიმე არჩევანის წინაშე დადგა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია იცნობს პერიოდებს, როდესაც ამ ქვეყნებს ერთმანეთის მხარდაჭერა სჭირდებოდათ. საქართველოს რუსეთისთვის არ უღალატია, თუმცა ცნობილია ამ უკანასკნელის მხრიდან ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული არაერთი ომი და დიპლომატიური ცუდლუტობანი. წარსულიდან შეიძლება გავგეხსენებინა 1720 წელი. პეტრე პირველის მიერ არტემ ვოლინსკის ასტრახანის გუბერნატორად დანიშვნა და მისთვის დავალების მიცემა რუსულ-ქართული სამხედრო ექსპედიცია მოემზადებინათ ირანის დასალაშქრავად. პეტრეს მიერ გამოცხადებული მანიფესტით სპარსეთთან ომის დაწყების შესახებ ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის ზედმეტად დაიმედება და 40 ათასიანი ქართული ჯარის მომზადება გაერთიანებული ბრძოლისათვის, თუმცა რუსეთის ხელისუფლების ღალატმა მაშინ ქართლი მაჰმადიანურ სამყაროსთან პირისპირ დატოვა და შედეგები საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა. 1724 წლის ივნისში რუსეთის მიერ ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულებით საქართველო თურქეთის საკუთრებად გამოცხადდა.

**ვერც ერეკლე მეორის მიერ რუსეთთან გეორგიევსკში დადებული ტრაქტატი აღმოჩნდა საქართველოს „აღდგომისა და გამოსხნისთვის“ ერთადერთი გზა. 1800 წლის დეკემბერში რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა სახელმწიფო გადატრიალების**

გზით გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა ქართლ-კახეთში. სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა რუსეთ-იმერეთის 1805-1810 წლების ომიც იმერეთის სამეფოში. რუსეთის საბჭოთა იმპერიამ, 1920 წელს, ომი წამოიწყო დამოუკიდებელი, დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ, რაც დასრულდა სახელმწიფო გადატრიალებით 1921 წლის 25 თებერვალს.

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში სახელმწიფო გადატრიალების გზით დამხობილ იქნა ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება, ხოლო 1991-1993 წლების ომმა, რუსეთ-საქართველოს შორის, მიგვიყვანა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევამდე. დაიკარგა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი. 2008 წლის აგვისტოში რუსეთი კვლავ შეეცადა სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას საქართველოში. იმჟამად ეს ვერ მოხერხდა. თუმცა, რუსეთმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველომ, ამ ხნის მანძილზე ამოწურა რუსეთთან პოლიტიკურ პარტნიორად გადაქცევის ყოველგვარი შესაძლებლობა. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ოთხი ფორმიდან – მტრობა, დამორჩილება, განადგურება და პარტნიორობა, რუსეთი მუდმივად პირველ სამს იყენებდა. მას უჭირდა ნორმალური პარტნიორობა, განსაკუთრებით, მეზობელ ქვეყნებთან, მათ რიგში პირველი საქართველო იყო.

1953 წლის 23 ნოემბერს აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა რუსეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის შესახებ ასეთი რეზიუმე გააკეთა:

**„ქართველი ერის გაქრობის მიზნით, რუსეთი ყოველ ღონეს მისაღებად თვლიდა: ფიცისტეხა, დაუნდობელი, მდაბალი მოსყიდვა, უტიფარი სიცრუე, მზაკვრული პროვოკაცია, ულმობელი სიმკაცრე, ღალატით მკვლელობა, — ყველა ეს და სხვა ასეთი „სათნოებანი“ რუსეთის თანდაყოლილი თვისება იყო დამორჩილებულ ხალხთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ამ ხალხთა გასაქრობად“.**

ამდენად, საქართველოსთვის რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია დიდი მოლოდინის გაცრუებით დასრულდა. ცხადია, საქართველო ვერ დაბრუნდება ახლო წარსულში იმ რეჟიმში და იმ ფორმატში, როგორსაც კრემლის პოლიტიკური კლასი უჭერს მხარს, მაგრამ აუცილებელია ამ ქვეყნების ურთიერთობაში ცვლილებების შეტანა, რომელიც მათი ხელისუფლებების დიალოგით და დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენით უნდა მოხდეს.

თანამედროვე საზოგადოებრივი აზროვნება მიგვითითებს, რომ საქართველო ცალსახად არც ერთი ქვეყნის ნებას არ უნდა მიეზას. წარსულს უნდა ჩაბარდეს ის დრო, როდესაც ქვეყნის თავზე მუდმივად დაქანაობდა მაჰმადიანური ქვეყნების თუ რუსეთის მახვილი.

თუ გ. გაჩეჩილაძეს დავეთანხმებით, საქართველოს ტრაგედია მდგომარეობდა იმაში, რომ დამპყრობლები მუდმივად ცდილობდნენ თავინათი „საბელები“ გამოებათ საქართველოსთვის. საქართველოს ყელზე გაკვანძული ორი, მაჰმადიანურ-რუსული „საბელი“ წარსულის ისტორიას ჩაბარდა. თუმცა, XX-XI საუკუნეების მიჯნაზე, საქართველოსთვის გამოკვეთილმა ახალმა გეოპოლიტიკურმა ფუნქციამ ის ახალი საშიშროების წინაშე დააყენა. **ქართულ საზოგადოებაში შიშობენ, რომ ძველ „საბელებს“ არ უნდა ჩაენაცვლოს ახალი ლიბერალური დემოკრატიის სახელით მომქმედი — აშშ-ის „საბელი“.**

მართალია, დღეს მსოფლიოში დიდია ამერიკელების გავლენა, მაგრამ არსებობენ მისი საპირწონე რეგიონებიც, და თუ მათი პოლიტიკა თანხვედრაში მოვა ქართულ ეროვნულ ინტერესებთან, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს ორიენტაციის ცვლილებაც, **მითუმეტეს ქართული საზოგადოებრივი აზრი დღეს მხარს უჭერს კოალიცია „ქართული ოცნების“ საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსს, ქვეყანას ჰყავს ქართული მთავრობა, რომელიც კარგად ფლობს სიტუაციას, მოქმედებს ისე, როგორც კანონი აძლევს ამის საშუალებას და ფიქრობს, რომ მთავარი ის კი არ არის, რას იტყვიან ცალკეული უცხოელები საქართველოზე, არამედ ის, რას გააკეთებენ თვითონ ქართველები თავიანთი სამშობლოს საკეთილდღეოდ და გასაძლიერებლად.**

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაჩეჩილაძე გ., რატომ ვერ მოიკიდა ფეხი რუსოფობიამ საქართველოში?!., ჟურნალში: ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, 7, 2005.
2. გაჩეჩილაძე გ., დავით გურამიშვილისეული „საბელების“ თეორია საქართველოს ეროვნული უშიშროების კონტექსტში, ჟურნალში: ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, 6, 2005.
3. გაჩეჩილაძე გ., ისმინეთ და გაიგევით ქართველობავ, ჟურნალში: ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი, 2, თბილისი, 2005.
4. ჭავჭავაძე ი., თხზ. სრ. კრებ., ტ. 5, თბილისი, 1995.

5. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბილისი, 1968.
6. გორგანაშვილი ე., ილია ჭავჭავაძის ევროპული ორიენტაცია და საქართველო, თბილისი, 1999.

**Igor Kveselava**

*Technical University of  
Georgia, full professor*

**World and Orient of Georgian Statesmen  
(Europe, Russia, America)**

**Summary**

The long history of Georgia gives many visible facts of Georgian political and public figures' religious, political and cultural aspiration to environment. But, Georgia compelled to be under various violator (Iranian, Ottomans, Russia).

Georgian statesmen welcomed the European way of state development and, in this time, they was charmed by American nonmilitarism (Ilia Chavchavadze). But, at last, they got in Russian imperial trap, which caused five Russian-Georgian wars.

Public opinion of Georgia is opposed, that new liberal – democratic „tether“ of USA may replace old „tether“ .

After the end of nine years of political regime of the "National Movement" Georgia has a new government, which is well aware of the situation, acts within the framework of law, defends the fairness and is sure that the opinion of every single foreigner about Georgia is not important. Here the main point is that, how Georgian population will act itself to lead their country to strength and prosperity.

**ზურაბ სულაბერიძე**

*ისტორიის დოქტორი, ფოთის კოლხური  
კულტურის მუზეუმის უფროსი მეცნი-  
ერ-თანამშრომელი*

**ბალკანეთის კრიზისი და ბულგარეთის პოლიტიკური  
ისტორიის პრობლემატიკა  
მე-19 ს-ის 70-80-იან წლებში**

ყირიმის ომის შემდეგ ოსმალეთის იმპერიაში ფეოდალური სისტემის რღვევის პროცესი დაიწყო. მე-19 ს-ის 60-70-იანი წლებისთვის ერთ დროს უძლიერესი ოსმალეთის იმპერია ნახევრად კოლონიურ ქვეყნად გადაიქცა. ოსმალეთის საშინაო საქმეებში ხშირად ერეოდნენ ევროპის დიდი სახელმწიფოები. აღნიშნულმა პოლიტიკურმა პროცესებმა ხელი შეუწყო ბალკანეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერებას.

1870 წელს ემიგრაციაში მყოფი ბულგარელების მიერ ბუჰარესტში შეიქმნა რევოლუციის ცენტრალური კომიტეტი, რომლის მოღვაწეობის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ბულგარეთში შეიარაღებული აჯანყების მომზადება და ოსმალეთის ვასალური მდგომარეობისგან თავის დაღწევა. რევოლუციური კომიტეტის ერთ-ერთი გამოჩენილი ლიდერი ბასილ ლევსკი დიდი ენერგიით შეუდგა განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას. მაგრამ, 1873 წელს ლევსკი სულთნის ხელისუფლებამ სიკვდილით დასაჯა, რამაც რევოლუციური კომიტეტის კოორდინირებულ მუშაობაზე უარყოფითად იმოქმედა. ლევსკის შემდეგ ორგანიზაციას რევოლუციონერ-დემოკრატი ქრისტო ბოტევი ხელმძღვანელობდა.

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებისთვის ბალკანეთის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილი კვლავ ოსმალეთის იმპერიის გავლენის ქვეშ რჩებოდა. სერბეთი და ბულგარეთი აღიარებდა სულთნის ხელისუფლების უზენაესობას და, როგორც ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ქვეყანა, ხარკს იხდიდა. რაც შეეხება ჩერნოგორიას, მან მიაღწია ფაქტობრივ დამოუკიდებლობას, მაგრამ იურიდიული სტატუსი საერთაშორისო არენაზე არ გააჩნდა [7, 450-501].

მე-19 საუკუნის 70-ანი წლების საერთაშორისო ურთიერთობებში ევროპის არცერთი დიდი ქვეყანა არ აღმოჩნდა ოსმალეთის იმპერიის დამცველი. ევროპის კაბინეტებმა სტამბულის წინაშე წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნები:

1. დამყარებულიყო სრული რელიგიური თავისუფლება და თანასწორობა;
2. მეურნეობის გადასახადების გაუქმება;
3. ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში შეგროვილი გადასახადების ქვეყნის შიგნით დატოვება;
4. ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში თვითმმართველობის დამყარება;
5. აგრარული რეფორმის გატარება.

მოთხოვნას ხელს აწერდნენ ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის, რუსეთის, გერმანიისა და იტალიის მთავრობის წარმომადგენლები. აღნიშნული ნოტა ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრაშმა გადასცა სულთნის კარს 1876 წლის 30 იანვარს [7, 453]. სულთნის ხელისუფლება თავდაპირველად დაეთანხმა ნოტას. რამდენადაც ოსმალეთის ხელისუფლებისთვისაც ნათელი იყო ბალკანეთის აჯანყების გარდაუვლობა. მაგრამ სულთნის კარზე მოგვიანებით შეიცვალა პოლიტიკური ვითარება. 1876 წლის მაისში თანამდებობიდან გადააყენეს და შემდეგ სიკვდილით დასაჯეს დიდი ვეზირი ნადიმ-ფაშა, რომელიც რუსეთის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. 30 მაისს ასევე მოკლული იქნა აბდულ-აზიზი, ხოლო მისი მემკვიდრე მურად V სულელად შერაცხეს და შინაპატიმრობა მიუსაჯეს. 1876 წლის 31 აგვისტოს სულთნის ტახტზე ავიდა მურად V-ის ძმა აბდულჰამიდი, რომელიც ბალკანეთთან მიმართებაში ნებისმიერ დათმობაზე უარს აცხადებდა.

მე-19 ს-ის 50-70-იან წლებში ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ საბრძოლო არენას ბოსნია-ჰერცოგოვინა და ბულგარეთი წარმოადგენდა. ბალკანეთის სლავების წინააღმდეგობა განპირობებული იყო სულთნის ხელისუფლების იმ შემზღუდველი პოლიტიკით, რომელსაც ის ახორციელებდა მთელი ასეული წლის განმავლობაში. ოსმალეთის ხელისუფლება თანზიმათის პერიოდში ბალკანეთის მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქების მხრივ აღებულ არცერთ ვალდებულებასა და დაპირებას არ ასრულებდა. ყოველივე ამას დაერთო 1875 წლიდან ფეოდალური დესეტიზის (აგიარის) გადასახადის ზრდა. ამ და სხვა მიზეზების შედეგად, 1875 წლის სექტემბერში

ბულგარეთში სტარა-ზაგოვორში იფეთქა ანტიოსმალურმა აჯანყებამ. მართალია აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ამ გამოსვლას ბალკანეთის შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებაზე უკვალოდ არ ჩაუვლია. 1876 წლის აპრილში დაიწყო ახალი ფართომასშტაბიანი გამოსვლება [3, 79-80].

1876 წლის აპრილის აჯანყების ჩახშობის მიუხედავად, ბულგარეთის სამხედრო გამოსვლას ჰქონდა ძალიან დიდი მნიშვნელობა. აღნიშნულმა ფაქტმა თითქმის ახალი ფურცელი გახსნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ბულგარეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში [22, 24].

ბულგარეთის გამოსვლებთან ერთად, 1876 წლის ივნისში დაიწყო სერბეთისა და ჩერნოგორიის აჯანყება. აჯანყებულები ოსმალეთის ხელისუფლებისაგან პირდაპირ მოითხოვდნენ უარი ეთქვა დამსჯელი არმიის გაგზავნაზე ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში, რაზეც ოსმალეთმა უარი განაცხადა. უარის მიღების შემდეგ, 1876 წლის 30 ივნისს ორივე სლავურმა სახელმწიფომ ოსმალეთს ომი გამოუცხადა [7, 449-450].

სერბეთის სუსტმა სამხედრო მომზადებამ, აგრეთვე რუსეთის არასაკმარისმა და დავიანებულმა დახმარებამ განაპირობა მისი დამარცხება. ჩერნოგორიამ კი ამ აჯანყებით უკეთეს წარმატებებს მიაღწია, მაგრამ არსებითი ცვლილება ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მაინც ვერ განხორციელდა. სერბეთი საბოლოო განადგურებისაგან იხსნა რუსეთის ელჩის იგნატიევის ულტიმატუმმა სულთანის ხელისუფლებისადმი. იგნატიევის ზენოლის შედეგად, ახალი სულთანი აბდულჰამიდ II იძულებული გახდა მშვიდობის ზავი დაედო. გარდა ამისა, რუსეთიდან ბელგრადში გაგზავნილ იქნა გენერალი ნიკიტინი, რომელსაც საგანგებო დავალება ჰქონდა მიცემული, დახმარებოდა მთავარ მილანს სერბეთის არმიისა და რუსეთის მოხალისეთა ჯარის ბრძოლისუნარიანობის აღსადგენად, რისთვისაც ერთი მილიონი მანეთი გამოეყო. ნიკიტინის მისია საბოლოოდ უშედეგოდ დასრულდა [22, 27-28].

ბალკანეთის ქვეყნების გამოსვლამ გამოიწვია დიდი სახელმწიფოების - ინგლისის, ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის დაინტერესება ე.წ. „აღმოსავლური საკითხით“. ინგლისის პოზიცია ოსმალეთის იმპერიის შენარჩუნებას ითვალისწინებდა. ავსტრია-უნგრეთი თავდაპირველად ე.წ. „აღმოსავლურ საკითხს“ განიხილავდა, როგორც სლავურ პრობლემას, მაგრამ საბოლოოდ ავსტრიის



პოლიტიკური გეგმის ნაწილს წარმოადგენდა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მიტაცება და ბალკანეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩარევა. ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის პოლიტიკა კი მიმართული იყო ერთ ძირითად მიზანზე — შეესუსტებინათ რუსეთის გავლენა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ამ რთულ პოლიტიკურ თამაშში გერმანიის იმპერია, ერთი მხრივ, ავსტრია-უნგრეთს უჭერდა მხარს, მეორე მხრივ, აქეზებდა რუსეთის საიმპერატორო კარს, გამოსულიყო თურქეთის წინააღმდეგ. შექმნილი საერთაშორისო ვითარებით გერმანიის ხელისუფლება ფიქრობდა, რომ ბალკანეთისა და ამიერკავკასიის პრობლემის მოგვარებაში რუსეთის „გემი თავის აფრას გადაიტანდა შორს გერმანიის საზღვრებიდან“, რაც ბისმარკს საფრანგეთთან მიმართებაში თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას მისცემდა [13, 433].

1875-1876 წლებში დიპლომატიურმა ზენოლამ ოსმალეთის იმპერიაზე უშედეგოდ ჩაიარა. ვერც 1876 წლის დასასრულის კონსტანტინოპოლის კონფერენციის მონვევამ აიძულა თურქეთი განეხორციელებინა რეფორმები ბალკანეთის პროვინციებში. აბდულჰამიდ II 1876 წლის კონსტანტინოპოლის კონფერენციის მიერ მიღებული პროექტის წინააღმდეგი გამოვიდა [7, 495-496].

სერბეთ-თურქეთის ომის შემდეგ რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა, ბალკანეთის პროცესებში აქტიურ ჩარევას. 1876 წელს რაიხსტაგში შედგა შეხვედრა რუსეთისა და ავსტრიის იმპერატორებს შორის. შეხვედრისას მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის მიხედვით ავსტრია-უნგრეთი ნეიტრალურ მხარედ უნდა დარჩენილიყო რუსეთ-თურქეთის ომის დაწყების შემთხვევაში.

თავის მხრივ, რუსეთის საიმპერატორო კარი, 1877 წლის გაზაფხულზე ბუდაპეშტში შედგენილ საიდუმლო კონვენციაზე ხელის მოწერით აცხადებდა, რომ ავსტრიის მიერ ბოსნია-ჰერცეგოვინის ანექსიის შემთხვევაში, შეინარჩუნებდა ნეიტრალურ პოზიციას.

1877 წლის აპრილში რუსეთმა ასევე გააფორმა ხელშეკრულება რუმინეთთან, რომლითაც რუმინეთის მთავრობა ვალდებულიებას იღებდა თავისი სამხედრო ძალა გამოეყვანა თურქეთის წინააღმდეგ და რუსეთის ჯარი გაეტარებინა საკუთარ ტერიტორიაზე.

რუსეთის საიმპერატორო კარი ცდილობდა ერთი სამხედრო კამპანიით დაესრულებინა ომი თურქეთთან. ასევე, მის სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა დაეკავებინა მთლიანად ბულგარეთი

და, შესაძლებლობის შემთხვევაში, დაეპყროთ თურქეთის დედაქალაქი — სტამბული.

1877 წლის 24 აპრილს რუსეთმა ომი გამოუცხადა თურქეთს. რუსეთმა ბალკანეთზე გადასხა 185 ათასიანი ჯარი, რომლის წინააღმდეგ იდგა თურქეთის 160 ათასიანი ჯარი და 60 ათასიანი რეზერვი. 1877 წლის 27 ივნისს რუსეთის მონინავე ძალებმა წარმატებით განახორციელეს ფორსირება დუნაიზე და დაიკავეს მონინაღმდეგის მთავარი პუნქტი, სისტოვო. რუსეთის მხარეზე აქტიურად იბრძოდნენ ბულგარელები და სერბები. წარმატებული გამოდგა რუსეთის სამხედრო ოპერაციები კავკასიის ფრონტზე, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ომის შემდგომი წარმატებისათვის [19, 70]. წარმატებითვე დასრულდა რუსების 1877 წლის 27 ივნისის ზიმნიცკის, დუნაიზე გადასვლის საბრძოლო ოპერაცია [22, 81-82].

1877-1878 წლის დეკემბერ-იანვარში პლევნისა და შიპკის წარმატებებმა რუსებს საშუალება მისცა აეღოთ მარიცა და ადრიანოპოლი [13, 436-438; 22, 148-151]. 1878 წლის 31 იანვარს დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება. 1878 წლის 3 მარტს ხელი მოეწერა სან-სტეფანოს ზავს [20].

სან-სტეფანოს ზავი ბულგარეთისათვის ფრიად ხელსაყრელი იყო, რაც რუსეთის სტრატეგიული ხედვის უშუალო შედეგს წარმოადგენდა [1].

ზავის მიხედვით იქმნებოდა „დიდი ბულგარეთი“, რომლის ტერიტორია ვრცელდებოდა ზღვიდან ზღვამდე — ბულგარეთის სანაპიროდან ეგეოსის ზღვამდე [16]. ასევე ბულგარეთი 2 წლის მანძილზე რუსეთის საიმპერატორო კარს უნდა ემართა. პირველ წელს უნდა მომხდარიყო ყველა აუცილებელი ცნობის შეგროვება ქვეყნის საერთო მდგომარეობის შესახებ, რათა მოემზადებინათ სათანადო ნიადაგი ქვეყანაში არჩევნების ჩასატარებლად. იმპერატორის მიერ გაგზავნილი კომისრის კარზე შეიქმნა ექვსი მრჩევლისგან შემდგარი საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობდა კომისრის კანცელარიას, დიპლომატიურ ნაწილსა და 5 განყოფილებას: სამხედრო, შინაგან საქმეთა, სასამართლო, საფინანსო, სახალხო განათლებისა და სასულიერო საქმეებისა [10, 111].

ჩერკასოვის შემდეგ ბულგარეთის დროებითი მმართველი გახდა ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი, რომელსაც რთულ პერიოდში მოუწია მართვა. მისი მმართველობა დაემთხვა პერიოდს, როცა ევროპის დიდმა სახელმწიფოებმა დაიწყეს ბულგარეთის პო-

ლიტიკური მოწყობის გადახედვა. ასევე დაპირისპირება მიმდინარეობდა საზღვარგარეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან. ხშირი იყო ასევე მღელვარება მდ. არდის ხეობაში დასახლებულ მუსულმანურ სოფლებში. სადამსჯელო ღონისძიებების მიუხედავად, მუსულმანთა საკითხი საბოლოოდ გადაწყდა მხოლოდ ბერლინის კონგრესზე. იმავდროულად, ვედიჩისა და სოფიის გუბერნიებში წარმოიქმნა დაპირისპირება სერბეთთან საზღვრის გაურკვეველობის გამო.

სან-სტეფანოს ზავი რეალურად არ განხორციელდა. დიზრაციის მთავრობამ ბრიტანეთის სამხედრო ესკადრა გაგზავნა მარმარილოს ზღვაში. ინგლისის მმართველი წრეები რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ტერიტორიების დაკავებისა და „დიდი ბულგარეთის„ შექმნის პოლიტიკური იდეისა წინააღმდეგ წავიდნენ. სან-სტეფანოს ზავის წინააღმდეგ გამოდიოდა ასევე ავსტრია-უნგრეთის იმპერია.

შემდგომი წინააღმდეგობის თავიდან აცილების მიზნით, რუსეთმა 1878 წლის 30 მაისს ლონდონში ხელი მოაწერა საიდუმლო შეთანხმებას ინგლისთან, რომლის მიხედვით რუსეთმა უარი განაცხადა „დიდი ბულგარეთის„ სამეფოს შექმნის გეგმაზე და ასევე იძულებული გახდა რიგ დათმობაზე წასულიყო წინა აზიაში.

იმავდროულად, ინგლისმა შეთანხმება დადო თურქეთთან, რომლის მიხედვით, თურქეთის რუსეთისაგან დაცვის სანაცვლოდ, მიიღო ბერძნებით დასახლებულ კუნძულ კვიპროსის ოკუპაციის უფლება. ავსტრია-უნგრეთთან საიდუმლო მოლაპარაკებისას კი ინგლისმა მხარი დაუჭირა ავსტრიის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ოკუპაციას. ზემოხსენებული მოლაპარაკებების შედეგად, ინგლისმა მიიღო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტები აღმ. ხმელთაშუაზღვისპირეთში. რაც შეეხება ავსტრიის იმპერიის გააქტიურებას, რომელიც იმ პერიოდის საერთაშორისო არენაზე არ წარმოადგენდა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ქვეყნას, რუსეთის დიპლომატები მას მიიჩნევდნენ, როგორც ნელი მოქმედების ბომბს ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაში [6, 190].

მე19 ს-ის 70-იან წლებში საერთაშორისო ურთიერთობებში გადამწყვეტი როლის შესრულება გერმანიას ხვდა წილად. გერმანიის „რკინის კანცლერის“ — ბისმარკის გავლენამ განაპირობა, რომ მას არბიტრის როლი შეესრულებინა იმ პერიოდის საერთაშორისო პოლიტიკაში [17, 411-412].

ბერლინის კონგრესი 1878 წლის 13 ივნისს გაიმართა. კონგრესში მონაწილეობას ლებულობდნენ რუსეთი, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, ირანი და ბალკანეთის სახელმწიფოები. დაძაბული დიპლომატიური მოლაპარაკებების შემდეგ, ბერლინის ტრაქტატი საბოლოოდ გაფორმდა 1878 წლის 13 ივლისს.

ბერლინის კონგრესზე, გერმანიის მხარდაჭერით, ინგლისმა და ავსტრია-უნგრეთმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს. კონგრესის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვნად შემცირდა სლავური სახელმწიფოების უფლებები. „დიდი ბულგარეთის“, ნაცვლად შეიქმნა ფაქტობრივად დამოუკიდებელი, მაგრამ იურიდიულად მაინც სულთნის ვასალურ მდგომარეობაში მყოფი ბულგარეთის სამთავრო. სამხრეთ ბულგარეთს ანუ აღმოსავლეთ რუმელიას მიენიჭა ნაწილობრივი დამოუკიდებლობა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში. დამტკიცდა სერბეთის, ჩერნოგორიისა და რუმინეთის დამოუკიდებლობა. ავსტრია-უნგრეთს ეძლეოდა უფლება ბოსნია-ჰერცეგოვინის ოკუპაციისა. ავსტრია-უნგრეთის ჯარები შედიოდა ასევე სერბეთსა და ჩერნოგორიას შორის მდებარე „ნოვო-ბაზარის“, სანჯაყში; აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღეს იმ მიზნით, რომ ხელი შეშლოდა ორი სლავურის სახელმწიფოს გაერთიანების პროცესს. ბერლინის ტრაქტატი ასევე შეიცავდა სპეციალურ მუხლებს დობრუჯისა და ბესარაბიის მონყოფის შესახებ. აზიის პროვინციებიდან რუსეთს გადაეცა ყარსი, არტაანი და ბათუმი, ხოლო ბაიაზეთი კვლავ თურქეთს დაუბრუნდა. თურქეთს დაეკისრა ასევე 300 მილიონი მანეთის კონტრიბუცია [11, 50].

ბერლინის ტრაქტატის დადების შემდეგ, გართულდა მდგომარეობა ბულგარელებით დასახლებულ მაკედონიასა და აღმოსავლეთ რუმელიაში, რომლებიც რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი და მოითხოვდნენ ბულგარეთთან მიერთებას. როგორც აღმოსავლეთ რუმელიის, ისე მაკედონიის ბულგარელები ძირითადად ორიენტირებულნი იყვნენ რუსეთზე და მათი დახმარებით ცდილობდნენ პოლიტიკური მიზნის მიღწევას. მაგრამ, ბერლინის ტრაქტატის დადების შემდეგ, რუსეთს არ აწყობდა დამდგარიყო ახალი სამხედრო გამონეკვების წინაშე და ცდილობდა, ბალკანეთში პოლიტიკური გამოსვლები შეეჩერებინა.

1879 წლის აპრილში, გენერალ ნიკოლოზ ობრუჩევის პლავდივში ვიზიტის დროს, გაზეთი „Politische Corespondenz“, იტყობი-

ნებოდა, რომ მაკედონიაში გავრცელებული იყო რუსული წარმოშობის პროკლამაციები, რომლებიც მაკედონიის ბულგარელებს მოუწოდებდნენ, რომ იმ პერიოდისათვის არ იყო სათანადო დრო აჯანყებისთვის. აღსანიშნავია, რომ ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობდნენ ორთოდოქსული რელიგიის წარმომადგენლები, რომლებიც აქტიურად მოუწოდებდნენ ხალხს ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. ბალკანეთის მოსახლეობა გახდა ე.წ. „საზარბაზნე ხორცი“, მე-19 საუკუნის 70-90-იანი წლების ევროპული პოლიტიკისა [9, 214-216].

ბერლინის კონგრესის მე-7 მუხლის მიხედვით, რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ ბულგარეთის მმართველობის პერიოდი ორი წლის ნაცვლად განისაზღვრა 9 თვის ვადით [21, 185]. შესაბამისად, ამ ხნის განმავლობაში ბულგარეთის მართვა ხორციელდებოდა რუსეთის საიმპერატორო კარის მიერ. რუსეთის ემისარს უნდა მოენესრიგებინა სამოქალაქო მოწყობის, ადგილობრივი მმართველობის, სასამართლო სისტემის, ოსმალეთის ჯარის გაყვანის, თურქული ციხე-სიმაგრეების განიარაღების, პოლიციის მოწყობის, ციხეებისა და საპატიმროების, ჯანდაცვისა და სიცოცხლისთვის სხვა აუცილებელი საკითხები [10, 81-83].

ბერლინის ტრაქტატის შემდგომი პერიოდის ბულგარეთის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა განათლების პრობლემა. რუსეთის სამოქალაქო მმართველობის მიერ შედგა სპეციალური წესდება სახალხო სასწავლებლების შესახებ. ყურადღება მიექცა ბიბლიოთეკების ფუნქციონირებას. იმავე წელს სოფიაში გაიხსნა პირველი საჯარო ბიბლიოთეკა. თავისუფალ ბულგარულ საზოგადოებაში ჩამოყალიბდნენ საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც აერთიანებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების პარტიებსა და მოძრაობებს [23, 11]. პირველი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები, რომლებიც განახორციელა რუსეთის კარმა ბულგარეთში, ეს იყო საფოსტო კავშირის დამყარება ცენტრსა და რეგიონებს შორის, ასევე, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიზნით, მნიშვნელოვნად დაეხმარნენ 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის წინა პერიოდში რუმინეთში ფორმირებულ ბულგარეთის სახალხო ლაშქარს [2, 153; 159].

ბულგარეთის ორგანული წესდების შემუშავებაში, გარდა დონდუკოვ-კორსაკოვისა, მონაწილეობას ლებულობდა ბულგარეთის დროებითი სამოქალაქო მმართველობის სასამართლო განყო-

ფილების ხელმძღვანელი ს. ლუკიანოვი. ისტორიოგრაფიაში არსებობს ორი განსხვავებული მოსაზრება ბულგარეთის ორგანულ წესდებასთან დაკავშირებით. ნაწილის აზრით, წესდება წარმოადგენს შერწყმას 1869 სერბეთის კონსტიტუციის, რუსული კანონმდებლობისა და 1866 წლის რუმინეთის კონსტიტუციისა [14, 55-61], მეორე მოსაზრებით კი, პროექტის საფუძველს წარმოადგენდა 1831 წლის ბელგიის კონსტიტუცია [14, 55-61; 10, 85].

1879 წლის 29 აპრილს (ძვ. სტილით 17 აპრილს) ბულგარეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ ქ. ტირნოვოში მიიღო ბულგარეთის კონსტიტუცია. ეს იმ პერიოდისათვის სავსებით პროგრესულ კონსტიტუციას წარმოადგენდა. კონსტიტუციის მიხედვით, ბულგარეთი ცხადდებოდა როგორც კონსტიტუციური მონარქია ერთპალატიანი პარლამენტით. ქვეყანაში შემოღებული იქნა საარჩევნო სისტემა, რომელშიც მონაწილეობის უფლება მხოლოდ მამაკაცებს ეძლეოდათ. კონსტიტუციის მიხედვით, დეკლარირებული იქნა დემოკრატიული ღირებულებების გატარება ბულგარეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. კერძოდ: სიტყვის, პრესის, შეკრების თავისუფლება და სხვ.

იმავე დღეს ბულგარეთის პირველმა ეროვნულმა კრებამ ქვეყნის მმართველად აირჩია 22 წლის ჰესენის პრინცი ალექსანდრე ბეტენბერგი. იმავე წლის 7 ივლისს ბეტენბერგმა ფიცი დადო კონსტიტუციაზე და ქვეყნის მართვის უფლებამოსილება გადაიბარა ა. დონდუკოვ-კორსაკოვისაგან [15, 251].

რაც შეეხება ზოგადად ალ. ბეტენბერგის ბიოგრაფიას, როგორც ცნობილია, ის მოდიოდა ჰესენის საგვარეულოდან. მომავალი ბულგარეთის მმართველი დაიბადა 1857 წლის 5 აპრილს. მან ბავშვობიდან სამხედრო განათლება მიიღო და მსახურობდა თავიდან სეკუნდ-ლეიტენანტად ჰესენის მე-2 ლეიბ-დრაგუნთა პოლკში. მსახურობდა ასევე რუსეთის არმიაში და იყო მონაწილე 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომისა. რუსეთის კართან ნათესაური კავშირის ქონამ განსაზღვრა მისი ცხოვრების შემდგომი ბედი. რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ, ის აირჩიეს ბულგარეთის მთავრად. აქ მან დაჰყო 1886 წლამდე. გარდაიცვალა 1893 წელს და დაკრძალეს სოფიაში [18].

რაც შეეხება თავად ალექსანდრე ბეტენბერგის შეფასებას, მე-19 საუკუნის მემუარულ ლიტერატურაში მის შესახებ ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულებაა. კერძოდ, ბულგარე-

ლი მეცნიერებისა და გერმანელი მეცნიერების შეფასებით, ის ეროვნულ გმირად არის წარმოდგენილი, ხოლო მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის რუსულ მემუარულ ლიტერატურაში ბეტენბერგი მოიხსენება როგორც პატივმოყვარე, მატყუარა, უმადური და სხვ. [8, 325]. რუს მემუარისტთა ამგვარი პოზიცია არ იყო შემთხვევითი, რადგან მრავალი მასალით დასტურდება, რომ ალექსანდრე ბეტენბერგი რუსეთისადმი დიდი სიმპათიით არ იყო განწყობილი. ბულგარეთის მმართველი რუსეთს იყენებდა მხოლოდ საკუთარი მიზნებისათვის, რაც მოღვაწეებს პ. მატვეევსა და პ. პარენსოვს უყურადღებოდ არ გამოორჩებოდათ და ძალასაც არ იშურებდნენ რუსული და სლავური საზოგადოებისათვის წარმოდგინათ ბეტენბერგის როგორც პირადი, ისე პოლტიკური უარყოფითი მხარეები. ასევე უარყოფით კონტექსტშია წარმოდგენილი ბეტენბერგის ეთნიკური წარმომავლობა და რელიგიური მრწამსი. როგორც გერმანელ-ლუთერანელი, მათი აზრით, ის სავსებით შეუსაბამო იყო ბულგარეთისა და რუსეთის ორთოდოქსული საზოგადოებისათვის [5].

უნდა აღინიშნოს, რომ ალ. ბეტენბერგი მხარს უჭერდა მონარქიულ მმართველობას ხელისუფლებაში ბეტენბერგმა შეიყვანა სამი უახლოესი ადამიანი: ბარონ რიდოესლი, მენგე და კორფინი, მოგვიანებით კი, სასულიერო პირი ადოლფ კოხი [26, 201].

XIX ს-ის 70-იან წლების ბოლოს ბულგარეთი როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკის მხრივ, იმყოფებოდა რუსეთის, ავსტრია-უნგრეთისა და ბრიტანეთის ზეწოლის ქვეშ. ამ სამი ქვეყნის წარმომადგენლები მუდმივად ერეოდნენ ქვეყნის ცხოვრებაში, რაც იმთავითვე დისკომფორტს უქმნიდა ბეტენბერგს სახელმწიფოს მართვაში. არმია, პოლიცია და ადმინისტრაციული მმართველობის ორგანოები ფაქტობრივად იმყოფებოდა რუსი ოფიცრების ხელში. ურთიერთობა გერმანელ პრინცსა და რუს სპეციალისტებს შორის თავიდანვე დაძაბული იყო [26, 202].

პრობლემას ქმნიდა ასევე ქვეყნის პარლამენტის ინტელექტუალური რესურსი. საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობას წარმოადგენდა ნახევრად გაუნათლებელი ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნდათ სათანადო კომპეტენცია და გამოცდოლება ქვეყნის მართვაში გადაწყვეტილების მისაღებად. 1880 წლის გაზაფხულამდე პარლამენტის ორი კონსერვატიული და ლიბერალური კაბი-

ნეტი ზედიზედ ახდენდა სამთავრობო პროექტების ბლოკირებას [26, 205].

ძალიან რთული იყო ბეტენბერგისთვის მმართველობის პერიოდი 1880 წლის ივნისის შემდგომ. როდესაც გარდაიცვალა მისი დეიდა, რუსეთის დედოფალი მარია ალექსანდრეს ასული. ყოველივე ამას დაერთო 1881 წლის 1 მარტს იმპერატორ ალექსანდრე მეორეზე თავდასხმა. ამ ფაქტს ბულგარეთის ლიბერალური პარტიის მომხრეები მიიჩნევდნენ, როგორც კარგ მომენტს ქვეყანაში რეფორმების გასატარებლად [26, 205].

1881 წლის ივნისში ბეტენბერგმა გამოსცა დეკრეტი პრესის თავისუფლების შესახებ. ამ და სხვა ლიბერალური გადაწყვეტილებების მიღებით, ის შეეცადა აემალლებინა საკუთარი ავტორიტეტი საზოგადოებისა და მოსახლეობის თვალში და მოეწვია ბულგარეთის დიდი ეროვნული კრება. ბეტენბერგი ასევე ლოიალურად გამოდიოდა როგორც კონსერვატიულ პოლიტიკურ ძალებთან, ისე ბულგარეთის ორთოდოქსული რელიგიის წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

ალ. ბეტენბერგი მოითხოვდა შემდეგი ღონისძიებების გატარებას: 1) ხელისუფლების უფლებამოსილების შვიდი წლით გახანგრძლივებას; 2) არსებული საკანონმდებლო ორგანოს მოქმედების შეჩერებას და 3) დიდი ეროვნული ასამბლეის არჩევას შვიდი წლის ვადით.

1881 წელს ბულგარეთის დიდი ეროვნული კრების არჩევნები ჩატარდა არმიის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ, რომელიც დასრულდა ბეტენბერგის მომხრე კონსერვატორების სრული გამარჯვებით. რადიკალური ფრთის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ ქვეყანა და აღმოსავლეთ რუმელიაში გადასულიყვნენ [26, 206].

XIX ს-ის 80-იანი წლების დასაწყისში, ბულგარეთში ერთმანეთს შეეჯახა რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის ინტერესები რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით. პანსლავური წრეები ელოდნენ მთავრის მიერ რუსეთის ინტერესების მხარდაჭერას, მაგრამ ბეტენბერგის პირველი ანტირუსული მოქმედება იყო რუსეთის ინტერესების უგულვებელყოფა ბულგარეთის რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით. შემდგომი ანტირუსული გამოვლინება იყო არასათანადო პირობებში ყოფნა რუსი ოფიცრებით დაკომპლექტებული ბულგარეთის არმიისა.



არსებულ ვითარებას კარგად ამჩნევდა რუსეთის საიმპერატორო კარი. მას შემდეგ რაც ბეტენბერგმა 1882 წლის მაისში იმოგზაურა პეტერბურგში, რუსეთიდან ბულგარეთის ახალ მთავრობაში გამოგზავნეს ალექსანდრე კაულბარსი და ლეონიდ სობოლევნი. პირველი, როგორც სამხედრო მინისტრის, ხოლო მეორე, როგორც შინაგან საქმეთა მინისტრის რანგში. მიუხედავად იმისა, რომ რუსი გენერლები დიდ ზეწოლას განიცდიდნენ კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლებისაგან, რომლებსაც ზურგს ავსტრია-უნგრეთი უმაგრებდა, რუსული გავლენა ბულგარეთზე მთელი თხუთმეტი თვის მანძილზე დღითიდღე ძლიერდებოდა, შედეგად კი ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები ძალიან დაიძაბული გახდა [26, 207].

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ბულგარეთში შეიცვალა პოლიტიკური განვითარების სპექტრი. ერთ-ერთი მთავარი ფაქტი მათ შორის იყო რადიკალურ-ლიბერალური პარტიის შექმნა. რომელსაც სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთ რუმელიიდან დაბრუნებული, რუსეთში განათლება მიღებული და 1877-78 წლების რუსეთთურქეთის ომის მონაწილე პეტკო კარაველოვი, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ ფიგურას მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ბულგარეთის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. რადიკალურ-ლიბერალური პარტიის მოღვაწეობას მხარს უმაგრებდა ის გარემოებაც, რომ ბულგარეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების ნაწილი მომავალი ცხოვრების გაგრძელებას მხოლოდ რუსეთთან კავშირში ხედავდა. მაგრამ ქვეყანაში ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდა მეორე პოლიტიკური დაჯგუფება, რომელსაც მომავალი განვითარება ავსტრია-უნგრეთთან ყოფნით წარმოედგინა. პოლიტიკურ ძალათა ამგვარი გახლეჩა იმთავითვე უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ერთიანობისა და სტაბილიზაციის შენარჩუნებაზე [26, 211].

ბალკანეთის საკითხი მე-19 საუკუნის 80-იან წლებში წარმოადგენდა იმპერიის კანცელარიასა და საგარეო საქმეთა უწყების სააზიო დეპარტამენტს შორის მთავარი დაპირისპირების საგანს. თავად კანცელარია დაკავებული იყო იმპერიის სხვა გლობალური პრობლემებით, ამდენად, ბალკანეთი მათთვის მეორეხარისხოვან საგანს წარმოადგენდა. ძირითადად ამ საკითხით დაკავებული იყო იმპერიის საგარეო უწყების სააზიო დეპარტამენტი, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ბალკანეთის ორთოდოქსული ეკლესიის პირებსა და პანსლავურ პოლიტიკურ ძალებს შორის [26, 196].

1882-84 წლებში ბულგარეთში ადგილი აქვს მწვავე ბრძოლას რუსოფილ და რუსოფობ ძალებს შორის. 1883 წელს, როდესაც ბეტენბერგი სტუმრობდა პეტერბურგს ალექსანდრე III-ის კურთხევის ცერემონიაზე, მან იმპერატორს თხოვა გაენვია კაულბარსი და სობოლევი ბულგარეთიდან, მაგრამ პასუხად უარი მიიღო [26, 208].

ბეტენბერგი რეალურად არ აფასებდა რუსეთ-ბულგარეთის ურთიერთობებს, არც ალექსანდრე III-ის მხრიდან გამოვლენილ ანტიპატიას აღიქვამდა სერიოზულად.

სოფიაში დაბრუნებული ბეტენბერგი დღითიდღე გრძნობდა რუსეთის გავლენის ზრდას. ეს თვალში საცემი გახდა მას შემდეგ, რაც 1883 წელს პეტერბურგიდან გამოგზავნეს ახალი დიპლომატიური წარმომადგენელი ალექსანდრე იონინი. პირველსავე შეხვედრაზე იონინი ბეტენბერგს სთხოვდა 1879 წლის ტირნოვოს კონსტიტუციის ამოქმედებას. საერთაშორისო საზოგადოება რუსეთის ამგვარ მოქმედებას წინააღმდეგობით შეხვდა. პროტესტს გამოთქვამდა როგორც ავსტრია-უნგრეთის ხელისუფლება, ისე გერმანიის, საფრაგეთისა და ბრიტანეთის ხელისუფლების წარმომადგენლები [26, 208-209].

ასეთ ვითარებაში ბეტენბერგის ერთადერთი გამოსავალი იყო მოლაპარაკება უკიდურეს ლიბერალ პოლიტიკურ ძალებთან და მათი მხარდაჭერით ახალი მთავრობის ფორმირება [26, 209].

1883 წლის სექტემბერში ბეტენბერგმა დაითხოვა ძველი მთავრობა. იმავე დღესვე შექმნა მთავრობის ახალი კაბინეტი დრაგან კანკოვის მეთაურობით. კაულბერი და სობოლევი ქვეყნიდან განვეულ იქნენ. ვაკანტურად დარჩენილ თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დამტკიცებულ იქნა რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი გენერალი ლესოვოი. გარდა ამისა, სამხედრო სამსახურს ჩამოაცილეს 36 ბულგარელი ოფიცერი, რომლებიც რუსულ არმიაში მსახურობდნენ. ბეტენბერგი ვილჰელმ II-ის დასთან, ვიქტორიასთან მიწერილ წერილში აღფრთოვანებით აღნიშნავდა მისი წარმატებული ქმედების შესახებ, რომელიც მისი სიტყვებით, მიმართული იყო რუსეთის გადამეტებული გავლენის წინააღმდეგ. რუსეთის ორივე გენერლის განწევვისა და თავად ბეტენბერგის განხორციელებული ქმედებების მიუხედავად, რუსული გავლენა ბულგარეთის არმიასა და მმართველობაში მაინც გრძელდებოდა [26, 209-210].

1885 წლის 6 სექტემბერს, რუსეთისა და სხვა დიდი სახელმწიფოების ინტერესების სანიანალმდეგოდ, ქ. პლოვდივში ბულგარეთმა და აღმოსავლეთ რუმელიამ იმ პერიოდის მსოფლიო საზოგადოების წინაშე საზეიმოდ გამოაცხადეს ერთ ქვეყნად გაერთიანების შესახებ, რამაც წარმოქმნა ბულგარეთის კრიზისი. სერბეთი წინააღმდეგი წავიდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ბულგარეთის გაერთიანებისა. სერბეთის მთავრობა მიიჩნევდა, რომ ეს გადაწყვეტილება დაარღვევდა ძალთა ბალანსს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე [15, 256]. როგორც ბულგარელი ისტორიკოსი ვენედიქტოვი წერდა, სერბეთს ანტიბულგარულ გამოსვლაში ავსტრია-უნგრეთთან ერთად მხარს უჭერდა ოსმალეთი, რომელიც სერბეთს სამხრეთ ბულგარეთის მიწების ხარჯზე ტერიტორიის ზრდაში აიძებდა [4, 38].

სამხედრო დაპირისპირება, რომელიც ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, საბოლოოდ დასრულდა ბულგარეთის სამხედრო გამარჯვებით. სერბეთ-ბულგარეთის ომი გაფორმდა 1886 წლის 7 დეკემბრის ბუჰარესტის საზავო ხელშეკრულებით. აღნიშნულ საერთაშორისო ხელშეკრულებას ხელს აწერდნენ გერმანიის, რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთის, ინგლისის, იტალიისა და თურქეთის წარმომადგენლები [29, 12]. საერთაშორისო ზეწოლის (განსაკუთრებით ავსტრია-უნგრეთის) შედეგად, ბულგარეთი იძულებული გახდა, დათანხმებოდა ომამდელი ვითარების შენარჩუნებას. სერბეთისა და ბულგარეთის ტერიტორიები უცვლელი დარჩა. მხოლოდ ბულგარეთისა და აღმოსავლეთ რუმელიის გაერთიანება აღიარეს დიდმა სახელმწიფოებმა. როგორც ბულგარელი მეცნიერები აღნიშნავენ, ომის შემდეგ გაიხსნა შემდგომი გზა ბულგარეთის მომავალი წარმატებული განვითარებისა.

ბუჰარესტის ზავის შემდეგ ბულგარეთის შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაცია კვლავ გრძელდებოდა. როდესაც მიმდინარეობდა დაპირისპირება ბულგარეთის პრორუსულ და პროავსტრიულ პოლიტიკურ ძალებს შორის, რუსეთის საგარეო უწყების სააზიო დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ბეტენბერგის მთავრობის ბულგარეთის პოლიტიკური სცენიდან მოშორების შესახებ. რასაც მხარს უჭერდნენ პრორუსული პოლიტიკური ძალები. ამ მიზნის მისაღწევად აქტიურად მოქმედებდნენ რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური აგენტურული ქსელის წარმომადგენლები [29, 51].

სერბეთ-ბულგარეთის ომის შემდეგ ბულგარეთის საშინაო პოლიტიკაში კვლავ ორ ჯგუფად იყო დაყოფილი საზოგადოება. ბეტენბერგის საწინააღმდეგო პოლიტიკურ კამპანიაში განსაკუთრებით აქტიურობდა ბულგარეთი ოპოზიციური პრესა, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება უმაგრებდა ზურგს.

1886 წლის აგვისტოში რუსოფილურმა ძალებმა, სტამბულოვის მეთაურობით, განახორციელეს მარში ბულგარეთის დედაქალაქისაკენ. მათთან ერთად მონაწილეობას ლეზულობდნენ აღმოსავლეთ რუმელიის რუსეთისადმი ლიბერალურად განწყობილი ძალები. ბეტენბერგი დაითხოვეს ბულგარეთის მმართველობიდან.

სახელმწიფო გადატრიალება წარმატებულად არ წარიმართა. კონტრგადატრიალების შედეგად ალ. ბეტენბერგი კვლავ მიწვევს მთავრად. დაბნეულობაში მყოფმა ალ. ბეტენბერგმა რჩევისთვის მიმართა რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ს. ბეტენბერგს არანაირი მხარდაჭერა არ მიუღია არც რუსეთის იმპერატორისაგან და არც სტეფან სტამბულოვისაგან, რის შემდეგ, საბოლოოდ უარი თქვა ბულგარეთის მთავრობის მეთაურის პოსტზე [15, 257].

1886 წლის სექტემბერში სოფიაში გამოცხადდა რუსეთის საგანგებო წარმომადგენელი კაულბარსი, რომელიც ბულგარეთის ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებს უნდა მოლაპარაკებოდა ქვეყნის ტახტზე ახალი კანდიდატურის შერჩევის შესახებ. ბულგარელებისათვის ამ მტკივნეული საკითხის მიმართ კაულბარსის უხეშმა დამოკიდებულებამ, განაპირობა ოფიციალური მოლაპარაკების ჩაშლა რუსეთსა და ბულგარეთს შორის. 1886 წელს რუსეთმა საერთოდ განწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ბულგარეთთან.

ავსტრიისა და ინგლისის მთავრობებმა, რომლებიც ცდილობდნენ ბულგარეთი საერთოდ გაეთავისუფლებინათ რუსეთის გავლენისაგან, თურქეთისა და ბულგარეთის შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის მიხედვით რუმელია ფორმალურად რჩებოდა თურქეთის გავლენის ქვეშ. თუმცა ოსმალეთის ხელისუფლება ბულგარეთის გუბერნატორს ამტკიცებდა ხელისუფლების შთამომავლობითი ხაზით გადაცემის პრინციპით. 1886 წლის 6 აპრილს თურქეთმაც საბოლოოდ ოფიციალურად ცნო ჩრდილოეთი და სამხრეთი ბულგარეთის გაერთიანება. 1887 წლის დასაწყისში, ავსტრია-უნგრეთმა, გერმანიის მხარდაჭერით, ბულგარეთის სამეფო ტახტზე

დაამტკიცა პრინცი ფერდინანდ-საკსენ-კობურგ-გოთსკი, რის შედეგად, ბულგარეთის ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ავსტრია-უნგრეთის მომხრე პოლიტიკური ძალები [15, 258].

1885 წლის ბულგარეთის კრიზისმა, ავსტრია-რუსეთის დაპირისპირებამ და 1885-87 წლებში ბალკანეთში შექმნილმა ვითარებამ საბოლოოდ დაშალა „სამი იმპერატორის კავშირი“.

### დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. *Айрапетов О.*, О причинах начертания Сан-Стефанских границ Болгарии,
2. <http://www.zapadrus.su/slavm/ispubsm/210-2010-12-22-13-32-34.html>. დაშვება 28.08.0.2012.
3. Александрович С.С., Реформы русского гражданского управления в Болгарии (январь-май 1878 г.) / С.С. Александрович // Працы гістарычнага факультэта БДУ : навук. зб. Вып. 5, Мінск, 2010.
4. Валев Л. К. характеристике социально-политических взглядов Христо Ботева, «Вопросы Истории», 1948, №1.
5. Венедиктов Й., История на доброволците от Сербско-Балгарската война 1886, «Сливница», 1935.
6. Гоков Олег, Образ князя Александра Баттенберга в российской мемуаристике последней четверти XIX – начала XX вв., [http://library.by/portalus/modules/history-/readme.php?subaction=showfull&id=1297706545&archive=&start\\_from=&ucat=&](http://library.by/portalus/modules/history-/readme.php?subaction=showfull&id=1297706545&archive=&start_from=&ucat=&);
7. Григорьева А., Внешняя политика Австро-Венгрии на Балканах и Панславизм, 60-ые года 19 века начало 20, Вестник Иркутского государственного технического университета, №7, 2011 год.
8. Дебидюр А., Дипломатическая история Европы, т. 2, Москва, 1947.
9. Дневник Д. А. Милютина: В 3 т. 1878–1880 гг. / Ред. и зам. П. А. Зайончковского. Москва, 1950.
10. *Дойнов Д.*, Кресненско-Разложкото въстание, 1878–1879 гг., <http://www.promacedonia.org/dd2/index.html>;
11. *Евдокимова А.В.*, Российская политика в Болгарии в конце 70-х гг. XIX в. после завершения русско-турецкой войны в книге: Н. М., Плотников В. А.. Регион в глобальной архитектуре современного

- мира. Материалы межвузовской научно-практической конференции, Москва, 2011.
12. История Дипломатии, под редакцией Акад. В.Потемкина, т. 2, М. 1945
  13. История России: IX—XXI вв. От Рюрика до Путина: Учебное пособие/ Отв, ред. Я. А. Перехов. — Москва, Ростов-на-Дону, 2003.
  14. История XIX века под редакцией профессоров Лависа и Рамбо, т. 7, Москва, 1939.
  15. Коротких М.Г., История создания Тырновской конституции 1879 г.: к 100-летию первой Болгарской конституции// Изв. вузов. Правоведение. – 1979. №2.
  16. Краткая история Болгарии, под редакцией Г. Литаврина, Москва, 1987.
  17. Кузьменко Михаил , Генезис идеи «Великой Болгарии» в 70-х гг. XIX в; Актуальні проблеми історії, теорії та практики художньої культури. – Киев. Міленіум, 2012.
  18. Новиков С., Манькин А., Дмитриева О., Всеобщая история, Москва, 1999.
  19. Рожинцев А. Первый Монарх Болгарии Александр I Баттенберг ; [http://www.otechestvo.org.ua/hronika/2004\\_12/h\\_1\\_01.htm](http://www.otechestvo.org.ua/hronika/2004_12/h_1_01.htm); <http://ru.wikipedia.org>;
  20. Ростунов И., Освобождение Болгарии от Османского ига, в журн. Вопросы истории, Москва, 1978 г., №3.
  21. *Сан-Стефанский* прелиминарный мирный договор., <http://hrono.ru/dokum/1800dok/1878sanstef.php>. ᠒᠑᠗᠗᠗᠗–29.08.2012.
  22. Сборник договоров России с другими государствами, 1856-1917 гг. М., 1952.
  23. Фортунатов П., Война 1877-1878 гг. и освобождение Болгарии Москва, 1930.
  24. Червенков Н., Болгарское общество на рубеже веков (политическая система). В книге: Болгария в XX веке: очерки политической истории, под редакцией Е. Л. Валева, Москва, 2003.
  25. Fuerst Aleksander von Bulgarien, (Mittheilungen aus seinem Leben und seiner Regierung, Darmschtadt, 1887.
  26. Bulgarische nationalismus und die Politik bismarcks. Author, Roland Schaller. Publisher, Johann Wolfgang Goethe-Universitat, 1975.

27. Björn Opfer, Alexander v. Battenberg und die Anfänge des Bulgarischen Fürstentums, Zeitschrift für hessische Geschichte und Landeskunde, #108(2003), Johann Wolfgang Goethe-Universität, Frankfurt am Main, 1975.
28. Gerd Fesser, Europa 1815 – 1914 Vom Wiener Kongress bis zum Ersten Weltkrieg ; Erfurt, 2002.
29. Die Große Politik der Europäischen Kabinette 1871-1914; B. 5, Berlin 1922.
30. 1200 Jahre deutsch-bulgarische Beziehungen – ein Überblick Professor Dr. Heinz-Günther Borck, <http://www.obere-meerbach.de/Bulgarien.pdf>.
31. <http://www.slovo.bg/showwork.php3?AuID=101&WorkID=2847&Level=3>.
32. <http://www.studhistory.ru/pages/more/ustroystvo-vostochnoj-rumelii.html>.

**Zurab Sulaberidze**

*Doctor of History, Museum of Colchian Culture of Foti, Senior Scientist-researcher*

### **The Balkan crisis and the problems of political history in Bulgaria In the late 19th century (1870-1880)**

#### **Summary**

In 1870, Most portions of the Balkan Peninsula remained under the influence of the Ottoman Empire. The main arena of fighting against the Ottoman Empire was Bosnia – Herzegovina and Bulgaria. In September, 1875 in the Bulgarian city Stara- Zagovor there was a revolt. Though mutiny has been won by Ottomans, the event left a trace on future political life in the Balkans. New large-scale performance in the Balkan countries began in April, 1876. This caused interest to the great powers of England, Austria - Hungary, and Russia. Diplomatic pressure was put upon the Ottoman Empire in 1875-1876, and was without results.

On April 24, 1877, Russia has declared war on Turkey. On March 3 1878 the San - Stefano peace treaty was signed but, had not been carried out. After intensive diplomatic negotiations, the Berlin contract on July 13, 1878 had been signed.

Instead of "Great Bulgaria", what was created was the Independent Principalities of Bulgaria; which was still under submission of Ottoman sultan yard. Partial independence received Eastern Rumelia. Serbia, Romania and Montenegro as the Berlin treaty recognized these as independent countries.

On April 29, 1879 the great national meetings of Bulgaria in Tyrnovo adopted the country Constitution. On the same day the national meetings confirmed the governor of the country Alexander Bettenberg.

At the end of 1870's, internal and foreign policy of Bulgaria was under the pressure of Russia, Austria - Hungary, and Great Britain.

On September 6, 1885, in the city of Plovdiv, (in front of the world community); They were declared an association of Bulgaria and Eastern Rumelia. This fact aggravated Bulgarian-Serbian relations. The political situation brought about the Bulgarian crisis. Military opposition continued for more than a year, until the victory of Bulgaria. On December 7, 1886, In Bucharest the peace treaty was signed. According to the treaty the world community recognized a united Bulgaria and Eastern Rumelia.



*ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი,  
დავით აღმაშენებლის სახელობის სა-  
ქართველოს ეროვნული თავდაცვის  
აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კო-  
ლეჯის უფროსი ინსტრუქტორი*

## **ბოლშევიკურ-ქაშალისტური ურთიერთობების დასაწყისი და პირველი კონტაქტები 1919 წელს**

I მსოფლიო ომი ოსმალთა იმპერიისათვის სრული მარცხით დასრულდა. 1918 წლის 27 ოქტომბერს, სირია-პალესტინის ფრონტზე შექმნილი კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარე, ოსმალთა იმპერია წყვეტს საომარ მოქმედებებს და ითხოვს ზავს.

საზავო მოლაპარაკებები ბრიტანელ და ოსმალთა წარმომადგენლებს შორის კუნძულ ლემნოსის პორტ მუდროსში შედგა, ამიტომ იგი ისტორიაში მუდროსის ზავის სახელით შევიდა. მოლაპარაკებები ბრიტანულ სამხედრო ხომალდ „HMS Forsyth“ -ის ბორტზე დაიწყო და „HMS Agamemnon“ -ზე დასრულდა. თურქეთის მხრიდან დელეგაციას ხელმძღვანელობდა პუსეინ რაუბ ორბეი — ოსმალთა იმჟამინდელი სამხედრო-საზღვაო მინისტრი, ხოლო ბრიტანული მხარის რწმუნებებით აღჭურვილ პირს დიდი ბრიტანეთის ხმელთაშუა ზღვის ფლოტის სარდალი, ადმირალი სომერსეტ არტურ კელტორფი (S. A. Calthorpe) წარმოადგენდა.

მუდროსის ზავის ძირითად პუნქტებს შემდეგი სახე ჰქონდა:

1. დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები იხსნება და მოკავშირეთა ქვეყნების გემებს ეძლევათ თავისუფალი მიმოსვლის საშუალება.

2. დაუყოვნებლივ მოხდეს თურქეთის შეიარაღებული ძალების დაშლა. დაშვებულია მხოლოდ სასაზღვრო ძალებისა და შინა წესრიგის დაცვისთვის საჭირო აუცილებელი ძალების არსებობა;

3. დაუყოვნებლივ მოხდეს კავკასიისა და ირანის ტერიტორიებიდან თურქების საოკუპაციო ჯარების გამოყვანა;

4. ანტანტის წევრი ქვეყნები იღებენ სრულ კონტროლს თურქეთის რადიოზე, ტელეგრაფზე, კომუნიკაციებზე, რკინიგზაზე, საზღვაო პორტებზე, სამხედრო გარნიზონებზე;

5. აუცილებლობის შემთხვევაში, ანტანტის წევრი ქვეყნები იტოვებენ უფლებას მოახდინონ თურქეთის ამა თუ იმ პროვინციის ოკუპირება;

საომარი მოქმედებები ოტომანთა სახელმწიფოსა და ანტანტის ქვეყნებს შორის შეწყდა 1918 წლის 31 ოქტომბრის 24<sup>00</sup> საათზე ადგილობრივი დროით [1, 11].

1918 წლის 13 ნოემბერს მოკავშირეთა ფლოტილია კონსტანტინოპოლში შევიდა. მოკავშირეთა ჯარები — 2616 ბრიტანელი, 540 ფრანგი და 470 იტალიელი ჯარისკაცი იკავებენ ყაზარმებს, სასტუმროებს, იტალიურ და ფრანგულ სკოლებს, ჰოსპიტლებს.[2, 99] იმპერიის ეროვნული უმცირესობები, განსაკუთრებით ბერძნები და სომხები ზეიმობდნენ. თავის აღტაცებას განსაკუთრებით ბერძნული მოსახლეობა გამოხატავდა, რომელიც ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად მასიურ დემონსტრაციებს მართავდა. თავიდან რომ აეცილებინათ ინციდენტები და მთავრობის საპასუხო რეაქცია, ბრიტანულ-ფრანგულმა სარდლობამ ბერძნული ეკლესიის პატრიარქსაც კი მიმართა თხოვნით, შეეზღუდათ მსგავსი დემონსტრაციები.

იმპერიის მმართველი „ერთიანობისა და პროგრესის“ (Ittihat ve Terakki) პარტია დამარცხდა. ოფიციალურად იგი დაშლილ იქნა, ხოლო მის ქონებას კონფისკაცია ჩაუტარდა... ახალი სულთნის, ვაჰიდედინის მიერ, რომელმაც ტახტზე თავისი გარდაცვლილი ძმა, მეჰმედ V, 1918 წლის 28 ივნისს შეცვალა, იტიხადისტთა პარტიის ლიდერები კანონგარეშედ და დამნაშავეებად გამოცხადდნენ.

მუდროსის ზავმა უმძიმეს პირობებში ჩააყენა თურქული სახელმწიფო. იურიდიულად და შინაარსობრივად ეს იყო უსიტყვო კაპიტულაციის აქტი — ოსმალთა იმპერიის დასასრულის დასაწყისი. ამ აქტით წერტილი უნდა დასმოდა „ერთიანობისა და პროგრესის პარტიის“ „ახალგაზრდა თურქთა“ მმართველობასა და ოტომანთა იმპერიის მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

ანტანტის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით მთელი ამიერკავკასია დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული გავლენის ზონად გამოცხადდა და ბრიტანული ჯარების სარდლობაც რეგიონის მართვის შესაბამისი მანდატით აღიჭურვა. მანდატის თანახმად, სამი-

ვე რესპუბლიკის დედაქალაქში ბრიტანელთა საოკუპაციო ნაწილები უნდა შესულიყვნენ. ამ ჯარების საერთო ხელმძღვანელი, სპარსეთში დისლოცირებული ბრიტანული კონტინგენტის სარდალი, გენერალ-მაიორი უილიამ მონტგომერ ტომსონი (William Montgouimer Thomson), ნოემბრის პირველ რიცხვებში ენზელიდან ბაქოში გამოგზავნილ ტელეგრამაში მკაცრად მოითხოვდა, რომ თურქულ შენაერთებს ორ კვირაში დაეცალათ ბაქო, ხოლო ერთ თვეში — მთელი ამიერკავკასია. ნაყენებული ულტიმატუმის საფუძველზე, თურქებმა იძულების წესით დაიწყეს ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიების დატოვება [3, 255].

მალე ამიერკავკასიაში ბრიტანული საოკუპაციო ჯარების კონტინგენტი იქნა შეყვანილი. ამას გარდა, ბრიტანელებმა ოსმალთა იმპერიის სხვა მიწების ოკუპაციაც მოახდინეს — 8 ნოემბერს მოსული, შემდეგ კი — ურფა, მარაში, ანტეპი. სამსუნი, ბალდადი და სირია მათ უკვე დაკავებული ჰქონდათ I მსოფლიო ომის მსვლელობისას. ფრანგები ქილიკიასა და ადანაში 25 ნოემბერს გამოჩნდნენ, ხოლო 1918 წლის 17 დეკემბერს ფრანგული ქვედანაყოფები ვიცე-პოლკოვნიკ რომიოს მეთაურობით მერსინში შევიდნენ. 1500 კაციან ქვედანაყოფში მხოლოდ 150 მებრძოლი იყო ეროვნებით ფრანგი, დანარჩენები სომეხი ლეგიონერები იყვნენ. 1918 წლის 18 დეკემბერს კი, გენერალი მორის გამელინი (Maurice Gamelin), ფრანგული საოკუპაციო ჯარების სარდალი სირიაში, დიდი პომპეზურობით შევიდა ადანაში [4, 24]. 1919 წლის 29 აპრილს მოკავშირეებთან დადებული საიდუმლო ხელშეკრულების საფუძველზე, იტალიელებმა ანტალია და კონია დაიკავეს.

ფრანგულ ქვედანაყოფებთან ერთად ოკუპირებულ ტერიტორიებზე მოსულმა სომეხმა ლეგიონერებმა I მსოფლიო ომის დროს ამ ტერიტორიებიდან გასახლებული სომეხი მოსახლეობის დაბრუნებისათვის დაიწყეს ბრძოლა, რამაც ადგილობრივი მუსლიმი და სომეხი მოსახლეობის დაპირისპირებები გამოიწვია [5, 259].

1918 წლის 8 დეკემბერს კონსტანტინოპოლში მოკავშირეთა სამხედრო ადმინისტრაცია შეიქმნა და სულთანმა მეჰმედ VI ვაჰიდედინმა პარლამენტი დაითხოვა. მუდროსის ზავსა და მოკავშირეთა ჯარების მიერ ოსმალთა ტერიტორიების ფაქტობრივ ოკუპაციას ანტანტის ზედამხედველი ინსპექტორების დანიშვნა მოჰყვა, რომლებიც ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებებით აღიჭურვნენ. ოსმალთა იმპერია მხოლოდ ნომინალურად ინარჩუნებდა სახელ-

მნიფობრიობას, სულთანი და მისი კაბინეტი მარიონეტულ დამოკიდებულებაში აღმოჩნდნენ საოკუპაციო ჯარების სარდლობებზე.

საგრძობლად შემცირდა იმპერიის ტერიტორიაც. თუ 1914 წლის მონაცემებით ოსმალთა იმპერიის ტერიტორიები შეადგენდა 1786716 კვადრატულ კილომეტრს 21 მილიონიანი მოსახლეობით, 1919 წელს იმპერიის ფართობი 732000 კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა და მოსახლეობამაც მხოლოდ 13 მილიონი ადამიანი შეადგინა. I მსოფლიო ომის შედეგად ოსმალეთის იმპერიამ თავისი ტერიტორიების 66% და მოსახლეობის 33% დაკარგა... [6, 45] ოსმალთათვის შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა და მოვლენათა განვითარების ლოგიკური ჯაჭვი იმაზე მიუთითებდა, რომ ოსმალთა იმპერია და თურქული სახელმწიფო უკანასკნელ დღეებს ითვისებდა...

და აქ პოლიტიკურ არენაზე გამოდის ოტომანთა არმიის ახალგაზრდა გენერალი, მე-7 არმიის სარდალი, ჰალიპოლისის (დარდანელის) ბრძოლების გმირი, 38 წლის მუსტაფა ქემალ ფაშა, შემდგომში „თურქთამამად“ (Atatürk) ნოდებული, რომელმაც გადაწყვეტილი როლი ითამაშა თურქი ხალხის კონსოლიდაციაში, თურქეთის, როგორც სახელმწიფოს გადარჩენაში, თურქეთის რესპუბლიკის შექმნასა და თურქების, როგორც ერის ჩამოყალიბებაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა მუსტაფა ქემალისა და მისი თანამოაზრეების ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან მიმართებაში წარმოებული სამხედრო-პოლიტიკური კურსი, რომელსაც კონტექსტად რუს ბოლშევიკებთან მისი არაერთგვაროვანი ურთიერთობები გასდევს, რაც საერთო ჯამში, ბოლშევიკურ-ქემალისტური მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბებით დასრულდა.

I მსოფლიოს ომის შემდგომი ახალი ტერიტორიული გადანაწილებისა და პოლიტიკური წესრიგის აღდგენის საკითხი პარიზის „მსოფლიო სამშვიდობო კონფერენციას“ უნდა გადაეწყვიტა, რომელმაც მუშაობა 1919 წლის 12 იანვარს დაიწყო. საინტერესოა ატმოსფერო სუფევდა კონფერენციაზე — ერთის მხრივ იგი გარკვეულწილად იმ ტრიბუნალის როლს ასრულებდა, რომელსაც ოსმალთა იმპერია უნდა გაესამართლებინა „კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულობებისათვის“, მეორეს მხრივ კი, მომრიგებელ შუამავალს წარმოადგენდა გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის, ახლადმოპოვებული ტერიტორიების გადანაწილების საქმეში.

კონფერენციის მუშაობის პერიოდში მსოფლიოს სახელმწიფოებსა და მათ მთავრობებს მკაცრი მიმართვა-გაფრთხილებები დაეგზავნათ, რომელიც კრძალავდა ტერიტორიული პრეტენზიებისა თუ სხვა მიზეზებით ნებისმიერი მასშტაბის საომარი მოქმედებების დაწყებასა და წარმოებას. 1919 წლის 24 იანვრით დათარიღებული ეს მონოდება-გაფრთხილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასაც გაეგზავნა, რომელსაც შემდეგი სახე ჰქონდა:

**„გაფრთხილება გამოცემული პარიზის საერთაშორისო მშვიდობიანი კონფერენციის მიერ. 24. 01. 1919.**

მთავარი თათბირის შემდეგ, შეერთებული შტატების პრეზიდენტს, მოკავშირე სახელმწიფოების პრემიერ მინისტრებსა და მინისტრებს, იაპონიის წამომადგენლებთან ერთად ჰქონდათ მცირე თათბირი, რის შემდეგაც მივიდნენ შეთანხმებამდე, რომ ტელეგრაფის მეშვეობით მსოფლიოს ყველა კუთხეს ეცნობოს ეს განცხადება:

ამჟამად კონფერენციაში მონაწილე სახელმწიფოების მთავრობები ღრმად შეუფოთებულნი არიან ევროპიდან და აღმოსავლეთიდან მომდინარე ცნობებით შეიარაღებული ძალების გამოყენებით იმ ტერიტორიების მოპოვების შესახებ, რომლის დაკანონების უფლებაც განსაზღვრულად მხოლოდ სამშვიდობო კონფერენციას გააჩნია. ისინი ვალდებულად თვლიან თავს, რომ აცნობონ ყველას, ტერიტორიების ძალით დაპყრობის შემთხვევაში თავად დამპყრობლები მიიღებენ სერიოზულ ზარალს.

ეს მდგომარეობა გვაფიქრებინებს, რომ ძალმომრეობის ჩამდენთ თავად შეაქვთ ეჭვი თავიანთი მოქმედებების სამართლიანობაში და ცდილობენ მოიპოვონ ტერიტორიები ძალის გამოყენებით და არა რასობრივი, ნაციონალური ან ისტორიული სურათიდან გამომდინარე. ამგვარად, ისინი ჩრდილს აყენებენ ყოველგვარ სამართალს და უნდობლობას უცხადებენ თავად კონფერენციას. აქედან შეიძლება მივიღოთ ყველაზე არასასურველი შედეგები. თუ ისინი სამართლიანობას ელიან, მაშინ მათ თავი უნდა შეიკავონ ძალმომრეობისაგან და გადასცენ ამ საკითხების გადაჭრის საშუალება სამშვიდობო კონფერენციას“ [7].

მიმართვის ტექსტიდან ჩანს, რომ მსოფლიო სამართლის განსაზღვრისა და სამართლიანობის დადგენის ექსკლუზიურ უფ-

ლებას პარიზის სამშვიდობო კონფერენცია თავის თავზე იღებდა. და ამაში გასაკვირიც არაფერი არ იყო. როგორც იტყვიან — „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ“ . მაგრამ ამ დოკუმენტში ეს არაა მთავარი. მხოლოდ ამით არაა ეს გზავნილი მნიშვნელოვანი. ამ დოკუმენტის უპირველესი ღირებულება ისაა, რომ პარიზიდან იგი საქართველოში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელზე იყო გამოგზავნილი. მიუხედავად იმისა, რომ 1919 წლის დასაწყისისათვის საქართველო გერმანიის გარდა, მსოფლიოს არც ერთ სხვა სახელმწიფოს მიერ არ იყო ცნობილი არც დე-ფაქტო და არც დე-იურე, პარიზის სამშვიდობო კონფერენციის საბჭოს მიერ საქართველოც იქნა ჩართული, ასე ვთქვათ, დოკუმენტთა „დაგზავნის ნუსხაში“ . ეს მომენტი კი, თავისთავად უკვე მეტად საყურადღებო, მრავლისმეტყველ და საქართველოს მთავრობისათვის დამაიმედებელ ფაქტს წარმოადგენდა. ეს განაცხადი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაში მონაწილე ქვეყნების მიერ საქართველოს დე ფაქტო აღიარების წინაპირობად შეიძლება ყოფილიყო ჩათვლილი. ჩვენთვის უცნობია დაეგზავნათ თუ არა პარიზის კონფერენციის იგივე შეტყობინება რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მთავრობებს, მაგრამ მოვლენათა განვითარების ლოგიკა იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი ეს ვარაუდი დადასტურებულიად ჩავთვალოთ.

პარიზის კონფერენციის ამ მოწოდებას, ცხადია, უმალ გამოეხმაურა საქართველოს მთავრობა. ნოე ჟორდანიასა და მისი თანაპარტიელებისათვის მშვიდობისმყოფელისა და დემოკრატიის იმიჯი მეტად ძვირად ფასობდა. საქმე იმაშია, რომ 1919 წლის დასაწყისისათვის ქართული შეიარაღებული ძალები უმძიმეს ბრძოლებს აწარმოებდნენ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად. სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებები ახალი დასრულებული იყო. 1919 წლის დადგომისთანავე კი, ქართული სახელმწიფო ორი განსხვავებული მიმართულებიდან ერთდროულ სამხედრო აგრესიას განიცდიდა. საუბარი ერთის მხრივ აფხაზეთის რეგიონსა და იქ შემოჭრილ გენერალ ანტონ დენიკინის ე.წ. „მოხალისეთა არმიას“ , ხოლო მეორეს მხრივ, ახალციხე-ახალქალაქის მაზრებსა და იქ დანეჭბულ პანისლამისტურ, ოსმალთაგან ზურგგამაგრებულ შეიარაღებულ აგრესიას შეეხება. საქმე ე. წ. „ყარსის რესპუბლიკის“ გამოცხადებასა და მის შემადგენლობაში საქართველოს ახალცი-

ხისა და ახალქალაქის მაზრების, აგრეთვე ბათუმის ოლქის მიერთებას ეხება. ორივე ამ მიმართულებაზე საქართველოს შეიარაღებული ძალები უმძიმეს თავდაცვით ბრძოლებს აწარმოებდნენ.

სამშვიდობო კონფერენციის მოთხოვნის შესაბამისად, გაფრთხილებიდან სულ რამდენიმე დღეში გამოიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის, გენერალ ალექსანდრე გედევანიშვილის შესაბამისი ბრძანებაც:

**„ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარებს.**

**სრულიად საიდუმლო.**

**№1. 12.02.19. ქ. ტფილისი. რუკა 2 და 5 ვერსი ერთ დუიმში.**

1. გენერალ მაზნიევის ახალციხის რაზმის მრავალდღიანი ბრძოლების შემდეგ, რაც გაიმართა ზურგში აჯანყებითა და თურქი ასკერების გამოჩენის შედეგად, რაზმი იძულებული იყო 11 თებერვლის საღამოსათვის უკან დაეხია ქვემო აწყურის მიდამოებისაკენ... ინგლისის მისიის წარმომადგენელმა თხოვა ჩვენს მთავრობას, რომ გაუგებრობების თავიდან აცილებისათვის, თავი შეეკავოთ აქტიური მოქმედებებისაგან. აქედან გამომდინარე, ვბრძანებ:

2. გენერალ მაზნიევს:

ა) ამოარჩიოს, მყარად დაიმკვიდროს და გამაგრდეს იმ ხაზზე, რაც მას ეხლა უკავია: გურკელი-საკუნეთი-ბლორძა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საარტილერიო თავდაცვას.

ბ) უწყვეტად აწარმოოს დაზვერვა მონინალმდეგის ძალებისა და განლაგების გამოსარკვევად.

გ) მოემზადოს შეტევაზე გადასვლისათვის ახალციხის ასაღებად, როგორც კი ამისათვის საკმარისი ძალები მოიყრიან თავს.

დ) ახალქალაქის რაზმთან ეჭიროს უწყვეტი კავშირი.

ე) თავისი შტაბი განალაგოს აწყურში.

3. გენერალ ართმელაძეს: მიიღოს ზომები ზეკარის უღელტეხილის გასამაგრებლად.

4. ადმინისტრაციული განყოფილების უფროსს: გახსნას მალაზიები ფოთსა და ბორჯომში...

5. სანიტარული განყოფილების უფროსს: წარმომიდგინოს წინადადებები სანიტარული დახმარების შესახებ და მიიღოს გადაუდებელი ზომები.

6) შავიზღვისპირეთში გენერალ ი. გედევანოვის ჯგუფმა დობროარმიის აღმატებული ძალების ზენოლითა და ადგილობრივი სომხური მოსახლეობის აჯანყების გამო, 10 თებერვლისათვის უკან დაიხია მდ. ბზიფისაკენ. ინგლისის მისიის წარმომადგენელმა თხოვა ჩვენს მთავრობას, რომ გაუგებრობების თავიდან აცილები-სათვის, თავი შევიკავოთ აქტიური მოქმედებებისაგან.

აქედან გამომდინარე, ვბრძანებ:

გენერალ ი. გედევანოვს: მიიღოს ზომები სოხუმის ოკრუგის გასამაგრებლად, რისთვისაც დაიკავოს და გაამაგროს პოზიციები მდ. ბზიფის გასწვრივ, მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება გაგრა-სოხუმის მიმართულებას.

ჩემი ბრძანების გარეშე აქტიური მოქმედებებისაგან თავი შეიკავოს.

მონინალმდეგის ძალებისა და განლაგების დასადგენად, აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის განწყობების დასადგენად, აწარმოოს საიდუმლო დაზვერვითი სამუშაოები.

შტაბი იყოლიოს სოხუმში, აქვე განლაგოს თავისი რაზმის ბაზა. მონინალმდეგის წინსვლის შემთხვევაში მიიღოს ზომები მის აღსაკვეთად საგზაო ნაგებობების დაზიანებით.

სასწრაფო მოხსენებები მოწოდებულ იქნას 9 და 19 საათზე ყოველდღიურად.

ჩემი მოადგილეები არიან: გენერალ-მაიორი ანდრონიკოვი და გენერალ-მაიორი იმნაძე. სამხედრო მინისტრის თანაშემწე — გედევანოვი.

გენშტაბის უფროსი — ანდრონიკოვი.

ოპერატიული სექციის უფროსი — ზახარიაძე“ [8].

საქართველოსა და ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, მრავალი ქვეყნისა და პოლიტიკური ძალის, პირველ რიგში კი, თურქი ნაციონალისტებისა და რუსი ბოლშევიკების მიერ პარიზის სამშვიდობო კონფერენციის ეს მიმართვა-გაფრთხილება ფარატინა ქალაქად იქნა აღქმული. უფრო მეტიც, სწორედ 1919 წლიდან იწყება რუს ბოლშევიკთა და თურქ ნაციონალისტთა სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების ჩასახვის არაერთგვაროვანი პროცესი, რომელიც ძალიან მალე ამიერკავკასიაში წარმოებული სისხლიანი დაპყრობითი ომების პრელუდიად იქცა. სწორედ რუსი ბოლშევიკები და ლენინი ერთის მხრივ, და თურქი ნაციონალისტები და მუსტაფა ქემალი მეორეს მხრივ, წარმოადგენდნენ იმ პოლიტი-



კურ ძალებსა და პერსონებს, რომლებმაც ერთიან იდეოლოგიაზე დაყრდნობით და „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით, ამიერკავკასიის ტერიტორიების ახალი გადანაწილების პროცესი დაიწყო.

ყველაფერი კი 1919 წლის 15 მაისს დაიწყო, მაშინ, როდესაც მუსტაფა ქემალი და მისი 20 კაციანი ჯგუფი, ძველი სატვირთო გემით „Bandirma“, ტოვებს კონსტანტინოპოლის პორტს და ახალი დანიშნულების შესაბამისად, ნაციონალური წინააღმდეგობის ორგანიზების მიზნით, ცენტრალურ ანატოლიაში გაემგზავრება ოსმალთა მე-3 არმიის მთავარი სამხედრო ინსპექტორის რანგში. მუსტაფა ქემალთან ერთად ანატოლიაში გაემგზავრნენ მე-3 საარმიო კორპუსის სარდლად დანიშნული ოფიცერი, პოლკოვნიკი რეფეტ ბელე, მუსტაფა ქემალის თანამებრძოლი დარდანელსა და სირიაში, პოლკოვნიკი ქიაზიმ ბეი დირიქი — მისი შტაბის უფროსი, პოდპოლკოვნიკი არიფ ბეი, დაზვერვის კაპიტანი მუსტაფა ჰუსრევი, ორი ექიმი და სხვა.

იმავე დღეს, 1919 წლის 15 მაისს ბერძნებმა მცირე აზიაში გადმოსხეს დესანტი და მოახდინეს სმირნას (იზმირი), შემდეგ კი ადრიანოპოლისისა და ბურსას ოკუპაცია [4, 26]. ეს გადანყვეტილება მიღებულ იქნა მოკავშირეთა ლიდერების, დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრის დევიდ ლოიდ ჯორჯის, აშშ-ს პრეზიდენტის ვუდრო ვილსონისა და საფრანგეთის პრემიერის, ჟორჟ კლემანსოს მიერ პარიზში, 6 მაისს. მივიღეთ სურათი — მუდროსის ზავის პირობების შესაბამისად, მოკავშირეთა ჯარებმა ოტომანთა იმპერიის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაცია განახორციელეს. მოხდა ზავით გათვალისწინებული „de jure“ პირობების „de facto“-დ ქცევა და ოსმალთა იმპერიამ ნომინალურად არსებობა შეწყვიტა. სმირნას ბერძნულ ოკუპაციას თან სდევდა ჯარისკაცთა მიერ ადგილობრივი მუსლიმი მოსახლეობის დარბევები, მასობრივი დევნა და სისხლიანი ანგარიშსწორებები. იგივე სურათი შეიქმნა ქილიკიაშიც, სადაც სომხურმა ქვედანაყოფებმა მუსლიმი მოსახლეობის წინააღმდეგ სისხლიანი ანგარიშსწორებები დაიწყეს.

19 მაისს მუსტაფა ქემალი თავის ჯგუფთან ერთად სამსუნში ჩადის. სწორედ ეს დღე, 1919 წლის 19 მაისი ითვლება თურქული წინააღმდეგობისა და ნაციონალური მოძრაობის დაწყების დღედ — დღე, როდესაც მუსტაფა ქემალი და მისი ჯგუფი ცენტრალურ ანატოლიაში, ქალაქ სამსუნში ჩავიდა.

თურქთა ნაციონალისტური მოძრაობის დაწყებისთანავე, მათ წინაშე დაუყოვნებლივ დადგა მოკავშირის ძიებისა და მისი მხრიდან მხარდაჭერის საკითხი. ეს მდგომარეობა ქემალისტებისათვის განსაკუთრებით მას შემდეგ გამძაფრდა, რაც ბერძნებმა სმირნას ოკუპაციის შემდეგ ნელ-ნელა დაიწყეს წინსვლა ანატოლიის სიღრმისაკენ. ასეთ პოტენციურ მოკავშირედ მუსტაფა ქემალმა და მისმა თანამოაზრეებმა საბჭოთა რუსეთი აღიქვეს, რომელიც ფაქტობრივად ისეთივე მძიმე მდგომარეობაში იყო იმ დროისათვის ჩავარდნილი, როგორშიაც თავად თურქული სახელმწიფო.

1919 წლის გაზაფხულისათვის ბოლშევიკური რუსეთი უკვე ჩაბმული იყო პოლონეთთან მძიმე და ხანგრძლივ ომში. ანტანტის ქვეყნების საექსპედიციო ძალების მიერაც უკვე დაწყებულიყო რუსეთის გარკვეული ტერიტორიების ინტერვენცია. მაგრამ განსაკუთრებულ საფრთხეს ბოლშევიკური რუსეთისათვის ე.წ. „თეთრი მოძრაობა“ და მათ მიერ „კონტრრევოლუციად“ წოდებული რუსეთის სამხრეთში განვითარებული მოვლენები წარმოადგენდა. აქ გენერალ ანტონ დენიკინის „სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალებად“ გარდაქმნილი ე. წ. „მოხალისეთა არმია“ და მისი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირე, ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობა წარმოადგენდნენ დომინანტ ძალას. ამიტომ სულაც არაა გასაკვირი, რომ სწორედ სამხრეთის მიმართულებაზე სჭირდებოდა რუსეთს „მოკავშირე და მეგობარი“, „მსოფლიო იმპერიალიზმთან“ მებრძოლი რეალური ძალა, რომელიც რეგიონში არსებულ ძალთა ბალანსს დაარღვევდა და ბოლშევიკების სასარგებლოდ შეცვლიდა სიტუაციას. ასეთ ძალად კრემლმაც თავის მხრივ, სწორედ თურქთა ახალი ნაციონალური მოძრაობა და მისი ლიდერი, გენერალი მუსტაფა ქემალი მოიაზრა. ფაქტია, რომ ამ ახლადჩასახული ურთიერთობების საფუძველში შემდეგი თეზისი ჩაიდო — „ჩემი მტრის მტერი, ჩემი მეგობარია“.

უფრო ფართო რაკურსით კი, ბოლშევიკთათვის შესაძლებელი იყო ახალი თურქული მოძრაობის განხილვა, როგორც საერთაშორისო იმპერიალიზმთან ბრძოლის კარგი პერსპექტივა. ეს მომენტი სრულად ჯდებოდა „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ კონცეფციასა და კრემლის ბელადთა საერთო იდეოლოგიურ მონახაზში. დიახ, ანტიიმპერიალისტური კოალიცია და „საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა“ უნდა ცქეულებოდა იმ მთავარ იდეად, რაც ბოლშევიკური რუსეთისა და ქემალისტუ-

რი თურქეთის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს შეადგულებდა და საერთო ჯამში, პოსტიმპერიულ ტერიტორიებზე აღმოცენებულ ორივე სახელმწიფოს გადაარჩენდა.

საბჭოთა მთავრობის მიერ განხორციელებულ ამ პოლიტიკურ და პროპაგანდისტულ ინსინუაციებს ისლამურ ქვეყნებში მაცხოვრებელ ხალხებზე იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებაც დაერთო თან. პანთურქიზმის იდეების წინა პლანზე წამოწევა აქტუალური ხდება. ეროვნებათა საბჭოს სახალხო კომისარი ი. სტალინი, რომელიც კომუნისტური პარტიის პრინციპების თურქიზმის რევოლუციური ელემენტების აღიანსის მომხრე იყო, იმედოვნებდა, რომ ეს საშუალებას მისცემდა ბოლშევიკებს „განეგრცოთ სოციალიზმი თურქული ნაციონალიზმის საშუალებით და ასე განეხორციელებინა კოლონიალური რევოლუციის კონცეფცია“. ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მიწურულს, 1918 წლის 4-12 ნოემბერს, მოსკოვში ტარდება „აღმოსავლეთის ხალხების“ კომუნისტურ ორგანიზაციათა სრულიად რუსეთის I ყრილობა, რომელზეც შეიქმნა ამ ორგანიზაციების ცენტრალური ბიურო. თავის გამოსვლაში სტალინმა განაცხადა: „ჩვენს ამოცანას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხიდების გადება და ერთიანი რევოლუციური ფრონტის ორგანიზება წარმოადგენს... თქვენთვის გახსნილია ინდოეთისა და სპარსეთის, ავღანეთისა და ჩინეთის კარები...“ ამავე დროს, მოსკოვი, ისევე როგორც თავის დროზე პეტერბურგი, კატეგორიულად გამოდიოდა პანისლამიზმის იდეების წინააღმდეგ და მის შეცვლას „რევოლუციური ნაციონალიზმით“ ცდილობდა [9, 436].

უკვე 1918 წლის 15 დეკემბერს, ეროვნებათა საბჭოს ბექდურ ორგანოში, გაზეთ „Жизнь Национальностей“-ს მონინავე სტატიაში „С Востока свет“ — ი. სტალინი „მსოფლიო სოციალიზმისათვის“ ბრძოლისაკენ მოუწოდებდა „აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებს“ — „ამ უდიდესი მოვლენების ცენტრში დგას მსოფლიო რევოლუციის მედრომე — საბჭოთა რუსეთი, რომელიც ჩაგრული ხალხების მუშებსა და გლეხებს გამარჯვების რწმენით აღავსებს და მხარს უჭერს მათ განმანთავისუფლებელ ბრძოლას მსოფლიო სოციალიზმის სასარგებლოდ... დასავლეთი მისი იმპერიალისტური კაცობიებით სიბნელისა და მონობის კერად გადაიქცა. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა სასიხარულოდ და სანუგეშოთ დავამსხვრიოთ ეს კერა“ [10].

ხოლო თავის ნაშრომში „Марксизм и национально-колонияльный вопрос“ , სტალინი მიუთითებდა, რომ ოქტომბრის გადატრიალებამ „სოციალისტურ დასავლეთსა და დამონებულ აღმოსავლეთს შორის შემადერთებელი ხიდი გადაისროლა, რამაც რუსული რევოლუციის გავლით, მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციის ახალი ფრონტი ააშენა დასავლეთის პროლეტარიატიდან აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხებამდე“ [11, 57] .

ბოლშევიკები იმდენად აღფრთოვანებულები იყვნენ ნაციონალისტთა მოქმედებებით ოსმალთა იმპერიაში, რომ მოსკოვმა ნაციონალისტთა მოძრაობას „აზიაში პირველი საბჭოთა რევოლუციაც“ კი უწოდა. ქემალისტთა მხარდაჭერა, ანუ „თურქი ხალხის ანტიიმპერიალისტური“ ბრძოლის მხარდაჭერა რუსეთს საკუთარი მუსლიმი მოსახლეობის თვალშიც ამაღლებდა. ამით ბოლშევიკები სიმპათიებს მოიპოვებდნენ არა მხოლოდ ყოფილი ცარისტული იმპერიის მუსლიმ მოსახლეობაში, არამედ მთლიანად, მსოფლიოს „ჩაგრულ ხალხებში“ .

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მარქსიზმი, როგორც იდეოლოგია, თავისი ფუძემდებლური პრინციპებით მეტად მიმზიდველ მოძღვრებად იქნა აღქმული XX საუკუნის დასაწყისის ევროპისა და აზიის გარკვეული ხალხებისა და საზოგადოების ფენების მიერ. ლენინიზმმა კი, როგორც უფრო აგრესიულმა, ქმედითმა და აქტიურმა ოდეოლოგიამ, კიდევ უფრო მეტი პოპულარობა | მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული ქვეყნების უბრალო ხალხების გარკვეულ ფენებში მოიპოვა.

მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ოქტომბრის რევოლუციის მაცდუნებელმა ტალღამ ადრეულ ხანაშივე გადაუარა ოტომანთა იმპერიასაც. მარქსიზმი და განსაკუთრებით ლენინიზმი, დიდი აღტაცებით იქნა მიღებული თურქი ახალგაზრდობის მიერ. ეს აღტაცება იმდენად დიდი იყო, რომ სტამბოლის უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა ვლადიმერ ლენინი ნობელის მშვიდობის პრემიის მიმღებ კანდიდატადაც კი წარმოაჩინა [12, 103]. ეს საინტერესო ცნობა ამაყად წარადგინა კომინტერნის | კონგრესზე 1919 წლის მარტში, თურქმა დელეგატმა, მეჰმედ მუსტაფა სუფიმ, რუსეთში მოღვაწე თურქი კომუნისტების ლიდერმა.

ბოლშევიკების მხრიდან თურქული ნაციონალური მოძრაობისამი დაინტერესების საქმეში, ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო მოვლენამაც ითამაშა როლი. 1919 წელს თურქული სახელმწი-

ფოსათვის, რა თქმა უნდა, უმთავრეს საფრთხეს საბერძნეთი და სმირნაში დაწყებული ბერძნული ოკუპაცია წარმოადგენდა. ბერძნებთან და ზოგადად საბერძნეთთან მიმართებაში კი რუს ბოლშევიკებს ამ მომენტისათვის უკვე განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდათ ჩამოყალიბებული. საქმე იმაშია, რომ 1919 წლის იანვარში, ოდესაში გაგზავნილი ფრანგული კონტინგენტის შემადგენლობაში ორი ბერძნული დივიზიაც იქნა ჩართული, რომლებიც გენერალ დენიკინის „მოხალისეთა არმიასთან“ ერთად იბრძოდნენ ბოლშევიკთა წითელი არმიის წინააღმდეგ. ფრანგული ექსპედიცია და მასთან ერთად ბერძნული დივიზიებიც მალე ისევ უკან იქნა გამოწვეული, მაგრამ ამ საბედისწერო ფაქტმა საბერძნეთის პრემიერის, ვენიზელოსის მთავრობა ბოლშევიკთა თვალში „რევოლუციის მტრების“ რიგებში ჩააყენა... [13, 287] და მუსტაფა ქემალის ხედვით, სწორედ ბოლშევიკები უნდა გამხდარიყვნენ შესაბამის საპირწონედ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და მათი პროტექტუს, საბერძნეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფაქტია, რომ ქემალისტებსა და ბოლშევიკებს შორის პირველი კონტაქტების დამყარებაც 1919 წლის გაზაფხულიდან იწყება, თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებული ბევრი დეტალი დღესაც ბურუსითაა მოცული. შევეცდებით ამ საინტერესო ფაქტის შესახებ ჩვენი კვლევა და დასკვნები წარმოვადგინოთ.

თურქი მკვლევარის ნერსინ ერსოი მაკმიკინის (Nersin Ersoy McMeekin) მიხედვით, რომელიც თავის მხრივ „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის პარტიის“ დაზვერვის სამსახურის უფროსის, ჰუსამეთინ ერთურქის მემუარებს ეყრდნობა, პირველი საიდუმლო შეხვედრები მუსტაფა ქემალსა და ბოლშევიკებს შორის სამსუჟის პროვინციის პატარა ქალაქ ჰავზაში შედგა 1919 წლის 25 მაისს. ბოლშევიკთა ჯგუფის ხელმძღვანელს სემიონ ბუდიონი წარმოადგენდა, იმ დროისათვის პოლკოვნიკი, სამხრეთ რუსეთში მოქმედი ბოლშევიკთა I-ლი საკავალერიო შენაერთის მეთაური, [14, 33] შემდგომში საბჭოელთა ცოცხალი ლეგენდა, საბჭოთა კავშირის მარშალი.

იგივე ცნობას ადასტურებს მეორე ავტორიც, ამერიკელი მკვლევარი სტენფორდ ჯ. შოუ (Stanford J. Show), თუმცა, რუსული და საბჭოთა ისტორიოგრაფიით ეს ინფორმაცია არ დასტურდება, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ — საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ ეს მოვლენები საერთოდ არ განიხილება და შესაბამისად, ისტორიული

ანალებიდანაც ამოშლილია. ნერსინ ერსოის მონაცემებით, ქემალისტებისა და ბოლშევიკების პირველმა შეხვედრამ წარმატებით ჩაიარა, დაისახა გარკვეული გზები შემდგომი თანამშრომლობის გაფართოებისაკენ. ბუდიონი და საბჭოთა დელეგაცია იდუის დონეზე შეპირდა თურქულ მხარეს ფინანსური და სამხედრო თვალსაზრისით დახმარებების განწევას ანტანტის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შემთხვევაში. შოუს მიხედვით კი, ამ შეხვედრაზე მუსტაფა ქემალს განუცხადებია — „ამ საკითხის განხილვის გადადება მოგვიწევს მანამ, სანამ თურქეთი დამოუკიდებლობას არ მოიპოვებს“ [15, 344].

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ცოტა არადა-მაჯერებლად გვეჩვენება შოუსთან მოყვანილი მუსტაფა ქემალის ეს აზრი. ფაქტი ისაა, რომ თურქი ნაციონალისტებისათვის სწორედ ახლა, მათთვის ასეთ მძიმე დროს ექნებოდა დიდი მნიშვნელობა ბოლშევიკების მხრიდან განუულ სამხედრო და ფინანსურ დახმარებებს და არა შემდგომ, დამოუკიდებლობის მოპოვების მერე. კრემლის მხრიდან დახმარებების გაუწევლობის შემთხვევაში, არავითარ დეოკუპაციასა და არავითარი დამოუკიდებლობის მოპოვებაზეც კი არ შეიძლება ყოფილიყო საუბარი. მათ ამისათვის არც შესაბამისი ძალები გააჩნდათ და არც არანაირი სახის შესაბამისი რესურსი. თუ ერთი წუთით წარმოვიდგენთ, რომ ქემალისტები მხოლოდ საკუთარი ძალებით მოახერხებდნენ ანტანტის დამარცხებასა და ქვეყნიდან მათ განდევნას, და მოიპოვებდნენ დამოუკიდებლობას, მაშინ მათთვის ბოლშევიკებთან სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების დამყარება, ცხადია, ნამდვილად აღარ იქნებოდა პირველი რიგის ამოცანა. ჩვენი დასკვნების სამართლიანობას ამ ურთიერთობების შემდგომი განვითარების გზაც ადასტურებს.

იმ ფაქტს, რომ 1919 წლის მაისში ჰავზაში მუსტაფა ქემალი და მისი ჯგუფი გარკვეულ შეხებაში მოდიან ბოლშევიკებთან თუ ბოლშევიკურ იდეოლოგიასთან, ცნობილი ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე და თურქოლოგი, სორბონის უნივერსიტეტის პროფესორი, მუსტაფა ქემალის ბიოგრაფი, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის კაბინეტის დირექტორი, ალექსანდრ ჟევახოვიც (ჯავახიშვილი) აღნიშნავს თავის მონოგრაფიაში, მაგრამ ძალიან ბუნდოვნად და არადამაჯერებლად. კერძოდ — „ასეთ დაძაბულ ატმოსფეროში, ქემალის ერთ-ერთმა ყველაზე ახალგაზრდა თანამებრძოლმა, კაპიტანმა ჰუსრევმა, შემფოთებული წერილი მისწერა ყარაბეკირს:

„რა გველის?“ და ახალგაზრდა ოფიცერი მხოლოდ ერთ გამოსავალს ხედავს: „შევეცადოთ ბოლშევიკურ პრინციპებთან ადაპტირებას და დავამყაროთ მათთან ურთიერთობები იმ პირობით, რომ შევინარჩუნებთ არსებულ კანონებსა და თურქულ ტრადიციებს... ყარაბეჩერი კი, რომელსაც კავკასიის ფრონტზე ჰქონდა ურთიერთობები ბოლშევიკებთან და არ დავინწყებოდა ჩრდილოელ მეზობელთან მტრული დამოკიდებულება, არ ჩქარობდა ახალგაზრდა ჰუსარევისათვის პასუხის გაცემას“ [16].

აქ მცირე უზუსტობას უშვებს ბატონი ყევახოვი. ნაშრომში ხსენებული „ყარაბეჩერი“ გენერალი ქიაზიმ ყარაბეჩერ ფაშაა. იგი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მუსტაფა ქემალის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი იყო. გავუსწრებთ მოვლენებს წინ და ვიტყვით, რომ სწორედ იგი, ქიაზიმ ყარაბეჩერ ფაშა სარდლობდა ოსმალთა მე-3 არმიის მე-2 კორპუსს 1918 წლის გაზაფხულზე ამიერკავკასიის ტერიტორიების ოკუპაციისას და ისევ სარდლობდა 1919 წლიდან 1920 წლის ბოლომდე აღმოსავლეთ ანატოლიაში დისლოცირებულ მე-15 საარმიო კორპუსს, ხოლო 1921 წლიდან — უკვე ქემალისტთა აღმოსავლეთის არმიას, რომლის შენაერთებმა და ქვედანაყოფებმა ბოლშევიკური მე-11 ნითელი არმიის შენაერთებთან შეთანხმებული სამხედრო მოქმედებებით მოახდინეს სომხეთის დიდი ნაწილისა და საქართველოს გარკვეული ტერიტორიების ოკუპაცია ბათუმის ჩათვლით. უფრო ადრე კი, 1920 წლის აპრილში, ქემალისტების უშუალო დახმარებით განხორციელდა ბოლშევიკთა მიერ აზერბაიჯანის გასაბჭოებაც.

და ბოლოს — სწორედ გენერალი ქიაზიმ ყარაბეჩერ ფაშა იყო სულისჩამდგმელი და თურქეთის მხრიდან მთავარი მოქმედი პირი და ხელის მომწერი ყარსის ისტორიული ხელშეკრულებისა, რომლის ძალითაც საქართველოს სახელმწიფომ თავისი ტერიტორიების დიდი ნაწილი დაკარგა. ყარსის ხელშეკრულების დადებით დაკანონდა ისტორიული ქართული მიწების თურქეთისათვის გადაცემა და განისაზღვრა თურქეთსა და ამიერკავკასიის უკვე საბჭოთა რესპუბლიკებს შორის, მათ შორის საქართველოსთან არსებული დღევანდელი სახელმწიფო საზღვრები.

რაც შეეხება ყევახოვს. მართალია, გენერალი ქიაზიმ ყარაბეჩერ ფაშა I მსოფლიო ომის მსვლელობისას, კავკასიის ფრონტზე მართლაც სარდლობდა საარმიო კორპუსს, მაგრამ მას ამ დროს „ურთიერთობები“ არა ბოლშევიკებთან, არამედ „ცარისტულ“, შემ-

დედ კი „ოზაკომისა“ და ამიერკავკასიის ფედერაციის ჯარებთან ჰქონდა. თუმცა ეს არაა არსებითი საკითხი.

მუსტაფა ქემალსა და ბოლშევიკებს შორის გარკვეული ურთიერთობების დაწყების ამბავს ქალაქ ჰავზაში ბრიტანელი მკვლევარი, მუსტაფა ქემალის ცნობილი ბიოგრაფი ენდრიუ მანგოც (Andrew Mango) ადასტურებს, რომელიც თავის მხრივ თურქ ავტორს, ბულენტ გოკაის (Bülent Gökay) და მის ნაშრომს — *A Clash of Empires: Turkey Between Russian Bolshevism and British Imperialism 1918-1923* ეყრდნობა. თუმცა, ამ ამბავს გოკაი ცოტა განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს. კერძოდ, „1919 წლის 7 ივნისს მუსტაფა ქემალის დაზვერვისა და პოლიტიკური ოფიცრის მაიორ ჰუსრევ გერედეს მიერ ყარაბექირისადმი არზრუმში გაგზავნილ წერილში იგი საუბრობდა ბოლშევიკებთან ტაქტიკური ალიანსის დამყარების შესაძლებლობაზე. ამ წერილში არაა ნახსენები მუსტაფა ქემალის ბოლშევიკებთან ჰავზაში შეხვედრის ამბავი და ნათქვამია, რომ მას შეიძლება კონტაქტი ჰქონოდა თურქ კომუნისტებთან, რომლებიც იმ დროისათვის გავლით იმყოფებოდნენ სამსუნის რაიონში“ [13, 226]. ენდრიუ მანგო, ალექსანდრ ჟევახოვისაგან განსხვავებით, დაზვერვის ოფიცრის, ჰუსრევ გერედეს სამხედრო წოდებას მაიორად მოიხსენიებს.

მანგოსა და გოკაის მიერ მოყვანილი ცნობა, სადაც ჰავზაში მუსტაფა ქემალის მიერ თურქ კომუნისტთა ჯგუფთან შეხვედრაზეა საუბარი, არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს. რამეთუ, 1919 წლის გაზაფხულისათვის არავითარი თურქი კომუნისტების ვოიაჟებზე სამსუნის მხარეში საუბარი არ შეიძლება იყოს. ამ დროისათვის ანატოლიის ტერიტორიაზე არანაირი სახის კომუნისტური პარტია არ არსებობდა. სემიონ ბუდიონის ანატოლიაში ვიზიტს კი შესაძლებელია მართლაც ჰქონოდა ადგილი. 1919 წლის გაზაფხულისათვის ბოლშევიკები უკვე ყირიმს აკონტროლებდნენ. ასე რომ, დასაშვებია ბუდიონის მართლაც განეხორციელებინა მოკლევადიანი ვოიაჟი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

1919 წლის მაისში ბუდიონის ანატოლიაში ვიზიტისა და მისი მუსტაფა ქემალთან შეხვედრის ვერსიას იზიარებს ცნობილი ამერიკელი ისტორიკოსი რიჩარდ ოვანესიანიც. ისიც თურქულ წყაროებზე დაყრდნობით თავის ნაშრომში — *„Armenia and the Caucasus in the Genesis of the Soviet-Turkish Entente“*, იმაზე საუბრობს, რომ ჰავზაში შეხვედრისას თითქოს ბუდიონის ქემალისათვის გაუნდვია, რომ იგი



ზოგადად დიდი სიმპათიებით ყოფილა მუსლიმებისადმი განწყობილი, რადგან მისი დედა თურმე მუსლიმი ყოფილა, ეროვნებით ქურთი. მისი ძირითადი გზავნილი ქემალისადმი კი იმაში გამოიხატებოდა, რომ იგი თურქული სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების მომხრე და „დამოუკიდებელი სომხეთის“ , „პონტოს საბერძნეთისა“ და „ქურთთა სახელმწიფოს“ შექმნის წინააღმდეგი იყო [17, 137]. რამდენად დამაჯერებლად ჟღერს ბუდიონის დედის ეროვნებით ქურთობა და აქედან გამომდინარე, მისი სიმპათიები მუსლიმების მიმართ, ძნელად სათქმელია. ერთი კია, რომ ბუდიონის დიდ პოლიტიკოსობაზე თავს ნამდვილად ვერ დავდებთ.

კიდევ ერთი რუსი ავტორის, ალექსანდრ უშაკოვის მიხედვით კი, რომელიც ყარაბაქერის სქელტანიან მემუარულ ნაშრომს Istiklâl Harbinin Esaslari (ჩვენი დამოუკიდებლობის ომი) ეყრდნობა, რუს ბოლშევიკებთან ტაქტიკური კავშირების დამყარებაზე მუსტაფა ქემალი პირველად ამასიაში ალაპარაკდა და შესაბამისად, პირველი კონტაქტების დამყარება მათ შორის არა 1919 წლის მაისში და ჰავზაში, არამედ 1919 წლის ზაფხულში და ამასიაში მოხდა. უშაკოვი წერს:

„სემიონ ბუდიონი ქემალს ფულსა და აუცილებელ საშუალებებს შეპირდა იმისათვის, რომ რაც შეიძლება შედეგიანად დაეხოცა მონინააღმდეგეები. მართალია, ზარბაზნებთან ერთად უბრალო ჩამომავლობის სემიონ მიხაილოვიჩმა კომუნისტური სარწმუნოების მიღებაც მოითხოვა მისგან, რომელიც მისივე სიტყვებით, სისხლისმსმელ ბურჟუებთან ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში გააბედნიერებდა თურქ ძმებს! მაგრამ არ მიიღო ქემალმა „ბუდიონოვის“ ქვეშ მდულარე პროლეტარული გონის (Пролетарского разума — ა. ჩ.) ნება, და მარქსიზმს ტყვიამფრქვევები ამჯობინა!... ალბათ ეს მხოლოდ ლეგენდაა და ღიად თუ ვილაპარაკებთ, ლენინი და ტროცკი, რომლებმაც კარგად იცოდნენ რუსულად ძლივს მოსაუბრე კავალერისტის ნამდვილი ფასი, მას მსგავს მოლაპარაკებებზე არ გაავზავნიდნენ. მაგრამ ის, რომ მის ადგილას შეიძლება აღმოჩენილიყვნენ სულ სხვა და გაცილებით ჭკვიანი ადამიანები, არავითარ ეჭვს არ იწვევს“ [18, 160-161].

აქ გარკვეულად ჩვენც ვიზიარებთ ა. უშაკოვის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მხოლოდ გაუნათლებელი საველე მეთაურისა და ნითელი ემისრის გაგზავნას ამ ერთობ საპასუხისმგებლო პოლიტიკური ამოცანის შესასრულებლად, არც ლენინი და არც ტროცკი,

მით უმეტეს, არც ეროვნებათა სახალხო კომისარი, სატალინი, არ დაუშვებდნენ. მაგრამ ბუდიონის პერსონას ჰქონდა ერთი დადებითი, ბოლშევიკთათვის მეტად მომგებიანი მხარე. იგი ჩრდილოეთ კავკასიაში, ესე იგი თურქული სამყაროსათვის კარგად ცნობილ რეგიონში მოქმედი უდიდესი საკავალერიო შენაერთის წარმატებული მეთაური იყო. ბოლშევიკებს კი ამ მომენტისათვის ქემალისტების წინაშე ძალის დემონსტრირება და წონადი არგუმენტების დადება სჭირდებოდათ. სწორედ ასეთ წონად არგუმენტს წარმოადგენდა სემიონ ბუდიონის პერსონა. თავისთავად ცხადია ისიც, რომ „სისხლისმსმელ ბურჟუებთან ნათელი მომავლისათვის ბრძოლის“ იდეებში სამხედროები უფრო ქმედითად „გაარკვევდნენ“ ქემალისტებს, ვიდრე პოლიტიკოსები. და რადგან, კლაუზევიცისა არ იყოს, ომი და პოლიტიკა განუყოფელ ცნებებს წარმოადგენს, ამ მნიშვნელოვანი მისიის შესასრულებლად ბუდიონი მარტო არ იქნებოდა. ბოლშევიკ ემისართა ამ ჯგუფში კიდევ რამდენიმე კაცი იქნებოდა ჩართული — თავისთავად ცხადია, გამოცდილი, მოქნილი დიპლომატები და ტაქტიკოსები, რომელთა უქონლობასაც კრემლის მესვეურები ნამდვილად არ განიცდიდნენ.

ბერძნული წარმოშობის თურქი და ფრანგი ისტორიკოსის, სტამბოლში ანატოლიური კვლევების ფრანგული ინსტიტუტის დირექტორის, სტეფანოზ იერასიმოსის (Stefanos Yerasimos) მიხედვით, ეს შეხვედრა მართლაც მოხდა ანატოლიაში, მაგრამ არა მუსტაფა ქემალსა და სემიონ ბუდიონის, არამედ სეხნიებს, საბჭოთა რუსეთში მოღვაწე თურქი კომუნისტების ლიდერს, მუსტაფა სუფისა და მუსტაფა ქემალს შორის. მაგრამ იერასიმოსის მიხედვით — არ არსებობს საფუძველი და დამამტკიცებელი არგუმენტი 1919 წლის გაზაფხულზე ბუდიონის ანატოლიაში ყოფნის შესახებ, მაშინ როცა თავად მუსტაფა სუფი წერს, რომ 1919 წლის მაისში თურქეთის მიმართულებით ოდესიდან ორი გემი გასულა, ერთი სტამბოლში, ერთი კი — ანატოლიაში. იერასიმოსი თვლის, რომ ანატოლიისაკენ გასული გემი სამსუნში ჩავიდა და სწორედ მის ბორტზე იმყოფებოდა მუსტაფა სუფი და თურქ კომუნისტთა მისი ჯგუფი, რომლებიც მოგვიანებით, ჰავზაში შეხვდნენ მუსტაფა ქემალს [14, 107-108]. იერასიმოსის ამ მოსაზრებას იზიარებს თურქი მკვლევარი ემელ აკალიც (Emel Akal) [19, 187].

მუსტაფა სუფის მონაწილეობის საკითხს მუსტაფა ქემალთან და მის ჯგუფთან პირველი კონტაქტების დამყარების შესახებ, ცნო-

ბილი სომეხი საბჭოთა მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე, 1975-1985 წლებში სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ჯონ კირაკოსიანიც იზიარებს. თავის საბჭოური და არმენოფილური სულისკვეთებით გამსჭვალულ სექელტანიან მონოგრაფიაში „Младотурки перед судом истории“, იგი წერს: „თურქეთის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი, მუსტაფა სუფი, 1919 წელს, ყირიმის მუსულმანური ბიუროს მეშვეობით შეეცადა კონტაქტში შესულიყო მუსტაფა ქემალთან და ასეთი გზით უზრუნველყო ქემარიტი პატრიოტების მონაწილეობა თურქი ხალხის ბრძოლაში“ [20, 265]. თუმცა, უშუალოდ მუსტაფა სუფის ანატოლიაში გამგზავრებისა და იქ მუსტაფა ქემალთან შეხვედრის ამბავს, ჯონ კირაკოსიანი არ ადასტურებს.

ქემალისტებსა და ბოლშევიკებს შორის პირველი კონტაქტის დამყარების ყველა ზემოთ წარმოდგენილი ვერსიებიდან, ჩვენ სტეფანოზ იერასიმოსის ვერსიას ვიზიარებთ. ჩვენს ამ მოსაზრებებს ის არგუმენტიც აძლიერებს, რომ 1919 წლის გაზაფხულზე რუსეთში მოქმედი თურქი კომუნისტების ლიდერი, მეჰმედ მუსტაფა სუფი და მისი ჯგუფი, მართლაც ყირიმსა და ოდესაში იმყოფებოდა, ხოლო მის მიერ რუსეთში ჩამოყალიბებული ე.წ. „წითელი არმიის თურქული ასეული“, რომელიც ყოფილი თურქი ტყვეებით იყო დაკომპლექტებული, 1919 წლის ზაფხულიდან უკრაინასა და ყირიმში სწორედ ბუდიონის შენაერთის შემადგენლობაში იბრძოდა თეთრგვარდიელების წინააღმდეგ რუსეთის სამოქალაქო ომში. საკმაოდ დიდია იმის ალბათობაც, რომ სწორედ მუსტაფა სუფი და მისი ჯგუფი გაემგზავრა გემით ანატოლიაში იქ არსებული პოლიტიკური სიტუაციის შესწავლის მიზნით. ეროვნებით თურქი და იდეურად ბოლშევიკი მუსტაფა სუფი ნამდვილად დიდი ინტელექტუალი და გამოცდილი პოლიტიკოსი იყო, ამიტომ მისი ანატოლიაში გაგზავნა თანამემამულეებთან კონტაქტის დასამყარებლად მათი პოზიციების მოსინჯვის მიზნით, მართლაც ახლოსა დგას რეალობასთან. რა თქმა უნდა, დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით იმის მტკიცებაცაა შესაძლებელი, რომ ამ ჯგუფში ჩართულნი იყვნენ წითელი არმიის ავტორიტეტული მეთაურებიც. ჩვენის აზრით, ასეთ მეთაურს წარმოადგენდა სწორედ სემიონ ბუდიონი.

ძალიან საინტერესო ვერსიას გვთავაზობს ჰავზაში შეხვედრის ორგანიზებაში კიდევ ერთი რუსი ავტორი, სტანისლავ ტარასო-

ვი — „ისტორიკოსი, პოლიტოლოგი, ახლო აღმოსავლეთისა და კავკასიის პრობლემების ექსპერტი“. ამ შეხვედრის ორგანიზებაში იგი კარგად ცნობილი ორი პერსონის როლს გამოყოფს. ეს პერსონები არიან საბჭოთა რუსეთის ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარი, ი. სტალინი და ოტომანთა მმართველი ტრიუმვირატის ლიდერი, ოსმალთა იმპერიის ყოფილი სამხედრო მინისტრი და იტიხადისტთა „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ლიდერი, გენერალი ისმაილ ენვერ ფაშა. ამ შემთხვევაში, პირველი შემკვეთად გვევლინება, მეორე კი — შემსრულებლად. ტარასოვის მიხედვით, სწორედ „სტალინის დავალებით მოუმზადებია ენვერ ფაშას ეს შეხვედრა მუსტაფა ქემალსა და სემიონ ბუდიონის შორის ჰავზაში, 1919 წლის მაისის თვეში“ [21]. თუმცა, ტარასოვის ამ ვერსიის გარშემო მრავალი კითხვის ნიშნის დასმაა შესაძლებელი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვერანაირად ვერ გავიზიარებთ ავტორის ამ მოსაზრებას, მით უმეტეს, რომ თავისი მოსაზრების გამაგრებისათვის მას არანაირი მტკიცებულება და არგუმენტი არ მოჰყავს. თავის დასკვნებში ტარასოვი აშკარად ცდება. ყოველ შემთხვევაში, ენვერ ფაშასთან მიმართებაში მაინც. კონტრარგუმენტი კი ბევრია. უპირველეს ყოვლისა — 1919 წლის გაზაფხულისათვის ენვერ ფაშა რუსეთში არ იმყოფებოდა. მან ტრიუმვირატის წევრებთან ერთად (ოსმალთა იმპერიის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი და დიდი ვეზირი — მეჰმედ თალათ ფაშა და იმპერიის ყოფილი სამხედრო-საზღვაო მინისტრი, გენერალი აჰმედ ჯემალ ფაშა) მსოფლიო ომის დასრულებამდე მალულად დატოვა კონსტანტინოპოლი და გერმანიაში ჰჰოვა დროებითი თავშესაფარი. იგი რუსეთში მხოლოდ 1920 წლის აგვისტოში ჩამოვიდა და შესაბამისად მას არანაირი შეხება არ შეიძლება ჰქონოდა მუსტაფა სუფისთან. უფრო მეტიც, ენვერ ფაშა მუსტაფა სუფის პირადად არც კი იცნობდა. მით უმეტეს, არ იცნობდა იგი სტალინს. ხოლო, რაც შეეხება სტალინს და მის როლს ამ შეხვედრის დაგეგმვაში, აქ კი ნამდვილადაა შესაძლებელი, რომ სწორედ სტალინი ყოფილიყო ზოგადად ამ წამოწყების ორგანიზატორი. მისი, როგორც ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისრის მოვალეობებში თავისთავად შედიოდა მსგავსი ქმედებების განხორციელება. თუმცა ამ მომენტისათვის ბოლშევიკთა რუსულ-თურქული „დელეგაციის“ ანატოლიაში გაგზავნა ქემალისტებთან კონტაქტების დასამყარებლად, ავანტიურას უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალური პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმას.

ასეა თუ ისეა, ფაქტია, რომ ბოლშევიკთა პირველ რეალურ კონტაქტებს მუსტაფა ქემალთან და მის თანამოაზრეებთან, მართლაც ჰავზაში და მართლაც 1919 წლის 25 მაისს ჰქონდა ადგილი. ისიც ფაქტია, რომ ბოლშევიკთა ემისრებმა დიდი წარმატებით გაართვეს თავი მათ წინაშე დასმულ ამოცანას და ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების დასაწყისი შედგა — მათ შორის პირველი კონტაქტები დამყარდა. ამ შეხვედრაში მონაწილე კონკრეტული პიროვნებების დადასტურებული, ზუსტი და საბოლოო იდენტიფიცირება კი, ვერ ხერხდება. როგორც ჩანს ეს დაუდგენელი ფაქტი ისტორიის კიდევ ერთ პატარა საიდუმლოებად დარჩება.

მუსტაფა ქემალისა და მისი თანამოაზრეებისათვის ლენინისა და ბოლშევიკების თანადგომას, გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნის პერსპექტივას, თუნდაც ჯერ კიდევ ძალიან ბუნდოვანსა და ეფემერულს, უდიდესი, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ ვითარებაში, ანტანტის მიერ ოკუპირებული და სრული დანაწილების საშიშროების წინაშე მდგარი ოსმალეთის იმპერიის რეალებიდან გამომდინარე, თურქეთის, თურქული სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა დღის წესრიგში.

გასაგებია რუს ბოლშევიკთა ინტერესებიც ახალ თურქულ მოძრაობასთან მიმართებაში. რუსეთის უცხოური ინტერვენციის ფონზე, ბოლშევიკებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წითელი არმიის წინააღმდეგ მებრძოლი ანტანტის ქვეყნების საბრძოლო რესურსების დაქსაქსვას, რუსეთზე დანოლის შემცირებასა და ძალთა ბალანსის დარღვევას ბოლშევიკთა სასარგებლოდ. მუსტაფა ქემალისა და ახალი თურქული მოძრაობის „ანტიანტანტური განწყობები“ კი ამის ხელსაყრელ შესაძლებლობებს იძლეოდა. გარკვეულწილად იკვეთება ის სურათიც, რომ ამ ეტაპზე, ბოლშევიკები სწორედ ასეთ კონტექსტში მოიაზრებდნენ თურქ ნაციონალისტებს — თავის იდეურ „მოკავშირეებად“ და „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ მებრძოლ ძალად.

ბუდიონთან შეხვედრის შემდეგ ბოლშევიზმის ცნობისა და მიღების საკითხი მთავარ განსახილველ თემას წარმოადგენდა ანატოლიელ ლიდერებს შორის. აქ თავიდანვე მკვეთრი პოზიციები ვერ იქნა ჩამოყალიბებული. აქ განსხვავებული მიდგომები არსებობდა. იყო ჯგუფი, რომელიც თავიდანვე ბოლშევიკურ-ქემალისტური ალიანსის მომხრე იყო, თუნდაც ტაქტიკური ამოცანებიდან

გამომდინარე. მაგრამ არსებობდა ჯგუფიც, რომელიც ამ იდეას არ იზიარებდა.

ბოლშევიკებთან ურთიერთობების განხილვასთან ერთად, ინტენსიურად მიდიოდა იმ საკითხებზე მუშაობა, მისაღები იქნებოდა თუ არა თურქეთისათვის რომელიმე გამარჯვებული ქვეყნის მანდატის მიღება ქვეყნის მართვაზე. მუსტაფა ქემალის ჯგუფის ზოგიერთი წევრის მიერ ასეთ ქვეყნად ამერიკის შერთებული შტატები იქნა მოაზრებული. მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ თურქეთისათვის აშშ-ს მანდატის მიღებაზე პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის მსვლელობისას, მის დამამთავრებელ ეტაპზე იყო გადადგმული იმპერიის დიდი ვეზირის, მეჰმედ თალაათ ფაშას მიერ. 1918 წლის 8 ოქტომბერს, ამერიკის შერთებული შტატების პრეზიდენტის, ვუდრო ვილსონისადმი გაგზავნილ წერილში, იგი თხოვდა პრეზიდენტს „აელო პასუხისმგებლობა მშვიდობის დამყარებაზე ომში დაპირსიპირებულ სახელმწიფოებს შორის“ [19, 356]. თალაათ ფაშა იმედოვნებდა, რომ აშშ მედიატორად გამოვიდოდა მშვიდობის საკითხებში და მისი მანდატის ქვეშ ყველაზე უკეთ იქნებოდა დაცული თურქული სახელმწიფოს ინტერესები. თალაათ ფაშას ფაქტორის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ამერიკული მანდატის მომხრედ, მის მიერ ხელდასმული ექსიტინადისტთა საიდუმლო ორგანიზაცია „ყარაქოლიც“ (Karakol) გამოდიოდა. მისმა ლიდერმა, პოლკოვნიკმა ყარა ვაზიფმა წერილიც კი მისწერა მუსტაფა ქემალს ამერიკული მანდატის მიღების რჩევით. საბჭოთა ისტორიკოსის, თურქეთის ისტორიის ამ პერიოდის ცნობილი მკვლევარის, აბდულა შამსუტდინოვის მიხედვით — „ნაციონალისტთა გარკვეული ნაწილი ამერიკული მანდატის მომხრედ გამოდიოდა, რაც სახალხო მოძრაობის შემდგომ განვითარებას შეაჩერებდა“ [22, 190].

ბოლშევიკებთან პირველივე კონტაქტის შემდეგ, სხვა ნაციონალისტებისაგან განსხვავებით, კაპიტან ჰუსრევ გერედეს მიერ 7 ივნისს პრობოლშევიკური ხასიათის წერილი იქნა გაგზავნილი მუსტაფა ქემალის შტაბის სახელზე, სადაც იგი ბოლშევიზმის საკითხებს განიხილავდა და ხაზს უსვამდა მის მნიშვნელობას ანატოლიისათვის: „უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია კონტაქტები დავამყაროთ ბოლშევიკებთან, რომ უკეთესად გავიგოთ მისი პრინციპები... უნდა გადავწყვიტოთ თუ როგორ მოვირგოთ და გამოვიყენოთ იგი... იარაღის, საბრძოლო მასალებისა და სურსათის მისაღებად, მტრისათვის შესაბამისი პასუხის გასაცემად... თუ ვაღიარებთ მხო-

ლოდ ბოლშევიზმის არსს... ისე თავს ვერ დავიფარავთ ბრიტანული, ბერძნული, იტალიური ტყვიებისაგან“ [23, 60-61].

მუსტაფა ქემალი კი მერყეობდა. მას არაფრით არ უნდოდა, რომ თურქეთი ამ მძიმე მდგომარეობიდან გარეგანი ჩარევისა და მფარველობის გზით გამოსულიყო, იგი ყოველგვარი უცხო ქვეყნის მანდატის წინააღმდეგ გამოდიოდა. მუსტაფა ქემალი: „ერის ერთიანობისათვის, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის ჩვენ ვირჩევთ იმ გზას, რომელიც უცხო ქვეყნებთან ურთიერთობებსა და დამოკიდებულებას ხალხის სახელით წარმართავს“. მალე ისიც პრობოლშევიკურ პოზიციებზე დგება და გარკვეულ პარალელსაც კი ავლებს რუსეთის მუსლიმი მოსახლეობის მაგალითზე ბოლშევიზმის მიღება-არმიღების საკითხების განხილვისას. 1919 წლის ივნისის პირველ რიცხვებში ყარაბექირისადმი ვაგზავნილი წერილის შინაარსიც ამას ადასტურებს. წერილის მესამე პარაგრაფში ვკითხულობთ: „...რადგან ყაზანის, ორენბურგისა და ყირიმის მაჰმადიანურმა მოსახლეობამ მიიღო ბოლშევიზმი და რადგან ბოლშევიზმი არაა მიმართული რელიგიის წინააღმდეგ, შესაძლებელია ის ჩვენი ქვეყნისთვისაც მისაღები აღმოჩნდეს...“ [14, 34].

ბოლშევიკებთან ურთიერთობების დამყარების საკითხში კი, ქიაზიმ ყარაბექირი უფრო ფრთხილი იყო. როგორც I მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე და ცარისტული რუსეთის წინააღმდეგ ნაომარი გენერალი, იგი სულაც არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო რუსოფილი, ალბათ, უფრო პირიქით. კარგად გაეცნო და განსაზღვრა რა ბოლშევიზმის საფრთხე, იგი მყარად დარჩა თურქული ნაციონალიზმის ფეხებზე. იგი არ ენდობოდა მოსკოვს და არ სჯეროდა იმ პირობისა, რომ ბოლშევიკები ახალ თურქულ მოძრაობას უსასყიდლოდ დაეხმარებოდნენ. ყარაბექირის 17 ივნისით დათარიღებულ საპასუხო წერილში მუსტაფა ქემალისადმი გამოთქმული იყო გაფრთხილება, რომ ნაციონალისტებს კარგად უნდა გაეაზრებინათ თავიანთი გადაწყვეტილება.

მუსტაფა ჰუსრევისა და ყარა ვაზიფის წერილები, მუსტაფა ქემალისა და ქიაზიმ ყარაბექირის განსხვავებული პოზიციები იმ წინააღმდეგობების შესახებ მეტყველებს, რაც ნაციონალისტთა ლიდერებს შორის არსებობდა დაუმორჩილებლობის მოძრაობის საწყის ეტაპზე. ისინი ბოლომდე ვერ იყვნენ ჩამოყალიბებულები თუ მოქმედებების რა სტრატეგია და ტაქტიკა აერჩიათ ბოლშევიკებთან თუ ამერიკულ მანდატთან მიმართებაში. საკითხი ასე იდგა — იქნებოდა

კი ეს, ბოლშევიკთა მხრიდან უანგარო დახმარება? თუ ამის საფასურად ბოლშევიკები პოლიტიკურ და სამხედრო ინტერვენციას მოსთხოვდნენ ქემალის ჯგუფს?

მუსტაფა ქემალს და მის თანამოაზრეებს კარგად ესმოდათ, რომ ბოლშევიკებთან ახლო ურთიერთობებში შესვლა მეტად საშიშ პერსპექტივებს აჩენდა მათ წინაშე. ეს ძალიან სახიფათო თამაშებში ჩააბამდა ქემალისტებს. მაგრამ არსებობდა კი სხვა გზა საკუთარი მიზნების მისაღწევად? არსებობდა კი სხვა ალტერნატივა? იქნებ საერთოდ არც ღირდა ასეთ საშიშ თამაშებში ჩართვა და ბოლშევიკებისაგან მომავალ პოტენციურ საფრთხეებს ისევ ბრიტანული ან კიდევ უკეთესი, ამერიკული მანდატის მიღება სჯობდა? აი, ის დილემა, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერები ბოლშევიკებთან დამყარებული პირველივე კონტაქტებიდან.

დიდი განსჯების შემდეგ მუსტაფა ქემალი და მისი უახლოესი თანამებრძოლი, ანკარაში დისლოცირებული მე-20 საარმიო კორპუსის სარდალი, პოლკოვნიკი ალი ფუატ ჯუბესლი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ანტანტის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთადერთი რეალური მოკავშირე მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური რუსეთი და მისი სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერა შეიძლება ყოფილიყო. თურქული ნაციონალური მოძრაობის მთავარ ამოცანას, რა თქმა უნდა, ბრძოლისუნარიანი არმიის შექმნა წარმოადგენდა. ასეთი არმიის შექმნისათვის კი, უზარმაზარი რესურსები იყო საჭირო — სამხედრო, ტექნიკური, ფინანსური დახმარებები... და ამ გზაზე ხსნის ერთადერთ საშუალებად ბოლშევიკებთან ტაქტიკური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის დამყარება იქნა მიზნად დასახული. და ცხადია, საჭირო იყო ბოლშევიკებისაგან მიეღოთ დარწმუნებითი დასტური მათი მხრიდან დახმარებების განცვის შესახებ, სანამ საბოლოოდ გადაწყდებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მანდატის მიღება-არმიღების საკითხი.

საბოლოოდ, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ბოლშევიკების სასარგებლოდ და დღის წესრიგშიც კომუნიკაციის შესაბამისი არხების გამოძებნა გახდა საჭირო. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ნაციონალური მოძრაობის პირველ ემისრებად ბოლშევიკთა ბანაკში ოსმალო გენერლები, ჰალილ და ნური ფაშები მოგვევლინნენ.

ნერსინ ერსოი მაკმიკენის [14, 535], აგრეთვე, ჰარიშ კაპურისა (Harish Kapur) და ვიქტორ შევალის (Victor Chevalier) [24, 90-91] მიხედვით, მუსტაფა ქემალმა მიიღო გადაწყვეტილება და 1919 წლის



სექტემბერში მოსკოვში სპეციალური მისიით გააგზავნა გენერალი ჰალილ ფაშა ქუთი ბოლშევიკებთან რეალური კავშირების დასამყარებლად, მათგან ჰავაში პირველი შეხვედრის დროს დაპირებული დახმარებების სათხოვნელად — იარაღი, საბრძოლო მასალები, ფინანსები და ა. შ.

აქ მცირე შეცდომას უშვებენ ავტორები.

პირველი — გენერალ ჰალილ ფაშა ქუთთან ერთად, ბოლშევიკებთან კონტაქტების გასაღრმავებლად ქემლისტთა მიერ გაგზავნილ იქნა აგრეთვე გენერალი ნური ფაშა, ენვერ ფაშას უმცროსი ძმა. ჰალილ ფაშა ქუთი I მსოფლიო ომის პერიოდში მესოპოტამიის ფრონტზე მოქმედი ოსმალთა მე-6 არმიის სარდალი იყო, შემდეგ კი, იგი კავკასიაში მსახურობდა. ნური ფაშა იმ ე.წ. „კავკასიის ისლამური არმიის“ სარდალს წარმოადგენდა, რომელიც 1918 წლის 15-16 სექტემბერს ბრძოლებით შევიდა ბაქოში, დაამხო რუსულ-სომხური დაშნაკურ-ესერული ე. წ. „ცენტროკასპიისპირეთის დიქტატურა“, რის შემდეგაც აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა ფაქტობრივად პროთურქულ სახელმწიფოდ იქცა. მეტად საინტერესოა ის დეტალიც, რომ ჰალილ ფაშა ენვერ და ნური ფაშების ბიძა იყო.

მეორე — ჰალილ ფაშა და ნური ფაშა ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სარდლობის მიერ ძებნილი პერსონები იყვნენ. საქმე იმაშია, რომ ბრიტანელთა ამიეკავკასიაში შემოსვლის შემდეგ ორივე მათგანი, ბრიტანელთა მიერ იქნენ დაპატიმრებულნი. ისინი ბათუმის ციხეში იქნენ გამწესებულები, თუმცა ზოგიერთ ავტორთან ჰალილ ფაშას პატიმრობის ადგილად არა ბათუმი, არამედ კონსტანტინოპოლია მითითებული. ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო მომენტი ისაა, რომ ორივე მათგანმა რაღაც „ჯადოსნური მანქანებით“ შეძლეს ციხიდან თავის დაღწევა. ბოლომდე არაა ნათელი, თუ როგორ დააღწიეს მათ თავი საპყრობილეს — ზოგიერთი მონაცემით ბადრაგის მოსყიდვით, ზოგიერთი მონაცემით — გაქცევით. თუმცა, ამ დეტალს ჩვენს თემასთან მიმართებაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ამ საკითხში, ალბათ ყველაზე დამაჯერებელი ვერსია „ყარაქოლის“ მონაწილეობაა — მათი საპყრობილიდან გამოხსნა „ყარაქოლის“ მიერ. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ჰალილ და ნური ფაშები დევნილები იყვნენ და შესაბამისად კონსპირაციულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

მესამე — ვერც ჰალილ ფაშა და ვრც ნური ფაშა ანატოლიიდან და ამიერკავკასიიდან მოსკოვში ვერ ჩააღწევდნენ, რადგან ამ

პერიოდში მთელი ჩრდილოეთ კავკასია, ყირიმი და უკრაინა რუსეთ-პოლონეთისა და რუსეთის სამოქალაქო ომის საომარ მოქმედებათა თეატრს წარმოადგენდა.

მეოთხე, და ყველაზე მთავარი — ჰალილ და ნური ფაშები მუსტაფა ქემალისა და ყარაბეჩირის მიერ არა მოსკოვში, არამედ კავკასიაში, ბაქოში იქნენ გაგზავნილნი. საბჭოელებთან დაახლოების ვექტორის მიმართულებად სწორედ აღმოსავლეთი და აზერბაიჯანი იქნა შერჩეული. ქემალისტებისათვის მხოლოდ აზერბაიჯანი შეიძლება ქცეულიყო რუსეთთან და ბოლშევიკებთან შემაერთებელ ერთადერთ რგოლად, იმდენად, რამდენადაც ბაქო ამიერკავკასიის „ბოლშევიკური მოძრაობის მექა“ ითვლებოდა და რუსი ბოლშევიკები წარმატებით ანხორციელებდნენ აქ თავიანთ ღია თუ იატაკქვეშა საქმიანობას. რუსეთთან და ბოლშევიკებთან უშუალო კონტაქტების დასამყარებლად მუსლიმებით დასახლებული საკომუნიკაციო არხიც მოიაზრებოდა — ნახიჭევანი-ზანგეზური-ყარაბაღი.

და მეხუთე — რატომ ჰალილ და ნური ფაშები, და არა ვინმე სხვა? პასუხი ამ კითხვაზე მარტივია. ორივე მათგანი კარგად იცნობდა კავკასიას, აზერბაიჯანსა და ბაქოს, იქ არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციას. გარდა ამისა, მათი ზეგავლენა აზერბაიჯანის პოლიტიკურ და სამხედრო წრეებზე ისევ ძალიან დიდი იყო. ამიტომ მუსტაფა ქემალი გარკვეულ კომპრომისზე წავიდა და ბაქოში არა ვინმე დაჯერებული ნაციონალისტი და თავისი გუნდის წევრი, არამედ სწორედ ყოფილი ოსმალთა გენერლები და „ყარაქოლთან“ ახლო მდგომი ხალხი გაგზავნა. ამჯერად, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, მან ავტორიტეტების ჩართვა ამჯობინა საქმეში, პირადი ერთგულებისა და გუნდურობის პრინციპის დაცვას.

მუსტაფა ქემალის ჯგუფთან პარალელურად, ბოლშევიკებთან ურთიერთობების დამყარებას სხვა თურქული ნაციონალისტური ჯგუფებიც ესწრაფვოდნენ. პირველ რიგში, ჩვენთვის უკვე ცნობილი ექსიტისადისტთა გასაიდუმლოებული ორგანიზაცია „ყარაქოლი“. მუსტაფა ქემალის ანატოლიაში გადასვლისა და წინააღმდეგობის მოძრაობის დაწყების შემდეგ, „ყარაქოლმა“ დამოუკიდებელ თამაშებს მიმართა. ამერიკული მანდატის მიღებაზე დადებითი განწყობების პარალელურად, „ყარაქოლმა“ თავის მხრივ ბოლშევიკებისაკენ მიმავალი გზების ძიება დაიწყო. მუსტაფა ქემალმა რამდენჯერმე გააფრთხილა „ყარაქოლი“, რომ შეენწყვიტა დამოუკიდებლად მოქმედება და შეერთებოდა ნაციონალისტთა მოძრაობას, მაგრამ

ამაზე უარი მიიღო. „ყარაქოლი“ არ განიხილავდა ანკარას და იქ თავმოყრილ ნაციონალისტებს წინააღმდეგობის მოძრაობის ცენტრად. ცხადია, საერთო ჯამში, ასეთი ქმედებები ქსაქსავდა და ნაკლებად ეფექტურს ხდიდა თურქთა წინააღმდეგობის მოძრაობას.

იმდენად, რამდენადაც „ყარაქოლი“ ძირითადად იმამალთა იმპერიის ყოფილი მმართველი პარტიის „ერთიანობისა და პროგრესის“ წევრებით იყო დაკომპლექტებული, ამიტომ ნაციონალური წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერებად ისინი თავის თავს განიხილავდნენ და არა ვინმე სხვას. სწორედ ამიტომ, „ყარაქოლის“ ერთ-ერთი ლიდერი ბაჰა საიდი 1919 წლის ბოლოს ბაქოში მიემგზავრება და იქ იატაკქვეშეთში მოქმედ ბოლშევიკებთან ამყარებს საქმიან კონტაქტებს. 1920 წლის 11 იანვარს კი, ბაჰა საიდსა და ბოლშევიკთა წარმომადგენელს შორის გარკვეული ხელშეკრულებაც იდება. „ყარაქოლის“ ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, ყარა ვაზიფმა, ამ ხელშეკრულების შესახებ ინფორმაცია მუსტაფა ქემალს 1920 წლის 26 თებერვალს გაუგზავნა, რომელიც ანკარის მიერ არ იქნა აღიარებული. მუსტაფა ქემალი მდგომარეობიდან გამოიყვანა იმ ფაქტმა, რომ ასეთი ტიპის ხელშეკრულება მისი ნებართვისა და ანკარის მონაწილეობის გარეშე იქნა ხელმოწერილი. მან შეატყობინა ყარა ვაზიფს, რომ ანკარა არა სცნობს არავითარ სეპარატისტულ ორგანიზაციას, ამავე დროს მოსთხოვა „ყარაქოლს“ რომ შეენწყვიტათ ყველა სახის აქტივობა და დამორჩილებოდნენ ანკარას“ [14, 282-285].

იმ ფაქტს, რომ თურქების მხრიდან პირველი ფორმალური კონტაქტი ბოლშევიკებთან სწორედ „ყარაქოლის“ და არა ქემალისტების მიერ იქნა დამყარებული, ცნობილი ამერიკელი აღმოსავლეთმცოდნე და თურქოლოგი, ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორი, ჰასან პაქსოიც ადასტურებს თავის ნაშრომში „US and Bolshevik relations with the TBMM government. The first contacts, 1919-1921“ : „ერთის მხრივ... „ყარაქოლ ჯემიეთის“ (Karakol Cemiyeti), ხოლო მეორეს მხრივ, კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სრულუფლებიან წარმომადგენელს (ვინაობა არ სახელდება) შორის, რომელიც მოქმედებდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სახალხო კომისარიატის სახელით, ადგილი ჰქონდა მოლაპარაკებას (დაიდო კონტრაქტი). შემდგომ მოხსენიებული იყო, რომ ხელშეკრულებას ბაჰა საიდ ბეი აწერდა ხელს „ყარაქოლის“ სახელით, როგორც კავკასიაში აკრედიტებული ორგანიზაციის სრუ-

ლუფლებიანი წარმომადგენელი. ხელშეკრულება ბაქოში იქნა ხელმოწერილი, 1920 წლის 11 იანვარს“ [25, 13-14].

ზემოთ ხსენებული თურქი მეცნიერები ვერ ახერხებენ „ყარაქოლთან“ და ბაჰა საიდთან რუსული მხრიდან ხელმოწერილი პირის, „კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სრულუფლებიანი წარმომადგენლის“ იდენტიფიცირებას. არადა ეს პირი ცნობილი რუსი რევოლუციონერი და ბოლშევიკი, ეროვნებით ქართველი, ამხანაგი შალვა ელიავა იყო, რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს უფლებამოსილებებით აღჭურვილი პირი.

ამ საკითხთან დაკავშირებით გენერალი ალი ფუატ ჯებესოი თავის მემუარში „მოსკოვური მოგონებები“ (Moskova Hatiralari) — წერს: „სივასის კონგრესის დასრულებიდან „ერთ-ორ თვეში“ ბოლშევიკები თავის მხრივ აგზავნიან დელეგაციას ოსმალთა იმპერიაში, კერძოდ, კონსტანტინოპოლში პოლიტიკური სიტუაციის შეფასებისათვის... ბოლშევიკთა ამ ჯგუფს „კავკასიის არმიის გენერალური უფროსი“, (General Chief of the Caucasus Army — ა. ჩ.) ამხანაგი შალვა ელიავა ხელმძღვანელობდა. დელეგაცია შეპირდა თურქ ნაციონალისტებს, რომ ბოლშევიკები აღიარებენ მათ უფლებებს და ისინი მზად არიან დაუყოვნებლივ გაუწიონ დახმარება ნაციონალისტებს „იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში“ [26, 60].

გენერალ ალი ფუატ ჯებესოის ამ მემუარშიც მცირე კორექტივებს შევიტანთ. ჯერ ერთი, ბოლშევიკთა შეიარაღებული ძალების — „მუშურ-გლეხური წითელი არმიის“ (РККА — Рабоче-крестьянская Красная армия) არსებობის სინამდვილეში ასეთი საჯარისო შენაერთი — „კავკასიის არმია“ არ არსებობდა. ასეთი დასახელების არმია I მსოფლიო ომის პერიოდში არსებობდა ცარისტული რუსეთის, „ოზაკომისა“ და ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის პერიოდებში. ხოლო საბჭოთა რუსეთში ახალი ტიპის შეიარაღებული ძალების შექმნისთანავე, სამხედრო საქმეთა სახალხო კომისარიატის (სამხედრო სამინისტრო) მიერ წითელი საჯარისო გაერთიანებები (არმიები), შენაერთები (კორპუსები) თუ ნაწილები, (დივიზიები და პოლკები) აგრეთვე ქვედანაყოფები (ბატალიონები და ასეულები) უკვე ციფრობრივი ფორმითა და ჯარების გვარეობებისა თუ დანიშნულების მიხედვით სახელდებოდა. მაგალითად, მე-10 არმია, მე-3 საკავალერიო კორპუსი, მე-7 მსროლელი დივიზია, მე-4 საარტილერიო პოლკი, მე-12 ქვეითი ბატალიონი, მე-2 სადაზვერვო ასეული და ა.შ. გამონაკლისს შეადგენდნენ წითელი არმიის ისეთი საჯარისო ფორ-

მირებები, რომლებიც ადგილებზე იქმნებოდნენ სტიქიურად და რომელთა რაოდენობაც ძალიან შეზღუდული იყო — მაგალითად, ე.წ. „ტამანის არმია“ . ამ დროისათვის, ე.ი. 1919 წლის ბოლოსათვის, წითელი არმიის სინამდვილეში სამხრეთის მიმართულებაზე არსებობდა უმაღლესი საჯარისო-ოპერატიული გაერთიანება დასახელებით — „კავკასიის ფრონტი“ და არა „კავკასიის არმია“ , თუმცა ამ მომენტისათვის შალვა ელიავას ამ ფრონტთანაც არ ჰქონდა შეხება. კავკასიის ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა ბოლშევიკთა მე-11 არმია, რომელიც ოდნავ მოგვიანებით, 1920 წლის გაზაფხულიდან იქნა შემოყვანილ ამიერკავკასიაში. ცხადია, შალვა ელიავა ამ არმიის „გენერალური უფროსსაც“ არ წარმოადგენდა. მე-11 არმიას ამ მომენტისათვის თბილისში დაბადებული და გაზრდილი, გარუსებული პოლონელი, მიხეილ ლევანდოვსკი სარდლობდა. შალვა ელიავა თურქესტანის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს წევრსა და ამავე დროს, თურქესტანის კომპარტიის ცეკას ბიუროს თავმჯდომარის მოადგილეს წარმოადგენდა. შესაბამისად, იგი კარგად ერკვეოდა „აღმოსავლურ საკითხებში“ . მოგვიანებით, მე-11 წითელი არმიის ამიერკავკასიაში შემოსვლის შემდეგ, იგი კავკასიის ფრონტის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს შემადგენლობაშიც იქნა შეყვანილი.

ალი ფუათ ჯებესოი აგრძელებს: „ელიავა შეხვდა თურქ ნაციონალისტებს კონსტანტინოპოლში და განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთი აღიარებს მათ უფლებებსა და მოთხოვნებს, და ბოლშევიკები მზად არიან დაეხმარონ ქემალისტებს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“ [26, 60]. მაგრამ ბოლშევიკთა მიერ აქვე იქნა წაყენებული მოთხოვნები, რომ ეს დახმარება გამოყოფილი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქემალისტები გაიზიარებდნენ ბოლშევიკურ იდეებსა და იდეოლოგიას.

ასევე, პირველი ოფიციალური ფიგურა ბოლშევიკთა მხრიდან, რომლის თურქეთში ვიზიტიც შედგა, ისევ და ისევ შალვა ელიავაა. მის კონსტანტინოპოლში ვიზიტს ადასტურებს ცნობილი ამერიკელი მეცნიერი რიჩარდ ოვანესიანი: „კონსტანტინოპოლში შალვა ელიავა ანატოლიის გავლით ჩავიდა, სადაც მას 1919 წლის ბოლოს შეხვედრები ჰქონდა საზოგადოება „ყარაქოლის“ ხელმძღვანელებთან, კონკრეტულად მისი ცენტრალური კომიტეტის წევრთან, ბაჰა საიდთან. ძირითად პრინციპებზე შეთანხმების შემდეგ, სავარაუ-

დოა, რომ ელიავამ იგი ბაქოში მიიწვია მოლაპარაკებების დასასრულელად“ [17, 142].

„ყარაქოლის“ წარმომადგენლების შეხვედრა ბოლშევიკებთან ბაქოში მართლაც შედგა 1920 წლის 11 იანვარს, სადაც როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუალედური ხელშეკრულებაც დაიდო თანამშრომლობის შესახებ. ამ ხელშეკრულების მთავარი მიზანი ერთობ ზოგადი და დეკლარაციული ხასიათისა იყო — „მუსლიმური ქვეყნების განთავისუფლება დასავლეთ ევროპელი იმპერიალისტების ჩაგვრისაგან“. ხელშეკრულება 15 სტატიისაგან შედგებოდა. აზერბაიჯანელი მკვლევარის, ვაზიფ გაფაროვის მიხედვით, რომელიც საარქივო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით აკეთებს დასკვნებს, ამ ხელშეკრულების ყველაზე საინტერესო, მე-11 სტატიას შემდეგი სახე ჰქონდა:

„...რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკა და თურქეთის რევოლუციური მთავრობა იღებენ ვალდებულებებს გაუწიონ მხარდაჭერა კავკასიაში დაწყებულ საერთო მოძრაობას ინგლისური და რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ და იმოქმედონ ამ მოძრაობის დამამუხრუჭებელ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობების წინააღმდეგ, რომლებიც იმპერიალისტური ევროპის ზეგავლენით მოქმედებენ ამ ხელშეკრულების მიზნებისა და ამოცანების წინააღმდეგოდ. თურქეთის დროებითი რევოლუციური მთავრობა, წარმოდგენილი რევოლუციური საზოგადოება „ყარაქოლის“ აღმასრულებელი ორგანოთი, ვალდებულებას იღებს დაეხმაროს ყველა მთავრობას, რომელიც კი შეუერთდება ამ ხელშეკრულებას და განსაკუთრებით კავკასიის სამხარეო კომიტეტს, ზემოთ დასახელებული სამი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში...“ [27].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ყარაქოლის“ მიერ დადებული ეს ხელშეკრულება, ყარაბეჯირის რჩევით, მუსტაფა ქემალის მიერ არ იქნა აღიარებული. ამით ქემალისტები კიდევ ერთხელ გაემიჯნენ ექსიტხადისტებს და მათ საიდუმლო ორგანიზაცია „ყარაქოლს“. მუსტაფა ქემალი და ქიაზიმ ყარაბეჯირი, ცხადია არ დაუშვებდნენ ბოლშევიკებთან ურთიერთობების იტიხადისტებზე დელეგირების უფლებას. ისინი თვლიდნენ, რომ თურქული სახელმწიფოს გადარჩენისათვის ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ მათი საქმე იყო და არა რომელიმე სხვა ორგანიზაციისა. ამ გზაზე იგი, და მხოლოდ იგი, მუსტაფა ქემალი უნდა ყოფილიყო ქვეყნის ერთადერთი მხსნელი. იგი უნდა ყოფი-

ლიყო დეოკუპაციისა და დამოუკიდებლობის მოპოვების გზაზე განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთადერთი ლიდერი.

საერთო ჯამში, თურქი წარმომადგენლები, რომლებიც 1919 წლის ბოლოსა და 1920 წლის დასაწყისში ბაქოში მოქმედებდნენ და აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს თურქული წინააღმდეგობის მოძრაობასა და ბოლშევიკებს შორის, საბჭოთა მხრიდან დახმარებების გამოყოფის შესახებ, პირობითად ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ. პირველ ჯგუფს მუსტაფა ქემალისა და ყარაბაქირ ფაშას მიერ ბაქოში გაგზავნილი თურქი ოფიცრები წარმოადგენდნენ გენერალ ჰალილ და ნური ფაშების მეთაურობით, მეორე ჯგუფს კი — ორგანიზაცია „ყარაქოლის“ წევრები. და აქ მუსტაფა ქემალმა პოლიტიკურად და ტაქტიკურად მეტად მომგებიანი სვლა გააკეთა. 1920 წლის დასაწყისისათვის, მისი გადაწყვეტილებით, მოქმედებების კოორდინაციისა და საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, მან მიიღწია ამ ორი ჯგუფის ერთ ორგანიზაციად გართიანებას. ამ ორგანიზაციას, რომელიც ერთის მხრივ „ყარაქოლის“ აქტივისტებისაგან, ხოლო მეორეს მხრივ, გენერალ ჰალილ ფაშას ოფიცერთა ჯგუფისაგან შედგებოდა, რაც არ უნდა მოულოდნელი იყოს — „თურქეთის კომუნისტური პარტია“ ეწოდა. მისი წევრები გახდნენ — ჰალილ ფაშა, ნური ფაშა, დოქტორი ფუატ ზაბიდი, ბაჰა საიდი და სხვა ოცომანი ოფიცრები. გენერლები ჰალილ და ნური ფაშები კი, უმაღლესი „ამხანაგ ჰალილად“ და „ამხანაგ ნურიდ“. პარტიაში შეიქმნა სხვადასხვა განყოფილება — სატრანსპორტო, საგამომცემლო, პროპაგანდის. დაიწყო პარტიის პერიოდული ორგანოს გამოცემაც — „Yeni Dünya“ (ახალი გზა). მუსტაფა ქემალისა და თურქ ნაციონალისტთა მიერ გათამაშებული დიდი პოლიტიკური ფარსი შედგა. ამ ორი ნაციონალისტური ორგანიზაციის „თურქეთის კომუნისტურ პარტია“ გაერთიანებით მუსტაფა ქემალმა და მისმა გუნდმა ერთი ხაფანგით ორი კურდღელი დაიჭირა. პირველი — მან შეიერთა და თავის კონტროლს დაუქვემდებარა ძნელად კონტროლირებადი „ყარაქოლის“ მოქმედებები. და მეორე და მთავარი — ე.წ. „თურქეთის კომპარტიის“ შექმნით მან ბოლშევიკების მხრიდან გარკვეული ნდობაც მოიპოვა.

„ახალი თურქეთის“ საბჭოთა რუსეთისაკენ ლტოლვასა და მისი მთავრობის პრობოლშევიკურ განწყობებს შესაბამისად გამოეხმაურა ოფიციალური მოსკოვიც. ჯერ კიდევ 1919 წლის 13 სექტემბერს, რსფსრ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა, გიორგი ჩიჩე-

რინმა თურქეთის მუშებსა და გლეხებს შემდეგი მიმართვა გაუგზავნა, რომელიც გაზეთ „Известия“ -ს 13 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა:

— „ამხანაგო თურქეთის მუშებო და გლეხებო! თქვენი ძმები, რუსი მუშები და გლეხები, რომლებმაც თავის თავზე იწვნიეს საკუთარ მტაცებელ-სისხლისმსმელთა მთელი სიმწარე, რომლებიც გარე მტაცებლებზე — ევროპელ ყაჩაღებზე ყიდდნენ რუსეთს, გადანყვიტეს საკუთარ ხელში აიღონ მართვის სადავეები.

და აი, თითქმის ორი წლის განმავლობაში ისინი თავისი ხელი-სუფლებისათვის, მშრომელთა ხელისუფლებისათვის იბრძვიან.

და ახლოსაა ის საათი, როდესაც საბჭოთა რუსეთში კაპიტალზე შრომის ზეობა დადგება და შრომის მტრები შეწყვეტენ მასზე თავიანთ თავდასხმებს.

მაგრამ ეს საკმარისი არაა. საჭიროა მთელი მსოფლიოს მშრომელთა შეერთება მსოფლიო მჩაგვრელების წინააღმდეგ. და ამიტომაც, საბჭოთა რუსეთის მუშურ-გლეხური მთავრობა იმედოვნებს, რომ თქვენ, თურქეთის მუშები და გლეხები, რომლებიც ამ ჩაგვრას განიცდით, ამ საპასუხისმგებლო მომენტში ძმურ ხელს გამოგვიწოდებთ, რათა ერთიანი შეკრული ძალებით გავყაროთ და გავანადგუროთ ევროპელი მტაცებლები, ქვეყნის შიგნით კი დავასუსტოთ ისინი, რომლებიც თავიანთ ბედნიერებას თქვენს უბედურებებზე აშენებენ“ [28].

1919 წლის სექტემბრის თვეში რუსეთიდან გამოგზავნილი ოფიციალური გზავნილი ქემალისტთა მიერ მიღებულ იქნა. აქ კი, კავკასიაში, „თურქეთის კომპარტია“ იქნა ჩამოყალიბებული. და ეს, ანატოლიასა და ამიერკავკასიაში დაარსებული პირველი „თურქეთის კომპარტია“ იყო. ამ ე. წ. „თურქეთის კომუნისტური პარტიის“ დაარსებისთანავე ბაქოდან დაიწყო ინტენსიური მიმონერა ანატოლიის მოძრაობის ლიდერებთან, პირველ რიგში კი მუსტაფა ქემალთან და გენერალ ქიაზიმ ყარაბექირთან. ფაქტობრივად, ამ „კომპარტიის“ შემდგომი ფუნქციონირება ანკარიდან მიღებული დირექტივებისა და მითითებების შესაბამისად წარიმართა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას.



## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Mondros Armistice, Turkish Greek relations, Istanbul, 2004.
2. Nur Bilge Criss, Istanbul under Allied Occupation 1918-1923, Leiden; Boston; Köln: Brill, 1999.
3. ა. ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბილისი, 2007.
4. Kamuran Gurun, The War of Independence. Ankara. 1982. H. C. Armstrong.
5. Andrew Mango, Atatürk. John Murray (Publishers). 338 Euston Road. London, 2004.
6. Корсун Н. Г. Греко-турецкая война 1919–1922 гг. — Москва, Воениздат НКО СССР, 1940 (Военно-историческая библиотека).
7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1976, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 76.
8. სცსსა, ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 73, ფურცელი 1.
9. Станислав Тарасов, Мифы о Карабахском конфликте. Сборник статей, Международный институт новейших государств, Москва, 2012.
10. „Жизнь Национальностей“ № 6, 15 декабря 1918 г. И. Сталин.
11. И. Сталин, Марксизм и национально-колониальный вопрос, Партиздат ЦК ВКП(б), 1935.
12. А. Ф. Миллер, Очерки Новейшей Истории Турции, Москва, Издательство АН СССР, 1948.
13. Andrew Mango, Atatürk, John Murray (Publishers), 338 Euston Road, London, 2004.
14. Nersin Ersoy McMeekin, Turkey's relations with the Bolsheviks (1919-1922), The department of international relations, Bilkent University, Ankara, 2007.
15. Stanford J. Shaw. Ezel Kural Show. History of the Ottoman Empire and modern Turkey, Volume 2, Reform, Revolution, and Republic: The rise of the modern Turkey, 1975.
16. Александр Жевахов, Кемаль Ататюрк. Перевод осуществлен по изданию: Alexandre Jevakhoff, Kemal Atatürk, Paris, Tallandier, 1999.

17. Richard G., Hovannisian, Armenia and the Caucasus in the Genesis of the Soviet-Turkish Entente. International Journal of Middle East Studies, Cambridge University Press, 1973.
18. Александр Ушаков, Феномен Ататюрка, Турецкий правитель, творец и диктатор, Москва, Центрполиграф. 2002.
19. Emel Akal, Milli Mücadelenin Baçlangicinda Mustafa Kemal, Ittihat Terakki ve Bolşevizm (Istanbul: TÚSTAV, 2002).
20. Джон Киракосян, „Младотурки перед судом истории“, Ереван, Издательство „Айастан“ , 1986.
21. Станислав Тарасов, Как Владимир Ленин и Мустафа Кемаль советизировали Закавказье, ИА REGNUM.
22. Шамсутдинов А. М. Национально-освободительная борьба в Турции, 1918-1923. Москва, 1966.
23. Kazim Karabekir, *Istiklal Harbimiz*. (Istanbul, 1960), Hüsrev Bey's letter to Karabekir, June 7, 1919.
24. Harish Kapur, Soviet Russia and Asia 1917-1927. A Study of Soviet Policy Towards Turkey, Iran and Afghanistan (Geneva: Imprimerie Genevoise, Victor Chevalier, 1966).
25. Н. В. Paksoy, US and Bolshevik relations with the TBMM government, The first contacts, 1919-1921, The Journal of Sophia Asian studies. №. 12, 1994.
26. Ali Fuat Cebesoy, Moskova Hatiralari. Milli Mücadele Bolşevik Rusya. (Istanbul: Vatan Neşriyatı, 1955).
27. Васиф Гафаров, Русско-турецкое сближение и независимость Азербайджана (1919-1921). ГААР, ф. 894, оп. 10, д. 145, л. 13.14; Карабекир К. Наша война за независимость. Т. II;
28. „Известия“ , 1919, 13 сентября.

**Archil Chachkhiani**

*Doctor of History, Colonel, David Aghmashenebeli Georgian National Defence Academy, Command and General Staff College, Senior Instructor*

## **Early Relations between Bolsheviks and Kemalists and their First Contacts in 1919**

### **Summary**

This article concerns the process of establishing the Russian-Turkish relations, more precisely the relations between the Bolsheviks and Kemalists, in the post-war (WW I) period. Turkish nationalists and Russian Bolsheviks, decided to create military-political alliance to rescue their countries suffering great material and moral losses as a result of being defeated in the war.

Taking into consideration the existing realities, at the background of occupation the considerable part of the Ottoman Empire by the Antante States, establishing relations with the Russian bolsheviks remained the only way for the Turkish nationalists to ensure survival of the Turkish state, Russia itself undergoing serious hardships of the civil war and foreign intervention.

Lenin and Russian bolsheviks viewed the new Turkish national movement and its leader Mustafa Kemal in perspective of one of the best means for struggling against `World Imperialism“ . This idea fully corresponded to the concept of the `Global Proletarian Revolution“ and to the general political outline devised by the ideologists of Kremlin. Anti-imperialist coalition and `Joint struggle against the International Imperialism“ have to turn into that main ideas which would cement the military-political interests of Kemalist Turkey and Bolshevik Russia and in total, would save both of the states which emerged on the territories in the post-imperialist times.

This article concerns the genesis of the mentioned alliance, first contacts between Bolshevik emissars and Turkish nationalists. Based on the analysis of the writings and research works of several authors, it was evidenced that the place of the first meeting was a little town Havsa (Anatolia), in May 1919. That meeting became a precondition for the further relations between the Bolsheviks and Kemalists.

## რატომ დაიგმო სტალინის პიროვნების კულტი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შე-  
სახებ უამრავი დაინერა, ბევრი ინერება ახლაც და მომავალშიც დაი-  
ნერება, ერთმნიშვნელოვანი შეფასება, ცხადია, ამ მოვლენას არ მის-  
ცემია და ეს სავესებით გასაგებია. ყველა ისტორიულ მოვლენას შეიძ-  
ლება მიეცეს განსხვავებული ინტერპრეტაცია, მაგრამ მსოფლიო ის-  
ტორიაში იშვიათია მოვლენა, როცა მის ნამდვილ, ქეშმარიტ მიზეზებ-  
ზე უფრო ნაკლებად საუბრობენ, ვიდრე ამ მოვლენის დანარჩენ გან-  
მაპირობებელ ფაქტორებზე. სტალინის პიროვნების კულტის დაგმო-  
ბა, ვფიქრობთ, სწორედ ამგვარ მოვლენათა რიგშია. ამის ერთ-ერთი  
მიზეზი ალბათ ისიც არის, რომ თავად სტალინის ფენომენი ფასდება  
სხვადასხვაგვარად, როგორც პროფესორი ვახტანგ გურული აღნიშ-  
ნავს სავესებით სმარათლიანად, „...ობიექტური მემატთანე ჯერ კიდევ  
არ ჩანს... იოსებ სტალინის მოღვაწეობა ობიექტურად შეფასდება მა-  
შინ, როდესაც რუსეთის ქეშმარიტი ისტორია დაინერება, ეს კი ძალ-  
ზე შორეული მომავლის საქმეა“ [3, 2].

ამჯერად ჩვენს მიზანს სტალინის პოლიტიკური პორტრეტის  
შეფასება არ წარმოადგენს. მასზე ინტერესი არ ცხრება, მსოფლიოში  
კვლავაც ბევრი ნიგნი ინერება სტალინზე, სადაც განსახვავებულა-  
დაა შეფასებული პროლეტარიატის დიდი ბელადი, მაგრამ თავად მის  
მიერ დაარსებულ ზესახელმწიფოში რამ განაპირობა 1956 წელს სტა-  
ლინის პიროვნების კულტის დაგმობა, ვფიქრობთ. არ არის საკმარი-  
სად გაანალიზებული და მისი ნამდვილი მიზეზი დღემდე არაა ახსნი-  
ლი.

კომპარტიის XX ყრილობას სტალინის გარდაცვალების შემდეგ  
უდიდესი ინტერესით ელოდნენ, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე  
საზღვარგარეთ. ინტერესი, ცხადია, ცვლილებით იყო განაპირობებუ-  
ლი. თავის დროზე, როცა შეიქმნა საჭოთა კავშირი, გაცხადდა რომ ამ  
სახელმწიფოში იქნებოდა პროლეტარიატის დიქტატურა, მსოფლიო-  
ში პირველად შეიქმნა მუშურ-გლეხური სახელმწიფო და ამ სახელ-  
მწიფოს სათავეში ჩაუდგა იოსებ სტალინი. პროლეტარიატის დიქტა-  
ტურას დიქტატორი ქირდებოდა და ამის საუკეთესო მაგალითს სტა-

ლინი წარმოადგენდა. მან ურთულეს პოლიტიკურ ბრძოლებში დაამარცხა ტროცკისტული დაჯგუფება და ქვეყანაში ერთპიროვნული დიქტატურა დაამყარა, შემდეგ იყო XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიები, რაც სტალინს ამ სისტემის განსამტკიცებლად დასჭირდა, შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომი, რომელშიც ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ საბჭოთა კავშირის გავლენის სფეროები თითქმის ნახევარ პლანეტაზე გავრცელდა, ხოლო სტალინის ავტორიტეტი მსოფლიო მასშტაბით უზომოდ გაიზარდა.

დასავლეთი შიშმა მოიცვა, აუცილებელი გახდა „შეკავების პოლიტიკის“ გატარება, რათა „დომინოს ეფექტით“ არ მომხდარიყო კომუნისტური რეჟიმების დამყარება დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. სტალინმა ჯერ კიდევ კომპარტიის XVIII ყრილობის დახურულ სხდომაზე 1939 წ. განაცხადა, რომ დიდი ომის გარეშე კომუნისტური პარტიის დიქტატურის გავრცელება შეუძლებელი იქნებოდა. ეს ომი მოხდა, საბჭოთა კავშირი იქცა ზესახელმწიფოდ და აშშ-სთან ერთად კარნახობდა მსოფლიოს თავის ნებას. დაიწყო ზესახელმწიფოების ბატონობისა და იდეოლოგიური დაპირისპირების ეპოქა. რუსეთს (სსრკ-ს) კი ასეთი დიდების მასშტაბებისათვის არასოდეს მიუღწევია და ამაში სტალინს უდიდესი დამსახურება მიუძღოდა. ფანტაზია იყო საჭირო, რომ რუსეთის ყველაზე დიდი იმპერიის შემქმნელი ამავე იმპერიის მესვეურებს დაეგმოთ და კრიტიკის ქარცეცხლში გაეტარებინათ; და ასეთი ფანტაზია იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ-ის პირველ მდივანს ნიკიტა ხრუშჩოვს, რომელმაც კომპარტიის XX ყრილობის დახურულ სხდომაზე სტალინს ბრალი დასდო 30-იან წლებში გატარებული რეპრესიებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებიდან გადახვევაში, ომის დაწყების დროსა და ომის მიმდინარეობის პერიოდში დაშვებულ შეცდომებში, ომის შემდგომ რეპრესიებში და ა.შ. ერთადერთი დადებითი, რასაც ხრუშჩოვმა შესავალ ნაწილში გაუსვა ხაზი, ეს არის სტალინის დამსახურება ბოლშევიკური რევოლუციის მომზადების საქმეში.

რაში დასჭირდა საბჭოთა ლიდერსა და საბჭოთა კავშირის მაშინდელ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ასეთი რამ? მართლა სტალინის რეპრესიებით იყვნენ ისინი შენუხებულნი? მართლაც ტყუილად „ლენინელ კომუნისტებს“ აწუხებდათ სტალინის მიერ შექმნილი „პიროვნების კულტი“ და მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების უხეში დარღვევა? რა თქმა უნდა არა! ასეც რომ ყოფილიყო, იმ რეპრესიული აპარატისა და სტალინის ეპოქაში ჩადენილი დანაშაულების მონაწი-

ლე ხომ თავადაც იყო ამ ყრილობის უდიდესი უმრავლესობა, მაგრამ საქმეც ისაა, რომ სტალინის კრიტიკის ნამდვილი მიზეზი, მის მიერ ძალაუფლების გადამეტებასა და რეპრესიული აპარატის დანერგვაში, ან მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებიდან გადახვევაში კი არ იმალებოდა, არამედ მის ჭეშმარიტ საზრდოს წარმოადგენდა, თავის დროზე ლენინის მიერ გაცხადებული „ველიკორუსული დიდმპყრობლური შოვინიზმი“. ლენინი წერდა, ეროვნული საკითხების განხილვისას, რომ სოციალ-დემოკრატიისათვის სახიფათო იქნებოდა „ველიკორუსული დიდმპყრობლური შოვინიზმის განვითარება“, რადგან მას შეიძლება ადგილობრივი ნაციონალიზმი დაუპირისპირდესო.

სტალინის „პიროვნების კულტის“ მხილება განპირობებული იყო სტალინის წარმოშობით. ეს არც დაუმაღლავს ხრუშჩოვს. მან არაერთხელ მოიხსენია უარყოფით კონტექსტში სტალინის სამშობლო. „აი თქვენ საქართველოს ღირსეული შვილი“ [1] არაერთხელ გაისმა სხდომათა დარბაზში.

ხრუშჩოვმა ქართველებისათვის „თავის მოქონვაც“ სცადა პარტიის XX ყრილობაზე. ცხადია სტალინის კრიტიკის ნამდვილ მიზეზს საბჭოთა ლიდერი პირდაპირ ვერ დაასახელებდა და ძალზე უნიჭოდ სცადა საქმის ვითარება ისე წარმოეჩინა, თითქოს სტალინის რეპრესიული აპარატი ერთნაირად აზარალებდა, როგორც სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს, ისე საქართველოს. შეიძლება ასეც იყო, გარკვეული თვალსაზრისით საქართველომ რესპრესიული წნეხი სხვაზე მეტად გამოსცადა, მაგრამ ხრუშჩოვის მოტივაცია განპირობებული იყო სხვა რამით. სტალინის ლანძღვა-გინების ფსიქოლოგიურ საზრდოს სწორედ მისი ქართველობა წარმოადგენდა.

XX ყრილობაზე ხრუშჩოვი შეეხო ე. წ. „მეგრელთა საქმეს“. მან აღნიშნა: „ყურადსაღებია საქართველოში ვითომ არსებული მეგრელთა ნაციონალური ორგანიზაციის საქმე. ამ საკითხზე, როგორც ცნობილია, 1951 წ. ნოემბერში და 1952 წ. მარტში მიღებულ იქნა სკკპ ცკ-ის გადაწყვეტილებები, რომლებშიც მძიმე ბრალდებები იყო გამოთქმული ბევრი პატიოსანი კომუნისტის მისამართით. ყალბი მასალების საფუძველზე მტკიცდებოდა, თითქოს საქართველოში არსებობს ნაციონალისტური ორგანიზაცია, რომლებიც იმპერიალისტური სახელმწიფოების დახმარებით ამ რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას ისახავს მიზნად.

ამასთან დაკავშირებით დააპატიმრეს მთელი რიგი ქართველი პარტიული და საბჭოთა პასუხისმგებელი მუშაკები. როგორც შემ-

დგომში დადგინდა ეს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაზე ცილისწამება იყო.

ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში, როგორც ზოგიერთ სხვა რესპუბლიკაში, თავის დროზე ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის გამოვლინებას ჰქონდა ადგილი. ისმის კითხვა, იქნებ იმ პერიოდში, როცა ზემოხსენებული გადანყვეტილებები მიიღეს, ნაციონალისტური ტენდენციები იმ ზომამდე გაიზარდა, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გასვლის და თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში მისი გადასვლის საფრთხე გაჩნდა!“ [1] ამას დარბაზში სიცილი მოჰყვა. ქართველების მიმართ მთელს საბჭოთა პარტიულ და სახელმწიფო აპარატში უარყოფითი განწყობა იკიდებდა ფეხს. ქართველი ერი გარეგნულად მაინც „პრივილეგირებულ ერად“ გამოიყურებოდა, რადგან სტალინის სამშობლოდ საქართველო იყო აღიარებული. ახლა კი ბელადი დაგმეს და მიწასთან გაასწორეს. ამას არ შეიძლებოდა ქართველ ერში არ მოჰყოლოდა პროტესტი, და მოჰყვა კიდეც, რაც ტრაგიკულად დასრულდა თბილისში 1956 წლის 9 მარტს.

რა გვაძლევს კიდეც იმის თქმის საშუალებას, რომ სტალინი და-იგმო სწორედ მისი ქართული წარმოშობის გამო?

სტალინს იმდენად დიდი ავტორიტეტი ჰქონდა საერთაშორისო არენაზე, რომ კომუნისტური სისტემის უპირატესობის მტკიცების ერთ-ერთ უმთავრეს და ძლიერ არგუმენტს წარმოადგენდა. თანაც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდ ომში გამარჯვებული ტრიუმფატორიც იყო და მოულოდნელად ესმის მსოფლიოს, რომ ის ჯალათი იყო და არც მაინცდამაინც დიდი მხედართმთავრული ნიჭით გამოირჩეოდა, რომელმაც უამრავი შეცდომა დაუშვა ომის წლებში და, რაც მთავარია, გადაუხვია მარქსისა და ლენინის გზას, ანუ უღალატა კომუნისტურ იდეალებს. რალაც ცვლილებებს მსოფლიო სტალინის შემდეგ ელოდა, მაგრამ ასეთ რაიმეს ვერავინ წარმოადგენდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კომპარტიის XX ყრილობიდან დაიწყო საბჭოთა კავშირის დაშლა, ამის შემდეგ მან მხოლოდ ინერციით განაგრძო სვლა და 40 წლის შემდეგ დაიშალა კიდეც.

იოსებ სტალინის „პიროვნების კულტის“ დაგმობის პირდაპირი და უშუალო შედეგები იყო 1956 წლის მარტის მოვლენები თბილისში, 1956 წლის ნოემბრის მოვლენები პოლონეთში, უნგრეთში, საბჭოთა კავშირმა დაკარგა ჩინეთი. მათ ძე დუნმა დაგმო კრემლის ახალი პოლიტიკა.

ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდნენ კომუნისტური პარტიები დასავლეთის ქვეყნებში, მათი ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა. კომუნისტური აღბანეთის ლიდერმა ენვერ ჰოჯამ ხრუშჩოვს რევიზიონისტი უწოდა და გვერდზე გაუდგა საბჭოთა კავშირს.

ყველა ამ მოვლენამ აჩვენა, რომ ხრუშჩოვისეული ლიბერალიზაცია ყალბი იყო. ზურაბ აბაშიძე წიგნში „ცივი ომი“ სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ხრუშჩოვი ცდილობდა მოეხდინა საბჭოთა რეჟიმის ლიბერალიზაცია და იმავდროულად შეენარჩუნებინა კომუნისტური პარტიის დიქტატურა, რაც სრულიად შეუთავსებელი იყო; აკრიტიკებდა სტალინის მასობრივი ტერორისათვის და თან ყველას უმტკიცებდა, რომ პარტია, რომელსაც სტალინი ხელმძღვანელობდა, კაცობრიობის ყველაზე პროგრესულ ძალას წარმოადგენდა“ [2, 50]. ეს ნიშნავს იმას, რომ საბჭოთა ლიდერს სტალინური სისტემა სურდა სტალინის გარეშე, ეს იყო იმ ტოტის მოჭრა, რომელზეც იჯდა საბჭოთა სისტემა. თუ გინდოდა საბჭოთა კავშირის დასუსტება, ხოლო შემდეგ დაშლა, იმაზე უკეთესს, ვიდრე სტალინის კრიტიკა იყო ვერც კი მოიფიქრებდა ვერავინ.

ნიკიტა ხრუშჩოვს სტალინის ეპოქის საგარეო საქმეთა მინისტრი ვიარჩესლავ მოლოტოვი ასე ახასიათებს: „ნიჭიერი, მაგრამ გაუნათლებელი და საშინლად თავხედი“ [6]. ხრუშჩოვი ნიჭიერი კაცი უდავოდ იყო. ისე ვერ მოხვდებოდა ზესახელმწიფოს სათავეში. მან არ იცოდა სტალინის დაგმობას მსოფლიოში ცვლილებები რომ მოჰყვებოდა და კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი დაეცემოდა? ცხადია იცოდა. მაგრამ იმდენად მოქმედებდა არასრულფასოვნების კომპლექსი როგორც ხრუშჩოვში, ისე უმეტეს იმდროინდელ საბჭოთა ნომენკლატურაში სტალინის პიროვნებასთან მიმართებით, რომ ეს მაინც გააკეთეს. მათთვის წარმოუდგენელი აღმოჩნდა, როგორ შეძლო სემინარიიდან გარიცხულმა ქართველმა საბჭოთა იმპერია 31 წელი ემართა, თანაც ემართა ისე, რომ სიკვდილის წინ ნახევარი პლანეტა დაეტოვებინა სამართავად მემკვიდრეებისათვის.

ისტორიამ იცის უმაღურობის მრავალი მაგალითი: თემისტოკლე ათენში, სტილიხონი რომში, მაგრამ ის რაც ხრუშჩოვის მოხსენებაშია კომპარტიის XX ყრილობაზე, ანალოგი ძნელად მოეძებნება. გიორგი ბეზირგანმა (მართალია ის სტალინის ერთმნიშვნელოვნად თაყვანისმცემელია) ამ მოხსენებას „ადამიანის მიერ დამწერლობის გამოგონების მომენტიდან შექმნილი ყველაზე სამარცხვინო დოკუმენტი“ [1] უწოდა. დავეთანხმებით თუ არა ამას ეს სხვა საკითხია, მაგრამ ერ-



თი რამ ცხადზე ცხადია, სტალინმა მთელი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა მიუძღვნა რუსეთს, საბჭოთა იმპერიის გაძლიერებას, როგორც ამერიკელი ბირთვული დიპლომატიის ცნობილი წარმომადგენელი ჰენრი კისინჯერი ამბობს, მან (სტალინმა ზ.კ.) რუსეთი XX საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია, ისევე როგორც რიშელიემ საფრანგეთი XVII საუკუნეში“ [4, 109]. მაგრამ მაღლობის მაგივრად „თავსლაფი“ მიიღო.

ნიკიტა ხრუშჩოვმა თავისი მოხსენება დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „გაუმარჯოს ჩვენი პარტიის ძღვევამოსილ დროშას — ლენინიზმს“ [1, 12]. მრავალეროვან, კონგლომერატულ საბჭოთა კავშირში არარუსი, ქართველი სტალინი დაიგმო, ხოლო რუსი ლენინის დროშა უფრო ძღვევამოსილად აფრიალდა. საქართველოს დედაქალაქში სანაპიროდან სტალინის ძეგლი აიღეს, ხოლო თავისუფლების მოედანსა და სხვაგან ლენინის ძეგლები დადგეს. ასეთი სახელმწიფო, ცხადია დაემხობოდა და დაემხო კიდევ.

დასავლეთში და ჩვენშიც დღეს ბევრს საუბრობენ საბჭოთა კავშირის დაშლის მიზეზებზე. ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ საბჭოთა კავშირი მხოლოდ სტალინის დაგმობამ დაანგრია, მაგრამ საბჭოთა სისტემის ძირითადი საყრდენი, სწორედ სტალინმა ჩააბეტონა და მასზე დარტყმა აუცილებლად გამოიწვევდა ამ სახელმწიფოს ჩამოშლას. ზოგიერთი პოლიტიკური აზრის მკვლევარი ამტკიცებს იმასაც, რომ გორბაჩოვის „პერესტროიკა“ თავიდან საბჭოთა კავშირის გადარჩენით იყო განპირობებული, მაგრამ გავიხსენოთ რით დაიწყო ეს „პერესტროიკა“. უძრაობის წლებში ტაბუდადებული სტალინის განახლებული და გამძაფრებული ლანძღვა-გინებით, სტალინური რეპრესიების ახლებურად გამომზეურებით. თუ გორბაჩოვს და მაშინდელ საბჭოთა პოლიტიკურ ელიტას მართლაც საბჭოთა კავშირის გადარჩენა სურდათ, ამაზე ბეცი ნაბიჯის გადადგმა არ შეიძლებოდა. როგორ გადაარჩენ იმ სახელმწიფოს, რომლის საყრდენის გამოცლაც ხრუშჩოვმა დაიწყო, ხოლო შენ ბოლომდე აცლი? საბჭოთა კავშირის გადარჩენისა და გარკვეული დროით გახანგრძლივების ერთ-ერთი ქმედითუნარიანი საშუალება იქნებოდა პირიქით, სტალინის რეაბილიტაცია (თუმცა რუსეთში მას სარეაბილიტაციო ნამდვილად არაფერი სჭირს). აქ ვერ გამოდგება იმის მტკიცებაც, რომ სხვანაირად საბჭოთა კავშირში გორბაჩოვი საბაზრო, თავისუფალ ეკონომიკას ვერ დანერგავდა. მარტივი ჭეშმარიტებაა: არ შეხებოდნენ საბჭოთა კონსტიტუციის მე-6 მუხლს, დაეფუძნებინათ ერთპარტიული

სისტემა — პლუს საბაზრო ეკონომიკა ჩინეთის მსგავსად, მაგრამ არა, აქ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ისტორიაში მნიშვნელოვანი მხოლოდ მომხდარი ფაქტებია. გორბაჩოვი ხრუშჩოვის სულიერი მემკვიდრე იყო, ისეთივე ქართველთმოძულე, როგორც ხრუშჩოვი და სუსლოვი. საბჭოთა კავშირის დაშლა მკვეთრად დააჩქარა სტალინის დაგმობამ, სტალინის დაგმობის უმთავრეს ფსიქოლოგიურ საზრდოს კი მისი ქართველობა წარმოადგენდა. შეიძლება ამიტომაც უნოდა პუტინმა სსრკ-ს დაშლას მე-20 საუკუნის მთავარი გეოპოლიტიკური კატასტროფა. სტალინი რუსი რომ ყოფილიყო არ დაგმობდნენ.

დღევანდელი რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მოღვაწეობაში, რუსულ პოლიტიკურ აზროვნებაში იგრძნობა ხრუშჩოვისა და გორბაჩოვის „ისტორიულ შეცდომათა“ გაანალიზების მცდელობა. ძნელი სათქმელია, როდის გაფანტავს „ისტორიული ქარი“ რუსეთის ძღვევამოსილი სახელმწიფოს დამაარსებლის „საფლავზე მიყრილ ნაგავს“, მაგრამ დღეს ინტერესი ამ დიდი პოლიტიკური ფიგურისადმი არათუ კლებულობს, იზრდება კიდევ.

#### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზ. გენერალსიმუსი, 16-22, თებერვალი, 2004.
2. ზ. აბაშიძე, ცივი ომი, თბილისი, 2009.
3. ვ. გურული, იოსებ ჯუღაშვილის არჩევანი: პოლიტიკური პორტრეტი ცდა, 1878-1907, თბილისი, 2007.
4. Kissinger H., Diplomacy, London: Simon, Schuster Ltd., 1995.
5. გაზ. ლიტერატურული საქართველო, 27 ოქტომბერი, 1989.

**Zurab Kvetenadze**

*Professor of the Technical University of Georgia*

## **Why Was Condemned the Cult of Stalin's Personality**

### **Summary**

At the 20<sup>th</sup> Congress of the Communist Party of the Soviet Union, the leader of the Soviet state - Nikita Khrushchev had criticized the newly died proletariat leader Joseph Stalin. Khrushchev accused him in the repressions of 30-es of the 20<sup>th</sup> century, gross violations of the principles of Marxism and Leninism, as well as in the mistakes made during the World War II, etc. He positively assessed his revolutionary work.

We believe that the denouncement of Stalin's cult of personality was caused by his origin. The Kremlin's political leaders could not bear the fact that ethnically Georgian man led the Soviet Empire for 31 years. If Stalin had been Russian, he would not have been condemned.

The criticism towards Stalin was a basis for the collapse of the Soviet Union. The authority of the Communist Party was shaken throughout the world. The demonstrations began to take place in Poland and the revolution ended with bloodshed in Hungary. China betrayed the Soviet Union. Stalin had the great authority and his condemnation and severe criticism towards him caused changes in the world.

## გლობალიზაცია და ეროვნული პრობლემები

მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები მჭიდროდ უკავშირდება გლობალიზაციას, რომელსაც ადრე მიმდინარე ინტეგრაციული პროცესებისაგან რიგი განსხვავებული ნიშნები გააჩნია.

გლობალიზაციის პროცესს ერთიანი მსოფლიო თანამეგობრობის ჩამოყალიბებამდე მივყავართ, რომელშიც ერთიანი ნორმების, ინსტიტუტებისა და კულტურული ღირებულებების ფორმირების ტენდენცია შეიმჩნევა. იგი ჩვენი ცხოვრების რეალობაა, რომელსაც ადრე მიმდინარე ინტეგრაციული პროცესებისაგან განსხვავებით, მთელი რიგი არსებითი ნიშნები და სპეციფიკური თავისებურებანი გააჩნია.

გლობალიზაციის პროცესი უნდა ჩადგეს სახელმწიფოთა მიერ წინასწარ შეთანხმებულ ჩარჩოებში, რათა მან არ წაშალოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დაგროვილი მრავალსაუკუნოვანი ისტორიული ტრადიციები, ღირებულებები, ეროვნული კულტურა და ა.შ.

თანამედროვე მსოფლიოში არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია ერთმანეთისაგან იზოლირებულად არსებობა. გლობალიზაცია ქმნის ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების ცივილიზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის და ეს პროცესი შეუქცევადია. ამასთანავე, დასავლეთის გლობალისტთა მცდელობა, გაავრცელონ თავიანთი ფასეულობანი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, საყოველთაოდ დაამკვიდრონ აზრი, რომ თითქოსდა დასავლური ცივილიზაცია და კულტურა უნივერსალურია და ყველასათვის მისაღები, შეინარჩუნონ სამხედრო უპირატესობა და დაამკვიდრონ საკუთარი ეკონომიკური ინტერესები, აწყდება სავსებით სამართლიან წინააღმდეგობებს სხვა ქვეყნებისა თუ ცივილიზაციების მხრიდან [1, 103-107].

ამდენად გლობალიზაცია არის არა მხოლოდ ახალი ტექნოლოგიები, მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვართა დანერგვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არამედ ახალი მწვავე პრობლემები სულიერი კულტურის სფეროში, რაც ახლებურად აყენებს დღის წესრიგში კაცობრიობის მომავალი ბედის საკითხს — ადამიანის, ინდივიდის, პიროვნების და საბოლოო ჯამში ეროვნული ცნობიერების, კულტურებისა და საერთოდ, ერების თვითმყოფადობის პრობლემას.

ადრე მიმდინარე ინტეგრაციული პროცესებისაგან განსხვავებით, თანამედროვე გლობალიზაციისათვის დამახასიათებელია მთელი რიგი ნიშნები, რომელთაგან უმთავრესია ის, რომ ამჟამად გლობალიზაციის გავლენით მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები უფრო სიღრმისეული ხასიათისაა.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესების იგნორირება შეუძლებელია და აუცილებელი ხდება სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირება, რომელიც განსაზღვრავს როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებს, ასევე უზრუნველყოფს ეროვნული ფასეულობების დაცვისა და ქვეყნის სუვერენიტეტის შენარჩუნების პირობებს. გარდა სოციალურ-ეკონომიკურისა, გლობალიზაციას აქვს ეროვნულ-კულტურული ასპექტებიც, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელია, გლობალიზაციის თანმხლებმა უარყოფითმა ტენდენციებმა საფრთხე შეუქმნას ერებისა და მათი კულტურების თვითმყოფადობას, მათ შემდგომ არსებობასა და განვითარებას [3, 1-3].

ცხადია, ამ მხრივ, არც საქართველო იქნება გამონაკლისი, ვინაიდან, მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი ჩვენს ქვეყანასაც გარდაუვლად შეეხება.

საკმარისია ირგვლივ მიმოვიხედოთ, რათა დავრწმუნდეთ იმაში, თუ რამდენად დიდია საქართველოზე გლობალიზაციისა და კულტურული იმპერიალიზმის გავლენა. ჩვენს გარშემო ყველაფერს გლობალიზაციის კვალი ამჩნევია.

გლობალიზაციის და კულტურული იმპერიალიზმის ნიშნები ყველგანაა, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა იმდენად, რომ ამერიკანიზაციაზეც შეიძლება ვისაუბროთ. ყოველივე ამას პირველ რიგში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები და მედიები უწყობს ხელს. მასობრივი კომუნიკაციის საშუალებების გავრცელების, ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ იმატებს გლობალიზაციის ზრდის პროცესიც.

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი სულ ახალ-ახალ სახელმწიფოებს ითრევს თავის მორევში. დასავლეთის დემოკრატიულ სივრცესთან თანდათანობით დაახლოებით, დიდი საერთაშორისო პროექტების განხორციელებაში მონაწილეობით ამ პროცესში თავისთავად ებმება საქართველოც. სანამ სპეციალისტები ამ ახალ, ბოლომდე შეუსწავლელ ფენომენს იკვლევენ, ის განუხრელად შემოდის ჩვენს

ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენს თვითოეული ჩვენგანის აზროვნებასა და ქცევაზე [3, 60-61].

თუ ვფიქრობთ მომავალზე, ვალდებულნი ვართ ვიცოდეთ, რასთან გვაქვს საქმე, რა ჩრდილ-ნათელი გააჩნია და რას გვიქადის მომავალში.

გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით წარმოების გასაზოგადოება — ინტერნაციონალიზაცია, კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების სწავი გაცვლა. გამომდინარე აქედან, ხელს უწყობს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იდეოლოგიურად მოუწესრიგებელი სამყაროს ჩამოყალიბებას.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები მიმართულია კაცობრიობის გაერთიანებისაკენ. თანდათანობით ხდება საზღვრების წაშლა და ეროვნული თავისებურებების ნიველირება. გლობალიზაცია — მომხდარი ფაქტია, პროცესი, როგორც იტყვიან, დაიწყო და სრული სვლით ვითარდება.

უეჭველია, გლობალიზაცია დაეხმარება ქვეყნების, საერთოდ კაცობრიობის აღმასვლით განვითარებას, მსოფლიო მასშტაბით თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებას. რა თქმა უნდა ის დიდ სიკეთეს მოუტანს საქართველოსაც, ხელს შეუწყობს იმ დახურული სივრციდან გასვლაში, რომელიც ასწლეულების განმავლობაში აშორებდა პროგრესულ პროცესებს, უზრუნველყოფს მის უსაფრთხოებას და დემოკრატიული გზით განვითარებას.

მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებთ გლობალიზაციის სიკეთეს, რისკის ფაქტორიც უნდა გავითვალისწინოთ, უნდა გავაცნობიეროთ ისიც, რომ გლობალიზაცია არ ეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს. არ უნდა დაუშვათ, რომ გლობალიზაცია გასასამართლებელი საბუთი გახდეს შემტევი, ზღვარდაუდებელი, ლიბერალური კაპიტალიზმის სასარგებლოდ, რომელსაც თან ახლავს კულტურების ნიველირება. გლობალიზაციის ფართო სივრცის შიგნით უნდა დარჩეს ადგილი აზრთა სხვადასხვაობისათვის. გასათვალისწინებელია ასევე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორი როგორცაა: ადამიანის უფლებისადმი პატივისცემა, ის ქმედითი ნორმა, რომელიც საჭიროა პოლიტიკური, დიპლომატიური, ეკონომიკური და საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვისათვის. გლობალიზაცია, როგორც ზეეროვნული საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესი, დადებით ტენდენციებთან ერთად ნეგატიურსაც შეიცავს [1, 137].

ჩვენი პატარა ქვეყანა ძალაუნებურად ჩართულია გლობალიზაციის პროცესში. თუმცა გამოსავალი როგორც ყველგან აქაც არსებობს. ჩვენი ვალია გავხადოთ გლობალიზაცია ჰუმანური — ის არ უნდა იყოს დამანგრეველი ძალა. განვითარებადი ქვეყნებისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ გავხვიდე თანამედროვე, განვითარებულ დასავლეთზე. მაგრამ გლობალიზაციის ეს ფორმა ჩვენგან საჭიროებს იდენტიურობის მრავალჯერად და ალბათობის მრავალგზისობის დამკვიდრებას. ამიტომ ვალდებულნი ვართ ისე წარვმართოთ საქმე, რომ გლობალიზაციის უპირატესობები გამოვიყენოთ ჩვენდა სასიკეთოდ და ამასთან ერთად მაქსიმალურად დავიცვათ თავი მისი უარყოფითი ზემოქმედებისაგან [4, 52].

გლობალიზაციის იდეურ საფუძველს ინდივიდის აბსტრაქცია წარმოადგენს. ამიტომ ის არ ცნობს ეროვნულობას და მისთვის პრიორიტეტულია მხოლოდ და მხოლოდ უნივერსალური ღირებულებები. ყოველივე სხვა მეორეხარისხოვანია. ის მსოფლიოს ერთფეროვნებას, ხალხთა ტრადიციების წაშლას მოასწავებს, ზრდის კულტურათა და ეროვნებათა ნიველირებას და საბოლოო ჯამში, მათი გადაშენების ალბათობას. ამიტომ ჩვენთვის წინა პლანზე უნდა იდგეს ეროვნულობა. ჩვენ სწორედ ჩვენი ტრადიციებით ვფასობთ. საქართველომ გაუძლო საუკუნეების ქართველს და ჩვენ არ გვაქვს იმის უფლება, რომ „სისხლით დაცული“ ერი, დღეს უკვე XXI საუკუნეში ავთქვიფოთ სხვა ერებში. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ჩვენი მამული, ენა, სარწმუნოება, ტრადიციები, საერთოდ ჩვენი კულტურა, ე.ი. ეროვნულობა და ამ თავისებურებებითა და კოლორიტით შევიდეთ მსოფლიო თანამეგობრობაში [2, 322].

მთლიანობაში, გლობალიზაციის პროცესი შეიძლება დახასიათდეს, როგორც პროგრესული მოვლენა ცივილიზაციის განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ როგორც უნიფიცირებული, ერთიანი ცხოვრების წესის დანერგვის მცდელობა, მისი შეფასება არაერთგვაროვანია. აქ ვგულისხმობთ გლობალიზაციის მატერიალურ მხარეს, რომელიც გამოიხატება ხელსაყრელი პირობების შექმნით მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისათვის და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების პირობებისა და ცხოვრების დონის ამაღლებით (თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე ღრმავდება განსხვავება ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით და იზრდება სოციალური უთანასწორობა) და სულიერი მხარე, რომელიც ეხება ისეთ ღირებულებებს, როგო-

რიცაა: რელიგია, ეროვნული ტრადიციები და ფასეულობები, ისტორია და ა.შ. არესებულ თავისებურებების გაქრობა მოასწავებს მრავალფეროვნების შეცვლას ერთფეროვნებით, რაც ვფიქრობთ შესაძლებელია ნეგატიურად ჩაითვალოს. ამიტომ გლობალიზაციის პროცესზე დამოკიდებულებაზე როდესაც ვსაუბრობთ, უნდა გავმიჯნოთ ეკონომიკური და ეროვნული ასპექტები [ 2, 326].

და ბოლოს: გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის ჩართვა გარდაუვალია, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, დროის თვალსაზრისით, შედარებით დაშორებული. ამიტომ, ჩვენ დიდი დაფიქრება გვმართებს. არ უნდა გადმოვიღოთ სხვათა გამოცდილება ბრმად, არამედ მოვიძიოთ, გამოვიმუშაოთ და დავნერგოთ ეროვნულად ადაპტირებული დემოკრატიზმის ფორმები. უნდა შევიმუშაოთ ინტეგრაციის პროცესში ქვეყნის ჩართვის მექანიზმები და პირობები. უპირველეს ყოვლისა კი უნდა შეიქმნას სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც ეროვნული კულტურის, ენისა და ტრადიციების დაცვის ქმედით სისტემას შეიმუშავებს.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ნ. ბარათაშვილი, გლობალიზაციის თანამედროვე ტენდენციები და ახალი მსოფლიო წესრიგი. თბილისი, 2004.
2. ნ. ბარათაშვილი, გლობალიზაცია და ეროვნული ასპექტები. თბილისი, 2002.
3. ნ. ბარათაშვილი, მსოფლიო გლობალიზაცია და საქართველო, თბილისი, 2003.
4. კ. კაციტაძე, საქართველო გეოპოლიტიკურ კონტექსტში, თბილისი, 2002.



**Maia Amirgulashvili**

*Doctor of History, Professor,  
Technical University of Georgia*

## **Globalization and National Problems**

### **Summary**

Globalization is providing new prospects for different countries, particularly for mutual relations between national civilizations and cultures, which is an irreversible process.

Apart from social and economic aspects, globalization has national and cultural aspects as well, and in case of ignoring those aspects, the negative tendencies accompanying globalization might expose particular nations, their cultural identity, and their further existence and development to danger.

Hence, globalization is not only new technologies and implementation of remarkable scientific and technical achievements worldwide, but also new, acute problems in the sphere of spiritual culture, which brings the fate awaiting the human race into focus, as it questions the irrefutability of human, individual and personal identity, i.e. the identity of national mentality, national culture and generally, the identity of different nations.

**შორენა მურუსიძე**

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

**მსოფლიოს ბიპოლარიზაციის დასაწყისი და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია**

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ახალი ეტაპი იწყება, რაც მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა განპირობა.

გავლენის სფეროების გადანაწილებისთვის დაწყებული წინააღმდეგობა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ აშკარა დაპირისპირებაში გადაიზარდა. ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და, მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირს შორის წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტი საერთაშორისო ურთიერთობებში ახალ წესრიგს უყრიდა საფუძველს. შედეგად ჩამოყალიბდა ბიპოლარული მსოფლიო, რომლის პოლიტიკურ მაჯისცემას ორი ზესახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი განსაზღვრავდა.

ბიპოლარული მსოფლიოს ლიდერები ერთმანეთს იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ომის მეთოდებით ებრძოდნენ. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკური კურსი ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების ემიგრაციასთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას და მათ დახმარებას.

ამ მიზნით, აშშ-ში XX ს-ის 50-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა კომიტეტები და საზოგადოებრივი გაერთიანებები. მათი საქმიანობის შედეგი რადიო-სადგურ „ამერიკის ხმაში“ სსრკ-ში შემავალი ქვეყნების ნაციონალური რედაქციების (1951 წ.) და რადიო „განთავისუფლების“ (იგივე რადიო „თავისუფლების“ 1953 წ.) დაარსება იყო. ისინი ფინანსურ დახმარებას ჰპირდებოდნენ იმ ემიგრ-

რანტულ ორგანიზაციებს, რომლებიც ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

აშშ-ს მთავრობის წევრები თავიანთ გამოსვლებში ყურადღებას ამახვილებდნენ საბჭოთა კავშირის ხალხთა უფლებებზე და მათ პოლიტიკურ ემიგრაციას მხარდაჭერას ჰპირდებოდნენ. 1951 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს რადიო „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის განხილვით დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დევიდ აჩესონმა მიმართა ქართველებს განთავისუფლებულიყვნენ კომუნიზმისაგან: „თქვენ ხშირად ყოფილხართ დამარცხებული, მაგრამ არასოდეს — დამონებული... თქვენ შესძელით საუკუნეთა განმავლობაში შეგენარჩუნებინათ თქვენი ეროვნული ერთობა“ [1, 27].

1951 წლის 4 ივლისს, აშშ-ის დამოუკიდებლობის დღეს, ქვეყნის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი თავის გამოსვლაში აღნიშნავდა, რომ თავისი ქვეყანა, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის უფლებების დაცვაზე, ხელს შეუწყობს ამ პრინციპის დაცვასა და განხორციელებას დედამიწის ნებისმიერ წერტილში, რადგან არსებობენ სახელმწიფოები, სადაც „თვითოეულს ამ უფლებით სარგებლობისათვის ემოქრება ტირანიის ახალი და საშინელი ფორმები“ [2, 1].

აშშ-ის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენისა და სახელმწიფო მდივნის დევიდ აჩესონის ამ გამოსვლებს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მხრიდან გამოსხმაურება მოჰყვა. ემიგრანტულ პრესაში იბეჭდებოდა სტატიები „ქართული საკითხით“ აშშ-ს დაინტერესების შესახებ, საყურადრებოა, რომ ამ შესახებ სახელმწიფოს არ უღიარებია საქართველოს დამოუკიდებლობა, ის იმჟამადაც მხოლოდ თავისი ინტერესებდან გამომდინარე მოქმედებდა.

ქართველი ემიგრანტები ყურადღებით აკვირდებოდნენ გეოპოლიტიკურ ცვლილებებს და ცდილობდნენ, შექმნილ სიტუაციაში „ქართული საკითხის“ ადგილი განესაზღვრათ. მათი შეფასებით: „მსოფლიო ორ ნაწილად არის გაყოფილი, ერთი მოდის ვითომ ახალი აზრით, ცხოვრების ახალი შინაარსით და ფორმებით — მაგრამ მოდის გაყინული გულით და შეუბრალებელი სისასტიკით; ადამიანის პიროვნების გაქვლივით და დამონებით, დიქტატურითა და ტერორით. ყოველივე ამას ის სოციალურ რევოლუციას ეძახის და ცდილობს ყველაფერი ეს მარქსიზმად გაასაღოს. მეორე მაგრად სდგას თავის ნორმალურ ევოლუციის გზაზე და ჰუმანიზმის სახელით მომავლისაკენ გზას იკაფავს და, თუ გნებავთ, სოციალურ

რევოლუციისაკენ უფრო კულტურული ზომებით და სალი გონიერებით მიექანება. ამ ორი ბლოკის ერთად ხანგრძლივი არსებობა, ან როგორც ამბობენ, თანამშრომლობა იგივეა, რაც ცეცხლისა და წყლის ერთად მოთავსება... ჩვენ უნდა ვცდილობდეთ საერთო ძალით ამ მოზღვავებულ მოვლენათა ცვალებადობის რთული კვანძის გარკვევას, იქ ჩვენი მიზნების შესაფერი პოზიციის გამონახვას, მეგობრების და მოკავშირეების შექმნას“ [3, 12-15].

ახალმა რეალობამ საბჭოთა კავშირში შემავალ ხალხთა პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის გააქტიურება განაპირობა. მეორე მსოფლიო ომის დროს შეწყვეტილი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი საქმიანობა 1949 წლიდან კვლავ აქტიურდება. ამ წელს დაიწყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის პერიოდული ორგანოს „ჩვენი დროის“ და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალ „ივერიის“ გამოცემა, ამ წელს გაჩნდა აზრი „ეროვნული ცენტრის“ დაარსების შესახებ.

ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპისთვის (მოიცავს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდს), დამახასიათებელია ემიგრანტული ძალების გაერთიანების გზით, საერთო ქართული მოძრაობის დაფუძნების მცდელობა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას უხელმძღვანელებდა. ქართული ემიგრაცია თანხმდებოდა, რომ გაერთიანება მათი წარმატების წინაპირობად უნდა ქცეულიყო, თუმცა მის განხორციელებას ვერ ახერხებდა. ძალთა გაერთიანების მიზნით, შეიქმნა არაერთი ემიგრანტული ორგანიზაცია, რომელშიც განევრიანდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები და უპარტიონი. ქართული ემიგრაციის გაერთიანებას ხელს უშლიდა ემიგრანტთა შორის არსებული შეუთანხმებლობა, განსაკუთრებულ წინააღმდეგობას იწვევდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ურთიერთობა, რადგან დამოუკიდებლობის დაკარგვაზე პასუხისმგებლობას მას აკისრებდნენ.

საარქივო მასალაში და ემიგრანტულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ სტატიებში ურთიერთგამომრიცხავი ცნობებია მოცემული იმის შესახებ, თუ რომელი პოლიტიკური ძალის ინიციატივა იყო ქართული ემიგრაციის გაერთიანების შექმნა. ეროვნულ-დემოკრატიული პრესის მიხედვით „ეროვნული ცენტრის“ შექმნის იდეა მათი პარტიის რიგებში გაჩნდა, თუმცა მისი განხორციელება

სოციალ-დემოკრატებს მიანდეს, ხოლო სოციალ-დემოკრატიულ პერიოდულ ორგანოში ცენტრის დაარსების ინიციატორად ერთგან ეროვნული მთავრობა, ხოლო მეორეგან კი 1949 წლის ზაფხულში მიუნხენში დაარსებული პოლიტიკური ცენტრი გვევლინება. ასეთი აღრევა იმით შეიძლება აიხსნას, რომ ყველა ორგანიზაცია საჭიროდ მიიჩნეოდა ქართული პოლიტიკური ემიგრაციის გაერთიანებას. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცდილობენ დაასაბუთონ გაერთიანების შექმნის აუცილებლობა.

1949 წლის 7 ნოემბერს პარიზის ქართული კოლონიის პოლიტიკური წრეების ერთობლივ თათბირზე აირჩიეს „საკონტაქტო კომისია“. კომისიას ემიგრაციაში ეროვნულ ძალთა გაერთიანება დაევალა, რომელიც ახალი ცენტრის შექმნის საფუძველი გახდებოდა. „ეროვნულ ცენტრში“ უნდა შესულიყვნენ ემიგრაციაში არსებული პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები, ახალგაზრდები და ქართველი მხედრები. „ეროვნული ცენტრის“ მიზანი „ქართული საკითხის“ მსოფლიოსათვის გაცნობა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იქნებოდა.

7 ნოემბრის კომისიამ ერთი წელი იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში მათ ჩაატარეს რამდენიმე სხდომა, ჰქონდათ მოლაპარაკებები ქართველ ემიგრანტებთან.

ინტერპარტიული გაერთიანება არსებობდა მეორე მსოფლიო ომამდე, სოციალ-დემოკრატები სწორედ ამ გაერთიანების აღდგენას ცდილობდნენ, ამიტომ ნოე ჟორდანიამ კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე დააყენა საკითხი, რომ „ეროვნული ცენტრის“ საქმიანობა მთავრობასთან შეთანხმებით და ხელმძღვანელობით წარმართულიყო. მის ინიციატივას მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატიულმა და სოციალ-ფედერალისტურმა პარტიამ, წინააღმდეგი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ამ დროს განხეთქილებაა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ცალკეა გამოყოფილი ნოე ცინცაძისა და რაჟდენ არსენიძის ჯგუფი.

ქართველი სოციალ-დემოკრატების აზრით მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის გამომხატველი იყო, ამ ფაქტს ისინი უპირატესობად თვლიდნენ [4, 38], ეროვნულ-დემოკრატიული პარტია კი ნოე ჟორდანიას მთავობას „ყოფილს“ უწოდებდა, რომელსაც მათი აზრით, აღარ ჰქონდა მანდატი ესაუბრა ქართველი ხალხის სახელით [5, 11-12].

მთავრობის საკითხზე შეუთანხმლებლობის გამო 7 ნოემბრის კომისიას გამოეყო რევაზ გაბაშვილი, ალექსანდრე მანველიშვილი, ლევან ზურაბიშვილი და ბრეგვაძე. მათ დამოუკიდებლად განაგრძეს „ქართული ემიგრაციის ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრის“ შექმნისთვის მოლაპარაკებები და 1950 წლის 19 ნოემბერს დაარსეს ორგანიზაცია „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“. მისი წევრები მიიჩნევდნენ, რომ მათი ორგანიზაცია არ იყო სრულყოფილი, რადგან არ აერთიანებდა ყველა პოლიტიკურ ძლას, ამიტომ ისინი ეცდებოდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან შეთანხმებას.

რევაზ გაბაშვილის კომისიის საქმიანობამ „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციასთან ურთიერთობისას წინააღმდეგობა და მწვავე დაპირისპირება წარმოშვა, როგორც „თეთრი გიორგის“ გენერალური მდივნის კალისტრატე სალიას გიორგი კვინიტაძისადმი გაგზავნილი წერილებიდან ჩანს მიზეზი სუბიექტური იყო, არსებობდა პიროვნული უთანხმოება ერთის მხრივ „თეთრი გიორგის“ წევრებსა და მეორეს მხრივ გაბაშვილ-მანველიშვილს შორის. ალექსანდრე მანველიშვილს კალისტრატე სალია „თეთრი გიორგის“ სახელის უზურპაციაში, ხოლო გაბაშვილს კი შეურაცხყოფაში ადანაშაულებდა [6, 342-344].

„პოლიტიკური ცენტრის“ მიღმა დარჩენილმა ქართული ემიგრაციის პოლიტიკურმა ჯგუფებმა 1951 წლის 28 იანვარს ჩატარეს კრება. მასზე ემიგრაციის გაერთიანების მიზნით ახალი კომისია შეიქმნა. ამ კომისიამ სხდომა გამართა 9 სექტემბერს, სადაც მონვეული იყვნენ ორგანიზაციის „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“ წევრებიც, თუმცა ისინი არ გამოცხადდნენ [7, 14]. კომისიის მომდევნო შეკრება 20 ოქტომბერს ჩატარდა, იმავე დღეს, პარიზში სხდომა მოიწვია „ეროვნულ-პოლიტიკურმა ცენტრმაც“.

1951 წლის 20 ოქტომბერს დაწყებული კომისიის სხდომა 21 ოქტომბერს „ქართული ეროვნული საბჭოს“ შექმნით დასრულდა.

გაერთიანებული „ეროვნული ცენტრის“ ნაცლად ქართულ ემიგრაციას ორი ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია („ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“ და „ქართული ეროვნული საბჭო“) შეემატა, მათ შორის შეთანხმების მიღწევას არც ერთი მხარე არ გამოორიცხავდა, თუმცა დაახლოების ნაცვლად ამ ორ

პოლიტიკურ გაერთიანებას შორის დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა.

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ემიგრაცია თანხმდებოდა გაერთიანების აუცილებლობაში, მის განხორციელებას ვერ ახერხებდა. ქართული ემიგრაციის ერთიანობას ხელს უშლიდა ემიგრანტთა შორის არსებული წინააღმდეგობრივი ურთიერთობები, რაც ხშირ შემთხვევაში სუბიექტური ფაქტორებით იყო განპირობებული.

1949 წლიდან გააქტიურებული ემიგრაციის გაერთიანების საკითხი და ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები საპირისპირო შედეგებს იძლეოდა. ჩნდებოდა ახალი ტალღა ემიგრაციის დაქსაქსულობისა, ახალი ორგანიზაციები, კომიტეტები და ცენტრები ევროპასა და ამერიკაში.

ქვევით ჩამოვთვლით და მოკლედ ვისაუბრებთ იმ ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე, რომლებიც სწორედ მსოფლიოს ბიპოლარიზაციის საწყის ეტაპზე შეიქმნა ევროპასა და აშშ-ში.

1948 წელის 6 ივნისის დეკლარაციით დაიწყო მოქმედება „თავისუფალ ქართველთა კავშირმა.“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1950 წელის 19 ნოემბერს პარიზში დაარსდა „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი უცხოეთში“, სადაც გაერთიანდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის, სოციალ-რევოლუციონერების, ლევან ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით 1948 წლის 6 ივნისის დაარსებული „თავისუფალ ქართველთა კავშირის“, სამხედრო კავშირის და უპარტიოთა წარმომადგენლები. ორგანიზაციის საპატიო თავმჯდომარე იყო გენერალი გიორგი კვინიტაძე, საპატიო წევრი ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე, ხოლო წევრები იოსებ გობეჩია, დ. მაჭავარიანი<sup>1</sup>, რევაზ გაბაშვილი, ელისე პატარიძე, ლევან ზურაბიშვილი, ი. ბაქრაძე, ალექსანდრე მანველიშვილი, ლ. შარაძე. ცენტრს ჰქონდა პერიოდული ორგანო „საქართველოს დამოუკიდებლობა“. ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული სტატიები იბეჭდებოდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალ „ივერიაშიც“ [8].

---

<sup>1</sup> დ. მაჭავარიანი ემიგრაციაში სოციალ-ფედერალისტური პარტიის წევრი იყო, თუმცა იგი „ქართულ ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრში“ არ წარმოადგენდა პარტიას, როგორც თავად განმარტავს ის ორგანიზაციის წევრი გახდა პირადი გადაწყვეტილებით, ინდივიდუალურად.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ 1951 წლის 20 ოქტომბერს დაარსდა „ქართული ეროვნული საბჭო“, მის შემადგენლობაში შედიოდნენ: სოციალ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, დამფუძნებელი კრების წევრები, ქართული ახალგაზრდული თაობის დემოკრატიული ორგანიზაცია და „თეთრი გიორგი“ [9], ამ უკანასკნელმა, აზრთა სხვადასხვაობის გამო, მალე დატოვა „ეროვნული საბჭო“ [10, 31]. ორგანიზაციის დაარსებას საპატიო წევრის სტატუსით ესწრებოდა ნოე ჟორდანიას. ხოლო ევგენი გეგეჭკორი „საბჭოს“ საქმიანობაში აქტიურად იყო ჩართული. რეალურად „ეროვნული საბჭო“ ემიგრაციაში საქართველოს მთავრობის მემკვიდრედ იქცა. „საბჭო“ განცხადებებს აკეთებდა ორგანიზაციისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით. ეს არის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივად არსებული გაერთიანება, როემლიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც არსებობდა, მისი ბოლო ხელმძღვანელის კარლო ინასარიძის გარდაცვალებამდე (2007). „საბჭოს“ წესდებაში ვკითხულობთ: „ქართული ეროვნული საბჭო“ მიზნად ისახავს იმუშავოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენისათვის. კერძოდ: გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს უცხოეთში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მოქმედ ქართულ ძალებს და ორგანიზაციებს; ქართული საკითხი გააცნოს უცხოეთის საზოგადოებრივ წრეებს, სხვადასხვა ქვეყნების ოფიციალურ პირებს და ორგანიზაციებს; „საბჭო“ ითანამშრომლებდა ყველა იმ ორგანიზაციასთან და ერების წარმომადგენლებთან, რომლებიც ცნობდნენ საქართველოს დამოუკიდებლობას, ერთა თვითგამორკვევის უფლებას და იბრძოდნენ საბჭოთა რუსეთის მიერ დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ [11, 31].

1952 წელს 7 აპრილს მიუნხენში დაარსდა „ქართული ევროპული მოძრაობა“. „მოძრაობის“ წევრები აღიარებდნენ ევროპულ ორიენტაციას, მათი მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის განვითარება ევროპულ გაერთიანებაში, რომელსაც იმჟამად ეყრებოდა საფუძველი [12, 1]. „ქართული ევროპული მოძრაობის“ საპატიო თავმჯდომარე მიხეილ წერეთელი, ხოლო საპატიო წევრი – გრიგოლ რობაქიძე იყო, ორგანიზაციის სამდივნოში შედიოდნენ: ალექსანდრე ჯინჭარაძე, კალისტრატე სალია, მიხეილ ალშიბაია და ვ. ცხომელიძე [13, 30].



ცივი ომის დროს ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, ევროპის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატებიც მოიცვა. ამერიკის შეერთებულ შტატებში 1950 წელის 5 სექტემბერს ნიუ-იორკში დაარსდა „ქართველ-ამერიკელთა ლიგა“, რომელიც ამერიკის ქართული სათვისტომოს ისტორიაში პირველი პოლიტიკური ორგანიზაციაა. ლიგის თავმჯდომარედ თეიმურაზ ბაგრატიონი, მის მოადგილედ პავლე კვარაცხელია, ორგანიზაციის მდივნად ექიმი ვახტანგ ლამბაშიძე აირჩიეს [14]. „ქართველ-ამერიკელთა ლიგა“ მიზანად ისახავდა აშშ-ის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გაეცნო საქართველოს საკითხი, რადგან ორგანიზაციის წევრების აზრით, ამ მხრივ, ევროპაში უფრო მეტი იყო გაკეთებული, ვიდრე აშშ-ში [15, 31-32].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა მიზნად 1952 წლის 5 ოქტომბერს ნიუ იორკში დაარსებული „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“, იგივე „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“. მისი გამგეობის წევრები იყვნენ ალექსანდრე სულხანიშვილი, გივი კობახიძე, ივანე ნანუაშვილი, ისიდორე გაჟონია, ვახტანგ აბაშიძე, გიორგი ლოლობერიძე, სანდრო ბარათაშვილი. ორგანიზაციას ჰქონდა წესდება, სადაც გაცხადებული იყო „კავშირის“ მიზნები და სტრუქტურული საკითხები. გაერთიანების მიზანი იყო: აშშ-ის საზოგადოებისათვის საქართველოს ისტორიის, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესებისა და უფლებების გაცნობა, ხელშეწყობა ყველა იმ ამერიკული ორგანიზაციისათვის, რომლის საქმიანობა ბოლშევიკების მიერ დაპყრობილი ერების გათავისუფლებას და მათი დამოუკიდებლობის აღდგენას ისახავდა მიზნად. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ თანამშრომლობდა ამერიკაში არსებულ საბჭოთა კავშირის ერთა ემიგრაციის პოლიტიკურ ორგანიზაციებთან [16, 24].

ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების რაოდენობა მიუთითებს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დაქსაქსულობაზე. სამწუხაროდ, ამ მხრივ, ქართულ ემიგრაციაში კვლავ არაფერი შეცვლილა.

ემიგრაციის საქმიანობის ამ ახალ ეტაპზე ჩნდება პოლიტიკური ორიენტაციის საკითხიც. „ცივი ომის“ სანყის ეტაპზე შექმნილი ქართული ემიგრანტული ორგანიზაციების ნაწილი პრიორიტეტად მიიჩნევდა აშშ-სთან ურთიერთობების დამყარებას და დახმა-

რებას სწორედ ამ სახელმწიფოსგან ელოდა, ხოლო მეორე ნაწილი კი კვლავ ევროპულ ორიენტაციას ინარჩუნებდა და დამოუკიდებელი საქართველოს მომავალს ევროპულ ოჯახში ხედავდა.

ქართული ემიგრაციის დაპირისპირებისა და შეუთანხმებლობის მიზეზებს ამ პერიოდიდან შეემატა რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხიც. „ამერიკული კომიტეტი“ ცდილობდა, საბჭოთა კავშირში შემავალი ხალხების ემიგრანტული ორგანიზაციების გაერთიანების გზით, ერთიანი „ანტიბოლშევიკური ფრონტის“ შექმნას. „კომიტეტის“ ამ მიზანს ის სირთულე ახლდა თან, რომ ქართულ ემიგრაციას რუსულ ემიგრაციასთან პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობის პრაქტიკა არ ჰქონდა. რუსული ემიგრანტული გაერთიანებები არ სცნობდნენ რუსეთის იმპერიის საზღვრების შეცვლას. ისინი საქართველოს და ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში შემავალი სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტის წინააღმდეგ იბრძოდნენ. საზღვარგარეთ რუსული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობა მიმართული იყო რუსეთის აღდგენისაკენ 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე არსებულ საზღვრებში. მიუხედავად ამისა, „ეროვნული საბჭო“ თანახმა იყო ეთანამშრომლა მათთან გარკვეული წინაპირობების დაცვით, ანუ საქართველოს დამოუკიდებლობის უპირობოდ აღიარების მოთხოვნით. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილისათვის „ეროვნული საბჭოს“ ასეთი პოზიცია მიუღებელი აღმოჩნდა. რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხი და ამით გამონვეული წინააღმდეგობა არის ყველაზე აქტუალური და მთავარი თემა იმ დროინდელ ემიგრანტულ ჟურნალ-გაზეთებსა თუ პირად წერილებში.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებულმა საერთაშორისო მდგომარეობამ ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს ჩაუყარა საფუძველი, რომლისთვის დამახასიათებელია: 1. აშშ-ს მთავრობის დაინტერესება საბჭოთა კავშირის ხალხთა ემიგრაციით; 2. ქართული ემიგრაციის გაერთიანების ტენდენციის ზრდა და 3. რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხის აქტუალობა.

### **დამონებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. დეკლარაცია გაკეთებული 26 მაისს, 1951 წელს ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო საქმეთა მინისტრის აჩესონის მიერ

- „ამერიკის ხმის“ ქართული სექციის გახსნის გამო, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 1951, №10.
2. პრეზიდენტ ტრუმენის სიტყვა წარმოთქმული 4 ივლისს, გაზეთი „საქართველო“, 1951, №4.
  3. ასათიანი ს., დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენი საკითხი, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, 1952, №2.
  4. კორძაია ალ., ქართული მთლიანობისათვის, ჟურნალი „ჩვენი დროშა“, 1950, №7.
  5. პატარიძე ელ., ჩვენი პოზიცია და ეროვნული ერთობა, ჟურნალი „ივერია“, 1951, №3.
  6. საითიძე გორა, მურუსიძე შ., ახალი დოკუმენტები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიიდან (XX საუკუნის 50-იანი წლები), კრებ.: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(9), 2011.
  7. ურატაძე გრ., ეროვნული ფრონტი, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, 1952, №1.
  8. deklaracia qarTuli-erovnul-politikuri centrisa ucxoeTSi, ivane nanuaSvilis saarqivo fondi, xelnawerTa erovnuli centri.`mebrZoli saqarTvelo,“ @1952, №2.
  9. „თეთრი გიორგის“ ხელმძღვანელობა, განმარტება, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, 1952, №13.
  10. ქართული ეროვნული საბჭოს წესდება, ჟურნალი „მებრძოლი საქართველო“, 1952, №2.
  11. სალია კ., ქართული ევროპული მოძრაობა, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, 1952, №13.
  12. ქართული ევროპული მოძრაობა, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, 1953, №15.
  13. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს განცხადება, ივანე ნანუაშვილის საარქივო ფონდი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
  14. ქართველ-ამერიკელთა ლიგის მოწოდება, ჟურნალი „ბედი ქართლისა“, 1951, №9.
  15. ამერიკის „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“, ჟურნალი „მებრძოლის საქართველო“, 1952, №8.

**Shorena Murusidze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Ivane Javakhishvili Institute of History and  
Ethnology, research scientist of the Depart-  
ment of Modern and Contemporary History*

## **The Beginning of the World's Bipolarization and the Georgian Political Emigration**

### **Summary**

The international situation, which was formed after the Second World War laid the foundation for a new stage of the national-liberation movement of the Georgian emigration. It can be characterized by the following aspects: 1. The US interest with the emigration of the Soviet Union's people. 2. Increasing of Georgian emigration's unification tendency. 3. And finally, the urgency case of interrelation with the Russian emigration.

During the Cold War there were being made public coalitions in the USA. Those coalitions were helping emigration organizations fighting against the Bolshevik regime. In their speeches, the members of the US government emphasized attention on the Soviet Union's human rights and promised to support their political emigration.

The new reality activated the works of the Soviet Union's people's political emigration. The national-liberation works of the Georgian political emigration, which were interrupted during the Second World War, still intensified since 1949. This new stage is characterized by unification of the emigrant forces, which attempted to establish the Georgian movement. Steps made for this purpose were causing the opposite results like occurring a new wave of emigration's dispersion. After extending Europe, during the Cold War, the United States of America was covered by the national-liberation movement of the Georgian emigration.

Since that period of time, the reason for disagreement of the Georgian emigration becomes the case of interrelation with the Russian emigration. The Russian political emigration coalitions were not only refusing to recognize changes of the boundaries of Russian Empire and the independence of Georgia, but they were even fighting against this right. The issue of interrelation with the Russian emigration and the controversy caused by it is the most current and major problem in those days emigrant magazines and newspapers or private letters.

ს ა მ ა რ თ ა ლ მ ც თ დ ნ ე თ ბ ა . ს ა მ ა რ თ ლ ი ს  
ი ს ტ ო რ ი ა

**ვახტანგ სონღულაშვილი**

*საქართველოს ტექნიკური უნი-  
ვერსიტეტის დოქტორანტი*

**ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის სამართლებრივი  
ურთიერთობის თანამედროვე მოდელები**

რელიგიური თავისუფლების პრინციპის დაცვა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კონსტიტუციური პრინციპია. თანამედროვე ეტაპზე 144 სახელმწიფო წარმოადგენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციის მონაწილეს, რომელიც აღიარებს თითოეული ადამიანის უფლებას საკუთარი არჩევანით მიიღოს ან იქადაგოს რომელიმე რელიგია, ინდივიდუალურად ან სხვა პირებთან ერთად საჯაროდ ან კერძოდ გამოხატოს თავისი მრწამსი ღვთისმსახურებისა თუ რელიგიური პრაქტიკის შესახებ.

საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე სახელმწიფოსა და რელიგიის სამართლებრივი ურთიერთობის რამდენიმე მოდელი შეიძლება გამოვყოთ:

- 1) სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნა;
- 2) სახელმწიფოსა და რელიგიის კორპორაციული გამიჯვნა;
- 3) რელიგიური პრიორიტეტი;
- 4) სახელმწიფო რელიგია.

სახელმწიფოსა და რელიგიის სრული გამიჯვნის სანიმუშო მოდელია ამერიკის შეერთებული შტატები. აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება, რელიგიის თავისუფლების შესახებ, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნის სამართლებრივი საფუძველი გახდა. **გამოირიცხა სახელმწიფოს სამართლებრივი დაკავშირება ეკლესიასთან**, რაც სხვა ეკლესიის საზიანო იქნებოდა. „კონსტიტუციის მამები“ ისეთ სახელმწიფოს უყრიდნენ საფუძველს, რომელიც ყველა პიროვნებას მისცემდა საშუალებას დაუბრკოლებლად შეესრულებინა რელიგიური წეს-ჩვეულებანი [6, 29].

როდესაც სახელმწიფოსა და რელიგიის სრულ გამიჯვნაზე ვსაუბრობთ, ეს არ ნიშნავს რწმენისა და აღმსარებლობის აკრძალვას, არამედ, პრინციპი რელიგიის თავისუფლებისა, რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივ სტატუსს გულისხმობს. თავიანთ საქმიანობაში ისინი ყველასათვის სავალდებულო კანონებს ემორჩილებიან.

**პოზიტიური ნეიტრალიტეტის** თვალსაზრისით საინტერესოა ბელგია, სადაც სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლები 1831 წლის კონსტიტუციით განისაზღვრება და იგი კათოლიკეებისა და ლუთერანების ისტორიულ კომპრომისს წარმოადგენს. ბელგიის სამართალი რელიგიურ თანასწორობას აღიარებს, მაგრამ რელიგიურ ორგანიზაციათა თანასწორუფლებიანობის თვალსაზრისით მაინც განსხვავებული მიდგომა არსებობს. ზოგიერთმა რელიგიამ ოფიციალური აღიარება მიიღო, რაც გარკვეული უპირატესობის დაწესებასთან არის დაკავშირებული.

თუკი სახელმწიფოსა და ეკლესიის სამართლებრივი გამიჯვნის პრინციპი აშშ-ში ცარიელ ადგილზე აღმოცენდა, **საფრანგეთში** 1905 წლის 9 დეკემბრის კანონმა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის წესი (რომელიც არ მოქმედებს ლოტარინგიასა და ელზასში) ტრადიციული კონფესიის საფუძველზე შემოიღო.

1958 წლის კონსტიტუციამ გააუქმა აღიარებული რელიგიური გაერთიანებების ინსტიტუტი. ასეთ სიტუაციაში რელიგიური გაერთიანებები აღარ წარმოადგენენ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, ისინი კერძო საქმეთა სფეროს განეკუთვნებიან. არ არსებობს ოფიციალური რელიგია ან ისეთი, რომელიც დომინირებს. თუმცა ეს მოჩვენებითი ნეიტრალიტეტი ვლინდება ისეთი ფაქტების აღიარებაში, როგორცაა მრავალი მილიონი კათოლიკე ფრანგის სურვილი შესაბამისი რელიგიური აღზრდის აუცილებლობის შესახებ, ეკლესიის ხელშეუხებლობა სახელმწიფოს მხრივ აღზრდის, სოციალური დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით.

მსგავსი მოდელია **ირლანდიაში**, თუმცა გარკვეული თავისებურებებით. ეკლესიები და რელიგიური გაერთიანებები იურიდიული პირის სტატუსით ავტომატურად არ სარგებლობენ. ვინაიდან 1871 წელს ირლანდიის ეკლესია სახელმწიფოს გამოეყო, ირლანდიის კანონმდებლობამაც — განათლების სფეროს გარდა — აღიარა

სახელმწიფოს და ეკლესიის ერთმანეთისგან გამოყოფის პრინციპი. კონსტიტუციით აკრძალულია რელიგიის დაფინანსება.

კორპორაციული გამიჯვნის მოდელია **გერმანია**. ეკლესიები და სხვა რელიგიური საზოგადოებები წარმოადგენენ საჯარო სამართლის კორპორაციებს საზოგადოებრივი სამართლებრივი ხასიათით. ისინი ორგანიზებული არიან თავიანთი ამოცანების შესასრულებლად; არსებობს აგრეთვე შეზღუდული სამართლებრივი ზედამხედველობა [6, 32].

საერთაშორისო პრაქტიკაში, ზოგიერთ იმ ევროპულ სახელმწიფოში, სადაც ტრადიციული რელიგიები არსებობენ, ისინი გარკვეული პროტესტით სარგებლობენ. ასეთ სახელმწიფოებში რელიგიური ურთიერთობების რეგულირების სამსაფეხურიანი სისტემა არსებობს:

1. კონკორდატის სისტემა, რომელიც კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობისათვის გამოიყენება.
2. შეთანხმებები, რომელსაც კონფესიები დებენ სახელმწიფოსთან.
3. რელიგიური ორგანიზაციები, რომლებიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრაციას ექვემდებარებიან.

ამ მოდელის ნათელი მაგალითია **იტალია**. კათოლიკურ ეკლესიასთან მიმართებაში კონსტიტუციის მე-7 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო და კათოლიკური ეკლესია თავიანთი წყობით დამოუკიდებელი არიან, მათ შორის ურთიერთობა მონესრიგებულია 1929 წლის ლატერანის კონკორდატით. ამ კონკორდატის საფუძველზე დაიდო შეთანხმებები, რომლებიც ეხება საეკლესიო კორპორაციებსა და ქონებას (1984წ.), კათოლიკური ღვთისმეტყველების სწავლებას სკოლებში (1985წ.), საეკლესიო დღესასწაულებსა და პოლიციელთა სულზე მონესრიგებას (1990წ.).

წმინდა საყდარსა და იტალიის რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმებით: იტალიის რესპუბლიკა აღიარებს კათოლიკური ეკლესიის სრულ თავისუფლებას მისი სამოძღვრო, აღმზრდელობითი, საქველმოქმედო, ევანგელიზაციის და განწმენდის მისიის განხორციელებაში, კერძოდ, ეკლესიას გარანტირებული აქვს თავისუფლება ორგანიზაციაში, სახალხო რიტუალების, მოძღვრებისა და ღვთისმსახურების აღსრულებაში და არა საეკლესიო საკითხების განსჯადობაში. კათოლიკური ეკლესიის გარკვეული უპირატესობის მიუხედავად, იტალიის კონსტიტუცია განსაზღვრავს სხვა

კონფესიათა ადგილს სახელმწიფოში. არაკათოლიკურ კონფესიებს უფლება აქვთ ჩამოყალიბდნენ საკუთარი წესების მიხედვით, თუ იგი არ ეწინააღმდეგება იტალიის მართლწესრიგს. მათი ურთიერთობები სახელმწიფოსთან ხელშეკრულებებით რეგულირდება. ასეთი ხელშეკრულება იტალიის სახელმწიფოს 6 კონფესიასთან აქვს დადებული: ვალდესებთან, მეშვიდე დღის ადვენტისტიებთან, ორმოცდაათიანელებთან, იუდეველთა კავშირთან, ევანგელისტურ-ლუთერანულ ეკლესიებთან. მათთვის დაწესებულია გარკვეული სამართლებრივი პრიორიტეტები, **მაგრამ არა კათოლიკური ეკლესიის თანასწორი.**

ამდენად, იტალიის სამართლებრივი სისტემა რელიგიურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსაფეხურიან მოდელს იცნობს:

1. კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობა (კონკორდატებით რეგულირებული);
2. ტრადიციულ რელიგიებთან ურთიერთობა (ხელშეკრულებებით რეგულირებული);
3. კანონის საფუძველზე შექმნილ, რეგისტრირებულ რელიგიურ კორპორაციებთან ურთიერთობა [6, 40].

კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობის მსგავსი მოდელი გააჩნია **ესპანეთს**. კონსტიტუცია ცნობს რომის კათოლიკურ ეკლესიასთან დადებულ კონკორდატს, ამასთან აცხადებს რელიგიის თავისუფლებას.

ეკლესია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ფრანკოს მმართველობის პერიოდში. 1972 წლის 4 დეკემბერს ფრანკოს ოთხმოცი წელი შეუსრულდა. ესპანეთი, რომელსაც იგი მართავდა, მისი კონტროლიდან გამოდიოდა. როდესაც 1973 წლის იანვარში ესპანელმა ეპისკოპოსებმა გამოაქვეყნეს ვრცელი დეკლარაცია, რომელშიც ოფიციალურად დასტურდებოდა მათი ერთგულება პოლიტიკური ნეიტრალიტეტისა, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა და პოლიტიკური პლურალიზმის პატივისცემა. კაუდილიოს ხელისუფლებასთან ეკლესიის სიმბიოზის უკანასკნელი ნაშთები ნამსხვრევებად იქცა. ეკლესიის მოქმედება სავსებით ბუნებრივი იყო. რეჟიმს, რომლისგანაც ეკლესია დამორებას ცდილობდა, ძალიან ჰგავდა იმ რეჟიმს, რომელსაც ვატიკანი მხარს უჭერდა ორმოციან წლებში, რის გამოც კიდევ გაიტეხა სახელი [7, 348].



ესპანეთში ამჟამად კონკორდატების გვერდით, კონსტიტუციის მოთხოვნის შესაბამისად, არსებობს კანონი რელიგიის თავისუფლების შესახებ. ეს კანონი ეხება არაკათოლიკური რელიგიური ორგანიზაციების სტატუსს, მათი სახელმწიფოსთან ურთიერთობის პრინციპებს, უშვებს სხვა რელიგიებთან ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას. მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ არ არსებობს კონფესიის ცნების კანონისმიერი განსაზღვრება. იგი გამომდინარეობს თვით მოძღვრებიდან, რომლის ესპანური მოდელი სხვადასხვა კონფესიას სხვადასხვა რანგში აყენებს — კათოლიკური ეკლესია, კონფესიები ხელშეკრულებით, რეგისტრირებული და არარეგისტრირებული კონფესიები, რელიგიური მიმართულებების ჯგუფები, რომელთაც კონფესიათა დამახასიათებელი ნიშანი არ გააჩნიათ [6, 41].

**ავსტრიაში** მოქმედებს 1933 წლის კონკორდატი, რომელიც 1957 წელს ფედერალური მთავრობის მიერ იქნა აღიარებული. ასევე საეკლესიო სამართლის ძირითადი ნორმები მოცემულია 1867 წლის კანონში. ეს კანონი კონსტიტუციურ კანონადაც არის მიჩნეული. იგი ცნობს აღიარებული ეკლესიის სტატუსს.

**პორტუგალიაში** კათოლიკური ეკლესიის სტატუსი 1940 წლის კონკორდატითაა განსაზღვრული. კონსტიტუცია უპირატესობას არც ერთ ეკლესიას არ ანიჭებს. არ ცნობს აგრეთვე ტრადიციული ეკლესიის სტატუსსაც [6, 43]. საერთოდ, კათოლიკურ ქვეყნებში **ვატიკანი** ფლობს უფრო მეტ ძალას, ვიდრე ნებისმიერი ხელისუფლება და ნებისმიერი ტრანსნაციონალური კორპორაცია. თითოეული კათოლიკესათვის არსებობს ერთადერთი — რომის პაპი და მისი სიტყვა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე ნებისმიერი პრეზიდენტის ბრძანებულება, პაპი ხომ დედამიწაზე უფლის დანიშნულია. ფაქტობრივად პაპის კვერთხს შეუძლია აკონტროლოს მთელი ანგლოსაქსური მსოფლიო და ტრადიციული კოლონიები, რომლებშიც რწმენა „ცეცხლითა და მახვილით“ ინერგებოდა, მაგრამ ვატიკანს არ შეუძლია მთელი მსოფლიოს გაკონტროლება. ამას ეწინააღმდეგება რუსული მართლმადიდებლური ეკლესია და პეკინი, ასევე ახალი ძალა, რომელიც ნელ-ნელა წონადი ხდება — ისლამური სამყარო [4, 22].

რელიგიისათვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება კონსტიტუციითაა გარანტირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ისტორიული როლისა და ტრადიციების გათვალისწინებით ესა თუ ის რელიგია

სახელმწიფოს ნაწილი ხდება და მისი უშუალო მმართველობის სფეროში ექცევა.

ამ მოდელის საინტერესო მაგალითია **დიდი ბრიტანეთი**. მართალია, ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს დაწერილი კონსტიტუცია არ გააჩნია, და შესაბამისად, არ არსებობს რელიგიის თავისუფლებისა და ეკლესიის თვითგამორკვევის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გარანტიები, მაგრამ მისი შემადგენელი ქვეყნები პრობლემის გარეშე თანაარსებობენ სახელმწიფო ეკლესიებითა და სახელმწიფო ეკლესიების გარეშე.

ინგლისის ეკლესია სახელმწიფო ეკლესიაა, რომლის სათავეში დედოფალი დგას. იგი ლორდთა პალატაში 24 ეპისკოპოსითაა წარმოდგენილი. ამით ეკლესია სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენს და არ შეიძლება ლაპარაკი იყოს კონკორდატზე ან ხელშეკრულებით ურთიერთობებზე ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. შოტლანდიაში სახელმწიფო ეკლესიაა შოტლანდიის რეფორმისტული ეკლესია. უელსში ანგლიკანური ეკლესია სახელმწიფოსაგან გამიჯნულია. ირლანდიის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ცნობს რომის წმინდა კათოლიკური ეკლესიის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომლის მიმდევარია სახელმწიფოს მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი.

**საბერძნეთის** კონსტიტუციის მე-3 მუხლი აღიარებს ორთოდოქსული სარწმუნოების უპირატესობას. საბერძნეთის ეკლესია რელიგიურად განუყოფელია კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოსაგან და სხვა ორთოდოქსული ეკლესიებისაგან. საბერძნეთის ეკლესია საზოგადოებრივი სამართლის სუბიექტს წარმოადგენს. იგი დაყოფილია ავტოკეფალურ ეკლესიებად, რომელთაც საკუთარი მეთაური ჰყავს და ავტონომიური მართვით ხასიათდება.

საბერძნეთის ეკლესიას განაგებს სინოდი. არ არსებობს საეკლესიო გადასახადი, მაგრამ სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდიები გამოიყოფა ეპისკოპოსების, მღვდლებისა და სხვა პერსონალის ხელფასებისათვის. ეკლესია თავისუფლდება ზოგიერთი ისეთი გადასახადისაგან, როგორცაა მიწისა და სამემოსავლო გადასახადები.

**ისრაელის** კანონი „ისრაელში დაბრუნების შესახებ“ რეპატრიაციის უფლებას აძლევს ყველა ებრაელს, თუ სხვა რელიგიას არ აღიარებს. ისრაელის უზენაესმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ „ყველა ებრაელი, რომელიც ქრისტიანობას მიიღებს კარგავს ისრაელში რეპატრიაციის უფლებას“.

**ისლანდიის** კონსტიტუცია (1944წ.) ასევე ადგენს ევანგელისტურ-ლუთერანული ეკლესიის სახელმწიფო სტატუსს. თუ ისლანდიის მოქალაქე არ გადაიხდის საეკლესიო გადასახადს, მას ეს გადასახადი იძულებით გადახდება და მიემართება რეიკიავიკის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე.

**სკანდინავიის** ქვეყნებში ყველას აქვს უფლება იყოს ან არ იყოს რომელიმე რელიგიური გაერთიანების წევრი. მხოლოდ მეფე და ეკლესიის საქმეთა მინისტრია ვალდებული შვედეთის ეკლესიის წევრები იყვნენ [6, 46-47]. კონსტიტუციის თანახმად კანონებს მხოლოდ პარლამენტი გამოსცემს. ეს უხეზა საეკლესიო კანონებსაც.

განსხვავებული წესია **ნორვეგიაში**, სადაც რელიგიური ორგანიზაცია სახელმწიფოსაგან ფინანსურ დახმარებას ღებულობს წევრთა რაოდენობის პროპორციულად.

პოსტკომუნისტური ქვეყნები არც ერთ დასახელებულ მოდელში არ თავსდება (ალბათ საქართველოს გარდა?). მათ არ გააჩნიათ ერთგვაროვანი სისტემა რელიგიასთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციური მოთხოვნები რელიგიის თავისუფლების მოწესრიგების შესახებ და ეკლესიისა და სახელმწიფოს სამართლებრივი ურთიერთობის განსაზღვრის საკითხები საბჭოთა სისტემაში გამოკვეთილი არ იყო. დეკლარაციული თვალსაზრისით, ამ ქვეყნის კონსტიტუციები ნაწილობრივ დასავლეთის კონსტიტუციების მსგავსი იყო, რაც საშუალებას იძლეოდა კომუნისტური რეჟიმის შემდეგაც ნაციონალურ კონსტიტუციებში მათი **რეცეფცია** მომხდარიყო.

ტოტალიტარული რეჟიმის რღვევის შემდეგ შექმნილმა ნაციონალურმა სახელმწიფოებმა აღიარეს რელიგიისა და სახელმწიფოს სამართლებრივი გამიჯვნის დასავლური მოდელი, მაგრამ, რადგან ეს ქვეყნები გამოირჩევიან დიდი ტრადიციების მქონე ეკლესიებით, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ახალი სახელმწიფოების ფორმირების პროცესში მწვავე კონფლიქტები წარმოიშვა

სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის გვერდით არსებობენ თავისებური სინთეზის მქონე სისტემები, სახელმწიფოს დაქვემდებარებული და გამიჯვნის ელემენტებით, კონკორდატების მოდელით (პოლონეთი).

**რუსეთში**, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის საბჭოთა მოდელიდან ახალ მოდელზე გადასვლასთან დაკავშირებით, 1993 წელს, პრეზიდენტ ბორის ელცინის ბრძანებულებით რელიგიურ

გაერთიანებებს დაუბრუნდათ ის ქონება და შენობები, რაც მათ საბჭოთა პერიოდში წაართვეს. დღესდღეობით რუსეთის ფედერაციაში მოქმედებს 1997 წლის კანონი სინდისის თავისუფლებისა და რელიგიური გაერთიანებების შესახებ, რომლის მე-4 მუხლის მიხედვით **არც ერთი რელიგია სახელმწიფო რელიგიად არ ცხადდება**. რელიგიური გაერთიანებები გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და თანასწორია კანონის წინაშე [6, 50-51].

**უკრაინაში** სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა მსგავსი კანონითაა მოწესრიგებული.

დასავლეთ უკრაინაში მრევლმა გამოყოფა დაიწყო მოსკოვის საპატრიარქოსაგან. აღდგა 1946 წელს აკრძალული უნიატური ეკლესია, იმავდროულად ავტოკეფალურად გამოაცხადა თავი უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ. ამის საპასუხოდ მოსკოვის პატრიარქმა, 1990 წელს, კიევის საპატრიარქოს „ავტონომიურ ორთოდოქსული ეკლესიის“ სტატუსი მიანიჭა. მართლმადიდებლობის ტრადიციულ რელიგიათა შორისაა უკრაინაში კათოლიციზმი და იუდაიზმი.

**ბალტიის ქვეყნების** კონსტიტუციები ასევე აღიარებენ „სინდისის, რწმენისა და სიტყვის თავისუფლებას“. არ არსებობს სახელმწიფო რელიგია.

**სომხეთის** სამოციქული ეკლესია სომხეთის ეროვნული ეკლესიაა. ყველა სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიმართ დანესებულია გარკვეული შეზღუდვები.

**აზერბაიჯანის** კანონი რელიგიური ორგანიზაციების შესახებ ადგენს ტრადიციული რელიგიების სტატუსს, ითვალისწინებს და ამკვიდრებს რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციების წესს. სხვა ქვეყნის მოქალაქეებისა და აზერბაიჯანელთა რელიგიური საქმიანობა თუ ისინი არატრადიციულ რელიგიურ ორგანიზაციებს ქმნიან, შეზღუდულია რეგისტრაციის პროცედურითა და თავიანთი ბეჭდვითი აუდიო მასალის გავრცელების სფეროთი.

ბელორუსიის კონსტიტუციის მე-16 მუხლით სახელმწიფოსა და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის ურთიერთობა რეგულირდება კანონით, იმის გათვალისწინებით, თუ რა გავლენა მოახდინებს მათ ბელორუსი ხალხის სულიერ, კულტურულ და სახელმწიფოებრივ ტრადიციებზე, მაგრამ კანონი „აღმსარებლობისა და რელიგიური ორგანიზაციების შესახებ“ ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო რელიგიის პრინციპების დაცვას [6, 55-56].

ნებისმიერი რელიგია რწმენას ეროვნებაზე და სახელმწიფოზე მაღლა აყენებს და ყოველგვარი იდეა, ქმედება თუ ღირებულებები, რაც მის დოგმებს ეწინააღმდეგება, მიუღებლად მიაჩნია. როცა ქრისტიანობა, ბუდიზმი ან ისლამი ვრცელდებოდა ამა თუ იმ ხალხში, აუცილებელი იყო ხალხს უარი ეთქვა იმ ნეს-ჩვეულებებზე, ტრადიციებზე და იდეებზე, რომლებიც მათთვის ახლობელი და წინაპრებიდან მომდინარე იყო, მაგრამ ახალ სარწმუნოებას არ შეესაბამებოდა. ე.ი. ხალხი უარს ამბობდა ეროვნული კულტურის საკმაოდ დიდ ნაწილზე და მის ნაცვლად ახალ, რელიგიურ კულტურას ითვისებდა. ეს კულტურა კი ზეეროვნული და ზესახელმწიფოებრივი იყო. რელიგიური მორალიდან გამომდინარე, მხოლოდ შენივე სარწმუნოების ადამიანია შენი სულიერი ძმა და იგი უფრო ახლობელია რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს, ვიდრე შენი ეროვნების ის წარმომადგენელი, რომელიც სხვა სარწმუნოებას აღიარებს [1, 266].

ნებისმიერ ეპოქაში, როდესაც ჩვენი ქვეყნის წინაშე განსაცდელი დგებოდა, ძლიერდებოდა ერი და ეკლესია. ნებისმიერი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს ეკლესია ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა, რამეთუ ქართველი ერისათვის მართლმადიდებლური სარწმუნოება არ არის მხოლოდ რელიგია, არამედ ეს არის სამშობლო, ქართველობა და, პირველ რიგში, ეს არის მისი იდეოლოგია. ვინაიდან ქართველმა მეფეებმა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დღიდან ის ქვეყნის იდეოლოგიად გამოაცხადეს და ერისთვის, ეკლესიისთვის და ქვეყნისათვის თავდადება მართლმადიდებლობისთვის თავდადებას გულისხმობდა.

როგორც წმინდა ილია მართალი ბრძანებდა, ქართველობა ეს იგივე ქრისტიანობაა, ხოლო ქრისტიანობა იგივე ქართველობაა [5, 12]. ამიტომ, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სამართლებრივი ურთიერთობა ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. დასავლური ღირებულებების გაზიარება არ უნდა გახდეს ჩვენი იდენტობის დამაბრკოლებელი, რის გამანეიტრალებელიც უთუოდ უნდა იყოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ისეთი სამართლებრივი ბაზის არსებობა, რაც ქვეყნის წინსვლისა და გაძლიერების ნიშანსვეტი იქნება.

დღეს საქართველოში, მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის გამო უთანხმოება უფრო მეტია, ვიდრე თანხმობა. უთანხმოების საფუძველი კი კანონის წინაშე რელიგიური ორგანიზაციების თანასწორობის პრინციპი გახდა, რომლის დეკლარირება იაკობინელებს

და ბოლშევიკებს ეკუთვნით. სწორედ ეს უკანასკნელნი ათანასწორებდნენ ადამიანებს ერთმანეთთან და არა კანონთან. ამით ძირეულად არღვევდნენ მათ მიერვე აღიარებულ პრინციპებს.

1995 წლიდან დღის წესრიგში დადგა რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის აუცილებლობა. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან სახელმწიფოს განსაკუთრებული ურთიერთობის სამართლებრივი დაფიქსირების ძებნა საკმაოდ რთული საკითხია. დემოკრატიისა და რელიგიური თავისუფლების საერთაშორისო პრინციპის ფონზე საკითხი მეტად გამწვავდა. ნორმატიული აქტების სისტემაში ახალი ფორმის შემოტანა არა მარტო საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის მომნიშვნებას საჭიროებს, არამედ თეორიულ შესწავლასა და გაანალიზებასაც ითხოვს.

რელიგიური ორგანიზაციების სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისა და უფლებამოსილებათა განხორციელების გარანტიების შექმნის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობა იმ ქვეყნების მსგავსი მოდელით ვითარდება, სადაც სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნასა და ტრადიციული რელიგიისათვის უპირატესობის მინიჭებაზეა საუბარი. კონსტიტუციის მე-9 მუხლით: სახელმწიფო აღიარებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან [3, 18]. კონსტიტუციის ამ მუხლმა განიცადა ცვლილება და დამატება, რომლის მიხედვით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა რეგულირდება კონსტიტუციური შეთანხმებით.

მოგვიანებით, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 1994 წლის 17 თებერვლის კანონით „საქართველოს საპატრიარქოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს პარლამენტმა დაადგინა, რომ საქართველოს საპატრიარქო (ეკლესიის მსახურნი, სასულიერო სასწავლებლები და სხვ.), საპატრიარქოს მიერ საკუთარი სახსრებით შექმნილი საწარმოები და ორგანიზაციები, საეკლესიო დანიშნულების საგნების მწარმოებელი საწარმოები გათავისუფლდნენ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადებისაგან, აგრეთვე სახელმწიფო ბაჟისაგან, სავალუტო და საშემოსავლო გადასახადებისაგან. ამ-

დენად, ფეოდალური ხანის პოლიტიკურ-სამართლებრივი ტერმინი, რომ გამოვიყენოთ სახელმწიფომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას მიანიჭა იმუნიტეტი, იგივე შეუვალობა.

მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა, როდესაც კონსტიტუციაში შევიდა ცვლილებები, რომლებმაც დაამკვიდრა საკონსტიტუციო ხელშეკრულების ცნება (30.03.2001, 826), ხოლო 2002 წლის 14 ოქტომბერს გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, ამ ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და დადგინდა სახელმწიფოსთან მიწის ურთიერთობის ფარგლები.

ხელშეკრულება მიუთითებს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არის ისტორიულად ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, (თუმცა მასზე არ ვრცელდება კანონის „საჯარო სამართალი იურიდიული პირის შესახებ“ დებულებები, რადგან საკონსტიტუციო შეთანხმება თავისი იურიდიული ძალით კანონზე მაღლა დგას. შესაბამისად, მის უფლებაუნარიანობას განსაზღვრავს არა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი, არამედ საკონსტიტუციო შეთანხმება, ზოგიერთი კანონი და სხვადასხვა ხელშეკრულება სახელმწიფო სტრუქტურებთან), რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს კანონიკური სამართლის, კონსტიტუციის, ამ შეთანხმებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე. ეკლესიას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე წარმოადგენს: საეკლესიო კრება, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, წმინდა სინოდი და საქართველოს საპატრიარქო, ხოლო სამართლებრივ ურთიერთობაში უფლებამოსილებას ანიჭებს სრულიად კათალიკოს-პატრიარქი. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ხელშეუვალია. საქართველოს საპატრიარქო თავის ფუნქციებს ასრულებს კანონიკური სამართლის ნორმებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. ეს დებულება გულისხმობს, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთგამიჯვნის პრინციპიდან გამომდინარე, საპატრიარქოს გარანტირებული აქვს ორგანიზაციული თავისუფლება.

## დამონშებული ნყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბილისი, 2003
2. რელიგიური გაერთიანებების სტატუსისათვის საქართველოში, თბილისი, 2010.
3. საქართველოს კონსტიტუცია, ბათუმი, 2011.
4. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2012, 20.
5. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2012, 31.
6. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფო და რელიგია, თბილისი, 2001.
7. გაბრიელა ეშფორდ ჰოჯესი, ფრანკო, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო თ. ნატროშვილმა, თბილისი, 2011.

**Vakhtang Songulashvili**

*PhD Student of Legal Science,  
Georgian Technical University*

## **Contemporary Models of Legal Relationship Between Church and State**

### **Summary**

Respect the principle of religious freedom is the world wide constitutional principle of many states. At the current stage 144 states are members of an international convention which recognizes the freedom of religion, the human rights of adoption or preaching any religion or belief.

Based on the analysis of international practice we can mark out several models of legal relationship between church and state: 1 - full separation of state and religion; 2 - corporate separation of church and state; 3 – religious priorities; 4 – state religion.

America is a model of Church-State Separation, this is the state which erect a wall of separation between state and church. October 14, 2002, Georgia issued a constitutional agreement between the state and the Orthodox Church. The church was given the status and were set the certain forms of its relations with Georgia.



## სახელმწიფო პოლიტიკა საჯარო სამსახურის სფეროში

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შე-  
საბამისად, სახელმწიფო პოლიტიკას საჯარო სამსახურის სფერო-  
ში განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტი. საჯარო სამსახუ-  
რის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, სა-  
ჯარო სამსახურთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციისა  
და საჯარო სამსახურის სფეროში კანონით განსაზღვრულ სხვა  
საკითხებთან დაკავშირებით გადანყვეტილებების მომზადების  
მიზნით საქართველოს პრეზიდენტთან იქმნება საჯარო სამსახუ-  
რის საბჭო [1, 43]. საჯარო სამსახურის საბჭო არის საქართველოს  
პრეზიდენტის სათათბირო ორგანო [1, 43]. იგი შექმნილია პარიტე-  
ტული წესით საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ხე-  
ლისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა  
წარმომადგენლებისაგან. საქართველოს პარლამენტის მიერ 2009  
წლის ზაფხულში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გა-  
უქმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარება-  
ში არსებული თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო  
მდგომარეობის საინფორმაციო ბიურო და მისი ფუნქციები შეი-  
თავსა საჯარო სამსახურის ბიურომ. სწორედ საჯარო სამსახურის  
საბჭოს საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობის, კანონით დად-  
გენილი ძირითადი მიმართულებების განხორციელების, ორგანი-  
ზაციული, ტექნიკური, საინფორმაციო და საექსპერტო უზრუნ-  
ველყოფის მიზნით შეიქმნა საჯარო სამსახურის ბიურო, როგორც  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი [1, 43].

საჯარო სამსახურის ბიურო: ა) შეისწავლის და აანალიზებს  
საჯარო სამსახურის სფეროში არსებულ მდგომარეობას, შესაბა-  
მისი ნორმატიული აქტების შესრულებას და საქართველოს პრე-  
ზიდენტს წარუდგენს მოხსენებას; ბ) კოორდინაციას და მეთოდურ  
დახმარებას უწევს საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების  
მართვის პროცესებს, საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული მომ-  
ზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს;

გ) კოორდინაციას უწევს სახელმწიფო ორგანოთა (დანესებულება-თა) საკადრო სამსახურების მუშაობას; დ) საჯარო სამსახურის მართვის სრულყოფის მიზნით შეისწავლის და განაზოგადებს საჯარო სამსახურის სფეროში სხვა სახელმწიფოთა გამოცდილებას და თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან [1, 44].

უნდა აღინიშნოს, რომ ეფექტური საჯარო მმართველობის უმთავრესი წინაპირობაა საჯარო მოხელეების პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება. სწორედ ამ მიზნის მიღწევას ემსახურება საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობა. ეფექტური და მოდერნიზირებული საჯარო სამსახურის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება და განვითარება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი საჭიროა საჯარო სამსახურის ბიუროს მხრიდან აქტიური მუშაობა, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. საქართველოს და სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო სამსახურის სფეროში არსებული ძირითადი მაკოორდინირებელი ორგანოების შესახებ საკანონმდებლო ნორმების შეჯერების საფუძველზე შეიძლება ვიმსჯელოთ თუ რა ქმედითი ღონისძიებები უნდა გატარდეს საქართველოში არსებული საჯარო სამსახურის ბიუროს როლის გააქტიურებისათვის. კერძოდ, მნიშვნელოვანია საკონკურსო-საატესტაციო კომისიების საქმიანობაში და მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით აქტიური მონაწილეობის მიღება.

უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლიდან საჯარო სამსახურის ბიურომ რამდენიმე წარმატებული პროექტი განახორციელა, კერძოდ: ა) 2010 წელს დაინერგა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ელექტრონული სისტემა; ბ) 2011 წლის ივნისში ამოქმედდა საჯარო სამსახურში დასაქმების ელექტრონული პორტალი, რაც, ჩემი აზრით, აადვილებს კონკურსის გამოცხადებას და მასში მონაწილეობის მიღების პროცედურას; გ) 2011 წელს შემუშავებული იქნა ადამიანის რესურსების მართვისა და საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამების მინიმალური სტანდარტები, რაც ამ ეტაპზე მხოლოდ რამდენიმე საჯარო დანესებულებაში განხორციელდა. ამ მხრივ, ვფიქრობ, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს საქმიანობა უფრო გასააქტიურებელია.

საჯარო სამსახურის მაკოორდინებელ უწყებას მრავალ ქვეყანაში ვხვდებით, კერძოდ: ამერიკის შეერთებულ შტატებში აღნიშნული ფუნქცია კადრების მართვის სამსახურს აკისრია (office

of Personnel management). სამსახურის ხელმძღვანელია დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე სენატის წარდგენითა და თანხმობით ნიშნავს პრეზიდენტი 4 წლის ვადით. ახალ ზელანდიაში ვხვდებით სახელმწიფო სამსახურის კომისიონერის ოფისს (The office of State Service Comissioner) . ოფისის ძირითად ფუნქციებს განეკუთვნება: ა) სახელმწიფო სექტორის სამსახურების ეფექტურ საქმიანობაზე ზედამხედველობა; ბ) მთავარი აღმასრულებლების დანიშვნა; გ) საჯარო მოსამსახურეთათვის ქცევის წესების მიღება; დ) საჯარო სამსახურის დეპარტამენტების მიერ შესრულებულ სამუშაოსთან დაკავშირებით ანგარიშის მომზადება; ახალი ზელანდიის სახელმწიფო სამსახურის კომისიონერის ოფისს ხელმძღვანელობს სახელმწიფო სამსახურის კომისიონერი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს Governor-General in Council-ი პრემიერ-მინისტრის წარდგინებით, კომისიონერი ინიშნება არა უმეტეს 5 წლის ვადით. რაც შეეხება გაერთიანებულ სამეფოს აქ მაკოორდინებელ უწყებას წარმოადგენს სამოქალაქო სამსახურის კომისია (The Civil Service Commission), ხოლო შვედეთში - ფინანსთა სამინისტრო;

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალ ქვეყანაში საჯარო სამსახურის სრულყოფილი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის სხვადასხვა დონეზე კონტროლის რთული სისტემა არსებობს. მაგალითად, საფრანგეთში რესპუბლიკის პრეზიდენტს კანონის მიერ დადგენილ მნიშვნელოვან პოსტებზე მოსამსახურეთა დანიშვნის განსაკუთრებული უფლება აქვს, ზოგიერთ თანამდებობაზე მას შეუძლია საკუთარი უფლება-მოვალეობის პრემიერ-მინისტრისთვის დელეგირება. საჯარო სამსახურის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს პრემიერ-მინისტრი. აგრეთვე, სახელმწიფო სამსახურის სფეროში ძირითადი პოლიტიკური მიმართულებების შემუშავებასა და კოორდინაციას ახორციელებს ადმინისტრაციისა და საჯარო სამსახურის გენერალური დირექცია. იგი ახორციელებს შიდაუნწყებრივ კონკურსებს თანამდებობის დასაკავებლად, კოორდინაციას უწევს ადმინისტრაციის რეგიონალური ინსტიტუტების, ადმინისტრაციის ნაციონალური სკოლის საქმიანობას და ხელმძღვანელობს შიდაუნწყებრივ შტატებს. სახელმწიფო სამსახურის საკითხთა უშუალო ხელმძღვანელობა და საქმიანობის კოორდინაცია ევალება საჯარო სამსახურის მინისტრს.

შრომის პირობათა თვითმართვასა და განსაზღვრაში მოხელეთა მონაწილეობის პრინციპის შესაბამისად შექმნილია საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც იცავენ მოხელეთა კორპორაციულ ინტერესებს: სახელმწიფო სამსახურის უმაღლესი საბჭო [Conseil superieur de fonction publique de l'Etat], პარიტეტული ადმინისტრაციული კომისიები, პარიტეტული ტექნიკური კომისიები, ჰიგიენისა და უსაფრთხოების კომიტეტები. უმაღლესი საბჭოს ფორმირება ხდება მთავრობის დეკრეტით პარიტეტულ საფუძველზე 38 პირის შემადგენლობით: 19 — ადმინისტრაციის წარმომადგენელი და 19 — მოსამსახურე, რომლებიც ინიშნებიან 3 წლის ვადით. საბჭოს აქვს ექსპერტ-კონსულტანტის და მაკონტროლებლის უფლებამოსილება. იგი ისმენს ყოველწლიურ ანგარიშს სახელმწიფო სამსახურის მდგომარეობაზე, სავალდებულო წესით იძლევა დასკვნებს კანონ-პროექტებზე, რომელიც ეხება სახელმწიფო სამსახურის სტატუსს, გამოთქვამს აზრს მოსამსახურეთა პროფესიული მომზადების საკითხებზე. მაგრამ, სახელმწიფო სამსახურის უმაღლესი საბჭოს აზრი არაა სავალდებულო პრემიერ-მინისტრისთვის ან კომპეტენტური ადმინისტრაციული ორგანოსთვის [4, 125].

პარიტეტული ადმინისტრაციული კომისიები [comissions aministratives paritaires] კოლეგიური ორგანოებია, რომლებიც თანაბრად შედგება ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან და ჩინოვნიკთა არჩეული წარმომადგენლებისგან. ისინი იქმნება ჩინოვნიკთა თითოეულ შტატთან და გააჩნიათ კონსულტაციური უფლებამოსილება მოსამსახურეთა კარიერის ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმართებაში, ასევე წოდების მინიჭების, გადადგომის და გადაყვანის საკითხში. ასეთი კომისიების აზრი არ არის სავალდებულო ადმინისტრაციისთვის, თუმცა მათთან კონსულტაციის უარი იწვევს ზომების გაუქმებას, რომლებიც მიღებულია ადმინისტრაციული ხელისუფლების მიერ. პარიტეტული ადმინისტრაციული კომისიები ასრულებენ დისციპლინური საბჭოს ფუნქციებს.

პარიტეტულ ტექნიკურ კომიტეტებში [comite techniques paritaires] ასევე თანაბრადაა წარმოდგენილი ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. პარიტეტული ტექნიკური კომისიები იქმნება მინისტრთან ან სამსახურის ხელმძღვანელთან, მინიჭებული აქვთ სრული უფლებამოსილება

სამსახურის ორგანიზაციისა და ფუნქციონირების საკითხში, შრომის საშუალებებისა და მეთოდების მოდერნიზაციაში. ადმინისტრაციული ხელისუფლება მოვალეა იკითხოს ტექნიკური კომიტეტების აზრი ყველა საკითხში, რაც განეკუთვნება მათ კომპეტენციას, მაგრამ ამასთან არ არიან ვალდებული გაითვალისწინონ ტექნიკური კომისიების რეკომენდაციები.

ჰიგიენისა და უსაფრთხოების კომიტეტები [comite d'hygiene et de securite] კოლექტიური ორგანოებია, რომლებშიც პროფკავშირულ მუშაკთა რიცხოვნება აჭარბებს ადმინისტრაციის წარმომადგენელთა რიცხვს. ისინი იქმნება ყოველი სამინისტროს დეპარტამენტში და მინიჭებული აქვთ საკონსულტაციო უფლებამოსილებანი შრომის უსაფრთხოებისა და ჰიგიენის საკითხებში [3, 245]. ხოლო, დიდ ბრიტანეთში სახელმწიფო სამსახურის საერთო ზედამხედველობას ახორციელებს პრემიერ-მინისტრი, კაბინეტი და პარლამენტი. პრემიერ-მინისტრს ევალება სამოქალაქო სამსახურის ზოგადი კონტროლი. პრემიერ-მინისტრი კონტროლის ფუნქციას ახორციელებს უშუალოდ კაბინეტის მდივნის მეშვეობით, რომელიც ამავე დროს ხელმძღვანელობს შიდა სამოქალაქო სამსახურს და ამ მიმართულებით ვალდებულია შეასრულოს პრემიერ-მინისტრის მითითებები.

სახელმწიფო და მათ შორის სამოქალაქო სამსახურზე ზედამხედველობა, მისი საქმიანობის კოორდინაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ხაზინას და პრემიერ-მინისტრის უშუალო კონტროლის საფუძველზე სახელმწიფო სამსახურისა და მეცნიერების სამმართველოს.

ხაზინის რეგულირების სფეროში შედის სახელმწიფო სამსახურის სტრუქტურის საკითხები, სამოქალაქო სამსახურში მიღების პოლიტიკის საერთო საკითხები, ხელფასის, პენსიისა და დახმარებების განსაზღვრა. სახელმწიფო სამსახურისა და მეცნიერების სამმართველოს რეგულირების სფეროში შედის სახელმწიფო სამსახურის ორგანიზაციის, ზოგადი (არაფინანსური) ხასიათის, მათ შორის მოსამსახურეთა მომზადებისა და სწავლების საკითხები, სახელმწიფო სამსახურის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფის საკითხები [4, 126].

კანადაში საჯარო სამსახურზე ზედამხედველობას ახორციელებს კაბინეტი, პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით, სახა-

ზინო საბჭო, სამოქალაქო სამსახურის კომისია და ცალკეული დეპარტამენტები და უწყებები.

სახელმწიფო სამსახურის ცენტრალურ ორგანოს წარმოდგენს სახაზინო საბჭო. ფინანსური მართვის შესახებ კანონმდებლობის თანახმად, სახაზინო საბჭო კანადაში სამოქალაქო სამსახურთან მიმართებაში განსაზღვრავს საერთო ადმინისტრაციულ პოლიტიკას, სამოქალაქო სამსახურის სტრუქტურის ორგანიზაციას და მის ფუნქციონირებაზე კონტროლის მექანიზმებს, სახელმწიფო სამსახურის შემადგენლობასთან დაკავშირებულ საერთო პოლიტიკას.

სამოქალაქო სამსახურის საერთო ამოცანათა ფარგლებში სახაზინო საბჭო გამოსცემს მრავალრიცხოვან აქტებს, რომლითაც განისაზღვრება: სახელმწიფო მოხელისთვის წაყენებული ძირითადი მოთხოვნები, კვალიფიკაციის ამღლების პირობები, სამოქალაქო მოსამსახურეთა თანამდებობების კლასიფიკაცია და თანრიგები, ასევე თანამდებობრივი სარგო და სხვა ანაზღაურებები, ქცევის ნორმები, პასუხისმგებლობის ზომები და ა.შ.

სამოქალაქო სამსახურის კომისია წარმოდგენს დამოუკიდებელ სააგენტოს, რომელიც ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. სამოქალაქო სამსახურის კომპეტენციაში შედის სამოქალაქო სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების საკითხები. იგი უფლებამოსილია შექმნას სპეციალური ორგანოები ადმინისტრაციასა და მოსამსახურეს შორის წარმოშობილი დავების გადასაწყვეტად, რომელიც უკავშირდება სახელმწიფო სამსახურის გავლასა და სხვა საკითხებს. კომისია ასევე ეხმარება სხვა დეპარტამენტებსა და უწყებებს კადრების მომზადების საკითხში. პერსონალის უშუალო ხელმძღვანელობა ევალება დეპარტამენტსა და უწყებებში კადრებზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირებს [4,127].

იაპონიაში სახელმწიფო სამსახურის სფეროში კანონმდებლობის დაცვის კონტროლი ეკისრება მინისტრთა კაბინეტთან არსებულ პერსონალის საქმეთა საბჭოს. იგი შედგება სამი წევრისგან, რომელთაც ნიშნავს მინისტრთა კაბინეტი პარლამენტის ორივე პალატის თანხმობით. წევრთა კანდიდატურებს ამტკიცებს იმპერატორი. საბჭოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 4 წელია ხელმეორედ დანიშვნის შესაძლებლობით, მაგრამ არა უმეტეს ორი ვადისა. საბჭოს ერთ-ერთი წევრი ასრულებს თავმჯდომარის მოვალეობას. საბჭოზე დაკისრებული ფუნქციები რეალიზდება მისი

აპარატის მეშვეობით, რომელსაც მეთაურობს მმართველი, დანიშნული საბჭოს წევრების მიერ. საბჭოს აპარატის შემადგენლობაში შედის 5 სამმართველო (პერსონალის საქმეთა, აყვანის და გამოყენების, პერსონალის შრომის ანაზღაურების, საჩივრებისა და მოსამსახურეთა საქმეების) და 8 ადგილობრივი ბიურო.

პერსონალის საქმეთა საბჭო მოქმედებს როგორც ორგანო, რომელიც საკადრო საკითხებში რეკომენდაციებს წარუდგენს პარლამენტს, მინისტრთა კაბინეტს და ცალკეულ სამინისტროებს. საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს წესებს და დადგენილებებს სახელმწიფო სამსახურის შესახებ, განიხილავს სახელმწიფო მოსამსახურეთა საჩივრებს, ატარებს საკონკურსო გამოცდებს [3, 246].

როგორც უკვე დავინახეთ, მრავალი ქვეყანა ცდილობს, რომ საჯარო სამსახურში არსებული მდგომარეობა დახვეწოს, რათა ხელი შეუწყოს საჯარო დაწესებულებების ეფექტურ ფუნქციონირებას. სწორედ მათ რიცხვს განეკუთვნება საქართველოც, რომელიც იღვწის ქმედითი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისაკენ. ზემოთ განვიხილეთ საჯარო სამსახურის ბიუროს ინიციატივით 2010 წლიდან დღემდე გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმები, რაც ჩემი აზრით, საკმარისი არ არის. სახელმწიფომ უნდა აიღოს გარკვეული ვალდებულებები საჯარო მოსამსახურეთა მიმართ, გარდა ამისა, თვითონ საჯარო სამსახურის მიზანს უნდა წარმოადგენდეს საჯარო სამსახურში ღირსეული და პროფესიული კადრის არსებობა, რაც, როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების ინტერესებშიც შედის. სწორედ მათ უნდა ჰქონდეთ წამყვანი როლი მოხელის გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხში. რადგანაც მაღალკვალიფიციური პერსონალი ხომ ნებისმიერი ორგანიზაციის ეფექტიანი ფუნქციონირების გარანტიაა. მართალია, 2012 წელს USAID-ის მხარდაჭერით განხორციელდა საჯარო მოხელეთა გადამზადება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად შემუშავებული ტრენინგების მეშვეობით, მაგრამ ვფიქრობ, ასეთი სახის ღონისძიებების ხშირი ჩატარება კიდევ უფრო გააძლიერებს საჯარო სამსახურს. მისასალმებელია, საჯარო სამსახურის ბიუროს აქტიური მუშაობა მართვის თანამედროვე მეთოდების დანერგვის გზით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს რეფორმა ჩვენთან წელი ტემპით მიმდინარეობს და ასევე საჯარო

სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი წინააღმდეგობაში მოდის რეალობასთან.

როგორც დავინახეთ, სახელმწიფო პოლიტიკის გაძლიერება აუცილებელია საჯარო სამსახურში, რათა არსებული სისტემა დახვეწილი და გამჭვირვალე იყოს.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი, თბილისი, 31 ოქტომბერი, 1997.
2. ზარდიაშვილი დ, სვანიშვილი ა, ჩიტალაძე ი, საჯარო სამსახური, თბილისი, 2004.
3. Административное право зарубежных стран, Москва, 2003.
4. Информационный обзор правовое регулирование государственной службы зарубежных странах, 2005.
5. [www.csb.gov.ge](http://www.csb.gov.ge)
6. <http://www.ssc.govt.nz/>
7. <http://civilservicecommission.independent.gov.uk/>
8. <http://www.government.se/>
9. <http://www.opm.gov/>

**Nana Kharadze**

*Doctor of Georgian Technical University*

### **State Policy at Public Service Sphere Summary**

For effective and modernised function of public service it is necessary to strengthen state policy and its development. Reaching this aim requires active work from the bureau of public service. In the presented work, it is discussed the state policy at public service, particularly it is spoken about the bureau of public service and the council of public service, about its main priorities. As well it is considered the coordinative departments of the USA, Sweden, France, the New Zealand, UK.

We must point out that the main premise for effective public administration is the professionalism of public staff and their honesty. The activity of public service bureau is carried out for this aim. I think that bu-



reau must do a lot of steps for the direction of modernization. That's why we have to be introduced to the current situation at various countries and share their experience. By the experience of foreign countries there is clear the moments which will assist for effective functioning of public service and effective public service is vital for the development of state.

at work, it is stressed that state must take obligations for public staff. Besides this, the public service itself must have the goal to have professional and worthy staff which in the interest of state as well as public. They must have the leading role for retraining and growing the qualification because highqualified personnel is the guarantee of effective function of any organization.

არჩილ ჩაჩხიანი

*ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო სამტაბო კოლეჯის უფროსი ინსტრუქტორი*

**პოლიტიკური პორტრეტები რატუშირების  
გარეშე — ვლადიმერ ლენინი და  
მუსტაფა ქამალი (ათათურაძე)**

მხოლოდ სახელმწიფო, სახელმწიფოებრივი ყოფა არ არის ზოგადად ერის ყოფიერების განმსაზღვრელი ნიშანი, მაგრამ ყოველი ერისათვის ბუნებრივია სწრაფვა საკუთარი სახელმწიფოს შექმნის, განამტკიცებისა და გაძლიერებისაკენ. ეს ნებისმიერი ერის სალი ინსტინქტია და აქედან გამომდინარე, სახელმწიფოებრივი ყოფა ერის ნორმალურ ყოფად უნდა ჩაითვალოს. სახელმწიფოებრიობის დაკარგვა კი ერისათვის უდიდესი ტკივილი და ტრაგედიაა. მცირე და სუსტი ერებისათვის ეროვნული საკითხი არის საკითხი განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისა, საკითხი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის, შენარჩუნებისა და გაძლიერებისა.[1, 7]

დიდი ერები, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ თავისი მისია, ცდილობენ შექმნან დიდი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომლებიც ეროვნული ყოფის საზღვრებიდან გადიან. დიდი და ძლიერი ერებისათვის ეროვნული საკითხი არის საკითხი მსოფლიო მისიისა, ანუ იმპერიალისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და გაფართოების საკითხი. ამ პროცესის ლოგიკური გზა და შედეგი კი ომია, რომელიც ზესახელმწიფოების იმპერიული ამბიციების დაკანონებას ემსახურება. ამავე დროს მიმდინარეობს ბრძოლა დიდი იმპერიალისტური გაერთიანებებისაკენ, დიდი ისტორიული წარმონაქმნების შექმნისაკენ. მაშასადამე, ერის ძლევამოსილების გარკვეულ საფეხურზე დიდი ერების ეროვნული ცნობიერება იმპერიალისტურ ცნობიერებაში გადაიზრდება. მაგრამ ეროვნული ცნობიერების უმაღლეს მწვერვალს მესიანური

ცნობიერება წარმოადგენს. „მესიანიზმი ხალხის შეშლილი ცნობიერებაა“ — აღნიშნავდა თავის დროზე დიდი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, ნ. ბერდიაევი.[2, 82] მესიანიზმიდან ზვარაკად შეწირვამდე კი ერთი ნაბიჯია, ნაბიჯი, რომლის გადადგმითაც წყდება ამა თუ იმ დიდი თუ მცირე იმპერიის არსებობა-არარსებობის საკითხი.

თუ ამ კონტექსტში განვიხილავთ მოვლენების განვითარებას, რუსეთმა ეს ნაბიჯი მაშინ გადადგა, როცა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ მან თავი „მესამე რომად“ და მართლმადიდებლობის ბურჯად გამოაცხადა [3, 113]. XVI საუკუნის პირველი ნახევრიდან კი, ველიკოროსებს უკვე ღვთის რჩეული ერისა და მართლმადიდებლურ სამყაროში ბატონობის ამბიციები გაუჩნდათ. სწორედ ამ პერიოდით თარიღდება ფსკოვის სპასო-ელეაზაროვის მონასტრის ბერის, უხუცესი ფილოფეის წერილი დიდ მთავარ ვასილისთან, რომელშიც „მესამე რომზეა“ მსჯელობა. ამ წერილის მთავარი არსი ისაა, რომ რომაულ სამეფოს ამიერიდან წარმოადგენს რუსი ხელმწიფის სამეფო და ეს სამეფო მთელი მსოფლიოა. „ორი რომი დაეცა, მესამე დგას და მეოთხე რომი აღარ იქნება“, ანუ — „პირველი რომი იყო რომი, მეორე რომი — კონსტანტინოპოლი, მესამე რომი მოსკოვია, და მეოთხე რომი აღარ იქნება“. პავლე მოციქულის მიხედვით კი, „რომი — მთელი მსოფლიოა“ : — Да вси, христолюбче и боголюбче, яко вся христианская царства приидоша в конец и снидошася во едино царство нашего государя, по пророческим книгам, то есть Роменеиское царство: два убо Рима падоша, а третий стоит, а четвертому не быти. Многажды и апостоль Павел поминает Рима в посланиих, в толкованиих глаголет: „Рим — весь мир“ [4, 441].

რუსულმა შოვინისტურმა და იმპერიალისტურმა აზროვნებამ პიკს XIX საუკუნის მეორე ნახევარში მიაღწია, რაც სრულყოფილადაა გადმოცემული ფიოდორ ტიუტჩევის მიერ 1848 წელს დაწერილ ლექსში „რუსული გეოგრაფია“. სტრიქონები ამ ლექსიდან:

„Москва и град Петров и Константинов град -  
Вот царство русского... заветные столицы...  
Но где предел ему? и где его границы -  
На север, на восток, на юг и на закат?  
Грядущим временем морей и сем великих рек...  
От Нила до Невы, от Эльбы до Китая,  
От Волги до Евфрата, от Ганга до Дуная...  
Вот царство русское... и не придёт во век,

Как то провидел Дух и Даниил предрек“ .[5, 118]

კომენტატორების განმარტებით „Град Петров“ -ში არა პეტროგრადი, პეტრე I-ის ქალაქი, არამედ რომია ნაგულისხმევი — წმინდა პეტრე მოციქულის ქალაქი“ [6, 47]. რუსულ ოფიციალურ კი XX საუკუნის დასაწყისიდან კონსტანტინოპოლი Царьград-ად იწოდებოდა. აი ასე — არც მეტი, არც ნაკლები. ცხადია, დანიელ წინასწარმეტყველთან არავითარ რუსეთზე ლაპარაკიც არ არის.

არავითარი საფუძველი არა გვაქვს იმისათვის, რომ დავუშვათ, თითქოს ტიუტჩევი იცნობდა ფილოფეის „მოძღვრებას“ . და მიუხედავად ამისა, მათ ნააზრევებში მსგავსება გამოგნებელია. ამასთან ერთად, „რუსულ გეოგრაფიაში“ , რასაც ფილოფეისთან არა აქვს ადგილი, უკვე შეიმჩნევა „ველიკოდერჟავული მესიანიზმის“ გეოპოლიტიკური და იმპერიალისტური შტრიხები.

მესიანიზმს მტკიცება და დასაბუთება არ სჭირდება. ამისათვის მესიანური იდეის აღქმა, დაჯერება და მისი განსაკუთრებული უპირობო რწმენაა საჭირო, რაც რუსულ სახელმწიფოებრიობას საკმარისზე მეტი ჰქონდა წარსულშიც და საკმარისზე მეტი აქვს ახლაც. რუსული ყოვლადმპყრობელური სული და განწყობა ჯერ კიდევ რუსეთის პირველი მეფისა და იმპერატორის, „ცარ“ (Царь) ივანე IV მრისხანის დროიდან გაცხადდა, როცა რეგალიებში ის იწოდებოდა აგრეთვე, როგორც „Царь Иверийский“ (Sic!) [6, 47]. რუსეთის სამეფოს უმაღლესი თვითმპყრობლის აღმნიშვნელი სიტყვის — „Царь“ ეტიმოლოგია რომის იმპერიის უმაღლესი მმართველის, კეისრის (Caesar) რუსიფიკატორული ვარიანტია. ამ ტიტულს ატარებდნენ რუსეთის სამეფოს მმართველი „სამოდერჟავეცები“ ივანე IV მრისხანეს დროიდან დაწყებული...

სლავიანოფილობისა და ეკუმენიზმის გაერთიანებით საუბრობს „მესამე რომის“ კონცეფციაზე XIX საუკუნის მიწურულის რუსი ფილოსოფოსი ვ. ს. სოლოვიოვიც:

Судьбою павшей Византии

Мы научиться не хотим,

И всё твердят льстецы России:

Ты — третий Рим, ты — третий Рим.

Смирится в трепете и страхе,

Кто мог завет любви забыть...

И третий Рим лежит во прахе,

А уж четвертому не быть [7, 43].

ერთი საუკუნის მერე კი, მოდერნიზებული, ბოლშევიკური რუსული იმპერიის გეოგრაფიული არეალები იზრდება და იგი უკვე „ოკეანიდან ოკეანემდე“ ვრცელდება. ბოლშევიკური იმპერიის შვილები კი მზადყოფნას აცხადებენ, რომ იმ საბჭოთა იმპერიისათვის ბრძოლებში დალიონ სული, რომელიც იაპონიიდან ინგლისამდე იქნება გადაჭიმული. უსაზღვრო „დერჟავას“ ასე უმღერის საბჭოთა პოეზია:

„Есть в наших днях такая точность,  
Что мальчики иных веков,  
Наверно, будут плакать ночью  
О времени большевиков.  
Но мы еще дойдем до Ганга,  
Но мы еще умрем в боях,  
Чтоб от Японии до Англии  
Сияла Родина моя“ [8, 154].

რუსული იმპერიისაგან განსხვავებით, XX საუკუნის დასაწყისიდან ოტომანთა ისლამურმა იმპერიამ და სახალიფომ მსოფლიო ბატონობისათვის „დიდი თურანის“ იდეა წამოსწია წინ და მსოფლიო პანთურქისტულ იმპერიად გადაქცევას შეეცადა.

თურქულმა სახელმწიფოებრიობამ სიძლიერის პიკს ოსმალთა იმპერიის დროს მიაღწია, რომელსაც პანისლამიზმის კონცეფცია, როგორც რელიგია და იდეოლოგიურ-პოლიტიკური იარაღი დაედო საფუძვლად. სწორედ ოსმალთა იმპერიამ და სულთანმა იკისრეს ისლამური სახალიფოს ძლიერებისა და ხალიფას ტვირთი. როგორც კი იმპერიას დამატებით თურანულ-პანთურქისტული ამბიციები გაუჩნდა, რაც ლამის მთელი ევრაზიის კონტინენტის უდიდესი ნაწილის კუთვნილებაზე პრეტენზიების გამოთქმის ტოლფასი იყო და იმპერიის ხელისუფლებაში „ახალგაზრდა თურქთა“ ფაქტიური მოსვლით დაიწყო 1908 წელს, იმ მომენტიდან დაწყებული, ოტომანთა იმპერია განწირული აღმოჩნდა. XX საუკუნის პირველ მეოთხედში მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაადასტურეს ამ პროცესების გარდუვალობა.

„დიად ომად“ წოდებულმა I მსოფლიო ომმა თავისი „კორექტივები“ შეიტანა ამ ორი აზიური ტიპის იმპერიების ამბიციებში. მან წერტილი დაუსვა უზარმაზარი სახელმწიფოებრივი გაერთიანებების — ცარისტული რუსეთისა და ოსმალთა სასულთნოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობილებების არსებობას. მაგრამ

ოქტომბრის რუსეთმა დამატებით კიდევ ერთი ნაბიჯი მაშინ გადადგა წინ, როცა ბოლშევიკური იდეოლოგიით, ლენინიზმით აღჭურვილმა, სრულიად ახალი რამ — „რევოლუციური მესიანიზმი“ იტვირთა თავს. ამ მოძღვრების — „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“ მთავარ აპოლოგეტებად ბოლშევიკი ლიდერები, ვლადიმერ ულიანოვ-ლენინი და ლეონ ბრონშტეინ-ტროცკი შეიქმნენ. ისინი ღრმად იყვნენ იმაში დარწმუნებულნი, რომ მალე დადგებოდა დრო, როცა რევოლუცია მთელს პლანეტაზე გაიმარჯვებდა.

ჯერ კიდევ 1915 წელს, I მსოფლიო ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ ვ. ლენინმა განაცხადა — „მსოფლიოს (და არა ევროპის) შეერთებული შტატები წარმოადგენს ერების სახელმწიფოებრივი მონყობისა და თავისუფლების იმ ფორმას, რომელსაც ჩვენ სოციალიზმთან ვაკავშირებთ, სანამ კომუნიზმის სრული გამარჯვება არ მიგვიყვანს ყოველგვარი სახის, მათ შორის დემოკრატიული სახელმწიფოს გაქრობამდე. როგორც დამოუკიდებელი ლოზუნგი, ლოზუნგი „მსოფლიოს შეერთებული შტატები“ გამართლებული იქნება იმიტომ რომ, პირველ რიგში ის სოციალიზმს ერწყმის; მეორე კი ისაა, რომ მან შეიძლება არასწორი წარმოდგენა შექმნას ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობისა და ამ ქვეყნის დამოკიდებულების შესახებ სხვა დანარჩენ ქვეყნებთან“ [9].

ტროცკიმ კი განაცხადა: „თუ დღეს III ინტერნაციონალის ცენტრს მოსკოვი წარმოადგენს, — ჩვენ ამაში ღრმად ვართ დარწმუნებულნი, — ხვალ ეს ცენტრი დასავლეთისაკენ გადავა: ბერლინში, პარიზში, ლონდონში... და საერთაშორისო კომუნისტური კონგრესის გამართვა ბერლინში ან პარიზში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების მაუწყებელი იქნება ევროპაში, და ესე იგი მთელ მსოფლიოშიც“ .[10, 39] მსოფლიოს უდიდესი იმპერია, დიდი ბრიტანეთი და ახალგაზრდა მზარდი სახელმწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები კი, გადარჩნენ. ისინი ახალი, დასავლური ცივილიზაციის ფორპოსტებად იქცნენ, იმ დროისათვის უარყვეს რა ყოველგვარი მესიანისტური იდეა — ეროვნული, სულიერი, რელიგიური, რევოლუციური.

ოსმალთა იმპერიის ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერი, მუსტაფა ქემალი და ბოლშევიკური რუსეთის სახელმწიფოს მეთაური, ვლადიმერ ლენინი ევროპულ კულტურასა და ტრადიციებს იყვნენ ნაზიარებნი. მუსტაფა ქემალი ბალკანეთზე, სალონიკში, ოტო-

მანთა იმპერიის ევროპულ ნაწილში და ალბათ იმპერიის ყველაზე უფრო „ევროპულ ქალაქში“ დაიბადა. ბრიტანელთა საოკუპაციო ჯარების სამხედრო ინსპექტორის, პოლკოვნიკ ალფრედ როვლინსონის (Alfred Rowlinson) დახასიათებით — იგი, „მუსტაფა ქემალი, „დიდი თურქი“, ღია ფერის თმითა და ლურჯი თვალებით, თავისი გენოტიპით ევროპელი უფრო იყო, ვიდრე აზიати... მას ტექტონური გარეგნობა უფრო ჰქონდა, ვიდრე აზიური“ [11, 238].

საინტერესოა მუსტაფა ქემალის ჩაცმულობის სტილიც. მას შემდეგ, რაც იგი თურქთა ნაციონალისტურ მოძრაობას ჩაუდგა სათავეში, ფორმალურად იგი ოსმალთა არმიის გენერალს უკვე აღარ წარმოდგენდა. იგი სამოქალაქო პირი იყო, ამ მოძრაობის პოლიტიკური ლიდერი. და ამ მომენტიდან დაწყებული მისი ჩაცმულობის სტილიც ტრადიციული ოსმალურისაგან განსხვავებული გახდა — უფრო დახვეწილი, უფრო ევროპული, უფრო თავისუფალი. პერანგი და გახამებული საყელო, ჰალსტუხი და ქამრიანი ყილეტი. მას ისე ეცვა, როგორც ჯენტლმენს ნადირობისას. ოფიციალურ მიღებებზე კი ტრადიციულ თურქულ ქუდს, ფესს იხურავდა, მაგრამ სხვა შემთხვევაში მან თავსაბურავის ახალი სტილი შემოიტანა თურქთათვის. ეს იყო ფაფახი, კავკასიური მატყლის ფაფახი. და ეს ფაფახი, რომელიც ძალიან მოსახერხებელი აღმოჩნდა ცენტრალური ანატოლიის მკაცრი ჰავის პირობებში, თანდათან თურქ ნაციონალისტთა წინააღმდეგობის მოძრაობის სიმბოლოდ იქცა [12, 260].

მუსტაფა ქემალმა ბავშვობა და ახალგაზრდობა ევროპაში გაატარა, ბულგარეთში სამხედრო ატაშეს თანამდებობაზე ყოფნისას კი, კიდევ უფრო გაითავისა ევროპული ცხოვრების სტილი. ვლადიმერ ლენინიც წლების განმავლობაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ევროპაში — და მარქსიზმიც პრინციპში ევროპული მოვლენა იყო. მათი ცნობიერება და მსოფლმხედველობა კი, ბევრ რამეში მკვეთრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.

მუსტაფა ქემალი დასავლური ცივილიზაციის იმ პრინციპებზე აღიზარდა, რამაც XIX საუკუნიდან დაწყებული, გავლენა მოახდინეს თურქულ ლიბერალურ აზროვნებაზე. სხვის იდეებს ეცნობოდა, საკუთარ თავს მოარგებდა, ითავისებდა, მაგრამ ჯანსაღ აზრს არასდროს გადაუხვევდა და სხვადასხვა თეორიებს ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებდა. ჭეშმარიტი ექსპერიმენტატორის მსგავსად, მიზნისაკენ ნაბი-ნაბიჯ სიარული და საკუთარი მოუთ-

მენლობის დროულად მოთოკვა შეეძლო. თუმცა მაინც სწრაფად მიიწევდა წინ და ოპონენტებისა და მეგობრების მიმართ ერთნაირად მკაცრი იყო. ხშირად ლიბერალურ მიზნებს სრულიად არალიბერალური გზებით აღწევდა.[12, 1] მუსტაფა ქემალის ეს დახასიათება ცნობილ შოტლანდიელ აღმოსავლეთმცოდნესა და ისტორიკოსს, მუსტაფა ქემალ ათათურქის ბიოგრაფს, ჯონ პატრიკ დუგლას ბალფორს (John Rattrick Douglas Balfour) — ლორდ კინროსს ეკუთვნის.

მუსტაფა ქემალსა და ვლადიმერ ლენინს ხასიათის შტრიხებში ბევრი საერთო ჰქონდათ. და ეს მთავარი საერთო — განუსაზღვრელი ძალაუფლების წყურვილი და მათი მესიანისტური რწმენის ურყეობა იყო — მესიანისტური რწმენა და დიქტატორული მისწრაფებები. დასახული მიზნის მისაღწევად, არც ერთი არ იყო უკან დამხვევი. აქ ნიშანდობლივია ისმაილ ენვერ ფაშას, ოსმალთა სამხედრო მინისტრის სიტყვები, რომელიც მან თურქ გენერალთა ჯგუფთან წარმოსთქვა 1915 წელს, გენერალური შტაბის წევრთა ერთ-ერთ შეხვედრაზე: „გაიცანით, ეს ახალგაზრდა ოფიცერი მუსტაფა ქემალია, თქვენ კარგად არ იცნობთ მას. მისთვის ყველაფერი ცოტაა. თუ ის მიაღწევს გენერლის ერთ ვარსკვლავს, მას მოუწდება მეორე. თუ მიაღწევს მეორეს, ის მესამისათვის იბრძოლებს და ამ გზაზე მას ვერაფერი ვერ შეაჩერებს“. მუსტაფა ქემალის პასუხი: „არ მეგონა თუ ენვერ ფაშა ასეთი ჭკვიანი და წინდახედული კაცი ბრძანდებოდა“ (?) [13]

ოდნავ მოგვიანებით, რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენელი თურქეთში, იან უპმალი მუსტაფა ქემალის შესახებ წერდა: „მუსტაფა ქემალის მთავარ მამოძრავებელ იმპულსს მისი პატივმოყვარეობა წარმოადგენს. თავისი მიზნის მისაღწევად იგი ყველაფერზე მიდის, ისე, რომ არაფერს და არავის არ ერიდება. თავისი პოლიტიკის განხორციელების გზაზე კი, სრულიად უპრინციპო პიროვნებაა და ადგილობრივ საზოგადოებრივ მიმდინარეობებსა და დაჯგუფებებში სისტემატურ პროვოკაციებს იყენებს“. [14]

ამ შეფასებებში ნამდვილად არ ცდებოდა ამხანაგი უპმალი. თუმცა მუსტაფა ქემალის უპრინციპობასთან დაკავშირებით ნამდვილად ვერ დავეთანხმებით ავტორს. აქ კი აშკარად ცდება საბჭოთა დიპლომატი. მუსტაფა ქემალი მართლაც მოხერხებულად ლავირებდა სივასის, არზრუმისა და ანკარის კონგრესებზე, როცა იგი სულთნისა და ხალიფას ინტერესების დამცველად, მათ მომ-



ხრედ აცხადებდა თავს. მაგრამ ასეთი ქმედებები ტაქტიკური მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი და არა პრინციპების არქონით. რეალურად კი იგი და მისი თანამებრძოლები, რა თქმა უნდა, სწორედ ამ ორი ინსტიტუტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ და ამაში თვით „ერთიანობისა და პროგრესის“ (Ittihat ve Terakki) პარტიის ლიდერებს, იტიხადისტებსაც გადააჭარბეს. ხელისუფლებაში მოსვლიდან სულ მცირე ხანში, მუსტაფა ქემალმა ანულირება გაუკეთა როგორც სასულთნოს, ასევე სახალიფოს.

იგივე შეიძლება ითქვას ლენინზეც. ლენინისა და ბოლშევიკების ხელისუფლებაში მოსვლა ძირითადად მათი სოციალური ხასიათის ლოზუნგებმა — „მინა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები მუშებს!“ და „ერთა თვითგამორკვევის“ დემოკრატიული პრინციპების დეკლარაციებმა განაპირობეს. მაგრამ ლენინური მოკლევადიანი „დემოკრატია“ კარგად დადგმულ ფარსსა და I მსოფლიო ომით გადაღლილი სამყაროს ემოციებზე გათვლილ პოლიტიკურ ხრიკს წარმოადგენდა. ეს ლიბერალური და მეტად დემოკრატიული ლოზუნგები მხოლოდ და მხოლოდ დეკლარაციების სახეს ატარებდა და რეალურად „პროლეტარული რევოლუციის“ იდეაზე დაფუძნებულ ბოლშევიკური ნეოკოლონიალიზმის წინაპირობას წარმოადგენდა.

მუსტაფა ქემალსაც დემოკრატიასთან მიმართებაში ერთობ ნიშანდობლივი დამოკიდებულება ჰქონდა. მას თავისებურად ესმოდა იგი. „ქემალისეულ დემოკრატიას“, რბილად რომ ვთქვათ, „კონტროლირებადი“ ელფერი დასდევდა. თავის მამუარში მუსტაფა ქემალი წერდა: „ჩვენ საგულდაგულოდ უნდა გავაკონტროლოთ მთავრობის თითოეული ნაბიჯი და თუ საჭიროა, მოვახდინოთ მისი კორექტირება...“ მეჯლისის წინაშე ერთ-ერთი გამოსვლისას კი, მან განაცხადა: „დემოკრატია კარგი რამაა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ნორმის ფარგლებში! და როგორ ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ მე უკეთესად ვიცი, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს! მათ კი მხოლოდ ის უნდა აკეთონ, რასაც მე მოვითხოვ მათგან“.[15] ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რაც მუსტაფა ქემალმა გადადგა თავისი ბრძოლის ახალ გზაზე, ძველი სისტემისა და ხელისუფლების უარყოფა იყო. იგივეს თქმა შეიძლება ვლადიმერ ლენინის შესახებაც. მუსტაფა ქემალი თავიდანვე გაემიჯნა „ახალგაზრდა თურქთა“ „ერთიანობისა და პროგრესის“ მოძრაობასა და მის ლიდერებს. თუმცა ისიც ნიშანდობლივია, რომ არც ადრე არ იყო მუსტაფა ქემალი მაინცდამაინც მათზე დადებითი შეხედულებისა. აკი ხშირად

მოიხსენიებდა იგი ამ პარტიის ლიდერებს ენვერ, ჯემალ და თალათ ფაშებს „პატარა კაცებად — კაცუნებად“ . მიუხედავად ამისა, იგი შემდგომშიც აგრძელებდა იტიხადისტებთან ურთიერთობებს.

ძალიან მალე, ნაციონალური მოძრაობის გამარჯვებისა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მუსტაფა ქემალმა რესპუბლიკა გამოაცხადა და სასულთნოც გააუქმა. მან ოტომანთა იმპერიის უკანასკნელი მონარქი — სულთანი მეჰმედ VI (ვაჰიდედინი) დაამხო და სამშობლოდან გააძევა (გავიხსენოთ რუსეთის ბოლო მონარქის ბედი). მალე კი, სულთნის ბედი ოსმანთა დინასტიის უკანასკნელმა ხალიფამ, სულთნის ბიძაშვილმა, აბდულ მეჯიდ II-აც გაიზიარა.

ანალოგიურია ლენინისა და მუსტაფა ქემალის მიერ დეკლარირებული „მშრომელთა მასების ბრძოლა მჩაგვრელების წინააღმდეგ“ , „ეროვნულ უმცირესობათა თვითგამორკვევის“ საკითხები, მონარქიზმისადმი შეუწყნარებლობა, რესპუბლიკის გამოცხადება, სახალიფოს გაუქმება, ღმერთის უარყოფა და ათეიზმის ქადაგება, ბრძოლა ინტერვენციის, უცხოელი დამპყრობლებისა და მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ქალთა ემანსიპაციის საკითხი, დემოკრატიისა და თანასწორობის ქადაგება და ა.შ. და ა.შ.

მუსტაფა ქემალის მიერ მოაზრებული და შემუშავებული ახალი იდეოლოგია ქემალიზმი იყო, ახალი თურქული ნაციონალისტური იდეოლოგია, რომელმაც დასრულებული სახე უკვე 30-იან წლებში მიიღო. ეს იდეოლოგია ექვს ფუძემდებლურ პრინციპზე იყო აგებული. თავად ქემალისტები ამ ექვს პრინციპს „ექვს ისარს“ (Altı Ok) უწოდებდნენ. ეს პრინციპები იყო: რესპუბლიკანიზმი, ნაციონალიზმი, ხალხურობა, ლაიციზმი ანუ სეკულარიზმი, ეტატიზმი და რევოლუციურობა. ამ ექვსეულიდან, ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი სამუელ ჰანტინგტონი (Samuel P. Huntington) თავის ფუნდამენტალურ ნაშრომში „The Clash of Civilizations and Remaking of World Order“ , რადიკალურ ვესტერნიზაციასა და არსებული კულტურული ტრადიციების უარყოფას უსვამდა ხაზს. ჩვენ კი ქემალიზმში სამ ელემენტს — ნაციონალიზმს, რევოლუციურობასა და სეკულარიზმს გამოვყოფდით.

ქემალიზმში ნამყვანი როლი ნაციონალიზმს ეკავა. მაგრამ ეს ნაციონალიზმი (Milliyetçilik) განსხვავდებოდა ოსმალური და იტიხადისტური ნაციონალიზმის გაგებისაგან, რომელიც იტიხადისტების, „ახალგაზრდა თურქებად“ წოდებულ ოფიცერთა პან-თურქისტულ იდეებზე იყო დაფუძნებული. „ახალგაზრდა თურ-

ქთა“ პატრიოტიზმში ეჭვი არავის არ ეპარებოდა, მაგრამ მათ არ ჰქონდათ პოლიტიკური გამოცდილება, უფრო ზუსტად, საერთოდ არანაირი პოლიტიკური კურსი და იდეოლოგია არ გააჩნდათ, არც სტრატეგიული ამოცანები და არც ტაქტიკური გადაწყვეტილებები. მათი ერთადერთი მიზანი სულთან აბდულჰამიდის დაჩოქება და კონსტიტუციის გამოცხადება იყო, რაც იმპერიის კეთილდღეობის აბსოლუტურ პანაცეად მიიჩნეოდა. შესაბამისად, დღის წესრიგში ისევ რჩებოდა იმპერიის შენარჩუნების საკითხი, ოღონდ უფრო ლიბერალური ფორმით.

მუსტაფა ქემალისათვის კი სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთადერთ მისაღებ ფორმას საპარლამენტო რესპუბლიკის შექმნა წარმოადგენდა და ნაციონალიზმიც მის მიერ ფრანგული მოდელის შესაბამისად მოიაზრებოდა — ნაციონალიზმი როგორც თურქული სახელმწიფოს (რესპუბლიკის) საზღვრებში მცხოვრები პოლიტიკური ერის იდეოლოგია და არა მხოლოდ თურქული მოდემისა და ეთნოსის სახელმწიფოებრივი ყოფა, როგორც ეს პანთურქისტულ იდეოლოგიაში იყო წარმოდგენილი. მით უმეტეს, უკუგდებულ იქნა ისლამური და პანისლამისტური მომენტები, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო იტიხადისტებისათვის. ცნებაში „ერი“ მუსტაფა ქემალი გულისხმობდა სახელმწიფოში მაცხოვრებელ ყველა მოქალაქეს და არა მხოლოდ ეთნიკურ თურქს, ოღუზური წარმომავლობის ხალხს. ერთიანი ერის კრიტერიუმები კი ასე იყო განსაზღვრული: საერთო მოქალაქეობა, საერთო ენა, საერთო ტერიტორია, საერთო წარმოშობა, საერთო ისტორია და საერთო მენტალობა. ვერაფერს ვერ ვიტყვით, აღმოსავლური ტირანიისათვის მართლაც რევოლუციური მიდგომაა. „გერქვას თურქი, ეს დიდი ბედნიერებაა!“ — მუსტაფა ქემალის საყვარელ გამონათქვამს წარმოადგენდა.

რევოლუციურობაში (İnkılapçılık) იგულისხმებოდა ვესტერნიზაციისაკენ კურსის აღება და წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლა, რომლის საყრდენიც საზოგადოების პროგრესი და განათლება იქნებოდა. ფრანგ ჟურნალისტ მორის პერნოსთან მიცემულ ინტერვიუში მუსტაფა ქემალი აღნიშნავდა: „ჩვენი პოლიტიკა, ჩვენი ტრადიციები, ჩვენი მისწრაფებები იქითკენ იქნება მიმართული, რომ თურქეთი ევროპული სახელმწიფო გახდეს, უფრო ზუსტად — დასავლეთზე ორიენტირებული სახელმწიფო“ [14, 91]. და კიდევ: „ჩვენს მიერ მიღწეული სამხედრო ტრიუმფის კვალად, რომელიც ხიშტის, იარაღისა და სისხლის ფასად მოვიპოვეთ, უნდა

ვესწრაფოთ გამარჯვებების მიღწევას ისეთ სფეროებში, როგორცაა კულტურა, განათლება, მეცნიერება და ეკონომიკა“ [16]. რევოლუციურობისა და ვესტერნიზაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა მუსტაფა ქემალის მიერ უკვე თურქეთის რესპუბლიკაში ოსმალური ანბანის შეცვლა ლათინურით და ქალთა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ემანსიპაციის პროცესის დაწყება. „ყველაფერს, რასაც ვხედავთ ჩვენს გარშემო, ქალის შემოქმედებითი შრომის ნაყოფია“ — ამბობდა იგი [17, 424].

ლაიციზმი და სეკულარიზმი (Laiklik) კი, სახელმწიფოს განსაკუთრებული როლის აღნიშვნასა და ისლამის სახელმწიფოსაგან გამოყოფაში გამოიხატებოდა. ერთ-ერთი პირველი რეფორმათაგანი, რომელიც მუსტაფა ქემალმა განახორციელა, სწორედ შარიათის კანონების გაუქმება იყო. შემდეგ კი შემოტანილ იქნა რელიგიური განათლების აკრძალვაც. მედრესეები დაიხურა, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება განათლების სამინისტროს დაექვემდებარა — „ჩვენ პატივს ვცემთ რელიგიას და არა ვდგავართ აზრისა და აზროვნების ოპოზიციაში. ჩვენ მხოლოდ იმისაკენ მოვუწოდებთ, რომ რელიგიური საქმეები არ იყოს ჩართული სახელმწიფოსა და ხალხის საქმეებში. ჩვენ შანსი არ უნდა დავუტოვოთ რეაქციონერებს“ — ასეთი იყო მუსტაფა ქემალის ფილოსოფია ამ საკითხთან მიმართებაში.

მაგრამ ეს ყველაფერი შემდეგ იყო. მანამდე კი — დაწყებული 1919 წლიდან, მუსტაფა ქემალი და მისი თანამოაზრეები ისეთ პოლიტიკურ თამაშებსა და ფლირტებში ჩაერთვნენ ლენინთან და ბოლშევიკებთან, რომელიც თავისდაუნებურად იქცა იმ დიდი პოლიტიკური თამაშის ნაწილად, რაც ერთ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დიდ ბრიტანეთსა და ცარისტულ რუსეთს შორის აზიის გადანაწილებისათვის ბრძოლაში. ეს მეტად საინტერესო მოვლენა XIX საუკუნეს განეკუთვნება და დიპლომატიის ისტორიაში „დიდი თამაშის“ სახელით შევიდა, როგორც იგი ცნობილმა ინგლისელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ და მწერალმა, რედიარდ კიპლინგმა მონათლა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან კი, მუსტაფა ქემალისა და თურქი ნაციონალისტების მიერ ბოლშევიკურ რუსეთთან დაწყებული ახალი „პოლიტიკური თამაში“ სწორედ ბრიტანულ-რუსული „დიდი აზიური თამაშის“ შემადგენელ ნაწილად იქცა. და კავკასიაც, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასია, ამ „დიდი თამაშის“ კიდევ ერთ პოლიგონად, კიდევ ერთ საომარ მოქ-

მედებათა თეატრად წარმოგვიდგა, სადაც რუსი ბოლშევიკები და ქემალისტები, მათი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, დიდ ბრიტანეთსა და „მსოფლიო იმპერიალიზმს“ დაუპირისპირდნენ. რეალობაში კი, ბოლშევიკურ-ქემალისტური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ერთობლივი, შეთანხმებული მოქმედებები ბოლშევიკურ რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის სამხრეთ კავკასიის ტერიტორიების ახალი გადანაწილებით დასრულდა, რის შედეგადაც ქართულმა სახელმწიფომ თავისი ისტორიული მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა.

თურქული სახელმწიფოებრიობის გადარჩენის საქმეში მუსტაფა ქემალს კრემლის მესვეურების წინაშე თავისი იდეურობა, რევოლუციონერობა და „მშრომელთა ჩაგრული მასების“ ინტერესების დამცველად უნდა წარმოეჩინა თავი. და რაც მთავარია, საუთარი ანტიიმპერიალისტობა უნდა ეჩვენებინა მათთვის. თუმცა ბოლშევიკებთან ურთიერთობებში იგი რაციონალიზმისა და მიზანშეწონილობის პრინციპებიდან გამოდიოდა: „იყო ბოლშევიკი — ეს ერთია, მაგრამ კავშირები დაამყარო ბოლშევიკურ რუსეთთან — მეორე“ [18, 44]. მოკლედ რომ ვთქვათ, მუსტაფა ქემალს კრემლის ნდობა უნდა მოეპოვებინა. საჭირო იყო, რომ კრემლსა და ბოლშევიკებს ყოფილი ოსმალთა გენერალი თავის იდეოლოგიურ თანამოაზრედ და თანამებრძოლად ჩაეთვალებოდა, „თავისიანად“ მიელოთ. და მუსტაფა ქემალმაც მსწრაფლ განიცადა ეპოქისა და არსებული გამოწვევების შესაბამისი პოლიტიკური და იდეოლოგიური მეტამორფოზა, იგი უმაღლეს მოერგო სიტუაციას. მის მიერ 1920 წლის ნოემბრის ბოლოს კრემლში გაგზავნილი წერილის შინაარსი მარქსისტული მოძღვრების კლასიკურ ნიმუშად შეიძლება შეფასდეს. მსოფლიოს მუშათა კლასისა და პროლეტარიატის ანტიიმპერიალისტური ბრძოლის სულისკვეთებით გაჟღერებული ამ პოლიტიკური რეზიუმის თეზისები მარქსიზმის ბევრ გამოჩენილ თეორეტიკოსსაც კი შეშურდებოდა. კერძოდ: „მე და ჩემი თანამებრძოლები ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ დასავლეთის მუშათა კლასი და აზიისა და აფრიკის დამონებული გლეხობა მალე შეიგნებს, რომ დღევანდელი საერთაშორისო მსოფლიო კაპიტალი მათ დამონებასა და მოსპობას ხმარდება, მათი პატრონებისათვის კი უდიდესი მოგება მოაქვს. როცა მსოფლიოს ჩაგრული მშრომელთა მასები კოლონიალიზმის მტაცებლური პოლიტიკის არსს გაიაზრებენ და მასში ღრმად გაერკვევიან, მაშინ

ბურჟუაზიაც დაემხოა“ [19, 675]. ძალიან ნაცნობი პათოსია. მით უმეტეს, ძნელად წარმოსადგენია, რომ მის ავტორს, ოტომანთა იმპერიის ყოფილ გენერალს, თვითონ სჯეროდა იმ სიტყვებისა, რასაც „პროლეტარიატის დიდ ბელადს“ სწერდა. როგორც იტყვიან, დიდ პოლიტიკაში ყველაფერია დასაშვები.

მისი ერთ-ერთი თანამებრძოლი, იუსუფ ქემალი კი, მუსტაფა ქემალს ნამდვილ პროლეტარად და პროლეტარულ ექსპროპრიატორად წამოგვიდგენს. თურქეთში რსფსრ-ს დიპლომატიურ წამომადგენელთან, იან უპმალთან საუბარში იუსუფ ქემალი ასე ახასიათებდა მუსტაფა ქემალის პერსონას: „თვითონ იგი (მუსტაფა ქემალი — ა. ჩ.) — დაჯერებული კომუნისტია და თვლის, რომ თურქეთისა და აღმოსავლეთის ერთადერთი ხსნა კომუნისტურ საწყისებზე გადანყობაა. მას არ გააჩნია კაპიტალი, არა აქვს საკუთარი სახლი და სურს, რომ ყველას მოუწყოს ცხოვრება. და რადგან არავითარი საკუთრება არა აქვს, ამის გაკეთება მხოლოდ მდიდრებისათვის მათი ქონების წართმევით შეუძლია. მას სურდა, რომ რევოლუცია ქვემოდან მოეხდინა, მაგრამ ამის გაკეთებას შეუძლებლად თვლის და მოუწევს რომ ხალხი კომუნიზმისაკენ წაიყვანოს...“ [20, 3].

თავად უპმალის მიერ მუსტაფა ქემალთან შეხვედრებისა და საუბრების შემდეგ, მის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის, გიორგი ჩიჩერინისადმი წარდგენილ სამსახურებრივ მოხსენებაში ვკითხულობთ: „აღმოსავლური ერთგვარი გარდამავალი მონარქიული სატრაპობისა და ბურჟუაზიული დემოკრატიის ფონზე, მუსტაფა ქემალი ერთობ ორიგინალური ფიგურაა. იგი სრულად წარმოადგენს თურქულ სახელმწიფოებრივ წყობილებას მისთვის დამახასიათებელი ყველა მანკიერებებით. მუსტაფა ქემალის პიროვნება უპირობოდ გამოჩენილია თურქეთში, თავისი ჭკუით, ენერგიით, ნებისყოფითა და იმ დარწმუნების ნიჭით, რომლის გულწრფელობაში მისდამი უნდობლად განწყობილებსაც უჭირთ წინ აღდგომა. მის მთავარ მამოძრავებელ იმპულსს მისი პატივმოყვარეობა წარმოადგენს. დასახული მიზნის მისაღწევად საქმეში ყველა საშუალებების ჩართვით, იგი თავისი მიზნისაკენ ისე მიემართება, რომ არაფერს არ უწევს ანგარიშს. თავისი პოლიტიკის წარმოებაში ის სრულიად უპრინციპო პიროვნებას წარმოადგენს ადგილობრივი საზოგადოებრივი მიმდინარეობებისა და დაჯგუფებების მიმართ. ჩვენთან საუბრის დროს მან ამაყად აღნიშნა, რომ

თავისი ნდობით აღჭურვილი პირების მეშვეობით ხელმძღვანელობს სრულიად განსხვავებული ფენების ორგანიზაციების მუშაობას. და როცა შევეკითხეთ თუ რა დამოკიდებულებაშია იგი მეჯლისში წარმოდგენილ ერთობ გავლენიან „მწვანე არმიასზე“, რომელიც უკიდურესად რადიკალურ მიმდინარეობას წარმოადგენს, მან სიცილი დაიწყო. „თავის დროზე, — განაცხადა მან, — მე ამ ფრაქციას ვუჭერდი მხარს, როგორც უკიდურეს მემარჯვენეთა ფრთის ბალანსს, მაგრამ როცა ისინი დამოუკიდებელი თამაშები წამოწყებას შეეცადნენ, მე სასწრაფოდ დავშალე მათი ორგანიზაცია!“ [21, 157] ყველაზე მოულოდნელი და საინტერესო კი, ალბათ მუსტაფა ქემალის რელიგიური შეხედულებებია, მისი რელიგიური მრწამსი. განსხვავება მუსტაფა ქემალსა და მის წინამორბედ რეფორმატორებს შორის იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არა მარტო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული, არამედ ძირფესვიანი პოლიტიკური ცვლილებების მომხრე იყო. მას უნდოდა ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლა, ხალხის გამოფხიზლება და ნაციონალური სუვერენიტეტის იდეით მათი დაინტერესება, თუმცა მშვენივრად ესმოდა, რომ ამის განხორციელება მოკლე დროში შეუძლებელი იყო. მიზეზს ისლამი წარმოადგენდა, ისლამის როლი და ადგილი ოსმალთა იმპერიაში. მუსტაფა ქემალმა კარგად იცოდა, რომ რელიგიური ძალები დემოკრატიზაციის პროცესს მწვავე წინააღმდეგობას გაუწევდნენ. ისლამის ძლიერება არა პოლემიკაში, არამედ ზენოლაში, არა აზრის თავისუფლებაში, არამედ უპირობო მორჩილებაში გამოიხატებოდა. ამიტომ მუსტაფა ქემალი პოლიტიკური რეფორმის განხორციელების უპირველეს საფეხურად სწორედ რელიგიურ რეფორმას თვლიდა.

ზემოთ უკვე ვახსენეთ მის მიერ ჩატარებული რელიგიური „რეფორმები“, მაგრამ თავად მისი რელიგიური კრედო მართლაც აღნიშვნის ღირსია. აქ კი საკითხი ძალიან ნათლად და ცალსახადაა წარმოდგენილი — მუსტაფა ქემალი, ისევე როგორც ვლადიმერ ლენინი დაჯერებული ათეისტი და ღვთისმგმობელი იყო. მუსტაფა ქემალი: „მე არა ვარ რელიგიური და იმაზე ვოცნებობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველა რელიგია ზღვის სიღრმეებში ვიხილო დაფლული“ [22, 267].

რელიგია ზოგადად, და კერძოდ ისლამი, მუსტაფა ქემალისათვის საზოგადოების განვითარების მუხრუჭად იყო მიჩნეული, სახელმწიფოს მართვისათვის კი — ხელისშემშლელ ფაქტორად.

ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მუსტაფა ქემალის ეს ხედვა: „გასული ხუთი ასეული წლის განმავლობაში არაბი შეიხების მიმდევარი ზარმაცი და არაფრის მაქნისი ქურუმების ეს რელიგიური წესები და თეორიები საზღვრავდნენ სამოქალაქო და კრიმინალურ კანონებს თურქეთში. ისინი ადგენდნენ სახელმწიფო მმართველობის ფორმას, თითოეული თურქის ცხოვრების ყველა დეტალს — მათ ჩაცმულობას, საკვებს, დაძინებისა და გაღვიძების დროს, თურქი ქალების რუტინული ცხოვრების წესს, რომელთა ერთადერთი დანიშნულებაც მხოლოდ შვილების გაჩენა იყო, მათი სკოლებში სწავლებისა და სწავლის, აგრეთვე თითოეულისათვის ყველაზე პირადულს — აზროვნების წესს.

ისლამი — ამორალური არაბების თეოლოგია — მკვდარი რამ არის. შესაძლებელია, ის უდაბნოში მოხეტიალე ტომების ცხოვრების წესს შეესაბამებოდეს, მაგრამ იგი აბსოლუტურად მიუღებელია ახალი, პროგრესული სახელმწიფოსათვის...

ღვთიური ხილვა?!... ღმერთი არ არსებობს!... რელიგია ის ბორკილია, რომლითაც სასულიერო პირებსა და ცუდ მმართველებს ჰყავთ ხალხი შებოჭილი. მმართველი, რომელსაც რელიგია სჭირდება — სუსტი მმართველია. ძლიერებს კი, კანონები სჭირდებათ“ [23, 199-200]. აქ შეკამათება და კომენტარის გაკეთება საკმაოდ რთულია. ერთი კია — ამ ამონარიდის წაკითხვისას არაფრით არ შეიძლება მარქსიზმის ერთ-ერთი მამის შთაგონებული სახე არ წარმოუდგეს ავტომატურად მკითხველს — „რელიგია ხალხის ბანგია“ -ო, რომ ამბობდა.

ლენინის რელიგიასთან დამოკიდებულება და მისი ათეისტობა კი კარგადაა ცნობილი. ჯერ კიდევ დაწყებული 1905 წლიდან, მან თავის ნაშრომებში დაუწოდებელი ბრძოლა გამოუცხადა „რელიგიურ ბურჟუსს“ და XX საუკუნის ალბათ ყველაზე უფრო დიდ ღვთისმგმობელად და ათეისტად წარმოუდგა სამყაროს. ენგელსის ზემოთ მოყვანილი რეპლიკა კი უცოდველი ბავშვის ტიტინად მოგვეჩვენება ლენინის ამ ათეისტურ ციტატასთან შედარებით: „Всякая религиозная идея о всяком боженьке, всякое кокетничанье с боженькой есть невыразимейшая мерзость, ...самая опасная мерзость, самая гнусная зараза“ [24, 31]. უმჯობესად ჩავთვალეთ მოყვანილი ციტატა არ გვეთარგმნა, რამეთუ ქართულად ნათარგმნი ტექსტი ზუსტად ვერ გადმოსცემდა მასში გატარებულ შინაარსს, „აზრობრივად დატვირთულ“ სიტყვათა ისეთი კომბინაციითაა იგი გადმო-



ცემული. უღმერთობისა და ღვთისმგმობელობის აპოთეოზია. ციტატის შინაარსთან დაკავშირებით კი ალბათ კომენტარის გაკეთებაც უხერხულია — აქ ისედაც ყველაფერი ნათელია.

ციტატაში გამოყენებული და ლენინისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებულად მძაფრი და დახუნძლული ბილნი ლექსიკონი კი, ალბათ საყოველთაოდაა ცნობილი. ხოლო მათთვის, ვისთვისაც ნაკლებადაა ცნობილი ლენინის პერსონის ეს შტრიხი და მისი ბილნიტყვაობა, კიდევ რამდენიმე „მრგალიტს“ მოვიტანთ მისი შეუზღუდავი ლექსიკიდან, რომელიც ნათლად აჩვენებს „პროლეტარიატის დიდი ბელადის“ შინაგან „კულტურას“ — „говно“ , „гад“ , „горлопан“ , „гнилое яйцо“ , „грязный натурашка“ , „зад“ , „лошадиный барышник“ , „мерзавец“ , „мещанская сволочь“ , „шарлатан“ , „моськи“ , „навозные кучи“ , „олух“ , „пакостник“ , „паскуда“ , „помойная яма“ , „поганое стойло“ , „проститутки“ , „самодур“ , „свинья“ , „сволочь“ , „тупоум“ , „ученые дураки“ , „шалопай“ , „шуты гороховые“ და ა.შ. და ა.შ. და ა.შ.

ლენინის რელიგიასთან დამოკიდებულების საკითხის განხილვას გავაგრძელებთ და აღვნიშნავთ, რომ ბოლშევიკური ხელისუფლება და პირადად ლენინი არც ერთი დღით არ წყვეტდნენ ეკლესიაზე შეტევებს. რელიგიასთან ბრძოლის სულ ახალი და ახალი მეთოდები მუშავდებოდა. ასე მაგალითად, 1922 წლის 2 ოქტომბერს, ავადმყოფობის პირველი შეტევის შემდეგ, ნახევრად პარალიზებული ლენინი გორკებიდან მოსკოვში ბრუნდება და მუშაობას აგრძელებს. უკვე 13 ოქტომბერს კი, ცეკას საორგანიზაციო ბიურო იღებს გადაწყვეტილებას „ანტირელიგიური პროპაგანდისათვის კომისიის შექმნის“ შესახებ. გასაგებია თუ რა მეთოდებითა და საშუალებებით იქნებოდა ეს პროპაგანდისტული მუშაობა წარმართული თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნა ГПУ-ს — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებული მთავარი პოლიტიკური სამმართველოს „ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები“ .

ამ მუშაობას ლენინის ერთგული თანამებრძოლი, საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკის მთავარი იდეოლოგი, „მებრძოლ უღმერთოთა კავშირის“ თავმჯდომარე, ემელიან მიხაილოვიჩ იაროსლავსკი (ნამდვილი გვარ-სახელი — მინეი ისრაელოვიჩ გუბელმან) ჩაუდგა სათავეში. აი მისი ერთ-ერთი პროპაგანდისტული მონოდება: „დროა, რომ გავფანტოთ ის ბურუსი, რომელიც ბურჟუაზიამ და-

უმევა ჩვენზე... და შემდეგ — Долой эту сволочь, эту религию“ [25, 1]. სწორედ იაროსლავსკის ინიციატივით იქნა დაარსებული ჟურნალი „ულმერთო“, რომელიც ქართული რედაქციითაც გამოდიოდა 20-იანი წლების საბჭოთა საქართველოში. და ალბათ ისიც გასაგებია, თურა ტიპის სტატიები და პუბლიკაციები იბეჭდებოდა მასში. მაგალითისათვის მხოლოდ ორ ლოზუნგს მოვიტანთ ამ ჟურნალიდან:

„ღვთისმსახურება — მკვლევლობის ინსტრუმენტი!“ [26, 7]

„ღვთისმშობელი — ავაზაკების მფარველი!“ [27, 21]

სულთნის სამშობლოდან გაძევებისა და სულთნის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ კი, 1922 წლის ბოლოს, ხალიფად სულთნის ბიძაშვილი, აბდულ მეჯიდ II იქნა არჩეული. მუსტაფა ქემალმა ხალიფას საზეიმო არჩევის ცერემონიალში დემონსტრაციულად არ მიიღო მონაწილეობა. ხოლო როდესაც მეჯლისმა ამ საკითხის განხილვა დაიწყო, მუსტაფა ქემალმა მოკლედ შეაწყვეტინა პარლამენტარებს დებატები: „ხალიფას არც რაიმე ძალა გააჩნია და არც რაიმე თანამდებობა. იგი მხოლოდ ნომინალურ ფიგურას წარმოადგენს“. ხოლო როდესაც აბდულ მეჯიდმა პეტიცია გაუგზავნა მას ხელფასის გაზრდის თაობაზე, მუსტაფა ქემალმა ასეთი სასუხი გასცა: „სახალიფო და შენი გარემოცვა სხვა არაფერია, თუ არა ისტორიული გადმონაშთი. მის არსებობას გამართლება არა აქვს. თქვენი მხრიდან კი დიდი სითავხედვა, რომ ჩემს სამდივნოს ასეთ წერილებს წერთ“ [23, 201]. მალე კი, მუსტაფა ქემალმა არათუ ხელფასი არ გაუზარდა ხალიფას, არამედ საერთოდ გააუქმა სახალიფო. იმ ღამეს, როცა სახალიფოს გაუქმება გამოაცხადეს, ხალიფა აბდულმეჯიდთან დოღმაბაჰჩეს სასახლეში პოლიციის უფროსი და რამდენიმე ჩინოვნიკი მივიდა, რომლებმაც ხალიფას აცნობეს, რომ დილის 5 საათამდე თურქეთის ტერიტორია უნდა დაეტოვებინა. პირადი ნივთების ჩასალაგებლად რამდენიმე საათი მისცეს და საღამოს მატარებლით შვეიცარიაში გაამგზავრეს [12, 242].

კიდევ უფრო დაჯერებული ათეისტი და რელიგიასთან შეურიგებელი იყო „პროლეტარიატის დიდი ბელადი“ — ლენინი. იგი ყველა საშუალებას ხმარობდა იმისათვის, რომ რელიგიასთან ებრძოლა. სტატიაში „ოქტომბრის რევოლუციის ოთხი წლისთავი“ იგი წერდა: „ჩვენ რელიგიასთან ვბრძოლობდით და ამ ბრძოლას ისევ გავაგრძელებთ“ [28, 146] ხოლო 20-იანი წლების დასაწყისიდან პარტიულ დოკუმენტებში კიდევ უფრო ამაზრზენი ლოზუნგი

ჩნდება: „მღვდლების თავები ის კუნძია, რომელზეც პარტია თავის კომუნისტურ სოლს ლესავს“ ...

და მხოლოდ ათეისტური დეკლარაციებით არ გამოიხატებოდა ვლადიმერ ლენინის დამოკიდებულება ზოგადად ეკლესიასთან, და კერძოდ, მართლმადიდებლობასთან მიმართებაში. ეს დამოკიდებულება იყო შეურიგებელი ტერორის გამოცხადება ეკლესიასთან — დაუნდობელი, სისხლიანი, მასობრივი ტერორისა. ეს ტერორი ფაქტობრივად ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების მეორე დღიდანავე, 1917 წლის 26 ოქტომბრიდან დაიწყო, როცა ლენინის მიერ გაიცა მითითება „ჩატარდეს დაუნდობელი მასობრივი ტერორი... მღვდლების წინააღმდეგ“ [25, 143]. ამ განცხადებას კი საეკლესიო მინებისა და საეკლესიო ქონების ჩამორთმევის ხანგრძლივი კამპანია მოჰყვა შედეგად. და ეკლესიის ქონება, 1918-1922 წლების პერიოდში, საბჭოთა რუსეთის დაცლილი და გალატაკებული ხაზინის შევსების მთავარ წყაროდ იქცა. იუსტიციის სახალხო კომისარიატის VIII განყოფილების მიერ, სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობისადმი 1920 წელს წარდგენილ ანგარიშში ვკითხულობთ: „ეკლესიებიდან ამოღებული კაპიტალის საერთო რაოდენობამ, უკრაინის, კავკასიის და ციმბირის გამოკლებით, მიახლოებითი გათვლებით შეადგინა 7150000000 რუბლი“ .[28, 35] ხოლო 1922 წლის მაისისათვის საეკლესიო ქონების ამოღების ოპერაციამ საბჭოთა ხელისუფლებას მართლაც ასტრონომიული თანხები მოუტანა — 8 ტრილიონი რუბლი! უფრო გასაგები რომ გახდეს თუ რა თანხებზეა აქ საუბარი და კონკრეტულად რა თანხას წარმოადგენდა იმ პერიოდისათვის 8 ტრილიონი რუბლი, შედარებისათვის ვიტყვი, რომ 1922 წლის საფინანსო წლისათვის რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტი 76449669882 რუბლს შეადგენდა[29, 35], ე.ი. დაახლოებით 76,5 მილიარდნახევარ რუბლს [30]. ახლა კი ყველაფერი ნათელია — „მშრომელთა დიდი ბელადი“ არა მარტო უღმერთო და ღვთისმგმობელი, არამედ სასულიერო პირთა ჯალათი და ეკლესიის ქონების უმოწყალო მძარცველი იყო.

ლაიცისტი თურქი რევოლუციონერები რელიგიურ კონსერვატიზმს საუკუნეების განმავლობაში ებრძოდნენ, მუსტაფა ქემალმა კი ეს ბრძოლა დააჩქარა. იგი პირველი ლიდერი გახდა ოსმალთა იმპერიასა და სახალიფოში, რომელმაც ქვეყანაში ფესვგადგმულ რეაქციულ ძალებს აშკარა ბრძოლა გამოუცხადა და გამარ-

ჯგვებასაც მიაღწია, თუმცა ისლამურ ფანატიზმთან შერკინება კიდევ არაერთხელ მოუხდა [12, 243].

ლენინის მსგავსად მუსტაფა ქემალიც შეუწყნარებელი იყო განსხვავებული აზრის მიმართ, ისიც დაუნდობლად იშორებდა თავიდან თავის პოლიტიკურ თუ იდეოლოგიურ ოპონენტებსა და მონინაალმდეგებს. ამ საქმეში მუსტაფა ქემალს თავისი საიდუმლო პოლიცია და სასამართლო, ე.წ. „დამოუკიდებლობის ტრიბუნალები“ ჰყავდა ჩართული, რომელიც დაახლოებით იგივე მეთოდებით მუშაობდა, როგორც საყოველთაოდ ცნობილი ლენინისეული „სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია“ — „ВЧК“ .

1918 წლის 5 სექტემბერს სახალხო კომისართა საბჭო სპეციალური სხდომა იქნა მოწვეული. სხდომის ორგანიზატორების, სვერდლოვისა და ძერჟინსკის მიერ შემოტანილ იქნა საკითხი ქვეყანაში მასობრივი ტერორის დაწყების შესახებ. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის — ВЧК-ს ხელმძღვანელის, ფელიქს ძერჟინსკის მოკლე მოხსენების შემდეგ, სახალხო კომისართა საბჭომ ასეთი დადგენილება მიიღო: „სახალხო კომისართა საბჭომ, მოისმინა რა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან და დანაშაულთან ბრძოლისა და ამ კომისიის მოღვაწეობის შესახებ, მიზანშეწონილად თვლის, რომ მოცემულ სიტუაციაში ზურგის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ტერორის გზით წარმოადგენს კომისიის პირდაპირ მოვალეობას. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მუშაობის გაძლიერება კონტრრევოლუციასთან, სპეკულაციასთან და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად, მისი გეგმიური მუშაობისათვის, აუცილებელია გაიგზავნოს იქ რაც შეიძლება დიდი რაოდენობა პასუხისმგებელი პარტიული მუშაკებისა, რათა დაცული იქნას საბჭოთა რესპუბლიკა კლასობრივი მტრებისაგან, მათი საკონცენტრაციო ბანაკებში იზოლირების გზით;

დახვრეტებს ექვემდებარება ყველა ის პირი, რომელთაც შეხება აქვთ თეთრგვარდიულ ორგანიზაციებთან, შეთქმულებებთან და ამბოხთან. აუცილებელია გამოქვეყნდეს დახვრეტილთა სიები, აგრეთვე ამ გატარებული ზომების საფუძველი“ [31, 241-242] .

დადგენილებას ხელს აწერენ: იუსტიციის სახალხო კომისარი დ. ი. კურსკი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი გ. ი. პეტროვსკი და სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი.

აი, ასე. ასე დაიწყო საბჭოთა რუსეთში „სოციალისტური სამშობლოს“ მონინალმდეგეებისა და „კლასობრივი მტრების“ გეგმიური განადგურების — საკონცენტრაციო ბანაკების შექმნისა და დახვრეტების ხანგრძლივი პროცესი... ამ გზაზე ლენინის იდეების ყველაზე ერთგული გამგრძელებელი და მემკვიდრე მალე სტალინი გახდება, რომელიც თვისობრივად ახალს ვერაფერს ვერ შექმნის, ვერ შემატებს დიდი ლენინის გენიალურ მიგნებებს, მაგრამ ახალ მასშტაბებს კი ნამდვილად შესძენს „ხალხის მტრების“ წინაღმდეგ წარმოებულ „დიად ბრძოლას“. ბოლშევიკურ რუსეთშიც და შემდგომ, საბჭოთა კავშირშიც, ლენინის მიერ დანერგილი და მისი ერთგული მონაფეების მიერ მილიონობით ადამიანის წინააღმდეგ განხორციელებული მასობრივი რეპრესიები, მაშინაც და შემდგომშიც, საბჭოთა ხალხის მოთხოვნითა და ხალხის კეთილდღეობის სახელით ინიღბებოდა...

მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა...

საკუთარი ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში ლენინს არც მუსტაფა ქემალი ჩამორჩებოდა. სწორედ რუსული ВЧК-ს ანალოგიით მუსტაფა ქემალის მიერაც შეიქმნა თურქეთში პოლიტიკურ მონინალმდეგეთა სადამსჯელო აპარატი, ე.წ. „დამოუკიდებლობის ტრიბუნალები“. მოჰდ ელფი ჯუფერი თავის ნაშრომში — „მუსტაფა ქემალ ათა თურქი: ისლამის მტერი“, წერს: „საიდუმლო პოლიცია თავის საქმეს აკეთებდა. წამებით, გაროზგეებითა და ყველა არსებული საშუალებებით პოლიცია მოიპოვებდა მტკიცებულებებს და ოპოზიციის ლიდერები ყველანი დაპატიმრებულნი იქნენ. „დამოუკიდებლობის ტრიბუნალიც“ ამისათვის იყო შექმნილი. ყოველგვარი მტკიცებულებების არსებობის გარეშე სასამართლოს მათთვის სასიკვდილო განაჩენი გამოჰქონდა და სახრჩობელაზე აჰყავდა ისინი. სასიკვდილო განაჩენის აღსრულების ოქმები კი, მუსტაფა ქემალს ხელმოსაწერად მის სახლში, ჩანქაიში ეგზავნებოდა“ [32].

ლორდი კინროსის მიხედვით კი — „დამოუკიდებლობის ტრიბუნალების“ მიერ მიღებული გადაწყვეტილება სიკვდილით დასჯის შესახებ, მეჯლისის დასტურს არ საჭიროებდა. განაჩენი სისრულეში ადგილზე და დაუყოვნებლივ მოჰყავდათ... ბულგარეთის ელჩი სიმონ რანდევნი ანკარის ერთ-ერთ მთავარ მოედანზე ძველ, ნახევრადდანგრეულ ქარვასლაში ცხოვრობდა, რომელიც ჯერ კიდევ სასტუმროს მაგივრობას სწევდა. ერთ ღამეს იგი უცნა-

ურმა ხმაურმა გააღვიძა. ფანჯარაში რომ გაიხედა, მოედნის სამ მხარეს ჩამწკრივებული სახრჩობელები და ზედ ჩამოკონწიალებული ადამიანები დაინახა. დანარჩენები რიგში ჩაყენებინათ. ისინი საცოდავად მოთქვამდნენ და თავიანთი უდანაშაულობის დამტკიცებას ცდილობდნენ“ [12, 251].

შიდა ოპოზიციისა და პირადი მტრების წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე მუსტაფა ქემალმა თავისი უახლოესი თანამებრძოლებიც კი არ დაინდო. ძალიან მალე მან ყველა ისინი ჩამოიშორა, ვინც კი ბოლომდე არ ეთანხმებოდა მის იდეებს და ოდნავ საფრთხეს წარმოადგენდა მისი შეუზღუდავი ძალაუფლებისათვის. სასამართლოს წინაშე წარდგნენ თვით გენერალი ქიაზიმ ყარაბექირი და გენერალი ალი ფუატ ჯებესოი — მუსტაფა ქემალის სიყრმის მეგობრები და წინააღმდეგობის მოძრაობის ერთგული თანამებრძოლები. სმირნაში ჩამოხრჩობილ იქნა ექსიტახადისტთა გარკვეული ნაწილი. ანკარაში კი თექვსმეტი მათგანი წარდგა სასამართლოს წინაშე. საერთო ჯამში, ქემალისტებმა 49 ექსიტახადისტი და ყოფილი თანამებრძოლი გაასამართლეს. სიკვდილით იქნენ დასჯილნი ფინანსთა ყოფილი მინისტრი ჯავიდ ბეი, განათლების ყოფილი მინისტრი ნაზიმ ბეი, მეჯლისის ყოფილი დეპუტატი ჰილმი ბეი, „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ყოფილი მდივანი ნაილ ბეი და სხვა. ისინი ბრალდებულად იქნენ მიჩნეულნი თურქეთის ომში ჩართვის, მუსტაფა ქემალზე თავდასხმის მოწყობისა და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში მონაწილეობის გამო...[33, 76]

ბევრ მსგავსებასთან ერთად, რა თქმა უნდა, განსხვავებებიც არსებობდა ვლადიმერ ლენინისა და მუსტაფა ქემალის იდეოლოგიურ ხედვებში. თუ ვლადიმერ ლენინი „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციისა“ და „რევოლუციური მესიანიზმის“ იდეებით იყო შეპყრობილი და მის მიზანს „მსოფლიო სოციალისტური სახელმწიფოს“ შექმნა წარმოადგენდა, მუსტაფა ქემალის ცხოვრებისა და ბრძოლის მიზანი თურქი ხალხისა და თურქული ეროვნული სახელმწიფოებრიობის გადარჩენა იყო — არა იმპერიის, არა სასულთნოსა და სახალიფოს ფორმით, არამედ ანატოლიის ტერიტორიაზე მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის კონსოლიდაციისა და კომპაქტური ეროვნული სახელმწიფოს შექმნის გზით.

ძალიან საინტერესოა რსფსრ-ს სრულუფლებიანი წარმომადგენლობის პირველი მდივნის, მ. მამედოვის მიერ წარმოდგენილი მუსტაფა ქემალის შემდეგი დახასიათება — „ქემალი — ცენ-

ტრალური ფიგურაა, რომლისგანაც გამოდის ყველა ძაფი, მის ხელშია ყველა სადავე. ესაა ადამიანი, რომლის სახელსაც ბევრი ანატოლიელი წყევლა-კრულვით იხსენიებს, ბევრი კი მის წინაშე მონურ მორჩილებას იჩენს. ქემალი, იმ როლის გამო, რომელსაც იგი თამაშობს ანატოლიის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ცხადია, არ შეიძლება განეკუთვნებოდეს არც რეაქციულ და არც აღმოსავლური პოლიტიკის ჯგუფს, იმდენად, რამდენადაც ამ ჯგუფების გარკვეული ნაწილი თავად მისი და მისი აგენტების მიერაა შექმნილი. ისინი მას თავისი პოლიტიკის საპირწონედ სჭირდება. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ მანამ, სანამ ქემალი ნაციონალური მოძრაობის სათავეში დგას, სულთანთან არავითარ მოლაპარაკებებზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება იყოს“ .

მამედოვი ქემალის ძალას იმ ორგანიზებული და დისციპლინირებული არმიის ძლიერებაში ხედავდა, რომელიც უმოკლეს ხანში შეიქმნა იზმეთ ფაშას (აქ გენერალ იზმეთ იუნონუხეა საუბარი — ა. ჩ.) მიერ. იგი წერდა: „მანამ, სანამ ეს არმია არსებობს, მას, ქემალს მშვიდად შეუძლია იყოს და ნახევრადფეოდალური თურქეთის მბრძანებლად ჩათვალოს თავი“ [34].

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი კი მუსტაფა ქემალის ასეთ დახასიათებას იძლევა: „ცოტა ხნის წინ მე მუსტაფა ქემალი ამინერეს და მას თურქეთის ლენინი უწოდეს, ოღონდ უფრო მაღალი პრაქტიციზმით გამოორჩეული. იგი ენვერსაც შეადარეს, რომელსაც დიდი ნიჭი აქვს ჯარები ენთუზიაზმით დამუხტოს, ოღონდ მუსტაფა მასზე გაცილებით უფრო ქკვიანია“ [18, 78].

მეტად საინტერესოა მუსტაფა ქემალის ის პოლიტიკური პორტრეტი, რომელიც ნესტორ ლაკობას მიერ იქნა წარდგენილი ე.წ. „აღმოსავლეთის ხალხების პროპაგანდისა და მოქმედების საბჭოს“ წინაშე, მისი თურქეთში ვიზიტის შემდეგ. თავად ეს ფაქტი — აფხაზი ბოლშევიკი ემისრების, ეფრემ ეშბასა და ნესტორ ლაკობას საიდუმლო ვიზიტები მუსტაფა ქემალთან, საბჭოთა ისტორიოგრაფიის მიერ ათწლეულების განმავლობაში საგულდაგულოდ იყო დამალული. უკვე მოგვიანებით, თავად ეფრემ ეშბა, ე.წ. „აფხაზეთის რევკომის“ თავმჯდომარის მოადგილე, აღნიშნავდა, რომ თურქეთში იმყოფებოდა ლენინის პირადი დავალებით „ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანის შესასრულებლად“ . ამ მივლინების შესახებ იგი უფრო კონკრეტულადაც წერდა: „მე განსაკუთრებული მი-

სიის სათავეში ვიმყოფებოდი ანატოლიის თურქეთში, ანგორაში, ქემალ ფაშასთან“. თუმცა მეტი არაფერი.

რუსი ავტორის, სვეტლანა ჩერვონნაიას მიხედვით კი — „1920 წლის შემოდგომა-ზამთარი მოსკოვის რკპ(ბ) კავკასიის ბიუროს მოქმედებების აქტივიზაციის პერიოდია. თურქეთში იწყება აფხაზი „ბოევიკებისა“ და პროპაგანდისტების (ე. ეშბა, ნ. ლაკობა, კ. ინალიფა) შეგზავნა იატაკქვეშა საქმიანობისათვის, კერძოდ, თურქეთის კომპარტიის მუშაობის არეალის გაფართოებისათვის, აფხაზურ დიასპორასთან კავშირების გამყარებისა და მათი მხრიდან საბჭოთა რუსეთისათვის პოლიტიკური მხარდაჭერისათვის“ .[35] ჩვენის მხრივ დავამატებდით, რომ ბოლშევიკ ემისართა ამ ჯგუფში შედიოდა აგრეთვე ცნობილი ბოლშევიკი, ელენა სტასოვა — პეტროგრადის 4K-ს პრეზიდიუმის წევრი და რკპ(ბ) პეტროგრადის კომიტეტის წევრი, 1920 წლის სექტემბრიდან კი — აღმოსავლეთის ხალხთა პროპაგანდისა და მოქმედების საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი და კავკასიის ბიუროს ცეკას წევრი.

სულ უკანასკნელ ხანს, 2012 წლის აგვისტოში მოსკოველმა პოლიტოლოგმა ვლადიმერ ნოვიკოვმა რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში (РГАСПИ) აღმოაჩინა ამ მივლინების ანგარიშები. მისი ინტერესი ოთხმა დოკუმენტმა მიიპყრო: ნესტორ ლაკობას 1921 წლის 8 მაისის ანგარიშმა აღმოსავლეთის ხალხების პოლიტიკური საბჭოსადმი თურქეთში არსებული მდგომარეობის შესახებ; ეფრემ ეშბას 1921 წლის 20 აპრილის მოხსენებამ იგივე საბჭოს თურქეთში პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ; 1921 წლის იანვრის ამხანაგ ეფრემ ეშბას საუბრების სტენოგრამებმა მუსტაფა ქემალის მთავრობის — „დიდი ეროვნული კრების“ საგარეო საქმეთა მინისტრთან, მუჰაჯირთა შთამომავალ, ეროვნებით ოს ბექირ სამი კუნდუხთან და მისივე საუბრის სტენოგრამა მუსტაფა ქემალთან. ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან ამ ნაშრომში პირველს წარმოვადგენთ:

„აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარის მოადგილის, ნ. ლაკობას მოხსენებითი ბარათიდან აღმოსავლეთის ხალხების პროპაგანდისა და მოქმედების საბჭოს. 1921 წლის 8 მაისი.

ჩვენი ჯგუფის გადაწყვეტილებით გავედი ტრაპიზონიდან და ჩავედი კონსტანტინოპოლში 1920 წლის 17 დეკემბერს. აქ მე 1 თვისა და 10 დღის განმავლობაში ვიმყოფებოდი. ამ ხნის განმავ-



ლობაში ჩავატარე მთელი ძველი თურქეთის კონტრდაზვერვა... ქემალ ფაშა და სულთანის მთავრობა:

სულთანი — საცოდავი, პიროვნებაწართმეული, ჩაჩანაკი არსებაა. იგი შეიძლება ტყვედ აიყვანო, როგორც სათამაშოს ისე შეგიძლია მოექცე, გამოიყენო მისი სახელი, ავტორიტეტი (მისი ავტორიტეტი, სამწუხაროდ მხოლოდ ყველაზე ბნელ, მდაბიურ ფენებში ვრცელდება იმპერიალისტური მძარცველობითი მოქმედებების გასამართლებლად). სულთანი შეიძლება გყავდეს როგორც ნივთი.

მაგრამ ამის თქმა არაფრით არ შეიძლება მუსტაფა ქემალ ფაშას შესახებ. ეს ადამიანი — მოხერხებული პოლიტიკური საქმოსანი. იდეურად — რეაქციონერთა შორის ყველაზე რეაქციონერი. მისი პანისლამისტური (Sic!) ფიგურა აშკარად გამოკვეთილია, რომ რაღაც წვრილმანებზე მიეყიდოს ვინმეს. ეს უკანასკნელი ჭკვიანია და კარგად ორიენტირებს საერთაშორისო პოლიტიკურ სიტუაციაში. თავის ორიენტაციებში ძალიან ლოგიკურია. თუ საჭიროა და ეს საშუალებას მისცემს თავისი მიზნების მიღწევაში, ის ანტანტასთან დაიწყებს თამაშს საბჭოთა რუსეთის „შესაშინებლად“ და თუ სანინალმდევთა საჭირო, ამ შემთხვევაშიც ყოველთვის მოძებნის საძრომს. საბჭოთა რუსეთს და ბურჟუაზიულ ევროპას ის განიხილავს როგორც ორ შეურიგებელ მტერს, რომელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიმდინარეობს. ეს ქემალმა კარგად იცის. მაგრამ ის ვერც ერთ დაპირისპირებულ ბანაკს ვერ იტანს. ერთის ან მეორის, ან ორივეს ერთად სიკვდილი, მისთვის სულ ერთია: მისი პოლიტიკაც აქედან გამომდინარეობს და ძალიან მარტივია: ერთი გასროლით ორი კურდღელის მოკვლა. ამაში მდგომარეობს ქემალისა და მისი თანამოაზრეების მთელი იდიოტიზმი (Sic!). სულთანი მისთვის ისეთივე სათამაშოს წარმოადგენს, როგორც ინგლისი. მისი რომელიმე შეთანხმება ანტანტასთან იმას ნიშნავს, რომ იგი ისეთივე პაიკი გახდება ამ უკანასკნელისათვის, როგორც სულთანია მოცემულ მომენტში“ [36, 141-142].

ლაკობას ეს მოხსენებითი ბარათი 1921 წლის 8 მაისითაა დათარიღებული, მაგრამ მასში 1920 წლის დეკემბერი — 1921 წლის იანვრის მდგომარეობაა აღწერილი. ამ მომენტისათვის ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობები უკვე დამამთავრებელ ფაზაშია შესული. მოსკოვსა და ანკორას შორის იწყება ორმხრივი შეხვედრის ორგანიზებისა და სამთავრობო ხელშეკრულების გაფორმებისათვის მზადება. ავტორის მიერ ძირითადად სწორადაა დახა-

ტული მუსტაფა ქემალის პოლიტიკური სურათი და მას ვეთანხმებით, მაგრამ არის მთელი რიგი უზუსტობები.

პირველ რიგში, მუსტაფა ქემალი არანაირად არ იყო ისლამისტი და მით უმეტეს, პანისლამისტი. პირიქით, იგი ღვთისმგმობელი ათეისტი იყო, რაზეც უკვე ვისაუბრეთ ნაშრომის შესაბამის ნაწილში, ამავე დროს, იგი იდეოლოგიურად დაჯერებული ნაციონალისტი და თავისი ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი იყო. „ქემალისა და მისი თანამოაზრეების მთელ იდიოტიზმს“ რაც შეეხება, აქ კიდევ უფრო მძიმედ ცდება ამხანაგი ნესტორი. დიახ, მუსტაფა ქემალმა ამ დიდ პოლიტიკურ თამაშებში ნამდვილად ორი კურდღელი მოკლა ერთი გასროლით და ეს მისი „იდიოტიზმის“ კი არა, მისი გენიალობის შედეგი იყო. და ეს არ იყო გამარჯვება მხოლოდ ერთ მონინალმდეგესთან — ბოლშევიკებთან. ეს იყო მრავალშრიანი გამარჯვება მთელს იმდროინდელ მსოფლიოზე, რომელიც მუსტაფა ქემალმა და მისმა თანამებრძოლებმა მოიპოვეს — ბოლშევიკებთან, ანტანტასთან, სულთანთან, მის „დიდებულ პორტასთან“ და შიდა ოპოზიციასთან, აგრეთვე, ჩვენდა სამწუხაროდ — ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან მიმართებაში.

თურქული სახელმწიფოს გადარჩენის გზაზე მუსტაფა ქემალი მოხერხებულად ლავირებდა იმდროინდელი მსოფლიოს დახლართულ იდეოლოგიურ თუ პოლიტიკურ ლაბირინთებში... და მისი ეს ინსინუაციები ალესილი დანის პირზე სიარულს ჰგავდა, რაც მან წარმატებულად განვლო. ბოლშევიკებთან ურთიერთობებში იგი რევოლუციონერად, ანტანტასთან და „მსოფლიო იმპერიალიზმთან“ მებრძოლ ძალად წარმოაჩენდა თავს, ანტანტასთან მიმართებაში — სულთანთან დაპირისპირებულ და დასავლეთზე ორიენტირებულ პროგრესისტად, იტიხადისტებთან და შიდა ოპოზიციასთან მიმართებაში — სულთნისა და „დიდებული პორტას“ ერთგულ დამცველად, ხოლო სახალიფოსთან მიმართებაში — ისლამისტად.

ეს ორი დიდი პერსონა — ვლადიმერ ლენინი და მუსტაფა ქემალი დიდმა პოლიტიკურმა ცნებამ, იმ ეპოქისათვის დამახასიათებელმა მეტად მოდურმა მოვლენამ — „რევოლუციამ“ დააკავშირა ერთმანეთთან. მათი „რევოლუციური მოქმედებების“ ტაქტიკასა და საგარეო პოლიტიკური კურსის მამოძრავებელ ძალას „მსოფლიო იმპერიალიზმთან“ ბრძოლა წარმოადგენდა. რეალურად კი, მოკლევადიანი დემოკრატიული პრელუდიის შემდეგ, ახლადშექმნილი საბჭოთა რუსეთი ბოლშევიკური ნეოკოლონიზაციის, ხოლო

ანატოლიის ნაციონალისტური მოძრაობა ახალი თურქული სახელმწიფოს იარაღის ძალით შექმნის სტრატეგიებს აწარმოებდნენ. ამ კონტექსტში მეტად საინტერესოა თვით ლენინის მიერ წარმოდგენილი მუსტაფა ქემალის „რევოლუციური პორტრეტი“, რომელიც მან 1921 წლის დეკემბერში, თურქეთში რსფსრ-ს ახლადდანიშნულ ელჩთან, სემიონ არალოვთან შეხვედრისას გამოთქვა: „რა თქმა უნდა, მუსტაფა ქემალ ფაშა არაა სოციალისტი, მაგრამ როგორც ჩანს, კარგი ორგანიზატორი და ნიჭიერი სარდალია. ის ბურჟუაზიულ რევოლუციას ჩაუდგა სათავეში. ქემალი — პროგრესული ადამიანი და სახელმწიფოს ჭკვიანი ხელმძღვანელია. მან გაიგო ჩვენი სოციალისტური რევოლუციის არსი და თვითონაც კეთილგანწყობითაა გამსჭვალული სოციალისტური რუსეთის მიმართ... საჭიროა მას დავეხმაროთ, უფრო ზუსტად, დავეხმაროთ თურქ ხალხს“ [19, 234]. და დაეხმარა... თუმცა ეს რბილადაა ნათქვამი. არა თუ დაეხმარა, არამედ გადაარჩინა, მკვდრეთით აღადგინა თურქული სახელმწიფოებრიობა და თურქი ხალხი...

თავად მუსტაფა ქემალი კი შემდეგ, უკვე მოგვიანებით, საკუთარი მართვის სტილსა და მისთვის დამახასიათებელ დიქტატორულ გადახრებს შემდეგნაირად ახასიათებდა: „მე ეგვიპტელი ფარაონების მსგავსად პირამიდები არ ამიშენებია, ხალხი იძულებით არ მიმუშავებია, ჩემი აზრის მისაღებად მათ მათრახით არ დავმუქრებოვარ. ჯერ კონგრესს ვინვევდი და ჩემს გეგმებს ხალხს ასე ვაცნობდი. განხორციელებას კი მხოლოდ ხალხის თანხმობის შემდეგ ვინწყებდი. არზრუმისა და სივასის კონგრესები და დიდი ეროვნული კრების მოწვევა ამის საუკეთესო მაგალითებია“ .[12, 268]

და ბოლოს, არც ერთ მათგანს არ ჰყავდა ოჯახი და საკუთარი შვილები, მათ სისხლისმიერი მემკვიდრეები არ დაუტოვებიათ, მაგრამ ვლადიმერ ლენინიც და მუსტაფა ქემალიც პირველები იყვნენ XX საუკუნის მოკვდავთა შორის, ვინც ჰადესში წასვლის შემდეგ, თავიანთ ქვეყნებსა და ხალხებს ერთნაირი ნივთიერი მემორიალები დაუტოვეს — გრანდიოზული მავზოლეუმები. ერთმაც და მეორემაც წარმართული ღმერთების პანთეონში დაიმკვიდრა საუკუნო ადგილი, სადაც მათი მნახველებისა და მომლოცველების გრძელი რიგები დღესაც არ წყდება. მათი იდეოლოგიები, ლენინიზმი და ქემალიზმი, მათივე შექმნილი სახელმწიფოების, საბჭოთა კავშირისა და რესპუბლიკური თურქეთის იდეოლოგიებად იქცნენ, ხოლო თავად ისინი, საკუთარი ხალხების ცოცხალ ღმერთებად.

აკი დღესაც ცოცხლობს რუსეთში რუსული მესიანიზმის, ლენინიზმის უკვდავობისა და ველიკოდერჟავული შოვინიზმის იდეოლოგია. აკი დღესაც „წმინდა“ და საკულტო თავშეყრის ადგილს წარმოადგენს მავანთათვის წითელი მოედანი და იქ დავანებული ლენინის მავზოლეუმი. სწორედ ამაზე მეტყველებს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მიერ, 2005 წლის 25 აპრილს რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრებისადმი განკუთვნილი ეს ნოსტალგიური და მეტად შემაშფოთებელი ველიკოდერჟავული გზავნილი: „Прежде всего, следует признать, что крушение Советского Союза было крупнейшей геополитической катастрофой века...“ [37] ანალოგიური აზრი გამოთქვა 2008 წელს .მეორე მგზნებარე ლენინელმა, ბელორუსიის პრეზიდენტმა ალექსანდრ ლუკაშენკომაც: „Развал Советского Союза был величайшей геополитической катастрофой двадцатого века...“ [38].

„მე ეგვიპტელი ფარაონების მსგავსად პირამიდები არ მიშენებია“ -ო — სიცოცხლეშივე ამბობდა მუსტაფა ქემალი და მიუხედავად ამისა, იგი სიცოცხლეშივე იქცა თურქი ხალხისა და ახალი თურქული სახელმწიფოს სიმბოლოდ და სინონიმად — თურქეთი ეს მე ვარ! ჩემი განადგურება თურქეთის განადგურებას ნიშნავს! [23, 227] — აკი ხშირად ამბობდა იგი. არადა, სიცოცხლეშივე იქცა იგი ჯერ „თურქთა მამად“ — ათათურქად (Atatürk), ამ ქვეყნიდან წასვლის შემდეგ კი — უკვე ღმერთად. თუმცა ბევრისათვის, მუსტაფა ქემალი სიცოცხლეშიც უკვე ღმერთი იყო, ნამდვილი ღმერთი. ანატოლიაში დისლოცირებული ნაწილების ერთ-ერთი ინსპექტირებისას, უკვე „ყაზის“ ტიტულით შემკული და მარშლის ოქროსსამხრებიანი მუსტაფა ქემალი, ჯარების სამწყობრო დათვალიერების დროს მწყობრში მდგომ ერთ-ერთ ჯარისკაცს შეეკითხა:

— ვინაა ღმერთი და სად ცხოვრობს იგი? ამ კითხვით დაბნეულმა და აღელვებულმა ჯარისკაცმა უპასუხა:

— ღმერთი მუსტაფა ქემალ ფაშაა და იგი ანგორაში ცხოვრობს (Sic!).

— და სადაა ანგორა? კითხვა დაუბრუნა ქემალმა.

— ანგორა ისტანბულშია, იყო პასუხი (Sic!).

მწყობრის წინ ჩავლისას კიდევ ერთი შეკითხვა დასვა მუსტაფა ქემალმა:

— ვინაა მუსტაფა ქემალი?

— ჩვენი სულთანი, იყო პასუხი... (Sic!) [32, 365].

დღეს, XXI საუკუნის 10-იან წლებში, არც რუსეთში და არც თურქეთში თითქოს აღარაფერი აღარ გვახსენებს ამ მოვლენებს — თითქმის საუკუნის წინ დაწყებულ ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების ამ ისტორიას. არადა, ისტორიული ჭეშმარიტება და უცილო ფაქტია ის, რომ დღევანდელი თურქული სახელმწიფოს არსებობაში ლომის წილი სწორედ ბოლშევიკურ რუსეთსა და მის შემქმნელებს, ლენინსა და სტალინს მიუძღვით. თუმცა არა, ვცდებით... დღესაც არსებობს თურქეთში ამ ურთიერთობების დამადასტურებელი ერთი წარუშლელი კვალი. ეს კვალი ქვაში ნაკვეთი ძეგლია, „უკვდავი“ მონუმენტური ქანდაკება. თურქეთის დედაქალაქში, დღევანდელ სტამბოლში, ერთ-ერთ ცენტრალურ, ტაქსიმის მოედანზე ახლაც დგას თურქეთის რესპუბლიკის შექმნისათვის მიძღვნილი ეპიკური ჟანრის სკულპტურული ჯგუფი, რომელსაც ასევე ჰქვია — „რესპუბლიკა“. ამ ძეგლის ავტორი იტალიელი მოქანდაკე პიეტრო კანონიკია, მისი შექმნის თარიღი კი — 1928 წელია. ეს სკულპტურული ჯგუფი „თურქთა მამას“ — მარშალ ყაზი მუსტაფა ქემალ ათათურქსა და მის თანამებრძოლებს გამოსახავს, რომლებმაც თურქეთის რესპუბლიკა ააშენეს | მსოფლიო ომის შედეგად დანგრეული ოსმალთა იმპერიის ნამსხვრევებზე. სკულპტურული ჯგუფის ცენტრალური ფიგურა, რა თქმა უნდა, ათათურქია, მის მარჯვნივ გენერალი იზმეთ იუნონუ და მარშალი ფევზი ჩაქმაქი დგანან, მარცხნივ კი — სამხედრო კიტელში გამოწყობილი, გულზე ხელდაკრეფილი და წელზე მაუზერშემორტყმული ცნობილი საბჭოთა მხედართმთავარი — ლეგენდარული მიხეილ ფრუნზე. ფრუნზეს უკან მისი პოლიტიკური და სამხედრო „მემკვიდრე“, ასევე ლეგენდარული საბჭოთა მარშალი კლიმენტი ვოროშილოვი დგას შთაგონებული სახით. ცალი ხელით ხმალზე დაყრდნობილი, იგი შორეთს გასცქერის... მართალია ვოროშილოვი გარეგნობით მაინცდამაინც არ ჰგავს საკუთარ თავს, მაგრამ ეს არაფერი, ეს ხომ მხოლოდ დეტალი და წვრილმანია „მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციასთან“ შედარებით...

მიუხედავად „მსოფლიო იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლისა, პროლეტარული ფიციტ შეკრული არც მაშინდელი ქემალისტური თურქეთი და არც მაშინდელი ბოლშევიკური რუსეთი არ ჰგავდნენ ერთმანეთს სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული მონყობის ფორმებით... და მით უმეტეს, არც დღევანდელი რუსეთი და თურქეთი

აღარ ჰგვანან მაინცდამაინც იმ ქვეყნებს, რომლებმაც თავის დროზე „აღმოსავლეთის დამონებული ხალხების“ „მსოფლიო იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან“ განმანთავისუფლებლების დიადი მისია აიღეს საკუთარ თავზე...

და მიუხედავად ამ ერთიანი ბრძოლის წარმოებისა, არც ამ ბრძოლის სულისჩამდგმელები — არც ვლადიმერ ლენინი და არც მუსტაფა ქემალი არ ჰგავდნენ ერთმანეთს, ისინი განსხვავებული სამყაროების განსხვავებული ლიდერები იყვნენ. ყველაფერი კი დიდი პოლიტიკური თამაში იყო, რომელიც ძალიან მალე, თვალის დახამხამებაში დასრულდა. ამით მისმა უდიდებულესობა ისტორიამ მსოფლიო მატყანეს კიდევ ერთი დიდი ფურცელი გადაშალა...

მთავარი განსხვავება ვლადიმერ ლენინსა და მუსტაფა ქემალს შორის კი ალბათ ის იყო, რომ მათ სხვადასხვანაირად ესმოდათ ცნებები — „ერი“ , „სამშობლო“ , „მისია“ .

მუსტაფა ქემალი: „მე არ მჯერა არც რალაც პანისლამური კონფედერაციის და არც თურქული საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა. ჩემი მიზანი ბუნებრივ საზღვრებში არსებული თურქული ეროვნული სახელმწიფოს შექმნა და მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნებაა და არა ოტომანთა, ან რაიმე სხვა ტიპის იმპერიის აღდგენა... ჩამოვიშორეთ ეფემერული ოცნებები და ნუ დავდევთ წარსულის აჩრდილებს! ეს ჩვენ უკვე ძალიან ძვირი დაგვიჯდა“ [23, 227]. — აი, ეს კი, უკვე ნამდვილად „თურქთა მამის“ ნააზრევია. აქ, ზოგადად ქემალისტურ და ბოლშევიკურ იდეოლოგიათა შორის არსებულ განსხვავებებზეა აქცენტი გაკეთებული.

კომუნისტურ იდეოლოგიაზე შეკონინებული საბჭოთა იმპერია საზოგადოების ევოლუციური განვითარების ჩიხში შევიდა და ეს უზარმაზარი სახელმწიფო მონსტრი მრავალი შიდა თუ გარე წინააღმდეგობების გამო დაიშალა. XX საუკუნის მსოფლიოს ყველაზე დიდი იმპერია ამავე დროს ყველაზე უდღეურიც გამოდგა. თურქეთმა კი დიდი, პროგრესული ნაბიჯი გადადგა წინ და შუასაუკუნეობრივი, ტირანული იმპერიიდან თანამედროვე, ცივილურ სამყაროზე ორიენტირებულ სახელმწიფოდ იქცა.

ყველაფერი ეს კი, 1919 წლის 15 მაისს დაიწყო... მაშინ, კონსტანტინოპოლიდან სამსუნისაკენ მიმავალი გემის, „ბანდირმას“ ბორტზე ყოფნისას, მუსტაფა ქემალმა თავის თანამგზავრებს არიფ ბეის და ვიცე-პოლკოვნიკ რეფეტ ბელეს უთხრა: „ ის, რისი გაკეთებაც ჩვენ მოგვინევს, გაცილებით უფრო რთული და მნიშვნელო-

ვანია, ვიდრე რევოლუცია. რევოლუციები იმ სახელმწიფოებს ცვლიან, რომლებიც უკვე არსებობენ. თურქეთი კი, ჯერ არ არსებობს, მაგრამ ის აუცილებლად შეიქმნება და თავის ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიოში...“ [21, 379].

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. ა. ჩაჩხიანი, დაშნაკთა ნაციონალისტურ-ექსპანსიონისტური იდეოლოგია და სომხეთ-საქართველოს 1918-1919 წლების ომი, თბილისი, 2007.
2. ნ. ბერდიაევი, ერი და კაცობრიობა, თბილისი, „ლომისი“ , 1993.
3. Резников Кирилл Юрьевич, Гольдберг А.Л., К предистории идеи „Москва - Третий Рим“, Культурное наследие Древней Руси (Истоки. Становление. Традиции), Москва, 1976.
4. Резников Кирилл Юрьевич, Филофей, старец, Послание старца Филофея великому князю Василию, Памятники литературы Древней Руси, Конец XV - первая половина XVI века, Т. 6, Москва, 1984.
5. Тютчев Ф. И., Русская география, 2 т., АН СССР, Москва, 1966.
6. აკ. ბაქრაძე, რწმენა, თბილისი, 1990.
7. Соловьев В.С., Панмонголизм, Пoesия Серебряного Века, Москва, 1991.
8. Коган П. Д., Лирическое отступление, Советские поэты, павшие на Великой Отечественной Войне, Москва, 1965.
9. В. И. Ленин, О лозунге Соединенные Штаты Европы, Социал-Демократ, № 44, 23 августа 1915, Печатается по тексту газеты „Социал-демократ“ . <http://www.marxists.org/russkij/lenin/1915/08/10a.htm>
10. Троцкий Л.Д., Пять лет Коминтерна, Москва. 1925.
11. Andrew Mango, Atatürk, John Murray (Publishers), 338 Euston Road, London, 2004.
12. ლორდი კინროსი, ათათურქი, ქართული ბოგრაფიული ცენტრი, თბილისი, 2011.
13. Founder and the first president of the Turkish Republic, [www Turkish-media.com](http://www.Turkish-media.com).
14. И. Аманжол, Эффект бумеранга, Турция - между молотом и наковальней, <http://www.centrasia.ru/news>

15. Atatürk'ün söylev ve demeçleri, I-III. Ankara, 1989.
16. [http://www.allaboutturkey.com/ata\\_speech.htm](http://www.allaboutturkey.com/ata_speech.htm).
17. The Macmillan Dictionary of Political Quotations (1993) by Lewis D. Eigen and Jonathan Paul Siegel.
18. Александр Жевахов, Кемаль Ататюрк, Перевод осуществлен по изданию: Alexander Jevakhoff, Kemal Atatürk, Paris, Tallandier, 1999.
19. Документы внешней политики СССР, т. III. Москва, 1959.
20. Заявление Юсуфа Кемаля 1-му секретарю представительства РСФСР в Турции Н. Упмала об обсуждении в ВНСТ условий соглашения с РСФСР. (25 октября 1920 г.), АВПР, Ф. 04, Оп, 39, П. №232, Д. 53001, Лл. 3—3 об. Подлинник.
21. Александр Ушаков, Феномен Ататюка, Турецкий правитель, творец и диктатор, Москва, 2002.
22. Atatürk, The Biography of the founder of Modern Turkey, by Andrew Mango; "In a book published in 1928, Grace Ellison quotes [Atatürk], presumably in 1926-27", Grace Ellison Turkey Today, London, Hutchinson, 1928.
23. Н. С. Armstrong, The Grey Wolf - An Intimate Study of a Dictator, Capricorn Books, New York, 1961.
24. Досье Ленина без ретуши, (Документы. Факты. Свидетельства.) Москва, 1999, Сборник: „О религии и церкви“ . Москва, 1977.
25. „Безбожник“ , 1927 №1.
26. „Безбожник“ , 1926, № 8.
27. „Безбожник“ , 1926, № 21-22.
28. Ленин В.И, ПСС. Т. 38. С. 146 .
29. Трифонов И., Очерки истории классовой борьбы в СССР в годы НЕПа (1921-1937), Москва, 1960.
30. „Известия ВЦИК Советов“, 1922, 16 сентября.
31. ГАРФ. Ф. 130. Оп. 2. Д. 2. Л. 241-242.
32. Mohd Elfie Nieshaem Juferi, Mustafa Kemal Atatürk: The Enemy of Islam.
33. Газета „Мшак“ №64, Фресно. 1926.
34. Джамиль Гасанлы: Республики Южного Кавказа и Турция накануне Карсской конференции. (Доклад М. Мамедова М. Д. Гусейнову „Политика правительства Мустафа Кемаль-паши и руководители этой политики“. 29.05.1921// Коллекция документов АПД УДП АР).



35. Светлана Червонная, Абхазия – 1992: Посткоммунистическая Вандея, Хроника основных событий в политической жизни Абхазии (1917-1992) Москва, 1993.
36. Станислав Тарасов, Мифы о Карабахском конфликте, Сборник статей, Международный институт новейших государств, Москва, 2012.
37. Послание Президента России Путина В. В. Федеральному Собранию Российской Федерации. <http://ru.org/wiki/>
38. Информационно-аналитический портал Союзного государства/ Архив 2007-2008. <http://ru.org/wiki/>

### **Archil Chachkhiani**

*Doctor of History, Colonel, David Aghmashenebeli Georgian National Defence Academy, Command and General Staff College, Senior Instructor*

## **The Political Portraits without Retouch – Vladimir Lenin and Mustafa Kemal (Atatürk)**

### **Summary**

The represented article gives comparative description of political portraits of the leaders of the military-political alliance, which took place in the 20-ies of the XX century, between the Russian Bolsheviks' leader Vladimir Lenin and the Turkish nationalists' leader Mustafa Kemal. Based on the analysis of the writings and research works of several authors, it is revealed that these two leaders can be compared with each other through their ideologies of the „Worldwide proletarian revolution“ and „Struggle against the imperialism“, having much in common in their world view. The following declarations, made by Lenin and Mustafa Kemal, are analogous: „struggle of the working people masses against their suppressors“, „the problems of the national minorities' self-identification“, denying the existence of God, preaching atheism, fight against intervention, against foreign invaders and World Imperialism, the question of women emancipation, preaching democracy and equality, intolerance to monarchism, announcement of the Republic and so on.

However, the main common features between them are longing for unlimited power, staunch belief in messianism and strivings for dictatorship.

It goes without saying that there were considerable differences between their ideologies, alongside with the mentioned likeness. While Vladimir Lenin was obsessed with the ideas of the „Worldwide proletarian revolution“ and „Revolutionary messianism“, and saw his main goal in creating the „World socialist state“ , the goal of Mustafa Kemal was to secure Turkish nation and Turkish statehood, not in the form of the Empire, Sultanate or Caliphate, but creating the compact National State through consolidation of the muslim population dwelling on the Anatolian territory. Shortly summing up, the essential difference between Vladimir Lenin and Mustafa Kemal Atatürk was the difference in perceiving the ideas of „Nation“, „Motherland“, „Mission“ .

## ნიკო ჯავახიშვილი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი*

### **ლავრენტი ბერია რამდენიმე თანამედროვის თვალთ**

XX საუკუნის ოცდაათიან (1931-1938) წლებში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიას ხელმძღვანელობდა ლავრენტი ბერია (1899-1953), რომელიც 1932 წლიდან სათავეში ედგა ამიერკავკასიის კომპარტიის სამხარეო კომიტეტს, ხოლო 1938 წლიდან 1953 წლის შუა ხანებამდე — სსრ კავშირის ხელისუფლების ერთ-ერთ ნამყვან ფიგურას წარმოადგენდა.

1938 წლის 25 ნოემბერს ლ. ბერია დაინიშნა სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად, ხოლო 1941 წლის 3 თებერვალს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ (კომისრის პოსტის დაუტოვებლად). 1941 წლის ივლისიდან დაინიშნა სსრკ თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის წევრად, ხოლო 1944 წლის მაისიდან — თავმჯდომარის მოადგილედ. იყო საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, სსრკ I—III მოწვევების უმაღლესი საბჭოს დეპუტატი [9, 401].

თავისი წარმატებული კარიერის მიწურულისათვის ლ. ბერია იყო სსრ კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრი (1946 წლიდან), შინაგან საქმეთა მინისტრი (1953 წლის 5 მარტიდან), მარშალი (ეს წოდება მიენიჭა 1945 წლის 9 ივლისს), სოციალისტური შრომის გმირი (1943 წ.), სტალინური პრემიის ლაურეატი (1949 წ.). მას მიღებული ჰქონდა შემდეგი საპატიო ჯილდოები: ლენინის 5 ორდენი, სუვოროვის I ხარისხის ორდენი, სსრკ-ის წითელი დროშის 2 ორდენი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წითელი დროშის საბრძოლო და შრომითი ორდენები, აზერბაიჯანის და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შრომის წითელი დროშის ორდენები, მონღოლეთის

სახალხო რესპუბლიკის სუხე ბატორის და წითელი დროშის ორდენები, ტუვის რესპუბლიკის ორდენი და სხვ. [12, 106-107].

დაილუპა დღემდე გაურკვეველ ვითარებაში. ოფიციალური ვერსიის თანახმად, 1953 წლის 26 ივნისს იგი დააპატიმრეს, გაასამართლეს და გამოტანილი განაჩენის შესაბამისად, იმავე წლის 23 დეკემბერს დახვრიტეს [11, 55-57].

ლ. ბერიას გარდაცვალებიდან ექვსი ათეული წელი გავიდა. მის შესახებ ინტერესი ძალზე დიდია როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოშიც. ამაზე მიუთითებს მასზე დაწერილი მრავალი ნაშრომი, რომელთა უმეტესობაც რუსულ ენაზეა.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერაც არ შექმნილა ნაშრომები, რომელშიც ამომწურავად და ობიექტურად იქნებოდა შეფასებული ხსენებული პიროვნების მოღვაწეობა, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს მომავალში მაინც მოხდება.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ როგორ აისახა ლ. ბერია თავისი ექვსი თანამედროვის (ეროვნებით ქართველთა) მოგონებაში. ამ მოგონებათა ავტორები არიან: შალვა მაღლაკელიძე (1894-1976), გრიგოლ რობაქიძე (1880-1962), სიმონ ყაუხჩიშვილი (1895-1981), ბარბარე (ბაბო) დადიანი (1903-1999), გერონტი ქიქოძე (1885-1960) და კანდიდ ჩარკვიანი (1904-1994). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ, მემუარული ლიტერატურა არ არის დაზღვეული გარკვეული სუბიექტურობისაგან, რასაც, ბუნებრივია, ვერც ზემოხსენებული ავტორები ასცდებოდნენ. ამდენად, ქვემოთ დამონშებულ მოგონებებსაც საკმაოდ კრიტიკულად უნდა მოვეკიდოთ, თუმცა მათი გათვალისწინება მაინც საჭიროდ მიგვაჩნია სწორი წარმოდგენის შესაქმნელად ისეთი მასშტაბის წინააღმდეგობრივი პიროვნების შესახებ, როგორცაა წარმოდგენდა ლავრენტი ბერია.

ამ თემაზე კვლევა-ძიების გაგრძელებას ვაპირებთ მომავალშიც [10, 30-35], რათა ეს ნარკვევი ახალი ფაქტებით შევავსოთ და გავამდიდროთ.

## 1. შალვა მაღლაკელიძე

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და იძულებითი გასაბჭოების (1921 წლის თებერვალი-მარტი) შემდეგ, საბჭოთა ხე-

ლისუფლებამ სხვებთან ერთად დააპატიმრა და ციხეში ჩასვა თბილისის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი შალვა მაღლაკელიძე (1894-1976), რომელიც 1923-1954 წლებში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრს წარმოადგენდა.

შ. მაღლაკელიძე ასე იგონებდა თბილისის ჩეკაში მომხდარ ფაქტს: „კაცი დგას პენსნეთი. ჩვენ ერთი შვიდი-რვა კაცი შემოგვერტყა, სულ სომეხბია, შეიძლება ერთი-ორი რუსი ერია მათში. თურმე ჩეკას კოლეგიაა. ერთი სომეხი შეუჩნდა პარმენ ჭიჭინაძეს. პარმენი მაღალი კაცია. ეს სომეხი დაბალი, სქელი, საზარელი, გლახა, უშნო კაცი. პარმენს მაღალი ქუდი ახურავს, ცილინდრი. შეახტება მას ეს სომეხი, ვითომ უნდა ჩამოუღოს და დახტება, ე. ი. მაიმუნობს. ამ დროს, პენსნიანი კაცი მივიდა ამ სომეხთან, მოკიდა ქეროში ხელი — „სუკინ სინო“ და გააგდო გარეთ.

ჩაგვიყვანეს სარდაფში. მე მომათავსეს სასიკვდილო საკანში მარტოკა. მესამე დღეს ჩემთან გადმოიყვანეს გრიშა ლორთქიფანიძე (იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე. ნ. ჯ.). შემოიყვანეს კიდევ ერთი კაცი.

გრიშას ვეკითხები: „ის პენსნიანი კაცი ვინ იყო-თქო“.

— „ბერია ყოფილაო“.

თურმე ბერია არის კოლეგიის წევრი, უბრალო გამომძიებელი, ქურდებისა და მკვლევებისათვის. ჩეკას ნამდვილი პატრონი კი არის პეტროსიანიცი, ყოფილი დაშნაკი, კამოს ძმა, კოტე ცინცაძის ცოლის ძმა. კამოს სიძე იყო ცინცაძე“ [4, 111-112].

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ შალვა მაღლაკელიძისაგან მოგონებები 1975 წელს პირადად ჩაინერა, შემოგვინახა და მოგვიანებით წიგნად გამოსცა ყოფილმა დისიდენტმა ვიქტორ რცხილაძემ [4]. ამ მოგონებებს ვრცელი ინტერვიუს სახე აქვს.

საგულისხმოა, რომ ბატონი ვ. რცხილაძის შეკითხვაზე — „ბერიამ რომ ის კაცი გააგდო, გულწრფელი იყო, თუ გაითამაშა?“ , 82 წელს მიღწეულმა გენერალმა მაღლაკელიძემ ასე უპასუხა:

— „როგორც ქართველმა კაცმა, შეურაცხყოფად ჩათვალა იმ კაცის მოქმედება. თანაც მარტო ბერია იყო ქართველი და შეეცოდა, როგორც ქართველ კაცს. მე ვხედავ ამაში ღირსებას, თუ გნებავთ ბერიასი. მერე რას აკეთებდა — ეს სხვა ამბავია. ყოველ შემთხვევაში, იმ წუთში ის იყო კეთილშობილურ როლში“ [4, 112].

აქვე დავსძენთ, რომ ზემოხსენებული პარმენ (ნიკოლოზ) გაბრიელის ძე ჭიჭინაძე (1873-1921) იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი. ეს პოსტი მას ეკავა 1920 წლის ნოემბრიდან — 1921 წლის მარტამდე [3, 463].

შ. მალაკელიძის მოგონებებში ასევე საინტერესოდ არის აღწერილი, თუ როგორ შეიტყო მან ლ. ბერიას დაცემის ამბავი 1953 წლის ივნისის მინურულს, მიუნხენში და რა რეაქცია მოჰყვა ამას მის გვერდით მყოფ ემიგრანტებში, რომელთა შორისაც იყვნენ რუსეთის დროებითი მთავრობის ყოფილი მეთაური ალექსანდრე კერენსკი (1881-1970) და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი (1881-1954).

მემუარებში ვკითხულობთ: „მიუნხენში იყო იმჟამად იურისტთა საერთაშორისო საზოგადოება... „არაადამიანურ დანაშაულებათა წინააღმდეგ“, რომელიც ძირითადად საბჭოთა რუსეთის დანაშაულებებს განიხილავდა... ამ საზოგადოებამ მოაწყო საერთაშორისო კონფერენცია და სტუმართა შორის პარიზიდან იყო ევგენი გეგეჭკორი, ხოლო ამერიკიდან — კერენსკი. ევგენიმ დამირეკა და მეც მივყევი ამ კონფერენციაზე. გამოვიდნენ სხვადასხვა მომხსენებლები და განიხილავდნენ საბჭოთა რუსეთში მომხდარ სხვადასხვა არაადამიანურ ქმედებებს...

დამთავრდა ეს კრება და ევგენის თხოვნით, გავყევი მას კაფეში. კერენსკიც თან გვახლავს. თხელი კაცი იყო კერენსკი, „იოჟიკი“ თმა ჰქონდა. ვზივართ კაფეში და ვლაპარაკობთ, თუ ვინ იქნება სტალინის მერე პირველი რუსეთში — სტალინი უკვე მკვდარია. კერენსკი ამბობდა, რომ ეს უნდა იყოს მალენკოვი, რადგან სამართლიანია, რომ უდიდეს სლავურ სახელმწიფოს რუსი მართავდესო. გეგეჭკორი ბერიას ასახელებდა...

უცებ ატყდა საღამოს გაზეთების დამტარებელთა ყვირილი: „ბერიას ნიედერლაგე“ — „ბერიას დამხობა“, „იყიდეთ გაზეთები!“ მოუტრიალდა კერენსკი გეგეჭკორს და ეუბნება:

— „სპლოხოვალ ვამ მინგრელეც, ევგენი პეტროვიჩ!“ .

ამაზე ევგენი დაიბნა და უპასუხა:

— „მინგრელცი ნე ტაკ ლეგო ზდაიუტსა!“ [4, 215-216].

ამრიგად, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ლავრენტი ბერიას მიერ ჩეკაში ჩადენილი საქციელი კეთილშობილურად მიიჩნია თბილისის ყოფილმა გენერალ-გუბერნატორმა შალვა მალაკელიძემ, რომელმაც ეს ფაქტი თავის მოგონებებშიც არ დაივიწყა. მანვე

შემოგვინახა ცნობა, თუ რა რეაქცია მოჰყვა ლ. ბერიას დაცემას ქართული და რუსული ემიგრაციის გამოჩენილ წარმომადგენლებში.

## 2. გრიგოლ რობაქიძე

გამოჩენილი მწერალი გრიგოლ რობაქიძე (1880-1962) თვალში არ მოსდიოდა ლავრენტი ბერიას, რომელიც 1931 წლიდან საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიას ხელმძღვანელობდა.

ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ირაკლი აბაშიძე (1909-1992) იგონებდა: „იცნობდნენ რა საქართველოს ახალი ხელმძღვანელის ბიოგრაფიას და ხასიათს, ყველა ერთს ფიქრობდა: — მშვიდობით ყოველგვარო დემოკრატიულობავ!“

მალე თბილისში ფარულად დიდი მითქმა-მოთქმა დაიწყო — მანამდე დიდი მეგობრების, საქართველოს ახალ ხელმძღვანელსა და ორჯონიკიძეს შორის ურთიერთობის გამწვავების შესახებ. ურთიერთობის ამ დაძაბვამ პირველ რიგში მწერლობიდან იმსხვერპლა გრიგოლ რობაქიძე. გრიგოლ რობაქიძე 1931 წელს გაემგზავრა ბერლინს სწორედ ორჯონიკიძის დახმარებით...

გრიგოლ რობაქიძე საქართველოს ახალმა ხელმძღვანელმა მიიღო გერმანიაში წასვლის წინ (გრიგოლ რობაქიძეს, რასაკვირველია, მამინ, როგორც ჯერჯერობით არც სხვას, არაფერი ეცოდინებოდა ორი დიდკაცის ურთიერთობის იმ გამწვავების შესახებ). მახსოვს, იგი ცენტრალური კომიტეტიდან მწერალთა კავშირში რომ დაბრუნდა, რესპუბლიკის ახალ ხელმძღვანელზე თქვა:

— „მე ვერ გაუფიქრებელი მის თვალებსო“ .

ამავე დროს, თვითონ გრიგოლ რობაქიძესაც მეტად გამჭოლავი მზერა ჰქონდა.

გრიგოლ რობაქიძე ბერლინს იმუამად მხოლოდ დროებით გაემგზავრა. მისი იქ დარჩენის საკითხი საბოლოოდ გადაწყვიტა ამ ორი დიდკაცის ერთმანეთზე გადაკიდებამ. იგი გერმანიაში საქართველოდან ჩასული ხმებით დარწმუნდა, რომ უკან დაბრუნების შემთხვევაში მას სამშობლოში რეპრესირება არ ასცდებოდა“ [1, 59-60].

ლავრენტი ბერიას სიცოცხლის ტრაგიკულ დასასრულზე დაკვირვებით გრიგოლ რობაქიძემ მართებულად შეაფასა საბჭოთა რეჟიმში მოქცეულ ადამიანთა ტრაგიკული ყოფა. 1954 წელს დაწერილ მიმართვაში სამშობლოსადმი იგი წერდა: „ვინაა თავისუფალი საბჭოეთში? არავინ. იქ ყველაფერი აკრძალულია, რაიც არაა

ბრძანებული. დღეს რომ ერთი ბრძანებლობს, ხვალ იგი დასახვრეტად მიჰყავთ. ბერიას ხვედრი საბჭოეთში გამონაკლისი არაა. იქ იგი ყოველდღიური მოვლენაა. დამხვრეტე გუშინდელი მბრძანებლისა შიშის ქარი ურბნეთ სახსრებში; ფიქრობენ: მათაც არ ხვდეთ ეს ბედი. არის ეს დემოკრატია? ...ბოლშევიკებისათვის ხალხი მხოლოდ ამა თუ იმ დროს სტატისტიკურად აღრიცხული „გროვავა“ ცალკეულთა. ამავე დროს, ცალკეულს ამ გროვავაში მხოლოდ „ნუმერული“ ფასი აქვს. ბერია, ერთხანად ძღვევამოსილი, ქრება უეცრად. მეტი: სახსენებელიც ითხრება მისი. დღეს თუ ეს ემართებათ ბერიებს, რას უნდა ელოდონ უბრალო მოქალაქენი? ...ბოლშევიზმი ხრწნის შინაგან ხალხს და ამყარებს ფსევდოკულტურას...

გრიშაშვილმა ერთ შაირში ლავრენტი ბერიას ხოტბა შეასხა. ხოტბაში იქადის მივიდა, რომ ესეც წასცდა, გაუგონარი რამ: „უბრძანე მტკვარს, უკან იწყებს დენასო“ .

მტკვარი თავის დენას განაგრძობს, მბრძანებელი კი იმ სოფლისაკენ გაისტუმრეს ისე, რომ ამ სოფლად ხსენებაც იქნა მისი აღმოფხვრილი. გრიშაშვილი ალბათ თითებს იკვნეტს ახლა და ამბობს: რამ დამაწერინა ეს უხამსი რამო!

ვეტყვი: დაანერინა ამ სისტემით გაშლილმა ატმოსფერომ, სადაც ყველაფერი აკრძალულია, რაც არაა ნაბრძანები. ეს მაგალითი მცირე დეტალია, ხოლო ისეთი, რომელიც სწორუპოვრად ასახავს მთელს „სამოთხეს“ საბჭოეთისა“ [5, 388-390].

ამრიგად, ირაკლი აბაშიძემ შემოგვინახა ლ. ბერიას გამანადგურებელი მზერის გრიგოლ რობაქიძისეული შეფასება, რაც ფრიად საგულისხმო შტრიხია აღნიშნული პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად. იმავდროულად, ლ. ბერიას სიცოცხლის ტრაგიკულ დასასრულზე დაკვირვებით გრიგოლ რობაქიძემ მართებულად შეაფასა სსრ კავშირში მცხოვრებ ადამიანთა ტრაგიკული ყოფა.

### 3. სიმონ ყაუხჩიშვილი

გამოჩენილი ფილოლოგი და ისტორიკოსი, აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი (1895-1981) იყო იმ ინტელექტუალთა შორის, რომლებმაც საბჭოური რეპრესიების სუსხი საკუთარ თავზე გამოსცადეს.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონი სიმონი მაქსიმალურად ერიდებოდა თავისი პატიმრობის პერიპეტეიებზე მსჯელობას, თა-



ვის შვილიშვილთან, პროფესორ გია გელაშვილთან (დაბად. 1937 წ.) საუბარში, მან გაიხსენა ერთი ეპიზოდი, რომელიც ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია ბერიას პირადი თვისებების წარმოსაჩენად (ეს მოგონება ჩანერილია ჩვენს მიერ და ქვეყნდება პირველად):

„1939 წელს, როდესაც მოსკოვში, პატიმრობაში ვიმყოფებოდი, დაკითხვის მიზნით ლავრენტი ბერიასთან წარმადგინეს. დაკითხვისას, ბერია, დროდადრო ისე შემომხედავდა ხოლმე, თითქოს რენტგენში მატარებდა და სურდა გაეგო, თუ რამდენად გულწრფელად ვპასუხობდი.

საერთოდ, იმდროინდელ ქართულ ინტელიგენციაში დამკვიდრებული იყო აზრი, რომ „ბერიას ჰქონდა გამორჩეულად გამჭოლი მზერა, რომელსაც თვალს ვერავინ უსწორებდა“. რასაკვირველია, ამ მზერის უკან იდგა მისი შეუზღუდავი ძალაუფლება, რომელსაც ყველა უფრთხობდა...

დაკითხვის პროცესში, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ბერიამ წინ დამიდო ფოტოსურათი, რომელზედაც გამოსახული იყავი შენ, გადაღებული ორიოდე წლის ასაკში, შემომხედა თავისი გამანადგურებელი მზერით და ისეთი ვერაგული კითხვა დამისვა, რაც გველის ნასისინებას უფრო ჰგავდა: — „არ გინდა მისი ნახვა?“

ბერიას მოქმედება ორაზროვნად მივიჩნიე. ჩემს მდგომარეობაში მყოფი ადამიანისათვის ეს აშკარად ნიშნავდა გაფრთხილებას და დაშინებას. ამიტომ, მისთვის პასუხის გაცემა ზედმეტად ჩავთვალე და მხოლოდ სიმწრით ჩამელიმა. აბა რომელი პაპა იტყოდა უარს დიდი ხნის უნახავ, საყვარელ შვილიშვილთან შეხვედრაზე...

ყოველივე ამის შემდეგ, ბერიამ ფოტოსურათი თავისი სანერი მაგიდის უჯრაში დააბრუნა და ჩემი დაკითხვა განაგრძო“.

ამრიგად, ლ. ბერიას განსაკუთრებული მზერის შესახებ ცნობა შემონახულია ასევე სიმონ ყაუხჩიშვილის მოგონებაშიც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს გრიგოლ რობაქიძისეული შეფასების ობიექტურობას.

#### 4. ბაბო დადიანი

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში რეპრესირებულ არისტოკრატიულ ოჯახთა შორის აღმოჩნდა ბარბარე (ბაბო) ნიკოლოზის (კოკის) ასული დადიანის (1903-1999) ოჯახიც. 1937 წელს მას

უკანასკნელად და ამჯერად საბოლოოდ დაუპატიმრეს მეუღლე — ალექსანდრე (ალიოშა) გიორგის ძე მასხარაშვილი (1895-1937).

ბაბო დადიანი მებრძოლი სულის ადამიანი იყო. მან სცადა, რომ დაეხსნა მეუღლე და გადაერჩინა თავისი შვილები — გიორგი და თათული, რომლებიც მამის დაპატიმრების შემდეგ გაუსაძლის პირობებში აღმოჩნდნენ. 1938 წლის მინურულს იგი ჩავიდა მოსკოვში და დიდი წვალეებით მოახერხა შეხვედრა ლავრენტი ბერიასთან, რომელიც იმხანად ახალი დანიშნული იყო სსრკ შინაგან საქმეთა კომისრად.

მოსკოვში, ლუბიანკაზე მისული ბაბო დადიანი მიიღო სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელმა, ბერიასთან დაახლოებულმა პირმა ბოგდან (ბალჩო) ზაქარიას ძე ქობულოვმა (1904-1953), რომელიც შემდგომში (1945 წლიდან) გენერალ-პოლკოვნიკი გახდა [11, 223]. მან ქართველი მანდილოსანი დააიმედა, რომ ლ. ბერია აუცილებლად მიიღებდა.

ბაბო დადიანის მოგონებებში საინტერესოდ არის მოთხრობილი მისი შეხვედრა ლავრენტი ბერიასთან. მემუარებში ვკითხულობთ: „ავედი დიდ ოთახში. შემხვდა ერთი ქალი, რომელმაც ქართულად მომმართა: — „დაბრძანდით, დაიცადეთ“ . ეს იყო ბერიას მდივანი, ვარდო მაქსიმელაშვილი...

ვზივარ ცარიელ ოთახში, ირგვლივ წიგნების კარადები. უცბათ, გაიღო ერთი წიგნის კარადა და კარებიდან გამოვიდა კაცი, ქალღლებით ხელში. ეს იყო პეტრე შარია, ბერიას მარჯვენა ხელი. ასეთმა შენიღბვამ ცოტათი შემაშინა. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, ისევ ის ქართველი ქალი გამოჩნდა და მეუბნება: „მობრძანდით“ . გავიარე ორი ოთახი და შევედი ოთახში. მაგიდას უჯდა სათვალეებიანი გველი. იჯდა ორი რუსი, რომბიანები. ბერიასაც რომბი ჰქონდა, არ მახსოვს, რამდენი. იქ კიდევ იჯდა ჩემი ნაცნობი ბახჩო ქობულოვი. ბერიას უკან იდგა ვინმე ნადარაია. ის ვიცანი, თბილისში ჩ. კ-ში, სადილი რომ დამქონდა, მაგას ვაბარებდი კომენდატურაში.

ბერია შემეკითხა (რუსულად გამართული ამ საუბრის შინაარსი ჩვენ ვთარგმნეთ ქართულად და აქ რუსული ტექსტის პარალელურად მოვიტანთ. ნ. ვ.): — „Зачем вы приехали?“ — „რისთვის ჩამოხვედით?“ .

მე ვუთხარი: ვეძებ ქმარს დაპატიმრების შემდეგ. არ ვიცი სად არის. დაპატიმრებულია აგრეთვე ჩემი ძმა ბონდო დადიანი და ავუსხენი ჩემი ბინის მდგომარეობა.

ალიოშაზე ცივად მითხრა: „Ваш муж английский шпион – мы ничем не можем помочь“ („თქვენი ქმარი ინგლისის აგენტია, ჩვენ ვერაფრით ვერ დაგეხმარებით“).

მე მკაცრად ვუპასუხე: „Английским шпионом его сделали Штепка Каулин и Корвин“ („ინგლისის აგენტად ის აქციეს შტეპკა კაულინმა და კორვინმა“). ესენი იყვნენ ალიოშას გამომძიებლები, ლატვიელები, კაციჭამიები და ყველაზე საშიში, საბედისწერო განყოფილება თბილისში КРО — კონტრრევოლუცია.

მე პატარა მედალიონი მქონდა მკერდზე, ნიშანი — შოთა რუსთაველის თავი. ბერია დააცქერდა. ხომ არ ეგონა კაციჭამიებს დავიკრავდი გულზე. — „Кто он?“ („ვინ არის ეს?“). მე ვუპასუხე — „შოთა რუსთაველი“. ამან გამახსენა, რომ ჩანთაში მქონდა გიორგის და თათულის სურათი, ამოვიღე და ვაჩვენე.

ბერიამ — „Хорошие ребята“ („კარგი ბავშვები არიან“).

მე ამაზედაც ვუპასუხე: „Этим хорошим ребятам нужно воспитание для общества и для государства, а у них нет условий, нет комнаты, меня выселили из двух комнат, всего 22 кв метра и дали в театральном переулке 7-метровую клетушку без окна. Это не комната, это коридор бывшей гостиницы“ („ამ კარგ ბავშვებს ესაჭიროებათ აღზრდა საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის, მათ კი არა აქვთ სათანადო პირობები, საცხოვრებელი, მე გამომასახლეს 22 კვადრატული მეტრის ფართობის ოროთახიანი ბინიდან და მომცეს თეატრალურ შესახვევში შვიდმეტრიანი ფართი უფანჯროდ. ეს არის არა ოთახი, არამედ ყოფილი სასტუმროს კორიდორი“).

ბერია მიუბრუნდა ბახჩო ქობულოვს. უთხრა, დაუკავშირდი რაფავას და მისი ბინა დაუბრუნონო. მე ვუთხარი, ჩემი ბინის საქმე კასაციით გადმოგზავნილია მოსკოვში, უზენაესში-თქო.

„Ну здесь мы поможем“ („აქ ჩვენ დაგეხმარებით“) — თქვა ბერიამ. მერე ისევ მე მომიბრუნდა და მეკითხება: „კოკი — მამათქვენი, რას აკეთებს იქ?“.

მე ვუპასუხე: „მე საიდან მეცოდინება...“.

— „როგორ, თქვენი ძმებიდან რომელიმე რომ შემოიპაროს ჩვენს ქვეყანაში, ხომ თქვენთან მოვლენ, თქვენ რას იზამთ?“

მე ვუპასუხე: „სანამ ჩემამდე მოვლენ, ალბათ თქვენ უფრო ადრე გაიგებთ. განა ჩვენი საზღვრები ამისათვის არ არის კარგად დაცული?“.

ბერიამ შეხედა ბახჩო ქობულოვს. ისევ მე მომმართა: „Вы, должно быть, нуждаетесь?“ („თქვენ, ალბათ უსახსროდ ხართ?“).

მე ვუპასუხე: — „Это не важно, мне важно и нужно знать, где мой муж и брат“ („ეს არ არის მნიშვნელოვანი, ჩემთვის მთავარია ვიცოდე, სად არიან ჩემი ქმარი და ძმა“).

ამაზე ისევ იმ რუსებს მიმართა: „Вот такая молодая и каждый год у нее сидит в тюрьме или муж, или один брат, или другой“ („აი, ასეთი ახალგაზრდაა და ყოველწლიურად დაპატიმრებულია მისი ან ქმარი, ან ერთ-ერთი ძმა“). ისევ გაიმეორა: — „Вам деньги должно быть нужны, мы вам поможем“ („თქვენ ალბათ თანხა გჭირდებათ, ჩვენ დაგეხმარებით“).

ამაზე მე უცბათ ავდექი და ვუპასუხე: — „Я от моих родных братьев не принимаю денег“ („მე ჩემი ღვიძლი ძმებისაგან არ ვიღებ ფულს“). ავდექი და წასვლა დავაპირე.

— `Вы пожалуйста, бросьте ваши княжеские гордости“ (თუ შეიძლება, დათმეთ თქვენი თავადური სიამაყე“) – საშინელი მეგრული აქცენტი. — „სად მიდიხარ“, „кто вас пустит.“

უცბათ დამარტყა თავში, რომ დამიჭერენ, ალბათ დამტოვებენ.

მან კიდევ მიმართა იმათ და თქვა: „такой может быть только мингрелка“ („ასეთი მხოლოდ მეგრელი ქალი შეიძლება იყოს“).

მე ორიოდ ნაბიჯი გადავდგი და უცბათ მაგიდას მივადე ხელი და შევჩერდი. სუნთქვა შემეკრა, ცრემლები უცბათ მომწყდა, რაც არ მინდოდა... არ მინდოდა ჩემი ცრემლები ენახათ.

ბერიამ უთხრა ქობულოვს: „გააცილე“.

როგორც კი გამოვედი, იმ წუთასვე დავეშვი სავარძელში. ქობულოვი იქვე ჩამოჯდა და დამიწყო ნუგეში, — „ხომ გაიგონეთ, როგორ გაქოთ ამხანაგმა ბერიამ“.

მე ვუპასუხე: — „მე აქ ატესტატის მისაღებად კი არ ჩამოვსულვარ. ჩამოვედი, რადგან ვეძებ ქმარს და ძმას.“

— „ამაზე თქვენ ხომ მიიღეთ პასუხი ამხ. ბერიასი და ძმაზე მე დამავალა, გადმოვიყვანო მოსკოვში და გავანთავისუფლო“.

ცრემლები მახრჩობდა, სული მეხუთებოდა, წამოვედი მკვდარი, სად იყო ამდენი ცრემლი...“ [2, 74-75].

აქვე განვმარტავთ, რომ ზემოთ მოყვანილ ციტატაში „ბერიას მარჯვენა ხელად“ მოხსენიებული პეტრე ათანასეს ძე შარია

(1902-1983) იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს I და II მოწვევის დეპუტატი, საქართველოს სსრ-ის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში (1943-1948), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის პროფესორი (1948-1952), ხოლო იმავდროულად — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა და სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის თანამშრომელი (1938 წლიდან), რომელსაც 1943 წელს სახელმწიფო უშიშროების მესამე რანგის კომისრის წოდება მიენიჭა [12, 443-444].

ბაბო დადიანის მიერ ზემოთ აღწერილ პერიოდში პ. შარია იყო სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამდივნოს უფროსი (1938-1939 წლებში).

რაც შეეხება ზემოხსენებულ „ვინმე ნადარაიას“ , იგი იყო პოლკოვნიკი სარდიონ ნადარაია, რომელიც მსახურობდა ჯერ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ციხის კომენდანტად, ხოლო შემდეგ — ლავრენტი ბერიას პირადი დაცვის უფროსის, პოლკოვნიკ რაფაელ სარქისოვის (სარქისიანის) მოადგილედ [13, 396].

ამრიგად, ბაბო დადიანმა თავის მემუარებში შემოგვინახა ლავრენტი ბერიასთან მისი შეხვედრისა და გასაუბრების საყურადღებო აღწერილობა.

## 5. გერონტი ქიქოძე

ცნობილმა ქართველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მწერალმა და მთარგმნელმა გერონტი ქიქოძემ (1885-1960) თავის მემუარებში საკმაოდ ვრცელი ადგილი დაუთმო ლ. ბერიაზე, მის საქმიანობასა და შედეგებზე მსჯელობას.

მოგონებებში ვკითხულობთ: „ლავრენტი ბერიას აღმავლობა ნეპის პერიოდში დაიწყო. ეს ადვილად გასაგებია. ძველი პარტიული გვარდიის რიგები, რომელთაც ვერ შეძლეს იდეური გადაიარაღება, შეთხელდნენ. ლენინის თანამებრძოლნი საეჭვოდ იყვნენ გამოცხადებულნი მარჯვნივ ან მარცხნივ გადახრისაკენ. მყარდებოდა სტალინის ერთპიროვნული დიქტატურა. ცხადდებოდა, რომ აზროვნება მის პრივილეგიას წარმოადგენდა.

ძველი პარტიული ვეტერანების წინაშე ბერიას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სრულიად თავისუფალი იყო ყოველგვარი მნივნობრული დოგმებისა და სინდისის ქეჯნისაგან. მან ინსტიტუტურად

სწორად განსაჯა, რომ მისი კარიერისათვის უმჯობესი იყო ბელადის კეთილგანწყობა მოეპოვებინა, ვიდრე ერკვია, რამდენად შეესაბამებოდა ენგელსის „ანტიდიურინგის“ და მარქსის „კაპიტალის“ სამიტომის იდეებს ერთს განცალკევებულ ქვეყანაში სოციალიზმის დამყარების ცდა. და თავისი კარიერისათვის მან ოსტატურად გამოიყენა სტალინის პატივმოყვარეობისა და იჭვიანობის გრძნობები...

ბერიას ბატონობის წლები საქართველოში განსაკუთრებით საბედისწერო იყო გლახაკობის შეძლებული ნაწილისა და ინტელიგენციისათვის. ის როლი, რომელსაც ბერია თბილისში ჯერ საგანგებო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე ასრულებდა, ხოლო შემდეგ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე, მით უფრო შავბედიით იყო, რომ მან საჭიროდ დაინახა საქართველოს კეთილისმსურველის ნილაბი აეფარებინა და იმ ელემენტების პატრიოტულ გრძნობებზე ემოქმედა, რომელნიც მის ტერორს გადაურჩნენ. სხვათა შორის, მან საგანგებოდ თავის ბინაზე მიიწვია და საქართველოს ისტორიაზე რამდენიმე ლექცია წააკითხა ახალგაზრდა მეცნიერს სიმონ ჯანაშიას, ცნობილს თავისი პატრიოტიზმით და პატიოსნებით. მაგრამ, როგორც ეტყობა, მთელი ამ კურსიდან ბერიას მხოლოდ ის ეპიზოდები ჩარჩა მეხსიერებაში, სადაც გამცემლობაზე, თვალების დათხრაზე და ყეენებთან დასმენაზეა ლაპარაკი.

ბერიამ, რასაკვირველია, ადვილად შეატყო, რომ სტალინს განსაკუთრებით პატივმოყვარეობის დემონი ჰქეჯნიდა. ამ დემონს შეეწირა მრავალი ქართველი მწერლის, მეცნიერის და ხელოვანის ადამიანური ღირსების გრძნობა. ეს ბერიას ინიციატივით მოხდა, რომ მლიქვნელობის სულმა თითქმის მთელი ქართული მწერლობა, პლასტიკური ხელოვნება და, ნაწილობრივ მუსიკა გაჟღინთა. ქართველმა პანეგერისტებმა სტალინი აიყვანეს იმ სიმაღლეზე, რომელზეც არასოდეს და არცერთი ეგვიპტელი ფარაონი ან რომაელების და ბიზანტიელების იმპერატორი არ აუყვანიათ. საქართველოს ისტორიული წარსული, თვით ჩვენი პლანეტის გეოლოგიური ეპოქები, ბოლოს თვით კოსმოსის განვითარება სტალინის ცხოვრების პრელუდიად იქნა გამოცხადებული...

თბილისის და პროვინციის ბნელი ჯურღმულები სავსე იყო ქართველი ინტელიგენტებით და გლახებით. ბერია მზად იყო მთელი საქართველო თავისი სამშობლო სოფლის — მერხეულას გვიმრალად ექცია...

დამსჯელი ორგანოები თავდაპირველად საკმაოდ უსისტემოდ მუშაობდნენ. თბილისში ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის წლებში ორი საგანგებო კომისია მუშაობდა, ამიერკავკასიისა და საქართველოს: ისინი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხალხის დატუსაღებაში, გადასახლებაში და დახვრეტაში. ბერია ამ ორგანოების ცენტრალიზაცია მოახდინა და ერთგვარი სისტემა შეიტანა მათს მუშაობაში. თბილისში შეიქმნა სამეული გოგლიძის, დეკანოზოვისა და ქობულაძის შემადგენლობით, რომელიც უაპელაციოდ წყვეტდა ადამიანის ბედს. მთავარი ინკვიზიტორის როლი თვით ბერიამ შეინარჩუნა, როგორც ცეკას პირველმა მდივანმა...

ბევრი უპარტიო მოქალაქე დაიღუპა მხოლოდ იმიტომ, რომ ის რაიმე მიზეზის გამო საეჭვო გახდა თბილისის ტრიუმვირატისა და მისი პროვინციული ფილიალებისათვის, ან რომელიმე დამბეზღებელს შეშურდა მისი ბინა ან თანამდებობა. 1937 წელს დატუსაღებამ და დახვრეტამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ თბილისის სამეული და მისი აგენტები ხშირად თავს აღარ ინუხებდნენ სიების შედგენისა და ჩხრეკის ჩატარებით: მრუდე და მართალი ერთად ისჯებოდა ძველი წმინდა ინკვიზიციის წესის მიხედვით. მათი გარჩევა მამა ლმერთს ჰქონდა მინდობილი“ [7, 82-90].

გერონტი ქიქოძე პირადად ადანაშაულებდა ლ. ბერიას იმდროინდელი ქართული საზოგადოების ისეთი გამოჩენილი მოღვაწეების ფიზიკურად მოსპობაში, როგორებიც იყვნენ: მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, დირიჟორი ევგენი მიქელაძე, მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, პოეტი ტიციან ტაბიძე და სხვები. ყოველივე ამის მიზეზად გ. ქიქოძე მიიჩნევდა გულდრძო და დაუნდობელ ხასიათს ლ. ბერიასი, რომელიც ყველას ანადგურებდა, ვინც კი რაიმე მიზნის მიღწევაში ხელს შეუშლიდა.

გ. ქიქოძე წერდა: „იმ ქართველ ინტელიგენტებს შორის, რომელნიც ბერიას პატივმოყვარეობის და შურისძიების გრძნობას შეენივნენ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა დიმიტრი შევარდნაძე იყო... 1937 წელს რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, ბერიამ განიზრახა სამხატვრო გალერეის შენობა აეგო მეტეხის ციხის გალავანში და იქვე რუსთაველის ძეგლი დაედგა. მას განზრახული ჰქონდა ეს შენობა და ძეგლი ქართული ქვისა და მარმარილოსაგან გაეკეთებინა. თავისთავად ეს პროექტი ცუდი არ იყო, მაგრამ მის განსახორციელებლად მეტეხის ეკლესიის დანგრევა იყო საჭირო. დიმიტრი შევარდნაძე ფიქრობდა, რომ ასეთი ისტორიული ძეგლის

განადგურება არქიტექტურული ნაშთებით ესოდენ ღარიბ თბილისში არავითარ შემთხვევაში გამართლებული არ იქნებოდა. მან ენერგიული წინააღმდეგობა გაუწია ბერიას და ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას...

ბერიას თავის კაბინეტში მარტოდ-მარტო დაეტოვებინა შევარდნაძე და მისთვის წინადადება მიეცა, მეტეხის ტაძრის დანგრევა პირადად თქვენ იკისრეთ და სამაგიეროდ, მომავალი მუზეუმის დირექტორად დაგნიშნავთო. შევარდნაძეს ეპასუხნა, ეს ჩემი სინდისის საწინააღმდეგო საქმე იქნებაო. სინდისისადმი აპელაცია ყველაზე ცუდი გამოსავალი იყო ბერიას თვალში და დიმიტრი შევარდნაძე ორიოდ კვირის შემდეგ დატუსაღებული იქნა“ [7, 97-99].

საყურადღებოა გ. ქიქოძის მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რამ განაპირობა სტალინის გარდაცვალების მომენტში ფაქტობრივად აღმავლობის მწვერვალზე მყოფი ლ. ბერიას უცაბედი დაღუპვა და რა შეიძლება მოჰყოლოდა მის მიერ ჩაფიქრებულ გეგმას განხორციელების შემთხვევაში.

თხზულებაში ვკითხულობთ: „ისეთი კაცის მემკვიდრეობის მიღება, როგორც სტალინი იყო, ყოველ მხრივ ძნელია. მან თავის მიმდევრებს დაუტოვა მძიმე ტვირთი, რომელიც ისევე ძნელი ასანევია, როგორც სტალინისათვის ლენინის მემკვიდრეობის აწევა იყო... სტალინის სიკვდილის შემდეგ, ბერიამ, როგორც ეტყობა, წარმოიდგინა, რომ რაკი დიდი ჯაფშნოსანი გემი, რომელზეც მისი პატარა კატარღა იყო მიბმული, ჩაიძირა, მას შეეძლო მთელი ფლოტის ადმირალი გამხდარიყო და ის ნავსადგურში შეეყვანა. მაგრამ მან ანგარიში არ გაუწია ზოგიერთ ახალ მძლავრ პოლიტიკურ და მორალურ ფაქტორს. ამ ფაქტორთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რუსი ხალხის ეროვნული სიამაყის გრძობის გაძლიერება II მსოფლიო ომის მოგების შემდეგ. რუსი ხალხი, რომელიც სტალინის მის სიცოცხლეში ლენინის უახლოეს მეგობრად თვლიდა და თითქმის არც კი გრძობდა მის არარუსულ წარმოშობას, ბერიას არასოდეს აპატიებდა არც ლენინის გზიდან გადახვევას და არც მის მკვეთრ ქართულ-მეგრულ აქცენტს.

რადგანაც ბერიას არც ფართო შემოქმედებითი ჭკუა ჰქონდა და არც ზნეობრივი ავტორიტეტი, თუ ის შემთხვევით ხელი-სუფლები სათავეში მოექცეოდა, მოსალოდნელი იყო, რომ დაიწყებოდა სამოქალაქო ომი, რომელიც, ალბათ, საბედისწეროდ დამ-



თავრდებოდა ქართველი ერისათვის, ვინაიდან მას პასუხს აგებინებდნენ ბერიას ავანტიურისათვის. როგორც ცნობილია, ეს ავანტიურა ტრაგიკულად დამთავრდა თვით ბერიასთვის“ [7, 139-141].

საგულისხმოა, რომ გ. ქიქოძე ცდილობს, არც დადებითი და უკარგოს ლ. ბერიას, რომელსაც 1953 წლის ივნისის საბედისწერო დღის შემდეგ, მრავალი უსაფუძვლო ბრალდებაც წაუყენეს.

გ. ქიქოძე მიუთითებდა: „საბრალმდებლო ოქმის ავტორები ბერიას დანაშაულად უთვლიდნენ ერთი სამხედრო ღონისძიების მიღებას, რომელიც შეიძლება, ყველაზე გონიერი აქტი იყო იყო მის პოლიტიკურ მოღვაწეობაში. 1942 წლის მინურულში, როდესაც გერმანელების ჯარები კავკასიონის ქედს მოადგნენ, კავკასიის ფრონტზე, სტალინის დავალებით, ბერია ჩამოვიდა. მან გადააყენა რუსი სარდალი, რომელიც შეუჩერებლად უკან იხევდა და მის მაგივრად გენერალი ლესელიძე დანიშნა. ახალი სარდალი ენერგიულ შეტევაზე გადავიდა, მტრის ჯარი უკუაქცია და შორს სდია, სანამ თვითონ სასიკვდილოდ დაიჭრებოდა. საბრალმდებლო ოქმში ნათქვამი იყო, საჭირო არ იყო რუსი სარდლის შეცვლა ქართველით“ [7, 141-142].

ამრიგად, გ. ქიქოძემ თავის მემუარებში ლ. ბერიას ფრიად საყურადღებო შეფასება შემოგვინახა.

## **6. კანდიდ ჩარკვიანი**

საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე კანდიდ ჩარკვიანი (1906-1994) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1938-1952 წლებში ხელმძღვანელობდა. მან ამ პოსტზე ლ. ბერია შეცვალა.

კ. ჩარკვიანმა თავის ვრცელ მემუარებში საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო ლ. ბერიას შესახებ მსჯელობას.

ხსენებულ მოგონებებში ვკითხულობთ: „1937 წლის ივლისის შუა რიცხვებში მოულოდნელად ცკ-ში გამომიძახეს. ლ. ბერიამ დანიშნულ დროზე მიმიღო. ხელი არ ჩამოურთმევია, სავარძლიდანაც არ წამომდგარა, მხოლოდ მანიშნა — დაჯექითო. შემდეგ თვალეზში შემომხედა და რამდენიმე კითხვა მომცა: „პარტიაში რომელი წლიდან ხართ, კომკავშირელი თუ იყავით, პრესაში რამდენი ხანია მუშაობთ, ახლობლებიდან დაპატიმრებული ან ემიგრანტი ხომ არავინ გყავთო“.

კითხვებზე პასუხი გავეცი.

— „დაგანინაურებთ, „კომუნისტის“ რედაქტორად დაგნიშნავთ, ან ცენტრალურ კომიტეტში წამოგიყვანთ, ხომ თანახმა ხართ?“ — შემეკითხა დასასრულს ბერია.

უარი, ცხადია, არ მითქვამს“ [8, 102].

იმავე თვის 23 რიცხვში კ. ჩარკვიანი დანიშნეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილების გამგედ. პარტიულ სარბიელზე დანინაურების შემდეგ, იგი მოწმე გახდა, თუ როგორ დაუნდობლად უსწორდებოდა ლ. ბერია მისთვის არასასურველ პირებს, განურჩევლად ამ უკანასკნელთა დამსახურებისა. ყოველივე ამის შედეგად საქართველომ დაკარგა სხვადასხვა დარგის არაერთი მნიშვნელოვანი მოღვაწე, რომელნიც იმდროინდელი ინტელიგენციის ჭეშმარიტ ნალებს წარმოადგენდნენ. აუნაზღაურებელი ზიანი მიადგა ქართულ მეცნიერებას, კულტურას და ხელოვნებას.

კ. ჩარკვიანი იგონებდა: „ცენტრალური კომიტეტის აპარატში მისვლისთანავე მწვავედ ვიგრძენი დროის სუსხი. ბერიას მიერ წამოწყებული დაპატიმრებები ჩემთვის, ჯერ კიდევ რიგითი კომუნისტისათვის, ცნობილი იყო, მაგრამ არც მათს მასშტაბებზე, არც კონკრეტულ მიზეზებზე წარმოდგენა არ მქონდა... რეპრესიებმა საქართველოში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო. დღე ისე არ გავიდოდა, ცენტრალური კომიტეტის აპარატიდანაც ვინმე არ დაეჭირათ... ბერია ამ უაზრო დამსჯელი პოლიტიკით მეტწილად ანგარიშს უსწორებდა თავის პირად მოწინააღმდეგეებს და მისთვის საერთოდ არასასურველ ადამიანებს...

ხელოვნების დარგების, კინემატოგრაფიის, მხატვრული ლიტერატურის ნამდვილი თუ მოჩვენებითი მიღწევები ბერიას საკუთარი პრესტიჟის ასამალლებლად ესაჭიროებოდა და მათ მდგომარეობას თავისებურ ყურადღებას არ აკლებდა... „ყურადღების“ შედეგად ქართული კულტურის ფრონტი საკმაოდ შეთხელებულიყო. მას გამოკლებოდნენ დრამატული და საოპერო თეატრების დიდი მოღვაწეები... მხატვრული ინტელიგენციის ცალკეულ წარმომადგენელთა რეპრესირებამ შეურყია მას ხვალინდელი დღის რწმენა და მოუდუნა შემოქმედებითი ენერგია“ [8, 104-106].

თავის მემუარებში კ. ჩარკვიანმა გადმოსცა, თუ რა მიზეზით დაეძაბა მას ურთიერთობა ლ. ბერიასთან.

მოგონებებში ვკითხულობთ: „პირველ ხანებში ის ნდობით მეპყრობოდა, ცენტრალური კომიტეტის ბიურო ჩემს შეტანილ პროექტებს მცირე შესწორებებით ღებულობდა, მაგრამ არ გასულა დიდი დრო და შევამჩნიე, რომ ბერია ტყუილ-უბრალოდ მიხირდება. საილუსტრაციოდ მოვიტან ორ დამახასიათებელ შემთხვევას...

ერთ დღეს ბერიამ თავისთან მიხმო და კითხვით მომმართა:

— „შეარჩიეთ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი?“

— „ჯერჯერობით შესაფერი კანდიდატი ვერ გამოვძებნეთ, მაგრამ ვეძებთ და მოკლე დროში წარმოგიდგენთ“ .

— „ბენო გოგუას ხომ იცნობთ? დიდი ხანია ცენტრალურ კომიტეტში მუშაობს. სამმართველოს უფროსად უთუოდ გამოდგება“ .

გოგუას კარგად ვიცნობდი. მარქსიზმ-ლენინიზმის რიგითი ლექტორი იყო. ფართო ერუდიციაზე პრეტენზიებს არ აცხადებდა. ხელოვნებასთან, ჩემი დაკვირვებით, საერთო არაფერი ჰქონდა. მე ჩემს მოვალეობად ჩავთვალე გოგუას კანდიდატურისათვის აცილება მიმეცა. უნდა გენახათ, როგორ იფეთქა ბერიამ ამის გაგონებაზე. ის მაშინვე „შენობით“ მომართვაზე გადავიდა:

— „მაშინ ხელოვნება მარტო მე და შენ გვცოდნია“ , — იქუსა მან, — „სხვა არავინ ამ საქმისათვის არ გამოდგება. ღმერთმა უწყის, სად რა გისწავლია. თვითონ არავის არჩევ, სხვის შერჩეულს კი ინუნებ“ და სხვ.

მე აქ ვერ მოვიტან იმ უხეშ, შეურაცხყოფელ სიტყვებს, რომლებითაც ამ თავშეუკავებელი კაცის ლექსიკონი მსგავს შემთხვევებში უხვად იყო შეზავებული. მოულოდნელობისაგან გაოგნებული ვიდექი. მინდოდა თავი დამეცვა, მაგრამ სიტყვის შებრუნება კიდეც მეტ რისხვას გამოიწვევდა. ამის მონმე ცენტრალურ კომიტეტში არაერთხელ ვყოფილვარ. უხერხულობას ვგრძნობდი იმის გამოც, რომ კაბინეტში, ჩვენ გარდა, კიდევ ორი კაცი იყო — კომკავშირის მუშაკები — ა. მგელაძე და ა. მირცხულავა.

ბ. გოგუა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად დაინიშნა. მე კი ასეთი მოპყრობით თავს დიდად შეურაცხყოფილად ვგრძნობდი და მაშინდელ ვითარებაში რომ შესაძლებელი ყოფილიყო, სამუშაოს უთუოდ დავტოვებდი.

მეორე შემთხვევა, რომელიც ჩემთვის ასეთივე უსიამოვნებით დამთავრდა, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილეს მზადებასთან იყო დაკავშირებული. ვფიქრობდი და პრაქტიკაც ამას მონმობდა, საიუბილეო დღეების დასასრულისათვის უნდა შემდგარიყო რესპუბლიკის

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო კომისართა საბჭოსა და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის გაერთიანებული საზეიმო სხდომა. ეს იქნებოდა დღესასწაულის კულმინაციური პუნქტი და დასკვნითი ღონისძიება. შევიმუშავე ასეთი სხდომის მომზადების ღონისძიებები და წარუდგინე ბიუროს განსახილველად.

ჩემი მოკლე ინფორმაციის შემდეგ ბერიამ პროექტი გადაათვალიერა, მაგიდაზე დააგდო და იჭვნეულად შემომხედა:

— „ვისთან ერთად მოიფიქრეთ ასეთი სხდომის მოწვევა? ეს პროექტი ნაიღეთ და თქვენი ოჯახის წევრებს წაუკითხეთ! დიდი ხანია გადაწყვეტილი გვაქვს იუბილე თბილისის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომით დავამთავროთ. თქვენ კი, ღმერთმა იცის, რას გვთავაზობთ“ .

— „იუბილე ხომ საერთო-სახალხოა. ვფიქრობდი, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების საზეიმო სხდომით დამთავრება აჯობებდა“ .

— „ეტყობა, თქვენ საერთოდ ბევრს ფიქრობთ, იმაზედაც, რაც თქვენი საქმე არ არის. გააკეთეთ პროექტი, ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომა უნდა შედგეს“ .

ბიუროს წევრები ბერიას წინადადებას დაეთანხმნენ.

როცა სხდომის შემდეგ კაბინეტში დავბრუნდი და პროექტის შესწორებას შევუდექი, მხოლოდ მაშინ მივხვდი ბერიას განრისხების მიზეზს. იმ დროისათვის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრთა დიდი ნაწილი რეპრესირებული, ან ცენტრალური ორგანოების შემადგენლობიდან გარიცხული იყო. რასაკვირველია, ასეთი გაერთიანებული სხდომის მოწვევა ბერიას დამლუპველი პოლიტიკის თვალნათლივი დემონსტრაცია იქნებოდა. იმავე დროს, თბილისის საბჭოს დეპუტატთა მრავალრიცხოვან შემადგენლობას დანაკლისი არ შეემჩნეოდა და საზეიმო სხდომაც უფრო სოლიდურ, წარმომადგენლობით ხასიათს მიიღებდა. ასე ნიღბავდა ბერია საბჭოთა საზოგადოების წინაშე თავისი პოლიტიკის მიძიმე შედეგებს.

შემდეგაც უმართებულო შენიშვნები არ მომკლებია. მთავარი კი ის იყო, რომ ბერიამ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებების ყველა ძველი და ახალი გამგეები — მერკულოვი, მამულოვი, შარია, შეროზია, თოფურაძე — სსრკ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელებინა; არ დაგვასახელებს მარტო მე და რაფიელ კვიციანი. ამ ფაქტიდან ჩანდა, რომ ცენტრალურ კომიტეტში ჩვენ დიდი ხნით მუშაობა არ გვენერა“ [8, 107-110].

კ. ჩარკვიანის მოგონებებში აღნიშნულია, თუ როგორ მოულოდნელად განიშუბტა მისი დაძაბული ურთიერთობა ლ. ბერიასთან.

მემუარებში ვკითხულობთ: „1938 წლის იანვარში სსრკ პირველი მონვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია გაიმართა. ბერიას სესიიდან დაბრუნებისთანავე შევაძმნიე, რომ მისი დამოკიდებულება ჩემ მიმართ შეიცვალა: არავითარი უხეშობა, ხშირად სახელითა და მამის სახელით მომმართავს, დარეკვისთანავე მღებულობს. გაკვირვებული ვიყავი, მაგრამ მიზეზს ხომ არ ვკითხავდი.

მაღე ჩემთვის ყველაფერი გაირკვა. სესიაზე ვასო ეგნატაშვილიც იყო. მოსკოვში ყოველი ჩასვლისას ის ი. სტალინს უსათუოდ ინახულებდა. როცა დაბრუნდა, ვასო ჩემთან მოვიდა და მითხრა:

— „იცით, სტალინთან რომ ვიყავი, თქვენ გიკითხათ — გორელი ჩარკვიანებიდან ხომ არ არისო“ .

— „გორიდან არ არის, მაგრამ იმერლობის არაფერი ცხხია, ქცევითაც და ლაპარაკითაც ქართლელივით დინჯი-მეთქი“ , — ვუპასუხე.

გასაგები მიზეზით, მე აღარ ჩავეძიე იმას, თუ კიდევ რა ითქვა სტალინთან ჩემ შესახებ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ვასო მხოლოდ კარგად დამახასიათებდა: მაშინდელი ჩვენი ურთიერთობა ისეთი იყო, რომ გადააჭარბებდა კიდევაც ჩემ ქებაში. სტალინი კი... დაუინტერესებელ პირთაგან მიღებულ ცნობებს უფრო უჯერებდა, ვიდრე ოფიციალურ ინფორმაციას.

სტალინთან საუბარში ბერიას ლექსიკონი მოკლე იყო: — „არის, ამხანაგო სტალინ. სწორია, ამხანაგო სტალინ“ . ამაში დავრწმუნდი მოგვიანებით, მას შემდეგ, რაც სტალინის სახლში ფეხი შევედგი.

უეჭველია, ასეთივე შაბლონად ქცეული ლაკონური პასუხი წარმოითქვა იმ დღეებში კრემლის დიდ კაბინეტში ან კუნცევოს აგარაკზე, როცა სტალინი ჩემ გამო ბერიას ელაპარაკებოდა. შედეგმაც არ დააყოვნა. 1938 წლის 10 თებერვალს ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ცკ მესამე მდივნად ამირჩია... 31 აგვისტოს პარტიამ ახალი და მეტად მძიმე მოვალეობები დამაკისრა: საკავშირო კპ (ბ) ცკ პოლიტიბიუროს რეკომენდაციით საქართველოს კპ (ბ) პლენუმმა ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად ამირჩია... პირველი მდივნის პოსტზე 13 წელიწადი და 7 თვე დავეყვი“ [8, 110-111].

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ „გორელ ჩარკვიანებში“ სტალინი გულისხმობდა გორელი მღვდლის ქრისტეფორე ჩარკვიანის ოჯახს. კერძოდ, მისი ვაჟი — კოტე ჩარკვიანი, სასულიერო სასწავლე-

ბელში სწავლის პერიოდში, თავის უმცროს და-ძმასთან ერთად, ყმან-ვილ იოსებ ჯულაშვილსაც ამეცადინებდა ხოლმე. აქვე უნდა ითქვას, რომ თავის თანატოლებში ნიჭიერებით გამორჩეული იოსებ ჯულაშვილი სასულიერო სასწავლებელში სწორედ ქრისტიანულ ჩარკვიანის დახმარებით ჩაირიცხა.

სტალინის დედა — ეკატერინე გელაძე-ჯულაშვილისა (გარდაიცვალა 1937 წელს) იგონებდა: „ქრისტიანულ მღვდელი დიდი მოხერხებული და გაბედული კაცი გამოდგა. არავის არ ერიდებოდა. ჩვენი პატივისცემელი იყო, რადგან მე და ბესოს ჯვრისწერის დროს ეგ სობოროში მთავრად იყო... განცხადება თვითონვე დასწერა, ასე და ასე, ჩემი დიაკვნის შვილი (ბესო დიაკვნად გამოაცხადა) მეტად ნიჭიერი ყმანვილია და გთხოვთ, მიიღოთ თქვენდამი რწმუნებულ სასწავლებელშიო. გასჭრა“ [6, 64-67].

რაც შეეხება ზემოხსენებულ ვასილ ეგნატაშვილს, იგი იყო სსრკ-ის მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი 1938 წლიდან, უმცროსი ძმა სახელმწიფო უშიშროების გენერალ-ლეიტენანტ ალექსანდრე (საშა) ეგნატაშვილისა (1887-1948). მათი მამა — იაკობ ეგნატაშვილი იყო მეფე-მეფის სტალინის მშობლებისა — ბესარიონ ჯულაშვილისა და ეკატერინე გელაძისა [6, 53].

ასე, რომ ლ. ბერიას მიერ ათვალწუნებული კანდიდ ჩარკვიანის გადარჩენა და მისი სწრაფი კარიერული წინსვლა გარკვეულწილად განაპირობა სტალინის ბავშვობისდროინდელმა სიმპათიამ ჩარკვიანთა გვარის მიმართ.

კ. ჩარკვიანი გვანდის საყურადღებო ცნობას, თუ როდის შენიშნა მან სტალინის ეჭვი და უნდობლობა ლ. ბერიასადმი, რომელიც მანამდე მის ერთგულ ფავორიტად ითვლებოდა.

მოგონებებში ვკითხულობთ: „ჩემი დაკვირვებით, სტალინის დამოკიდებულება ბერიას მიმართ 1950-1951 წლებისათვის საგრძნობლად შეიცვალა. ეს მჟღავნდებოდა საქმიან შეხვედრებში და სტალინის აგარაკზე გაშლილ სასადილო მაგიდასთანაც, რომლის მონაწილე ჩვეულებრივად პოლიტიბიუროს წევრები იყვნენ. აშკარა იყო, სტალინს ბერიას ერთგულებასა და პოლიტიკურ პატიოსნებაში უკვე ეჭვი ეპარებოდა. ამას, ალბათ, ბევრი მიზეზი ჰქონდა...“

რეპრესიების განხორციელებისას ბერია, აშკარა, სტალინის წაყრუებისა და მხარდაჭერის იმედით, სრულიად დამოუკიდებლად მოქმედებდა. ის იმდენად გათამამებული იყო, რომ ზოგჯერ სტალინის

მეგობრებსა და ნაცნობებსაც არ ინდობდა. საილუსტრაციოდ მოვიტან შემდეგ ფაქტს.

ერთი შეხვედრისას, რომელსაც პოლიტბიუროს წევრებიც ესწრებოდნენ, სტალინი შემეკითხა:

— „დავით ონიაშვილს თუ იცნობდით“ .

— „პირადად არა, ამხანაგო სტალინ, მაგრამ ვიცნობდი, როგორც „კაპიტალის“ პირველი ქართული თარგმანის ავტორს“ .

— „იქნებ ბერიამ გვითხრას, რისთვის დაილუპა ეს ნიჭიერი, ხალხისათვის მეტად საჭირო კაცი?“

ბერია შეკრთა, მაგრამ არ დაიბნა:

— „უორდანიასთან, ემიგრანტ მენშევიკებთან ჰქონდა კავშირი ამხანაგო სტალინ, ტყუილად როგორ დავაპატიმრებდით“ .

— „მიხეილ ჯავახიშვილიც ჯაშუშად მონათლეთ, არა? თუ მონადომებდით, ყველაფერს გააკეთებდით“ .

— „მიხეილ ჯავახიშვილი პოლონეთის საელჩომ მოისყიდა, თვითონ აღიარა“ .

— „და თქვენ ეს გჯერათ? მეტი დაფიქრება იყო საჭირო. ბრალიც რომ ჰქონოდათ, უნდა დაგეძახათ, გაგეფრთხილებინათ. საქმის გამოძიებაც, ალბათ, რიგით გამოძიებულს ჩააბარეთ, კონტროლსაც არ უწევდით. იცოდეთ, მარტო ამ ორი მოღვაწის განუკითხავად დალუპვით თქვენ დიდი დანაშაული ჩაიდინეთ ქართველი ხალხის წინაშე“ .

მთელი ამ დიალოგის დროს ბერია ფერნასული იდგა და, ალბათ, მეტ წყრომას მოელოდა, მაგრამ მსუბუქი დატუქსვით გადარჩა“ [8, 664-665].

ვფიქრობთ, საყურადღებოა ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით მოქმედ სამინისტროში მომსახურეთა კ. ჩარკვიანისეული შეფასება, რომელშიც ვკითხულობთ: „ბერიას სკოლის ჩეკისტთა უმრავლესობას მაღალი მორალი არ მოეკითხებოდა. ისინი, როგორც წესი, ყველაფერს საკუთარი კარიერის თვალსაზრისით წონიდნენ. ჩემთვის მოულოდნელად, საბოლოოდ ასეთი აღმოჩნდა რუხაძეც. დროდადრო მას რაიმე ბოროტი აზრი აეკვიატებოდა და ჩემთან წინადადებით გამოცხადებოდა. მაგალითად, 1951 წლის ზაფხულში მან დამიყენა საკითხი საქართველოდან ყოფილი მენშევიკების ოჯახთა გადასახლების შესახებ...“

— „რა მიზანი აქვს ამ ღონისძიებას?“ — შევეკითხე.

— „ქართულ ემიგრაციას რესპუბლიკაში ბაზა გამოეცლება“ ,  
— მიპასუხა.

— „მაშ, თქვენთვის მუშაობის გასაადვილებლად ათიათასობით  
უდანაშაულო ქართველი კაცი ყაზახსტანში უნდა გადავასახლოთ?“

— „რა უშავთ, მათთვის სულ ერთი არ არის, აქ იქნებიან თუ ყა-  
ზახსტანში?“

ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავიდოდა“ [8, 673].

ზემოსხენებული რუხაძე იყო საქართველოს სსრ-ის სახელმწი-  
ფო უშიშროების მინისტრი 1948-1952 წლებში, გენერალ-ლეიტენანტი  
ნიკოლოზ რუხაძე (1905-1955), რომელიც 1952 წელს დააპატიმრეს და  
პატიმრობაში გარდაიცვალა [3, 300].

ამრიგად, კ. ჩარკვიანმა თავის ვრცელ მემუარებში საკმაოდ დი-  
დი ადგილი დაუთმო ლავრენტი ბერიას საქმიანობაზე, პიროვნულ თვი-  
სებებზე და მის მიერ გამოზრდილ ჩეკისტებზე მსჯელობას.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. აბაშიძე ირაკლი, ზარები ოცდაათიანი წლებიდან, ჯუმბერ თით-  
მერიას შესავალი წერილით, თბილისი, 2003.
2. დადიანი ბაბო, მოგონებათა დღიური, თბილისი, 2008.
3. დოლიძე ლევან, გენერლები საქართველოდან (საქართველოს  
გენერალიტეტის სამსაუკუნოვანი მატინე), თბილისი, 2003.
4. მალაქელიძე შალვა, მოგონებანი, წიგნში: „ქართველები გერმა-  
ნული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში“ , მასალები გამოსა-  
ცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქ-  
ტორ რცხილაძემ, თბილისი, 1994.
5. რობაქიძე გრიგოლ, ნაწერები, გამომცემელი — ლაშა ბაქრაძე.  
წიგნი V, შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები  
დაურთო ლალი ცომიაძემ, თბილისი, 2012.
6. სტალინის დედის მოგონებები. საქართველოს შინაგან საქმეთა  
სამინისტროს არქივი, თბილისი, 2012.
7. ქიქოძე გერონტი, თანამედროვის ჩანაწერები, თბილისი, 2003.
8. ჩარკვიანი კანდიდ, განცდილი და ნააზრევი, თბილისი, 2004.
9. ჩინჩილაკაშვილი ტრისტან, ბერია ლავრენტი პავლეს ძე, ენციკ-  
ლოპედია „საქართველო“ , ტ. I, თბილისი, 1997.
10. ჯავახიშვილი ნიკო, ლავრენტი ბერია თანამედროვეთა თვა-  
ლით, ყურნალი „ისტორიანი“ , №3 (27), თბილისი, 2013.



11. Залесский К., Империя Сталина. Биографический энциклопедический словарь, Москва, 2000.
12. Петров Н., Скоркин К., Кто руководил НКВД (1939-1941 гг.). Справочник. Под редакцией Н. Охотина и А. Рогинского, Москва, 1999.
13. Соколов Б., Судьба всеильного наркома, Москва, 2011.

### **Niko Javakishvili**

*Doctor of Historical Sciences, Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University, Chief scientist-researcher of the Modern and Contemporary History Department of the Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology*

### **Lavrenti Beria by the eyes of some his contemporary public figures**

#### **Summary**

The article reviews memoirs of some georgian public figures about Lavrenti Beria (1899-1953), who was leading the Communist party of Georgia in 1931-1938, as well as the District Committee of the Transcaucasian Communist party (after 1932); Lavrenti Beria was one of the prominent bodies of the USSR authorities in 1938-1953.

The aforesaid memoirs were authored by *Shalva Maghlakelidze* (1894-1976), major-general of Wehrmacht; emigree writer *Grigol Robakidze* (1880-1962); scientist *Simon Kaukhchishvili* (1895-1981); writer *Geronti Kikodze* (1885-1960); *Barbare (Babo) Dadiani* (1903-1999), persecuted by the Soviet regime and *Kandid Charkviani* (1904-1994).

ბოლოტიკა. საქრთაშთრისო  
ურთიერთობები

**გელა ირემაძე**

*საქართველოს ტექნიკური უნი-  
ვერსიტეტის დოქტორანტი*

**რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების  
გეოპოლიტიკური განზომილება**

ევროატლანტიკური რეგიონის ფარგლებში რუსეთ-ამერიკის ურთიერთობები ბოლო წლების მანძილზე შეიძლება ითქვას, რომ ნე-გატიურად ვითარდება განხორციელებული მეტოქეობითა და სხვადასხვა კონფლიქტებით. ვაშინგტონის ინიციატივები და მოქმედებები (ნატოს გაფართოება, სადაც იგეგმება ამერიკული რაკეტსანიინალმდეგო სისტემების განლაგება, დსთ-ს სივრცეში ეკონომიკური და პოლიტიკური გააქტიურება და სხვ.) რუსეთის მიერ განიხილება, როგორც პოლიტიკური გამოწვევა და ფასდება, როგორც საფრთხე მისი უსაფრთხოებისათვის.

ამასთანავე ევროატლანტიკურ რეგიონში რუსეთ-ამერიკის წინააღმდეგობები იკვეთება სამი ძირითადი მიმართულებით: პირველი ესაა წინააღმდეგობები ამერიკასა და ევროპას შორის, რომელიც თავს იჩენდა, განსაკუთრებით ბუშის ადმინისტრაციის დროს, პირველ ყოვლისა ეს არის ღირებულებითი ხასიათის განსხვავებები, ვაშინგტონის მიერ საერთაშორისო სამართლის უგულვებლყოფა, ამერიკული სპეცსამსახურების სხვადასხვა ოპერაციები, ძალადობა პატიმრებზე და ა.შ.

მეორე - წინააღმდეგობები „ძველ“ და „ახალ“ ევროპას შორის, მისდინ თუ არა აშშ-ს ინტერესებს უსიტყვოდ საერთაშორისო არენაზე და მესამეც უთანხმოება ევროპასა და რუსეთს შორის (განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ)...

ამერიკის ახალი ადმინისტრაცია ძალისხმევას არ იშურებს ჰარმონიული გახადოს ევროპელ მოკავშირეებთან, ასევე „ძველ“ და „ახალ“, ევროპასთან ურთიერთობა. ევროპელები ამას ენთუზიანით უყურებენ და ასე თუ ისე, მხარს უჭერენ მას, თუმცა უახლოეს პერსპექტივაში მათი ღია ფრონდირება არაა მოსალოდნელი. არც ისე დიდი ხნის წინ გერმანიამ და საფრანგეთმა, როგორც ცნობილია, მხარი

არ დაუჭირა ერაყში სამხედრო ოპერაციას. ევროპელი მოკავშირეებისაგან წამოსული იმპულსით ნაკარნახევი ამერიკის დამყოლი პოლიტიკიდან გამომდინარე, რუსეთს ევროკავშირთან თანამშრომლობის გაუმჯობესების გზით შეუძლია მიიღოს დამატებითი არხები აშშ-სთან ურთიერთობის სტიმულირებისათვის [7, 45].

ევროპული უსაფრთხოების პრობლემების კუთხით შეიძლება კიდევ უფრო გამოიკვეთოს აშშ-სა და რუსეთს შორის დაახლოების შესაძლებლობები. ბოლოდროინდელმა მოვლენებმა (კოსოვო, კავკასია) გამოააშკარავა ამ მიზნით შექმნილი დარეგულირების მექანიზმების არაადეკვატურობა. ამ პრობლემატიკის აქტუალობა უკვე აღიარებულია საერთაშორისო ურთიერთობების სულ უფრო ფართო ნრეების მიერ. პირველ ეტაპზე თუ რუსეთის წინადადებები და ინიციატივები კრიტიკულად აღიქმებოდა ან უყურადღებოდ რჩებოდა დღეს ევროპა და აშშ იჭერენ შედარებით ზომიერ პოზიციას. აქედან გამომდინარე არსებობს ალბათობა, რომ ვაშინგტონი შეეცდება სულ ცოტა შეარბილოს ზემოხსენებული წინააღმდეგობები ევროპელ მოკავშირეებთან „ნატოს ქოლგის“ კონცეპტუალიზაციის ან მოდიფიკაციის გზით, რათა განამტკიცოს ერთიანობა ბლოკის შიგნით [1, 19].

ევროატლანტიკურ რეგიონში რუსეთ-ამერიკის ურთიერთთანამშრომლობა მიზანმიმართული იქნება „შესაძლებლობათა ფანჯრის“, მაქსიმალურ გამოყენებაზე, რათა მოხდეს, არასასურველი ტენდენციების ნეიტრალიზება და მყარი ნიადაგის მომზადება შორეული პერსპექტივისათვის. იგი ორიენტირებული უნდა იყოს მსოფლიო განვითარებაზე და რუსეთსა და ევროპის პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცებაზე, რაც გულისხმობს ურთიერთდამოკიდებულებას, პირველ ყოვლისა, ეკონომიკის სფეროში და პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ ურთიერთობათა აქტივაციას. ეს იქნება მთავარი დამატებითი ბერკეტი ამერიკის ახალი ხელმძღვანელობის პოლიტიკაზე ზემოქმედებისათვის რუსეთის მიმართულებით.

რუსეთსა და დასავლეთს შორის განხეთქილების ვაშლად იქცა პოსტსაბჭოთა სივრცე (ბალტიისპირეთის გამოკლებით). აქ გონივრული იქნება ადეკვატური ვარიანტების მოფიქრება კონკრეტული ლოგიკის ცვლილებისათვის და კონფრონტაციული ურთიერთქმედების ლოგიკით. ცხადად თუ დაუკვირდებით 2008 წლის აგვისტოში რუსეთის პოლიტიკურ განაცხადს „ახლო საზღვარგარეთში“, მას შეუძლია შეავსოს იგი კონსტრუქციული ხასიათის შთამბეჭდავი აქციებით. შესაბამისი ნაბიჯები ამ გზაზე შეიძლება იყოს ორგვარი [1, 288].

ევროკავშირთან ურთიერთობის გონივრული მიმართულებაა შეთანხმება და ერთობლივი მოქმედებაც კი პოსტსაბჭოთა სივრცეში, განსაკუთრებით დაურეგულირებელი კონფლიქტებისა და პოტენციური არასტაბილურობის ზონებში, ცხადია, რუსეთის ფედერაციის ინტერესებიდან გამომდინარე. კონსტრუქციული ურთიერთქმედების გარკვეულ პოტენციალზე მეტყველებს კავკასიაში ომისშემდგომი დარეგულირების გამოცდილება. ამიტომ აუცილებელია ევროკავშირის „აღმოსავლეთის პროგრამისათვის„ ყურადღებით თვალყურის დევნება, რათა იმ შემთხვევაში თუ აქ რუსეთის გარეშე იქნება ისეთი გადანყვეტილებები მიღებული, რომელიც ზიანს მიაყენებს მის ნაციონალურ ინტერესებს, მიღებული იქნას სათანადო ზომები და წინ აღუდგეს ამგვარ მიმართულებას [1, 289].

თავად პოსტ-საბჭოთა სივრცეში ურთიერთობის თვალსაზრისით არსებობს მუდმივი ყურადღების მოთხოვნილება, მათ შორის ინფორმაციული სივრცის თვალსაზრისით. ოფიციალურად რუსეთს მკაფიოდ აქვს ჩამოყალიბებული ამ საკითხთან ურთიერთობის ძირითადი მიმართულებები. ტერიტორიული მთლიანობის გარანტიები, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა, ეთნიკური კონფლიქტების მშვიდობიანი გადანყვეტა, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომი ამ ყველაფრის საპირისპიროზე მეტყველებს.

რუსულ პოლიტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად ვაწყდებით მოსაზრებას, რომ მუდმივად უნდა იყოს გაცხადებული სსრკ-ს რაიმე ფორმით აღდგენაზე უარის თქმა, არავითარი სამხედრო ბაზები მეზობლის ტერიტორიაზე, არ უნდა მოხდეს ზენოლა ეკონომიკურ საკითხებთან, მიგრაციის და ტრანზიტის პრობლემებთან დაკავშირებით. რუსული პოლიტიკური აზრის მკვლევარები ხშირად უსვამენ ხაზს, რომ რუსეთისათვის „რეგიონის სახელისუფლებო გაგება„ არ ნიშნავს ბატონობისაკენ მიდრეკილებას, არამედ ეს არის მოთხოვნილება ისტორიულად ჩამოყალიბებული და დღეს არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, ჰუმანიტარული და სხვა თავისებურებებისა და აქტივობების გათვალისწინებაზე. მათი გამოყენება და განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ნებაყოფლობით და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობით, რომელშიც ჩართული იქნებიან პროცესის საგარეო მონაწილეებიც. რუსეთი არ ეცდება დომინირებას და წინ აღუდგება დომინირებისა და ჩარევის მცდელობას გარედან სხვა სახელმწიფოებისა და კავშირების მხრივ.

აშშ-მ შესაძლებელია შეცვალოს თავისი პოლიტიკა პოსტსაბჭო-თა ქვეყნების მიმართ და „რბილი ძალის„ გამოყენებით რუსეთი ჩრდილში მოაქციოს. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, რუსეთი გაითვალის-წინებს შესაძლო მარცხის შესაძლებლობას და მიმართავს ადეკვატურ ზომებს, რომელიც იქნება მრავალმხრივი. რუსეთი პოსტსაბჭოთა სივ-რცეს ბალტიისპირეთის გამოკლებით მიიჩნევს თავისი გავლენის სფე-როდ, თუმცა ამას ოფიციალურად არსად აცხადებს. ირიბად იგი აღნიშ-ნავს, რომ ამ სივრცეში მას აქვს თავისი ნაციონალური ინტერესები.

რუსეთის მიერ გაცხადებული მიმართულებები მნიშვნელოვა-ნია არა მარტო აქ განლაგებული სახელმწიფოებისათვის, რუსეთისათ-ვის პრიორიტეტულია „ევროპული ფაქტორის„ გათვალისწინება ნა-ტოს აღმოსავლეთით გაფართოების შესაჩერებლად. რუსული პოლი-ტიკური ელიტა მიიჩნევს, რომ ევროპელები პოზიტიურად მიუდგებიან დსთ-ს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარების საკით-ხებს და მონახავენ რუსეთთან ურთიერთობის გონივრულ გზებს.

ვფიქრობთ, აქ იკითხება ქვეტექსტი, რომ ეს გონივრული მიდ-გომა ნიშნავს დასავლეთის სახელმწიფოების მიერ დსთ-ს სივრცეში რუსეთის ეროვნული ინტერესების აღიარებას.

ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან პარტნიორული ურთიერთობები ევროკავშირსა და რუსეთს შორის შეიძლება ინვევ-დეს არა მარტო გარკვეულ დაფიქრებას, არამედ იგი იმავდროულად იქცეს რუსეთთან უფრო ფართო თანამშრომლობისა და ურთიერ-თქმედების სტიმულის მიმცემ ფაქტორად. ბოლო დროს განვითარე-ბული მოვლენები, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა ამ აზრს ამყარებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ობამას მმართველო-ბის წლები რუსეთთან დაახლოების მხრივ გამორჩეულია.

სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში რუსეთისა და აშშ-ს ორ-მხრივი თანამშრომლობა აუცილებლად იძენს მრავალმხრივ ფორ-მატს - რუსეთი-ნატო. თანამეგობრობის, რუსეთისა და ნატოს ფარ-გლებში ურთიერთობის გამოცდილება ნამდვილად იძლევა წონად პო-ლიტიკურ იმპულსს ორ სახელმწიფოს შორის, რომელსაც თავისუფ-ლად შეიძლება მოჰყვეს პრაქტიკული შედეგები. ბოლოდროინდელ ერთობლივ სამშვიდობო ოპერაციებს ევროპის ფარგლებს გარეთ შე-საძლებელია მოჰყვეს სამხმხრივი კონფიგურაციის ნატო-ევროკავში-რი-რუსეთი ჩამოყალიბება.

ურთიერთქმედების არსებული მექანიზმები ევროპის ქვეყნებთან და აშშ-სთან დსთ-ს ქვეყნებისათვის მიმზიდველ, მაგრამ არარეალისტურ

ამოცანად გამოიყურება. მისი რეალიზება უფრო შესაძლებელი იქნებოდა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციებისა და ნატოს ფორმატში. ამგვარ ინიციატივებს ჯერჯერობით არ მოჰყვა ინტერესი დასავლეთის ქვეყნების მხრიდან, მაგრამ გამორიცხული არ არის მომავალში მისადმი ინტერესი გამოიჩინოს აშშ-მ თუ საუბარი შეეხება ავღანეთის პრობლემის დარეგულირებაში კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას (კუხო ODKB) ორგანიზაციების ჩართვას ნატოს თანასწორი პარტნიორობის ფორმატში [4, 47].

ცალკე თემაა კრემლის მიერ ნამონეული ინიციატივა ევროპული უსაფრთხოების ახალი სისტემის შესახებ. დასავლეთის პოზიცია, ცხადია, ძალზე დიდადაა დამოკიდებული აშშ-ს პოზიციაზე. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ მოცემული პროექტის რეალიზაცია შეუძლებელია ამერიკის მხარდაჭერის გარეშე.

ვაშინგტონი, როგორც ჩანს შეეცდება იხელმძღვანელოს რამდენიმე იმპერატივით: არ გაუშვებს ხელიდან დიპლომატიურ ინიციატივას; დაუპირისპირებს რუსეთის ენერგეტიკულ სტრატეგიას არა ესკაპიზმს, არამედ რაღაც კონსტრუქციულ (ცხადია, ევროპულ სტანდარტებთან შესაბამის) წინადადებებს, რომელიც გარკვეულწილად შეზღუდავს მოსკოვის საგარეოპოლიტიკურ აქტივობას.

ევროპული უსაფრთხოების თაობაზე მონვეულ სამიტს ან კონცეფციას ამერიკის ადმინისტრაცია მხარს დაუჭერს. რუსეთმა მთავარია აქედან არასწორი დასკვნები არ გამოიტანოს. ერთის მხრივ არ უნდა მიიჩნიოს ეს, როგორც თანხმობა მის პოზიციასთან და მიდგომებთან. ბევრ კითხვებთან დაკავშირებით რუსეთი წააწყდება დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგობას და აქ აშშ ითამაშებს მთავარ როლს. მეორეს მხრივ, მან არ უნდა დაინახოს დასავლეთის მხრიდან შეუვალი და აბსოლუტურად მიუღებელი პოზიცია რუსეთის ნებისმიერ ინიციატივებთან დაკავშირებით.

რუსეთის სტრატეგიული ამოცანების წინაშე ობიექტურად წამოჭრილი თვალსაზრისით ყველაზე ცუდი ტაქტიკა იქნებოდა ხელი შეეშალა საერთოევროპული სამიტისათვის და შემდეგ გამდგარიყო გვერდზე. დეტალური საუბარი ევროპაში ახალი ვითარებისა და კონტინენტზე საერთაშორისო-პოლიტიკური სტაბილურობის შესახებ აუცილებელია და მზაობა ამაზე, ხოლო შემდეგ შესაბამისი ღონისძიებების გატარება, იქნებოდა უმნიშვნელოვანესი ელემენტი აშშ-რუსეთის კოოპერატიულ დღის წესრიგში ევროატლანტიკური მიმართულებით.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Отношения Россия-США-к новой повестке дня. под. ред. Юргенс И. Ю. Дынкина А. А., Арбатова А. Г., Москва, 2009.
2. ზ. კვეტენაძე, რუსეთის როლი და ადგილი გლობალურ გეოპოლიტიკაში, „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2 (8), თბილისი, 2009.
3. ზ. კვეტენაძე, რუსეთის საგარეო პოლიტიკა და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების საკითხი, ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (8), თბილისი, 2010.
4. Давыдов В. Ф., Россия и США: проблемы взаимодействия и укрепления режима нераспространения ядерного оружия, Москва, 1997.

**Gela Iremadze**

*Doctoral Student of Technical University of Georgia*

## **Russian-American Relations in the Euro-Atlantic Region**

### **Summary**

Russian-American relations within the framework of the Euro-Atlantic region are developing in a contradictory way. Washington's initiatives and actions (NATO's expansion to the east, deployment of missile defense systems, economic and political activation in the CIS area, etc.) are discussed by Russia as a political challenge and are assessed as a threat for its security. Nevertheless, Russian-American cooperation in this region is inevitable and it is based on the use of maximum capacity in order to neutralize adverse trends and base hard ground for further perspectives. It should be oriented towards development of the world and strengthening partner relations between Russia and Europe, which implies mutual interdependence first of all in the field of economy, as well as activation of political and humanitarian interactions.

საქართველოს ტექნიკური უნივერსი-  
ტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულ-  
ტეტის სტუდენტი

## ილაპი და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები

საერთაშორისო ურთიერთობებს, როგორც პოლიტიკური მეც-  
ნიერების ერთ-ერთ დარგს, უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს სა-  
ერთაშორისო სისტემაში, ვინაიდან იგი წარმოადგენს დამაკავშირებელ  
ხაზს მსოფლიო პოლიტიკურ სუბიექტებს შორის. სწორედ ამიტომ თა-  
ნამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში მას სულ უფრო დიდი მნიშვნელო-  
ბა ენიჭება. არსებობს საკითხთა გარკვეული წრე, რომლებსაც ძალუძთ  
გავლენა იქონიონ საერთაშორისო ურთიერთობებზე, ხოლო ამ გავლენ-  
ის მასშტაბები და ზემოქმედების ხარისხი აუცილებელ ანალიზს და  
კვლევას საჭიროებს. მათ შორის დიდი ადგილი უკავია **რელიგიურ**  
ფაქტორს. რელიგია იყო უდიდესი დატვირთვის მატარებელი და ჩვენი  
ქვეყანა ამის ნათელი მაგალითია. ისტორიული ქრონიკები გვაუწყებენ,  
რომ სხვადასხვა ეპოქებში სარწმუნოება გამოდიოდა საერთაშორისო  
ურთიერთობების წარმმართველ და ურთიერთდამაკავშირებელ ძა-  
ლად ერთმონაშენე ქვეყნებს შორის. რელიგიურ ნიადაგზე ხშირი იყო  
სახელმწიფოთა გაერთიანება და კონსოლიდაცია, განსაკუთრებით იმ  
შემთხვევაში როდესაც საფრთხის ქვეშ დგებოდა მათი საერთო ინტე-  
რესები. შეიძლება ითქვას, რომ რელიგია წარსულში ბევრად უფრო  
დომინანტურ როლს ასრულებდა საერთაშორისო ურთიერთობებში და  
ზეგავლენის მეტი ბერკეტი გააჩნდა. შემდგომმა ეპოქალურმა ვითარე-  
ბამ და პროცესებმა კი, რელიგიის პოზიციის შესუსტება გამოიწვია,  
რაც ურთიერთობათა და კომუნიკაციის უდიდესი განვითარებით იყო  
განპირობებული. მსოფლიომ განიცადა მენტალური ცვლილებები,  
მათ შორის რელიგიასთან მიმართებაში. რელიგიური დოგმების რღვე-  
ვამ და მისი პოზიციების შესუსტებამ, გასაქანი მისცა საერთაშორისო  
ურთიერთობებს განვითარების ახალ საფეხურზე გადასულიყო, თუმ-  
ცა რელიგიური ზეგავლენის ფაქტორის იგნორირება არ მომხდარა.

ყოველივე აღნიშნულთან დაკავშირებით, აუცილებელია გან-  
ვსაზღვროთ რელიგიისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართება, რაც  
თავისთავად ასახვას ჰპოვებს საერთაშორისო ურთიერთობებზე.



დადგენა იმისა, თუ რამდენად მასშტაბურია მათი ურთიერთკავშირი, საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ, თუ რამდენად ითვალისწინებს სახელმწიფო, თავისი სტრატეგიის შემუშავებისას რელიგიის ფაქტორს. ფაქტია, რომ რელიგია ხშირად იჭრება სახელმწიფოს მიერ სტრატეგიის შემუშავებაში და ერთგვარად „აიძულეს“ მას გაითვალისწინოს მისი პოზიცია თუ ინტერესი. უმეტეს შემთხვევებში, სახელმწიფო-რელიგიის ტანდემი ერთობლივი სტრატეგიით გამოდის საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე. ყოველივე თქმული აუცილებელს ხდის, განვსაზღვროთ ის რელიგიური მიმდინარეობები, რომლებსაც დღეს წამყვანი პოზიცია უკავია.

თანამედროვე მსოფლიოში არსებობს მრავალი რელიგია და რელიგიური მიმდინარეობა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე მათგანი ითვლის ათასწლეულებს და მათი გავრცელების მასშტაბებიც სხვებთან შედარებით, გაცილებით ფართოა. ესენია: იუდაიზმი, ქრისტიანობა, ბუდიზმი და ისლამი. მათ სხვანაირად „ძლიერ“ , აგრეთვე „დამკვიდრებულ, ტრადიციულ, მსოფლიო რელიგიებს“ უწოდებენ. რელიგიის დიფერენციაცია აუცილებელია, ვინაიდან ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ მიმდინარეობათა არსობრივ წინააღმდეგობებსა და ფუნდამენტურ განსხვავებებზე, რაც საშუალებას მოგვცემს, განვსაზღვროთ, მათი გავლენის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებზე, რადგან ხშირად მიიჩნევენ, რომ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნებს შორის ურთიერთობის განსაზღვრისას. ამ ოთხი რელიგიური მიმდინარეობიდან ყველაზე მკვეთრი, რადიკალური ნაბიჯებითა და მეთოდებით გამოირჩევა ისლამი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპისგან განსხვავებით, რელიგია არის მომწესრიგებელი სისტემა ისლამურ ქვეყნებში, მაშინ როდესაც დასავლეთში სეკულარიზებული და ლიბერალური ტრადიციით ერთმანეთს დაშორებულია სახელმწიფო და რელიგია. მიმდინარეობს კვლევა რელიგიის როლზე ქვეყნებს შორის ურთიერთობებში და ერთხმად აღიარებენ, რომ მას ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს საერთაშორისო სისტემის ზოგიერთი ასპექტი. რიგ შემთხვევაში, შეიძლება, სახელმწიფოს გაძლიერებაში დადებითი როლი ითამაშოს, ხოლო რიგ შემთხვევაში კი - პირიქით. კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში რელიგია იყო და არის საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი, შემადგენელი ელემენტი. ის არის უმნიშვნელოვანესი სოციალური ინსტიტუტი, რომელიც შეიცავს სოციალური სისტემის ნორ-

მებს, ღირებულებებს, ჩვეულებებს, რწმენას, რიტუალებს და, რაც მთავარია, ქცევის სტანდარტებს. ის ზემოქმედებს სახელმწიფოსა და პოლიტიკაზე, ეროვნებათაშორის ურთიერთობებსა და ეკონომიკაზე, საზოგადოებასა და ოჯახებზე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოქმედების ხარისხი ცვალებადია და ყველა ეპოქისთვის ის სხვადასხვაგვარი იყო. ისლამი განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს ახლო აღმოსავლეთში, სადაც პოლიტიკა საკუთარ იარაღად იყენებს რელიგიას და პირიქით. ეს რეგიონი ცნობილია, როგორც მონოთეისტური რელიგიების სამშობლო, რომელსაც კაცობრიობის 2/3 მიმდევარი ჰყავს და სადაც მდებარეობს იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის წმინდა ადგილების უმრავლესობა [1, 34-56]. მუსულმანების მენტალური დამოკიდებულება სარწმუნოებასთან ძალზე დიდია, ისლამი საერთოდ არ მიჯნავს საერო და სასულიერო სფეროს ერთმანეთისგან. მაშინ როდესაც ქრისტიანობა გვკარნახობს: „მიეცი კეისარს კეისრისა და ღმერთს ღვთისა“ . ისლამის მიმდევრებისთვის რელიგია ცხოვრების წესია და მისგან რაიმე ფორმით გადახვევა დაუშვებელია. მაჰმადიანები მტკიცებულად აღიქვამენ ისლამური სარწმუნოების რამენაირი ფორმით დაკნინებას და ამგავრი ფაქტის არსებობის შემთხვევაში, რადიკალური მეთოდებით გამოთქვამენ თავიანთ უკმაყოფილებასა და აღმფოთებას, რაც შემდგომ მყისიერად აისახება და გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე. ამის ნათელი მაგალითია ფრანგულ ჟურნალში გამოქვეყნებული მუჰამედის კარიკატურა, რომელსაც მთელი მუსულმანური სამყაროს უმძაფრესი რეაქცია მოჰყვა. დაიძაბა ურთიერთობები საფრანგეთთან და ჟურნალის რედაქციაზე განხორციელდა თავდასხმა. ყოველივე ამან გაამწვავა მუსულმანური ქვეყნებისა და საფრანგეთის ურთიერთობა. კარიკატურის გამოქვეყნების გამო მოეწყო საპროტესტო აქციები და რადიკალური მუსულმანური ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან გაისმა მუქარა.

მუსულმანურ ქვეყნებში რელიგია და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული. სხვაგვარად მას შეგვიძლია ვუნოდოთ პოლიტიკური ისლამი, რომელიც განსაზღვრავს, რომ ყურანსა და ჰადისებში მოცემულია ყველაფერი იმაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს საზოგადოება და მმართველობა. ის თანდათანობით მძლავრ იდეოლოგიურ ძალად ყალიბდება ახლო აღმოსავლეთში [2, 19-28]. სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთკავშირის ყველაზე ნათელი მა-

გალითია, ირანის ისლამური რევოლუცია, რომელიც 1979 წელს მოხდა. დაემხო მონარქია და ირანში შეიქმნა ისლამური რესპუბლიკა. რევოლუციას ირანის სულიერი მამა აიათოლა ხომეინი ხელმძღვანელობდა. გარდაქმნამ, რომელიც ქვეყნის შიგნით განხორციელდა, გამოძახილი საგარეო პოლიტიკაზეც ჰპოვა და ირანის საგარეო პოლიტიკური კურსი გამოიხატა ფრაზით: „არც დასავლეთი და არც აღმოსავლეთი“. ირანელების მტრად გამოცხადდა ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის საელჩოს 52 თანამშრომელი რადიკალურმა მუსლიმმა სტუდენტებმა მიქველად აიყვანეს და მხოლოდ 15 თვის შემდეგ გაანთავისუფლეს. ირანის მტრად გამოცხადდა ასევე საბჭოთა კავშირი. ხომეინი ყველა ისლამურ ქვეყანას გაერთიანებისაკენ მოუწოდებდა, რამაც ირანის მეზობელი ქვეყნები შეაშფოთა. განსაკუთრებით გართულდა ირან-ერაყის ურთიერთობა, რაც 1980 წელს ომში გადაიზარდა. ეს ომი ორივე მხარისთვის ძალზე სისხლიანი იყო, დაიღუპა ნახევარი მილიონი ადამიანი და დასრულდა 1988 წელს გაეროს უშუალო შუამავლობით. საზავო ხელშეკრულება დაიდო 1990 წელს [3, 56-64]. ისლამიზაციამ ქვეყნის ეკონომიკას არ უშველა და მან ვერავითარი პროგრესი ვერ განიცადა. ხომეინის გარდაცვალების შემდეგ ურთიერთობა მოგვარდა საბჭოთა კავშირთან, მათ შორის საქართველოსთანაც. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ირანში ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ინტერესები, ისლამის ინტერესების პირდაპირპროპორციულია.

თანამედროვე ეტაპზე ხშირად გაისმის ფრაზა: „პოლიტიკური ისლამი“, რაც უჩვეულოა, თუმცა არა მუსულმანისათვის, ვინაიდან მათთვის რელიგია განუყოფელია სახელმწიფოსგან, პოლიტიკისგან, ადამიანის ცხოვრების წესისგან. ყოველივე ეს კი, ბუნებრივია, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საგარეო-პოლიტიკურ კურსსა და მიმართულებებზე. სწორედ ამიტომ არის საინტერესო, ისლამის ყოველმხრივ განხილვა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, გამოვიტანოთ მყარი დასკვნები, ისლამის, როგორც რელიგიის, გავლენაზე საერთაშორისო ურთიერთობების კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ ისლამის პოლიტიზაცია განხორციელდა მხოლოდ უკანასკნელ ათწლეულებში, მას შემდეგ, რაც საუბარი დაიწყო „პოლიტიკურ ისლამსა“ თუ „ისლამურ რადიკალიზმზე“, აგრეთვე „ისლამურ ფუნდამენტალიზმზე“. რეალურად ფუნდამენტალიზმი არ არის პოლიტიკური რადიკალიზმი, ან ექსტრემიზმი და არ შეიძლება ჩაითვალოს ტერორიზმის უშუალო მიზეზად, რისი მოსმენაც ყოველდღე გვიხდება. ფუნდამენტალიზმი

არის მონოდება ერთმორწმუნეებისადმი, დაუბრუნდნენ რწმენის სა-  
თავეებს, რომელიც შებლალულ იქნა განდგომილთა და საზოგადოე-  
ბის სათავეში მდგომთა კორუმპირებულობისა და სხვა სიბილწეთა ჩა-  
დენის გამო. ისლამური ფუნდამენტალიზმი აგრესიულობით ხასიათ-  
დება, რომელიც ყველაზე წინ აყენებს „ჯიჰადის“ პრინციპს. „ჯიჰადი“  
არის ძალისხმევა, რომელსაც მიმართავს მუსულმანი როგორც საკუ-  
თარი რწმენის დასაცავად, ისე სრულყოფილებისათვის, განუხრელად  
ასრულებს რა წინასწარმეტყველ მუჰამედის მცნებებს რადიკალიზ-  
მის მიმდევართათვის. ჯიხადი არის მატერიალისტური, დასავლური  
საზოგადოების წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის აუცილებლობა,  
რომელიც არ გამოირიცხავს შეიარაღებულ კონფლიქტსაც. ყოველივე  
ამის ფონზე, შეიძლება ითქვას, რომ რელიგია ამ შემთხვევაში არის  
საერთაშორისო პოლიტიკისა და ურთიერთობების მაპროვოცირებე-  
ლი მწვავე ფაქტორი.

XXI საუკუნის უდიდეს გამოწვევას და უმსხვილეს პრობლემას  
წარმოადგენს ტერორიზმი, რომელიც სულ უფრო ფართო მასშტა-  
ბებს იძენს. როგორც ცნობილია, მეცნიერები გამოყოფენ ტერორიზ-  
მის რამდენიმე სახეობას: იდეოლოგიური, ეთნიკური, კრიმინალური,  
ინფორმაციული და მათ შორისაა **რელიგიური ტერორიზმი**, რომელ-  
საც ახორციელებენ რელიგიური დაჯგუფებები და გამოირჩევიან  
განსაკუთრებული ფანატიზმით. მაგალითად: **ჰესბოლა, ჰამასი, ალ-  
ქაიდა**. ამ უკანასკნელის სახელს უკავშირდება საყოველთაოდ ცნო-  
ბილი 2001 წლის 11 სექტემბრის ყველაზე მასშტაბური ტერორისტუ-  
ლი აქტები, როდესაც ალ-ქაიდას ტერორისტებმა თავდასხმა განა-  
ხორციელეს მსოფლიო სავაჭრო ცენტრსა და პენტაგონზე. ყოველივე  
ამან კი გლობალური ხასიათი შესძინა ისლამურ ტერორიზმს. ფუნდა-  
მენტალიზმის სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ საფუძველზე წარმოქ-  
მნილი ისლამური ტერორიზმი ებრძვის არა იმპერიალიზმს, როგორც  
თავად ირწმუნებიან, არამედ დასავლურ ცივილიზაციას, რასაც მრავალი  
უდანაშაულო ადამიანი ეწირება [4, 38-43].

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა კაცობრიობას და  
მსოფლიოს საერთაშორისო საზოგადოებას დაანახა ის უდიდესი საფ-  
რთხე, რომელიც ისლამური ტერორიზმიდან მოდის. ამ მოვლენების  
ლოგიკური გაგრძელება იყო ის ღონისძიებები, რომელიც გატარდა  
ავღანეთში, თალიბანსა და ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის დასამხო-  
ბად, თუმცა აღნიშნულ ღონისძიებებს ტერორისტული აქტების რაო-  
დენობა არ შეუმცირებია.

ადამიანები, რომლებიც ტერორისტული აქტების ორგანიზატორები თუ შემსრულებლები არიან, თავიანთ თავს მუჯჯაჰიდებს უწოდებენ და თვლიან, რომ მათ შეასრულეს წმინდა რელიგიური მისია — ჯიჰადი. უნდა აღინიშნოს, რომ ჯიჰადის არსებობას ისლამში არავინ უარყოფს, თუმცა აქ ადგილი აქვს რელიგიური პრინციპების ინტერპრეტირებას საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ, რაც ისლამს, როგორც რელიგიას უდიდეს ზიანს აყენებს და ხშირად მის ტერორიზმთან გაიგივებას იწვევს.

ყოველივე აქედან გამომდინარე, რელიგიური ტერორიზმი შეგვიძლია განვიხილოთ რელიგიურ კონტექსტში, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებზე უაღრესად ნეგატიურ გავლენას ახდენს. მოვლენა, რომელიც უდიდეს ზიანს აყენებს არა მხოლოდ დასავლურ ცივილიზაციას და სამყაროს, არამედ თვით ისლამურ ქვეყნებს და უპირველესად მუსულმან ხალხს.

რელიგიის უზომოდ დიდი როლი სახელმწიფოს ცხოვრებაში, სახელმწიფოსა და რელიგიის არაბალანსირებული ურთიერთობა, საერთაშორისო ასპარეზზე ურთიერთობათა დეფიციტს და წინააღმდეგობებს წარმოშობს. ფანატიკოსი ტერორისტები ყველაზე ნაკლებად დაგიდევენ ისლამის „განწმენდას“. მათი სიძულვილი დასავლეთისადმი, უპირველეს ყოვლისა კი ამერიკისადმი, როგორც რელიგიური, ისე კულტურულ-ცივილიზაციური, ფსიქოლოგიური და გეოპოლიტიკური ხასიათის განსხვავებებით არის განპირობებული.

ცხადია, პრობლემა ძალზე მასშტაბურია და საერთაშორისო ურთიერთობები ამით ყველაზე მეტად ზარალდება. რელიგიური ფაქტორი, რომლითაც მუსლიმების პოლიტიკა არის გაჯერებული, დასავლეთში და განვითარებულ ქვეყნებში უნდობლობას და არაერთგვაროვან დამოკიდებულებას წარმოშობს. მთავარი პრობლემა კი მდგომარეობს იმაში, რომ ისლამი პოლიტიზირებულია. აუცილებელია ბალანსი რელიგიასა და პოლიტიკას შორის იყოს აღდგენილი და მუდმივად დაცული, რადგან რელიგია საერთაშორისო ურთიერთობებზე გავლენას ახდენს მაშინ, როცა არ არსებობს მკაცრი გამიჯვნა და დიფერენცირება ამ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს შორის. რელიგია მხოლოდ უნდა ანეიტრალდეს და დადებითი ასპექტით მოქმედდეს მსოფლიო პოლიტიკაზე. უნდა გამოდიოდეს არა რელიგიათა, სარწმუნოებათა შორის განხეთქილების და შუღლის მაპროვოცირებელ ფაქტორად, არამედ განსხვავებული მრწამსის პირობებ-

შიც კი, სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხთა მშვიდობიანი და ჰარმონიული თანაცხოვრების გარანტიად.

ბოლო პერიოდში მოწმენი ვხდებით, რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი დაპირისპირების ფაქტებისა. „მარშის სეზონმა“ ჩრდილოეთ ირლანდიაში ძალადობრივი ინციდენტები გამოიწვია კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის, რამაც სამშვიდობო პროცესსაც შეუქმნა საფრთხე. ებრაელები და პალესტინელები იერუსალიმის წმინდა ადგილების გამო იბრძვიან ქრისტიანული და მუსულმანური თაყვანისცემის ადგილების დაუფლებისათვის. ბელგიურმა სასამართლომ, ორი კათოლიკე მონაზონი დამნაშავედ სცნო, რუანდას გენოციდში მონაწილეობის გამო. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შემფოთება სულ უფროდაუფრო იზრდება. მათი საქმიანობა მიმართულია იმისკენ, რომ რელიგიურ ნიადაგზე აღმოცენებული ძალადობრივი ტენდენციები შემცირდეს. საჭიროდ მიიჩნევენ რელიგიის განდევნას პოლიტიკიდან, საჯარო ცხოვრებიდან, ხოლო რელიგიის თავისუფლების მიმართ მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები, მხოლოდ ტრადიციულ, დიდი ხნის წინათ დაფუძნებულ რელიგიებთან მიმართებაში უნდა არსებობდეს. ცხადია, ამდაგვარი მიდგომა სრულებით არ შეუწყობს ხელს, კონფლიქტების შემცირებას, პირიქით—არსებობს იმის ალბათობა, რომ ასეთი დამოკიდებულება მის რაოდენობას უფრო გაზრდის. საკითხისადმი სწორი და თანმიმდევრული დამოკიდებულება, პრობლემის მოგვარების საფუძველია. უპირველეს ყოვლისა რელიგია და რელიგიური განსხვავებები არ უნდა გავაიგივოთ მხოლოდ წინააღმდეგობებთან, არამედ რელიგია უნდა მივმართოთ კონფლიქტის პრევენციისაკენ, ვინაიდან მას აქვს შესაბამისი რესურსი და შესაძლებლობა, გამოდიოდეს და იყოს მშვიდობის, ჰარმონიული თანაცხოვრების ფუნდამენტური საფუძველი.

რელიგიის კონფლიქტებთან და ძალადობასთან ასოცირება, უპირველეს ყოვლისა, განპრობებულია იმით, რომ ბოროტად იყენებენ რელიგიურ ფაქტორს, ხდება რელიგიის მორგება საკუთარ ინტერესებსა თუ შეხედულებებთან. არც ერთი რელიგია არ ქადაგებს ძალადობას და მისი მიზანი არ არის კონფლიქტების წარმოშობა-გაღვივება.

აქვე მინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ პოზიტიურ როლზე, რომელსაც რელიგია ასრულებს საერთაშორისო კონფლიქტების რეგულირების თვალსაზრისით. მაგალითად საქართველო, რომელიც საუკუნეების განმავლობაში აღმოსავლეთში ქრისტიანობის გოდო-

ლად ითვლებოდა და რომლის მთელი ისტორია უცხო რჯულის დამყრობლებისგან სარწმუნოების და მამულის დაცვაზე მოგვითხრობს, არ შეიძლება თავისუფალი იყოს რელიგიის გავლენისაგან. ჩვენთან რელიგია ფიგურირებს აბსოლუტურად ყველა სფეროში და მათ შორის არც პოლიტიკაა მისი გავლენისგან თავისუფალი.

საყოველთაოდ ცნობილი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, როდესაც რუსულმა არმიამ საქართველოს ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია განახორციელა, დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთსა და საქართველოს შორის შეწყდა. პოლიტიკური ვითარება დღემდე არასტაბილური და მერყევა. განსაკუთრებით ტრაგიკულია ის ფაქტი, რომ რუსეთმა აღიარა ე.წ. „სამხრეთ ოსეთისა“, და აფხაზეთის დამოუკიდებლობა და ამით კონფლიქტი კიდევ უფრო გაამწვავა.

ამ ფონზე მკაფიოდ იკვეთება სარწმუნოების როლი და მნიშვნელობა ორ ქრისტიანულ ქვეყანას შორის. მართლმადიდებლობა იქცა ერთადერთ დამაკავშირებელ გზად რუსეთთან. ამის ნათელი მაგალითია ის გარემოება, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ეპარქიებს რუსული ეკლესიის შემადგენლობაში მიღებაზე უარი განუცხადა. რუსეთის იმჟამინდელმა პატრიარქმა ალექსი II-მ მხარი დაუჭირა საქართველოს ეკლესიის მთლიანობას და განაცხადა, რომ პოლიტიკური გადანწყვტილებები საეკლესიო იურისდიქციაზე გავლენას ვერ მოახდენდა.

რუსეთის საპატრიარქო საქართველოს კანონიკური ეკლესიის მთლიანობას აღიარებს, რაზეც საკუთარი პოზიცია არაერთხელ დაუფიქსირებია, ისინი ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ეკლესიებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენელ ნაწილად განიხილავენ.

ფაქტია, რომ რელიგია ადამიანთა მენტალობაზე ხშირად უარყოფით გავლენას ახდენს, ამ შემთხვევაში ლაპარაკია რელიგიურ ფანატიზმზე, რომელიც ახშობს რელიგიის როლს და მნიშვნელობას, აკნინებს და ავიწროებს, ცვლის რელიგიის არსს, მის ფუძემდებლურ პრინციპებს და მოწოდებას, იყოს მსოფლიოს ხალხთა მშვიდობის სადარაჯოზე. ცხადია, რომ საერთაშორისო ურთიერთობები რთული ფენომენია, გამომდინარე მასში მონაწილე სუბიექტების რაოდენობითა და განსხვავებებით. განსხვავებული ცივილიზაციები, ხალხთა მენტალური და კულტურულ-ფსიქოლოგიური განსხვავებები, ხშირად საერთაშორისო ურთიერთობაში მონაწილე ქვეყნებს შორის „ცილილიზაციათა შეჯახებას“ იწვევს.

მშვიდობიანი თანაარსებობის მისაღწევად, რელიგია არ უნდა განიცდიდეს პოლიტიზაციას, არ უნდა იყოს აგრესიის იარაღი და არ უნდა ასოცირდებოდეს ძალადობასთან. თუმცა, ისლამში ხშირად აქვს ადგილი მისი პრინციპების და ცნებების არასწორ ინტერპრეტაციას, რაც შემდგომ საფუძვლად უდევს ისლამურ ტერორიზმს, რომელიც მთელი თავისი ძალით, იდეოლოგიით მიმართულია დასავლური სამყაროსკენ. ყოველი ტერორისტული აქტი არის არა მხოლოდ მწვავე დარტყმა საერთაშორისო ურთიერთობებზე, არამედ ეს კიდევ უფრო მეტად აშორებს ისლამურ სამყაროს ცივილიზებულ მსოფლიოსთან და ურთიერთობების რეგულირება სულ უფრო და უფრო რთული ხდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ვარაუდი, რომ რელიგია უნდა გამოიყენოს საჯარო პოლიტიკიდან, უნდა მოხდეს მკაცრი საზღვრის დანესება ამ ორ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს შორის. ამგვარი მიდგომა არასწორია. რელიგია კი არ უნდა გამოიყენოს პოლიტიკიდან, არამედ უნდა მოხდეს სახელმწიფოსა და რელიგიას შორის ურთიერთმიმართებების ზუსტი და მკაფიო ბალანსირება. სახელმწიფომ თავისი სტრატეგიის შემუშავებისას ზომიერად უნდა გაითვალისწინოს რელიგიური ფაქტორი და ინტერესები, მაგრამ ამავდროულად გამოიყოს იგი, როგორც ცალკე ინსტიტუტი.

ზემოთაღნიშნულმა ფაქტებმა, ცხადად დაგვანახა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებზე რელიგიის როლი და გავლენა უმეტესწილად ნეგატიურია. იგი სულ უფრო ხშირად გვევლინება კონფლიქტების წარმოშობის საფუძვლად. როდესაც ვსაუბრობთ ორ უდიდეს ქრისტიანულ და მუსულმანურ სამყაროზე, ცხადია რომ რელიგიური ექსტრემიზმი უფრო მეტად მუსულმანური ქვეყნებისათვის არის დამახასიათებელი. თუმცა ისლამის გაიგივება ტერორიზმთან დაუშვებელია. მედიასაშუალებებით კი ასეთი შეფასებები სულ უფრო ხშირია, რაც გვაძლევს იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ ისინი ნაკლებად იცნობენ ისლამს და მის რეალურ პრინციპებს.

დაბოლოს, უნდა მოხდეს იმის ნათელი გათავისება, რომ რელიგია ეს ჩვენი შინაგანი მრწამსია, ჩვენი სულიერი სამყარო, ჩვენი კავშირი არამინიერ არსთან და იგი არ შეიძლება ბოროტებას და ძალადობას ემსახურებოდეს. მითუმეტეს, რომ ისლამის ქეშმარიტი მცნებაა: **„ლა იქრა ჰაფიდ დინნი“** - არავითარი ძალადობა სარწმუნოებაში.



## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Sivan, International Relations.
2. Fuller international Relations, San Francisco, 2002.
3. რევაზ გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი, თბილისი, 2002.
4. ზურაბ აბაშიძე, ცივი ომი, თბილისი, 2009.
5. Кулагин В. М., Международная безопасность, Москва, 2006.

**Tamriko Antia**

*Student of the Georgian  
Technical University*

### **Islam and International relations**

#### **Summary**

Religion is complicated phenomenon, which affects all spheres of human life and direction. Particularly important for its role in international relations and the pivotal role of Islam and the Islamic world is essential. Islamic principles are based on variety of problems emerged undermining world peace. A clear examole of this is terrorism, which is in the twenty first century's biggest challenge. that is why the Islamic world is my actual work. Define the role and influence of religion in the international system is the main goal of this thesis. Religion and human relations, Islam, Islamic World and West, we will discuss about these issues in this topic

საქართველოს ტექნიკური უნივერსი-  
ტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულ-  
ტეტის დოქტორანტი

## რელიგია (ისლამი) და ტერორიზმი

ტერორიზმზე მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი რამ ითქვა და დაინერა, ტერორიზმს იკვლევდა და იკვლევს არაერთი მეცნიერი, თუმცა მაინც ვერ მოხერხდა ტერორიზმის, როგორც სოციალურ - სამართლებრივი მოვლენის, ერთიანი, ყველასათვის მისაღები განსაზღვრების შემუშავება.

სწორედ ამ ერთიანი განსაზღვრების არარსებობის გამო ხდება, რომ თუ საზოგადოების ერთი ნაწილისათვის გარკვეული ჯგუფი ტერორისტულია, მეორე ნაწილისათვის ეს რელიგიური, ეროვნულ-ნაციონალური ან სოციალური უფლებებისათვის მებრძოლი ჯგუფია.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ტერორიზმის ახალი სახით — რელიგიური ტერორიზმით, ჩამოყალიბების ხანა. რელიგიური ტერორიზმი — როცა ერთმანეთს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები უპირისპირდებიან და ხდება ერთი რელიგიური სარწმუნოების წარმომადგენელთა მიერ მეორე სარწმუნოების მიმდევართა დაშინება ძალადობის გზით.

ფუნდამენტალიზმის სარწმუნოებრივ-იდეოლოგიურ საფუძველზე წარმოქმნილი ისლამური ტერორიზმი ებრძვის არა იმდენად იმპერიალიზმს, არამედ მოსახლეობასა და დასავლურ ცივილიზაციას.

ტერორიზმის საფრთხეს, ამერიკელი მკვლევარი აშშ-ს საერთაშორისო ტერორიზმის კვლევითი ინსტიტუტის ყოფილი ხელმძღვანელი იოზეფ ალექსანდერი შემდეგნაირად აფასებს: „ჩვენ შევდივართ ტერორიზმის უნიკალურ ეპოქაში, რომელმაც შეიძლება მთლიანად დღევანდელი საზოგადოება აქციოს მის პოტენციურ მსხვერპლად“.

ხშირად რელიგიურ ტერორიზმს საფუძვლად პოლიტიკური მოტივებიც უდევს. ეს ხდება მაშინ, როცა ამა თუ იმ რელიგიის აღმსარებელი ხალხი კარგავს ან ვერ მოიპოვებს პოლიტიკურ სტატუსს და მონინააღმდეგეზე ძალადობით, მისი დაშინებით ცდი-

ლობს მიზნის მიღწევას. მაგალითად, ისრაელში პალესტინელი არაბებისა და ებრაელების დაპირისპირება რელიგიურ-პოლიტიკური ხასიათისაა [2, 65].

რელიგიური ტერორიზმის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ, რელიგიურ ნიადაგზე და კონკრეტულად, ისლამზე დაყრდნობით აღმოცენებული ტერორიზმი. მისი სულიერი ლიდერი ახლო წარსულში შეიხი ომარ აბდულ რაჰმანი იყო, შემდეგ კი მათი სულიერი მამა მდიდარი არაბული ოჯახის წევრი, მილიონერი უსამა ბენ ლადენი გახდა.

რადიკალ-ისლამისტთა ბუნდოვანი მოტივები მიზანში იღებენ ყველას, ვინც კი ოდნავ მაინც შეენინა აღმდეგება მათ აგრესიულ პოლიტიკას (მათ შორის ზომიერი მუსულმანური ქვეყნების მთავრობებსაც). „ალაჰის ნების“ აღსასრულებლად ისლამისტ-ფუნდამენტალისტებს ტერორიზმი ყველაზე მძლავრ იარაღად მიაჩნიათ. ისინი ამ გზით ცდილობენ დასაჯონ, შეაშინონ დასავლეთის ქვეყნები და შთააგონონ მუსულმანურ სამყაროს, უარი თქვან დემოკრატიულ ფასეულობებზე.

რელიგიური ტერორიზმის სათავეები შორეული ისტორიული წარსულიდან იღებს სათავეს, ზოგიერთი რელიგიურ-ტერორისტული ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მათ უნდა განმინდონ მსოფლიო ახალი ეპოქისათვის. მართალია რელიგიური ტერორიზმი საფუძველს ჯერ კიდევ ადრეული პერიოდებიდან იღებს, თუმცა მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან რელიგიურმა ტერორიზმმა საერთაშორისო, გლობალური სახე მიიღო, მუსულმანური სამყარო ქრისტიანულის წინააღმდეგ, როგორც ჯვაროსნული ლაშქრობა, რეალურ საფრთხედ იქცა.

იდეა „ახალი მსოფლიო მუსულმანური წესრიგი“ რადიკალ-ისლამისტებში მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა. განსაკუთრებული ღვაწლი ამ იდეოლოგიის მომზადებასა და ჩამოყალიბებაში ირანის ისლამური რევოლუციის სულისჩამდგმელს აიათოლა ჰომეინის (აიათოლა სეიედ რუჰოლა მუსავი ჰომეინი) ეკუთვნის [1, 56-57].

აითოლა ჰომეინი იყო პირველი რადიკალ – ისლამისტი, რომელმაც შემოიღო 12 შიიტი იმამის კანონი თანამედროვე მუსულმანური საზოგადოებისათვის. მისი შეხედულებით არსებობს სახელმწიფოთა სამი სისტემა მსოფლიოში: ლიბერალური; კაპიტალის-

ტური დასავლეთი; ათეისტური; კომუნისტური აღმოსავლეთი და მორალურ, ღვთიურ კანონებზე დამყარებული ისლამური სისტემა.

პირველი ორი სისტემა, როგორც დანიშნაურებული სისტემები ურთიერთქმედებაში არიან, თუმცა ორივე ეწინააღმდეგება მესამეს, ისლამურ სისტემას, რადგანაც წარმოადგენენ რა გარკვეულ პოლიტიკურ ბლოკებს, მათი იდეოლოგიური ფესვები იკვებება არა უმაღლესი ქვეშარიტების წყაროდან, არამედ ძალაუფლების სატანისტური სურვილიდან. ისლამური კანონი უნივერსალური და ქვეშარიტია. იგი სცილდება ტერიტორიულ და ნაციონალურ შეზღუდვებს, მათთვის არ არსებობს არანაირი საზღვრები.

ირანი მუსულმანი რადიკალებისთვის განხორციელებული ოცნებაა, კერძოდ, ეს არის სახელმწიფო მუსულმანური წესრიგით, იგი რეალურად არსებობს და იმედის მომცემია მსოფლიო მუსულმანური წესრიგისთვის ბრძოლის საქმეში.

1979 წლის ირანის რევოლუცია კვლავაც დიდ გავლენას ახდენს დღევანდელი ახლო აღმოსავლეთის სინამდვილეზე, ზურგს უმაგრებს რადიკალურად განწყობილ ისლამისტ აქტივისტებს და ამართლებს მათ მიერ ძალადობის — ჯიჰადის - გამოყენებას. თავის დროზე ჰომეინი, ხოლო შემდგომ მისი მიმდევრები, ახორციელებენ ისლამური რევოლუციის ექსპორტს მსოფლიოში. აღნიშნული გამოიხატება იდეოლოგიურ პროპაგანდაში, შესაბამისი საგანმანათლებლო რელიგიური სკოლების, ე.წ. მედრესების დაარსებაში, სეპარატისტული მოძრაობების, ისლამოტერორიზმის და სხვა დაფინანსებაში, იარაღით მომარაგებაში, სამხედრო – ძირგამომთხრელი მეთოდების სწავლებაში და ა.შ.

უკანასკნელ წლებში ტერორიზმის მიზნობრივმა მხარემ ცვლილებები განიცადა, თუკი ადრე ტერორიზმის მიზანს სახელმწიფო ხელისუფლებაზე ზემოქმედება წარმოადგენდა, ამჟამად აღნიშნულის მიზანი სახელმწიფოს სრული დემონტაჟი და ახალი ისლამური ტიპის სახელმწიფოს აგებაა.

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამი არის რელიგია, რომელიც პირდაპირ აცხადებს: „ლა იქრა ჰაფიდ დინნი“ – არავითარი იძულება სარწმუნოებაში. ყურანი კრძალავს ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას, ყურანში ვკითხულობთ, „ვინც ერთ სულს მოკლავს არა სულის სანაცვლოდ და არც შფოთის აღმოფხვრის მიზნით, თითქოსდა მას მოუკლავს მთელი კაცობრიობა“. ადამიანი თუ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც დანაშაულს სჩადის ყურანის სახელით, პირიქით უარ-

ყოფს ყურანის მოწოდებას, ისლამი კრძალავს ასეთი ადამიანის გარდაცვალებისას მის გაპატიოსნებას და მისდამი ლოცვას [3].

რელიგიური ტერორიზმი მსოფლიოსათვის სავალალო შედეგების მომტანია, ის რადიკალურად განსხვავდება ტერორიზმის სხვა სახეობებისაგან, ძალადობა ამ ტერორისტებისათვის ღვთისაგან დადგენილ წმინდა ვალდებულებად აღიქმება, მიმართული „ურწმუნოთა“ , წინააღმდეგ. მათი მთავარი მიზანი ისლამური სახელმწიფოს შექმნაა, რომელიც დაფუძნებული იქნება ყურანის ნორმების მკაცრ აღსრულებაზე.

აუცილებელია, რომ რელიგიურ ტერორიზმზე საუბრისას არ წარმოვიდგინოთ მთელი მუსულმანური სამყარო, ასევე არც ტერორისტებს აქვთ უფლება ისაუბრონ მუსულმანური სამყაროს სახელით.

რაც შეეხება ჯიჰადს, იგი მოწოდებულია იმისათვის, რათა აღასრულოს ისლამური იმპერიალიზმის მოთხოვნები საერთაშორისო არენაზე. არამუსულმანურ სამყაროსთან მიმართებაში ჯიჰადი წარმოადგენს საშუალებას, რისი მეშვეობითაც რადიკალური მუსულმანური იდეოლოგია ცდილობს გარდაქმნას მუსულმანური სოციალ-პოლიტიკური ღირებულებები [4].

რელიგიური ფუნდამენტალიზმი უდევს საფუძვლად ტერორისტულ ქმედებებს, XXI საუკუნის დასაწყისი კი გამოირჩევა გახშირებული და გამძაფრებული კონფლიქტებით ორ ისტორიულად დაპირისპირებულ რელიგიებს (ქრისტიანული და მუსულმანური) შორის, ჩვენს თვალწინ განვითარებული არაერთი მოვლენა ცხადყოფს, რომ დღეს თითქმის ყველა მუსლიმანი – რადიკალურ-ფუნდამენტალურ-ექსტრემისტია, ამის ნათელი მაგალითია მუსლიმთა პასუხი ფილმ „მუსლიმთა უმანკობა“ -ზე, როდესაც მთელი მუსულმანური სამყარო გამოვიდა რელიგიის დასაცავად, მათი ყველა ეს ქმედება მიგვანიშნებს, რომ ისინი ყველაფერს გააკეთებენ და ყველაფერზე წავლენ (მათ შორის ტერორიზმზეც) თავიანთი რელიგიის დასაცავად. მათი ეს ქმედება არის ერთგვარი გაფრთხილება იმისა, რომ ჩირქს ვერავინ მოსცხებს მათ რელიგიას, რადგან ისინი მის დასაცავად მზად არიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლონ.

და ბოლოს აუცილებლად უნდა ავლენიწნოთ, რომ ისლამი და ტერორიზმი ესაა ორი სრულიად საპირისპირო მცნება, ისლამი მშვიდობაა.

## დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გიორგი გორაშვილი, ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება, თბილისი, 2011.
2. ანა ჭილიტაშვილი, თანამედროვე ტერორიზმი, თბილისი, 2009.
3. [http://lilu-asanishvili.blogspot.com/2011\\_05\\_01\\_archive.html](http://lilu-asanishvili.blogspot.com/2011_05_01_archive.html)
4. [http://www.islam.ge/rf/index.php?option=com\\_content&view=article&id=64:2010-03-16-16-06-03&catid=3:2009-09-30-02-27-47&Itemid=4&lang=tr](http://www.islam.ge/rf/index.php?option=com_content&view=article&id=64:2010-03-16-16-06-03&catid=3:2009-09-30-02-27-47&Itemid=4&lang=tr)

**Sopo Chkopoia**

*Doctoral Student of the Technical University of Georgia*

## **Religion (Islam) and Terrorism**

### **Summary**

The presented article deals with terrorism, especially with the religious terrorism and whether the Islamic terrorism is a kind of religious terrorism – when the people of different faith collide with each other. At that time it happens so that representatives of one faith violently threaten the followers of the other confession. Also jihad is defined here and whether jihad encourages the terrorism or not.

Religious terrorism comes from the old historical time, some of the religious-terrorist groups are sure that they want to clean the universe for the new era. Of course the religious terrorism derives from ancient time but from the second part of the 20<sup>th</sup> century terrorism has appeared as a global entity.

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი*

## **ჰუმანიტარული ინტერვენციის დეფინიციის ზოგიერთი ასაქტაჟი**

საერთაშორისო პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჰუმანიტარული ინტერვენციის საკითხი. მსოფლიო საზოგადოებაში ხშირად იმართება მწვავე კამათი, თუ რამდენად მართებულია საერთაშორისო სამხედრო ინტერვენცია კონფლიქტის შესაჩერებლად.

ეს საკითხი აქტუალურია საქართველოსთვისაც, რადგან რუსეთმა 2008 წელს განხორციელებული აგრესია გაამართლა ჰუმანიტარული ინტერვენციის აუცილებლობის მოტივით. საერთაშორისო საზოგადოებაში აღიარებული ჰუმანიტარული ინტერვენციის კრიტერიუმების ცოდნა და ანალიზი, საშუალებას მოგვცემს უკეთ დავასაბუთოთ რუსეთის აგრესიის სამართლებრივ და მორალურ ნორმებთან შეუსაბამობის ფაქტი.

ნაშრომში განხილულია ჰუმანიტარული ინტერვენციის ცნებისა და მისი საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების საკითხი, აგრეთვე კონფლიქტი სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ადამიანის უფლებებს შორის და ის, თუ რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი სახელმწიფო სუვერენიტეტის დარღვევა ადამიანის უფლებების დასაცავად.

ჰუმანიტარული ინტერვენციის საყოველთაოდ მიღებული სამართლებრივი, ან პოლიტიკური განმარტება არ არსებობს. ქვემოთ მოყვანილია ჰუმანიტარული ინტერვენციის განმარტების რამდენიმე მაგალითი:

1. ჰუმანიტარული ინტერვენცია არის სახელმწიფოს მიერ (ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ) სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება, რომელიც მიმართულია ადამიანების (გარდა საკუთარი მოქალაქეებისა) ფუნდამენტური უფლებების ფართომასშტაბიანი და მძიმე დარღვევების პრევენციის, ან

შენწყვეტისკენ, იმ ქვეყნის ნებართვის გარეშე რომლის წინააღმდეგაც გამოიყენება ძალა [1, 18].

2. ინტერვენციის თეორია, ეყრდნობა რა ჰუმანურობის პრინციპს, ცნობს სახელმწიფოს უფლებას განახორციელოს საერთაშორისო კონტროლი სხვა სახელმწიფოს იმ ქმედებებზე, რომლებიც მის შიდა სუვერენიტეტს ეხება, როცა ეს ქმედება ეწინააღმდეგება ჰუმანურობის ნორმებს [2, 528].

3. ჰუმანიტარული ინტერვენცია არის იძულების აქტი სახელმწიფოს მიერ, რომელიც მოიცავს სამხედრო ძალის გამოყენებას სხვა სახელმწიფოში (ამ უკანასკნელის თანხმობის გარეშე), გაეროს უშიშროების საბჭოს თანხმობით, ან მის გარეშე, იმ მიზნით, რომ თავიდან იქნეს აცილებული, ან შეწყდეს ადამიანის უფლებათა, ან საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების მასობრივი დარღვევა [2, 528].

4. ჰუმანიტარული ინტერვენცია არის ძალის გამოყენება, ან მისი გამოყენების მუქარა სახელმწიფოს, ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ, უპირველეს ყოვლისა, სამიზნე ქვეყნის მოსახლეობის დასაცავად, საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევებისგან [3, 107].

მიუხედავად განმარტებებში აზრთა სხვაობისა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გაეროს ნებართვის რიგ შემთხვევებში უგულვებელყოფისა, არსებობს კონსენსუსი ჰუმანიტარული ინტერვენციის რამდენიმე საერთო მახასიათებელთან დაკავშირებით. ესენია:

1. ჰუმანიტარული ინტერვენცია არის სამხედრო ძალის გამოყენება იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც არ ახორციელებს აგრესიას სხვა ქვეყნის მიმართ

2. ჰუმანიტარული ინტერვენცია მოტივირებული უნდა იყოს მხოლოდ ჰუმანიტარული მიზნებით და არა კერძო ინტერესებით [4].

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) შეიძლება თუ არა ინტერვენციას ეწოდოს ჰუმანიტარული, თუ ის ხორციელდება სამიზნე სახელმწიფოს ნებართვით;

ბ) საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით;

გ) საერთაშორისო სამართლის რა კონკრეტული ნორმების დარღვევისთვის შეიძლება განხორციელდეს ჰუმანიტარული ინტერვენცია: გენოციდისა და ეთნოწმენდის, თუ სხვა შემთხვევებ-



შიც (დემოკრატიის პრინციპების დანერგვა, სიტყვის თავისუფლება და სხვა);

დ) უნდა ეწოდოს თუ არა ჰუმანიტარული ინტერვენცია გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე სამხედრო მოქმედებას.

პასუხი ამ კითხვებზე შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს:

ა) ჰუმანიტარული ინტერვენცია წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფოს სუვერენიტეტის პრინციპთან და უპირატესობას ანიჭებს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფომ მისცა ნებართვა, რომ საკუთარ ტერიტორიაზე განხორციელდეს სამხედრო ინტერვენცია, მაშინ ეს არ წარმოადგენს მისი სუვერენიტეტის დარღვევას, თუმცა არის გამონაკლისი შემთხვევები. მაგ: 1860 წელს საფრანგეთმა შეიყვანა სამხედრო ძალები სირიაში ადგილობრივი ქრისტიანების მასობრივი ხოცვის შეჩერების მოტივით, რაზედაც მიიღო თანხმობა ოსმალეთის ხელისუფლებისგან, თუმცა აშკარაა, რომ ეს ნებართვა იყო იძულებითი ნაბიჯი და ოსმალეთს არ შესწევდა ძალა წინააღმდეგობა გაენია საფრანგეთის ჯარებისთვის.

ბ) საკუთარი მოქალაქეების დაცვის მოტივით, სხვა ქვეყნის წინააღმდეგ სამხედრო ძალის გამოყენება არ წარმოადგენს ჰუმანიტარული ინტერვენციის ნაირსახეობას. არსებობს მოსაზრება, რომ ამგვარი ინტერვენციის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს თავდაცვის უფლება, სხვა მოსაზრებით კი, ამ საკითხს არეგულირებენ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები, რომლებიც განსხვავდებიან თავდაცვის უფლების პრინციპებისგან [5, 51-74]. ჰუმანიტარული ინტერვენცია კლასიკური გაგებით უნდა განხორციელდეს, უპირველესად, უცხო ქვეყნის მოქალაქეების უფლებების უზემი დარღვევის შეჩერების მოტივით და არა საკუთარი ქვეყნის და მისი მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე.

გ) ყველაზე გავრცელებული აზრია, რომ ჰუმანიტარული ინტერვენცია უნდა ხდებოდეს მხოლოდ ადამიანის უფლებათა მძიმე, მასობრივი და სისტემატიური დარღვევების დროს. ასეთი დანაშაულია გენოციდი და ეთნიკური წმენდა. გენოციდის განმარტება მოყვანილია გაეროს 1948 წლის კონვენციაში გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ: „წინამდებარე კონვენციაში გენოციდი ნიშნავს ნებისმიერ ქვემოთ ჩამოთვლილ ქმედებას, რომელიც ჩადენილია ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელი-

გიური ჯგუფის მთლიანი ან ნაწილობრივი განადგურების მიზნით: ჯგუფის წევრთა მკვლელობა; წევრთათვის სხეულის მძიმე დაზიანების ან ფსიქიკური მოშლილობის მიყენება; ჯგუფისათვის განზრახ ისეთი პირობების შექმნა, რაც მიზნად ისახავს მის მთლიან ან ნაწილობრივ ფიზიკურ განადგურებას; ისეთი ზომების გატარება, რომელთა მიზანია ჯგუფის შიგნით შობადობის აღკვეთა; ერთი ჯგუფიდან მეორეში ბავშვების ძალადობით გადაცემა“ [6].

ვინაიდან არ არის დაწესებული ზუსტი კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა მასშტაბს უნდა მიაღწიოს მკვლევლებმა, რომ მოვლენას გენოციდი ეწოდოს, ამ ფაქტს იყენებენ ჰუმანიტარული ინტერვენციის მონინალმდეგეები და აღნიშნავენ, რომ ეს საბაბს აძლევს ძლიერ სახელმწიფოებს გაამართლონ ძალისმიერი მეთოდები სხვა სუვერენული სახელმწიფოების წინააღმდეგ და ფაქტიურად ნებისმიერ კონფლიქტს დაარქვან გენოციდი. ასეთი გაურკვევლობის მაგალითია რუსეთის მიერ ოსების გენოციდის აღიარება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს. თუმცა ევროპის კავშირის საბჭომ უარყო ქართველების მიერ ოსების გენოციდი და დაადასტურა ქართველების წინააღმდეგ განხორციელებული ეთნონომენდის ფაქტები [7, 18, 28]. ზოგი მეცნიერი (ფ. ტესონი) მომხრეა ისეთ შემთხვევებზეც გავრცელდეს ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლება, როგორიცაა: შიმშილი, ეპიდემია, დემოკრატიული ნორმების უგულვებელყოფა: მაგ. გაეროს უშიშროების საბჭომ 1994 წელს გასცა ჰაიტიში ინტერვენციის ნებართვა სახელმწიფო გადატრიალების შედეგად განდევნილი, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების აღდგენის მოტივით, თუმცა ჰუმანიტარულ კატასტროფას იმ დროს ჰაიტიში ადგილი არ ჰქონდა.

ჯეფრი ბუთველის აზრით, ჰუმანიტარული ინტერვენციების აუცილებლობა შემთხვევების უფრო ფართო წრეზე უნდა გავრცელდეს. მან გამოყო შემთხვევების ოთხი ჯგუფი:

- ადამიანის უფლებათა მასშტაბური და სისტემატიური დარღვევები, მათ შორის გენოციდი;
- უმრავლესობის ნათლად გამოხატული ნების უგულვებელყოფა, მაგ: დემოკრატიულად არჩეული მთავრობის დამხობა;
- არშემდგარი სახელმწიფოების აშკარა მაგალითები, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება არ ფუნქციონირებს და მშვიდობიანი მოსახლეობა დაუცველია აჯანყებულთა, საველე მეთაურთა და კრიმინალურ დაჯგუფებათა წინაშე;

• ძალის უკანონო და არაჰუმანური გამოყენება ნებისმიერი დაპირისპირებული მხარის მიერ სამოქალაქო ომის დროს, როდესაც ადგილი აქვს ეთნიკურ, ან/და რელიგიურ სეპარატიზმს [8].

დ) თანამედროვე საერთაშორისო სამართალში ძალის გამოყენებისათვის აუცილებელია გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვა, გამონაკლისს წარმოადგენს თავდაცვის უფლების განხორციელება. მკვლევართა ნაწილის აზრით, მხოლოდ უშიშროების საბჭოს ავტორიზების გარეშე ძალის გამოყენებას შეიძლება ეწოდოს ჰუმანიტარული ინტერვენცია. [5, 51-74]. ჩვენი აზრით, მისი მთავარი მახასიათებელია სამხედრო ძალის გამოყენება სხვა ქვეყნის წინააღმდეგ, ადამიანთა ტანჯვის თავიდან აცილების მოტივით. უშიშროების საბჭოს ნებართვის არსებობის, ან არარსებობის ფაქტს ამ მოვლენის დეფინიციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა არის მიმართება **სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ადამიანის უფლებებს** შორის და იმის გარკვევა, თუ როდის ირღვევა სუვერენიტეტი ადამიანის უფლებების დაცვის მოტივით. ასევე უნდა გავარკვიოთ, რა ზომებია მიღებული გაეროს მიერ ამ დილემის გადასაჭრელად.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალს საფუძველი ჩაეყარა 1648 წლის ვესტფალიის ზავით. რომლითაც სახელმწიფოებმა აღიარეს სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩაურევლობის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის და სახელმწიფოთა თანასწორობის პრინციპი. ეს პრინციპები განმტკიცდა 1945 წელს მიღებული გაეროს წესდებით, რომლის მეორე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით: ორგანიზაცია ემყარება ყველა მისი წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპს [9, 1].

2.7 მუხლის თანახმად, მოცემული წესდება სრულებითაც არ აძლევს უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჩაერიოს ისეთ საქმეებში, რომლებიც არსებითად ნებისმიერი სახელმწიფოს შინაგან კომპეტენციას მიეკუთვნება და არ მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებისგან წარმოადგინონ ასეთი საკითხები ამ წესდების მიხედვით განსახილველად.

სახელმწიფო სუვერენიტეტი გულისხმობს ორ ასპექტს: შიდასახელმწიფოებრივს და საერთაშორისოსამართლებრივს. შიდასახელმწიფოებრივი ასპექტი გულისხმობს ხელისუფლების უზენაესობას სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ამ ტერიტორიაზე მცხოვ-

რებ პირთა დაქვემდებარებულობას ამ ხელისუფლებისადმი. საერთაშორისო სამართლებრივი გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების დაუქვემდებარებლობას სხვა ხელისუფლებისადმი [10, 46]. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით ჰუმანიტარული ინტერვენციის განხორციელების მომხრეთა მთავარი წინააღმდეგობა სწორედ სუვერენიტეტისა და ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებია.

ინტერვენციისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისიის ანგარიშში აღნიშნულია, რომ: „სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა, თუნდაც მისი ყველაზე თავგამოდებული მომხრეებისთვის, არ ნიშნავს სახელმწიფოს შეუზღუდავ ძალაუფლებას, გააკეთოს ის, რაც მოესურვება საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ... სუვერენიტეტი ორმაგ პასუხისმგებლობას მოიცავს: საერთაშორისო არენაზე სხვა სახელმწიფოების სუვერენიტეტის პატივისცემას და ქვეყნის შიგნით მცხოვრებთა ღირსების და ფუნდამენტური უფლებების პატივისცემას [11, 8].

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა 1999 წლის სექტემბერში გააკეთა განცხადება ჰუმანიტარულ ინტერვენციასა და სუვერენიტეტის პრინციპს შორის წინააღმდეგობაზე: „კრიმინალური ქმედებების განმხორციელებელმა სახელმწიფოებმა უნდა იცოდნენ, რომ საზღვრები არ წარმოადგენენ დაცვის აბსოლუტურ საშუალებას... ადამიანის უფლებების მასობრივი და სისტემატიური დარღვევები, სადაც არ უნდა განხორციელდეს ისინი, არ უნდა იქნეს რეაგირების გარეშე დატოვებული“ [12, 1].

მთელი რიგი მეცნიერები, საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწეები ამ კონცეფციის გასაძლიერებლად თვლიან რომ სახელმწიფოებს აქვთ **ჰუმანიტარული ინტერვენციის უფლება**. 1980-იანი წლების ბოლოს იტალიელმა პროფესორმა მარიო ბეტატიმ და ფრანგმა პოლიტიკოსმა ბერნარდ კუშნერმა პირველად გამოიყენეს ტერმინი „**ინტერვენციის ვალდებულება**“. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ სახელმწიფო სუვერენიტეტის ვესტფალიური კონცეფციის, როგორც გამამართლებელი საშუალების გამოყენებას სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი მოსახლეობის უფლებების მასობრივი დარღვევის მიმართ. კუშნერი პირდაპირ წერდა, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ვალდებულია ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში, როდესაც ის უხეშად არღვევს საკუთარი მოქალაქეების უფლებებს. ეს დოქტრინა გულისხმობდა დაზარალებულის ჰუმან-

ნიტარული დახმარებით უზრუნველყოფას, დამნაშავე სახელმწიფოს ნებართვის გარეშე. ამგვარი მიდგომა გამოყენებულ იქნა UN-PROFOR-ის (გაეროს სამშვიდობო ძალების მისია ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში) საქმიანობის დროს ბოსნიაში 1994-95 წლებში, მათი ფუნქცია იყო ჰუმანიტარული დახმარების უზრუნველყოფა ლტოლვილებისთვის და ალყაში მყოფი მოსახლეობისთვის. თუმცა ამ მიდგომის სისუსტე გახლდათ ის, რომ იგი არ იყო მიმართული უპირველეს ყოვლისა ომის შეწყვეტისკენ. გაეროს ძალებს ჰქონდათ მხოლოდ თავდაცვის, ან ჰუმანიტარული დახმარების მიმწოდებელი მუშაკების დაცვის უფლება. მათ ვერაფერი გააკეთეს, როდესაც სერბებმა დახოცეს 7000 მუსლიმი გაეროს „უსაფრთხოების ზონაში“ მდებარე სრებრენიცაში 1995 წლის ივლისში [9, 3]. სრებრენიცას ხოცვა-ჟლეტამ დაადასტურა ამ მიდგომის ნაკლოვანება. როგორც აღმოჩნდა, საერთაშორისო სამხედრო ძალების გაგზავნა მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარების გასანევად არაეფექტიანია, თუ ამავდროულად არ იქნება გამოყენებული ძალა, ან ძალის მუქარა თავად კონფლიქტის შესაწყვეტად, როდესაც შეიძლება საჭირო გახდეს არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ შეტევითი სამხედრო ოპერაციების წარმოება, როგორც ეს მოხდა კოსოვოს კონფლიქტის დროს 1999 წელს.

კანადის მთავრობის მიერ 2000 წლის სექტემბერში დაარსებულმა "ინტერვენციისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის საერთაშორისო კომისიამ" მოამზადა ანგარიში - „პასუხისმგებლობა დაცვაზე“, ანუ "Responsibility to Protect" (R2P), რომელშიც მოითხოვა სახელმწიფო სუვერენიტეტის იდეის გადახედვა და, ნაცვლად ტერმინისა „სუვერენიტეტი, როგორც კონტროლი“, „სუვერენიტეტი, როგორც პასუხისმგებლობა“ შემოღება, რომლის მიხედვითაც სუვერენული სახელმწიფოსთვის მინიჭებული უფლებები, პასუხისმგებლობებით ბალანსდება. ანგარიშის მიზანია არა ჩაურევლობის ნორმის გაუქმება, არამედ მისი სრულყოფა. როდესაც მშვიდობიანი მოსახლეობა იტანჯება ადამიანის უფლებების მნიშვნელოვანი დარღვევებისგან და სახელმწიფოს არ აქვს ძალა, ან სურვილი თავიდან აიცილოს ეს დარღვევები, ჩაურევლობის პრინციპზე მაღლა, ამ მოქალაქეთა დაცვის პასუხისმგებლობა უნდა დადგეს [9, 8].

ჰუმანიტარული ინტერვენციის ამ კონცეფციის მიხედვით, ნებისმიერი სამხედრო ინტერვენცია უნდა პასუხობდეს ექვს კრიტერიუმს, რათა ძალის გამოყენება იყოს გამართლებული:

1. სამართლიანი მიზეზი (Just Cause) – უნდა დადგინდეს, არის თუ არა დანაშაული, იმდენად მძიმე, რომ დასაშვებია ჩაურევლობის პრინციპის დარღვევა. ასეთი შემთხვევებია:

- ადამიანთა სიკვდილის დიდი მასშტაბები, განხორციელებული გენოციდის მიზნით, ან მის გარეშე, რომლის მიზეზია სახელმწიფოს მიზანმიმართული ქმედებები, ან გულგრილობა, ან მოქმედების უუნარობა, ან არშემდგარი სახელმწიფოს სიტუაცია, ან

- ფართომასშტაბიანი ეთნიკური წმენდა... რომელიც ხორციელდება მკვლევლების, ძალით გასახლების, ტერორის, ან გაუპატიურებების გზით [11, 8].

2. სწორი განზრახვა – ინტერვენციის უპირველესი მიზანი უნდა იყოს ადამიანთა ტანჯვის თავიდან აცილება [11, XII].

3. უკიდურესი ზომა – სამხედრო ინტერვენციის განხორციელებამდე, კრიზისის დაძლევის ყველა სხვა საშუალების გამოყენების შესაძლებლობა უნდა იქნეს ამონურული.

4. ლეგიტიმურობა – ინტერვენცია აუცილებლად უნდა იყოს სანქცირებული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ.

5. პროპორციული ზომები – ჰუმანიტარული მიზნების მისაღწევად დაგეგმილი სამხედრო ინტერვენციის მასშტაბი, ხანგრძლივობა და ინტენსივობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური [11, XII].

6. წარმატების პერსპექტივა – უნდა არსებობდეს წარმატების გონივრული შანსი, ქმედების შედეგი არ უნდა იყოს უმოქმედობის შედეგზე უარესი [13, 9].

აღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით 2005 წელს გამართულ გაეროს მსოფლიო სამიტზე მიღებულ იქნა „პასუხისმგებლობა დაცვაზე“ კონცეფციის პრინციპები, ხოლო 2006 წელს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით (1674) კიდევ ერთხელ დადასტურებულ იქნა მხარდაჭერა ამ კონცეფციის მიმართ.

საერთაშორისო სამართალში, ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც ძალის გამოყენების საკითხებს არეგულირებს არის გაეროს წესდება. ამ დოკუმენტის 2.4 მუხლის მიხედვით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი თავს იკავებს ძალის მუქარის ან ძალის გამოყენებისაგან, როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, ასევე გაეროს მიზნებთან შეუთავსებელი რაიმე სხვა სახით. წესდების მე-7 თავის თანახმად ძალის გამოყენება შესაძლებელია

ბელია თავდაცვის მიზნით, ან უშიშროების საბჭოს ნებართვით, თუ საფრთხე ემუქრება საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებას. უშიშროების საბჭოს ნებართვისთვის აუცილებელია ხუთივე მუდმივი წევრის თანხმობა. ამ დებულებებიდან გამომდინარე ცალსახაა, რომ აკრძალულია სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ ჰუმანიტარული ინტერვენციის ცალმხრივად, ანუ უშიშროების საბჭოს ნებართვის გარეშე განხორციელება.

გაეროს საერთაშორისო სასამართლოს წესდების (რომელიც არის გაეროს წესდების ნაწილი) 38-ე მუხლით აღიარებულია, რომ საერთაშორისო სამართლის უპირველესი წყარო არის საერთაშორისო ხელშეკრულებები, ხოლო იერარქიაში შემდეგი საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალია, რომელიც განმარტებულია, როგორც „სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურება“. ჩვეულება სამართლის ნორმად იქცევა, თუ მისი მიმდევარი სახელმწიფოები მას შესასრულებლად სავალდებულოდ მიიჩნევენ, ამ რწმენას *opinio juris* ეწოდება. ჰუმანიტარული ინტერვენციის მიმდევრები მიიჩნევენ, რომ უშიშროების საბჭოს ავტორიზაციის გარეშე განხორციელებული ჰუმანიტარული ინტერვენცია კანონიერია ჩვეულებითი სამართლის მიხედვით.

არსებობს მოსაზრება, რომ ჰუმანიტარული ინტერვენცია კანონიერია, რადგან იგი არ არღვევს გაეროს წესდების 2.4 მუხლს და არ არის მიმართული „სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ“, არამედ იგი გამიზნულია მხოლოდ ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ამგვარი გამართლება მოუძებნა ბელგიის მთავრობამ კოსოვოში ინტერვენციას, თუმცა ამ არგუმენტის წინააღმდეგ მეტყველებს გაეროს საერთაშორისო სასამართლოს 1949 წლის გადაწყვეტილება კორფუს სრუტესთან დაკავშირებით, როდესაც დიდმა ბრიტანეთმა განახორციელა ნალმებისგან სრუტის განმენდის ოპერაცია ალბანეთის ტერიტორიულ წყლებში, რამაც ალბანეთის პროტესტი გამოიწვია. ბრიტანელები ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მათ შეეძლოთ ამ პრობლემის მოგვარება და მათი ქმედებები „არ უქმნიდნენ საფრთხეს ალბანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“ [13, 151].

საქმე განიხილა საერთაშორისო სასამართლომ, რომელმაც არ გაითვალისწინა დიდი ბრიტანეთის არგუმენტაცია:

„სასამართლო ვერ გაითვალისწინებს დაცვის ამგვარ პოზიციას. სასამართლო თვლის, რომ ე.წ. ინტერვენციის უფლება წარმოადგენს ძა-

ლისმიერი პოლიტიკის მანიფესტაციას, რომელიც წარსულში გამხდარა ყველაზე მძიმე სამართალდარღვევების მიზეზი და რომელსაც, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციაში არსებული ხარვეზებისა, არ უნდა ჰქონდეს ადგილი საერთაშორისო სამართალში. ინტერვენცია... ბუნებრივია განხორციელდება მხოლოდ ყველაზე ძლევამოსილი ქვეყნების მიერ, რაც ადვილად გამოიწვევს საერთაშორისო სამართლის ადმინისტრირების დამახინჯებას“ [14, 35].

როგორც განხილვებიდან ჩანს, მრავალი მეცნიერი და ორგანიზაცია ცდილობს მკაფიოდ იქნეს ჩამოყალიბებული და სამართლებრივად დარეგულირებული ჰუმანიტარული ინტერვენციის ცნება, გადანყვეტილების მიღების მექანიზმები, კრიტერიუმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება დარღვევების სიმძიმის, ძალის გამოყენების და პასუხის პროპორციულობის ხარისხი.

ეს მეტად სათუთი თემებია და საჭიროა სამართლისა და მორალის ზღვარზე სიარული, რომ არ იქნეს გამოყენებული უკიდურესი ზომები, სადაც ძნელი იქნება საზღვარის გავლება სახელმწიფო სუვერენიტეტსა და ადამიანის უფლებების დაცვას შორის.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. J.L. Holzgrefe, The humanitarian intervention debate, J.L. Holzgrefe, Robert O. Keohane, Humanitarian intervention: Ethical, Legal and Political Dilemmas, Cambridge university press, 2003.
2. Anne Ryniker, The ICRC's position on humanitarian intervention, International review of the Red Cross, №482, 2001.
3. Sean D. Murphy, "Humanitarian intervention: the United Nations in an evolving world order p11-12 (1996), nanaxia (17.03.2013) R. Goodman, "Humanitarian intervention and pretexts for war", the American journal of international law, 2006. <http://www.law.harvard.edu/faculty/r-goodman/pdfs/RGoodmanHumanitarianInterventionPretextsforWar.pdf>
4. Alton Frye, Humanitarian Intervention: Crafting a Workable Doctrine, New York: Council on Foreign Relations, 2000.
5. T.D. Gill, Humanitarian Intervention: Legality, Justice and Legitimacy, The Global Yearbook of International Law & Jurisprudence Vol.2 2004 (2005).
6. გაეროს 1948 წლის კონვენციაში გენოციდის დანაშაულის თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ.



[https://matsne.gov.ge/index.php?option=com\\_ldmssearch&view=docView&id=1219170&lang=ge](https://matsne.gov.ge/index.php?option=com_ldmssearch&view=docView&id=1219170&lang=ge) (17.03.2013)

7. Independent international fact finding mission on the conflict in Georgia, report, (2009) [http://news.bbc.co.uk/2/shared/bsp/hi/pdfs/30\\_09\\_09\\_iiiffmgc\\_report.pdf](http://news.bbc.co.uk/2/shared/bsp/hi/pdfs/30_09_09_iiiffmgc_report.pdf) (20.03.2013)
8. Jeffrey Boutwell, intervention, sovereignty and international security, report of pugwash study group meeting, 1999.
9. C. Abbot, Rights and responsibilities resolving the dilemma of humanitarian intervention, Oxford research group, 2005.
10. რუხაძე ნ., ჰუმანიტარული ინტერვენცია თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, საერთაშორისო სამართლის ჟურნალი, 1,2009. [http://www.law.tsu.ge/files/Publications/Journal%20International%20Law\\_N1\\_2009.pdf](http://www.law.tsu.ge/files/Publications/Journal%20International%20Law_N1_2009.pdf) (17.03.2013)
11. International Commission On Intervention And State Sovereignty, `The responsibility to protect“ , International development research center, (2001) [responsibilitytoprotect.org/iciss%20report.pdf](http://responsibilitytoprotect.org/iciss%20report.pdf) (17.03.2013)
12. T. Weiss, `The politics of Humanitarian ideas“ , security dialogue, 2000
13. D.W. Bowett, `Self-defence in international law“ , The lawbook exchange Ltd., 2009.
14. ICJ, The corfu channel case, merits, 1949. <http://www.icj-cij.org/docket/files/1/1645.pdf>

**Jaba Urotadze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Social and Political Sciences, PhD student  
of doctoral program of Political Sciences*

### **Several aspects of humanitarian intervention definition**

#### **Summary**

Among the current events in international politics, humanitarian intervention is receiving special attention. The arguments about the necessity of international armed intervention aimed at stopping gross and systematic violations of human rights are taking place quite often in the world society.

This issue is also important for Georgia, as Russia justified its aggression in 2008 on the basis that there was necessity of humanitarian interven-

tion. Knowledge and analysis of internationally recognized criterias for humanitarian intervention will enable us to prove the irrelevance of Russia's aggression with international legal and ethical norms.

In this work we consider the issues of definition of humanitarian intervention and its place in international law. We will also examine the conflict between state sovereignty and human rights, and in what circumstances the protection of basic human rights must prevail over the principles of state sovereignty.

Many scientists and organizations are trying to define the following issues: the exact criterias of humanitarian intervention, proportionate use of force, mechanisms of decision making (who and when should intervene) etc.

This is a very sensitive issue, and it is necessary not to cross the line of justice and morality, and not to use excessive force when it will be hard to draw the clear line between state sovereignty and human rights.

## ხათუნა ქოქრაშვილი

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

### ნათო და საქართველოს კონფლიქტური რეგიონები

XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისში დასრულდა „ცივი ომის“ პოლიტიკა, ერთი მხრივ, აშშ-ს, დასავლეთის წამყვან სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირსა და სოციალისტური სისტემის ქვეყნებს შორის. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის გაუქმებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ზოგიერთი დასავლელი ექსპერტი უკვე ზედმეტად მიიჩნევდა ნატოს არსებობას. თუმცა უმოკლეს დროში საგრძნობლად იმატა არასტაბილურობამ ევროპის მთელ რიგ რეგიონებში. იუგოსლავიის მოვლენებს დაერთო ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში გარეშე ძალების მიერ პროვოცირებული და ხელოვნურად გაღვივებული სისხლიანი კონფლიქტები. მასობრივი ხასიათი მიიღო ეთნიკურმა წმენდამაც.

ალიანსის წევრი-სახელმწიფოები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ნატო კვლავ რჩებოდა მათი კოლექტიური უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის მთავარ გარანტად. თუმცა, მსოფლიოში შექმნილ ახალ რეალობასთან ადაპტაციის გამო, საჭირო გახდა ორგანიზაციის ფართომასშტაბიანი რეფორმირება. „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრმა ცვლილებამ, ნატოს სამხედრო სტრატეგიის მოდერნიზაციის საკითხი დააყენა.

ახალი სტრატეგიული კონცეფციით, რომელზედაც მუშაობა ბერლინის კედლის დაცემისთანავე დაიწყო და ორი წელი გაგრძელდა, ნატოს მთავარ ამოცანად კვლავინდებურად ჩრდილო-ატლანტიკური კავშირის წევრ-სახელმწიფოთა უსაფრთხოების დაცვა დარჩა, მაგრამ, ამასთანავე, თანამშრომლობის ზონად უკვე მთელი ევროპა აღიარეს. ძველი კონცეფციისგან განსხვავებით, დაპირისპირებისა და კონფრონტაციის ნაცვლად, მთავარი აქცენტი ყოფილ სტრატეგიულ მონინააღმდეგეებთან დიალოგსა და თანამშრომლობის აუცილებლობაზე გაკეთდა. ახალი კონცეფცია საზოგადოებისათვის გაცხილებით გახსნილი იყო.[11, 16-17]

საბჭოთა კავშირის დიდი სახეცვლილება ახალ ამოცანებსა და მიზნებს აყენებდა ალიანსის წინაშე. დასავლეთის სახელმწიფოებისა და ნატოს წინაშე წინაშე დაისვა კითხვები: რა ბედი ელოდა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და ყაზახეთის ტერიტორიებზე განლაგებულ ბირთვულ იარაღს? შენარჩუნდებოდა მისი ერთიანი სისტემა, თუ იგი ცალკეული, ახლადშექმნილი დამოუკიდებელი ქვეყნების, ან ექსტრემისტების ხელში აღმოჩნდებოდა? საყურადღებო იყო ყოფილ იუგოსლავიაში, შუა აზიაში, კავკასიასა და მოლდოვაში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების თემაც.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალი ისტორიული ვითარება ნატოსგან მოითხოვდა ღრმად გააზრებულ ქმედებებს: ახალ პარტნიორებთან საერთო ენის გამონახვას და მათ ეტაპობრივ ჩართვას თანამშრომლობის ერთიან სისტემაში. სწორედ, ამიტომ 1991 წელს შეიქმნა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (NACC), რომელიც ნატოსა და მისი ახალი პარტნიორების საქმიანი ურთიერთობების და სამოქმედო პროგრამების პირველი ერთობლივი მექანიზმი უნდა გამხდარიყო. პრაქტიკული თანამშრომლობის პირველი მცდელობა გახლდათ ამ საბჭოს ფარგლებში მიღებული „დიალოგის, პარტნიორობისა და თანამშრომლობის“ პროგრამა. დაიწყო ერთობლივი კონსულტაციები სხვადასხვა აქტუალურ თემაზე: პოლიტიკასა და უშიშროებასთან დაკავშირებული საკითხები, სამშვიდობო ოპერაციების კონცეპტუალური და საორგანიზაციო ასპექტების დამუშავება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რუსეთი ერთ-ერთი პირველთაგანი შეუერთდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს, თუმცა ნატო-ს ეს ინიციატივა მოსკოვში თავიდანვე კრიტიკულად აღიქმებოდა, როგორც ნატოს პოლიტიკური და სამხედრო გავლენის აღმოსავლეთით გაფართოების ინსტრუმენტი. [11, 24-25]

XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისი ურთულესი აღმოჩნდა საქართველოსთვის. გაძლიერდა ეროვნული მოძრაობა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ბრძოლა. 1991 წლის 17 მარტს საქართველომ, საბჭოთა კავშირის შენარჩუნების და მოდერნიზების თაობაზე, საბჭოთა კავშირის მასშტაბით ჩატარებულ რეფერენდუმში არ მიიღო მონაწილეობა. სამაგიეროდ, იმავე წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი კითხვით: „გსურთ თუ არა, აღდგეს საქართველოს დამოუკიდებლობა 1921 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის 96 პროცენტმა დადებითად უპასუხა. რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, 1991 წლის 9 აპრილს 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგა. [1, 224]

ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პარალელურად გააქტიურდა სეპარატისტული მოძრაობა აფხაზეთსა და .ე.წ. სამხრეთ ოსეთში. 1990 წლის 21 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის უმაღლესმა საბჭომ გააუქმა ოლქი და გამოაცხადა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა. ცხინვალის რეგიონში სამხედრო დაძაბულობა დაიწყო, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, მიმდინარეობდა ლოკალური შეტაკებები. მალე ქვეყანაში დაიწყო შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები და არეულობა. 1991 წლის აგვისტოში აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნებზე სიტუაცია ომის ზღვრამდე მივიდა. თუმცა, საქართველოს მხრივ კომპრომისის ხარჯზე მოხერხდა აფხაზეთში საარჩევნო კანონის მიღება. სიტუაცია ამჟღერად დარეგულირდა. [1, 230-231]

საქართველოს ახალადგენილ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით, არ ჰქონდა დასავლეთის ქვეყნების საერთაშორისო მხარდაჭერა. საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის ნიქსონის ვიზიტმა, მოგვიანებით კი უკრაინაში პრეზიდენტ ბუშის განცხადებამ, სადაც საქართველოს პრეზიდენტს რუსეთთან ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა ურჩიეს, უჩვენა, რომ, ქვეყნის სურვილის მიუხედავად, დასავლეთის სახელმწიფოები საქართველოს რუსეთის პოლიტიკურ სივრცეში ხედავდნენ.

პოლიტიკური კრიზისი საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებით დასრულდა. გაჩაღდა სამოქალაქო ომი. განახლდა კონფლიქტი ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში. 1992 წლის თებერვალში სამხედრო საბჭომ, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება, გააუქმა საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია. კონსტიტუციის გაუქმებით აფხაზეთი პრაქტიკულად საქართველოს სამართლებრივი სივრცის გარეთ დარჩა, რითაც ისარგებლეს სეპარატისტულმა ძალებმა. 1992 წლის 25 ივნისს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობიდან გასულად გამოაცხადა. 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო აფხაზეთის ომი, რომელიც 1993 წლის 27 სექტემბერს დასრულდა აფხაზეთის ტერიტორიიდან ქართველების გამოდევნით და ეთნომენდით. [1, 235-236]

რეგიონის კონფლიქტებზე კონტროლი რუსეთმა აიღო. 1992 წლის 24 ივნისს დაგომისში მან მოახერხა ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმადაც რუსეთის სამშვიდობო ძალები ჩადგნენ ცხინვალის რეგიონში. 1994 წლის სნგ-ს მანდატით კი რუსული სამხედრო „სამშვიდობო ძალები“ აფხაზეთში განლაგდნენ. რუსეთმა საქართველოს კონფლიქტურ ტერიტორიებზე თავისი ყოფნა სამშვიდობო მანდატის მეშვეობით დააკანონა.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის და უსაფრთხოების საერთაშორისო სისტემაში ინტეგრირების თემა განსაკუთრებულად აქტუალური გახდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ. ქვეყანას თავისი ადგილი და პოლიტიკური კურსი უნდა განესაზღვრა და ამ ძიების ძირითადი ვექტორი დასავლეთი გახლდათ. თუმცა, შიდა პოლიტიკურმა აშლილობამ, სამოქალაქო ომმა, კონფლიქტებმა ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთში და მისმა კატასტროფულმა შედეგებმა საქართველოს საერთაშორისო ინტეგრაციას დიდი ზიანი მიაყენა. ქვეყანას არ მიეცა საკუთარი არჩევანის გაკეთების საშუალება და კვლავ მთლიანად რუსეთის გავლენის სფეროში აღმოჩნდა: 1993 წლის დეკემბერში საქართველო დსთ-ს წევრი გახდა, შეუერთდა დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებას, საქართველო-თურქეთის საზღვრის დაცვა რუსეთის ფედერაციის მესაზღვრეებს დაევალებათ და ა.შ. ამგვარ ვითარებაში, „ცივი ომის“ დასასრულს, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შიგნით მიმდინარე დებატები ნატოს გარდაქმნის აუცილებლობის თაობაზე და ის შესაძლებლობები, რასაც ეს ცვლილებები საქართველოსთვის ქმნიდა, პრაქტიკულად შეუმჩნეველი და გამოუყენებელი დარჩა.

ნებისმიერი პატარა ქვეყნისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიმზიდველი დიდ და ძლიერ ქვეყნებთან ან ალიანსთან კავშირი, როდესაც მას უმცროსი პარტნიორის ხვედრი არ ელის. ნატომ უმთავრეს პრინციპად პარტნიორების რეალური თანასწორუფლებიანობა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში კონსენსუსის მიღწევა, შეთანხმებული საკითხების ცხოვრებაში გატარების აუცილებლობა აღიარა. ამდენად, საქართველოსთვის ნატო-ს სტრუქტურებთან ურთიერთობა წარმოადგენდა დემოკრატიულ ფასეულობებთან ზიარების, ქვეყნის უსაფრთხოების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზას.[3]

საქართველო-ნატოს ურთიერთობებს საფუძველი XX ს-ის 90-იანი წლების დასაწყისიდან ჩაეყარა, როდესაც 1992 წელს საქართველო შეუერთდა ნატოს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობის სპეციალურ პროგრამას და ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს. დაიწყო პირველი ურთიერთობები: 1993 წლის 23 ივნისს შედგა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტი ნატოს შტაბბინაში; 1993 წელს ბრიუსელში საქართველოდან ევროპაში მივლენილ პირველ დიპლომატიურ მისიას „ნატოსთან მოკავშირის ოფისის“ ფუნქციაც დაეკისრა; იმავე წელს საქართველოს ნატოს პირველი დელეგაციაც ეწვია. ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში საქართველოს წარმომადგენლობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ქვეყანაში და

საერთოდ რეგიონში მოვლენათა განვითარების შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის ობიექტური ინფორმირება და შესაძლებლობის ფარგლებში მხარდაჭერის მიღწევა გახლდათ. საქართველოში ნატოსთან თანამშრომლობის შემდგომ გააქტიურებაზეც ფიქრობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოწესრიგებაში ნატო არ მონაწილეობდა, სოხუმის კრიზისის დროს (1993 წლის სექტემბერი) მისიის აქტიური საქმიანობის შედეგად და ნატოს გენერალური მდივნის მოთხოვნით აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობა საბჭოს სხდომაზე განიხილეს. სხდომამ სპეციალური განცხადებაც კი მიიღო. [11, 50-51] ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს საქმიანობაში მონაწილეობა საქართველოს საშუალებას აძლევდა გამოეყენებინა ეს საერთაშორისო მექანიზმი და ტრიბუნა, უპირველეს ყოვლისა, აფხაზეთის პრობლემატიკის გასაშუქებლად. ეს თემა, საქართველოს ინიციატივით, პრაქტიკულად ყველა დონის შეხვედრაზე ფიგურირებდა, ჩვენი პოზიციების დასაცავად არაერთი მნიშვნელოვანი განცხადებაც გაკეთდა. თუმცა, ამას რეალური შედეგები არ მოჰყოლია რუსეთის ფაქტორის გამო. იმ პერიოდში დასავლეთში ყოფილ საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებს ძირითადად რუსეთის პრიზმით ხედავდნენ. [11, 26]

სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს საუბარი ნატოში განწევრიანების შესახებ. რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ამ ქვეყნების სწრაფვას ალიანსში განწევრიანებისკენ სჭირდებოდა ადექვატური რეაქცია. 1994 წლის დასაწყისში ნატომ ბრიუსელის სამიტზე მიიღო აშშ-ს ახალი ინიციატივა, პროგრამა — „პარტნიორობა მშვიდობისთვის“. ეს იყო ნატოს მთავარი სტრატეგიული მიზნის — ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის ფორმირების — ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტი, რომლის შექმნაში, ნატოს აზრით, მონაწილეობა უნდა მიეღო „ცივი ომის“ პერიოდში დაპირისპირებული ბანაკების ყველა წევრს. პროგრამაში მონაწილეობის საშუალება ევროთათბირის ყველა ქვეყანას ჰქონდა. მნიშვნელოვანია, რომ „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ასახავდა ორიენტირებს სამომავლოდ ნატოში შესაძლო სრული განწევრიანებისთვის. ნატოში განწევრიანების პერსპექტივა დამოკიდებული ხდებოდა იმაზე, თუ რა წარმატებით აითვისებდა პარტნიორი ქვეყანა თანამშრომლობის ახალი ფორმის შესაძლებლობებს და როგორ მიუახლოვებოდა იგი ნატოში არსებულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ და სამხედრო სტანდარტებს.

1994 წლიდან საქართველო შეუერთდა ნატოს პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, რის შემდეგაც იწყება ნატო-საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა.

ნატოს ტრანსფორმაციის ფრიად მნიშვნელოვანი ეტაპი დაკავშირებულია ალიანსის 1997 წლის მადრიდის სამიტთან. ამ სამიტზე ჩამოყალიბდა პრინციპული მიდგომები ალიანსის შიდა სტრუქტურული ცვლილებების, მის რიგებში ახალი წევრების მიღების, ასევე, პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების შემდგომი გაღრმავების თაობაზე. სამიტზე გაკეთდა განცხადება ალიანსში ახალი წევრების – პოლონეთის, ჩეხეთისა და უნგრეთის — მოწვევის შესახებ, რაც საბოლოოდ უსვამდა წერტილს ევროპაში ცივი ომისდროინდელ ძალთა ბალანსს და უმკვიდრებდა ნატოს კონტინენტზე უსაფრთხოების მთავარი გაზრანტის როლს.

პარტნიორ ქვეყნებთან ნატოს თანამშრომლობის გაფართოების მიზნით დღის წესრიგში დადგა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოსა და პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ შერწყმის შედეგად ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს შექმნა. ამიერიდან აქცენტი კეთდებოდა ცალკეული ქვეყნების სპეციფიკურ ინტერესებსა და ე.წ. თვითდიფერენციაციის პრინციპზე. ეს გულისხმობდა, რომ პარტნიორებს თვითონ უნდა განესაზღვრათ ნატოსთან თანამშრომლობის დონე და მისი შინაარსობრივი მხარე. სწორედ ამ გადანყვეტილების შესაბამისად დაიწყო ნატოსთან ინდივიდუალური თანამშრომლობის გეგმების მომზადება, მათ შორის საქართველოში.

მადრიდის სამიტზე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი ნატოსთან პარტნიორი ქვეყნების პოლიტიკური და სამხედრო დონეთა ასამალღებლად. პარტნიორებს საშუალება ეძლეოდათ შეექმნათ ნატოსთან სრულფასოვანი დიპლომატიური წარმომადგენლობები.

ნატო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის ფაქტორს და მის როლს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების მშენებლობის პროცესში. 1997 წლის 27 მაისს პარიზში, ერთი მხრივ, ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერებმა და ალიანსის გენერალურმა მდივანმა, ხოლო, მეორე მხრივ, პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს „დამფუძნებელ აქტს ნატოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ორმხრივი ურთიერთობის, თანამშრომლობისა და უსაფრთხოების შესახებ“. ამგვარად, ნატოს პარტნიორებს შორის რუსეთი ერთ-ერთი პირველი ქვეყანა იყო, რომელთანაც ალიანსმა გააფორმა ასეთი მაღალი დონის დოკუმენტი. ნატომ შეძლო დაერწმუნებინა რუსეთი ჩართულიყო ბოსნიის სამშვიდობო პროცესში და გაეგზავნა თავისი სამხედრო შენაერთები საერთაშორისო სამშვიდობო ძალებში მონაწილეობის მისაღებად. თუმცა, ნატოს სამხედრო



ჩარევამ ბოსნიაში, რაც იძულებითი ნაბიჯი იყო, მნიშვნელოვნად დაძაბა ურთიერთობა ალიანსსა და რუსეთს შორის.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში საკმაოდ აქტიურად განიხილავდნენ აფხაზეთის კონფლიქტის „ბოსნიური მოდელი“ მოგვარების საკითხს. საქართველოს აქტიური მცდელობით, ამ საკითხზე ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოშიც მიმდინარეობდა მსჯელობა. გადაწყდა, რომ „ბოსნიის მოდელის“, აფხაზეთთან მისადაგება მართებული არ იყო. დასავლეთში არსებობდა აზრი, რომ, აფხაზეთში უკვე მიღწეული იყო ცეცხლის შეწყვეტა, მხარეთა დაშორიშორება და ეს პრობლემა უფრო პოლიტიკურ-ჰუმანიტარულ ხასიათს ატარებდა. არსებობდა რუსეთის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც ნატო, უდავოდ, ითვალისწინებდა და ანგარიშს უწევდა. დასავლელი პარტნიორების აზრით, რუსეთთან პრინციპული შეთანხმების გარეშე ნატოს ჩართვა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტების მოგვარებაში მეტად სარისკო იქნებოდა, უპირველეს ყოვლისა, თვით ამ რეგიონის ქვეყნებისთვის, რადგან ეს უკიდურესად დაძაბვდა მათ ურთიერთობას მოსკოვთან.

ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში საქართველოს მიერ რამდენიმე ინიციატივა იქნა წამოყენებული. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს მიერ სამხრეთ კავკასიის საკითხებზე რეგიონული სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიცირება. უნდა ითქვას, რომ ამ საკითხმა საბჭოს სერიოზული დაინტერესება გამოიწვია. იგი ჯერ ნატოს პოლიტიკურმა კომიტეტმა და შემდეგ ელჩების საბჭომ განიხილა. სამწუხაროდ, აღნიშნული წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა რუსეთის დელეგაცია და ამის გამო მისი შექმნა 2 წლით გადაიდო. სამუშაო ჯგუფის შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 1999 წელს, როდესაც კოსოვოს მოვლენებთან დაკავშირებით რუსეთმა პროტესტის ნიშნად დროებით შეწყვიტა თანამშრომლობა ნატოსთან, კერძოდ, ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ფარგლებში.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების გააქტიურების მიუხედავად საქართველო კვლავაც რჩებოდა დსთ-სა და დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების წევრად. საქართველოში შიდაპოლიტიკური სტაბილურობის აღდგენისა და რეფორმებით განპირობებული ეკონომიკური ზრდის პარალელურად სულ უფრო მწვავედ იგრძნობოდა მოუგვარებელი კონფლიქტების პრობლემა, მათი გადანაცვებისათვის დსთ-ს ფარგლებში ძალისხმევის არაეფექტურობა. ამასთან, საქართველო გამონაკლისი როდი იყო — ყარაღალისა და დნესტრისპირეთის კონფლიქტები ასევე გაყინულ კონფლიქტებად იქცნენ.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრისთვის გამოიკვეთა დასავლეთის განსაკუთრებული დაინტერესება სამხრეთ კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს როლით კასპიის ზღვის აუზის ენერგორესურსების ტრანსპორტირებასა და რესურსებით მდიდარი შუა აზიის რეგიონთან კავშირის უზრუნველყოფაში. ამ დროისათვის საქართველომ უკვე შეიძინა საერთაშორისო სარბიელზე ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გამოცდილება. [11, 56-57]

1998 დასასრულისათვის საქართველოს წინაშე დადგა საკითხი დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებაში საქართველოს მონაწილეობის გაგრძელების თაობაზე. აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობამ მისცა პირველი ბიძგი პრინციპულ მსჯელობას ქვეყნის სტრატეგიული არჩევანის თაობაზე. საქართველოს ხელმძღვანელობაში, ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში აქტიური დისკუსია დაიწყო. არსებული რეალობიდან გამომდინარე საქართველოსთვის არჩევანი ოთხ შესაძლო ვარიანტამდე დაიყვანებოდა: უსაფრთხოების რეგიონალური ალიანსის ფორმირება; ნეიტრალიტეტი; დსთ-ს უსაფრთხოების სისტემაში ჩართვა; ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია.

თითოეული ვარიანტი დეტალურად განიხილებოდა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შესაძლო ნეიტრალური სტატუსის თემაზე, ეროვნული უშიშროების საბჭოს დავალებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სპეციალური მოხსენება მოამზადა. დასკვნა, რომლის მიხედვით ნეიტრალური სახელმწიფოს სტატუსი საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან შეუთავსებელი იყო, შემდეგ არგუმენტებს ეყრდნობოდა: ნეიტრალიტეტი მოძველებული კონცეფციაა და კლასიკური სახით იგი პრაქტიკულად არც კი არსებობს; მას არა აქვს მტკიცე საერთაშორისო-სამართლებრივი საფუძველი; ნეიტრალიტეტი ფაქტობრივად მეზობლების არჩევანია, მათი შეთანხმების საგანია და მათივე დასაცავი. ნეიტრალური სტატუსი საქართველოს არ აძლევს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და შენარჩუნების, ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვის, უსაფრთხოებისა და მშვიდობიანი განვითარების გარანტიას; იგი მოითხოვს ქვეყნის ეფექტურ თავდაცვას საკუთარი ძალებით ან მეზობლის მიერ დაცვას. ნეიტრალიტეტი გამორიცხავს მოკავშირეობას. მოყვანილი არგუმენტები ქვეყნის ხელმძღვანელობამ გაიზიარა.

დსთ-ს უსაფრთხოების სისტემის არაეფექტურობის არგუმენტებს თვით ამ სისტემის ფარგლებში თანამშრომლობის წლის გამოცდილება იძლეოდა: ამ პერიოდში საქართველოში არ შექმნილა არმია; არ დაწყებულა ინსტიტუციური რეფორმები უსაფრთხოების სფერო-

ში; არ გადადგმულა არც ერთი სერიოზული ნაბიჯი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად; რეგულარულად იქმნებოდა კონფლიქტური სიტუაციები საზღვრის, სანაპირო დაცვის, სამშვიდობო ოპერაციების თაობაზე; ჩეჩნეთის ომი და დაძაბულობა ჩრდილოეთ კავკასიაში საშიშროებას ქმნიდა, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ საქართველო რეგიონალურ კონფლიქტში ჩაეთრიათ; და ბოლოს, არ შეიძლებოდა რუსეთის ფედერაციის, როგორც უსაფრთხოების არსებული სისტემის ძირითადი მოთამაშის, დამოკიდებულების იგნორირება, რეგიონის უსაფრთხოების პრობლემების, კერძოდ, გაყინული კონფლიქტებისადმი.

1999 წელს საქართველო აზერბაიჯანთან და უზბეკეთთან ერთად გამოვიდა დსთ-ს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან. ამავე წელს საქართველომ ეუთოს (ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) სტამბოლის სამიტზე მიაღწია შეთანხმებას საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანის შესახებ; 2000 წელს მიიღეს სტრატეგიული დოკუმენტი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ — „საქართველო და მსოფლიო: მომავლის ხედვა და სტრატეგია“, რომელშიც პირველად გაცხადდა, რომ ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია არის საქართველოს უპირველესი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი.

მეტად საყურადღებოა, 1999 წლის აპრილში ნატოს ვაშინგტონის სამიტზე მიღებული განცხადებების სამოქმედო გეგმა, რომელშიც ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ნატოში გაერთიანების მსურველი ქვეყნებისათვის. განცხადებების სამოქმედო გეგმის დებულებაში ნათქვამია, რომ დაინტერესებული ქვეყანა ნატოში განცხადებამდე ვალდებულია, ეუთო-ს პრინციპების შესაბამისად, მოაგვაროს შიდა ეთნიკური თუ სამართლებრივი პრობლემები, ასევე ტერიტორიული და სხვა უთანხმოებანი მეზობელ ქვეყნებთან. ნატო განცხადებების მსურველი ქვეყნისგან მოელოს: საერთაშორისო ხასიათის პრობლემების მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარებას; კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემას; შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის დანერგებას; ნატოს ფუძემდებლური დოკუმენტებისა და ინიციატივების აქტიურ მხარდაჭერას; ძალის გამოყენებისაგან თავის შეკავებას ყველა იმ შემთხვევაში, როცა ეს არ შეესაბამება გაერო-ს პრინციპებს. მნიშვნელოვანია, პარტნიორის მზადყოფნა შეიტანოს თავისი წვლილი ალიანსის კოლექტიურ უსაფრთხოებაში, მონაწილეობა მიიღოს ალიანსის ახალ მისიებში, ასევე, თანმიმდევრულად დახვეწოს საკუთარი სამხედრო პოტენციალი.

საქართველომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავისი სტრატეგიული არჩევანი ნატოზე შეაჩერა. ეს არჩევანი შემდეგმა ფაქტორებმა განაპირობეს: საერთაშორისო ასპარეზზე შექმნილი ვითარებით გაცხადდა, რომ ნატო ყველაზე ეფექტური თავდაცვითი და უსაფრთხოების სტრუქტურა აღმოჩნდა მსოფლიოში; ნატოს წევრობით საქართველო უსაფრთხოების ამ სტრუქტურის სრულყოფილებიანი და თანასწორი წევრი გახდებოდა, მისი სუვერენობა არ შეიზღუდებოდა; საქართველო შეიძენდა საიმედო მოკავშირეებს გარე აგრესიის (კრიზისების) შემთხვევაში; ნატოს წევრობით საქართველო თავდაცვის მიზნით გამოყოფილი რესურსების ყველაზე ეფექტური გამოყენების (კოორპერატიული უსაფრთხოების) სისტემას უერთდებოდა; საქართველოს თავდაცვის სისტემა მსოფლიოს ყველაზე მონინავე სტანდარტების საფუძველზე აიგეოდა; ნატოში განწევრიანების პროცესი ქვეყნის დემოკრატიულ ტრანსფორმაციას, სახელმწიფო აღმშენებლობის დაჩქარებასა და სახელმწიფოს ფუნქციონირების ცივილიზებულ ფასეულობათა სისტემაზე დაფუძნებას გულისხმობდა.

საქართველოს კონტაქტები ნატოსთან განსაკუთრებით გააქტიურდა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. ქვეყნის ახალი ხელისუფლების მიერ მკაფიოდ განისაზღვრა საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტი — საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია.[12, 250-251] 2004 წლის 29 ოქტომბერს ნატო-ს უმაღლესმა ორგანომ ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ (NAC) დაამტკიცა საქართველოს „ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა“ (IPAP), რამაც საქართველოსა და ნატო-ს შორის ურთიერთობები კიდევ უფრო ინტენსიური გახადა.

IPAP-ი გულისხმობდა საქართველოს ვალდებულებებს შიდა ტერიტორიული კონფლიქტების სფეროშიც. დოკუმენტში ნათქვამი იყო: „გაყინული კონფლიქტები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში (სამხრეთ ოსეთი) აბრკოლებენ ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. ისინი აგრეთვე ემუქრებიან ქვეყნის შიდა და საერთაშორისო უსაფრთხოებას, რადგან ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, იარაღით და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობისათვის. საქართველოს მთავრობა მონოდედულია, მშვიდობიანი გზით გადაჭრას აღნიშნული პრობლემები სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

დოკუმენტის ერთ-ერთი პუნქტი შეეხო თანამშრომლობას საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სადაც აღინიშნა: „საქართველო მონოდედულია, ითანამშრომლოს გაეროსა და ეუთოსთან საკუთარ ტერი-

ტორიაზე არსებული კონფლიქტების მოგვარებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვა შესაბამის საკითხებში. ქვეყანა მოწოდებულია, გააფართოოს თანამშრომლობა ევროკავშირთან და დანერგოს ევროსაბჭოს სტანდარტები.“

ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაში აღნიშნული იყო, რომ ქვეყანა გააგრძელებს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკას, რაც შემდეგ კონკრეტულ ქმედებებს გულისხმობს: 1. მოკავშირეების ინფორმირება აღნიშნული საკითხების მიმდინარეობის შესახებ გაეროს და ეუთოს ნამყვანი როლის გათვალისწინებით. 2. ავტონომიური ერთეულების სტატუსის განსაზღვრა; ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების ხელშეწყობა; კონფლიქტის ზონების რეაბილიტაცია. [28]

2006 წელს საქართველო ნატოში ინტეგრაციის ინტენსიური დიალოგის ფაზაზე გადავიდა.

აღსანიშნავია, რომ უკვე 2006 წლის 27-28 ნოემბერს რიგაში გამართული ნატოს სამიტი შეეხო მაკედონიის, უკრაინისა და საქართველოს ნატოში შესაძლო გაწევრიანების თემას. ნატოს სამიტიზე საქართველო და უკრაინა ერთ კონტექსტში განიხილებოდა. რიგის სამიტიზე ნატოს გენერალური მდივნის, იაპ დე ჰოოპ სხეფერის განცხადებით: „საქართველოს გრძელი გზა აქვს გასავლელი ნატოსთან ინტეგრაციის შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად, თუმცა ეს საქართველოს გარდაუვალი მომავალია... პირველი, რასაც საქართველო ნატოსგან უნდა ელოდოს, ტერიტორიული მთლიანობისადმი აღიანსის სრული პატივისცემაა.“[29] „... ნატო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას ინტენსიური დიალოგის ფარგლებში რეფორმების განხორციელებაში“.[12, 253; 30]

რიგის სამიტიზე მიღებული დეკლარაციის 39-ე პუნქტი საქართველოს დაეთმო: „... ჩვენ კვლავაც აქტიურად დავუჭერთ მხარს საქართველოს რეფორმების გატარების პროცესში. მოვუწოდებთ საქართველოს, განაგრძოს წინსვლა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო რეფორმების, ასევე სასამართლო სისტემის რეფორმირების და ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების კუთხით.[12, 254; 30]

საქართველოს ნატოში ინტეგრაციის ინტენსიურმა ხასიათმა რუსეთის ხელისუფლებისა და პოლიტიკური წრეების განსაკუთრებული გაღიზიანება გამოიწვია. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დაძაბვა მნიშვნელოვნად უკავშირდება საქართველოს საგარეო ურთიერთობების ძირითად კურსს, ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს და ამ საკითხში ნატოსა და მისი წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერას. 2005

წელს რუსეთის მხრივ ცალმხრივად შეწყდა საჰაერო მიმოსვლა საქართველოსთან, შეიზღუდა ვაჭრობა. 2006 წელს აღინიშნა რუსეთიდან ქართველების მასშტაბური დეპორტაციის ფაქტები და ა.შ.

2006 წლის 30 მაისს პარიზში საქართველო-რუსეთის ურთიერთობას პლენარულ სხდომაზე შეეხო ნატოს საპარლამენტო ასამბლეა. მიიღეს დეკლარაცია, რომელშიც ხაზგასმით ითქვა, რომ რუსეთმა უფრო კონსტრუქციული როლი უნდა შეასრულოს კონფლიქტების მოგვარებაში. ნატო მიესალმება რუსული სამხედრო ბაზების გაყვანას საქართველოდან, როგორც პოზიტიურ ნაბიჯს. აღინიშნა, რომ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონში არსებული მოუგვარებელი კონფლიქტები კვლავ წარმოადგენს რეგიონში დაძაბულობის წყაროს. ნატოს საპარლამენტო ასამბლემ გამოთქვა სურვილი, რომ თავისი წვლილი შეიტანოს პროცესის საერთაშორისო მონიტორინგში.

სულ მალე, 2006 წლის 17 ნოემბერს კანადაში, ქვებეკში ნატო-ს საპარლამენტო ასამბლემ მიიღო რეზოლუცია საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობების შესახებ. დოკუმენტში გამოთქმული იყო შეშფოთება ორ ქვეყანას, კერძოდ საქართველოსა და რუსეთს შორის ვითარების დაძაბვის გამო და შეიცავდა კონკრეტულ რეკომენდაციებსა და მითითებებს თითოეული მხარის, ასევე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოებისა და პარლამენტების მისამართით. დოკუმენტი შეეხო კონფლიქტური რეგიონების თემასაც: ნატომ დაადასტურა მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის და აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართ; აღინიშნა, რომ არსებული კონფლიქტების მოუგვარებლობა სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას და რეგიონში კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას; განსაკუთრებულად ხაზი გაესვა, რომ გაეროს ქარტიის თანახმად და ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, რუსეთის ფედერაციას გააჩნია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აღნიშნული კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებაში და უნდა ითამაშოს უფრო კონსტრუქციული როლი;

ანსამბლემ მოუწოდა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მთავრობებსა და პარლამენტებს:

ა. თავი შეიკავონ ნებისმიერი ნაბიჯისგან, რომელიც დააზარალებს ორ ქვეყანას შორის შემდგომ ურთიერთობებს; ბ. გადაუდებლად დაიწყონ მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის ნორმალური კომუნიკაციისა და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენის თაობაზე; გ. სრულად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები აფხაზეთსა და სამხრეთ

ოსეთში კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარებასთან დაკავშირებით და გაეროს უშიშროების საბჭოს 2006 წლის 13 ნოემბრის რეზოლუციით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ამასთანავე, ნატომ მოუწოდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრ და პარტნიორი ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს: ა. გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის დიალოგის ხელშეწყობისა და მხარდაჭერისთვის, ნდობის აღდგენისა და დაძაბულობის განელების მიზნით; ბ. მხარი დაუჭირონ აფხაზეთსა და სამხეთ ოსეთში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების მიზნით მიმდინარე მოლაპარაკებებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში; გ. სრულად დაუჭირონ მხარი საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, კერძოდ, ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმაზე (MAP) გადასვლის სურვილს.

2008 წლის 3 აპრილს ბუქარესტის სამიტზე ალიანსის დეკლარაციაში ჩაიწერა, რომ ნატო მიესალმება საქართველოსა და უკრაინის ევრო-ატლანტიკურ ლტოლვას. ნატო-ს ლიდერებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი ქვეყანა.[17] თუმცა ამჯერად, ნატო-მ საქართველოსა და უკრაინისთვის MAP-ის მინიჭებაზე თავი შეიკავა და ეს საკითხი 2008 წლის დეკემბრისთვის გადადო.

ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა: რუსეთმა საქართველო - რუსეთის საზღვრის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე, საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად, უვიზო რეჟიმი დაანესა; განაცხადა მზადყოფნა აფხაზეთსა და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მინიჭების თაობაზე, დაიწყო აფხაზეთში არსებული უძრავი ქონების უკანონო პრივატიზაცია, აფხაზეთში შემოიყვანა სამშვიდობო ძალების დამატებითი კონტინგენტი საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად; კეთდებოდა ოფიციალურ პირთა განცხადებები, რომ საჭიროების შემთხვევაში, დაიცავენ ამ ტერიტორიებზე რუსეთის მოქალაქეების ინტერესებს.

2008 წლის 5 მაისს საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითა კომისიამ განცხადებით მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, რითაც შეეცადა ყურადღება მიეპყრო საქართველოს მიმართ რუსეთის მზარდი აგრესიულობისთვის. კომისიის შეფასებით, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის ამგვარი ქმედებების მიზანი იყო სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერა და საქარ-

თველოს ნატოში ინტეგრაციისთვის წინააღმდეგობის განწევა: „... ამგვარი ქმედებები ცალსახად აღიქმება აფხაზეთის – საქართველოს განუყოფელი ნაწილის ფაქტობრივი ანექსიის მცდელობად.“ მიმართვაში აღინიშნა, რომ „... კომისია მთლიანად ეთანხმება საერთაშორისო თანამეგობრობაში დამკვიდრებულ აზრს იმის თაობაზე, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების ბოლოდროინდელი არაადეკვატური ქმედებები საფუძველშივე ეწინააღმდეგება კონფლიქტის მხარეებს შორის შუამავალის ფუნქციის შესრულებას, ამასთანავე, განპირობებულია დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობითა და საქართველო-უკრაინის ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაერთიანებისკენ მისწრაფებით. კრემლის მცდელობები დაუფარავად არის მიმართული იქეთკენ, რომ ყველა არსებული საშუალებებით შეეწინააღმდეგოს და არ დაუშვას მათი NATO-ში გაწევრიანება.... კომისია მოელოდა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა, გაერო, საქართველოს მეგობარი ქვეყნების წევრი სახელმწიფოები, ეუთო, ევროკავშირი არ მისცემენ ვითარების ესკალაციით დაინტერესებულ ძალებს თავიანთი ზრახვების ცხოვრებაში გატარების საშუალებას.“[18]

რუსეთის მხრიდან კვლავ გაგრძელდა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ მიმართული ინციდენტები: რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ არაერთხელ დაირღვა საქართველოს საჰაერო სივრცე და განხორციელდა სამხედრო აგრესიის აქტი; რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთში) საერთაშორისო ნორმებისა და ქვეყნის სუვერენიტეტის უგულვებელყოფით შემოიყვანა რეგულარული სამხედრო ნაწილები – ე. წ. სარკინიგზო ძალები და დაიწყო სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. მან კონფლიქტის ზონაში განათავსა სადესანტო ნაწილები, მძიმე ტექნიკა და ისეთი ტიპის შეიარაღება, რომელიც არ იყო გათვალისწინებული სამშვიდობო ოპერაციის ფორმატით და ა.შ.

2008 წლის 11 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ამ ფაქტების თაობაზე მიმართა საერთაშორისო თანამეგობრობის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტებს. მიმართვაში ხაზგასმული იყო, რომ რუსეთის ხელისუფლების ქმედებები აფერხებს ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენისა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესს, ხდება კონფლიქტების შემდგომი ესკალაცია და საფრთხე ექმნება სტაბილურობას მთელ რეგიონში. საქართველოს პარლამენტი მიუთითებდა, რომ რუსეთის ფედერაცია იყო კონფლიქტის მხარე და მიზნად ისახავდა საქართველოს ტერიტორიების (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის) სამხედრო ოკუპაციას და ანექსიას. საქართველოს



პარლამენტი თხოვნით მიმართავდა საერთაშორისო თანამეგობრობას, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტებს: მკაცრი შეფასება მიეცათ რუსეთის ფედერაციის აგრესიული ქმედებებისთვის; შესაბამისი პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი ღონისძიებებით აღეკვეთად მისი მხრიდან საქართველოს მიმართ შესაძლო პირდაპირი სამხედრო აგრესია.[18]

რუსეთის ფედერაციის აგრესიულმა პოლიტიკამ კულმინაციას 2008 წლის აგვისტოში მიაღწია, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შემოჭრილმა რუსეთის სამხედრო შენაერთებმა სუვერენული სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე განახორციელეს შეიარაღებული აგრესია. რუსეთმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და ამ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზები განათავსა. კონფლიქტის დარეგულირებაში ჩაერთო ევროკავშირი. დაიდო ხელშეკრულება ევროკავშირს, რუსეთსა და საქართველოს შორის. რუსეთმა აიღო ვალდებულება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ.

აგვისტოს მოვლენებმა მძიმე შედეგები მოუტანა საქართველოს. იყო მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში. ქვეყანაში გაჩნდა საკუთარი ტერიტორიიდან დევნილი 300 000-მდე ადამიანი.

დღეს სრულიად ცხადია, რომ რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან დაახლოების მისწრაფება იყო. 2008 წლის 8 ოქტომბერს აგვისტოს მოვლენების შემდეგ რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა საფრანგეთის ქალაქ ევიანში გამართულ მაღალი დონის კონფერენციაზე ნატოს გაფართოების შესახებ შემდეგი განცხადება გააკეთა: „საქართველოსა და უკრაინის ნატოში მიღების საკითხი რუსეთის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია... ალიანსი თავის სამხედრო ინფრასტრუქტურას ჩვენი ქვეყნის საზღვრებს უახლოვებს და ახალ გამყოფ ხაზებს ავლებს ევროპაში, ახლა უკვე ჩვენს დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე... ჩვენ განვიხილავთ ამ ქმედებებს, როგორც ჩვენ წინააღმდეგ მიმართულს.“[24] ეს თემა ღიად გაჟღერდა აგვისტოს მოვლენებიდან რამოდენიმე წლის შემდეგაც, 2011 წლის 23 ნოემბერს, ვლადიკავკაზში, რუსეთის 58-ე არმიის შტაბში (სწორედ ის არმია, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულ აგრესიაში) დიმიტრი მედვედევმა ოფიცრებთან საუბრისას აღნიშნა, რომ 2008 წლის ომმა ნატო-ს პოსტსაბჭოთა სივრცეში შემდგომი გაფართოების გეგმები ჩაშალა: „2008 წელს ჩვენ რომ შევმკრთალიყავით, გეოპოლიტიკური მონყობა ახლა სულ სხვა იქნებოდა და მთელი რიგი ის ქვეყნები, რომელთა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შეთრევას ხელოვნურად ცდილობ-

დნენ, უკვე იქ იქნებოდნენ.“ [19] იმავე დღეს, დონის როსტოვში ჟურნალისტებთან შეხვედრისას დიმიტრი მედვედევმა ეს აზრი კვლავ დაადასტურა: „... ზოგიერთი ჩვენი პარტნიორისთვის, მათ შორის ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ეს იყო სიგნალი, რომ ვიდრე გაფართოების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებდეს, გეოპოლიტიკურ სტაბილურობაზე უნდა იფიქროს. ეს არის ძირითადი გაკვეთილები იმისა, რაც 2008 წელს ხდებოდა.“ [19]

მედვედევის განცხადებები ნათლად მეტყველებს, რომ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი რუსეთის ფედერაციას ძალის დემონსტრაციისთვის სჭირდებოდა. საქართველოს ტერიტორიების დაკავებით, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზების განთავსებით, მან მსოფლიოს სამხრეთ კავკასიაში თავისი ინტერესების აქტუალობა უჩვენა და ამით პროტესტი გამოხატა ნატოს ამ მიმართულებით გაფართოების სურვილის გამო.

როგორია ნატოს პოზიცია საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ 2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების შემდეგ?

2008 წლის 12 აგვისტოს, ბრიუსელში, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში გაიმართა ნატო-საქართველოს შეხვედრა რუსეთ-საქართველოს შორის მიმდინარე შეიარაღებული კონფლიქტის საკითხებზე.[3; 4] შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება ნატო-საქართველოს კომისიის (NGC) შექმნის თაობაზე. 21-22 აგვისტოს შედგა ნატო-ს წარმომადგენელთა 15 კაციანი ჯგუფის ვიზიტი საქართველოში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო ქმედებებით გამოწვეული ზარალის ადგილზე შეფასების მიზნით.

2008 წლის 15 სექტემბერს, დაარსდა ნატო-საქართველოს კომისია, მხარეებმა ხელი მოაწერეს ნატო-საქართველოს კომისიის დამფუძნებელ ჩარჩო დოკუმენტს და ჩატარდა კომისიის პირველი სხდომა. გაკეთდა ერთობლივი განცხადება პრესისთვის, სადაც ალიანსის წევრებმა კვლავ დაადასტურეს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა და დაგმეს რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილება, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ.[18] პრესკონფერენციაზე ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა განაცხადა: „...ნატო-საქართველოს ურთიერთობაზე...აგვისტოში განვითარებულმა მოვლენებმა ...გავლენა არ უნდა მოახდინოს. ალიანსის 26 წევრს საკუთარი შეხედულება აქვს ყოველივე ამის მიმართ. ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც საფრანგეთის მონაწილეობით იყო მიღწეული. ... ნატო და ევროკავშირი ერთ პოზიციაზე დგანან. ნა-

ტო არ მიისწრაფვის პოლიტიკური პროფილისაკენ. პოლიტიკური თვალსაზრისით, პროცესში აქტიურადაა ჩაბმული ევროკავშირი.“[10]

2008 წლის 18 ნოემბერს, ვალენსიაში, ესპანეთში ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია საქართველოსა და რუსეთის კონფლიქტის შესახებ. დოკუმენტში ღიად დაფიქსირდა ნატოს მხარდაჭერა საქართველოს მიმართ და მკვეთრი ნეგატიური შეფასება მიეცა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევის ფაქტს. დეკლარაციის ტექსტს სრულად მოვიყვანთ:

„ასამბლეა,

1. გმობს რუსული ჯარების მიერ ძალის არაპროპორციულ გამოყენებას საქართველოს წინააღმდეგ, ქართული ტერიტორიის ოკუპაციას რუსული ძალების მიერ, ეთნიკურ წმენდას ქართველების წინააღმდეგ სამხრეთ ოსეთში, ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების არასრულ შესრულებას რუსეთის მიერ და მის მიერ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებას.

2. აღნიშნავს, რომ ეს მოქმედებები ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, აგრეთვე ვალდებულებებს, რომლებიც რუსეთმა იკისრა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) და ევროპის საბჭოს წინაშე;

3. შეახსენებს, რომ რუსეთის ფედერაციას, რომელსაც ჰყავს თავისი კონტინგენტი სამხრეთ ოსეთის მშვიდობისყოფის ძალების შემადგენლობაში და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) მშვიდობისყოფის ძალთა შემადგენლობაში აფხაზეთში, პასუხისმგებელია ამ რეგიონების მთელი სამოქალაქო მოსახლეობის დაცვისათვის;

4. აღნიშნავს შემდეგ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები რამდენიმე თვის განმავლობაში ზრდიდნენ ჯარების, სპეციალიზებული ძალებისა და სამხედრო ტექნიკის კონტინგენტს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საკმაოდ დაშორებით მშვიდობისყოფის ძალების (მანდატის) შესაბამისობის საზღვრებიდან, რითაც ხელს უწყობდნენ დაძაბულობის ესკალაციას ორივე ამ რეგიონში;

5. აღიარებს, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის საომარი მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებული ფაქტები ავტორიტეტული წყაროების მიერ ობიექტურად დადგენილი არ არის. ამის გამო მიესალმება ევროკავშირის ინიციატივას, ამ გარემოებების დადგენა დაევალოს დამოუკიდებელ საგამოძიებო კომისიას და აღნიშნავს, რომ აუცილებელია (საჭიროა) რუსეთის ფედერაციისა და სა-

ქართველოს მთავრობების თანაბარზომიერი ხელშეწყობა, როგორც წინაპირობა გამოძიების დამაკმაყოფილებელი დამთავრებისათვის;

6. აღიარებს აგრეთვე, რომ 2008 წლის აგვისტოში ქართულ სოფლებზე შეტევის გაძლიერება სამხრეთ ოსეთის შიგნით (შიდა ძაღებიდან) სერიოზული პროვოკაცია იყო;

7. გამოთქვამს, მიუხედავად ამისა, უკმაყოფილებას იმ ფაქტით, რომ ქართულმა ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალის გამოყენებით გასცა პასუხი, რამაც ხელი შეუწყო ძალადობის ესკალაციას;

8. ხაზს უსვამს, რომ სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს სუვერენული ტერიტორიაა და რომ რუსეთის ფედერაციამ ხმა მისცა გაეროს მრავალ რეზოლუციას (გაეროს უშიშროების საბჭოს 2008 წლის 15 აპრილის რეზოლუციის ჩათვლით), რომლებიც ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას;

9. კვლავ ადასტურებს, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სიტუაციის ნებისმიერი მყარი გადაწყვეტა პოლიტიკური მონაწილეობისა და მოლაპარაკებების შედეგად უნდა მოხდეს და არამცდარად საომარი ძალის გამოყენებით;

10. გამოთქვამს იმედს იმისა, რომ მომავალი მრავალმხრივი და ორმხრივი დიპლომატიური ძალისხმევა ახალ საფუძველს ჩაუყრის ურთიერთობებს რუსეთის ფედერაციასთან;

11. მიესალმება ევროპის კავშირის როლის გააქტიურებას საფრანგეთის მეთაურობით, განსაკუთრებით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის განლაგების საქმეში;

12. ხაზს უსვამს საყოველთოდ აღიარებულ საერთაშორისო პრინციპს, რომ მშვიდობისყოფის ძალები ნამდვილად საერთაშორისო უნდა იყოს;

14. იხსენებს, რომ 2008 წლის აპრილში გამართული ბუქარესტის სამიტის დეკლარაციაში გამოთქმულია მხარდაჭერა საქართველოს განაცხადზე, მონაწილეობა მიიღოს ნატოში გაერთიანების (შესვლის) სამოქმედო გეგმაში და აღნიშნავს, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი;

15. შეახსენებს აგრეთვე თავის წინა რეზოლუციებს, რომლებიც მოუწოდებდა საქართველოსთან დიალოგის გაძლიერებისა და უფრო მჭიდრო თანამშრომლობისაკენ;

16. მიესალმება ნატო-საქართველოს კომისიას, რომელიც ცოტა ხნის წინ შეიქმნა ჩრდილოატლანტიკურ კავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის შემდგომი წინსვლისათვის;

17. მოუწოდებს ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრი-ქვეყნების მთავრობებსა და პარლამენტებს: ა) ხელი შეუწყონ საერთაშორისო დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას, რათა განისაზღვროს მოვლენათა ჯაჭვი, რამაც კონფლიქტამდე მიგვიყვანა; ბ) ხელი შეუწყონ ჟენევის მოლაპარაკებებს, რათა მოიძებნოს მტკიცე გადაწყვეტილება სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტების თაობაზე; გ) ისწრაფონ, რომ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ფართო დანიშნულების მშვიდობისყოფის ძალები იქნენ შეყვანილნი; დ) ხელი შეუწყონ საქართველოს მთავრობას, განახორციელოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმები, რომლებიც მიმართულია ძირითადი დემოკრატიული და ინსტიტუციონალური მიზნებისაკენ, რაც შესაძლებელს გახდის, საქართველო რაც შეიძლება მალე განეწიანდეს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში. ე) შესთავაზონ საქართველოს სამოქმედო გეგმა ნატოს წევრობისათვის; ვ) მხარი დაუჭირონ ძალისხმევას, გაიზარდოს საქართველოს გავლით ენერგორესურსების გატარება, რათა შემცირდეს ევროპის დამოკიდებულება რუსულ ნავთობსა და გაზზე; ზ) დაეხმარონ საქართველოს კონფლიქტის დროს დანგრეული ინფრასტრუქტურის აღდგენაში; თ) შეინარჩუნონ კონსტრუქციული დიალოგი რუსეთის ფედერაციასთან, რითაც ხელი შეეწყობა სტაბილურობას სამხრეთ კავკასიის რეგიონში; ი) მოახდინონ ზეწოლა რუსეთის ფედერაციაზე იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების პირობების სრულად შესრულება.“

ამ კონტექსტში საყურადღებოა, რომ ნატო ცალსახად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ალიანსის მაღალი დონის წარმომადგენლების მიერ გაკეთდა განცხადებები, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტების მოუგვარებლობა არ უნდა განიხილებოდეს ნატოში საქართველოს განეწიანების ხელისშემშლელ ფაქტორად. დასავლეთში ნათლად აცნობიერებენ, რომ, სხვაგვარი მიდგომის შემთხვევაში, რუსეთი შეეცდება ხელი შეუშალოს აღნიშნული კონფლიქტების მშვიდობიან დარეგულირებას.

2009-2010 წლები არის პერიოდი, როდესაც სპეციალური კომისია სწავლობს რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული აგრესიის ფაქტებს და ქვეყნდება დოკუმენტი (ე.წ. ტალიავინის დასკვნა) აგვისტოს მოვლენების შესახებ, სადაც ცალსახა დასკვნები და შეფასებები არ არის რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შესახებ. ამასთან რუსეთი არ ასრულებს ევროკავშირის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო, 2010 წლის 16 ნოემბერს, ნატო-ს საპარლამენტო

მენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია. რეზოლუციის თანახმად რუსეთის ჯარების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე შეფასდა, როგორც 2008 წლის აგვისტოს ევროკავშირის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევა და დამოუკიდებელი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია. ნატოს საპარლამენტო ასამბლეამ, საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის პირველმა, ოფიციალურად ცნო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის განდევნა ეთნონმენდის გზით. აღსანიშნავია, რომ რუსეთის მიერ 2008 წელს ეს ტერმინოლოგია, კერძოდ, საქართველოს „ოკუპაცია“ და ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობის „ეთნონმენდა“, მოგვიანებით, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც გაიზიარეს.

ბუქარესტის სამიტის გადანიშნულებით გადამეორდა და განმტკიცდა, 2010 წლის 19-20 ნოემბერს, ქ. ლისაბონში ნატო-ს სამიტზე. ლისაბონის სამიტზე მიღებულ ნატო-ს ახალ სტრატეგიულ კონცეფციასა და დეკლარაციაში კვლავ აღინიშნა, რომ საქართველო გახდება ნატო-ს წევრი. რუსეთს მტკიცედ მოეთხოვა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულება და საქართველოს რეგიონების – სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლად აღიარების შეცვლა.[25]

ნატო-საქართველოს ურთიერთობების მნიშვნელოვანი მომენტი იყო 2011 წლის 9 ნოემბერს, თბილისში, ნატოს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის ხელმძღვანელობით ჩრდილოატლანტიკური საბჭოს რიგით მეორე ვიზიტი. ალიანსის 28 წევრი ქვეყნის მუდმივმა წარმომადგენელმა ნატო-ს უმაღლესი თანამდებობის პირებთან და საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გამართეს. სხდომაზე მიღებული ერთობლივი განცხადებით, 29 ქვეყანა (28 ნატოს წევრი სახელმწიფო და საქართველო) მიესალმა საქართველოს მიღწევებს რეფორმების პროცესში. მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ალიანსის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, აღნიშნეს საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არაღიარების პოლიტიკისადმი ერთგულება, მოუწოდეს რუსეთს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისკენ და ყურადღება გაამახვილეს საერთაშორისო დამკვირვებლების საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეუზღუდავი გადაადგილების აუცილებლობაზე. ერთობლივ განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ალიანსი ბუქარესტის სამიტის გადანიშნულებების ერთგული რჩება.

ალიანსის პოზიცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მიმართ, კიდევ ერთხელ, ნათლად გამოიხატა, 2011 წლის 14 ნოემბერს ნატო-ს გენერალური მდივანის განცხადებაში, რომ ნატო არ აღიარებს საქართველოს რეგიონში, სამხრეთ ოსეთში, 2011 წლის 13 ნოემბერს ჩატარებულ არჩევნებს: „ამგვარი არჩევნების ჩატარება ხელს არ უწყობს საქართველოში არსებული ვითარების მშვიდობიან და საბოლოო დარეგულირებას. ალიანსი კვლავ ადასტურებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი სრულ მხარდაჭერას საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.“ აღსანიშნავია, რომ 2011 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთში ჩატარებული არჩევნები ნატომ ანალოგიურად შეაფასა.

2011 წლის დეკემბერში ბრიუსელში გამართული ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შემადგამებელ კომუნიკეში საქართველო პირველად იქნა მოხსენიებული ბალკანეთის რეგიონის MAP-ის მქონე ქვეყნებთან ერთად. ამ ქვეყნების ჯგუფს ეწოდა „ასპირანტი პარტნიორები“ და ამით მოხდა მათი გამოყოფა ნატო-ს „პარტნიორი“ ქვეყნების დიდი ჯგუფიდან (37 სახელმწიფო). ამ ქვეყნების დიფერენცირება მოხდა პოლიტიკურად და არა იურიდიულად, იმ ნიშნით, რომ ისინი წარმოადგენენ განსაკუთრებულ სახელმწიფოებს, რომლებიც აუცილებლად გახდებიან ალიანსის წევრები.[23]

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 20-21 მაისს ჩიკაგოში გამართული ნატო-ს სამიტის ფარგლებში საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო როგორც პარტნიორობის, ასევე „ასპირანტების“ ფორმატში გამართულ ყველა შეხვედრაში. მნიშვნელოვანია აღნიშნულ სამიტზე ნატო-რუსეთის ურთიერთობისადმი მიძღვნილი პარაგრაფი, სადაც მოკავშირეებმა აღნიშნეს რუსეთთან არსებული უთანხმოებები „სპეციფიკურ“ საკითხებზე და ამ კონტექსტში, კვლავ მოუწოდეს რუსეთს შეასრულოს 2008 წლის 12 აგვისტოსა და 8 სექტემბერს, ევროკავშირთან მოლაპარაკებების შედეგად, საქართველოსთან მიმართებით ნაკისრი ვალდებულებები. ხაზი უნდა გაესვას, რომ მოკავშირეებმა გამოხატეს შეშფოთება საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მიერ სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობის საკითხზე და მოუწოდეს რუსეთს უზრუნველყოს საერთაშორისო დამკვირვებლებისა და ჰუმანიტარული დახმარების თავისუფალი დაშვება საქართველოს ტერიტორიაზე.

სამიტის დეკლარაცია ასევე შეეხო სამხრეთ კავკასიაში „გაჭიანურებულ რეგიონულ კონფლიქტებს.“ ალიანსის წევრებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა, სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა. აღნიშნეს, რომ

კვლავ გააგრძელებენ, საერთაშორისო სამართლის, გაეროს წესდები-სა და ჰელსინკის დასკვნითი აქტის პრინციპებზე დაყრდნობით, რეგი-ონული კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების პროცესის მხარდა-ჭერას.

ამგვარად, საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების ერთ-ერთი პრიორიტეტია. ნატო მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორი-ულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. რუსეთის მიერ 2008 წლის ცეც-ხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების შესრულების აუცილებლო-ბის საკითხი მუდმივად დგას ნატო-რუსეთის დიალოგის დღის წესრიგ-ში, ნატოსთან ყოველწლიური ეროვნული პროგრამების საფუძველზე მიმდინარეობს საქართველოს დემოკრატიული და სამხედრო ინსტი-ტუტების განვითარება, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ალიანსთან სა-ქართველოს თავსებადობას.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის თვალსაზ-რისით მნიშვნელოვანია, 2010 წლის ნოემბერში, ბუქარესტისა და ლი-საბონის სამიტებზე ნატო-ს მიერ მიღებული რეზოლუციები და ორგა-ნიზაციის სტრატეგიული ხედვა. რუსეთის ჯარების ყოფნა საქართვე-ლოს ტერიტორიაზე შეფასდა, როგორც 2008 წლის აგვისტოს ევრო-კავშირის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების დარღვევა და დამოუ-კიდებელი ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია. ნატო საერთაშორისო ორ-განიზაციებს შორის პირველი იყო, რომელმაც ოფიციალურად ცნო რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და ოკუპირებული რეგიონე-ბის მოსახლეობის განდევნა ეთნონმენდის გზით. რუსეთს მტკიცედ მოეთხოვა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებით აღებული ვალდებუ-ლებების შესრულება და საქართველოს რეგიონების – სამხრეთ ოსე-თისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შეცვლა.

### **დამონებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, თბილისი, 2003.
2. <http://www.eu-nato.gov.ge/index.php?title=nato>
3. [http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=88](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=88)
4. [http://mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=555](http://mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=555)
5. [http://www.georgia.mid.ru/rg/rg\\_02.html](http://www.georgia.mid.ru/rg/rg_02.html)
6. <http://www.civil.ge/geo/>
7. <http://www.nato.int/issues/nato-georgia/index-geor.html>
8. [http://www.mfa.gov.ge/index.php?sec\\_id=90&lang\\_id=GEO](http://www.mfa.gov.ge/index.php?sec_id=90&lang_id=GEO)
9. <http://www.nato.int/docu/update/2007/11-november/e1128b.html>



10. <http://www.president.gov.ge/?l=G&m=0&sm=1&id=278>
11. ს. ცინცაძე, ზ. აბაშიძე, ჯ. სამუშია, ი. მენაღარიშვილი, დ. ნარმანია, ბ. ქუთელია, საქართველო – ნატო, სანყისები, რეალობა, პერსპექტივები, თბილისი, 2007.
12. ნ. ჩიტაძე, ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი, თბილისი, 2008.
13. <http://www.nato.int/docu/other/ru/2006/pr06-150r.htm>
14. [www.opentext.ge/resonance](http://www.opentext.ge/resonance). მარტი, 2007.
15. [www.24saati.ge](http://www.24saati.ge). 2 ოქტომბერი, 2007.
16. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=17653>
17. <http://www.president.gov.ge/ge/PressOffice/News/Releases?p=3224&i=1>
18. <http://www.parliament.gov.ge>
19. <http://24saati.ge/index.php/category/news/2011-11-23/22100>
20. <http://www.mfa.gov.ge>
21. [http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=454](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=454)
22. <http://www.eu-nato.gov.ge/>
23. <http://eu-nato.gov.ge/index.php?que=geo/news&info>
24. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19716>
25. [http://eu-nato.gov.ge/index.php?que=geo/NATO\\_W\\_I\\_N/Geo\\_N\\_P](http://eu-nato.gov.ge/index.php?que=geo/NATO_W_I_N/Geo_N_P)
26. [http://eu-nato.gov.ge/index.php?que=geo/G\\_A\\_N\\_G/ANP](http://eu-nato.gov.ge/index.php?que=geo/G_A_N_G/ANP)
27. [http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=453](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=453)
28. [http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=455](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=455)
29. [www.opentext.ge/resonance](http://www.opentext.ge/resonance) 30 ნოემბერი, 2006.
30. [www.nato.int](http://www.nato.int). Materials of the Riga Summit. November, 2006.

## **Khatuna Kokrashvili**

*Doctor of History, Ivane Javakishvili Tbilisi State University, Ivane Javakishvili Institute of the History and Ethnology, Senior Scientist-researcher of the Department of Modern and Contemporary History*

### **NATO and the Regions of Conflict in Georgia**

#### **Summary**

The integration of Georgia in Euro-Atlantic structures is one of the priorities of country foreign policy and security. NATO supports the territorial integrity and sovereignty of Georgia. Inevitability of fulfilling ceasefire agreement of 2008 is always in the agenda of the dialogue between NATO and Russia. On the basis of annual national programs of NATO the democratic and military institutions of Georgia are developed that deepens compatibility of Georgia with alliance.

From the point of view of protecting the territorial integrity of Georgia the resolutions and strategic vision of NATO were received by the organization at the summits of Bucharest and Lisbon in November, 2010. Russian military presence on the territory of Georgia was rated as a termination of an agreement and the occupation of the territory of independent country. NATO was the first among the international organizations who first officially acknowledged the occupation of Georgia by Russia and expel of the population of the occupied territories by ethnoclinsing. The performance of commitments of ceasefire agreement and annulling of the acknowledgement of the independence of South Ossetia and Abkhazia – regions of Georgia was strictly required from Russia.

მერაბ კალანდაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

**დიმიტრი უზნაძე — საზრანბეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე**

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის მესაძირკვლე, პატრიარქი, აკად. დიმიტრი უზნაძე ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო. მისი ინტერესები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ფსიქოლოგიის საკვანძო საკითხებით. ამავე დროს ის საკმაოდ ჩახედული ჩანს სხვა დარგებში, სახელდობრ მსოფლიო ისტორიაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს დაინტერესება აშკარად სცილდება უბრალო გატაცების, ჰობის, ფარგლებს და მკვეთრად გამოკვეთილ მეცნიერულ ელფერს იძენს. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ მას ისტორიული განათლება ჰქონდა მიღებული. 1910-1913 წლებში ექსტერნის წესით ჩააბარა გამოცდები და სწავლობდა ხარკოვის უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ისტორიის განხრით. დ. უზნაძეს ჩინებული სკოლა ჰქონდა გავლილი ძველ მსოფლიო ისტორიაში გერმანიაში ცნობილ მეცნიერებთან ნიზესთან და ვილკენტან. ის იყო მსოფლიო ისტორიის მასწავლებელი [1]. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ისტორიის პირველი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნაში. ეს ამ სფეროში მისი პედაგოგიური საქმიანობის ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება. ეს არის მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ერთი საინტერესო უბანი, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. დიმიტრი უზნაძე, როგორც ისტორიკოსი დღემდე პერიფერიულ თემად რჩება და ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არაა შესწავლილი. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნევთ შეგვეცხოვროს ეს ხარვეზი და აღნიშნული პრობლემა საგანგებო შესწავლის საგანი გაგვეხადა.

\* \* \*

დიმიტრი უზნაძის მსოფლიო ისტორიის ახალი სახელმძღვანელოების ერთ-ერთ ღირსებას მსოფლიო ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაცია წარმოადგენს. ის შეესაბამებოდა საერთაშორისო სტანდარტებს და სავსებით აკმაყოფილებს იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მკაცრ მოთხოვნებს [2].

საინტერესოა დ. უზნაძის დამოკიდებულება მსოფლიო ისტორიის ცალკეული საკვანძო საკითხების პერიოდიზაციისადმი. ამჯერად შევეხებით დ. უზნაძის მიერ საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციას. თემა არის რთული და აქტუალური და მისადმი ისტორიკოსების დამოკიდებულება ერთგვაროვანი არასოდეს ყოფილა.

თავის „ახალი ისტორიის„ სახელმძღვანელოში დ. უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციის საკითხს საგანგებოდ, ცხადია, არ შეხებია, მაგრამ თუ კარგად ჩაუფიქრდებით საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი მის დამოკიდებულებას აუცილებლად აღმოვაჩინებთ გარკვეულ მინიშნებას საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაციაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ამ რთული პრობლემისადმი მისი მიდგომა [3]. კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, აღნიშნული პრობლემისადმი აკად. დიმიტრი უზნაძის დამოკიდებულება დაახლოებით ასეთი გახლდათ.

უწინარესად საინტერესოა განვიხილოთ დ. უზნაძის თვალსაზრისი საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის მიმართებაზე. საკითხი არის რთული და მრავალნახნაგოვანი. აღნიშნული პრობლემის ირგვლივ ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. გამოთქმულია დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულებები. ისტორიკოსთა ერთი დიდი ნაწილი (ა. ტიერი, ფ. მინიე, ა. სორელი, ჟ. და კ. ვილარები, ა. სობული და სხვ.) ფიქრობენ, რომ ნაპოლეონის ხანა რევოლუციის ეპოქას განეკუთვნება და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქრონოლოგიურ ჩარჩოებს განსაზღვრავენ 1789-1814 წლებით. ეს არის ერთი ხედვა. მეორენი (ა. ოლარი, ფ. სანიაკი) იმპერიას არ მიიჩნევენ რევოლუციის პერიოდად და საფრანგეთის დიდ რევოლუციას ამთავრებენ 1804 წელს კონსულობის ხანით. ამ ორ ეპოქას შორის გენეტიკური კავშირი, უეჭველად, არსებობს, მაგრამ ნაპო-

ლეონის ეპოქის რევოლუციის ხანად გამოცხადება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მიუხედავად მათ შორის არსებული მსგავსებისა განსხვავება პრინციპულ ხასიათს ატარებდა და ამაზე თვალის დახუჭვა მართებული არ უნდა იყოს. რევოლუციის დროს არსებული ნგრევა, ქაოსი, თანდათან ჩაანაცვლა სტაბილურობამ. ეს იყო იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალური გამოსავალი, რომელსაც აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. რა პოზიცია უჭირავს დ. უზნაძეს ამ პრინციპულ საკითხში? დ. უზნაძე გამიჯნავდა ერთმანეთისაგან საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ხანას, თუმცა უნდა ითქვას, რომ მათ შორის გენეტიკური კავშირის არსებობას არ უგულვებელყოფს. მან კარგად გაიცნობიერა, რომ ნაპოლეონმა შეძლო შეენარჩუნებინა რევოლუციის სოციალური მონაპოვარი. ეს ამ თემაზე მისი შეხედულებების პოზიტიურ მარცვლად უნდა მივიჩნიოთ. სად გადის, დ. უზნაძის აზრით, სადემარკაციო ხაზი საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქას შორის? ეტყობა, დ. უზნაძე იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ ამ ორ ეპოქას შორის წყალგამყოფად 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალება უნდა იყოს. დეკემბრის დეკლარაციაში ჩანერილი ფრაზები „რევოლუცია დასრულებულია“, ლიტონი სიტყვები არ ყოფილა. ის ასახავდა რეალურ სიტუაციას. რევოლუცია დასრულებულია [4, 422; 5; 7; 6]. ის ამ ორ ეპოქას შორის საზღვარს ავლებს, მაგრამ მკაფიოდ არ ჩანს, ეს შიდა მიჯნაა, თუ მათ შორის საზღვარი. აი, ამის გაკეთება იყო საჭირო.

ვფიქრობთ, სასურველი იყო უფრო მეტი გამჭვირვალებობა და საყოყმანო არც არაფერი იქნებოდა. ამიტომ გამორიცხვულად არ მიგვაჩნია არსებობდეს მეორე ვერსიაც, რომლის მიხედვით, დ. უზნაძე რევოლუციის ეპოქად მოიაზრებდა 1789-1814 წლებს. ასეთი სურათი იკვეთება: არსებობს ორი ვერსია: პირველი აკად. დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის რევოლუციის ეპოქად მიიჩნევდა 1789-1799 წლებს და ის გამიჯნავდა საფრანგეთის რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქას. მეორე ის რევოლუციის ხანად მოიაზრებდა 1789-1814 წლებს და ნაპოლეონის ეპოქას არ გამიჯნავდა საფრანგეთის დიდი რევოლუციისაგან. ჩვენ მეტად ფრთხილად პირველი ვერსიისაკენ უფრო ვიხრებით.

საიდან იწყებს დ. უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციას? ეს საკითხი ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. ის-

ტორიკოსთა ერთი ნაწილი (ა. მატეიზი, ჟ. ლეფვერი, ჟ. გოდშო) საფრანგეთის რევოლუციას 1787 წელს ნოტაბლების მონევით იწყებს. ამ მოვლენით რევოლუციის დაწყება ნაადრევი იქნებოდა. მეორე ჯგუფი (ა. ოლარი, ე. ტარლე) რევოლუციის დასაწყისად მიიჩნევს გენერალური შტატების გახსნას 1789 წლის 5 მაისს. [7, 8] მესამენი (ა. მანფრედი) რევოლუციის დასაწყისად ასახელებს ბასტილიის დაცემას 1789 წლის 14 ივლისს [9]. როგორც ჩანს, დ. უზნაძე იმ მოსაზრებისაკენ უფრო იხრება, რომ რევოლუცია დაიწყო 1789 წლის 5 მაისს გენერალური შტატების გახსნით. ამ სამი თარიღიდან, გენერალური შტატების გახსნით, რევოლუციის დაწყება ყველაზე უფრო მისაღები უნდა ჩანდეს.

ამრიგად, ვფიქრობთ, არსებობს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ დ. უზნაძე იზიარებს მოსაზრებას, რომ საფრანგეთის დიდი რევოლუციის ქრონოლოგიური ჩარჩო იყო 1789-1799 წლები ან 1789-1814 წლები. ორივე მიდგომა სწორი იყო და საკმაოდ ბევრი მომხრე ყავდა, როგორც მაშინ, ისე ახლა [4, 422]. ეს საფრანგეთის დიდ რევოლუციაზე დ. უზნაძის შეხედულების ძლიერ მხარედ მიგვაჩნია.

ალბათ, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა ვცადოთ გამოვარკვიოთ დ. უზნაძის მიმართება საფრანგეთის დიდი რევოლუციის შიდა პერიოდიზაციისადმი. რამდენ ეტაპად ყოფდა დ. უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციას და ამ პერიოდების შიგნით რა ქვეპერიოდებს გამოჰყოფდა? თემა არის საინტერესო და აქტუალური.

დ. უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციას პირობითად ორ პერიოდად ყოფდა. 1. კონსტიტუციური მონარქია – 1789-1792 წლები და 2. რესპუბლიკის ხანა – 1792-1799 წლები. კონსულობის ხანას ის რევოლუციის ეპოქად არ მიიჩნევს, რაც სავსებით მისაღები უნდა იყოს. ეს არის ერთი ხედვა. მას აქვს არსებობის უფლება და ყავს თავისი მომხრეები. ერთგვარი უკმარისობის გრძნობა გვრჩება რესპუბლიკის ორად გახლეჩის გამო. მისი ერთი მონაკვეთი რევოლუციის ეპოქაში შევიდა, ხოლო მეორე მონაკვეთი, დასკვნითი ნაწილი, ნაპოლეონის ხანაში მოექცა, მაგრამ, ალბათ, მართებული არ იქნებოდა ეს დ. უზნაძის მსჯელობის მინუსად წარმოვაჩინოთ. საკითხი არის რთული და მრავალნაზხნაგოვანი. მას ამ თემაზე გამოკვეთილი პოზიცია გააჩნია. ეს ძალიან კარგია და მისასაღმებელი უნდა იყოს. მასში მკაფიოდ მოჩანს რუსული ისტორიოგრაფიის, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, პ. ვინოგრადოვის კეთილისმყოფელი გავლენის კვალი. ამგვარი თანხვედრა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და უმთავრესად იმით უნდა

ყოფილიყო განპირობებული, რომ დ. უზნაძე პროგრესულ-ლიბერალურ ღირებულებებზეა ორიენტირებული.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის პირველ პერიოდს კონსტიტუციურ მონარქიას – 1789-1792 წლები მკვეთრად გამოკვეთილი მიჯნა გააჩნია და უზნაძე მას ორ ქვეპერიოდად ყოფს. 1. გენერალური შტატების გახსნიდან 1789 წლის 5 მაისი — დამფუძნებელი კრების დახურვამდე — 1791 წლის 30 სექტემბერი. 2. საკანონმდებლო კრება 1791 წლის 1 ოქტომბერი – 1792 წლის 10 აგვისტოს გადატრიალება.

გაცილებით უფრო რთულია საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეორე პერიოდის შიდა პერიოდიზაცია. ის ამ თემას საგანგებოდ არ შეხებია, თუმცა თუ კარგად ჩავუკვირდებით მის სახელმძღვანელოში ამ თემაზე რაღაც საგულისხმო მინიშნებას აუცილებლად მოვიძიებთ. ეს კი საინტერესოა. ამ შემთხვევაში ჩვენ დ. უზნაძეს არაფერს ვსაყვედურობთ. ის სწორედ იქცევა. სახელმძღვანელოში პერიოდიზაციის საკითხის განხილვა, ისიც ასე დეტალებში, აუცილებელი არ იყო.

აკად. დ. უზნაძე საფრანგეთის დიდი რევოლუციის მეორე პერიოდს რესპუბლიკის დამყარებას (1792-1799) ორ პერიოდად უნდა ყოფდეს. 1. 1792-1795 წლები. ეროვნული კონვენტის ეპოქა. 2. დირექტორია — 1795-1799 წლები. საინტერესოა რამდენ ეტაპად შეიძლება ყოფდეს ის ამ მონაკვეთის პირველ ქვეპერიოდს. მას, ალბათ, ასე ყოფდა. 1. ჟირონდისტული კონვენტი - 1792 წლის 21 სექტემბერი - 1793 წლის 31 მაისი. 2. აკობინთა კონვენტი - 1793 წლის 31 მაისი — 1794 წლის 9 თერმიდორი (27 ივლისი). 3. თერმიდორიანული კონვენტი 1794 წლის 9 თერმიდორი (27 ივლისი) – 1795 წლის 26 ოქტომბერი. რევოლუციის დასკვნით აკორდად გვევლინება დირექტორია 1795 წლის 26 ოქტომბერი — 1799 წლის 18 ბრიუმერი (9 ნოემბერი).

მეორე ვერსიის თანახმად ყველივე ზემოაღნიშნულს დაემატა ნაპოლეონის ეპოქის პერიოდიზაცია: 1. კონსულობის ხანა (1799-1804), 2. იმპერია (1804-1814). ამას, ცხადია, აქვს თავისი შიდა პერიოდიზაცია, თუმცა ის კონკრეტულ მიჯნებს არ ასახელებს. სახელმძღვანელოში ამის გაკეთება აუცილებელი არ იყო. ის, ალბათ, ასეთი იქნებოდა. კონსულობა (1799-1804). იმპერია: ნაპოლეონი დიდების ზენიტში (1805-1807), კრიზისის პირველი სიმპტომები. ესპანეთი, რუსეთი (1808-1812), დასასრულის დასაწყისი და დაცემა (1812-1814).

\* \* \*

ამრიგად, საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე აკად. დიმიტრი უზნაძის მსჯელობის ძლიერ მხარედ რევოლუციის პერიოდიზაციისადმი დამოკიდებულება გვევლინება. ეს იყო სწორი, მეცნიერული მიდგომა. კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ, ჩვენი ფრთხილი ვარაუდი კი ასეთია. ორი ვერსია უნდა არსებობდეს: პირველი, ის ემხრობა მოსაზრებას, რომლის მიხედვით რევოლუციის ქრონოლოგიური ჩარჩოები იყო 1789-1799 წლები და ის გამიჯნავს რევოლუციის ხანას ნაპოლეონის ეპოქისაგან. მეორე. არაა გამორიცხული, რომ ის იზიარებდა მოსაზრებას, რომ რევოლუციის პერიოდი იყო 1789-1814 წლები და არ გამიჯნავდა ერთურთისაგან რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქებს. ორივე მიდგომა სწორია და ძალიან ბევრი მომხრეები ყავდა როგორც მაშინ, ისე დღეს. ჩვენ მეტად ფრთხილად პირველი ვერსიისაკენ უფრო ვიხრებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პირველი პერიოდიზაცია უფრო მისაღები უნდა იყოს. მეორე პერიოდიზაციას გააჩნია არსებობის უფლება, თუმცა, ჩვენი აზრით, საკამათო შეიძლება იყოს. ვფიქრობთ, სასურველი იყო უფრო მეტი გამჭვირვალებობა და საყოყმანოც არც არაფერი იქნებოდა. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ ერთი საინტერესო დასკვნა. აკად. დიმიტრი უზნაძემ შეძლო მოეცა მსოფლიო ისტორიის ცალკეული საკვანძო საკითხების მეცნიერული პერიოდიზაცია. საფრანგეთის დიდი რევოლუციის პერიოდიზაცია, ვფიქრობთ, ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს. ეს დ. უზნაძის და ი. გველესიანის „ახალი ისტორიის„ სახელმძღვანელოს ძლიერი მხარეა.

### **დამონშებული ნყაროები და ლიტერატურა:**

1. ნ. ბერულავა, დიმიტრი უზნაძემ ცხოვრება და მოღვაწეობა, თბილისი, 1967; შ. ნადირაშვილი, დიმიტრი უზნაძე, წიგნში: დიმიტრი უზნაძე, ბიბლიოგრაფია, თბილისი, 1985; დ. უზნაძე, შემდგენელი დ. ფარჯანაძე და სხვ. თბილისი, 1986; ი. იმედაძე, ფსიქოლოგიის ისტორია, თბილისი, 2008; თბილისის უნივერსიტეტი, 2011; 15 დეკემბერი (მთლიანად ეძღვნება აკად. დიმიტრი უზნაძის დაბადების 125 წლისთავს); საქართველოს ეროვნული საისტორიო არქივი, ფონდი 1935; აღწერა 1, საქმე 875; (აქ არის მასალები დ. უზნაძეზე, როგორც ისტორიის მასწავლებელზე).
2. მ. კალანდაძე, დიმიტრი უზნაძე მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაციაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი



- ტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის მეოთხე ყოველწლიური კონფერენციის მასალები, თბილისი, 2011.
3. დ. უზნაძე, ივ. გველესიანი, ახალი ისტორია (XVIII – XIX საუკუნეები), ტფილისი, 1919.. Gueniffey, Le Dix-Huit Brumeze: L-Epitocue ge La Revolution Fransaise; 9-10 Novembre 1799. არის, 2008. იბ. ე. სმირნოვას რეცენზია, «Новая и новейшая история», №6, 2008.
  4. ამ საკითხში სწორი პოზიცია უკავია თანამედროვე ფრანგ ისტორიკოსს პიერ შონიუს. „ეს ათი წელი 1789-1799 ყველაზე უფრო საშინელი იყო ჩვენს ისტორიაში„. ციტ გ. Эрмье, Коммунисты и 200-летие великой Французской революции, კრებულში: «Французский Ежегодник 1987», Москва, 1989.
  5. მ. კალანდაძე, პიერ შონიუ და საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის პირველი ყოველწლიური კონფერენცია მასალები, თბილისი, 2008; Т.А. Олар, Политическая история французской революции, Москва, 1938.
  6. Французская буржуазная революция 1789-1794 гг, под ред. Е. Тарле и В. Волгина, Москва, 1941.
  7. А. Манфред, Великая французская буржуазная революция, Москва, 1956.
  8. საინტერესოა, რომ ამ საკითხში სწორი პოზიცია ეკავა შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიას. გრ. ნათაძე, კაპიტალიზმის ისტორიიდან, თემა 2., საფრანგეთის დიდი რევოლუცია, თბილისი, 1931; გ. კილურაძე, 9 თერმიდორის გადატრიალების შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 107., თბილისი, 1964. გ. კილურაძე, ახალი ისტორია, ნაწილი 1., თბილისი, 1970; მ. კალანდაძე, საფრანგეთის დიდი რევოლუცია, ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში, №1, 1989; აღსანიშნავია, რომ ეს პერიოდიზაცია გვხვდება უახლეს ქართულ ისტორიოგრაფიაში; კ. ანთაძე, ნ. მამუკეულაშვილი, ახალი ისტორია, VIII კლასი, თბილისი, 2005; კ. ანთაძე, მ. კალანდაძე, საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია, თბილისი, 2005; ვ. თვალავაძე, ახალი ისტორია, ნაკვეთი 2., თბილისი, 1999.

**Merab Kalandadze**

Doctor of History, Professor, Ivane  
Javakhishvili Tbilisi State University

## **Dimitri Uznadze on the Periodization of French Revolution**

### **Summary**

Present survey aims at displaying the view of Georgian scientist Dimitri Uznadze on the periodization of French Revolution.

In his textbook „New History“ (co-author I. Gvelesiani) Uznadze discusses the history of French revolution. Clearly he has not discussed the periodization separately but with his approach towards this issue he gives some hints on periodization of French revolution. This facts gives us chance to elucidate Dimitri Uznadze’s presumable approach towards this topic.

Dimitri Uznadze’s approach towards the internal periodization of French revolution is also worth attention. He divides it into two periods: 1. 1789-1792 years and 2. 1792-1799 years. And again he divides these period into sections. First period has two section: 1. Constituent assembly and legislative assembly. Second period is also divided in two sections: national Convention and Directorate.

**მზია მგალობლიშვილი**  
**ლელა მიქიაშვილი**

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

**ფრადერიკ დიუბუა დე მონაპრან მასალაჰი**  
**იმერეთის შისახაჰი**

**ციხე-დარბაზი ანუ თამარის ციხე — გეგუთი**  
**(დიუბუა, ტ. II, 169-179)**

როდესაც სამეგრელოსა და აფხაზეთის ახლანდელი მთავრების უსახურ საცხოვრისებს ხედავ, ძნელია იმის თქმა, რომ ოდესმე კოლხეთში ხუროთმოძღვრება დიდად წარმატებული იყო; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყნის ძველ მეფეებს, რომლებმაც ჩემ მიერ ახლახან აღწერილი მშვენიერი ეკლესიები ააგეს, ჰქონდათ სასახლეებიც, რომელთაც უდავოა, არც სიმტკიცე აკლდათ და არც სილამაზე. მტრის ულმობელმა ხელმა ეკლესიები დაინდო, მეფეთა სასახლეები კი პირწმინდად გაანადგურა, დაუძლურებულ, გამუდმებით თურქების უღელქვეშ მოქცეულ მეფეებს კი მათი აღდგენის საშუალება აღარ ჰქონდათ.

ამ ტიპის მცირერიცხოვან ძეგლთა შორის, რასაც აქაურები დიდი სიამაყით გვიჩვენებდნენ, როგორც საკუთარ წინაპართა დიდებულ ნამოღვანარს, ვერც ერთი ვერ შეედრება ფაზისის ნაპირზე მდებარე ციხე-დარბაზს [1], სხვაგვარად — თამარ დედოფლის სასახლეს: ეს არის პროკოპის მიერ მოხსენიებული მუხერისი [2].

მინდოდა, ყველაფერი მენახა; ხშირად ერთსა და იმავე ადგილს ვუბრუნდებოდი, რადგან ჩემი ცნობისმოყვარე თვალისათვის უამრავ საზრდოს ვაწყდებოდი. ათი ვერსის მანძილზე დავეხეტებოდი ფაზისის გასწვრივ, რომელიც აქ საბოლოოდ ტოვებს რაბს

და ლამაზ და ნაყოფიერ ველზე გაედინება. სწორედ აქ, მშვენიერი მუხნარის ფოთლებსა და სიმინდის თვალუნვდენელ, ღობეშემოვლებულ ყანებში ჩაფლული პეიზაჟის თვალღერებისას, ამ ლაბირინთიდან გამოსვლისთანავე ჩემ წინაშე უამრავი თალი და ნანგრევი აღიმართა, რომელთა გრანდიოზულობამ გამაოცა: არსად მსგავსი არაფერი მინახავს.

ეს შენობა მიწის ზედაპირიდან რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე თლილი ქვით იყო ნაგები, ამის ზემოთ კი — მაღალი ხარისხის, მოზრდილი აგურებით. შეიმჩნეოდა უფრო ძველი ნაწილიც, რომელზეც მოგვიანებით ერთი ფრთა მიუმატებიათ. ძველი სასახლე კვადრატული ფორმისა იყო და მისი თითოეული გვერდი ას თექვსმეტ სამეფო ფუტს უტოლდებოდა. სამხრეთისაკენ მიმართული ფასადი ბიზანტიურ სტილს მოგვაგონებდა. იგი მთლიანად აგურით იყო ამოყვანილი, დატანებული ჰქონდა ოთხი სათოფური და თორმეტი ფუტის სიგანის სამი ნახევარკოშკი (ნახევარწრიული ფორმისა), მათგან ერთი შუაში იდგა, დანარჩენი ორი კი — კუთხეებში. შუა კოშკის გვერდით ფართო კარი იყო, რომლითაც, ალბათ, ცხენზე ამხედრებულნი შედიოდნენ დიდ, გადახურულ ვესტიბიულში; აქედან კი უფრო სიღრმეში მდებარე, ფართო, ძალზე შთამბეჭდავი სტრუქტურის მქონე მისაღებ დარბაზში შეიძლებოდა მოხვედრა. იგი ტოლმკლავა გეგმით იყო ნაგები და ყველაზე გრძელ ადგილას ზომით 86 ფუტი იყო, სხვაგან კი — 66 ფუტი. იგი ნათდებოდა მხოლოდ 84 ფუტის დიამეტრის მქონე უზარმაზარი რვაკუთხა გუმბათის მეშვეობით, რომელიც, ბიზანტიური ეკლესიების გუმბათების მსგავსად, რვა დიდ თალს ეყრდნობოდა. ადგილობრივი მოხუცები ირწმუნებოდნენ, რომ ამ გუმბათს ოდესღაც ზემოდან ედგა მეორე, კოშკისებური გუმბათი, რომელიც შენობას აგვირგვინებდა.

სახელწოდება „ციხე-დარბაზი“ მომდინარეობს გუმბათიდან, რომელსაც ქართულად „დარბაზი“ ეწოდება (darbase). საზოგადოდ, ამ ქვეყანაში ეს სიტყვა აღნიშნავს ოთახს, რომელიც მიწის დონიდან იწყება, რამდენიმე სართულის სიმაღლისაა და რომლის ფიცრებით ან ქვებით გადახურულ ჭერს დატანებული აქვს ღიობი, საიდანაც შენობაში სინათლე შემოდის; ახალციხეში ამგვარად მონყობილი სახლები ფუფუნებად ითვლებოდა. მათ სამეთუნეო თიხისაგან დამზადებული ბრტყელი სახურავი ჰქონდათ.

მისაღები დარბაზიდან აღმოსავლეთით ფართო კარი გადის დიდ კამაროვან დარბაზში, რომელიც, ალბათ, დედოფლისა ან მე-

ფისა იყო. მისი ზომებია 32 ფუტი 26-ზე. მის უმთავრეს მორთულობას წარმოადგენდა ცხრა ფუტის სიგანის მქონე მოზრდილი ბუხარი, რომელიც ძალზე წააგავდა ჩვენი რაინდების დიდი დარბაზების ბუხრებს; მისი ნახევარსფერული თაღოვანი ხუფი ქვედა ნაწილში ეყრდნობოდა დაბალ ნახევარსვეტებს.

ამ ოთახის ქვეშ მოწყობილ სარდაფში რამდენიმე ხვრელით ჩადიოდნენ. როგორც ჩანს, აქ მეფეები თავიანთ საგანძურს ინახავდნენ.

სხვა ოთახები მარჯვენა და მარცხენა მხრიდან უკავშირდებოდნენ ამ დარბაზს. ყველა მათგანი გადახურული იყო მასიური კამარებით.

დიდი დარბაზის დასავლეთის კარი გადიოდა ფლიგელში, რომელიც მოგვიანებით იყო მიშენებული და კამარებით გადახურული ექვსი ოთახის ანფილადას წარმოადგენდა.

დაბოლოს, დარბაზის სიღრმიდან ჩრდილოეთით გადიოდა დერეფანი ხის აივანზე, რომლის დანიშნულებაც ვერ დავადგინე.

სასახლის ბანურ სახურავზე ასვლისას მშვენიერი დაბლობისა და აყვავებული მცენარეების წიაღში აღმოჩნდებით და უთუოდ მოიხიბლებით ამ წარმტაცი პეიზაჟით. ჩრდილოეთით რაჭისა და ლეჩხუმის მთაგორიანი ამფითეატრია; პირველქმნილი სიმწვანის ტევრში მედიდურად იკვეთება ხვამლის მთა თავისი ულამაზესი, ციცაბო ფერდობებით. მოშორებით მოჩანს ფასისმთის თეთრი პირამიდა და კედელას დიდებული თხემები<sup>1</sup>. აღმოსავლეთით მზერა იკარგება მინდვრებისა და მთების უსასრულობაში, სადაც თითქმის რიონის ტოლი ყვირილა მიიკლაკნება. სამხრეთით — ახალციხის მთები გურიის მთებთან ერთად ეფლობიან უსასრულობაში. ყოველივე ამას აღფრთოვანებით შევყურებდი ამ დანგრეული სასახლის კამარებიდან... ეს ხომ ნამდვილი ელისეა! [3]

აი, ყოველივე ის, რაც სავარაუდოდ, შეიძლება ითქვას ზოგადად შენობის შესახებ, იმის მიხედვით, რაც გადარჩენილია. ნაგებობის უდიდესი ნაწილი აღარ არსებობს; არანაირი კვალი არ შემორჩენილა აღმოსავლეთის და, ნაწილობრივ, ჩრდილოეთის კედლებისაგან. ყველა კამარა, ერთის და კიდევ ნახევრის გამოკლებით, ჩამონგრეულია. მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტით შეიძლება წარმოსახვაში გუმბათის აღდგენა, რომლის უზარმაზარი ნანგრე-

---

<sup>1</sup> იხილეთ ატლასი, II სერია, ფურც. 14.

ვები მიწაზე ყრია; ასეთი ნანგრევების შემყურეს, ალბათ, დაგებადება კითხვა — როცა იმერეთს რუსები დაეპატრონენ, იყო თუ არა ეს შენობა რამდენადმე დაუზიანებელი?

მოხუცი მაიორი ორლოვი, რომელიც ქუთაისისა და, თითქმის 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, სამხრეთ კავკასიის კომენდატი გახლდათ, მეუბნებოდა: „იცით, რით ავაშენე ლუმელი თქვენს ოთახში? — თამარ მეფის სასახლის აგურებით. 1823 წლამდე მხოლოდ ამ აგურებს ვიყენებდით ქუთაისში კედლების, ღუმელების, ბუხრების ასაგებად. ქალაქის ნახევარზე მეტი აქაური მასალით ავაშენეთ. ეს ყველაფერი იმპერატორს სასტიკად რომ არ აეკრძალა, დღეს აქ ერთი აგურიც კი აღარ იქნებოდა დარჩენილი. ჩვენი აქ ჩამოსვლისას შენობა საკმაოდ კარგად გამოიყურებოდა, მაშინ ჯერ კიდევ მთელი იყო მშვენიერი გუმბათები; ყველაფერი წერაქვებითა და ცულებით გავანადგურეთ“ [4].

არის თუ არა ეს სასახლე თამარ მეფის აგებული, თუ უფრო ადრეულია? მართალია, მისი სახელწოდება თამართან არის დაკავშირებული, მაგრამ შესაძლოა, მხოლოდ იმის გამო, რომ ქართველებმა თავიანთი დედოფლისაგან შექმნეს ის, რაც ჩვენ შევქმენით იულიუს კეისრისაგან: საკმარისია, რაღაც ნაგებობა ძველი იყოს, რომ მას უმაღლეს დედოფლის სახელს მიანერენ.

ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ეს შენობა თამარ დედოფლის ეპოქაზე ბევრად უფრო ძველად უნდა მივიჩნიოთ და ვივარაუდოთ, რომ იგი ლაზთა მეფეების ერთ-ერთი ძველი სასახლეთაგანია. ნაგებობა მთლიანად ბიზანტიური სტილისაა. ამის დასტურია აგური, ქვის წყობა, რვანახნაგა გუმბათი, ზოგადად მისი სტილი. იგივეს გვიდასტურებს ბუხრებიც თავიანთი ნახევარსვეტებით. ლაზთა მეფეებს, რომლებიც საბერძნეთის იმპერიის ქვეშევრდომები იყვნენ, კონსტანტინოპოლის ხელოვნება გადმოჰქონდათ თავიანთ ქვეყანაში, მაშინ როდესაც აფხაზეთისა და ქართლის მომდევნო მეფეთა ნაგებობებში ამ სტილთან არანაირი სიახლოვე არ იგრძნობა. ამასთანავე, მუხერისი, რომლის ქართული სახელწოდებაც მშვენიერი მუხისაგან მომდინარეობს, ძალზე ძველია; ხოსროს ლაშქრობების პერიოდში ლაზებმა იგი დაანგრეს, სპარსელმა სარდალმა მერმეროსმა კი აღადგინა და ქუთაისთან ერთად თავის ბანაკად გაიხადა.

იმ დროს, როდესაც ეს დიდებული სასახლე აშენდა, რიონის ერთი ნაპირი მის საძირკვლამდე აღწევდა, დღეს კი იგი საკმაოდ მო-

შორებულისა, მაგრამ ნანგრევების გაყოლებით გარკვევით ჩანს მდინარის ძველი კალაპოტი და აქა-იქ მის მიერვე ჩამოტანილი რიყის ქვებიც ჩნდება ხოლმე ქვემო ველზე, რომელიც რიონის ახლანდელ კალაპოტამდეა გადაჭიმული. მეორე მხრიდან სასახლეს იცავდა რიონიდან გამოშვალა, ქვის მტკიცე კედლებში ჩასმული არხი. აგურის ორი ხიდიდან ერთი ჩრდილოეთით, ქუთაისისაკენ მიემართებოდა, მეორე კი სამხრეთით. რიონსა და არხს შორის კუნძულივით მოქცეული სივრცე სასახლის ეზოდ და ბაღად გამოიყენებოდა<sup>1</sup>.

ამ ნაგებობების აშენების შემდეგ რიონის კალაპოტმა, ანუ უფრო სწორად, მისმა დონემ რამდენიმე ფუტით დაინია და იქაც კი, სადაც იგი ყველაზე წყალუხვია, მაინც არ ჩაედინება ამ არხში.

სამხრეთით, სასახლესა და არხს შორის, ვიწრო ადგილას, დგას ეკლესია, რომლის შიდა კედლები აგურისაა, გარე საპირე კი თლილი ქვისა. საკურთხეველი ჩვეულებრივისაგან განსხვავდება იმით, რომ ნახევარწრიულის ნაცვლად ოდნავ გაფართოებულია. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის კამარა ჩამონგრეულია, აქ დღემდე მაინც არის შემორჩენილი ფრესკული მხატვრობის რამდენიმე ფრაგმენტი.

რადგან ეს ეკლესია სასახლიდან მხოლოდ შვიდიოდე ნაბიჯზეა, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ სასახლის კარის უსაქმურ ბატონებს ეს კედელი დაფად ჰქონოდათ გამოყენებული და როგორც ჩანს, დროის მოსაკლავად ზედ სხვადასხვა ფიგურებისა და იეროგლიფების ხატვით ირთობდნენ თავს: რა აღარ არის გამოსახული ამ ეკლესიის ოთხივე მხარეს, ქვების სამი რიგის სიმაღლეზე! აქ თითოეულ მათგანს შეეძლო სრული თავისუფლება ჰქონოდა საკუთარი ფანტაზიის ხორცშესახსმელად; ერთს წმინდანი გამოუსახავს, მეორეს – ცხენი ან ადამიანის ფიგურა, რომელიც ისევე ჰგავს ადამიანს, როგორც დიოგენეს — მამალი. მესამეს საკუთარი ხელის ანაბეჭდი დაუტოვებია; ბევრს გადაუნყვეტია, საკუთარი სახელის ამოკვეთით უკვდავეყო თავი. აქ ყველანაირი სახის წარწერას ვხვდებით. უმრავლესობა მთლიანად არის წაშლილი ან დაზიანებული, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც პატარა ასოებით არის შესრულებული. აქ იკითხება:

„ღმერთო, შეინყალე Mghelbischephi Yadze, მშენებელი“ .

„უფალო, შეინყალე იაკობი“ .

---

<sup>1</sup> იხილეთ ატლასი, III სერია, ფურც. 3.

„უფალო, მიეც ხსნა (შეება?) Kourdel-ს სამარადისო სასუფეველში“ .

წარწერების უმრავლესობა ქართულენოვანია და ხუცური ასოებით არის შესრულებული; თუმცა გვხვდება ბერძნული წარწერებიც. ერთი წარწერა კი ფრანგულად მივიჩნიე და ამოვიცანი შემდეგი ასოები:

„X' Mstodo Rousgzo“ .

იმის გარკვევა, თუ რისი თქმა სურდა ავტორს, მკითხველისათვის მიმინდვია.

ყველაზე უფრო საინტერესოა წარწერა, რომლის ჩანახატსაც იპოვით ატლასის III სერიაში (ფურც. 21, ნახ. 10); მის ამომკვეთს დიდი ძალისხმევა დაუხარჯავს, რადგან თითოეული ასო არაბესკების მსგავსად არის გაფორმებული ყვავილებით, ფოთლებით და ფრინველის თავებით. ბ-ნი ბროსე ამ წარწერას შემდეგნაირად თარგმნის:

„ო, წმინდა მხედარო გიორგი, იშუამდგომლე (შემენიე?) და ილოცე ჩემთვის თამარისათვის, ამინ!“

გამოგიტყდებით, რომ სახელი „თამარი“ არ მეჩვენა აშკარად გამოხატული **th**-ს მონოგრამით, მაგრამ ამ საკითხში ბ-ნი ბროსე ჩემზე უკეთ ერკვევა.

დაბოლოს, აი კიდევ ერთი, უკანასკნელი წარწერა, რომელიც საგულდაგულოდ არის ამოკვეთილი შესასვლელი კარის მარჯვენა ნირთხლზე:

„ო, უფალო და მარიამ, შეიწყნარე სული ამ ადგილის წინამძღვრისა, ბადელიძე კაი, ამინ, ო, უფალო“ [5].

პროკოპის ტექსტში მოცემული გადმოცემის თანახმად, უნინ აქ ხის ქალაქი თავისი სიგრძე-სიგანით სასახლის ირგვლივ დიდ დაბლობზე იყო გაშენებული და რიონის ნაპირებამდე აღწევდა. აქა-იქ ჩანს მუხერისის მცირე ნაშთები — რიყის ქვაფენილი, თხრილები, აგურები და სხვ.

მაგრამ, ამ სასახლის შესანიშნავი მდებარეობის მიუხედავად, ზაფხულის დღეებში, ტენიანი სიცხის გამო, ეს ადგილი მაინც მავნეა ჯანმრთელობისათვის. ვფიქრობ, ეს საშემოდგომო და საგაზაფხულო სასახლე უნდა ყოფილიყო, როცა აქაც და მთელ კოლხეთშიც მეტად სასიამოვნო, ზომიერი ჰავაა. ალბათ სწორედ ამ მავნე კლიმატის გამო დაცარიელდა ეს ქალაქი.



დღეს აქ მხოლოდ ერთი ეკლესიაა მთლიანად დაუზიანებელი, მაგრამ იგი ყველა დანარჩენთან შედარებით ბევრად უფრო ახალია: ეს ეკლესია სასახლიდან ერთ ვერსზე, მშვენიერი ხეებით გარემოცულ მოედანზე დგას [6]. კარებზე და ფანჯრებზე მოთავსებული წარწერებიდან ერთ-ერთი გაკრული ასოებითაა შესრულებული, რაც ყოველთვის (ძეგლის) ნაკლებ სიძველეზე მიუთითებს; ამასთანავე, ხუცური წარწერები ძალზე ცუდად არის შესრულებული და სრულებით არ ჰგვანან იმ წარწერებს, რომლებსაც ძველ ძეგლებზე ვხვდებით.

აი ბ-ნი ბროსესეული თარგმანი იმ წარწერისა, რომელიც გალერეის შესასვლელ კარზეა ამოკვეთილი:

„ო, წმინდაო ქრისტე, მხედარ-გიორგის მფარველო, ჩვენ, ბაკ იაშვილი და ჩემი მეუღლე მარეხ აბაშიძე, ჩვენ აღვაშენეთ ესე, რათა შენ იშუამდგომლო ჩვენთვის განკითხვის უამს“.

საკურთხეველის ფანჯარაზე იკითხება:

„უფალო, შეინყალე ამის აღმშენებლები გოგიტა, თევდორე, ტიტე, ნასყიდა, ივანე, ბეჟანა და ნასყიდა, უფალო, შეინყალე მათი უფროსი Dathegh Bantzadze“.

ამ ეკლესიის ამშენებელი ცოლ-ქმარი ამ ქვეყნის ორ უძველეს და ყველაზე გამორჩეულ საგვარეულოს ეკუთვნოდნენ.

**იმერელი და მისი დამახასიათებელი თვისებები:** იმერლები, ზოგადად, კეთილი და წყნარი ბუნებით, თავაზიანობითა და სტუმართმოყვარეობით გამოირჩევიან: თუკი გლეხებს ზოგჯერ რაღაც უკეთურობის ჩადენა უნევთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხშირად მათ ამას მათივე ბატონები აიძულებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივე ბატონები ისევ მათზე იყრიან ჯავრს.

მიუხედავად მშვიდი ბუნებისა, იმერელმაც იცის ხოლმე გულის მოსვლა; ამის დასტურია ჩხუბის სცენები, რასაც ჩემი იქ ყოფნისას ჰქონდა ადგილი. ორი იმერელი ერთმანეთს შორის კინკლაობდა: ერთ-ერთ მათგანს მესერის ამოთხრა უნდოდა, მეზობელი კი უმტკიცებდა, რომ მას ამის უფლება არ ჰქონდა, რადგან მესერი მის ნაკვეთზე იყო; „ხელი არ ახლო ჩემს მესერს — ეუბნებოდა იგი, — თორემ ძვირად დაგიჯდება“. მეორემ კი ყური არ ათხოვა მუქარას და თავისი საქმე განაგრძო. როცა მომჩივანმა ეს დაინახა, გაბრაზებული და გააფთრებული შევარდა სახლში, აიღო თოფი და მისი მეგობარი უსულოდ გააგორა ღობის ძირში. იგი გაასამართლეს და ექვსი თვით ეკლესიაში სასჯელის მოხდა მიუსაჯეს, რაც იმას

ნიშნავდა, რომ ამ ხნის მანძილზე ეკლესიაში მას, როგორც ყმას, ისე უნდა ემსახურა და ყველაზე მძიმე სამუშაო შეესრულებინა...

იმერეთში ჩემი მოგზაურობისას აქ სრული უსაფრთხოება და სიმშვიდე იყო: ყოველგვარი შიშის გარეშე შეგეძლოთ მთელი ეს მხარე ყველა მიმართულებით მოგვევლოთ. უნინ ფართოდ გავრცელებული ტყვეებით ვაჭრობა, რომელიც დიდი წარმატებით ხორციელდებოდა, დღეს უკვე მივიწყებულია და აღარაფერი ისმის არც ადამიანთა მოტაცებაზე და არც ტყვეთა გაყიდვაზე.

იმერეთმა შეინარჩუნა თავისი ძველი, ბაგრატიდების დროინდელი ცივილიზაციის კვალი. აქ დიდად აფასებენ წინაპართა ისტორიას და საკმაოდ მრავლად არიან განათლებული პირები, ვინც ინტერესით სწავლობს ძველ ქართულ მატყიანებს. მაგრამ კეთილდღეობა, რომლისკენაც ეს ხალხი მიიღტვის, ჯერ კიდევ მხოლოდ მატერიალური ნიშნით შემოიფარგლება: მათი მიზანია, ჰყავდეთ ბევრი ყმა, იმოგზაურონ უამრავი ვასალის თანხლებით, ეცვათ ვერცხლით განწყობილი ძვირფასი სამოსი, დაიყენონ კოხტა ულვაში, რომელსაც გაჭაღარავების შემდეგ წითლად იღებავენ, დაბოლოს, ყველგან, სადაც კი მივლენ, უხვი სანოვაგით სავსე მაგიდა დახვდეთ. მათ სურთ იმ ბატონების როლში ყოფნა, რომელთაც ყოველივე ამის გარდა ჰყავთ კიდევ ცხენები, შევარდნები, მიმინოები, აქვთ კარგი იარაღი და ქვევრები. მათთვის უცხოა სახლების ფუფუნებით მონყობა. აქაურ სახლებს იშვიათად აქვთ ფანჯრები, აქ მხოლოდ ორი კარია — სინათლისათვის და კვამლის გასასვლელად; იმერული სახლის მთელ მონყობილობას, ჩვეულებრივ, შეადგენს ორი თუ სამი მერხი, რომელთაც შუაში პატარა ფულურო აქვთ, სადაც ხის კუნძია სასთუმლად ჩასმული, რამდენიმე ხალიჩა, მაგიდებად გამოყენებული ხის გრძელი მერხები და ბრჭყვიალა ზანდუკი; აი, ასეთია, ჩვეულებრივ, იმერული სახლის მონყობილობა, რაც სავსებით აკმაყოფილებს იმერელ წარჩინებულებსა და თვით თავადებსაც. მათთვის, ვისაც საკუთარი ღირსების შენარჩუნების სურვილი აქვს, სავალდებულოა პატარა სამლოცველო და მღვდელი (რომელსაც ისევე ეპყრობიან, როგორც უბრალო გლეხს).

**მოსახლეობა:** ამ საუკუნის დასაწყისში იმერეთის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. 1782 წელს, სოლომონ I-ის დროს, 18 980 კომლს და დაახლოებით 113 000-მდე ორივე სქესის მცხოვრებს ანგარიშობდნენ. მომდევნო მეფის — სოლომონ II-ის დროს ეს რიცხვი საგრძნობლად დაეცა სხვადასხვა გარემოებათა გამო. მოსახლეობა განსაკუთრებით დაზარალდა 1812 წლის შავი ჭირის

ეპიდემიის დროს და 1817 წელს რუსების მიერ ჩატარებული აღწერის შედეგების თანახმად, ანგარიშობდნენ მხოლოდ 12 730 კომლს, ანუ დაახლოებით 76 000 ორივე სქესის წარმომადგენელს. შემდგომში მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა და ბ-ნი ევეცკი მიუთითებს, რომ კომლთა რაოდენობამ 15 260 მიაღწია, ანუ ორივე სქესის წარმომადგენელთა რაოდენობას 100 400-მდე ანგარიშობს. მოსახლეობა შემდეგნაირად იყო გადანაწილებული:

|                          |                  |
|--------------------------|------------------|
| ქუთაისის მაზრა .....     | 29 500 მცხოვრები |
| ვაკის (Vaka) მაზრა ..... | 31 600           |
| შორაპნის მაზრა .....     | 15 800           |
| რაჭის მაზრა .....        | 23 500           |
| <hr/>                    |                  |
| სულ .....                | 100 400          |

ეს მაჩვენებელი გათვლილია 9 200 კვადრატულ ვერსზე, რაც შეადგენს 12 მოსახლეს თითო კვადრატულ ვერსზე (192 მოსახლე ფრანგულ კვადრატულ ლიეზე) და 6 1/2 მცხოვრებს თითო კომლზე<sup>1</sup>.

მოსახლეობის ის ფენა, რომელშიც ყმები შედიან, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დამოკიდებულნი არიან და რა სახის გადასახადებს იხდიან, შემდეგნაირად არის დაყოფილი:

|   |       |
|---|-------|
| სახაზინო ყმები, რომლებიც იხდიან 1 მანეთს ვერცხლით, ანუ 4 ფრანკს თითოეულ მამაკაცზე ..... | 6 822 |
| მათი ცოლები და სხ. ....   | 6 822 |

სულ 13 644

სახაზინო ყმები, რომლებიც იხდიან

<sup>1</sup> ბ-ნი გამბა 1824 წელს იმერეთის მოსახლეობაში 90 000 მცხოვრებს ანგარიშობს, და ამ რიცხვში შედის ჯარის ნაწილებიც [2] I, 349. გრაფი სერისტორი 1832 წლისათვის იმერეთში 125 000 სულს მიუთითებს. 1833 წელს ქუთაისში დაიანგარიშეს 120 000; მაგრამ ეს ციფრები გადამეტებულია ბ-ნი შნიცლერის მიერ შედგენილ რუსეთის იმპერიის სტატისტიკურ ნარკვევში, რომელიც ჰასელზე დაყრდნობით იმერეთში 270 000 მცხოვრებს ანგარიშობს (გვ. 53-54, 1829).

50 კაპიკს, ანუ 2 ფრანკს ერთ სულ მამაკაცზე ..... 900  
მათი ცოლები და სხ. .... 900

სულ 1 800

სახაზინო ყმები, რომლებიც კომლზე იხდიან  
1 მანეთს ვერცხლით, ანუ 4 ფრანკს ..... 181  
თუკი ერთ კომლზე 6 1/2 მცხოვრებს  
ვიანგარიშებთ, ეს შეადგენს ..... 1 176

ეკლესია-მონასტრების ყმები, რომლებიც  
იგივე გადასახადს იხდიან ..... 149  
თუკი ერთ კომლზე აქაც 6 1/2 მცხოვრებს ვიანგარიშებთ... 968

მემამულეთა ყმები, რომლებიც  
იგივეს იხდიან ..... 1 277  
თუკი ისევე ვიანგარიშებთ 1 კომლზე,  
როგორც ზემოთ ..... 8 300

იმერეთის მოსახლეობის ის ნაწილი,  
რომელიც სახელმწიფოს უხდის გადასახადს ..... 25 888

ჩემთვის უცნობია რამდენს შეადგენს ყმათა ის ნაწილი, რომელიც მეზატონის საკუთრებაა და არ იხდის სახელმწიფო გადასახადებს.

### **სხვადასხვა სახის ზოგადი შენიშვნები იმერეთის შესახებ:**

ვარციხე ტყეებით გარშემორტყმულ ვაკე ადგილზე მდებარეობს, ამასთანავე, მის ირგვლივ ბევრი მდინარეა, რაც ბუნებრივად განაპირობებს აქაურ მავნე კლიმატს. ... ეს სახელი აღნიშნავს *ვარდების ციხეს*; ბერძნებმა იგი თარგმნეს როგორც „როდოპოლისი“. მისმა საუკეთესო ადგილმდებარეობამ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მიიპყრო კოლხების ყურადღება. პროკოპი<sup>1</sup> როდოპოლისს ლაზების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქად მიიჩნევს, რომელიც იგივე ლაზებმა 549 წელს დაანგრიეს. ამის მიზეზი გახლდათ ის,

<sup>1</sup> Procope, de Bello Gothico, გვ. 527, ბონის გამოც.

რომ დაბლობზე გაშენებული, ადვილად მისადგომი და, შესაბამისად, ადვილად ასაღები ეს ქალაქი პირველი პუნქტი იყო სპარსეთის უზარმაზარი არმიის გზაზე, როცა იგი იბერიიდან (საქართველოდან) ხოსროს სარდლის — მერმეროესის წინამძღოლობით ლაზების და ბერძნების გაერთიანებული ლაშქრის (იუსტინიანეს სარდლის — დაგისტეს მეთაურობით) წინააღმდეგ საბრძოლველად მიემართებოდა. ლაზებმა ამჯობინეს დაენგრიათ ვარციხე ისევე, როგორც *კუტაია*, *ანუ კუტატისიუმი* და *მუხერისი* დაანგრიეს, რათა სპარსელთა ჯარისათვის თავშესაფრად არანაირი გამაგრებული პუნქტი არ დაეტოვებინათ. შემდეგში, როცა ლაზებმა კვლავ დაიბრუნეს როდოპოლისი, აღადგინეს იგი.

იმერეთის უკანასკნელმა მეფეებმა ვარციხე თავიანთ ძირითად რეზიდენციად აქციეს. ამ ქალაქგარეთა სასახლიდან შემორჩენილია მხოლოდ 7-8 ფუტის სისქის მტკიცე გალავანი, რომლის ერთი ნაწილი ლაზების ეპოქით უნდა თარიღდებოდეს, რადგან ეს მათი ხუროთმოძღვრების სტილია<sup>1</sup>. აქ იყო კოშკები, ან გარეთ გამონეული კუთხოვანი ტერასები და ეს გალავანი მთლიანად უფლიდა გარშემო ბორცვის თხემს; ამგვარად იქმნებოდა ფართო ეზო, სადაც გალავნის გასწვრივ, ყვირილას მიმართულებით, მეფეთა ხის საცხოვრებლები იყვნენ ჩამნკრივებულნი. ხუთი თუ ექვსი გადაარჩენილი აგურის ბუხარი ობელისკებივით იდგნენ და თავიანთ უწინდელ ადგილსამყოფელს მიგვანიშნებდნენ; მხოლოდ ქვის გალავანშემოვლებული და ისლით თუ ყავრით გადახურული ეკლესია იდგა დაუზიანებლად შუა ეზოში [7]...

ვარციხე ქუთაისიდან 15 ვერსით არის დაშორებული.

კვირას, 20 აგვისტოს (1 სექტემბერს) გავემგზავრეთ ბალდათისაკენ, რომელიც ვარციხიდან 15 ვერსზეა. გზა ჯერ ტყეებსა და ჭალებს გადაჰკვეთს, შემდეგ კი ხანისწყლის მარჯვენა ნაპირს აღმა მიუყვება. შუა გზაზე გავიარეთ მეჩხერად დასახლებული სოფელი როკითი [8] (გიულდენშტედტთან — Roghithi), სადაც ვნახე ძველი ზეთისხილის ხე, რომელსაც როგორც იშვიათობას, ისე აჩვენებენ ერთ-ერთი მამულის ეზოში. ეს ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა იმერეთში ზეთისხილის ხე შემხვდა. გიულდენშტედტი ფიქრობს, რომ ახალციხელმა თურქებმა ამ ხის მოშენება სცადეს ბალ-

---

<sup>1</sup> როგორც ამბობენ, 1769 წელს გენერალმა ტოტლებენმა ეს გალავანი რამდენიმე ადგილას გამოანგრევინა, რათა თურქებისათვის აქ გამაგრების საშუალება არ მიეცა; ეს გამოანგრევი ახლაც კარგად ჩანს.

დადის შემოგარენში და შესაძლებელია, რომ ეს ძველი ზეთისხილის ხე სწორედ იმ დროისაა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ იმერეთში ძალიან ცხელი ჰავაა, დიდი სინესტის გამო იგი მაინც არ არის ვარგისი ზეთისხილისათვის. სხვებმა განსაჯონ, მართალი ვარ თუ არა. საოცარია, თუკი ეს ქვეყანა ზეთისხილის მოსაშენებლად შესაფერისი იყო, მაშინ როგორ მოხდა, რომ მისგან ასეთი მცირე ნაკვალევი დარჩა; მაშინ, როდესაც ყირიმის სანაპირო, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ უფრო ჩრდილოეთით არის და ნაკლებად თბილი კლიმატია, მოფენილია ზეთისხილის ძველი, ჯერ კიდევ ბერძენთადროინდელი პლანტაციებით. ისინი რუსების მიერ ამ მხარის დაუფლებამდე ბევრად უფრო ადრეა გაშენებული. იგივე ითქმის კვიპაროსებისა და ალვის ხეების მიმართაც, რომლებიც ყირიმის მშენებას წარმოადგენენ და აქ საუცხოოდ ხარობენ: მე ეს ხეები ვერსად ვნახე ვერც იმერეთში და ვერც სამეგრელოში, თუ არ ჩავთვლით მხოლოდ ქუთაისის ეგრეთწოდებულ ბოტანიკურ ბაღს და ზოგიერთ ახალ პლანტაციას.

სოფლის მეორე მხარეს ჩავუარეთ მომწვანო ქვიშაქვის გალავნით საკმაოდ ლამაზად გარშემოვლებულ ეკლესიას, რელიეფებითა და ქართული წარწერებით; აქედან გავედით პანტა მსხლის ხეების ტყეში, ალაგ-ალაგ მოტიტვლებული ადგილებით, სადაც უნინ საცხოვრებელი შენობები იყო. ეს მსხლის ხეები მოგვიანებით გაველურდნენ; როგორც ჩანს, ისინი თავის დროზე დაუმყნიათ და ერთ რიგში ჩაურგავთ.

**ბაღდათი.** ბაღდათამდე სამიოდე ვერსზე დაბლობია გადაჭიმული. ნიადაგი აქ ქვიანი და თიხიანია. აქედან გზა ადის ხეობაში, სადაც ბაღდათის სახლები ამფითეატრისებურად არიან განლაგებული. ბაღდათი ხანისწყლის ხეობის ზედ დასაწყისშია და მისი ქვით ნაშენი, კვადრატული ციხესიმაგრე, ალბათ, თურქების ნახელავია, რომელთაც მიზანიც იყო, იმერეთში ახალციხის მთებით ყოფილიყვნენ დაცულნი. აქ მათ იანიჩართა ერთი ასეული ჰყავდათ, რომელიც 1770 წელს გენერალმა ტოტლებენმა გააძევა. დღეს ეს ციხესიმაგრე მიტოვებულია [9].

აქ დიდხანს არ შევჩერებულვართ და დაუყოვნებლივ გავემართეთ ფერსათის ეკლესიისაკენ, რომლის ახლოსაც უნდა დავბანაკებულიყავით. ეკლესიას მშენიერი მდებარეობა აქვს: იგი ბაღდათიდან მარჯვნივ, ბორცვის თავზე დგას, ზღვის დონიდან 1 500 და მდინარიდან — 7 თუ 8 ასეული ფუტის სიმაღლეზე. მიუხედავად

იმისა, რომ ეკლესია საკმაოდ ძველი იყო და ფასადზეც აქა-იქ დიდი ზომის რელიეფებიც ჰქონდა შემორჩენილი, იგი მაინც არაფერი იყო იმ საუცხოო ხედის ფონზე, რომელიც ამ ამაღლებული ადგილიდან იშლებოდა [...].

ვისადილეთ უზარმაზარი ცაცხვის ქვეშ, რომელსაც თითქოს თავის მფარველობაში აუყვანია ეკლესიაც და იქვე გვერდით მდებარე მღვდლის სახლიც. ჩემმა მეგზურმა ნიკოლოზ კახიანმა ღამის გასათევად თავისთან სახლში წაგვიყვანა, სადაც დიდებული ვახშაში დაგვახვედრეს. აქ პირველად ვეზიარე ნამდვილ, უგემრიელეს იმერულ კერძებს.

სადილი იწყება მაშინ, როცა უმარილო, წყალზე მოხარშული ფეტვის<sup>1</sup> ცომიანი დიდი ქვაბი და ფართომუცლიანი, სხვადასხვანაირი ღვინით სავსე დოქები შემოაქვთ. ამ დროს მოგიახლოვდებათ მსახური (ხშირ შემთხვევაში — ძონძებში გამოწყობილი) წყლით სავსე ტოლჩით, ხელებს დაგაბანინებთ და შემოგთავაზებთ პირსახოცს, რომელიც ხშირად ისეთი უხეში და ჭუჭყიანია, რომ შეუძლებელია მისი გამოყენება. დარჩენილი წყალი მიწაზე იღვრება და აქვე გაინოვება. ამის შემდეგ ვინრო და დაბალ მერხზე დაგვამენ და წინ მეორე, ოდნავ უფრო მაღალ და ასეთივე ვინრო მერხს დაგიდგამენ, რომელიც მაგიდის მაგივრობას სწევს. ამ უკანასკნელს მსუბუქად გადაფხევენ იმ ნარჩენი ნამცეცების გასაცლელად, მისი ბოლო გამოყენებისას რომ მიეკრო, თუმცა ამ მიმხმარი ნარჩენების კვალი მაინც რჩება: ეს გახლავთ შედეგი ამავე მაგიდაზე წარსულში ოცჯერ თუ ოცდაათჯერ სადილობისა. ამ მხარეში ასეთი მაგიდები ალბათ მხოლოდ წვიმის დროს თუ ირეცხება, როცა მათ წყალსადინარ მილს შეუშვერენ.

მაგიდები მხოლოდ დიდი ბატონებისთვის, გამორჩეული პირებისა და მაღალი რანგის სტუმრებისთვისაა განკუთვნილი; სხვები კი შეძლებისდაგვარად მოკალათდებიან ხოლმე კუნძებზე, ხის კოჭებზე ან უბრალოდ — მიწაზე და მოთმინებით ელოდებიან საპატიო ადგილზე მსხდომთა სულგრძელობას. ფეტვისქვაბიანი მსახური მაშინვე შეუდგება თავისი მოვალეობის შესრულებას: თითოეულ სტუმარს, მათი რანგის მიხედვით, ხის ნიჩბით ხუთ-ექვს ამოღება ღომს დაუდებს წინ, თითქოს ეს რალაც სალაფავი იყოს. როცა მათ მომსახურებას მორჩება, ოდნავ შეწითლებულ, ქვაბის ფსკერზე მიკრულ

---

<sup>1</sup> Panicum italicum, ქართულად — ღომი (Gomi).

ლომს ჩამოურიგებს იმათ, ვის მიმართაც მეტ გულმონყალებას ამჟღავნებს. ამის შემდეგ მოგართმევენ სიმინდის ფქვილისაგან მომზადებულ კვერს. ამ კვერებს ცეცხლის პირას აცხობენ წინასწარ გახურებულ ფორმებში, რომლებიც ძალიან მოგვაგონებენ ყვავილის ქოთნის ქვედა ნაწილს; მოგართმევენ აგრეთვე მოხარშულ ან შემწვარ ცხვრის ხორცს, ბოსტნეულს, როგორცაა ლობიო ან ბარდა, რაგუს, ნაცარში მოხარშულ კვერცხებს; ამ მხარეში კერძებიდან საუკეთესოა შემწვარი წინილა, თუმცა ამ მშვენიერი კერძით მარტო იმერეთი არ არის სახელგანთქმული, რადგან სამეგრელოსა და იმერეთის წინილები და ვარიები, რომლებსაც მხოლოდ ფეტვით, ლელვით, თუთით, სიმინდითა და ათასგვარი სხვა ხილით კვებავენ, ცნობილი არიან მთელ სამხრეთ კავკასიაში. ეს კერძი დიდ ფუფუნებად ითვლება თბილისურ სუფრებზეც. მას ხშირად კაზმავენ ბრონეულის წვენი, რომელიც მართლაც ძალზე სასიამოვნოა; მაგრამ ჭემმარიტად სადღესასწაულო და სანაქებო კერძი გახლავთ ქინძის, ან უფრო სწორედ — ქორფა ქინძის ფოთლებისაგან დამზადებული საწებელი. საერთოდ, ამ ქვეყანაში ყველა კუთხის ხალხი ამ მწვანილისაგან უგემრიელეს საჭმელებს ამზადებს.

ყველაფერი ეს სუფრაზე უნესრიგოდ არის დაყრილი და თავი ბედნიერად უნდა ჩათვალოთ, თუკი იპოვით ხის ან თიხის რაიმე ძველ ჭურჭელს, შიგ წვენი და რაგუ რომ მოათავსოთ.

მღვდელი ან სხვა ვინმე სუფრას დალოცავს და ამის შემდეგ სუფრის თითოეული წევრი შეუდგება მისთვის სასურველი კერძის ჭამას, თან ამ დროს სუფთად და გრაციოზულად იყენებენ თითებს. წინილას გარკვეული სიზუსტით ჭრიან: ჯერ ფეხებს აცლიან, შემდეგ ფრთებს; ნაჭრები ადვილად სცილდება ერთმანეთს, ბოლოს კი ხელის დარტყმით კურტუმი მკერდს მოშორდება და საქმეც მოთავებულია. როდესაც ცხვრის თავი ძნელად გასახლეჩია, ამოიღებენ ქამარზე ჩამოკიდებულ ხანჯალს და ერთი ძლიერი დარტყმით ორად გახლეჩენ, როგორც მსხალს.

წინილის ხორცის ან სხვა კერძის ნარჩენები (ძვლების ჩათვლით) პრივილეგირებულთა სუფრიდან გადაინაცვლებს დაბალი კლასის წარმომადგენელი დამსწრეებისაკენ, რომლებსაც ფეტვის ცომის ნაჭერი ან სიმინდის ფქვილის კვერი უჭირავთ ხელში და ყურადღებით ელიან მომენტს, როცა ვინმე კეთილ ინებებს და რაიმეს გადმოუგდება; ისინი თავაზიანი შესტით, ორივე ხელით დაიჭერენ ამ ნობათს და დიდი მოწინებით — თავსაბურავის მოხდით მადლო-



ბას სწირავენ. დიდ უზრდელობად და ბატონის მიმართ უპატივ-  
ცემლობად ითვლება, თუკი ვინმე ნასროლი ნაჭრის დაჭერას ვერ  
მოახერხებს, მით უმეტეს, როცა მას წინასწარ სახელით მიმართა-  
ვენ, რაც ძალზე დიდი კეთილგანწყობის ნიშანია.

ამასობაში მერიქიფე ცალ ხელში ღვინის დოქით, მეორეში კი  
ყანნით ან ზოგჯერ — ჭიქით, იწყებს ღვინის ჩამოსხმას და მას შეს-  
თავაზებს სახლის პატრონს, რომელიც ფეხზე წამოდგება, თავაზი-  
ანად მოიხდის ქუდს და წარმოთქვამს გრძელ ხოტბას ყველაზე სა-  
პატიო სტუმრის მისამართით: იგი მას ულოცავს ბედნიერად ჩა-  
მობრძანებას, უსურვებს სიკეთეს და უფალს შესთხოვს წყალობას  
მისთვის და მისი ოჯახისათვის, მისი მოგზაურობისა და საქმიანო-  
ბის წარმატებისათვის და სხვ. არსად შემხვედრია ასეთ რამეებზე  
ამდენი ხოტბის შემსხმელი ხალხი, ასეთი ალბათ მხოლოდ ძველი  
კოლხეთის მოსახლეობაა... მეორე ყანნი (ან ჭიქა) ეკუთვნის საპა-  
ტიო სტუმარს, რომელიც მადლობას უხდის სახლის პატრონს სტუ-  
მართმოყვარეობისათვის და ათასგვარ წარმატებას უსურვებს მას,  
მის მეუღლეს, შვილებს, მთელ მის ხალხს ისე, რომ არავინ გამორ-  
ჩება; უსურვებს, რომ ბელელი გაეცოს ფეტვით, ხოლო ქვევრები –  
ღვინით; რომ მისი საქონელი გამრავლდეს და ა. შ. ჭიქას ან სხვა  
სასმისს სუფრაზე რიგ-რიგობით ჩამოატარებენ ხოლმე.

მაღალი რანგის სტუმრებს ემსახურებიან საკუთარი მერიქი-  
ფეები, რომლებიც მოგზაურობისას ყველგან თან დაჰყავთ ხოლმე.  
მათი ამოცნობა შეიძლება აზარფემით, ანუ მოოქროვილი ვერ-  
ცხლის დიდი ჩამჩით, რომელიც სახელურით აქვთ მიმაგრებული  
ქამარზე. ამ სასმისით სვამენ ღვინოს მათი ბატონები.

როდესაც სტუმრები ბევრი არიან, მერიქიფეთა რაოდენო-  
ბაც იზრდება. მერიქიფეობაზე ყოველთვის სიამოვნებით თანხმდე-  
ბიან, რადგან პირველი სადღეგრძელოების შემდეგ თითოეული  
მათგანი სვამს იმდენ ღვინოს, რამდენიც თავად სურს, ხოლო ქარ-  
თველები, იმერლები და მეგრელები, ჩემი აზრით, ჩემთვის ცნობილ  
ხალხებს შორის ყველაზე დიდი მსმელები არიან. როგორც ჩანს,  
ისინი დიდ ხნის წინ ეზიარნენ ბახუსის მადლს და კოლხური ღვინო-  
ების სახელმა საბერძნეთამდეც მიაღწია: ჰომეროსი ხომ ათქმევი-  
ნებს ულუსს<sup>1</sup>: ჩვენ აქ (კოლხეთში) მთელ წელს ვატარებთ; დასვე-

---

<sup>1</sup> Odisee, თავი X, ლექს. 468.

ნება, სიუხვე და ყურძნის მოსავლის უტკბესი საჩუქრები გვიქარვე-  
ბენ ჩვენს მწუხარებას.

ჭამა-სმის დროს არ ჩქარობენ, მაგრამ საკმაოდ ბევრს ჭამენ  
და სვამენ. სადილზე ერთი თუნგის, ანუ ხუთ პინტამდე [10] ღვინის  
დაღევა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება და შეუძლებელია სმაზე  
უარის თქმა. როდესაც სახლის პატრონი თქვენი ბედნიერად მობ-  
რძანების სადღეგრძელოს სვამს, სუფრის ყველა წევრი თავის  
მხრივ მაშინვე იგივეს აკეთებს და თქვენც იძულებული ხართ, სა-  
მადლობელი შესვით და დღეგრძელობა უსურვოთ მათ... ეს არის  
სადღეგრძელობის მთელი სერია, რომელსაც დასასრული არ  
უჩანს. ტყუილუბრალოდ გაუნევთ წინააღმდეგობას: თავის დაღწე-  
ვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუკი არანაკლებ რვა ყანწს,  
ანუ ღვინის სასმის შესვამთ. ამას გაიძულებთ განსაკუთრებული  
თავაზიანობა, რადგან შიშობთ, ვაითუ ისეთ პიროვნებად მიგიჩნი-  
ონ, ვისაც ამქვეყნად არაფერი გაეგება.

**ქუთაისიდან საჩხერეში მიმავალი გზა:** 23 ნოემბერს (5 დე-  
კემბერს) სინანულით დავტოვე ქუთაისი და უკანასკნელად შევავ-  
ლე თვალი ფაზის-რიონს, რომელიც ყრუ ღმუილით ეხეთქებოდა  
კლდოვან ნაპირებს...

გადავედით წყალნითელაზე თვალწარმტაცი სილამაზის გა-  
მოქვაბულის ქვემოთ, უკან მოვიტოვეთ სურამისკენ მიმავალი  
მთავარი გზა და დავინწყეთ მთაზე ასვლა [...]

სოფელი სიმონეთი, რომელიც მდებარეობს, ან უფრო სწო-  
რად — მთელი თავისი სიგრძე-სიგანით არის გაშლილი შემადლე-  
ბულ პლატოზე, ზემოდან გადაჰყურებს ყვირილის მთელ დაბ-  
ლობს; აქედან მშვენიერი ხედი იშლება ახალციხის ქედზე, რომლის  
შავად თუ თეთრად გამოკვეთილი მწვერვალები და თხემები ენით  
აუნერელ შთაბეჭდილებას ახდენენ...

სიმონეთის იქით, ძირულის ნაპირისაკენ თიხოვანი ფერდო-  
ბი ეშვება. აქ გუდილის ძველი საგვარეულო კოშკი დგას. ეს საგვა-  
რეულო დღეს აღარ არსებობს. ქვეყნის ამ ნაწილში გამოყენებული  
კოშკები უფრო ფართო და ბრტყელი ფორმისაა; ისინი ბოლოში  
ნაკვეთილი პირამიდისავით ვიწროვდებიან, სხვა მხრივ კი შიდა  
განლაგება ისეთივეა, როგორც სხვაგან. ეკლესია, რომელიც კოშ-  
კის ტერიტორიაზე იდგა, საკმაოდ მტკიცედ იყო ნაგები, მიუხედა-  
ვად იმისა, რომ ეს მხოლოდ თავადთა საგვარეულო სამლოცველო  
იყო. დრო არ მომეცა, გადმომენერა ვრცელი, ნახევრად საეკლე-

სიო (ხუცური?) ასოებით შესრულებული წარწერა, რომელიც მთავარ კარზე იკითხებოდა. ფასადი მორთული იყო რელიეფებით: ორი ერთმანეთთან მებრძოლი მხედარი, დიდი ლომი, რომელიც თავს ესხმის შველს და სხ. ჯერ კიდევ შემორჩენილი კანკელი ასევე რელიეფებით იყო დაფარული.

კოშკის იქით ამაღლებულ პლატოს შემოვლარეთ და აქედან ვერსით დაშორებულ ჩხარში [12] ჩავედით. უწინ იგი დიდი დაბა ყოფილა მშვენიერი საეპისკოპოსო ტაძრით, დღეს კი აქ, ცარცული მთის ფერდობზე სომხების დანგრეული ბაზარია. საინტერესო სანახავია ქართულ სტილში ნაგები აქაური ეკლესია, განსაკუთრებით კი მისი თორმეტკუთხა სამრეკლო ასევე თორმეტი ფრონტონით.

ვიდრე ჩემთვის შენიშვნებს ვინერდი და საკუთარ ცნობის-მოყვარეობას შეძლებისდაგვარად ვიკმაყოფილებდი, ჩემი თანამგზავრები, რომლებსაც სულაც არ აინტერესებდათ ის, რაც ჩემთვის სიახლეს წარმოადგენდა, სადღაც გაქრნენ. როცა გზის გაგრძელება მოვინდომე, აღმოჩნდა, რომ მარტო ვიყავი, თანაც უკვე ღამდებოდა და შესაძლოა, დავკარგულიყავი ყველა მიმართულებით გადახლართული ამ გზების ლაბირინთში. მაგრამ შიშმა ფრთები შემასხა და ჩხარიდან 5 ვერსზე ჩემს თანამგზავრებს სკანდის მთაზე დავენიე, სადაც ისინი მელოდნენ; ერთი მათგანი კი ჩვენთვის ღამის გასათევის მოსაძებნად იყო წასული. ერთმა სოფელმა გლეხმა სიკეთე გამოიჩინა და თავისთან მოგვათავსა შესასვლელ ოთახში (ვესტიბიულში), რომელსაც კარი არ ჰქონდა და ეს მაშინ, როდესაც ღამით მიწა ჭირხლით იფარებოდა. ჩვენმა ორმა ცხენმა პატრონის ცხენთან ერთად საუკეთესო ადგილები დაიკავეს. მათ მიართვეს ფეტვის ღეროები, ჩვენ კი ვახშმად პური და მაჭარი (ახალი ღვინო) შემოგვთავაზეს. ამის შემდეგ ზანტად გავიხლართეთ ჩალის ჭილოფზე ცეცხლის პირას და მშვიდად დაველოდეთ გათენებას, თან დროდადრო ვტრიალებდით და გასათბობად ცეცხლს ვუშვერდით ღამის სიცივისაგან გათოშილ მხრებსა და ფეხებს, ზოგჯერ კი ვდგებოდით ჩამქრალი ცეცხლისათვის შეშის შესაკეთებლად.

აღბათ სულ სხვაგვარ მიღებას ველოდი; მე ხომ იმ სკანდემში, იგივე ალექსანდრიაში ვიყავი [13], რომელიც ქართული ტრადიციის თანახმად, ალექსანდრე დიდის [14] მიერ აგებულ ერთ-ერთ ციხედ

ითვლება<sup>1</sup>. მე ხომ იმ სკანდეში ვიყავი, რომელიც ლაზების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ციხეთაგანია, იუსტინიანეს დროს რომ მიატოვეს ბერძნებმა და რომელიც ხელთ იგდეს სპარსელებმა და ხოსროს ბრძანებით შეაკეთეს?<sup>2</sup> მე ხომ იმ სკანდეში ვიყავი, იმერეთის მეფეებმა, თავის საყვარელ რეზიდენციად რომ გაიხადეს, მათ შორის — ალექსანდრემაც, რომელიც 1650 წელს ზეობდა [15] და რომელმაც აქ ქალაქი დააარსა?<sup>3</sup> რამდენი ღირსებაა დიდებისათვის! მაგრამ ვერც დიდება და ვერც სახელი ვერ დაგაპურებს და როცა დილით ჭირხლით დაფარული სკანდე დავინახე, დიდად მაღლიერი დავრჩი იმ თავშესაფრისა, რომელიც წილად მხვდა. სკანდე დღეს მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენს; იგი დიდი ხნის წინათ არის მიტოვებული, რადგან გიულდენშტედტიც სწორედ ასეთ მდგომარეობაში აღწერს მას [16]. იგი მდებარეობდა მესამეული ფორმაციის მაღალი ფერდობების კიდეზე, კოლხეთის აუზის სიღრმეში და კოლხეთის შესასვლელს იბერიისაგან იცავდა. აი, რატომ იყო, რომ ბერძნები და სპარსელები მის ხელში ჩასაგდებად ერთმანეთს ეცილებოდნენ. ამჟამინდელი ნანგრევები ისევე, როგორც გუდილის სახლისა, შეიცავს ერთ ჩამონგრეულ კოშკს ეკლესიითურთ და ქვის სახლის ნაშთებს.

24-ში ცარცული ბორცვების ძირში გადავლახეთ ძუსა [17], რომლის დონეც ამალღებული იყო. ძუსას გამოსასვლელიდან ჩანს ამ მხარის ერთ-ერთი ყველაზე დიდი, 200 კომლიანი სოფელი მუხურა [18].

მოშორებით, მუჯირეთის [19] იქით, მიედინება ბუჯა, რომელიც ქვემოთ ერთვის ძუსას და იწოდება ჩოლაბურად.

სკანდიდან 12 ვერსზე, პლატოს მწვერვალზე, რომელიც ამ მხარეს დაჰყურებს, ძველი ცაცხვის ხეების ჯგუფს მივუახლოვდით, რომლის ჩრდილქვეშ კაცხის [20] ძველი მონასტერია<sup>4</sup>. ინტერიერის გეგმა წრიულია; რვა ღრმა ნიშა დიდი და ლამაზი გუმბათით არის დაგვირგვინებული. მხოლოდ თორმეტი დიდი ფანჯარა ანათებს ტაძრის სივრცეს; საკურთხეველი ერთ-ერთ ნიშაშია განთავსებული.

მარცხენა კარზე მოთავსებულმა რამდენიმე რელიეფმა პატარა ასოებით შესრულებული წარწერითურთ დამაინტერესა და

---

<sup>1</sup> Chardin

<sup>2</sup> Procopius de Bello Goth., წიგნ. IV, 13 და სხ.

<sup>3</sup> Klapproth, Voyage, გერმ. გამოც., ტ. I, გვ. 330.

<sup>4</sup> იხილეთ ატლასი, II სერია, მხატვ., ფურც. 6.

მინდოდა გადმომელო, მაგრამ ჩემმა თანამგზავრებმა ამის საშუალება არ მომცეს.

რელიეფები, კარნიზები და ფანჯრების მორთულობები შესრულებულია იგივე სტილით, როგორც მთანმინდის საეპისკოპოსო ტაძარში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ორივე ნაგებობა ერთი და იგივე ოსტატის ნახელავია, თუმცა მათი გეგმა განსხვავებულია<sup>1</sup>. ზოგიერთ ფრესკაზე სახელები ბერძნულად იყო დაწერილი. ნარწერა, რომელიც აბსიდის კედლიდან გადმოვიღე, ბერს არაფერს გვეუბნება, თუმცა ასოები ძალზე ლამაზია. აი მისი თარგმანი:

„სამებაო, მოიხსენე წყალობით სული ჯიხუისძისა, ამის ეკლესიისა მოძღვარისა, ამინ“ .

ეკლესიის საკურთხეველში ვნახე რელიეფებით შემკული ქვა, რომელიც ისევე იყო მორთული, როგორც საფარის კანკელი.

ეკლესია გარშემორტყმულია დამცველი გალავნით. კაცხი ხშირად ქვეყნის ციხესიმაგრეთა შორის იხსენიება [21].

კაცხის იქით უფრო და უფრო ვუახლოვდებით დოლომიტური კირქვის მთას, რომელიც ყვირილის კალაპოტს ავიწროვებს საჩხერემდე. ნავარძეთის [22] გავლის შემდეგ მაღალი, უცნაური მოხაზულობის მქონე ციცაბო კლდეების გასწვრივ მივდიოდით. ამ კლდეების ძირში უზარმაზარ ნანგრევებსა და ნამსხვრევებს შორის გადაჭიმული იყო სოფელი. ერთ-ერთი კლდის თავზე თავშესაფარი კოშკი იყო ნაშენი. გზა ძალზე ცუდი იყო.

ნავარძეთს რომ გასცდებით, სწრაფად ეშვებით ყვირილისაკენ და უახლოვდებით იმ ადგილს, სადაც კლდეები ერთდება და ორი მაღალი კედლის მსგავსად შუაში მოიმწყვედევს მდინარეს. აქედან საჩხერემდე მიმავალი გზა მშვენიერია. 12 ვერსის მანძილზე ცხრამეტჯერ გადავლახეთ მდინარე ფონით, რადგან ყოველთვის წინ გველობებოდა შვეული კლდეები, რომლებიც მათსა და მდინარეს შორის მხოლოდ ვიწრო გასასვლელს ტოვებდნენ, ზუსტად ისეთს, როგორიც აუცილებელი იყო მხოლოდ ერთი ცხენის გასავლელად; ამის გამო მგზავრი იძულებული ხდება, მეორე ნაპირზე გადავიდეს. ასეთი მოგზაურობა კი მხოლოდ შემოდგომასა და ზამთარშია შესაძლებელი, როცა მდინარის დონე დაწეულია; თუმცა დინება იმდენად სწრაფია, რომ ცხენით მდინარის გადალახვა მა-

<sup>1</sup> ამ ეკლესიების გეგმების შესახებ იხილეთ III სერია, ფურც.4.

ინც ძალზე დიდ საფრთხესთან არის დაკავშირებული, გაზაფხულსა და ზაფხულში კი მდინარეზე გადასვლა ყოველად შეუძლებელია.

სტრაბონის [23] მიერ აღნიშნული 120 (უნდა იყოს 20 — ლ.მ.) ხიდი სწორედ აქ, ამ გზაზეა, ფაზისის გაყოლებით იბერიისკენ რომ მიემართებოდა<sup>1</sup>.

კლდის სიმაღლე 400-500 ფუტია. ქანები ჰორიზონტალურია, მაგრამ დამსხვრეული; ისევე როგორც სხვაგან, ყვირილის ეს დოლომიტიც უამრავი მღვიმით არის დასერილი; მათი დათვლა ათასობით შეიძლება [24]. ყველაზე დიდ გამოქვაბულებს ადგილობრივი მოსახლეობა ომიანობის დროს თავშესაფრად იყენებდა; მაგალითად, თათრებისა და თურქების თავდასხმისას. ამასთან დაკავშირებით მე უკვე მოვიხსენიე მურვანის ლაშქრობა, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ტრადიციულად ყრუს უწოდებს<sup>2</sup>.

ამ გამოქვაბულთა უმეტესობისათვის საკმარისი იყო შესასვლელის გაკეთება, ფასადის მსგავს ნაწილში რამდენიმე ფანჯრის გაჭრა და სახლიც მზად იყო; ზოგიერთ გამოქვაბულს ესაჭიროებოდა გაფართოება, მოწესრიგება და ა.შ. გამოქვაბულები აქ რამდენიმესართულიანია და ზოგი მათგანი ისეთი მაღალია, რომ დღეისათვის იქ ბოლომდე ასვლა ყოველად შეუძლებელია. და მაინც, როგორ ადიოდნენ იქ ძველი ბინადრები? დღეს ამ მღვიმეებში აღარავინ ცხოვრობს, გამონაკლისია მხოლოდ ის გამოქვაბულები, სადაც ამჟამად განთავსებულია მღვიმევის მონასტერი და ამავე სოფლის ახლანდელი მოსახლეობა. მას შემდეგ, რაც ორჯერ გადავლახეთ ყვირილა, მღვიმეში გავჩერდით.

აქ თითქმის ყველა სახლი, ჭერიან-კედლებიანად, საუცხოოდ არის გამოკვეთილი ამ დოლომიტური გამოქვაბულების დიდი კომპლექსის შიგნით და ეს ქვაბულები კლდის ძირშია ჩამნკრივებული. მღვიმეთა მეორე მნკრივი უფრო ზემოთ არის გამოკვეთილი, ვინრო შვერილის გასწვრივ, რომელიც სავალ გზად გამოიყენებოდა. აქ სოფლის მხოლოდ ერთი ეკლესია იყო, საკმაოდ დიდი და კარგად მოწყობილი, რომელიც დოლომიტური კირქვის თლილი ქვებით ასევე მთლიანად იყო ჩაშენებული დიდი გამოქვაბულის თალის ქვეშ; იგი მდიდრულად იყო მორთული რელიეფებითა და ჯვრებით. აქვე გვაჩვენეს ბარძიმები, ჯვრები, სანაწილეები და ნიგნი, რომელიც მეფე დავით II-ის (IV ლ.მ.) მეუღლემ შესწირა ეკ-

<sup>1</sup> იხილეთ Strabon, ნიგნი XI, გვ. 480 და ჩემი მოგზაურობის II ტომი.

<sup>2</sup> იხილეთ ჩემი მოგზაურობის II ტომი.

ლესიას. მაგრამ ჩემი ყურადღება ყველაზე მეტად მიიპყრო საკურთხევლის პირდაპირ ორფრთიანმა კარმა: თითოეული ფრთა, რომელიც შესაძლოა 1 ფუტის სიგანისა ც ყოფილიყო, როგორც ამბობდნენ, ერთი მთლიანი ვაზისაგან იყო დამზადებული. ყოველ შემთხვევაში, მეც ასე ვიფიქრე, რადგან ვერაფრით გავარკვიე, რა უნდა ყოფილიყო რელიეფებისა და ჩუქურთმების ქვეშ, რომლებიც მთლიანად ფარავდნენ მის ზედაპირს.

ეკლესიის ირგვლივ შემოვლა თავისუფლად შეიძლებოდა; მის გვერდით პატარა სამლოცველოს ასაგები ადგილიც კი იყო დარჩენილი. კარის ზედა ნაწილს ამშვენებდა ძალიან დახლართული ასოებით შესრულებული წარწერა, რომელიც ისევე იყო მორთული, როგორც ციხე-დარბაზის წარწერები, რომელთა ფაქსიმილეს მოცემული მაქვს<sup>1</sup>.

ეკლესიის უკან, 50-60 ნაბიჯის სიღრმის მღვიმეში იყო აგრეთვე ძვლებით სავსე აკლდამა და მის გვერდით ამოშენებული დიდი აუზი, სადაც წყალი დიდი ნაკადით შემოედინებოდა და შემდეგ მღვიმის სიღრმეში, სტალაქტიდებს შორის იღვრებოდა.

ამავე ხაზზე, ეკლესიის გაყოლებით, განლაგებული იყო რამდენიმე გამოქვაბული: ეს ბერებისა და მღვდლების თავშესაფარი იყო და მას კეტავდა სავალად გამოყენებული შვერილის გასასვლელი; ეს უკანასკნელი თავის მხრივ გამოდიოდა კლდის პლატფორმაზე, სადაც სამრეკლო და რამდენიმე სახლი იდგა. ეს პლატფორმა, როგორც წინნამონეული თავდაცვითი ნაგებობა, ასევე ჩაკეტილი იყო კედლით, ხოლო პლატფორმის ზემოთ, ციცაბო კლდის თავზე აღმართული, დიდი თლილი ქვით ნაგები და ამჟამად უკვე დანგრეული ციხესიმაგრე კიდევ უფრო ამყარებდა მოსაზრებას ბერების მიერ მიღებული უსაფრთხოების ზომების შესახებ.

გაკვრით მოგახსენებთ, რომ ეს ციხესიმაგრე ძველებური სტილის ნაგებობაა და ქუთაისის უძველესი ხანის კონსტრუქციებს მოგვაგონებს. ძველისძველი კაკლის ხეებით დაჩრდილული ყვირილის ნაპირებიდან ჩავხატე გამოქვაბულებიანი მღვიმევი, რომელიც უზარმაზარ კონებად ჩამოკიდებული სუროთი დაფარულ კლდეებთან ერთად ულამაზეს სანახაობას ქმნიდა<sup>2</sup>.

მღვიმევიდან რამდენიმე ვერსზე, ყვირილის მარჯვენა ნაპირზე, მაჩვენეს წყალუხვი ნაკადული, რომელიც კლდის ძირში,

<sup>1</sup> იხილეთ ატლასი, III სერია, ფურც. 21.

<sup>2</sup> იხილეთ ატლასი, II სერია, ფურც., 15.

ღრმა ორმოდან გამოედინებოდა, ისე როგორც საღვინო ყირიმში ან — სერიერე ნევშატელთან ახლოს, შვეიცარიაში; მას ღრუდოს (Groudo) ეძახიან და გაზაფხულზე აქ დიდი რაოდენობით თევზს იჭერენ, რადგან ზამთარში ამ ნაკადულის წყალი თევზებისათვის თბილია და ბევრად სჯობს ყვირილის წყალს. ისინი ამ ნაკადულს მოჰყვებიან და კლდის ღრმულეებში იმალებიან, გაზაფხულზე კი, როცა კარგი ამინდი დგება, ისინი კვლავ ჩამოჰყვებიან დინებას და ყვირილაში შედიან, რომელიც თავის მხრივ ამ დროისათვის მათთვის უფრო უკეთესია, ვიდრე Groudo. სწორედ ამ დროს იჭერენ ამ თევზს და ამ გზით აღმოჩნდება ხოლმე იგი ბერების სუფრაზე. ამ მხარეში თევზის ჭერა ბერების უპირატესი უფლებაა და დიდმარხვის დასაწყისში და მისი დასრულების შემდეგ ისინი სიამოვნებით მიირთმევენ თევზს.

მოშორებით, კლდის ფერდობზე ნაპრალი გასასვლელს უხსნის ჯრუჭულას, რომელიც მღვიმევსა და საჩხერეს შორის შუა გზაზე ყვირილაში ჩაედინება.

დაბა საჩხერეში ქართველები და სომხები ცხოვრობენ; ამავე დროს იგი წერეთლების [25] რეზიდენციაცაა: თითოეულ მათგანს აქ საკუთარი სახლი აქვს. თავადების ეს პატარა, რამდენიმესართულიანი ხის სასახლეები უწესრიგოდ არიან მომოფანტულნი მაღალი ბორცვის ზედაპირზე, რომელიც ჩრდილოეთის (N.) მხრიდან გადმოჰყურებს დაბას<sup>1</sup> [...].

წერეთლებს სახლის გვერდით თავიანთი საკუთარი პატარა ეკლესია ან სამლოცველო უდგათ; შედარებით მდიდრებს ხეხილის ბაღები და ვენახი აქვთ, რომელიც ყვირილის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ არის გაშენებული. როგორც წესი, აქაური ვენახი სარზეა აბმული.

უნინ წერეთლების თავშესაფარი იყო ცნობილი ციხესიმაგრე მოდინახე [26]; კლდის თავზე აღმართული ციხე დღეისათვის ნახევრად დანგრეულია. ეს არის წერეთლების კაპიტოლიუმი: ცარცოვანი კირქვის მაღალ თხემზე, რომლის ფერდობზეც ორივე მხრიდან 20-30 ნაბიჯის სიგანის გზა ადის, ორი გრძელი კედელია; მათი ერთი ბოლო მაღალი კოშკითაა ჩაკეტილი, მეორე კი — ორი კოშკით. ცარიელი სივრცე ქმნის 200-მდე ნაბიჯის სიგრძის მქონე ვიწრო ადგილს, სადაც საცხოვრებელი სახლი, სამლოცველო და

---

<sup>1</sup> იხილეთ ატლასი, II სერია, ფურც. 16.



საპყრობილე იყო განლაგებული. წინ პატარა ეზო იყო, ისევე, როგორც ეს შუასაუკუნეების კოშკშია. მამაცი რაინდები და მეომრები სწორედ აქ, კოშკის შესასვლელის წინ იკრიბებოდნენ. მტრის შემოტევისაგან თავდასაცავად კოშკს პატარა და დაბალი, რკინის თხელი ფირფიტებით დაფარული კარი ჰქონდა. აქამდე მოსვლა მტერს მხოლოდ ჩაკეტილი და იმდენად ვიწრო საცალფეხო ბილიკით შეეძლო, რომელზეც ორი კაცი ერთდროულად ვერ გაივლიდა.

დღეს ციხე მხოლოდ ეზოში ჩამარხულ ქვევრებში დაბინავებული ღვინის შესანახად გამოიყენება; არცთუ ისე დიდი ხანია, რაც თავადების დარბაზი და სამლოცველო ჩამოინგრა; მთელ არტილერიას, რომელიც ამჟამად სიმაგრეს იცავს, წარმოადგენს ორი გრძელი კულევინი [27], მათ კი მეთვალყურეობას უწევს მჭედელი, რომელიც ერთდროულად კოშკის მეპატრონის, მეზარბაზნისა და დარაჯის როლს ასრულებს.

ციხე ძალზე ძველია და შეიმჩნევა უამრავი სხვადასხვა ეპოქის ნაგებობათა ნიშნები, რომელთა საძირკველზეც იგი აუშენებიათ. სხვა ციხესიმაგრეთა ნანგრევები (ეკლესიასთან ახლოს, მთის მეორე მხარეს) ისევე როგორც სკანდეში, ნაკლებად მნიშვნელოვანია.

მოდინახედან თვალუწვდენელი პანორამა იშლება; მათ შორის სილამაზით გამორჩეულია სოფლებით გარშემორტყმული ყვირილას ხეობა. ჰორიზონტზე გავარჩიე:

*ბჟინევი* (შორაპნის მიმართულებით), რომელიც საინტერესოა კვადრატული კოშკის ნანგრევებით; იგი თეთრად იკვეთება მთელი ამ პეიზაჟის ფონზე.

*იოხვისი* (ბჟინევის ხელმარჯვნივ), გამოირჩევა დანგრეული ეკლესიით.

*მერჯევი*, ეკლესია ბჟინევის ხელმარცხნივ, საჩხერის მოპირდაპირედ, ყვირილის მეორე ნაპირზე.

*ჭორვილა* — კოშკი და ეკლესია გორისკენ მიმავალი გზის ხელმარჯვნივ [...]

*სავანე*, უძველესი და ულამაზესი ეკლესიით, მოჩანს გორის გზაზე, ხელმარცხნივ; ფასადზე სამი თალია, ისევე როგორც ქუთაისში. ყველაზე დიდი თალი შუაშია. ეკლესიის გვერდით მოჩანს ნანგრევები [...]

*ქორეთი*; მისი ეკლესია ხედის წინა პლანზე, ბჟინევის კოშკის ხელმარცხნივ ჩანს [28].

ასეთია ყველაზე გამოკვეთილი ობიექტები ამ ადგილისა, რომელიც უნინ მთელ ამ მხარეს მოცავდა და რომელსაც ქართველები *ზემო ქვეყანას* უწოდებდნენ, რაც ზემო საცხოვრებელს ნიშნავს. ეს არის ყვირილისა და ძირულას ზემო ხეობები, სადაც გიულდენშტედტმა 70-მდე სოფელი, მონასტერი და ციხე დაითვალა [29].

### კომენტარები:

1. ციხე-დარბაზი//გეგუთი – ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, საერო დანიშნულების ნაგებობა ქუთაისის სამხრეთით 7 კმ-ზე, მდ. რიონის მარცხენა ნაპირის ფართო ველზე. ყველაზე ადრეული ცნობა გეგუთის სასახლის შესახებ XII საუკუნისაა: „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, გეგუთი ქართველ მეფეთა „ტახტის ციხე-დარბაზი“ იყო (მთავარი ნაგებობა გიორგი III-ის ზეობის დასაწყისს განეკუთვნება), შესაბამისად, საქართველოს ერთიანობის ხანაში იგი ქართველ მეფეთა ერთ-ერთ რეზიდენციას წარმოადგენდა. სწორედ აქ გამოაცხადა გიორგი III-მ თავის თანამოსაყდრედ თამარი. საქართველოს ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ (XV ს.) გეგუთი იმერეთის მეფეთა მთავარ რეზიდენციად იქცა; იგი აღნიშნულია 1737 წ. დასავლეთ საქართველოს რუკაზე. გეგუთის პირველი დაწვრილებითი აღწერილობა ეკთვნის დიუბუას, თუმცა, მის ცნობებში ვხვდებით ზოგიერთ უზუსტობას: კერძოდ, არასწორია ტერმინ „დარბაზის“ დიუბუასეული განმარტება (დარბაზისა და გუმბათის გაიგივება); გარდა ამისა, როგორც მოგვიანებით ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოვლინდა, არც გუმბათი აღმოჩნდა რვანახნაგოვანი და ოთახების რაოდენობაც 6-ის ნაცვლად 5-ია; სხვაობაა დარბაზის ზომებშიც და მცდარია მოსაზრებაც გეგუთის არქიტექტურის „მთლიანად ბიზანტიური სტილის“ თაობაზე. მიუხედავად ამისა, დიუბუას აღწერილობა სრულად ინარჩუნებს პირველწყაროს მნიშვნელობას. 1953-56 წლებში ჩატარებული გამწმენდი სამუშაოების შედეგად გეგუთში გამოვლინდა 3 ძირითადი ქრონოლოგიური შრე: 2000 კვ.მ. ფართობზე ყველაზე ადრინდელია VII-IX სს. ბუხრიანი ოთახი (ე.წ. „სანადირო სახლი“); XII ს-ში გიორგი III-ის დროს აგურით აშენდა დიდი დარბაზი, რომელიც თლილი ქვით ნაგებ მაღალ (3 მ.) ცოკოლზე დგას და 14 მ-იანი დიამეტრის გუმბათი აგვირგვინებს. დარბაზს ეკვრის საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სადგომები (სანოლი ოთახები, სა-

ლარო, საგანძური, აბანო და სხ.); მესამე ფენა XII-XIV სს. ორსართულიანი მინაშენი დასავლეთის მხრიდან და სასახლის ეკლესია (იხ. ვ. წილოსანი, გეგუთი-ციხე-დარბაზი, კრებული: „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“ , თბილისი, 1938; ვ. ჩაკვეტაძე, გეგუთი, თბილისი, 1958).

2. მუხერისი//მოხირისი — პროკოპი კესარიელის თანახმად, საკუთრივ მოხირისის მხარე ცხენისწყალსა და რიონს შორის მდებარეობდა და მის საყრდენ პუნქტს წარმოადგენდა ქუთაისი. უფრო ფართო გაგებით მოხირისი საკმაოდ დიდ რაიონს მოიცავდა: თანამედროვე ქუთაისის, ბაღდათის, ვანის, სამტრედიის, აბაშისა და მარტვილის რ-ნების ვაკე ნაწილს. პროკოპი კესარიელის მიერ მუხერისი არსად არ არის გაიგივებული გეგუთთან, ხოლო „მუხერისის სიმაგრე“ ნახსენებია იუსტინიანეს „ნოველებში“ . ტოპონიმის ლოკალიზაციის შესახებ იხ. სიმ. ყაუხჩიშვილის ვრცელი კომენტარი: გეორგიკა, II, თბილისი, 1965, გვ. 36, 208-210.

3. ელისე/ელისიები — სამოთხე, ედემი, ნეტართა საცხოვრებელი.

4. გეგუთის სასახლე XIX ს. დასაწყისში (სოლომონ II-ის ბრძოლებისას) დაზიანდა და მას შემდეგ ეს პროცესი ინტენსიურად გრძელდებოდა. შენობის ნაწილი მოსახლეობამ დაიტაცა საშენ მასალებად, ნაწილი კი იმპერატორის მოხელეებმა გამოიყენეს „ახალი ქალაქის“ მშენებლობისას. ამ ფაქტს დიუბუას გარდა სხვა ავტორებიც ადასტურებენ (იხ. Муравьев, Грузия и Армения, ч. 3, СПб, 1848, გვ. 214-215; Ш. Амиранашвили, История грузинского искусства, т. 1, Москва. 1950, გვ. 177-178).

5. ამ ეტაპზე ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ამ წარწერების კვალს სხვა გამოცემებში.

6. იაშვილების ეკლესია XVI ს-ით თარიღდება (იხ. ქართული კულტურის ძეგლები /ცნობარი/, შემდგენელი თ. ბარნაველი, თბილისი, 1959, გვ. 113).

7. ვარციხე პირველად VI ს-ის ბიზანტიურ წყაროებში მოიხსენიება. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო (მდ. რიონისა და ხანისწყლის შესაყართან) მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. VI ს. შუახანებში სპარსეთ-ბიზანტიის ომის დროს მართლაც მოანგრის ქალაქის კედელი ირანელთა თავდასხმის წინ, რათა მტერს იგი ახალ დაპყრობათა პლაცდარმად არ გა-

მოყენებინა. XVIII ს-ში აქ აღმშენებლობითი სამუშაოები ჩაუტარებია იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ს (1720-1740/1742-1752), ამავე პერიოდს მიაკუთვნებენ ამ მცირე ზომის ოთხკუთხა ეკლესიასაც.

8. როკითი — სოფ. მდ. ხანისწყლის მარცხ. ნაპირზე. სოფელში დღემდეა შემონახული შუასაუკუნეების მაცხოვრის ფერისცვალების ეკლესია. ზეთისხილის პლანტაციების შესახებ იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოცემა, თბილისი, 1962, ტ. I, გვ. 163.

9. ბაღდათი — ქალაქი იმერეთის დაბლობზე, მდ. ხანისწყლის ნაპირას. წყაროებში პირველად XVII ს. I ნახევარში მოიხსენიება, თუმცა არქეოლოგიური მასალით დასტურდება, რომ აქ დასახლება ჯერ კიდევ შუა ფეოდალურ ხანაში ყოფილა. ბაღდათის ციხე თურქებმა ააგეს 1703 წ. და იქ თავიანთი გარნიზონი ჩააყენეს. თავდაპირველად ციხე თხმელის ხისაგან იყო ნაგები (ამიტომ ხშირად მას თხმელის ციხედ მოიხსენიებდნენ), მოგვიანებით კი იგი ქვის ციხით ჩაანაცვლეს.

10. ფრანგული პინტა 0,93 ლიტრის ტოლია.

11. სიმონეთი — სოფ. თერჯოლის რ-ში. გუდიელის (და არა გუდილის) ეკლესია მდებარეობს სოფ. ძევერში და აგებულია 1807 წ. (იხ. ძეგლთა ნუსხის მონაცემთა ბაზა).

12. ჩხარი — სოფ. თერჯოლის რ-ში. წყაროებში იხსენიება XVII ს-დან როგორც სავაჭრო-სახელოსნო დასახლება. სოფელში შემონახულია ხუროთმოძღვრული კომპლექსი — წმ. გიორგის ტაძარი (განვით. შუა საუკ.) და სამრეკლო (გვიანდ. შუა საუკ.), სადაც ინახებოდა მამნე ოქრომჭედლის მიერ შესრულებული სადგერის დიდი ჭედური ჯვარი (ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული).

13. სკანდე — სოფ. თერჯოლის რ-ში, მდ. ჩხარის მარჯვენა მხარეს. განვითარებულ შუა საუკუნეებში წარმოადგენდა იმერეთის მეფეთა საზაფხულო რეზიდენციას. შემონახულია ამავე ეპოქის ციხე-სიმაგრის ნანგრევები (უძველესი ფენა ადრეულ შუასაუკუნეებს მიეკუთვნება).

14. იგულისხმება ალექსანდრე მაკედონელი (შენ.1, იხ. შარდენის მოგზაურობა, მ. მაგალობლიშვილის გამოცემა, თბილისი, 1975, გვ. 280).

15. ალექსანდრე III, იმერეთის მეფე 1639-1660 წწ.

16. იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 169.

17. ძუსა — მდინარე თერჯოლისა და ზესტაფონის რ-ში, მდ. ბუჯასთან მისი შეერთების შედეგად წარმოიქმნება მდ. ჩოლაბური — ყვირილის მარჯვენა შენაკადი.

18. მუხურა — სოფ. ტყიბულის რ-ში.

19. მუჯირეთი — სოფ. თერჯოლის რ-ში.

20. კაცხის ტაძარი (X—XI სს) მდებარეობს ჭიათურის მახლობლად სოფ. კაცხის ცენტრში. როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავს, სამეცნიერო ლიტერატურაში მისი აღწერილობა მხოლოდ დიუბუას მეშვეობით გახდა ცნობილი, თუმცა „ძეგლის აღწერაც და ნახაზებიც შემცდარია: რვა აფსიდი — ექვსის ნაცვლად, გუმბათის ჰორიზონტალური კარნიზი — ნაცვლად ტეხილისა და სხ.“ (ვ. ბერიძე, კაცხის ტაძარი, ქართული ხელოვნება, 3, თბილისი, 1950, გვ. 73). ტაძარი მდიდრულად მოჩუქურთმებული, გუმბათოვანი ნაგებობაა და იმ ეპოქის ქართული ხურითმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია. მისი კანკელის ფრაგმენტები ამჟამად დაცულია ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

21. კაცხის ციხე — გვიანდელი ფეოდალური ხანის ძეგლი, ამჟამად შემორჩენილია მისი ნანგრევები.

22. ნავარძეთი — სოფ. ჭიათურის რ-ში.

23. იხ. სტრაბონის გეოგრაფია, გვ. 128.

24. საუბარია სოფ. მღვიმეში (ჭიათურის რ-ნი) არსებულ უძველეს კარსტულ მღვიმეზე, ზედა პალეოლითის კულტურის ნაშთებით. სოფლის მახლობლად დგას სამონასტრო კომპლექსი: XIII ს. ორნავიანი ეკლესია; ჩრდ. ნავის კედლებზე შემორჩენილია ეკლესიის აგებისდროინდელი ფრესკული მხატვრობა, ხოლო სამხრ. ნავის მხატვრობა უფრო გვიანდელია (დაახლ. XVI ს.). ძველ ფენაში გაირჩევა რატი რაჭის ერისთავის, მისი მეუღლისა და ძმის — ნიანის (კახაბერისძეების) პორტრეტები. ეკლესიის შესასვლელში ეკიდა ხეზე კვეთის შესანიშნავი ნიმუში — ხის კარი (დღეს ხელოვნების მუზეუმშია). ხის კანკელი შემკულია XI ს. ჭედური ფირფიტებით. ეკლესიის ქვეშ გრძელი გვირაბია. სამონასტრო კომპლექსში აღსანიშნავია აგრეთვე დაახლ. XIII-XIV სს-ის პატარა ეკლესია და ორსართულიანი სამრეკლო.

25. წერეთლები იმერეთის გავლენიანი ფეოდალები იყვნენ და მეფის კარზე უმაღლესი სამოხელეო თანამდებობები ეკავათ. მათი რეზიდენცია იყო საჩხერე, სადაც „მოსახლენი არიან იმერნი,

სომეხნი, ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ“ (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1973, გვ. 156).

26. მოდინახე – გვიანფეოდალური ხანის ციხე რაჭა-იმერეთის მთების სამხრეთის განშტოებაზე. გიულდენშტედტი მას წერეთლის საკუთრებად მოიხსენიებს (იხ. გვ. 103).

27. კულევრინი – ძველებური ქვემეხი.

28. ბჟინევი, ითხვისი – ჭიათურის რ-ნის სოფლები; მერჯევი, სავანე, ჭორვილა, ქორეთი – საჩხერის რ-ნი; ჭორვილაში დგას შუასაუკუნეების ეპოქის კოშკი და წმ. მარინეს სახელობის ეკლესია. სავანის ეკლესია წმ. გიორგის სახელობისაა და 1046 წლით თარიღდება, ხოლო ქორეთის ეკლესია XI საუკუნისაა.

29. იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა, I, გვ. 299-301.

**Mzia Mgaloblishvili**

**Lela Mikiashvili**

*Doctor of History, Ivane Javaxishvili Tbilisi State University, Ivane Javaxishvili Institute of History and Ethnology Chief scientific researcher of the Department of Modern and Contemporary History*

### **Imereti in the 30-ies of the XIX century according to the „Travel“ of Dubois de Monpere**

Frederic Dubois de Monpere is a scientist-traveler, whose works promoted the development of European Kartvelology. Frenchman by origin, born in Switzerland, he was an outstanding geologist, naturalist and archeologist. He traveled a lot, including Transcaucasian countries and Georgia among them (1833-1834) which resulted in his extensive work (in 6 volumes) „Travels around the Caucasus, at Circassians and Abkhazians, in Kolkhida, in Georgia, Armenia and the Crimea“ . The work is written in the genre of keeping a diary, where he described everything heard and seen in detail, precisely defining the information on antique, medieval and his contemporary authors about this region. The striking illustration of this very important work is the honorary reward – the gold medal of French Geographical society, awarded to him in 1838.

The importance of „Travels“ for Georgian original source studies should be especially noted: because of the known political events, a certain gap has appeared in Georgian historiography, concerning the description on the history of the first half of the 19-th century (after the conquest of Georgia by Russia). Hence, Duboi's „Travels“ acquires the significance of primary source in many historical aspects of the given period.

The one of the chapters of the work is dedicated to the description of Imereti.

The author describes with the scientific scrupulosity the each village, river, mountain and ravine; his attention is directed to the local landscape, useful minerals, historical monuments as well as to the number and character of the population, local habits and forms of administration.

## გია გელაშვილი

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი*

### ინგლისელი მოგზაური ლოურენს ოლიფანტი აფხაზეთის შესახებ

ლოურენს ოლიფანტის ცნობები აფხაზეთის შესახებ მოთავსებულია მის წიგნში — „თურქული არმიის ამიერკავკასიური კამპანია ომერ ფაშას მეთაურობით“ (ლონდონი, 1856) – იხ. თავები II-V, VIII, XIII.

ჩვენ ვაპირებთ ამ საინტერესო წიგნის სრულად თარგმნას. ამდენად აფხაზეთის გარდა სხვა მხარეებსა და საკითხებს ამჟამად არ ვეხებით. ასევე ზოგადი წარმოდგენისთვის შემოკლებით მოგაწვდით ლოურენს ოლიფანტის საკმაოდ ვრცელ და მრავალფეროვან ბიოგრაფიას.

ლოურენს ოლიფანტი (1829-1888) დიპლომატი, მოგზაური და მისტიკოსი იყო ერთადერთი შვილი სერ ანტონი ოლიფანტისა და მარია კემპბელის. ის დაიბადა კეიპტაუნში. 1846-48 წლებში ოჯახმა იმოგზაურა საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიის ალპებში და საბერძნეთში. ცვილონში დაბრუნებისას, სადაც მამამისი 1839 წლიდან იყო უმაღლესი მოსამართლე, ლოურენსი მიიწვიეს ადვოკატურაში. 1851 წელს ინგლისშია დედასთან ერთად და ეუფლება სამართალს. 1852 წელს ოსვალდ სმითთან ერთად ესტუმრა სტ.-პეტერბურგს, ნიჟნი ნოვგოროდსა და ბოლოს ყირიმს. აქ ისინი ფარულად შევიდნენ სევასტოპოლში და შეადგინეს იქაური სიმაგრეების ჩანახაზები. ლოურენსმა 1853 წელს გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის ერთი ნაწილის ანგარიში — „შავი ზღვის რუსული სანაპიროები 1852 წლის შემოდგომით“. ყირიმის ომის მოახლოებასთან ერთად, ამ წიგნს საგანგებო ინტერესი დაეთმო და ოთხჯერ გამოიცა. ასევე დაინერა ინფორმაცია „დეილი ნიუსისთვის“. შემდეგ ის მსახურობს აშშ-სა და კანადაში, ხოლო 1855 წელს ისევ ინგლისშია და შესთავაზა მთავრობას ექსპედიციის მონაწილე ყარსის დასახმარებლად ჩერქეზეთისა და ამიერკავკასიის პროვინციების გავლით. პირადად სთხოვა საგარეო მინისტრს, ლორდ კლარენდონს, გაეგზავ-



ნა ის პერსონალური მისიით შამილთან, რომლის თანადგომა რუსე-ბის წინააღმდეგ დაიცავდა ბრიტანულ რაზმებს. კლარენდონმა მას მხოლოდ რეკომენდაცია გაუწია კონსტანტინოპოლელ ელჩთან, ლორდ სტრაფორდ დე რედკლიფთან. ეს უკანასკნელი კი მიდიოდა ყირიმში, სადაც ოლიფანტიც გაიყოლა. აქ მან თვალი შეავლო სე-ვასტოპოლის ალყას. მართალია, თავისი გეგმა ვერ შეასრულა, მაგრამ ელჩმა დართო ნება გააჰყოლოდა საელჩოს წევრებს ჩერქე-ზეთის სანაპიროს დასაზვერად. ტრაპიზონში მათ გაცნობილი ჰყავდათ თურქი სარდალი ომერ ფაშა. ოლიფანტი, რომელიც კარგ ურთიერთობაში იყო ომერ ფაშასთან, შეუერთდა მის ძალებს და დაესწრო ინგურის ბრძოლას, ასევე შევიდა სამეგრელოში. ყარსის დაცემამ ეს ექსპედიცია უნაყოფო გახადა. უკან სვლის დროს ოლი-ფანტმა საკმაო ხიფათი და ავადმყოფობა გამოიარა და საბოლოოდ 1855 წლის ბოლოს დაბრუნდა ინგლისში. ამ ექსპედიციას უძღვნა მან წიგნი „თურქული არმიის ამიერკავკასიური კამპანია ომერ ფა-შას მეთაურობით“, რომელიც გამოიცა ლონდონში 1856 წელს. ამასთან ის მოქმედებდა როგორც „ტაიმის“ კორესპონდენტი.

ამის შემდეგ ის ბევრს მოგზაურობს სხვადასხვა მისიებში თუ პირადად: იყო ჩინეთში, იაპონიასა და კორეაში (1857, 1861), ჩერნოგორიაში (1861), კორფუზე (1862), ჰერცეგოვინაში, პოლო-ნეთში და მოლდავეთში (1863). შემდეგ ის სიცოცხლის ბოლომდე საქმიანად ხშირადაა აშშ-სა და კანადაში. 1865 წელს აირჩიეს პარ-ლამენტში, რომლიდანაც გავიდა 1867 წელს. იყო „ტაიმის“ კორეს-პონდენტი საფრანგეთ-პრუსიის ომისას (1870), 1882 წელს — ეგ-ვიპტესა და პალესტინაშია.

ლოურენსი დაქორწინდა 1872 წელს ლონდონში 26 წლის ალის კემპბელზე, რომელიც გარდაეცვალა ციებით 1887 წელს. მე-ორედ იქორწინა 1888 წლის 16 აგვისტოს როზამონდ დეილ ოუენ-ზე, მაგრამ მალე თვით გარდაეცვალა ფილტვის კიბოთი 1888 წლის 22 დეკემბერს.

ლოურენს ოლიფანტი არის მრავალი სტატიის, პამფლეტის თუ შრომის ავტორი.

ოლიფანტს ჰქონდა სპირიტუალიზმის რწმენა, თუმცა მისმა რელიგიურმა მისტიციზმმა არ დაუჩრდილა მისი თვისებები: მას ახასიათებენ როგორც ჭკვიან ფინანსისტს, მომხიბლავ მამაკაცს, ბრწყინვალე მწერალსა და ჟურნალისტს, ნათელი გონების ბიზნეს-მენს. მდიდარმა თავგადასავლიანმა კარიერამ დიდი გამოცდილება

და ცოდნა დაუფროვა. იყო ძალზე მიღებული საზოგადოებაში. უყვარდათ უბრალოებისა და გულთბილობისთვის, მრავალმხრივი ინტელექტისა და სიმპათიური ხასიათის გამო.

[ბიოგრაფიული ცნობები ამოვიღეთ ლესლი სტეფენის მიმოხილვიდან ანნე ტილორის წიგნისა — „ლოურენს ოლიფანტი“ (1982)].

ლოურენს ოლიფანტის ზემოაღნიშნული წიგნი საინტერესოა ქართველი მკვლევარებისთვის, რადგან მასში მოცემულია 1855 წელს ომერ ფაშას ცნობილი შემოსევა-ლაშქრობის უშუალო სურათი, მითითებულია თარიღები, რაც აზუსტებს ცნობილი მოვლენების განვითარების დროსა და ჩარჩოებს. ავტორი, როგორც მონაწილე და თვითმხილველი ამ ლაშქრობისა, წარმოადგენს მეტად საყურადღებო პირველწყაროს შექმნილი ვითარების აღწერისას. როგორც ავტორი ამბობს, იგი ომერ ფაშას სუხუმში დახვდა და, იქიდან მოყოლებული, კამპანიის დასრულებამდე მასთან იყო სხვა ინგლისელ და ფრანგ სამხედრო, თუ დიპლომატიურ პიროვნებებთან ერთად. ედმუნდ სპენსერისგან განსხვავებით, ოლიფანტი აფხაზებს გამოყოფს ჩერქეზებისგან; იცის მისი მოსახლეობის სარწმუნოებრივი ხაზით დაყოფა, რიცხოვნება და ორიენტაცია. გარდა აფხაზეთის მიდამოთა თუ მდგომარეობის დასურათებისა (სუხუმ-კალე, დრანდა, კელასური, ოჩამჩირე, ბომბორას სანადირო ნაკრძალი), ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს მიხეილ შარვაშიძის პიროვნება. ოლიფანტი დეტალურად აღწერს მიხეილისა და მისი ამაღის გარეგნობას, საკმაოდ დაკვირვებით გადმოგვცემს მის პოლიტიკურ ხედვას; „ის ხომ ორ მხეცს შორის მოექცა — რუსეთსა და თურქ ომერ ფაშას შორის“; ამდენად ძნელი იყო მისი არჩევანი. (წიგნს თან ერთვის მიხეილ შარვაშიძის პორტრეტი — გ. გ.).

როგორც ინგლისის პოლიტიკის გამტარებელი, ოლიფანტი ყველგან ამჟღავნებს რუსეთის ბატონობის გადაგდების სურვილს კავკასიიდან. ამიტომაც შენიშნავს მწუხარებით, რომ ყარსის დაკარგვამ ომერ ფაშას ექსპედიციასაც დაუკარგა აზრი.

ოლიფანტი ეხება მოსახლეობის ყოფით პირობებსაც: აღწერს ღვინის დანუტრვას, სანაახელს; აგრეთვე ურმის (საზიდრის) სახეობას, ასევე საცხოვრებლის ტიპებს.

ჩვენ ვტოვებთ ინგურის ბრძოლის ვრცელ პერიპეტიებს, რასაც ავტორი ურთავს მებრძოლ მხარეთა განლაგების სქემას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ოლიფანტი ძალზე ვრცლად და საინტერესოდ აღწერს სამეგრელოს ვითარებას, მის მმართველობას, მეგრულ მილიციას, ურთიერთობას აფხაზებთან, თურქებთან, რუსეთთან. ავტორი ასევე ეხება საქართველოს მხარეების (იმერეთის, გურიის, ქართლის—გეორგიის) მდგომარეობას და რუსეთთან დამოკიდებულებას. როგორც უკვე ითქვა, ყოველივე ამის გამოქვეყნება სამომავლო გეგმაშია.

ტექსტში გვხვდება მრავალწერილები, რაც გულისხმობს გარკვეული ადგილების გამოტოვებას, რომლებიც თემას არ ეხება.

### **თურქული არმიის ამიერკავკასიური კამპანია ომერ ფაშას მეთაურობით**

სუხუმ-კალე ყოველთვის ითვლებოდა ერთ უმნიშვნელოვანეს პუნქტად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და რუსებმა ის გამოიყენეს დიდი გარნიზონის განსათავსებლად. ზღვიდან ის მომხიბლავი სანახავია; ნაპირზე გადმოსვლისას ვნახეთ, რომ უკეთ იყო შემონახული, ვიდრე აქამდე ნანახი ქალაქები. ფრანგი კონსული ცხოვრობდა ზღვის ნაპირზე ცალკე მდგომ მტკიცე შენობაში. ბეჰშიტ-ფაშა, თურქი წარჩინებულების წარმომადგენელი საქურისის შესახებ დაობით, ცხოვრობდა კარგად ნაშენ სახლში, რომელიც ადრე ეკუთვნოდა ვინმე წარმატებულ რუს ვაჭარს. ჩვენ ვესტუმრეთ მას და დავინახეთ, თუ როგორ აკანკალებდა ციების შემოტევები...

სუხუმი ამჟამად წარმოდგენდა მიტოვებულ და არამიმზიდველ პუნქტს... მე ვიდექი ფრანგი კონსულის სახლის აივანზე, როდესაც გამაკვირვა დიდი კავალკადის მოსვლამ. ისინი სახლის კართან უწესრიგო ჯგუფებად მოვიდნენ. ჯგუფის ცენტრში, რომელიც ასამდე მრისხანედ მომზირალი ჩერქეზებისგან შედგებოდა, ამხედრებულიყო ლამაზი, ჭაღარათმიანი მამაკაცი, რომელსაც ირგვლივ შემორტყმულთაგან მალალი თეთრი ქუდი, ამას გარდა, მანერები მაშინვე მიანიშნებდა მის წინამძღოლობაზე. ამდენად, არ გამკვირვებია, როცა ცხენიდან ჩამოქვეითებისას, ყველა მისი მხლებელი ჩამოხტა ცხენებიდან, მივარდნენ დიდი კაცის აღვირს, თითქოს ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვინ პირველი მოემსახურებოდა მას. მან ეს ყურადღება უცერემონიოდ მიიღო, როგორც მათი მოვალეობა. შემდეგ, ორი-სამი საჭურველთმცვირთველისა თუ მსახურის თანხლებით წამოვიდა ჩვენს შესახვედრად. ჩაცმული იყო უბრა-

ლოდ, მაგრამ ლამაზად: კამეჩის ტყავისფერი ნაჭრის გრძელი ზედა სამოსი (ჩოხა—გ. გ.) ნელზე ტყავის ქამრით, რომელზეც ლამაზად ჰქონდა ასხმული იარაღი; მკერდზე განლაგებული ვაზნების ჩასადები ბუდეები იყო ფიქალისფერი და ვერცხლით მდიდრულად ინკრუსტირებული. ტყავის წყვილი ფეხსამოსი თქმომდე წვდებოდა; წვეტიანი ქუდი თეთრი ბენვით ჰქონდა განწყობილი. ერთადერთი შეუსაბამობა მის კოსტუმზე იყო შავი ატლასის ყელსახვევი და პერანგის საყელო, რომელიც, სამწუხაროდ ამცირებდა მის ძირითად დანიშნულებას (ეფექტს). სინამდვილეში, როცა ქუდი მოიხადა, მისი გულღია, ანთლებული შესახედაობა — ხვეული ქალარა თმითა და უღვაშებით, ლამაზად მომრგვალებული ნიკაპით, რომელიც კმაყოფილებით ესვენა ორ ლოყას შორის — ზუსტად ინგლისელი-სას ჰგავდა. კისერს ქვემოთ კი კვლავ ბარბაროსი ჩანს. ფეხსაცმელები, თუმცა არც თუ სათაკილო, იყო საკმაოდ ცივილიზებული. მის კომპანიაში არ შეიმჩნეოდა დახვეწილობის ასეთი ნიშნები. მათი კუნთიანი მზემოკიდებული კისრები არ იყო შეზღუდული თანამედროვეობის საცოდავი გამოგონებებით; ძლიერ ფეხებზე შემოკრული ჰქონდათ ყავისფერი ან ყვითელი უხეში ქეჩის გეტრები (გამაშები). კარგი ფორმის ფეხზე ეცვათ ტყავის წითელი მოკასინები... მალალი ქუდის ნაცვლად, ზოგიერთი მათგანი ატარებდა არაბი ბედუინების მსგავს კაპიშონს [1], რომლის წვეტი უკან იყო ამოშვერილი, ხოლო ბოლოები კისერზე ჰქონდათ კაშნესავით შემოხვეული. ეს გახლდათ კოსტუმის შესაფერისი ვარიაცია, რაც მათ შესახედაობას სიმკაცრეს მატებდა. ასამდე ასეთმა კაცმა აავსო სახლისწინა მიდამო. ისინი ეხეტებოდნენ თავიანთ პატარა ტანის ცხენებს შორის, ან ჯგუფებად იყვნენ ჩაცუცქულები გზის პირას.

ამასობაში მათი ბატონი და უფროსი, რომელიც იყო თავისი ქვეყნის ისტორიაში ცნობილი პიროვნება — პრინცი (მთავარი) მიხეილი [2], გველაპარაკებოდა ჩვენ ომისა და ევროპული ამბების შესახებ [3]. რადგან ის აღიზარდა და განათლება მიიღო სტ.-პეტერბურგში და იყო რუსული სამსახურის გენერალი, იმსახურებდა თავაზიან მოპყრობას. ის ცოტათი ეჭვობდა, რომ ერთ თვეში მიიღებდა თურქი ფაშასგან პროვინციის სამოქალაქო გუბერნატორის თანამდებობას, რომელსაც აქამდე განაგებდა რუსეთთან შეფარული შეთანხმებით. ვრცელი ვიზიტისა და საკმაო მეგობრული საუბრის, ასევე სათანადო თამბაქოსა და ყავის მიღების შემდეგ, ჩვენი სტუმარი წავიდა; ის ამხედრდა თავის ფიცხ ცხენზე და, ქვეშ-

ევრდომებით გარშემორტყმული, უდარდელად გაემართა მთის გასასვლელისკენ. — უფრო სრულყოფილი მაგალითი ფეოდალი ბელადისა ოდესმე თუ მენახა.

კაკვასიის იმ ნაწილში, რომელზეც თავის გავლენას ავრცელებს პრინცი მიხეილი, ამ მხარის პოლიტიკურ ვითარებაში შეტანილ იქნა ახალი და მნიშვნელოვანი ელემენტი. აფხაზეთი, რომელსაც ესაზღვრება თავად ჩერქეზეთი სოხუმიდან რამდენიმე მილის დაშორებით ჩრდილოეთიდან, საშუალოდ სივანეში ორი დღის სავალია და დასახლებულია როგორც ქრისტიანებით, ისე მაჰმადიანებით. ასეთი განსხვავებული რელიგიური მიმართულების მქონეთა განცდები და სიმპათიები, რა თქმა უნდა, ყოველმხრივ წინააღმდეგობრივია (მტრულია). ბეჰშიტ-ფაშა და პრინცი მიხეილი არ ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს; ერთს უყურებდნენ ( და იყო კიდევც), როგორც სხვის საქმეში ჩამრევს, მეორეს როგორც ერეტიკოსს. მაგრამ ქრისტიანები, რომლებიც პრინცი მიხეილს უჭერენ მხარს, გაცილებით აღემატებიან რიცხვითაც და გავლენითაც ბეჰშიტის მომხრე მაჰმადიანებს.

თავისუფლების სიყვარული აღაფრთოვანებს ყველას და პრინცი მიხეილის განწყობა რუსეთთან მიმართებაში არაა უსიტყვოდ გაზიარებული მისი მიმდევრების მიერ. საერთოდ და ალბათ საბედნიეროდ, აფხაზთა გაერთიანება არაა ისე მნიშვნელოვანი ჩვენთვის, როგორც ქედს გადაღმა მცხოვრები ხალხების. მთების ის ნაწილი, სადაც ესენი ცხოვრობენ, მოჭრილია საკუთრივ რუსეთისგან ჩერქეზეთის მიერ და ამათი დახმარება არაა აუცილებელი, რათა მოგვეცეს საშუალება გეორგიაში [4] რუსული არმიის დასამარცხებლად.....

[ბათუმიდან დაბრუნდნენ სოხუმში — გ. გ.].

მე გამიძნელდა სუხუმის ცნობა შეცვლილ ვითარებაში, რომელშიც კვლავ ვიხილე. ეს მოშორებული ნავსადგური, რომელშიც წინათ თურქული გემიც კი არ ჩაუშვებდა ღუზას, ახლა გადატენილი იყო ხომალდებით. მისი ჩუმი ქუჩები და მიტოვებული დუქნები ახლა სავსე იყო ხმაურიანი ხალხით. მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ეს იყო დაუქანცავი ენერჯის არენა. განუწყვეტლივ ჩამოდიოდნენ რაზმები ხომალდებით და დაუბრკოლებლად გადმოდიოდნენ ნაპირზე. იშვიათად თუ ყოვნდებოდა რომელიმე გემი პორტში 24 საათზე მეტი ხნით. ნაწილები, რომლებიც უკვე ჩამოვიდნენ, ძირითადად იყვნენ ბულგარეთიდან... ესენი კარგად იყვნენ მომარაგებუ-

ლი სურსათით და უმთავრესად დაბანაკებული იყვნენ ქალაქს უკან გორაკზე, რათა დაშორებოდნენ ჭაობის მალარიის გავლენას... სახლები ძალზე მტკიცედ იყო ნაგები და ნაკლებ დაზარალებდნენ შეცვლილ ვითარებაში მათი ახალი დამკავებლების მიერ.

სუხუმი ერთი იმ პუნქტთაგანია სანაპიროზე, რომელიც რუსებმა არ დაანგრიეს ევაკუაციის წინ [5]. აფეთქების საქმე თურქებს დაუტოვეს, რაც სრულებით არ შესრულდა. იქ არის კარგი ქუჩა, რომელიც მიემართება ნაპირის გასწვრივ; აქ დუქნები თანდათან გახსნეს სპეკულანტებმა, რომლებიც შემოყვნენ არმიას. ქუჩის ერთ ბოლოში არის 1578 წელს აგებული ძველი თურქული ოთხკუთხა ციხე (ფორტი) ქონგურიანი გალავნით. აქ იყო ქვემეხები, ალვის ხეები, სხვადასხვა ფაშებისა და მხარის პრინციების (მთავრების) საფლავები და ნახევრად დანგრეული ბარაკები. ქუჩის მეორე ბოლოში იდგა მშვენიერი ორსართულიანი სახლი, რომელიც მოგვიანებით დაიკავა ომერ ფაშამ [6]; ასევე იყო რამდენიმე დიდი შენობა, რომლებიც წინათ წარმოადგენდნენ კლუბსა და სამორინეს, სამთავრობო დაწესებულებებს და ა.შ. ამ ქუჩის მარჯვენა კუთხეში არის დაახლოებით მეოთხედი მილის სიგრძის ავენიუ, რომელსაც მიყვავართ მაღლა გორაკისკენ, რომელზეც წინათ იდგნენ რუსული ჰოსპიტლები. აქედან ვუყურებდი გემიდან გადმომსხდარ ნაწილებს, რომლებიც იკრიბებოდნენ სანაპიროზე, შლიდნენ კარებს, ან ვარჯიშობდნენ. დაბლობი სავსე იყო ხალხითა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლით. როცა ფიცხი აფხაზების რაზმი მოჭენდა მთებიდან თავიანთ გამძლე პატარა ცხენებზე, ისინი გაოგნებულები გავიდნენ გორაკის ფრიალო ფერდისკენ და გაკვირვებულები აკვირდებოდნენ, თუ რა ხდებოდა ქვემოთ. მათ დაინახეს დაბლობი, რომელიც ერთი თვის წინ იყო უკაცური, ქალაქი გაცლილი; ახლა კი გამოცოცხლებული ენერგიული ხალხით. ხოლო, როცა მოისმინეს ბარაზნების ხმა და დაინახეს მზეზე მბზინავი ხიშტები, იგრძნეს ცვლილების ნიშანი, რაც უნდა მომხდარიყო მათი ქვეყნის ბელში.

თითქმის საუკუნე გავიდა, რაც ოტომანური ჯარები ამათ მსგავსად დაბანაკდნენ ზღვის ნაპირზე მდებარე ძველ სიმაგრეში, სადაც, მაშინაც და ახლაც ვაკის ბოლოში ცხოვრობდნენ მაჰმადიანები, რომლებმაც თვით მიიღეს მონაწილეობა ამ ქვეყნის განთავისუფლებაში დამპყრობლებისგან, მაგრამ გზა გაუხსნეს ხელმწიფის (ცარ-ის) ჯარისკაცებს; ესენი კი თავის მხრივ იძულებული არიან დაუთმონ საყრდენი პუნქტი აფხაზეთში თავის ძველ მტრებს. ეს

აიძულებს მხარის ბუნებრივ მფლობელს მთების მწვერვალებიდან გახდეს მონმე, თუ როგორ ებრძვიან უცხოელები ერთმანეთს მათი ნაყოფიერი ხეობებისთვის და აქცევენ მათ ევროპის ორი ყველაზე ბარბაროსი ხალხების ერთმანეთთან ბრძოლის მსხვერპლად; თითოეული ამათვანი მიიჩნევს, რომ მათი მიზანია საზოგადოებისთვის ცივილიზაციისა და კეთილდღეობის მოტანა.

3 ოქტომბერს დილას, მზის ამოსვლიდან მალე, ნავსადგურში განლაგებული თურქი მეომრების 19 თოფის გრიალმა ამცნო სუხუმ-კალეში დაბანაკებულ თურქეთის არმიას მათი მთავარსარდლის ჩამოსვლა. ეს გახდა სიგნალი საყოველთაო ანრიალების და ნახევარ საათზე ნაკლებ დროში ნაპირი აივსო რაზმებით. ფეხოსნები, არტილერია და კავალერია გრძელ რიგებად გაიჭიმნენ სანაპიროზე; ისინი მოემზადნენ, რათა წარდგომოდნენ გენერლის შემომონებელ თვალს. როცა ომერ ფაშამ დატოვა მის მოსაყვანად წასული „ციკლოპი“ [7], სავაჭრო გემებმა გამოფინეს თავიანთი ჭრელი დროშები. წყლის მხრიდან გაისმა პოლკის ორკესტრის მუსიკა, ხოლო, როცა ის გადმოვიდა ნაპირზე, მას შეხვდნენ თოფების სალუტით. მისი უმაღლესობა შტაბის თანხლებით უმაღლესად გაემართა ნაწილების შესამონებლად. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად შეკრებილი შეიარაღებული რაზმები არ იყო ძალზე მრავალრიცხოვანი, ომერს ყველა საფუძველი ჰქონდა ყოფილიყო კმაყოფილი ჯარის მდგომარეობით....

ამასობაში მოსაგვარებელი იყო ზოგი პოლიტიკური საქმე. პრინცი მიხეილი, რომელიც რუსული რეჟიმის ხელქვეით მყოფი ფლობდა მმართველის ძალაუფლებას აფხაზეთში, აღმოჩნდა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში და სხვა გამოსავალი არ ჰქონდა — უნდა აერჩია შეთანხმების გზა. იმავე დროს, რადგან მისი სიმპათიები უდავოდ რუსეთისკენ იყო, ომერ ფაშამ, რომელიც ბოლომდე არ იყო დარწმუნებული მის სანდობაში, საბოლოოდ გადაწყვიტა მისი დამტკიცება სუხუმის სამოქალაქო გუბერნატორად. ცერემონია ჩატარდა დიდის ამბით: ნაწილები ჩამსკრივდნენ პრინცი მიხეილის სახლიდან ომერ ფაშას ბინამდე; ინგლისელი და ფრანგი სამხედრო კაპიტნები და კომისრები და ადგილზე მყოფი ყველა წარჩინებული ესწრებოდა საპარადო ფორმაში გამონყობილი. ოთახებიც სავსე იყო მეზობელი მხარეების მეთაურებით, ზოგიც შორი ტომებიდან იყვნენ. ჯგუფები იყო ძალზე საოცარი და თვალწარმტაცნი. თვითონ პრინცი მიხეილი წარმოდგენილი იყო

სრულ აფხაზურ ტანსაცმელში; ნათელია, სურდა საჯაროდ ეჩვენებინა რაც შეიძლება მეტი მნიშვნელობა პორტასგან მიღებული უფლებამოსილების გამო. გაჩაღებული სროლის (სალუტის) ხმაზე ომერ ფაშამ გამოაცხადა ის ქალაქის მმართველად, მიუბრუნდა იქ მყოფ ბელადებს და უთხრა: „თქვენ ყოველთვის აღიარებდით ჰამიდ ბეის [8] (პრინცი მიხეილი) ავტორიტეტს; მსურს გთხოვოთ, რომ განაგრძოთ მისდამი პატივისცემა ისევე, როგორც აქამდე ასრულებდით“. ყველა დიდად კმაყოფილი ჩანდა, გარდა ჰამიდ ბეისა: ის ისე გამოიყურებოდა, თითქოს ეჭვობდა, რომ მოატყუეს; მაგრამ, ქათინაურების გაცვლის შემდეგ, გაემართა თავისი საცხოვრებლისკენ. პრინცი მიხეილი დაქორწინებულია პრინცესა დადიანის დაზე [9], რომლის გავლენაც სამეგრელოში უდიდესია.

სუხუმში საკმაოდ ბევრი ჩერქეზი ჩამოვიდა ომერის ბრძანებით....

სუხუმში ჩემი ყოფნისას სტუმართმოყვრულად მიმასპინძლა ბ-ნმა შამპუაზომ (Champoiseau), ფრანგმა კონსულმა [10], რომლის აივანი გადასცქეროდა ნავსადგურს და ძალზე საინტერესო პოსტი იყო სათვალთვალოდ....

ჩვენ 7 ოქტომბრამდე არ გავემართეთ ოჩამჩირისკენ (Shemsherrai). ქვიშიანი გზა, რომლითაც დავტოვეთ სუხუმი, მისდევდა მის მშვენიერ ღრმა ყურეს, სადაც ტყიანი გორაკები ეშვება წყლის პირამდე.... გავუარეთ რა Okhvame-ს (ოქუმი?—გ. გ.) [11] ძველ ბერძნულ ეკლესიას, რომლის დანგრეული კედლები თითქმის იმალება მდიდარ ფოთლოვანში, მივალწიეთ ჰასან ბეის [12] მშვენიერ საცხოვრებელს; ეს გახლავთ პრინცი მიხეილის ბიძა. შეიძლება ითქვას, რომ ძველი მტრობა ამ ნათესავებს შორის თითქმის ჩაქრა. თუმცა ის (ბიძა—გ. გ.) არანაირად არაა რუსების მეგობარი, ფრთხილად (წინდახედულად) გადგა განზე. მისი სახლიდან იშლება კელასურის ნაყოფიერი ხეობის მომაჯადოებელი ხედი; ამჟამად ის უხიფათო მდინარეა, მაგრამ განიერი ქვიანი კალაპოტი მოწმობს მის ბუნებას. გორაკის გაყოლებით, მოპირდაპირე მხარეზე ვხედავთ ძველი კედლის ნანგრევებს [13], რომელიც აშენებული იყო ქრისტეს წინ რამდენიმე საუკუნით ადრე ბერძნების მიერ, რათა დაეცვათ მათ მიერ კოდორის დელტაში დაარსებული აყვავებული ახალშენები მეომარი კორაქსებისგან [14], რომლებიც ცხოვრობდნენ მათ უკან მთებში.



გზა ახლოს გაუვლის ძველ კოშკს; აქ მთავრდება კედელი, საიდანაც, დიუბუა დე მონპერეს [15] მიხედვით, იგი ნახევარი წრის ფორმით მიემართება დაახლოებით 80 მილზე ანაკლიასკენ....

ბნელოდა, როცა კიდევ ერთხელ გამოვედით ტყიდან და შევედით სოფელ დრანდაში... [შემდეგ მიადგნენ ერთ სახლს, რომლის პატრონებმაც ისინი რუსებად მიიჩნიეს და არ აპირებდნენ გამასპინძლებას, მაგრამ ვერცხლის ექვსპენსიანმა გაჭრა და მიიღეს ვახშმად — ქათმები, თაფლი, რძე, მჭადი, ხაჭო, კვერცხები. ვახშმის შემდეგ ესტუმრენ დე ვილმორინის კოტეჯს, სადაც შეკრებილ ადგილობრივებს ამცნეს მათი „ინგლისელობა“ და „ფრანგობა“, რამაც, ისევე როგორც მათმა ქრისტიანობამ გააკვირვა ... მეორე დღით გაუდგნენ გზას—გ.გ.]....

მთის ციცაბო ფერდიდან, რომელიც კოდორზე იყო გადმოშვერილი, ვხედავდით ზღვას. აქ იყო ნანგრევები ძველი კათედრალური მშვენიერი ტაძრის, რომლის ფშვნადი კედლები ამტკიცებდნენ, თუ როგორ დაეცა ეს პროვინცია მას შემდეგ, როცა დრანდა [16] წარმოადგენდა საეპისკოპოსო ეპარქიას.

კოდორი არის აფხაზეთის უდიდესი მდინარე, რომლის შესართავთან მდებარეობდა ძველი ბერძნული ახალშენი დიოსკურია [17]. არც თუ დაუბრკოლებლად მოვძებნეთ ფონი. მხარე, რომელიც გავიარეთ, იყო ძალიან ტყიანი, მაგრამ მცირედ დასახლებული. სოფლები ყოველთვის მდებარეობდნენ რამდენიმე აკრის დამუშავებული ფართობის შუაგულში, ხოლო ლამაზი ხეები, რომლებიც ეულად იდგნენ სიმინდის ყანებში, დაფარული იყვნენ ვაზით. ადგილობრივები ღვინოს ნურავენ კანოეს მსგავს გამოფულრულ ხის ტანში, რომლის შუა ნაწილში განივად მოთავსებულია ფილტრი (საცერი). კანოე ოდნავ დაქანებულია და ყურძენი იჭყლიტება მის ზედა ნაწილში. ჩვენ ვნახეთ გლეხები, რომლებიც ტვირთავდნენ უცნაურ მოწნულ საზიდარს თავს ზემოთ დაკიდული სავსე მტევნებით. ეს საზიდრები წარმოადგენენ 18-20 ფუტი\* სიგრძის და 4-5 სიგანის წაგრძელებულ კალათს. ბორბლები დიდია და ძალზე უკანაა მოთავსებული — კალათის წინა ნაწილი ეყრდნობა ხარისხას, რომელიც გადებულია კამეჩების ქედებს შორის. სახლები თითქმის ყველგან ნაგებია ნწულით და სიმინდის ჩალითაა გადახურული. უმრავლეს სოფლებში ცხოვრობენ ქრისტიანებიც და მაჰმადიანე-

---

\* ფუტი = 30.479 სმ —გ.გ.

ბიც; მაგრამ არცერთი ქალი არ იფარავს სახეს და ნაკლებ მორიდებულები არიან. მათი კაბები (სამოსი) უცხოელის თვალთ ჩერქეზულია, მაგრამ ადგილობრივები ერთი შეხედვით ამჩნევენ პატრონის ნაციონალობას — ნანილობრივ ქურთუკის გამოჭრილობით, რომლის კალთებსაც აფხაზები უფრო ბევრი ნაჭრისგანა კერავენ, ვიდრე ჩერქეზები. ყველა მამაკაცს ზურგზე თოფი აქვს გადაკიდებული. მათ, ბუნებრივია, ეშინიათ უცხოს გამასპინძლებისა ომიანობის დროს; თუმცა იმავდროულად ავლენენ სიმპათიას იმ ყოველი ოკუპანტის მიმართ, რომლის მიზანიცაა რუსების გაყრა.

ნაშუადღეს გავედით რუსულ გზაზე და მალე მივედით ოჩამჩირეში (Shemsherrai); ესაა პირველი მნიშვნელოვანი პუნქტი ლაშქრობის გზაზე, სუხუმიდან 36 მილზე და ზღვის პირზე; აქედან გზა მიემართება ქვეყნის სიღრმეში. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ არ იყო უსაფრთხო გზის გაგრძელება ამ პუნქტიდან: 4000 კაციანი რუსული ჯარი იდგა 32 მილის დაშორებით ზუგდიდთან, ხოლო რუსების მორჩილი შუა მდებარე ტერიტორია ეკავა მეგრულ მილიციას. გავიგეთ, რომ კაზაკთა და მილიციის გარკვეული რაოდენობა იდგა ანაკლიაში და აუცილებელი იყო ამ ხმების სინამდვილის შემოწმება...

...იმავე საღამოს დავბრუნდით ოჩამჩირეში. ეს გახლავთ საკმაოდ ვრცელი პუნქტი, ამჟამად მხოლოდ ნანილობრივ დასახლებული. ბერძენმა და რუსმა მაცხოვრებლებმა დახურეს თავიანთი დუქნები და გაიქცნენ; თურქმა ვაჭრებმა კი შეინარჩუნეს თავისი. პრინცი მიხეილს აქ აქვს რუსულ სტილში ხით ნაგები ლამაზი სახლი. ეს არის მისი მთავარი რეზიდენცია. სამი საათის სავალზე არის მისი სანადირო ნაკრძალი, სადაც მკაცრადაა აკრძალული ბრაკონერობა ტახზე, გარეულ ცხვარსა და ირემზე.

პრინცი მიხეილის იურისდიქციის ზღვარი ამ მიმართულებით არაა ნათლად დადგენილი. ის აცხადებს პრეტენზიას სამურზაყანოზე, პროვინციაზე, რომელიც მდებარეობს აფხაზეთსა და სამეგრელოს შორის და რომლის საზღვარზეცაა განლაგებული ოჩამჩირე; ასევე ანაკლიელებიც უცხადებენ მას ერთგულებას. მაგრამ ნათელია, რომ მისი გავლენა არ უნდა ვრცელდებოდეს ოჩამჩირის იქითა მხარეზე. ჩვენ გამოვემართეთ ქალაქიდან ძველი გზით სუხუმისკენ....

რუსული გზა, რომლითაც ახლა მივდიოდით, ძირითადად მიუყვება ზღვის ნაპირს და კვეთდა უამრავი მდინარის შესართავს და ხიდებს, რომლებზეც ის მუდამ ნამხდარია. ჩვენ ღამე გავჩერდით

კოდორის მეორე მხარეს დიდ სოფელში დიდებულ გარემოში; ძალიან მაღალი თელას ხეები მთლიანად ჩამალული იყო გარეულ ვაზში. აქ მიგვიღეს სტუმართმოყვრულად: ჩვენ განკარგულებაში გადმოვიდა კომფორტული არაკი (ქოხი); რბილი საბნები და ბალიშები ენყო ხის ტახტზე და ჩვენც ცივილიზებულად გვეძინა. ქვეყნის მთავარი საკვებია ერბოზელილი ცომი (Pasta), ანუ სიმინდის პური, რომელიც ზუსტად შეერთებული შტატებისას ჰგავს და საკმაოდ გემრიელია. ყველი იჭმევა, მაგრამ ძალზე მლაშეა; აგრეთვე პოპულარულია მოხარშული კვახი. ხილი უხვადაა. ასე რომ, ველური ქვეყნისთვის ცხოვრების დონე მთლიანობაში საშუალოზე მაღალია.

სუხუმაძე რამდენიმე მილზე შემოგვხვდა კავალერიის სამი ესკადრონი, რომლებიც მიდიოდნენ სამეგრელოსკენ... ღამით გადმოსხდა 20000 მეომარი... ასევე ანაპიდან ჩამოვიდა ნიუკასლის გრაფი და ნაიბი....

[სანამ ომერ ფაშა დაიძრებოდა...], პრინციმა მიხეილმა „შას“-ზე\* დაგვპატიჟა ნიუკასლის გრაფი, ბ-ნი კალთორპი და მე თავის ნაკრძალში, ოჩამჩირედან 15 მილზე.

ჩვენ გავემართეთ იქით პრინცის 100-კაციან მხლებლებთან ერთად, რაც საკმაოდ მიმზიდველ პროცესიას ქმნიდა. მისი სანადირო ქოხი წარმოადგენდა ხის პატარა საცხოვრებელს ხშირი ტყის შუაგულში, რომლის გიგანტური ხეების მსგავსი მსოფლიოში არსად შემხვედრია. აქ მან საკმაოდ კომფორტულად მოგვათავსა და გაგვიმასპინძლდა ძალზე გემრიელი რუსული ჩაით. სინამდვილეში ცივილიზაციის ყოველი გამოვლინება, რაც ჩვენს გარშემო შეიმჩნეოდა, იყო რუსული და თვით პრინცი არ ჩანდა ბედნიერი ახალი ერთგულებით. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მისი უბედო უმაღლესობა საბოლოოდ არ გაიგზავნება ციმბირში, როგორც სასჯელი ძალით თავსმოხვეული თურქული პატივის მიღების გამო.

დღისით ჩვენ დავდიოდით საფრებს შორის და ირემმა, რომელიც დავინახეთ, გარდა ტახების უამრავი ნაკვალევისა, დაგვაიმედა ხვალინდელი ნადირობის ჩატარების თაობაზე. მე ვნახე ძაღლები და მომრეკების გარკვეული რაოდენობა და ვაღიარებ, რომ ისინი საკმაოდ უხალისოდ იყვნენ. შემდგომმა ორგანიზებამ არ დაგვანახა, რომ ჩვენი მასპინძელი ძალიან დახელოვნებული მონა-

---

\* „შას“ — სირჩა ლიქიორი ყავის შემდეგ — გ.გ.

დირე ყოფილიყო. სანადირო არე წარმოადგენდა ვრცელ დაბლობს, გამოყოფილს ზღვიდან ტყის ზოლით, რომელიც მას ყოველი მხრიდან ერტყა; საფარველს შეადგენდა მაღალი გვიმრა და შეჯგუფული არყის და თხმელის ხეები, რომელთა შორის გზის გაკვლევა მომრეკებისთვის უკიდურესად ძნელი იყო. ჩვენ მოგვათავსეს ამ საფარის განაპირას, მაგრამ ის ისე ხშირი იყო, რომ მასში გამავალ ნადირს ვერ ვგრძნობდით. გრაფმა საუცხოოდ ესროლა ირემს, რომელიც 100 იარდით ზემოთ გამოჩნდა გვიმრებში მოხტუნავე. ამ წარმატებით გამოწვეულმა აღტაცებამ — პრინცის ტრიუმფი და სრული კმაყოფილება მისი მხლებლების სახეთა გამომეტყველებაში — მე მაფიქრებინა, რომ პრინცის ნადირობა ჩვეულებრივ მდგომარეობდა უბრალოდ სროლით გართობაში...

... სამურზაყანოს პროვინცია იყო განუწყვეტელი დავის საგანი სამეგრელოს დადიანსა და აფხაზეთის მთავრებს შორის...

... მიუხედავად ომერ ფაშას დიდი მცდელობისა დაემშვიდებინა ხალხი და აღეკვეთა რბევა, ცალკეული შემთხვევები მაინც მოხდა... არალეგულარული აფხაზური კავალერია, რომელთაგან 200-მდე მიეკედლა არმიას, იყო მთავარი აგრესორი. ჩემი დაკვირვებით მათ ახასიათებდათ ყოველგვარი სიავე, არავითარი სათნოება...

... აფხაზები სახიფათოდ ქურდობდნენ და ამიტომ არ შეიძლება ადგილობრივების დადანაშაულება, როდესაც ისინი მათ ერიდებიან. ეს აულაგმავი მეფურაჟები უმთავრესად ნებივრობენ ადამიანების ძარცვით. სოფელში შესვლით ისინი თავზარს სცემენ ქალებს და აცოფებენ მამაკაცებს. იჭერენ ულამაზეს ბიჭებსა და უმშვენიერეს გოგოებს, ყიჟინით სტაცებენ ელდანაცემ მშობლებს, აბამენ უნაგირის ტხტაზე და მთელი ხალხის ყვირილისა და წყევლის თანხლებით მიეჭენებიან ტყეებისკენ. მითხრეს, რომ 60 პიროვნება მოიტაცეს ზუგდიდის ახლოს, როცა ჩვენ იქ ვიდექით. ეს ბოროტება იმდენად საზარელი გახდა, რომ ომერმა, მას შემდეგ, რაც თავისი კარვის წინ ქუსლებში კეტით აცემინა დამნაშავეები, გააბრუნა უკან თავის ქვეყანაში მთელი აფხაზური კონტინგენტი, დაახლოებით 200 კაცი.

ამასობაში პრინცმა მიხეილმა, რომელსაც მიეცა სრული თავისუფლება, მაგრამ იმავე დროს განიცდიდა ერთგვარად ასატან ზედამხედველობას, ითხოვა ნებართვა წასულიყო სტუმრად თავის რძალ (sister-in-law) პრინცესასთან [18] იმ მიზნით, რომ გადმოეზიარებინა თავის მსგავსად თურქების მხარდაჭერაში... ბ-ნმა ლონ-

გვორთმა შესთავაზა წერილის გაგზავნა პრინციპსასთვის, რადგან იმან არაფერი იცოდა ინგლისელი ინტენდანტისა და არმიის ყოფნის შესახებ....

.... უცნობი ქალი, როგორც შემდეგ გავიგე, იყო პრინცესა დადიანის მეგობარი, რომელიც მოვიდა ომერ ფაშასთან, რათა გამოეთქვა უკმაყოფილება პრინც მიხეილის საქციელის გამო, რომელმაც ინგურთან ბრძოლა[19] თავისი ინტერესებისთვის გამოიყენა: კუნძული, რომელზეც მიმდინარეობდა ბრძოლა, დიდხანს იყო დავის საგანი სამეგრელოსა და აფხაზეთის მთავრებს შორის. ის წარმოადგენდა სამურზაყანოს ერთ ნაწილს, რომლის შემოსავლებიც რუსეთს აქამდე თავის ხაზინაში იმიტომ გადაჰქონდა, რომ არ დაემვა ბრძოლა ოქიშპე მხარეებს შორის. ახლა, როცა არც რუსეთი და არც სამეგრელო არ იყო საშიში, პრინცმა მიხეილმა ძალზე ჭკვიანურად მიისაკუთრა 260 ოჯახი მთელი ქონებით, რომლებიც ადრე ამ კუნძულზე ცხოვრობდნენ. ეს ქალი იყო დადიანის მიერ გამოგზავნილი ემისარი, რათა მოეთხოვა ანაზღაურება. მისი ეს მოთხოვნა ძალზე თავაზიანად უარჰყო ომერმა. შედეგად ქალბატონი დაუკმაყოფილებლად წავიდა.... აქ მე გავიცანი ჯენტლემენი; ეს იყო ფრანგი ბ-ნი დე როსმორდუკი, რომელიც 20 წლის წინ დასახლდა ზუგდიდში და დიდი წარმატებით ეწეოდა მეაბრეშუმეობას; ამასთან იყო დადიანების გულითადი პირადი მეგობარი და მრჩეველი....

.... პრინცმა მიხეილმა უკვე გამოთქვა თავისი მორჩილება [ომერ ფაშას მიმართ —გ.გ.] .... ომის დროს მარშმა სუხუმ-კალედან და ინგურთან ბრძოლამ დაიცვა თურქული არმიის მარცხენა ფლანგი; მიღწეულ იქნა მეგობრული მხარდაჭერა ერთი პროვინციის — აფხაზეთის. რუსეთის პრესტიჟი სამეგრელოში დაეცა; ამ პროვინციის დედაქალაქი ჩვენს ხელშია....[20]....

.... ის პოლიტიკა (გონიერება), რომელიც პრინცმა მიხეილმა თურქული არმიის ყოფნისას გამოავლინა, გვარწმუნებს ჩვენ, რომ დავუშვათ დაზავებისას გარკვეული პირობები მის სასარგებლოდ. აფხაზეთს, რომელიც ერთხელ კიდევ განთავისუფლდა რუსეთის უღლისგან, შეიძლება მიეცეს დამოუკიდებლობა. ეს დათმობა მათი მეზობელი ჩერქეზების თვალში იქნება პოლიტიკური მნიშვნელობის; რა თქმა უნდა, ამას ექნება ტენდენცია რუსული გავლენის შესუსტებისა საერთოდ აღმოსავლეთში და მნიშვნელობა მოკავშირეებისთვის. მაგრამ, თუ პრინცი წავა ჩვენგან და კვლავ ჩადგება რუ-

სეთის მონობაში, უეჭველად მიიღებს იმ გულკეთილი ძალისგან სრულ კომპენსაციას ღალატისთვის, რომ არ მიბაძა თავის ფრთხილ რძალს და არ გაიქცა მთებისკენ [21].

### მცირე კომენტარები :

[1] კაპიშონი —ეს იგივე ყაბალახია.

[2] პრინცი მიხეილი არის აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე (1811—1865), რომელიც იყო ვაჟი საფარბეგ (გიორგი) შარვაშიძის (აფხაზეთის მთავარია 1810-21 წლებში) და თამარ კაციას ასული დადიანისა. ერთი ხანი იზრდებოდა უბიხების წინამძღოლ ჰაჯი ბარზეგ დაგუმოყვასთან. შემდეგ განათლებას იღებს რუსეთში. ოლიფანტთან შეხვედრისას ჰყავდა მესამე ცოლი (1836 წლიდან) ალექსანდრა გიორგის ასული დადიანი. 1826 წელს მას გერმანელი აიხვალდი ხედავს მაიორის ჩინში; ინგლისელ ედმუნდ სპენსერს 1838 წელს იგი ხვდება პოლკოვნიკის ჩინით, ხოლო ინგლისელ ლოურენს ოლიფანტთან შეხვედრისას (1855 წელს), ის გენერალია. მიხეილი მუდმივად ექიშება სამეგრელოს მთავარს სამურზაყანოსთვის, სადაც რუსეთმა 1840 წელს თავისი მმართველობა დაამყარა. ყირიმის ომის (იხ. კომენტარი [3]) დროს იგი დაეხმარა რუსებს აფხაზეთიდან სამეგრელოში ჯარების უდანაკარგოდ გაყვანაში; თვითონ კი დარჩა და ომერ ფაშამ 1855 წელს მას აფხაზეთის მთელი სანაპიროს ფაშობა უბოძა. მართალია, რუსებს ბოლომდე არ განდგომია, მაგრამ მაინც 1864 წელს გაასახლეს ვორონეჟში, სადაც გარდაიცვალა. დაკრძალეს მოქვის მონასტერში.

[3] ეს იყო ყირიმის ომი, რომელიც მიმდინარეობდა 1853-56 წლებში. მოკავშირეთა ძალები (ინგლის-საფრანგეთი) ამარცხებენ რუსეთს; 1855 წლის აგვისტოში დაეცა სევასტოპოლი. მიხეილი ესაუბრებოდა მოკავშირეთა წარმომადგენლებს და, ცხადია, დაინტერესებული იყო ომის მსვლელობით, რადგან სურდა ორიენტაციაში გარკვევა. 1856 წლის 18 მარტის საზავო ხელშეკრულებით მეზრძოლმა მხარეებმა ერთმანეთს დაუბრუნეს დაპყრობილი ტერიტორიები: ყარსის სანაცვლოდ რუსეთს დაუბრუნდა ყირიმი, სამეგრელოს ნაწილი და აფხაზეთი. თურქები სუხუმიდან გავიდნენ 27 მაისს.

[4] გეორგიაში იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველო.

[5] 1854 წლის მარტში ინგლისმა და საფრანგეთმა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა განწყვიტეს და ომი გამოუცხადეს. სა-

ჭირო გახდა რუსეთის ჯარების გამოყვანა აფხაზეთიდან, რაც შეასრულა აფხაზეთის მთავარმა, გენერალ-ადიუტანტმა მიხეილ შარვაშიძემ.

[6] ომერ ფაშა — ოსმალთა ჯარის მთავარსარდალი. ის რუსებს ჯერ ბალკანეთში ებრძოდა 1853 წელს. 1855 წლის სექტემბერ-ოქტომბერში თურქთა არმია გადმოსხდა აფხაზეთში. თვით ომერ ფაშა 3 ოქტომბერს ჩავიდა სუხუმში. შემდეგ იგი დაიდრა სამეგრელოსკენ. ენგურთან ბრძოლისა (იხ. კომენტარი [19]) და რუსის ჯარისა და სამეგრელოს მილიციის უკანდახვეის მერე, სამეგრელო ომერ ფაშას ხელთ რჩებოდა. 1855 წელს 14 ნოემბერს ყარსის დაცემის ამბის გაგებისთანავე ომერმა ბრძანა უკანდახვეა. გზად გადაწვეს და ააოხრეს სოფლები. ოსმალთა ჯარებს აზავო მოლაპარაკებამ რედუტ-კალეში მოუსწრო.

[7] „ციკლოპი“ — გემი, რომლითაც ომერ ფაშა ჩავიდა სუხუმში.

[8] ჰამიდ-ბეი = ჰამუთ ბეის, ანუ მიხეილ შარვაშიძეს.

[9] აქ უზუსტობაა: მიხეილ შარვაშიძე დაქორწინებული იყო არა სამეგრელოს პრინცესა ეკატერინე ჭავჭავაძის დაზე, არამედ ნიკო დადიანის (1780-1834) შვილის, გიორგის ასულ ალექსანდრა დადიანზე.

[10] სუხუმში ჩასვლისას ოლიფანტი ხშირად სტუმრობს ფრანგ კონსულს შამპუაზოს. ცხადია, მათ ერთობლივი მიზნები ამოძრავებდათ, როგორც მოკავშირეთა წარმომადგენლებს.

[11] ოქუმი — სოფელი თანამედროვე გალის რაიონში, მდ. ოქუმის პირას.

[12] ჰასან ბეი, მიხეილის ბიძა, როგორც გერმანელი მოგზაური აიხვალდიც ამბობს, ხალხზე დიდი გავლენა ჰქონდა, მმართველობდა აფხაზის მხარეს, ერთგულეობდა რუსებს („ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ“, თბილისი, 2005, გვ. 219).

[13] კელასურის კედელი — აფხაზეთის დიდი კედელი. ცნობილი VIII საუკუნიდან. იწყება მდ. კელასურის შესართავიდან. ლევან II დადიანმა ახლიდან ააგო XVII საუკუნეში (დაახლ. 60 კმ-ია).

[14] კორაქსები — კოლხური წარმოშობის ტომი, რომელიც ანტიკური წყაროების მიხედვით (ძვ.წ-ალ. VI-IV სს.) ცხოვრობდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, კოლხების ჩრდილო-აღმოსავლეთით.

[15] დიუბუა დე მონპერე (1798-1850) შვეიცარიელი მოგზაური-მკვლევარი, გეოლოგი. 1831-34 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, ყირიმსა და ამიერკავკასიაში. ამ კვლევას მიუძღვნა 1839-45 წლებში გამოქვეყნებული ექვსტომიანი ნაშრომი „მოგზაურობა კავკასიაში...და ყირიმში“.

[16] დრანდა— სოფ. მდინარე პატარა კოდორის ნაპირზე, სა-  
მურზაანოს დაბლობზე. აქ არის აგურით და რიყის ქვით ნაშენი ქარ-  
თული გუმბათოვანი ეკლესია VIII ს-ის.

[17] დიოსკურია — ანტიკური ქალაქი სოხუმის ადგლზე, დაარ-  
სებული ძვ.ბერძენი მოახალშენეების მიერ ძვ.წ. VI ს-ში. ახ.წ. I საუკუ-  
ნეში დაიმორჩილეს რომაელებმა, ააგეს ციხე-სიმაგრე და ქალაქს  
უნწოდეს სებასტოპოლისი. დიოსკურიის ნანგრევები ამჟამად სოხუმის  
ყურეშია წყალქვეშ.

[18] სამეგრელოს პრინცესა 1855 წელს იყო ეკატერინე ჭავჭავა-  
ძე (1816-1882), დავით დადიანის (გარდ. 1853 წელს) მეუღლე, სამეგრე-  
ლოს სამთავროს უკანასკნელი დედოფალი, ნიკო და ანდრია დადია-  
ნების დედა. მიხეილ შარვაშიძეს ის ეკუთვნოდა რძლად (sister-in-law  
ნიშნავს ცოლისდას და მუღსაც); რადგან ის იყო მიხეილ შარვაშიძის  
ბიძაშვილის—ლევან დადიანის შვილის—დავითის მეუღლე. ომერ ფა-  
შას შემოსვლისას ეკატერინე შვილთან ერთად გახიზნული იყო ლეჩხუ-  
მის სოფელ მურში. ომერ ფაშას ცდა, მოეწვია ის ზუგდიდში სამეგრე-  
ლოს მმართველობის დაპირებით, უშედეგოდ დასრულდა. ეკატერინე  
რუსეთის ორიენტაციის მომხრედ დარჩა და ხელმძღვანელობდა კი-  
დეც ომერ ფაშას ჯარების წინააღმდეგ ბრძოლას.

[19] ინგურთან ბრძოლა მოხდა 1855 წლის 25 ოქტომბერს რუს-  
ქართველთა და ოსმალების (ომერ ფაშას) ჯარებს შორის. გაიმარჯვა  
ომერ ფაშამ და გზა გაეხსნა სამეგრელოსკენ.

[20] 1855 წლის ნოემბერში უკანდახვევისას, ოსმალებმა გაძარ-  
ცვეს და გადაწვეს სამეგრელოს მთავრის სასახლეები და მრავალი სო-  
ფელი.

[21] მართლაც ახდა ოლიფანტის სიტყვები: 1864 წელს რუსე-  
თისთვის დამოუკიდებელი აფხაზეთის სამთავროს არსებობას აზრი  
ალარ ჰქონდა. მიხეილ შარვაშიძე დათანხმდა ხელისუფლების დათმო-  
ბაზე იმ პირობით, თუ მას აფხაზეთიდან არ გასასხლებდნენ. მაგრამ,  
ომერ ფაშასთან ურთიერთობის გამო მას მაინც „სახელმწიფო ღალა-  
ტი“ დასწამეს და 1864 წლის ნოემბერში ვორონეჟში გადაასახლეს.



**Gia Gelashvili**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Senior-scientist researcher of the Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology*

**English Traveller Laurence Oliphant  
about Abchasien**

**Summary**

Oliphant Laurence (1829-1888) diplomatist, traveller, brilliant writer was invited in 1855 by the Duke of Newcastle to join him on a visit to the Circassian coasts. Oliphant afterwards joined the force under Omer Pasha, with whom he got on well at Trebizond, and was present at the battle of the Ingour. The fall of Kars made the expedition fruitless and after much suffering, he returned to England at the end of 1855. "The Trans-Caucasian Campaign of the Turkish Army under Omer Pasha"(London 1856) describes his experiences. He also had been acting as correspondent of the "Times" during this expedition.

The material about Abchasien is given on several pages of this work. Oliphant describes the state of this province before and after the occupation by Russian troops. Characterizes the population and its Chiefs. Oliphant made relationship with Prince of Abchasian Michael Sharvashidze, characterizes his personality and activity. Traveller refers to the colonial regime of Russian government in the Caucasus. He describes everything he saw himself.

In the following article we give the Georgian translation and comments to the text.

**ცაცა ჩხარტიშვილი**

*ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელი*

**პირველი სასულიერო სამრევლო  
სასწავლებელი გურიაში  
(ჯუმათის მამათა მოწასტარი)**

XIX საუკუნის 20-იანი წლების დასასრულიდან მეფის ბიუროკრატია შეუდგა სასულიერო სამაზრო სასწავლებლების შექმნას. ეს ნაკარნახევი იყო იმით, რომ მეფის მთავრობას ესაჭიროებოდა განათლებული მღვდლები, კერძოდ, ისეთები, რომელთაც ეცოდინებოდათ რუსული ენა. ყველა, ვინც რუსული ენა არ იცოდა, ითვლებოდა გაუნათლებლად. ამის თაობაზე მთავარმართებელი, გენერალი ტორმასოვი 1809 წლის 6 ივნისს, ქართველი სამღვდელოების დაჟინებით მოთხოვნით, სინოდის ობერპროკურორს გოლიცინს წერდა: „სასულიერო წოდების ბავშვთა სასწავლებლად ფრიად საჭიროა თბილისში სასულიერო სემინარიის დაარსება, რათა თავის დროზე აქ გვყავდეს განათლებული სასულიერო წოდება და არა ისეთი, როგორიც ახლაა, რომლის უდიდესი ნაწილი უკიდურესად უცოდინარია, ბევრი მათგანი კი ძლივძლიობით კითხულობს, და ამასთან ხშირია შემთხვევა, რომ მღვდლებმა წერა სრულიადაც არ იციან“ [1, 139].

ამგვარად, სკოლების გახსნის პირველ ნაბიჯად ჩვენში მიჩნეული იყო თბილისის სასულიერო სემინარიის დაარსება. სემინარიის საშუალებით ჯერ უნდა მოემზადებინათ მასწავლებელი სამაზრო-სასულიერო სასწავლებლისათვის, ხოლო შემდეგ შესდგომოდნენ თავიანთ სასწავლებლის დაარსებას. სინოდის მოხსენებაში, რომელიც დამტკიცებული იყო ალექსანდრე I-ის მიერ 1811 წლის 30 ივნისს, ნათქვამი იყო: „სასულიერო-საეკლესიო მსახურთა შვილების სწავლებისა და სასულიერო წოდებისათვის მათ მოსამზადებლად დაწესებული იქნეს, პირველ რიგში, გიმნაზიის ნაცვლად, სასულიერო სემი-

ნარია. რაც შეეხება სამაზრო სასწავლებლებს, ასეთები გაიხსნას შე-  
საფერ ადგილებში მაშინ, როდესაც სემინარიაში საამისოდ მომზადე-  
ბული იქნებიან მასწავლებლები“ [2, 169].

სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლების გახსნამდე  
სწავლა-განათლების საქმე საქართველოში ძირითადად მონასტრე-  
ბის ხელში იყო. იმ დროს არსებობდა ე. წ. რამდენიმე სამონასტრო  
სკოლა.

როგორც ცნობილია, საქართველოში სამონასტრო სკოლები  
გაუქმებული იქნა ჯერ კიდევ 1811 წელს საქართველოს ეკლესიის ავ-  
ტოკეფალიისა და კათედრების გაუქმებასთან ერთად. მაგრამ სასუ-  
ლიერო განათლების პირებზე მზარდი მოთხოვნილების გამო სამო-  
ნასტრო სკოლებმა, განსაკუთრებით 20-30-იან წლებში, ისევ დაიწყეს  
აღორძინება.

გურიაში მდგომარეობა ცოტა სხვაგვარი იყო იმის გამო, რომ  
აქ რუსული მმართველობა გვიან (XIX ს-ის 30-იანი წლებიდან) დამ-  
ყარდა და ცენტრიდან საკმაოდ დაშორების შედეგად, სწავლა-განათ-  
ლების საქმე აქ დიდხანს ადგილობრივ ინიციატივაზე იყო დამყარე-  
ბული.

სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში დადებით როლს  
ასრულებდნენ ნერა-კითხვის მცოდნე მღვდლები. მათ ოჯახებში ბევ-  
რი ახალგაზრდა სწავლობდა ნერა-კითხვას, ხუცურს, გალობასა და  
სხვადასხვა საეკლესიო წესებს. შეგირდები მასწავლებლებს სწავლის  
ფასს არ აძლევდნენ, გასამრჯელოს ნაცვლად ეხმარებოდნენ საოჯა-  
ხო საქმეებსა და ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს.

შემოქმედის არქიმანდრიტ არსენს 1833 წელს, თბილისში ყოფ-  
ნის დროს, სასწავლებლის გახსნის შესახებ სიტყვიერი თხოვნით მოუ-  
მართავს საქართველოს ეგზარქოსისათვის. აღნიშნულ თხოვნაზე მას  
თანხმობა მიუღია მხოლოდ იმ პირობით, რომ სასწავლებლის შესანა-  
ხი თანხა მოსახლეობას უნდა გაეღო, მაგრამ გურიის გლეხობა იმ ხა-  
ნებში უკიდურეს მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა. ისტორიუ-  
ლად შექმნილ პირობებში, მშრომელთა ხანგრძლივი ფეოდალური  
ჩაგვრა, თურქთა გაუთავებელი თავდასხმები უკანასკნელ ადგილზე  
აყენებდა მას მთელს საქართველოში [3, 10].

ისეთი მნიშვნელოვანი მონასტრები, როგორც იყო ჯუმათის  
და შემოქმედისა, ფლობდნენ საეკლესიო გლეხების მეტად მცირე რა-  
ოდენობას და შემოსავალიც ცოტა ჰქონდათ.

გურიის საეკლესიო შემოსავლების ზუსტად დადგენისათვის 1835-1840 წლებში გაიგზავნა რამდენიმე კომისია. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის გურიაში იყო 77 ეკლესია, რომლის შემოსავლითაც თავს ირჩენდნენ სასულიერო პირები, სულ 287 კაცი, მეტად ძნელი გახდა უმნიშვნელო თანხების გაღება სასწავლებლის გასახსნელად [4, 190].

გურიის სამღვდლოებას უნდა გამოენახა სახსრები განზრახული სასულიერო სამრევლო სასწავლებლის (ერთი კლასის) გახსნისათვის. „პირველი რევიზიით აღმოჩნდა, რომ მთელი გურიის ეკლესია-მონასტრების ფულადი შემოსავალი არ აღემატებოდა ოც მანეთს ნელონადში“ [5, 201].

1839 წელს საქართველოს ეგზარქოსი ევგენი კავკასიის მთავარმართებელ გოლოვინს მოახსენებდა, რომ ქუთაისში არსებული ერთადერთი სასწავლებელი მთელი იმერეთისა და გურიის მოსახლეობას ვერ აკმაყოფილებდა და საჭიროდ ცნობდა, „გახსნილიყო სახალხო სკოლები იმერეთისა და გურიის სხვა ადგილებშიც“ [6, 256].

გურიის სასულიერო სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით საქართველოს ეგზარქოსის ევგენის განკარგულებით 1840 წელს კომისია გაიგზავნა გურიაში საეკლესიო შემოსავლების დასაზუსტებლად. იმონებებს რა ამ კომისიის ხანგრძლივი კვლევა-ძიების ვრცელ მასალებს, თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა მოახსენებს საქართველოს ეგზარქოსს თავის შეხედულებებსაც სასწავლებლის გახსნის თაობაზე.

ზემოთხსენებული კომისიის მასალებიდან ირკვევა, რომ „ჯუმათის მონასტრის უშუალო ფულადი შემოსავალი შეიძლება“ ვივარაუდოთ სულ 37 მანეთი და 91 კაპიკი, ნაცვლად წინათ გათვალისწინებული 20 მანეთისა. შემოქმედის მონასტერს ძველი ნებაყოფლობითი ანდერძის საფუძველზე შემოსვლია 47 მანეთი და 1 კაპ., რაც ადრინდელი რევიზიების დროს ნაჩვენები არ იყო. მაგრამ, როგორც დავინახეთ, საეკლესიო შემოსავლების უდიდესი ნაწილი ნატურით შემოდიოდა. ამავე კომისიის დასკვნით, გურიის წლიური საეკლესიო შემოსავლები მთლიანად ფულზე გადაყვანით შეადგენს 1.141 მანეთს და 34<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაპიკს ვერცხლით. მისივე აზრით, შეიძლება საეკლესიო გლეხებზე გადასახადების გაზრდის საშუალებით ეს თანხა გადიდდეს 1992 მანეთსა და 74 კაპიკამდე [7, 252].

გურიის სამაზრო სასულიერო სასწავლებლის შენახვას კი ესაჭიროებოდა 2725 მანეთი. ჯერ ერთი, ეს თანხა ორჯერ უფრო მეტად

აღმატებოდა გურიის რეალურ საეკლესიო შემოსავალს. გარდა ამისა, მთელი საეკლესიო შემოსავლის (1141 მან და 34<sup>1</sup>/<sub>2</sub> კაპ.) დაახლოებით ერთი მესამედი შეიძლებოდა გამოყენებულიყო სასულიერო სასწავლებლის შესანახად, დანარჩენი <sup>2</sup>/<sub>3</sub> ნაწილი უნდა მოხმარებოდა თვით მონასტრებისა და მათთან მყოფი ბერების შენახვას (იმ დროს გურიაში მონასტრებთან 18 ბერი ცხოვრობდა. თითოეული ბერის შენახვაზე 60 მანეთი იხარჯებოდა წლიურად) [7, 255]. ამავე დროს საქმეს ართულებდა ისიც, რომ შემოქმედისა და ჯუმათის მონასტრებთან და იოანე-ნათლისმცემლის უდაბნოშიც სასწავლებლის მოსათავსებლად ვარგისი შენობა არ იყო.

ამ გარემოებათა და სხვა მრავალი მოტივის გათვალისწინებით სემინარიის გამგეობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გურიაში შეიძლება გაიხსნას მხოლოდ სამრევლო სკოლა ორი კლასით და ორი მასწავლებლით, რომელთა შესანახად 1835 წლის 13 აპრილის დებულებით გათვალისწინებული საშტატო განანესი აღმატებოდა 400 მანეთს წლიურად. მიუხედავად ამისა, სამრევლო სკოლის გახსნა გადადებულია.

მთელი ამ გაუთავებელი ბიუროკრატიული მიმონერისა და რევიზიების მიზანი იყო მტკიცედ გატარებულიყო ცარიზმის კოლონიური საგანმანათლებლო პოლიტიკა და ხაზინას ამ სფეროში რაც შეიძლება ნაკლები თანხა გაეღო.

მაგრამ გურიაში ამ პატარა სასწავლებლის გახსნას სხვა დაბრკოლებებიც ელოებოდა. თუ, ერთი მხრივ, გურულები, განსაკუთრებით მისი პროგრესული და მოწინავე ნაწილი, ყველგან და ყველგან ამჟღავნებდნენ სწავლისადმი დიდ ლტოლვას, ამავე დროს აქვე იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც ხელს უშლიდნენ და აფერხებდნენ ამ კეთილშობილური საქმის განხორციელებას.

ამის თაობაზე სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სერგი სინოდის ობერპროკურორისადმი გაგზავნილ მიმართვაში წერდა: „როდესაც არქიმანდრიტ არსენს მოვთხოვეთ ცნობა ეკლესიის მსახურთა შვილების შესახებ, რომელთა ჩარიცხვა შესაძლებელი იქნებოდა სასწავლებელში, მან 1836 წლის 28 ივნისს გვაცნობა, რომ „მებატონეები არ გვაძლევენ ნებას შევადგინოთ უწყებები ეკლესიის მსახურთა შვილებზე პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მათ სიღარიბის გამო არ შეუძლიათ სასწავლებლის გახსნა და შვილებისათვის საკვების მიწოდება, ხოლო მებატონეები გლახებს სიმცირის მიზეზით ეკლესიის მსახურთ არ აძლევდნენ უფლებას გააგზავნონ შვილები სასწავლებელში, ემი-

ნიათ არ დაკარგონ უფლებები მათ მიმართ... ზემოაღნიშნული მიზეზების გამო შეუძლებელია სასწავლებლის გახსნა“ [7, 199].

არანაკლებ მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიდა ნატურალური შემოსავლების რეალიზაცია, თუნდაც ეს შემოსავლები თავის მოცულობით საკმაო ყოფილიყო მონასტრების, ძმობისა და აგრეთვე სასულიერო სასწავლებლის შესანახად. საქმე ის იყო, რომ იმ დროს გურიში მეტად ვიწრო საშინაო ბაზარი იყო ადგილობრივი ნაწარმის სარეალიზაციოდ.

აქედან გამომდინარე, კომისია მიდის უდავო დასკვნამდე, რომ რადგან ადგილობრივი სურსათის გასაღება მუდამ ძნელდება და მეტად უმნიშვნელოა, ამიტომ ეკლესიისათვის უფრო მოხერხებულია გურიის საეპარქიო გლეხებისგან ფულადი გადასახადის აკრეფა.

ასეთი იყო ის გარემოებანი, რომლებიც აფერხებდნენ სასწავლებლის დაარსებას. მაგრამ ხალხის მისწრაფება სწავლისადმი, როგორც შუამდგომლობა სკოლის გახსნის შესახებ უშედეგოდ რჩებოდა.

1841 წლის დამდეგს გურიის სასულიერო სასწავლებლის გახსნის საკითხი პრინციპულად უკვე გადაჭრილი იყო, მის გახსნას ვარაუდობდნენ იმავე წლის სექტემბერში (ეს იყო რიგით მეორე ვადა სასწავლებლის გახსნის პირველად ვარაუდობდნენ 1838 წელს), მაგრამ გურიაში არსებული ბუნტის გამო სკოლის გახსნა ისევ გადაიდო. მოლაპარაკება სასწავლებლის გახსნის თაობაზე განახლდა 1845 წლის დამდეგს. იმავე წლის ზაფხულში შეუდგნენ პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას. თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობამ 1845 წლის აგვისტოში განიხილა გურიის სასულიერო სამრევლო სასწავლებლის გახსნის საკითხი. საქართველოს ეგზარქოსის იმავე წლის 5 ივლისის 2061 ბრძანების შესაბამისად, „გურიის ეპისკოპოს ექვთიმეს დასტურით, გურიაში სასულიერო სამრევლო სასწავლებლის ხელმძღვანელად თბილისის სემინარიის კურსდამთავრებული ივანე ბეშქენაძე შეირჩა. საქართველოს ეგზარქოსის იმავე წლის 5 ივლისის 2061 ბრძანებულებაში აღნიშნულია, რომ „გურიის ეპისკოპოსის ექვთიმეს დასტურით არჩეულ იქნას გურიაში სასულიერო სამრევლო სასწავლებლის გასახსნელად თბილისის სემინარიის კურსდამთავრებული... ივანე ბეშქენაძე“ და მას მიენდო გურიის სასულიერო სამრევლო სასწავლებლის ხელმძღვანელობა [9, 180, 429].

ბეშქენაძემ გამოაცხადა ოზურგეთში სასწავლებლის გახსნის შესახებ, მაგრამ ვერ გამოინახა შესაფერისი ადგილი. ამის გამო ეპის-

კოპოს ექვთიმეს გაუცია განკარგულება, რათა სასწავლებლისათვის დაეთმოთ ბინა ჯუმათის მონასტერში.

1846 წლის 14 აპრილს (ძველი სტილით) ჯუმათის მონასტერთან საზეიმო ვითარებაში გაიხსნა გურიაში პირველი სასულიერო სამრევლო სასწავლებელი. იმავე წლის 23 აპრილს ივენე ბეშქენაძე სემინარიის გამგეობისათვის წარმოდგენილ მოხსენებაში წერდა: სემინარიის გამგეობის 1846 წლის 15 მარტის №168 განკარგულების შესასრულებლად პატივი მაქვს ვაუწყო გამგეობას, რომ სამრევლო სასწავლებელი, რომლის გახსნა ნავარაუდები იყო გურიაში, გაიხსნა ა. წ. 14 აპრილს ჯუმათის მთავერანგელოზის მონასტერთან, ხოლო მეცადინეობა დაიწყო იმავე თვის 15 რიცხვში [8,427,428].

სამრევლო სკოლები წესისამებრ უნდა არსებულიყვნენ სამაზრო სასულიერო სასწავლებლებში. მაგრამ არსებითად სამაზრო სასულიერო და სამრევლო სასწავლებლები არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან არც სტრუქტურით, არც სწავლების ვადებით და არც სასწავლო გეგმებით.

სასწავლო დებულების შემდგენლებს ძირითად მიზნად ჰქონდათ დასახული ბავშვებისათვის, რომელთაც ჯერ კიდევ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვა არ იცოდნენ, ესწავლებინათ მათთვის სრულიად უცხო, რუსული ენა. დებულების შემდგენლები განათლებულ ადამიანად თვლიდნენ მხოლოდ იმას, ვინც კარგად ფლობდა რუსულ ენას. ქართული ენის სწავლებას კვირაში ეთმობოდა მხოლოდ 2 საათი [3 91, 98].

ამას ემატებოდა ისიც, რომ ბავშვების შენახვა ისეთ მივარდნილ კუთხეში, როგორიც ჯუმათი იყო, გარკვეულ სიძნელეს ქმნიდა. ამიტომ პირველ საზრუნავს შეადგენდა სასწავლებლის ოზურგეთში გადატანა. ეს საქმე ორ წელს გაჭიანურდა და ბოლოს გურიის სამღვდელოებამ შეძლო დაეჭირავებინა ბინა და გადაეტანა სასწავლებელი ჯუმათიდან ოზურგეთში.

ამის შემდეგ ჯუმათის მონასტერს შემორჩა მხოლოდ საკვირაო სკოლა, მაგრამ 1868 წელს აქ კვლავ გაიხსნა ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა. ამის შესახებ გაზეთი „დროება“ გვაუწყებს: „ჯუმათის საზოგადოების შკოლა დიდი ხნიდან არის დაარსებული... იგი სამაგალითო შკოლად ითვლებოდა, 80-ზე მეტი მოსწავლე ირიცხებოდა. მერე კი დაეცა სოფლის დაუდევრობით. 1874 წლის რევოლუციის დროს ინსპექტორს მხოლოდ 13 მოსწავლე დახვდა შკოლაში. ახლა

18 მოსწავლე ირიცხება. საზოგადოება შედგება 500-600 საეკლესიო თუ სახელმწიფო გლეხისაგან. ჯუმათში ახლა ახალი მასწავლებელია და ცდილობს ბევრი მოსწავლე შეაგროვოს და კარგად ასწავლოს [10, 1].

კორესპოდენციებში დიდი საყვედურია გამოთქმული აგრეთვე „ჯუმათის სკოლის მასწავლებლად ვილაც უსწავლელი და გამოუცდელი ბერძენი დაეყენებინათ, რომელიც ვერაფერს ვერ ასწავლის. და ამის გამო სოფლის საზოგადოება უკმაყოფილოა“ [11, 3].

XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა კორესპოდენციები ჯუმათის სკოლის შესახებ, რომლებიც მოგვითხრობენ სამონასტრო სკოლის წარმატებასა და წარუმატებლობაზე, სკოლის ჩამორჩენილობაზე. მიზეზად ძირითადად სახელდება სკოლის მასწავლებლის განათლების დაბალი დონე. კარგი მასწავლებლები უგზობისა და გაჭირვების გამო ჯუმათში სამსახურზე უარს ამბობდნენ.

1892 წელს დამდგარა საკითხი სკოლის ახალი შენობის აგების თაობაზე. ოზურგეთის მმართველის განკარგულებით დაუწყიათ კიდეც მშენებლობა. 1899 წელს ჯუმათის საზოგადოებამ თხოვნით მიმართა ქუთაისის სახალხო სკოლების დირექციას. მიმართვაში ეწერა: „მიეცეს ერთი მასწავლებელი სახელმწიფო ხარჯით. შენობისათვის დარაჯის დაყენების, შეშისა და სათბობისათვის, ასევე ერთი მასწავლებლის ხარჯიც თვითონ სოფელმა იკისრა. ჯუმათში იყო ოზურგეთის მაზრის უფროსი ბ. ლაზარენკო, რომელსაც გადასცეს საზოგადოების სურვილი, რომ ერთკლასიანი სამონასტრო სკოლა გადაკეთებულიყო ორკლასიანად. მაზრის უფროსს მოეწონა მათი განზრახვა. სოფლის ყრილობის გადანეგტილებით კი, იმ დღესვე გადაწყდა სოფლის სასამართლოს გადახურვა კრამიტით სკოლისათვის და ბალის მოსწავლეებისთვის გამოიყო ადგილი“, - გვაუწყებს „ცნობის ფურცლის“ კორესპოდენცია.

შეჯერებული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ სამღვდელოება ძალიან უჭერდა მხარს სამონასტრო სკოლის გაძლიერებას. იბრძოდნენ იმისთვის, რომ მოეწყოთ სამკითხველო, შეეკეთებინათ გზები, განსაკუთრებით ხშირად ჩნდება კორესპოდენციებში ამ ადამიანთა გვარები: მოსამართლე ბ. ჩხარტიშვილი, ე. გოგუა, მღვდლები სამსონ დარჩია, ივანე და იოსებ კანდელაკები, მასწავლებელი გაბუნია. ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ განათლების შეტანას სოფელ ჯუმათში.



სკოლის და სწავლა-განათლების სათანადოდ წარსამართავად ჩამოყალიბდა მზრუნველთა საბჭო, რომელშიც შედიოდნენ ჯუმათის ეკლესია-მონასტრის სასულიერო პირები. საბჭო ზრუნავდა სკოლასთან არსებული პრობლემების მოგვარებაზე.

ჯუმათის მონასტერი საეკლესიო და საგანმანათლებლო ცხოვრების მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა და ეს სამონასტრო სკოლაც მისი პირმო იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მომდევნო პერიოდში გურიის რეგიონში სხვადასხვა ტიპის (დანყებითი, რვანლიანი, საშუალო) სკოლების გახსნას. სამონასტრო სკოლამ უდიდესი როლი ითამაშა შემდგომში სწავლა-განათლების საქმის წარმატებით განხორციელებაში.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. Акты собранные Кавказской археографической комиссией, том VI, часть II, 1877.
2. გივი ხოხლენკო, ქალაქ მახარაძის პირველი საშუალო სკოლა (არსებობის 110 წლისთავი), თბილისი, 1962.
3. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 440, საქმე 132.
4. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 440, საქმე 133.
5. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 422, საქმე 112.
6. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 440, საქმე 113 .
7. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 440, საქმე 298, ფურც. 429.
8. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 440, საქმე 315, ფურც. 98.
9. გაზეთი „დროება“, 1874, №40.
10. გაზეთი „დროება“, 1881, №271.

**Tsatsa Chkhartishvili**

*Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, The Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Research scientist of the Department of Modern and Contemporary History*

## **The First Parish Religious School in Guria**

### **Summary**

In April, 14 (old style), 1846 the first parish religious school in Guria attached to Jumati monastery was inaugurated. In the April, 23 of the same year Ivane Beshkenadze in his report written to the board of administrators was writing: "To fulfill the board's order of March, 15, 1846, #168, I have an honor to inform you that the parish school that should have been opened in Guria, was opened in April, 14 of this year at the Jumati monastery. The classes started in April, 15 of the same year".

At this time the school, the negotiations for opening of which lasted 13 years, had one class with 67 pupils.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

## ზღაპარი „ნაცარქექია“ და მისი თანამედროვე ინგლისური თარგმანის ახალი ვერსია

მიმდინარე წელს ამერიკულმა საგანმანათლებლო ცენტრმა LanGate-მ და ამერიკის მეგობართა კლუბმა ქართველ საზოგადოებას შესთავაზა კონკურსი: „თარგმნე ქართული ზღაპრები ინგლისურად“ (langate.ge), რომელშიც ჩვენც მივიღეთ მონაწილეობა. სამი ზღაპრიდან („კომბლე“, „ნაცარქექია“, „ასფურცელა“) ვთარგმნეთ „ნაცარქექია“.

აღნიშნული კონკურსი [1] ერთგვარი სტიმული აღმოჩნდა იმისათვის, რომ გვეთარგმნა და ინგლისურენოვან მკითხველამდე მიგვეტანა ჩვენი ეროვნული საგანძურის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში და, რა თქმა უნდა, ჩვენი მთარგმნელობითი შესაძლებლობებიც მოგვესინჯა.

მოგეხსენებათ, თარგმანზე მუშაობა ურთულესი, მაგრამ უაღრესად საინტერესო პროცესია. მთარგმნელი ვალდებულია, „მთლიანად და მაქსიმალურად ზუსტად გადმოსცეს დედნის შინაარსი და შეინარჩუნოს ორიგინალის ტექსტში აქტივიზირებული ექსპრესიული ლექსიკა თარგმანის ენის ტიპიზებული სტილისტური ხერხების ან მოზაიკური ხერხების გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით“ [2, 136], რაც პრაქტიკულად საკმაოდ რთული განსახორციელებელია. „მთარგმნელის წინაშე ხშირად დგება საკითხი, რამდენად ემთხვევა ფუნქციითა და ღირებულებით მის მიერ შერჩეული ენობრივი საშუალებები დედნისას, რამდენად შეძლებს ის თარგმანის მკითხველამდე დედნის სათქმელის სრულყოფილად მიტანას“ [3, 30] და მრავალი სხვ.

თარგმანის პროცესში „მთარგმნელი განუწყვეტლად იბრძვის ორი ენის შესაყარზე, არცერთ ენას არ უშვებს მხედველობის არედან, ერთმანეთს უპირისპირებს მათ კანონებს, ჩადის თითოეულის სიღრმეში“ [3, 31], რაც მისგან გულმოდგინებასა და უდიდეს შრომისმოყვარეობას მოითხოვს.

ჩვენს შემთხვევაში საქმე თითქოს იმით იყო გაიოლებული, რომ უნდა გვეთარგმნა ჩვენს მშობლიურ ენაზე შესრულებული დედანი, მაგრამ სინამდვილეში ეს მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებდა, რადგან უცხო მკითხველისთვის უნდა გაგვეცნო მისთვის თითქმის უცნობი კულტურული სამყარო, თავისი პერსონაჟებით, მსოფლმხედველობით, რეალიებითა თუ ქართულ ყოფასთან დაკავშირებული სხვა მრავალი ნიუანსით.

ხალხური სიტყვიერების ნიმუშები, ერთი შეხედვით, შინა-არსობრივად საკმაოდ მარტივია და ენობრივად — სადა, მაგრამ თუ მათ ჩავუღრმავდებით, საკმაოდ მრავლად აღმოვაჩინებთ რთულ სახე-სიმბოლოს, რომლებიც ზღაპრის სხვა კომპონენტებთან ერთად ქმნიან იმ ზღაპრულ სამყაროს, რომელიც დღემდე ასე იზიდავს მკითხველს.

როგორც აღვნიშნეთ, ზემოდასახელებულ სამ ზღაპართაგან, ჩვენ არჩევანი „ნაცარქექიაზე“ შევაჩერეთ, რაც, გარკვეულწილად მისი ძირითადი იდეით („ხერხი სჯობია ღონესას“ პრინციპით) იყო განპირობებული — ხერხი და მოხერხებულობა ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერისთვის დღესაც აქტუალურია. ზღაპარში ხერხი გონების ძალის დემონსტრირებას და საბოლოო გამარჯვებას მოასწავებს. სწორედ გონების და რაციონალიზმის გამო ითვლება ნაცარქექია გამორჩეულ პერსონაჟად, რომელიც გადის ჩვეული გარემოდან, მიდის სახიფათო და უცნობ გზაზე და გადარჩება.

როგორც გ. ასათიანი აღნიშნავს, „ნაცარქექია“ არა მხოლოდ სიზარმაცისა და ბაქიაობის, არამედ ჭკუისა და მოხერხების განსახიერებაცაა. იგი ახერხებს დევის მოტყუებას და დამარცხებას. იგი ქართული ხასიათის შემადგენელი ელემენტია. როგორც არაერთგზის ითქვა, ეს ხასიათი მეტად რთული და მრავალფეროვანია. ის ერთი მთლიანი ქვისგან არ გამოუთლიათ. შეიძლება ითქვას, რომ ეს უფრო მოზაიკური ხასიათია, ვიდრე სკულპტურული და ამ თავისებურ მოზაიკაში ყოველი კენჭის გამოკლება უთუოდ გააღარბებდა საერთო კომპოზიციას, საბედისწეროდ დაარღვევდა ფერთა შეთანხმებულ გამას, შეუვსებულ ხარვეზად დაეტყობოდა ჩანაფიქრის მთლიანობას“ [5, 60].

გურამ ასათიანის ნაცარქექია დანახულია ინტელექტუალის თვალით და ამ მომენტმა, ჩვენი აზრით, განსაზღვრა პერსონაჟის პოპულარობა თანამედროვე ქართველ მოაზროვნეებშიც. მაგალითად, ბლოგერი პ. შუშელიძე აღნიშნავს: „ამ ზღაპრის მორალი არ

არის ის, რომ სიკეთე ამარცხებს ბოროტებას, არამედ ის, რომ იქ, სადაც დევობა ანუ ძალადობა და ადამიანური ფასეულობების უგულვებელყოფა „მოსულა“ და, გასდით“, ყველაფერი ნაცარქექიებს რჩებათ. ის, თუ ვინაა თანამედროვე საქართველოში „დევი“ და ვინ „ნაცარქექია“, ამასთან ვინ ვის სჯობს, თავადვე განსაჯეთ!“ [6].

ძნელი სათქმელია, რომელ ეპოქაში ან ათასწლეულში შეიქმნა, ნაცარქექია, როგორც ზღაპარი და ტიპაჟი. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, საკუთრივ ქართული ხალხური გმირის ხასიათი ათასწლეულების მანძილზე გამოიძერწა და ჩამოიქნა. ნაცარქექიაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს — ზოგი მიიჩნევს, რომ მიწიერი და უზრალო ტიპია, ზოგიერთი კი მისი ხასიათის განზოგადებას ცდილობს. ქართველი კრიტიკოსების აკაკი ბაქრაძისა [5] და გურამ ასათიანის [6] დაკვირვებით, ზღაპრის გმირის ხასიათის გაშლა მთელ ერზეც შეიძლება გავრცელდეს, მაგალითად, ის თვისებები, რაც ნაცარქექიას, როგორც ზღაპრის ხალხურ გმირს, აქვს, ერისთვის შეიძლება მეტად ძვირფასი აღმოჩნდეს.

უსაქმურისა და ზარმაცის ნიღაბი ნაცარქექიას იმისთვის სჭირდება, რომ ჭკუითა და ეშმაკობით აჯობოს მასზე უფრო ძლიერ არსებას. აკაკი ბაქრაძის ფორმულირებით, „ის ზარმაცე და ბაქიობა მისტიფიკაციაა, მომარჯვებული იმისთვის, რომ მტერმა ნაცარქექიას ნამდვილი თვისება ვერ ამოიცნოს. ახლა უფრო შორს წავიდეთ: განა ნაცარქექიასა და დევის ურთიერთობაში საქართველოს ისტორიული ცხოვრების მოდელი არ ჩანს? საქართველოს მთელი მისი გრძელი ისტორიის მანძილზე არასოდეს ჰქონია ურთიერთობა მის ტოლ სახელმწიფოსთან, იგი ყოველთვის მსოფლიო გოლიათებს ედგა პირისპირ. ამ უთანასწორო ბრძოლაში რა უშველიდა საქართველოს თუ არა ჭკუა, გამჭრიახობა, მოქნილობა და ეშმაკობა. ქართველმა ხალხმა ნაცარქექიას სახით ამგვარი იდეალი შექმნა. მტრის მოსაგყუებლად ზარმაცისა და ბაქიას ნიღაბი აიფარა. თუ ეს არ დავინახეთ ნაცარქექიაში მაშინ მას ცალმხრივად წარმოვიდგენთ და ნიღაბს შინაარსად მივიჩნევთ [5, 154]. ზ. გამსახურდიამ აკაკი ბაქრაძის ეს მოსაზრება ნაწილობრივ გაიზიარა, ბევრ რამეში დაეთანხმა, მაგრამ მისი სახე-სიმბოლო უფრო განავრცო და უნივერსალურ მებრძოლად მიიჩნია. იგი წერს: „ნაცარქექია ქართველი ოდისევსია, იგი ახერხებს ციკლოპის მოტყუებასა და დამარცხებას, ოღონდ კარგი იქნება, თუ მის შესახებ მსჯელობას განვაავითარებთ და მასში მხოლოდ პოლიტიკურ მებრძოლას

და დიპლომატს კი არ დავინახავთ, არამედ სულიერ პლანში მებრძოლს უნივერსალურ ბოროტებასთან. იგი მედიდატორია და მოაზროვნე, იგი ჭვრეტითი ნატურაა, (ნაცარი აზრის სიმბოლოდ იშიფრება ყველა ზღაპარში). აქედანაა მისი გარეგანი პასოვობა. ამ თვალსაზრისით იგი ზეეეროვნული სახეა, ზოგადსაკაცობრიო სახე. ბოლოს ნაცარქექიას პარალელები გვხვდება მსოფლიოს ყველა ხალხთა ლიტერატურასა და ფოლკლორში. ასე რომ, მარტოოდენ ქართული ხასიათის ძიება ნაცარქექიაში გაგვიჭირდება, ამიტომაც დაუკავშირა მღვდელმა გრიგოლ ფერაძემ ნაცარქექია წმინდა გიორგის სახეს” [7, 560].

ეტყობა, იმ კულტურულ-სოციალურ გარემოში, სადაც „ნაცარქექია” შეიქმნა, ადამიანებს ძალიან ანუხებდათ ძალმომრეობის პრობლემა. ხალხის გენიამ გამოსავალი ძალის საპირისპირო გონებისაკენ მიმართა და შეიქმნა მკაფიო კონტრასტი: **ძალა და გონება**. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზღაპრისეული გონების მატარებელი პიროვნება დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელია და ზოგადად ქართულ ეროვნულ ხასიათს გამოხატავს.

„ნაცარქექიას“ თარგმნის პროცესში ტექსტობრივ თავისებურებებთან ერთად, რა თქმა უნდა, ამ გარემოებების გათვალისწინებაც მოგვიხდა, თუმცა ჩვენი ძირითადი ამოცანა მაინც ზღაპრის ორიგინალური ბუნების, მისი ეროვნული კოლორიტის შეძლებისდაგვარად შენარჩუნება იყო. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს — ქართული ხალხური ზღაპრის ეროვნული კოლორიტის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები („ცხრა მთას იქით...“ , „ცხრათავიანი დევი...“ ) ვთარგმნეთ, სხვა ნიუანსები, როგორცაა **დევი**, კეცი, თვით ზღაპრის სახელწოდება „**ნაცარქექია**“.... ინგლისურ ენაზე უთარგმნელად გადავიტანეთ. მაგალითად: There was, and there was not at all what can be the best of God, there was one lazy man. All the time he sat by the hearth holding a stick and digging in the cinder, so people called him Natsarkekia - a person who digs in cinder.

„ნაცარქექია“ , როგორც ვიცით, მეტსახელია და ამიტომ, უცხოელი მკითხველისთვის გაუგებარი რომ არ აღმოჩნდეს, მისი მნიშვნელობის განმარტება ტექსტშივე ვცადეთ.

ბ) **დევი**: „შეშინდა დევი, ეს მართლაც უძლეველი კაცი ჩანსო, — თქვა გულში და გაღმა ნაპირზე გავიდა, მორჩილად ეახლა ნაცარქექიას, დაილუნა და მხარზე შეისვა” [1].

The devi was startled. ‘He seems to be a really unconquerable fellow,’ said he in his heart. He crossed the river, came to Natsarkekia obediently, bent and put him on his shoulder.

გ) ცხრა თავიანი დევი: „თურმე ეს მდინარეცა და ადგილიც ცხრა თავიანი დევის სამფლობელო ყოფილა” [1].

It appeared that both the river and land belonged to a nine-headed giant called devi.

გ) კეცი: „...ნაცარქექია ტახტზე დასვა, თვითონ კერა გაახურა და ცომი მოზილა. გააკეთა ერთი უშველებელი ხმიადი, ჩადო კეცში, ცეცხლს მიუფიცხა და ნაცარქექიას უთხრა:...” [1].

He put Natsarkekia on the couch, heated the hearth and made the dough; put it in the ketsi, earthenware frying-pan, exposed it to the fire and said to Natsarkekia...

სიტყვა „კეცი“ უთარგმნელად დავტოვეთ, თუმცა მისი მნიშვნელობაც იქვე ტექსტშია განმარტებული, რათა მკითხველისთვის უფრო ადვილად წასაკითხი იყოს ზღაპარი.

დ) ცხრა მთას იქით: „...დაჰკრა დევმა ფეხი და ცხრა მთას იქით გადაიხვეწა” [1].

The devi fled and ran over nine mountains.

ე) ბაბაყური, ხაბირიკა: „— აი, შე ქინკლავ, შენა! ერთი არ მებრალეობოდე და გიჩვენებდი, ვინცა ვარ. მაგრამ იცოდე, თუ ჭკუით არ იქნები, ასეთ თავხედობას მეორედ აღარ გაპატიებ. შე ბრიყვო და ბაბაყურო, ხაბირიკა არ გაგიგონია, ნაცრიყლაპია, ჩხირით მებრძოლი? მე სწორედ ისა ვარო! არ მინდა ქვეყანა დავაქციო, თორემ ისეთი ღონე მაქვს, დედამინას რომ ხელი მოვავლო, ზეცას შევტყორცნი და ნაცარმტვრად ვაქცევო...” [1].

‘Hey you mosquito! Were not I sorry for you I would show you who I am. But, mind that unless you come to your reason, I will not forgive your impudence next time. You stupid and dumb head have not you heard of Khabirika, a cinder-swallower, who fights with his stick? I am that fellow! I do not want to destroy the world, but otherwise with the strength I have I could grab the earth, throw it to the heaven and bring it to dust and ashes...’

ვ) ჩოხა, გუდა: „... მობეზრდათ ძმებს მისი უსაქმურობა და ერთ მშვენიერ დღეს მართლაც გააგდეს სახლიდან. ერთი ხბოს გუდა ნაცრით გაუტენეს და ზურგზე აჰკიდეს, ხელში ჩხირი მისცეს, ჩოხის კალთაში საგზლად ჭყინტი ყველი გამოუხვიეს და გაისტუმრეს...” [1].

...Bored with his idleness, one beautiful day, his brothers kicked him out of the house. They filled a bag made of calf's skin with cinder, put it on his back, gave him a stick, folded a newly made cheese in the hem of his chokha\* to have something to eat on the road and sent him away.

ტექსტში „ჩოხა“ უთარგმნელად დავტოვეთ და მისი განმარტება სქოლიოში მივუთითეთ. ხოლო სიტყვა „გუდა“, რომლის ზუსტი ინგლისური ექვივალენტი არ არსებობს, საერთოდ გამოვტოვეთ და თარგმანი რომ ქართული სიტყვებით არ გადაგვეტვირთა, მხოლოდ მის განმარტებას შევეცადეთ (ტექსტში).

ზღაპრის თარგმნის სპეციფიკას წარმოადგენს მისი დასაწყისი და დასასრული. როგორც პროფ. გ. ნიზახაშვილი აღნიშნავს, ქართული ხალხური ზღაპრის დასაწყისი და დასასრული „ეს ზღაპრის ეროვნული კოლორიტის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია და თარგმანში მისი დაკარგვა, გაუფერულება იოლად შეძლება. მიტომ ეს თითქოსდა უბრალო ტექსტი ძალიან ძნელი სათარგმნია. თუ სიტყვასიტყვით გადავიღებთ, აბსურდამდე მივდივართ, თუ სხვაენოვან მასალას ჩავუნაცვლებთ ზღაპარი კარგავს თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს“ [9, 100-101].

ზღაპრის დასაწყისის ძალზე საინტერესო და ორიგინალური ფორმულა „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა“.... შემდეგნაირად ვთარგმნეთ:

There was, and there was not at all what can be the best of God, there was one lazy man.

თარგმნისას შევეცადეთ, ზედმინევნით ზუსტად გადმოგვეცა მისი აზრი და სიბრძნე (რომ ღვთის უკეთესი ამ ქვეყანაზე არაფერია). ხშირ შემთხვევაში ზღაპრის დასაწყისის ამ ფორმულის თარგმნას მთარგმნელები თავს არიდებენ და ცდილობენ, ინგლისურენოვანი ზღაპრის დასაწყისის ტრადიციული ფორმულის გამოყენებას, იმ მიზეზით, რომ მკითხველისთვის გაუგებარი იქნება. რაც ჩემი აზრით, არასწორია, რადგან თუ არ ვთარგმნეთ, მას ვერასდროს გაეცნობა უცხოელი მკითხველი.

ქართული ზღაპრის ტრადიციული დასასრულის თარგმანს ნაკლებად ვხვდებით ინგლისურენოვან ტექსტებში. რაც ვფიქრობთ, ზუსტი ექვივალენტის არარსებობით არის განპირობებული. სირთულის მიუხედავად, მაინც ვცადეთ მისი თარგმნა და ძირითადი აქცენტი ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებაზე გადავიტანეთ. ვიმედოვნებთ, ქართული ხალხური ზღაპრის ორიგინალური



დასასრული ინგლისურენოვანი მკითხველისთვის სასიამოვნო სიახლე იქნება.

**„ჭირი — იქა, ლხინი — აქა,  
ქატი იქა, ფქვილი — აქა“** [1]; შემდეგნაირად გადავთარგმნეთ:

**„Woe there, joy here,  
Bran there, flour here“ .**

ჩვენი აზრით, მთარგმნელი ვალდებულია უცხოენოვან მკითხველამდე მიიტანოს ქართული ზღაპრის დასასრულში ჩადებული სიბრძნე - ქართველი ხალხის სწრაფვა სიკეთის, ჰარმონიისა და სრულყოფილებისაკენ. სწორედ ამას ემსახურება ზღაპრის დასასრულის ფორმულები.

ამრიგად, „ნაცარქექიას“ თარგმნისას მაქსიმალურად შევეცადეთ ეროვნული კოლორიტის შენარჩუნებას. იმ მოსაზრებით, რომ ზღაპრის მკითხველები, ძირითადად, ბავშვები არიან, შეგნებულად მოვერიდეთ თარგმანის ტექსტის უთარგმნელი ქართული სიტყვებითა და სქოლიოებით გადატვირთვას. პატარა მკითხველისთვის ზღაპარი რომ მოსაწყენი და რთული ნასაკითხი არ ყოფილიყო, შევეცადეთ მაქსიმალურად ზუსტად გადმოგვეცა მისი დასაწყისისა და დასასრულის აზრი და სიბრძნეც. აქვე დავძენთ, რომ „ნაცარქექიას“ ინგლისური თარგმანი, ჩვენი პირველი ცდაა მხატვრულ თარგმანში, ამიტომ ის, ცხადია, არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან — მასში ზოგიერთი რამ შეიძლება საკამათოც კი იყოს. ყოველი საქმიანი შენიშვნა დიდ დახმარებას გაგვიწვეს თარგმანის შემდგომ დახვეწაში.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. 2012 წელს ქართული საზოგადოებისათვის ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრი LanGate- და ამერიკის მეგობართა კლუბის მიერ შეთავაზებული კონკურსი: „თარგმნე ქართული ზღაპრები ინგლისურად“ ([langate.ge](http://langate.ge)). იხ. [neus.aris.ge/education/sciencelib/1510-ikonkursi](http://neus.aris.ge/education/sciencelib/1510-ikonkursi) Targmne „ნაცარქექია“, „ასფურცელა“, „კომბლე“ qartuli inglisurad. htinL
2. მთარგმნელის ამოცანა. წიგნ.: თარგმანის ლექსიკონი. თბილისი, 2001.
3. დ. ფანჯიკიძე, ქართული თარგმანის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2005.

4. ნაცარქექია, [www.wordpress.com/teg/](http://www.wordpress.com/teg/).
5. ა. ბაქრაძე, მკვახე შედახილი. იხ. ა. ბაქრაძე, რწმენა, თბილისი, 1990.
6. გ. ასათიანი, კირილე და ნაცარქექია, იხ. გ. ასათიანი, ოთხტომეული, ტ. II, ვ. გიგაშვილის რედაქციით, თბილისი, 2003.
7. ზ. გამსახურდია, „მკვახე შედახილის“ ექო (ღია წერილი აკაკი ბაქრაძისადმი), იხ. ზ. გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბილისი, 1991.
8. პ. შეშელიძე, ნაცარქექიაზე, მისი ინტელექტუალი მოტრფიალეებისა და ჭეშმარიტი ცოდნის მიღების მსურველების გასაგონად: [burusi.wordpress.com/2010/12/05/paata-sheshelidze-3/](http://burusi.wordpress.com/2010/12/05/paata-sheshelidze-3/).
9. გ. წიბახაშვილი, თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბილისი, 2000.

**Nana Nateladze**

*Doctoral Student at Saint  
Andrews Georgian University*

**A new version of a modern English translation of  
„Natsarkekia“, a fairy tale**

**Summary**

This year the Georgian-American Education Center LanGate and the Club of America's Friends announced a competition for the Georgian public: „Translate Georgian Fairy Tales in English“ ([langate.ge](http://langate.ge)). We took part in the competition. Of three folk tales available for translation („Komble“, „Natsarkekia“ and „Aspurtseლა“) we translated „Natsarkekia“.

We tried our best to maintain the national colour in the translation of „Natsarkekia“. We did not translate the title of the fairy tale and tried to explain its meaning in the text. Nor did we translate the words like „chokha“, the name of part of the traditional Georgian male dress, „chinchraqa“, the name of a bird. The meaning of the words was explained in the references below. „Devi“, „Ketsi“, „Khabirika“ are also among other Georgian words that were not translated. At the same time, we tried not to overload the text with not translated Georgian words and convey accurately the meaning and wisdom of the opening and the end of the fairy tale to the reader. We translated a unique form of opening of a folk tale „There was, and there was not at all what can be the best of God“ .... This has been my first attempt to translate a folk tale. The work proved quite laborious and at the same time rather awarding in terms of gaining experience.

## ბურის სელონური გამოქვაბულები და მათთან დაკავშირებული ხელსერი ეთნოგრაფიული გადმოცემები

თუ თვალს გადავაგლებთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიულ აგებულებას, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში არაერთ ბუნებრივ კარსტულ თუ ხელოვნურ, ადამიანთა მიერ გამოკვეთილ ვრცელ თუ მცირე გამოქვაბულს აღმოვაჩინებთ. ამჟღერად ყურადღება მსურს მივაპყრო გურიის ხელოვნურ გამოქვაბულებზე და მათთან დაკავშირებულ ან უკვე დაკარგვის პირას მისულ გადმოცემებზე.

თავდაპირველად აღსანიშნავია ის, რომ გურიაში არ გვხვდება ისეთი ფართო და მრავალმხრივი გამოქვაბულები, როგორც, მაგალითად, ზემო იმერეთში, ქვემო ქართლში ან სხვა რეგიონში. გურიაში გამოქვაბულთა არსებობა დღეს ადგილობრივებშიც კი ხშირად უცნობია, რადგან მათი უმეტესობა ერთ დროს გამოკვეთილ იქნა მეტად მიუფალ მთაგორიან ადგილებში.

ყოველ გამოქვაბულს გააჩნდა კონკრეტული ფუნქცია: 1. განძსაცავის — შემოსევების დროს; 2. თავშესაფრის — ომიანობისას; 3. საღვთო-რელიგიური, სადაც იყო საბერძნეთის მცირე კელიები.

გურიის მხარის კვლევა-ძიების მხრივ არაერთი რამ გაკეთდა, მოყოლებული XIX საუკუნიდან დღემდე, ჩვენ მოგვეპოვება გამოჩენილი ქართველი თუ უცხოელი ეთნოგრაფ-მოგზაურთა ჩანაწერები ამ მხარის შესახებ, როგორებიც იყვნენ: თედო სახოკია, დიმიტრი ბაქრაძე, ბარონე დეზაია, კარლ კოხი, სპენსერი, იოჰან გიულდენშტედტი და სხვები. აღნიშნულ თემას არც ერთი არ შეხებია.

უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება რეგიონში არაერთი ხელოვნური გამოქვაბულის დასახელება, რომლებიც, სავარაუდოდ, მრავალ საყოფადღებო ლეგენდას მოჰყვნენ ნათელს და სადაც ცხოვრობდნენ ბერ-მონაზვნები.

დღეს აღნიშნული გამოქვაბულები დარჩენილია სრულიად უფუნქციოდ, ზოგიერთ მათგანზე კი დღევანდლამდე ადგილობრივ მოსახლეობაში შემორჩენილია მცირედი მოგონებები, რომლებიც

უკავშირდება როგორც უძველეს დროში, ისე უახლოეს წარსულში მომხდარ ამბებს.

მეტად საინტერესო გადმოცემა არსებობს გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ხორეთის გამოქვაბულებზე. ლეგენდა შემდეგს გვეუბნება: „გურიის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა მონადირე, რომელსაც ჰყავდა ცოლი და ერთადერთი ვაჟიშვილი. მონადირე ხშირად უგებდა ხაფანგს გარეულ მხეცებს. შვილმა, იცოდა რა, თუ სად ჰქონდა დაგებული ხაფანგი თავის მამას, დილით დაასწრო ხაფანგის მოშორება და გაუფრთხილებლობით თვითონ გაება შიგ. როდესაც მამამ ნახა თავისი ვაჟიშვილი ხაფანგში, ცოცხალ-მკვდარი წაიყვანა სახლში, მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა. შვილის ჯავრს გადაჰყვა დედაც. მონადირემ ვერ გაუძლო მარტო ყოფნას, იდარდა, მიატოვა სახლი, ხორეთის მთის კალთაზე გამოთხარა გამოქვაბული და აქ აღიკვეცა ბერად. შემდეგ მას კიდევ შეუდგნენ ბედისაგან დაჩაგრული ადამიანები და ამგვარად წარმოიშვა „ხორეთის ეკლესია-მონასტერი“ [1, 3].

გადმოცემით ბერების სამყოფელი ყოფილა ასევე ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში, მდინარე ნახიდარის მარჯვენა ნაპირზე. გორაკის ძირში არსებული გამოქვაბული, სადაც ძველად დაყუდებული ბერები ყოფილან, დღეს ტურებისა და ღამურების საბუდარი გამხდარა.

გამოქვაბულში განთავსებულია დღევანდელ დღემდე ჩოხატაურის რაიონის სოფელ ამაღლებაში არსებული გურიის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მამათა მონასტერთან არსებული რამდენიმე გამოქვაბული.

უდაბნოს წმ. იოანე ნათლისმცემლის სამონასტრო კომპლექსი უძველესია გურიაში. იგი ორ ეკლესიას მოიცავდა, კლდეში გამოკვეთილი იყო ბერთა სენაკები, რის გამოც მას გურიის ვარძიასაც უწოდებდნენ. უდაბნოს კლდოვან ნაპრალებში თუ ქვაბულებში მოსაგრე დაყუდებულ მამებს სოფლის ხანდაზმული მოსახლეობა სიყვარულით იხსენებს და მათ გურულ დიალექტზე „მწოლელა“, „ჩოქელა“ და „მდგომელა“ ბერების სახელებით იხსენიებს.

განსაკუთრებით საინტერესოა კლდეში ნაკვეთი ეკლესია, მისი აგების ზუსტი თარიღი უცნობია. არქიტექტურული მონაცემების მიხედვით ვარაუდობენ, რომ ტაძარი VI საუკუნის მეორე ნახევარს უნდა მიეკუთვნებოდეს [2, 4].

ერთ-ერთი საინტერესო გადმოცემა არსებობს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათის გამოქვაბულზე, სადაც ბერთა ერთ-ერთი სამყოფელი კელია ყოფილა, ზედ კი ხის მოჩუქურთმებული შესასვლელი კარი ყოფილა შეკიდული. ერთ დღეს დასახლებული კარი ვიღაცას ჩამოუხსნია და სახლში წაუღია. კარის შინ მიმტანს ღამით სიზმრები აღარ ასვენებდა, რის გამოც მოჩუქურთმებული კარი მომპარავს უკანვე აუტანია და ზედ კელიაზე შეუკიდნია [3].

ხშირად გამოქვაბულს უახლოეს ნარსულში თურქთა შემოსევებისას თავშესაფრად და ძვირფასეულობის შესანახადაც იყენებდნენ, მაგალითად ოზურგეთის რაიონის სოფელ კონჭკათის „კლდეკარის“ გამოქვაბულს, რომელიც მდებარეობს სვანის ქედზე (ადგილობრივთა გადმოცემით, ძველად სვანი მდგარა მთაზე, რის გამოც მისთვის სვანის ქედი უწოდებიათ). „კლდეკარის“ გამოქვაბული მრავალნახნაგა ყოფილა, რომელიც ერთმანეთან აერთიანებდა სამ საიდუმლო გვირაბს, ზედ კი რკინით ნაჭედი კარი ყოფილა შეკიდული, რის გამოც მტრისთვის მასში შეღწევა დიდ სირთულეს წარმოადგენდა [3].

ერთ-ერთი გამოქვაბული გვხვდება ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში, უბან ზედუბანში, რომელიც ერთ დროს თავად ნაკაშიძეების კუთვნილ კარ-მიდამოში მდებარეობდა. მას თავადი მიხეილ ნაკაშიძე იყენებდა ღვინის მარნად, სადაც შესაფერისი ტემპერატურა იყო წლის ყველა დროს. როგორც ადგილობრივები ამბობენ, „ნაკაშიძის გამოქვაბული“ XX ს-ის 20-იან წლებამდე გამოიყენებოდა პროდუქტებისა და ღვინის შესანახად. როგორც ამბობენ, მეორე მსოფლიო ომის დროს აღნიშნულ გამოქვაბულ-საცავში შენახული ღვინო „ჩხავერი“ საჩუქრად გაუგზავნიათ სტალინისათვის.

დღეს ნაკაშიძის გამოქვაბული უპატრონოდ არის მიტოვებული. ერთადერთ სიახლეს თავად ნაკაშიძეთა კარ-მიდამოს ცხოვრებაში წარმოადგენს დროდადრო სასკოლო ექსკურსიები მეზობელი სოფლებიდან, რა დროსაც ხდება დასახლებული გამოქვაბულის დათვალიერება და დასუფთავება [3].

უნდა აღინიშნოს, რომ გურიაში არაერთი გამოქვაბული გვხვდება, რომელთა შესახებაც ჯერ კიდევ არსებობს სხვადასხვა სახის გადმოცემები ადგილობრივ მოსახლეობაში, ისეთ გამოქვაბულებზე, როგორებიცაა: კოკათის, ორაგვის, ზემო განახლების,

ჩანჩეთის, გაგურის, გომისა და ოკარტეს გამოქვაბულები, რომელ-  
თა შესახებაც კვლევა-ძიება უახლოეს მომავალში აუცილებელია.

### **დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:**

1. გაზეთი „სოციალისტური შრომა“, 1960, VII.
2. ა. აბულაძე, გურიის იოანე ნათლისმცემლის უდაბნოს მამათა მონასტერი, თბილისი, 2005.
3. გ. გრძელიძე, საველე ეთნოგრაფიული დღიური, თბილისი, 2012.

**George Grdzelidze**

*Historian*

### **The Artificial Caves and related folk-ethnographic legends of Guria**

#### **Summary**

In the region of Guria can be found many old artificial caves, which were used for different purpose. In particular: 1. A shelter during the war; 2. A store for treasure; 3. For church purpose.

These caves are yet unstudied by Georgian and foreign ethnographers and travelers. As a result, these caves are often unknown to the local population.

This article is an attempt of brief description of the above-mentioned caves.

# წ ა ზ ს უ ლ ი ს ო ა ნ ს ე ნ ე ბ ა

ედიშერ გვენეტაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსი-  
ტეტის ასოცირებული პროფესორი*

## **სამშობლოს ერთგული ჯარისკაცის გალაკტიონ გვენეტაძის ოჯახის თავგადასავალი**

ჩემს ბავშვობაში ჩვენთან ოჯახში დადიოდა ძალზედ სასიამოვნოდ მოსაუბრე მოხუცი კაცი გალაკტიონ გვენეტაძე. მოვიდოდა ყოველთვის ჩეულებრივ საღამოს. გაიშლებოდა იმერული პურმარილი. მამაჩემი და ღვთით მოვლენილი სტუმარი ბუხართან, ქვეყნისათვის საჭირობოროტო სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე თითქმის გათენებამდე საუბრობდნენ, იგონებდნენ წარსულს, თან დოქიდან ასხამდნენ და ნება-ნება მიირთმევდნენ ქარვისფერ ცოლიკაურს.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა ბ-ნი გალაკტიონის ნაუბარი: „ეს მათხოვარი წითლები, რომ შემოვიდნენ მივუნექი ტყვიამფრქვევს და უამრავი რუსი დავანვინე“ -ო. პატარა ვიყავი, მაგრამ ძალიან გამიკვირდა არ გამეგონა იყო თუ არა რუსეთსა და საქართველოს შორის ოდესმე ომი. მახსოვს დამაინტერესა პატრიოტი ადამიანის ნაუბარმა და შევეკითხე: კი მაგრამ გალაკტიონ ბაბუა როდის იყო ეს? ოჯახის უფროსმა დედაჩემს თვალით ანიშნა და მე მეორე ოთახში გამიყვანეს დასაძინებლად. მართალია მცირეწლოვანი ვიყავი, მაგრამ დილით მამამ მაინც მითხრა ნუხელის, რაც მოვისმინე არავისთან მეტყვა. მართლაც გავიდა დრო. ბევრი რამ გავიგე, მაგრამ იმ უცნაური მოხუცი კაცის ტკბილი საუბარი ჩემს ცნობიერებას არ ტოვებდა. ამიტომ გადავწყვიტე მომეძიებინა ის ადამიანი მისი ახლობლებიდან, ვისაც მკაფიოდ ემახსოვრებოდა ბ-ნი გალაკტიონის ცხოვრებისეული თავგადასავალი. საბედნიეროდ, ასეთი აღმოჩნდა მისი ვაჟი ნოდარ გვენეტაძე (დაბ. 1933 წ.), რომლის მონათხრობს მამისა და ოჯახის შესახებ გადმოგცემთ. ვფიქრობთ მასალა საინტერესო იქნება ისტორიკოსებისათვის.

\* \* \*

მამაჩემი გალაკტიონ პავლეს ძე გვენეტაძე დაიბადა 1891 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ კორმაღალში. მის მშობლებს პავლე ივანეს ძე გვენეტაძეს და პელაგია მასიკოს ასულ მამფორიას ჰყავდათ შვიდი შვილი: ოთხი ვაჟი — ვარლამი, პარმენი, გალაკტიონი, იონა და სამი ქალი. გალაკტიონს მიღებული ჰქონდა ოთხი კლასის განათლება. საკმაოდ კარგად ფლობდა რუსულ ენას.

1914 წელს დაწყებულ I მსოფლიო ომში გალაკტიონი ოჯახიდან გაუნწევიათ შერჩევითი წესით. თავად ჭაბუკს გამოუთქვამს სურვილი ომში წასვლის. რუსეთის არმიაში ქართველი ახალგაზრდა მეტყვიამფრქვედ ყოფილა გამწესებული. პირველსავე ბრძოლაში იგი დაჭრილა და ტყვედ ჩავარდნილა. ლაზარეთში მკურნალობისა და გამოჯანმრთელების შემდეგ ოჯახში წაუყვანია ერთ მდიდარ გერმანელს, რომელსაც ჰქონია ფირმა და იქ ფირმის საქმეების მონესრიგება მიუწვდია გალაკტიონისათვის, რომელიც ენების შეთვისების საოცარი უნართა და გონებამახვილობით გამოირჩეოდა. ამ გერმანელს ჰყოლია ოთხი ქალიშვილი და მამაჩემისათვის შეუთავაზებია სიძეობა, მაგრამ როგორც კი გაუგია გალაკტიონს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მაშინვე სამშობლოში წამოსვლა გადაუწყვეტია. 1918 წლის ზაფხულში გამოემგზავრა გერმანიიდან და საქართველოში ჩამოსული დასახლდა მამაპაპისეულ მიწაზე სოფელ კორმაღალში. 1919 წელს დაქორწინდა კუმუბოურელ გალინა სარდიონის ასულ ღვინერიაზე. მათ 1920 წელს შექმნიათ პირველი შვილი ავთანდილი(დაიღუპა მეორე მსოფლიო ომში). უცხოეთიდან დაბრუნებულ გალაკტიონს თავისუფლად შეეძლო საუბარი გერმანულ და რუმინულ ენებზე. ასევე საკმაოდ კარგად ცოდნია უნგრულიც. **(ჩემს მიერ (ე. გ.) მოსმენილის ჩართვა** — მამიდაჩემი ლუბა გვენეტაძე (დაბ. 1909 წ.) მომითხრობდა: ბავშვი ვიყავი და მამაჩემს ეუიფანე გვენეტაძეს კერძოობის დროს რიონისპირა ჩვენს კუთვნილ მიწის ფართობში სამუშაოდ ვყავი წაყვანილი. ადრინაი გაზაფხული იყო და მიწას ვხნავდით, მე ხარებს წინ ვუძლოდი. შუადღისას ცაზე რაღაც უცხო სხეული გამოჩნდა, რომელიც უცნაურ ხმას გამოსცემდა. მფრინავი ობიექტი თანდათან ახლოვდებოდა. გლენებს შეეშინდათ და ერთმანეთს გასამხნევებლად შეუძახეს. ყველამ ანება მუშაობას თავი და ცას შესცქეროდა. ერთმა მათგანმა ისიც კი თქვა ხედავთ კაცებო რამხელა ყვავი მოფრინავსო. იქვე მყოფმა გალაკტიონ გვენეტაძემ შეშფოთებული მშრომელები დაამშვიდა და აუხსნა, რომ ეს ყვავი კი არა თვითმფრინავი იყო. არ გასულა დიდი ხანი და



ეს საფრენი აპარატი იქვე მინდორზე დაჯდა. მას ხალხი შიშით, მაგრამ მაინც მიუახლოვდა. თვითმფრინავიდან გადმოსულ მფრინავს უცხო ენაზე დაელაპარკა გალაკტიონი. მფრინავი გერმანელი აღმოჩნდა. მამაჩემს იქვე სახლი ედგა და უცხოელი ქართული წესისამებრ დაპატიჟეს. გერმანელს ისინი „ალადასტურით“ მამაპაპურად გაუმასპინძლდნენ. გერმანელი ისე დათვრა, რომ მასპინძლებს თვითმფრინავის საჩუქრად დატოვებაც კი შესთავაზა. ამაზე გალაკტიონი წინააღმდეგი ნავიდა. სად უნდა გამოვიყენოთ? შეჭველია ეს ამბავი 10-იანი წლების მინურულს უნდა იყოს მომხდარი — ე. გ.).

გალაკტიონის ძმებიდან პარმენი დემოკრატიული საქართველოს მთავრობაში იყო მაღალ თანამდებობაზე. მას ძალზე ახლობლური ურთიერთობა ჰქონია პირადად ნოე ჟორდანიასთან.

1921 წლის თებერვალში კორმალაღში დაფუძნებულმა გალაკტიონმა გაიგო საბჭოთა რუსეთის აგრესიის ამბავი. იგი მაშინვე წამოვიდა სამტრედიასში, ჩაჯდა მატარებელში, ჩამოვიდა თბილისში და ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. მისი ნაწილი გენერალ კვინიტაძის უშუალო დაქვემდებარებაში ყოფილა. მამაჩემის თქმით: „საქმე წინასწარვე ყოფილა გაყიდული. მტერი მოსული იყო სოლანლულთან და მთავრობა არავითარ ქმედით ღონისძიებებს არ მიმართავდა. უფრო მეტიც მებრძოლები განვიცდიდით იარაღისა და ტყვია-ნამლის ნაკლებობას და როდესაც ვითომდაც საბრძოლო მასალები მოგვიტანეს გავხსენით ყუთები და მათში რიყის ქვები ეყარა“.

მამაჩემი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო მეტყვიამფრქვე და ხელმძღვანელობამაც ფრონტზე ეს პოსტი მიუჩინა. გალაკტიონი ამბობდა — „ჩემი „მაქსიმკათი“ დიდი სიამოვნებით ვჟღერებდი მომხედურებსო. ბრძოლებში გვერდით გვედგა კვინიტაძე. იუნკრები და ჩვენ გააფთრებულ წინააღმდეგობას ვუწვევდით მტერს. ზოგჯერ უკანაც კი გავაბრუნეთ და იერიშზე გადასულნი ტყვედ ჩავარდნილ რუსებს, რომ ვიჭერდით ვხედავდით ნითლები მშიერ-ტიტველნი, ფეხშიშველნი, წინდების გარეშე, დახეული „შინელებით“ მოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის დასაპყრობად. ერთ-ერთი ბოლო ბრძოლის დროს მივუჯექი ტყვიამფრქვევს და უკვე ისე ვიყავი ბრძოლაში გართული ვერ ვგრძნობდი ვერაფერს. ამ დროს ვილაცამ მხრებზე ხელები დამადო შემოვბრუნდი და დავინახე გენერალი კვინიტაძე. მან მითხრა-სამშობლოს ერთგულო ჯარისკაცო შეჩერდი. შენი იარაღის ლულა გადახურებულია. ის არ ისვრის, ამას შენ ვერ გრძნობ. გარდა ამისა იმდენი რუსი გყავს ამ ტყვიამფრქვევით დახოცილი ამ ძალღთაპირებმა, რომ

დაგიჭირონ კბილებით დაგვლეჯენო. ამიტომ ჩემი თხოვნაა ახლავე თავს უშველეთ. უეჭველია კვინიტაძე ხვდებოდა, რომ დიდი ღალატი იყო სახელმწიფოში“ .

1921 წლის მარტში ძმებმა პარმენმა და გალაკტიონ გვენეტაძეებმა სხვა ქართველ პატრიოტებთან ერთად ბათუმიდან გააცილეს საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში. მამაჩემი გვიყვებოდა თავად ჟორდანიას გვეუბნებოდა წამოღით ჩვენთან ერთად საფრანგეთშიო, მაგრამ ჩვენ ვუთხარით: „უცხოეთში ყოფნას აქ ქართულ მიწაზე დახვრეტა და სიკვდილი გვირჩევენიაო“ . ეს სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა პარმენისათვის. იგი ბოლშევიკებმა 1936 წელს დახვრიტეს. საზგასმით მინდა აღვნიშნო ის, რომ გალაკტიონი მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე ჟორდანიას და მის მთავრობას მუდამ საყვედურით იხსენიებდა. მიაჩნდა, რომ მათ დიდი უსუსურობა, უგერგილობა გამოიჩინეს მტერთან ბრძოლაში და ვერ მოახერხეს ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

მამაჩემს საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც არ ასვენებდა სამშობლოს დამოუკიდებლობაზე ფიქრი. იგი დასავლეთ საქართველოს 1924 წლის აჯანყების მომზადების და მიმდინარეობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. გალაკტიონი ერთ-ერთი მოადგილე იყო იმერეთში საყოველთაოდ ცნობილი აჯანყების მეთაურის ამბერკი ადეიშვილის.

მამაჩემი აჯანყებაში მონაწილეობას იღებდა ისე, რომ მას ცოლი ფეხმძიმედ ჰყავდა მეორე შვილზე და დღე-დღეზე ელოდა შვილს. მართლაც 1924 წლის 28 აგვისტოს დაიბადა ოჯახში მეორე ვაჟი ვლადიმერი (ლადო). ამ დროს გალაკტიონი შუაგულ აჯანყების ცეცხლში იმყოფებოდა.

როგორც ცნობილია აჯანყებულებმა დასავლეთ საქართველოში პირველ დღეებში დიდ წარმატებებს მიაღწიეს. შეძლეს და ხელში ჩაიგდეს მსხვილი ბოლშევიკი მოხელეები, რომლებიც დამწყვედი ჰყოლიათ სურების ტყეში, სალორეში. მათ შორის იყო ვანო სტურუა. როდესაც მოვიდა ცნობა აჯანყების მარცხის შესახებ გალაკტიონი მისულა ამბერკი ადეიშვილთან და უკითხავს—როგორ მოვექცეთ დაპატიმრებულებსო? მას ერთმნიშვნელოვნად უპასუხია—დახვრიტეთო. მამაჩემი წინააღმდეგი წასულა და ამბერკისათვის უთქვამს—„მე დატყვევებულ ქართველ კაცს და მით უმეტეს სალორეში ვერ დავხვრეტ“ . გალაკტიონის ამ პოზიციას აჯანყებულებს შორის გამოუწვევია დიდი კამათი. ბოლოს მას თავისთავზე აუღია დატყვევებული მონაწილეების გათავისუფლება. ოღონდ ეს მაშინ ძალი-

ან სარისკო საქმე ყოფილა. ვინაიდან ისინი მამაჩემს უნდა მიეცილებინა მდ. რიონზე მდებარე ბორანამდე. გზაში კი დიდი ალბათობა იყო ამ ბოლშევიკებს მოსახლეობა გასწორებოდა ლინჩის წესით. ამიტომ დაპატიმრებულები სურების ტყიდან გაუყვანია ღამით და დიდი წვალეებით მიუყვანია წირქვაძის ფონამდე(გალაკტიონ ტაბიძის სოფელ ქყვიშამდე), სადაც ბორანი იყო. როცა მათ ცილდებოდა გალაკტიონი, ვანო სტურუას მისთვის უთქვამს: „მე თუ კაცი ვარ, შენ რაც გააკეთე არავითარ შემთხვევაში არ დაგივინცებო“ .

ოჯახში დაბრუნებულ გალაკტიონს მალევე მოაკითხა „ჩეკამ“ და დააპატიმრა. დაამწყვდიეს ქუთაისის ციხეში. მეორე დღეს გალაკტიონის ცოლი პატარა ბავშვით წავიდა მეუღლის სანახავად და წაუღო საკვები. ციხესთან მისულ დედაჩემს, მამაჩემთან შეხვედრის და საჭმლის გადაცემის უფლება არ მისცეს. ვინაიდან გალაკტიონი ითვლებოდა განსაკუთრებით საშიშ დამანაშავედ. ამიტომ ქ-ნი გალინა, რამდენიმე დღის დაბადებულ ბავშვთან ერთად ჩამომჯდარა იქვე ციხის კიბეებზე და დაუნყია ტირილი. ამ დროს თბილისიდან ციხეზე მოსულა კომისია ვანო სტურუას ხელმძღვანელობით, რომელიც ამონმებდა პატიმრებს. იმ საკანში, რომელშიც გალაკტიონი იჯდა ციხის თანამშრომლებს არ შეუშვია ვანო სტურუა. მისთვის მოუხსენებიათ: აქ განსაკუთრებით საშიში დამანაშავეა, რომელიც ამაღამ უნდა დაიხვრიტოსო. ვანოსაც თავი მიუხებებია მამაჩემის საკნისათვის.

უკან გაბრუნებულ სტურუას დაუნახავს, რომ ახალგაზრდა ქალი, ახალშობილი ბავშვით ხელში, ტირის. მისულა მასთან და უკითხავს: ვინ ბრძანდებით და რა გიჭირთო? დედაჩემსაც უთქვამს მისი ამბავი. ვანო სტურუას მაშინვე უბრძანებია დაუყოვნებლივ შეეშვათ გალაკტიონთან. მას მართლაც აუსრულებია თავის სიტყვა — მაშინვე გაუთავისუფლებია მამაჩემი და ორივე ცოლ-ქმარი ბავშვთან ერთად დაბრუნებულა სოფელში.

გალაკტიონი ხედავდა, რომ ძალა აღმართს ხნავდა. ამიტომ იგი ერიდებოდა ხალხმრავალ ადგილებში ყოფნას და ძირითადად ოჯახში შრომობდა. ჩემს მშობლებს შეეძინათ კიდევ ორი შვილი: მედეა (დაბ. 1929 წ.) და მე-ნოდარი (დაბ. 1933 წ.). დაიწყო ავბედიითი 30-იანი წლების მეორე ნახევარი. 1936 წლის გაზაფხულის ერთ გვიან საღამოს მიაკითხეს ბიძაჩემ პარმენს. მან მოახერხა და მამაჩემს ხმა მოანვდინა თუ შეგიძლია თავს უშველეო. გალაკტიონსაც მაშინვე შეუბამს ხარები ურემში, დაგვსხა ზედ ცოლ-შვილი და წამოვედით სამტრედიისი.

სოფლიდან ლტოლვილებს გზაში დაგვათენდა. მამაჩემს სამტრედიასთან ახლოს დიდ უკაცრიელ ადგილას გაუჩერებია ურემი და იქვე მინდორში ცოლ-შვილისათვის სახელდახელო თავშესაფარი მოუწყვია. მალე გამოუვლია ვილაც ცხენიან კაცს, რომელიც შეკითხვით რა გიჭირსო? გალაკტიონიც გამოპასუხებია, ოღონდ ძალზედ გაუნათლებელ კაცად მოუჩვენებია მისთვის თავი. ეს კაცი ადგილობრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გვარად ჭანტურია აღმოჩენილა. მას მამაჩემისათვის უთქვამს: არ მაინტერესებს ვინ ხარ. მუშახელი მიჭირს თუ ჩემს კოლმეურნეობაში იმუშავებ მინის ნაკვეთი ახლავე მოიზომე რამდენიც გინდა იმდენიო. გალაკტიონს 0,4 ჰა მოუზომავს(ამდენს ითვალისწინებდა კანონი), მეტის შეშინებია და დაიწყო ახალი ცხოვრება. ერთი წელი სასიმიდის ქვეშ გავატარეთ. მომდევნო წელს სიმინდის დიდი მოსავალი მივიღეთ და ოდა სახლი ავაშენეთ. მამაჩემი ადგილობრივებს თავს წერა-კითხვის უცოდინრად აჩვენებდა, არ უნდოდა თავის გამოჩენით ოჯახს პრობლემები შექმნოდა. მაგრამ ერთხელ მაინც გათქვა თავი, როდესაც ვერ მოითმინა უსამართლობა. თუმცა ღვთის მადლით ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. მალე იგი კოლმეურნეობის გამგეობის წევრად აირჩიეს. 1941 წელს ომი რომ დაიწყო ჭანტურია ფრონტზე მოხალისედ წავიდა, საიდანაც იგი აღარ დაბრუნებულა. კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დანიშნეს ქალი, შემდეგში საყოველთაოდ ცნობილი თამარ თავაძე. მას ადგილობრივი გაზეთის ერთ-ერთ სტატიაში უხსენებია გალაკტიონ გვენეტაძე სახელით და გვარით, როგორც მოწინავე კოლმეურნე... იმავე საღამოს აიყვანა ჩეკამ გალაკტიონი. მაგრამ ახლა უკვე საქმეში ჩაერია მამაჩემის დისშვილი ნიკოლოზ(კოლია) თარგამაძე, რომელიც მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა თბილისში და ბიძა გაათავისუფლა.

ამის შემდეგ იგონებს ბ-ნი ნოდარი — ომი ახალი დამთავრებული იყო. მე და მამაჩემი თბილისში ჩამოვედით ჩემი ძმის ლადოს სანახავად, რომელიც სტუდენტი იყო. მივდიოდით სამივე მაშინდელ პლენანოვზე, სადაც ტყვეებს ამუშავებდნენ. ჩემი ძმა სიგარეტს ეწეოდა და ერთმა ტყვემ რალაცის გამო მიმართა. ლადომ ვერ გაიგო ტყვის შეკითხვა. მას გამოელაპარაკა გალაკტიონი. იგი აღმოჩნდა რუმინელი. რა თქმა უნდა გალაკტიონმა ტყვეს საუბარი რუმინულ ენაზე გაუბა. ეს აღმოჩნდა საკმარისი იმისათვის რომ გალაკტიონი მიებრძანებინათ იქ, როგორც კომუნისტებს უყვარდათ გამოთქმა — „სადაც ჯერ არს“. ისევ ჩავრიეთ სიტუაციის გამოსასწორებლად ჩემი მამიდამშვილი ნიკოლოზ თარგამაძე, რომელიც უკვე მინისტრი იყო და მა-

მაჩემი უკვე მერამდენედ გამოუშვეს. აქედან მოყოლებული სიცოცხლის ბოლომდე ერიდებოდა რაიმე ხალხმრავალ ადგილებში პოლიტიკაზე საუბრებს. ოღონდ ჩვენ შვილებს გვეუბნებოდა: „აცალეთ ესენი (კომუნისტები) ერთმანეთს დაერევიან, დაინგრევიან. უაზროდ თავის განირვა არ ღირს ბიჭებოო...“

მამაჩემს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მწერალ შალვა დადიანთან. ისინი დამეგობრდნენ სამტრედიის სუფრაზე, სადაც თამადა იყო გალაკტიონი. აქვე მინდა გადმოვცეთ ერთი საინტერესო ამბავი. შალვა დადიანმა მამაჩემს გააცნო ერთი მისი ახლობელი კაცი(სახელი და გვარი სამწუხაროდ არ მახსოვს), რომელიც შემდეგ დაიჭირეს. 50-იანი წლების ბოლოს ეს კაცი გაათავისუფლეს. გალაკტიონმა მითხრა, თბილისში ეგებ შეხვდე სადმეო. მართლაც შემთხვევით ვნახე. დავპატიჟე რესტორანში და იქ ასეთი რამ თქვა: ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზე ვმუშაობდი და ამიტომ ბერიამ დამაპატიმრა და ციმბირში მიკრა 15 წლით თავიო. მეტი არაფერი უთქვამს, ეშინოდა.

თავად მე მონაწილე ვარ 1956 წლის მარტში განვითარებული მოვლენების. სტუდენტი ვიყავი და ჩემს მომავალ მეუღლესთან ერთად დავდიოდი მიტინგებზე, რომელმაც მოიცვა იმ დღეებში თბილისი. ძალიან მიკვირს რატომ არ აღნიშნავენ იმ უმნიშვნელოვანეს მომენტს, როგორც იყო 9 მარტის ღამეს განვითარებული პერიპეტეიები. სახელდობრ, ყელაფერს უკავშირებენ სტალინის პიროვნებას, არადა მთლიანად ასე არ ყოფილა. მჟავანაძემ გაგვაფრთხილა მომიტინგეები, რომ დავშლილიყავით ღამის 12 საათზე. ალბათ მას ჰქონდა ინფორმაცია მოსალოდნელი დახვერტების შესახებ. მართლაც დაშლისათვის მზად იყო ახალგაზრდობა. მაგრამ სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც მიტინგზე გამოცხადდა, რომ ქართველი ხალხი ითხოვს კონსტიტუციის იმ მუხლის ამოქმედებას, რომლითაც საქართველოს ჰქონდა უფლება გასულიყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან. ამიტომ მიტინგმა მიიღო რეზოლუცია დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ და ფოსტა-ტელეგრაფის შენობაში გაიგზავნა დელეგაცია, რათა რადიოთი მსოფლიოსათვის ემცნოთ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ. ვფიქრობ ეს იყო ხრუშჩოვის მთავრობის მიერ წინასწარგამიზნული და დაგეგმილი პროვოკაცია. ცეცხლი გაგვიხსნეს 23 საათსა და 30 წთ-ზე. სროლების ატეხვისთანავე მივარდით მილიციელებთან და მოვთხოვეთ იარაღი. მათ სიმწრისაგან ტირილი დაიწყეს—“ რას ამბობთ ბიჭებო, ჩვენ რომ იარაღი გქონდეს ამ ძაღლებს ქართველი გოგო-ბიჭების სისხლს შევარჩენდითო“ .

მე და ჩემთან მყოფი მეგობარი ქალიშვილების იმ ცეცხლიდან გამოყვანა იკისრა მილიციის ერთმა მაიორმა(ოქტომბრის რაიონის მილიციის უფროსმა), რომელმაც ეტლიანი მოტოციკლით გამოგვიყვანა უბედურებიდან. ჩემი თვალთ ვხედავდი როგორ მიამწყვდიეს ტანკებმა მომიტინგეები სანაპიროზე და როგორ ხტებოდა უამრავი ხალხი მტკვარში. გაითვალისწინეთ ის, რომ მარტი იყო და მდინარე ადიდებული და ცივი იყო. უაღრესად მცირე ალბათობაა იმისა, რომ ვინმე მტკვარში გადამხტარი ცოცხალი გადარჩა. ძალიან დიდი იყო მსხვერპლი, ძალიან დიდი. მათი რაოდენობა დღემდე გარკვეული არ არის.

10 მარტს დილით ადრე წავედი სანარმოში, სადაც წინასაღიპლომო პრაქტიკა მქონდა. ვცხოვრობდი ჭონქაძის ქუჩაძე. ჩიტაძის ქუჩას ჩავუყვევი სწრაფი ნაბიჯებით. ვილაცამ დაიძახა-„Стой“ . იმდენად ვიყავი გაბრაზებული, რომ რუსულის გაგონება მზარავდა. ამიტომ არ გავჩერდი. ამ დროს გამოვარდა ვილაც ქართველი ჩინით კაპიტანი მილიციელი და დამიყვირა ქართულად: „რას შვრები ბიჭო გაჩერდი, თორემ ეს უჯიშოები ახლავე დაგხვრეტენო!“ შევჩერდი და გადავრჩი..... ასეთი იყო იმ დროის ქართული მილიცია.

გალაკტიონ გვენეტაძე გარდაიცვალა 1980 წელს, 89 წლის ასაკში. მას სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა შერჩენილი გასაოცარი შრომის უნარი და არაჩვეულებრივი მეხსიერება.

**Edisher Gvenetadze**

*Technical University of Georgia, Assistant professor*

### **Family Adventure of the Soldier**

**Galaktion Gvenetadze**

#### **Summary**

The work tells the story of the adventures of the family of man galakton Gvenetadze communist regime. The Government of the Democratic Republic of the error made in February, 1921.

The bloody events of 9 March 1956, which was part of his and his son Nodar Gvenetadze chagvatserina the news. His speech is still incorrectly events of March 9. In particular, attention is given to the main demand of the protesters advanced a. It was Georgia's independence. Bullets which caused the superstructure.

*საქართველოს ტექნიკური უნივერსი-  
ტეტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი*

**აფხაზეთი და ქართვლთა „გააფხაზება“  
მეუფე-მეცნიერის თვალსაწიარით**

(რეცენზია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის წიგნზე –  
„აფხაზეთი [ქართველთა „გააფხაზება“], თბ., 2007)

ქართული ყოფიერების უმთავრესი პრობლემა ახლობელ თუ შორეულ ეთნოსთან ურთიერთობის დალაგება და ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობაა. ამ ურთულეს საკითხში საერო ხელი-სუფლებას ერთგულად მხარში უდგას სასულიერო წოდების ინტელექტუალური და პროგრესული ნაწილი.

ქართული დედა ეკლესია ინტერესდება არამარტო ერის სულიერი მდგომარეობით და სწორად წარმართვით, არამედ მისი საუკეთესო და მოაზროვნე ფრთა გულდაგულ ცდილობს ისტორიულ წიაღსვლებში ჩვენი ეროვნული რაობისა და ბედისწერის მონიშვნას. მეუფე ანანია ჯაფარიძე საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული მოღვაწეა, ისტორიკოსი და სასულიერო პირი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი და კომპეტენტური მეცნიერი.

ამის დასტურია თუნდაც ამ სახელოვანი ისტორიკოსის, დიდი სულიერი მამის, გრიგოლ ხანცთელისა და არსენი საფარელის ღირსეული თანამოდაგამისა და სულიერი მემკვიდრის, საქართველოს საპატრიარქოს მანგლის-წალკის ეპარქიის წინამძღოლის, მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის 1992 წელს შექმნილი წიგნი „აფხაზეთი (ქართველთა „გააფხაზება“), რომელიც ხელმეორედ 2007 წელს გამოიცა (პირველად — 2001 წელს).

ქართული საზოგადოება კარგად იცნობს მეუფე ანანიას მიერ წამოჭრილ ისტორიულ პრობლემებს, ეთნოკულტუროლოგიურ შრომებს და მნიშვნელოვან მონოგრაფიულ გამოცემებს. ანანია ჯაფარიძის წიგნი ჩვენი დროისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს ეხება. იგი პასუხს სცემს მრავალ საჭოჭმანო კითხვას, რომელიც უმალ იჩენს ხოლმე თავს სამეცნიერო თუ პოლიტიკურ ასპარეზზე.

ქართველი ერი, ქართველური სულიერება ფენომენოლოგიურია – თავისი ნიჭით, მიდგომით, შემგუებლობითა თუ ვერშემგუებლობით, ტოლერანტობითა თუ მიმტევებლობით მართლაც უნიკალური მოვლენაა, ქართველობის შეგრძნება, შეცნობა-გასიგრძეგანება ერთდროულად ადვილიცაა და ძნელიც, მარტივიცა და რთულიც..., მაგრამ სულ სხვაა მეუფე-მეცნიერის თვალსაწიერიდან დანახული ქართული მართლმადიდებლობისა და საქართველოს ისტორიის იარიან-ტკივილიანი სულიერი ხვეულები, უახლესი და უახლოესი ტრაგიკული წარსულით...

ახლა, როცა გლობალიზაციის პირობებში, ყველას თავისი სატიკვარი ასჩენია, ყოფითმა პრობლემებმა ზოგს მამული დაგვაწინყა, დავმცრობილვართ..., ადვილი არაა სულიერი მწყემსობის პარალელურად ხელში კალმის აღება და საქართველოს ისტორიულ ბედზე, საქართველოს ეკლესიისაგან განშორებულ ქართველებზე ფიქრი, განსჯა და ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ მთავარეპისკოპოსი ანანა ჯაფარიძე შთამბეჭდავად გამოიყურება. მისი წიგნი-მონოგრაფია „აფხაზეთი (ქართველთა „გააფხაზება“)“ მხოლოდ ნაწილია იმ პატრიოტული სერიული ნამონყებისა, რომელსაც „ისტორიული ბედი საქართველოს ეკლესიისაგან განშორებული ქართველებისა“ ჰქვია. ავტორი საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ფაქტების მოშველიებით გამოწვლილვით იკვლევს მტრის მიერ დაპყრობილი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მცხოვრებ იმ ქართველთა ბედს, რომლებიც მოექცნენ გაბატონებულ უცხოელთა პოლიტიკურ, სარწმუნოებრივ და ეთნიკურ გარემოცვაში. გარდა ზემოდასახელებული ნაშრომისა, მკვლევარს ამ სერიით უკვე გამოცემული აქვს რამდენიმე წიგნი: „საინგილო, ქართველთა გალექება“, თბილისი, 1997, „ქართლ-კახეთი, ქართველთა გასომხება“, თბილისი, 1999, „ლაზეთ-თრიალეთი, ქართველთა გაბერძნება“, თბილისი, 1998, „მესხეთი, ქართველთა გამაჰმადიანება“, თბ., 1999 (რუსულად — 2008 წ.).

„ქართველთა გააფხაზებაში“ განხილულია ისეთი კარდინალური საკითხები, როგორიცაა: 1. აფხაზეთი უძველეს ძველქართულ წყაროებში; 2. ქართველი ისტორიკოსები აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ; 3. აფხაზური ტოპონიმია; 4. ქვემო იბერიის ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს მოკლე ისტორია; 5. კავკასიელ მთიელ ტომთა ჩამოსახლება აფხაზეთში; 6. გააფხაზებული გვარ-სახელები.



საქართველოს კუთხეების ერთი ნაწილის გადარჯულება–გადაქართველება XVI საუკუნიდან იწყება, როცა ერთობილი საქართველოს სახელმწიფო პერიფერიულ კუთხეებად დაიშალა, დეცენტრალიზებულ სახელმწიფოში კი, ადგილობრივი ხელისუფლების სისუსტის გამო, ჩამოსახლდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელები. ასეთი „მთის ჩამონოლა“ (აკად. ნ. ბერძენიშვილის ხატოვანი თქმავა) მოხდა აღმოსავლეთ კახეთში (ჭარ-ბელაქნის მხარე), ლეკურ-დაღესტნური ტომების სახით, შიდა ქართლის მთიანეთში — ოსების სახით, ხოლო აფხაზეთი, კავკასიის მთის იქით მცხოვრები ადიღურ-ჩერქეზული ტომების, უმთავრესად აბაზა-აფსუების ხელში აღმოჩნდა. XVI-XVII სს. ჩერქეზი ხალხი, როგორც მეომარი და იმავდროულად მრავალრიცხოვანი, აფხაზეთში გადმოსახლდა, ჩერქეზულ-ადიღურ-აფსუურმა ტომებმა ხანგრძლივი ბრძოლების შედეგად ხელთ იგდეს ისტორიული ოდიში (თანამედროვე სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირისა და ბოლოს გალის რაიონები). სამწუხაროდ, მოვლენები ისე წარიმართა, რომ მკვიდრი ქართული მოსახლეობა საზოგადოების ყველაზე დაბალი, დამორჩილებული ფენა შეიქნა. სწორედ ამის გამო ადგილობრივებმა შეისწავლეს მებატონეთა ენა, ადათ-წესები, მხოლოდ აფხაზეთის მაღალმა ფენამ — ძველმა ქართველმა თავადაზნაურობამ შეძლო თავისი მდგომარეობის შენარჩუნება. **აფსუა აფხაზ** ეთნონიმთან გაიგივდა, აღსანიშნავია, რომ მათ კავკასიის იქითა მხარეს, დღესაც რუსეთის ფედერაციაში მოხვედრილთ, აბაზები ჰქვიათ, ენას — აბაზური ენა. აფხაზურ და აბაზურ „ენებზე“ მოლაპარაკენი ადვილად უგებენ ერთმანეთს, ფაქტობრივ, ეს „ორი სალიტერატურო“ ენა, სინამდვილეში ერთი და იმავე ენის დიალექტებია.

აბაზური ტომების დაუნდობელი პარპაშის შესახებ საინტერესო ცნობას გვანვდის თურქი მოგზაური და ისტორიკოსი ევლია ჩელები, რომელიც აღწერს XVII საუკუნის სამეგრელოსა და მთელი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის არეალს, სამეგრელოს გვერდით ასახელებს „**აბაზას ჩაჩების ტომს**“. ისინი მეგრელებთან მტრულ დამოკიდებულებაში არიან: „აბაზები მეგრელებს იტაცებენ, მეგრელები — აბაზებს და ვაჭრებს მიჰყიდნიან ხოლმე“ (იხ. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თბილისი, 1971, გვ. 96). დღეს სამეგრელოში სალანძღავი სიტყვაა „**ჩაჩანი**“ (**ჩაჩნები**), რომელიც მანანწალას, „ბოშებს“ აღნიშნავს, სინამდვილეში კი იგი **აბაზა-ჩაჩებს** გულისხმობს (შდრ. **დ. სართანია**, „კაცნი ჩვენა ვართ“ ანუ სა-

მეგრელოში ეპითეტად გამოყენებული ეთნონიმების შინაარსი. კრებულში: „მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას (მესამე სამეცნიერო კონფერენცია)“, „ლომისი“, თბილისი, 1999, გვ. 152.) ასეთი გადაზარიანება ეთნონიმებისა, სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია (მაგ., ოსურად „ასი“ ამჟამად თურქულენოვან ბალყარლებს გამოხატავს, ადრე კი ამ სიტყვით ოსები თავიანთ წინაპრებს მოიხსენიებდნენ...). მეგრულში „ჩაჩან“ სიტყვისგან განსხვავებით, სულ სხვა მნიშვნელობის შემცველია ეთნონიმი **აფხაზა** (// **აფხაზი, აფსუა**). იგი აღნიშნავს ზრდილობიან, წესიერ, დახვეწილ ქცევისა და გემოვნების, მეტად თავაზიან ადამიანს. სწორედ ეს შინაარსია ნაგულვები მეგრულ გამონათქვამებში: „აფხაზაჯგუა კოჩი“ (აფხაზივით კაცი), „აფხაზაცადო გიაკვანწანს, წყირს ვენკიფურიინუანს“ (აფხაზივით ისე კოხტად და სუფთად დაიარება, რომ რწყილსაც არ აძლევს მიკარების საშუალებას). მეგრულში შემონახული ეს ტერმინები „ფეოდალური ხანის“ სოციონიმებია. მათში კარგად ჩანს მომხდურ-დამხვედურის ურთიერთმიმართება და ისიც, როგორი ზნეკეთილობით, მონივნებით, ღირსებით არის დახასიათებული „ძირძველი აფხაზი“, როგორც გაბატონებული „კასტა“ ეთნონიმ „მეგრელთან“ შედარებით.

მეუფე ანანია ჯაფარიძე ამ პრობლემებს საგანგებოდ განიხილავს. ჩვენი დაკვირვებით, გააფხაზებული ქართველობა (ძირითადად სამურზაყანო-გალის [//ოქუმის] რაიონის მცხოვრებთა ერთი ნაწილი) მეოცე საუკუნის მიწურულს, ეროვნული მოძრაობის დროს „გამოცოცხლდა“. ერთ-ერთი გალელი კოლეგა-კავკასიოლოგის თქმით, მაშინ ათასხუთასი სამურზაყანოელი აფხაზი (გააფხაზებული ქართველი) მზად იყო ქართულ ეროვნებაზე დანერილიყო და თავი თამამად ქართველად გამოეცხადებინა, მაგრამ მაშინდელმა აფხაზეთსა და საქართველოში განვითარებულმა არასახარბილო მოვლენებმა „ჩაჩუმქრა“ ქართველური მუხტი - აფხაზეთიდან ქართველთა იძულებითმა გამოსახლებამ კარგა ხნით შეაჩერა ეს პროცესი.

აფხაზურ-ქართულ საკითხებზე წერა, თვით პავლე ინგოროყვადან დაწყებული, ცხადია, ადვილი არაა. მთავარებისკოპოსი ანანია ჯაფარიძე დინჯი თხრობითა და მსჯელობით, ფაქტებისა და სხვა მკვლევართა ციტატების შეჯერება-მოშველიებით გვიხსნის და გვისაბუთებს იმ ჭეშმარიტებას, რომ აფხაზები არც ქართველებისა და არც უცხოელების თვალში ქართველთაგან განსხვავებულნი არ ყოფილან (იხ. მაგ., გვ. 18), არც ისაა გასაკვირი, რომ კოხტასთავის

შეთქმულთაგან ცოტნე დადიანი, ქართველი მემატიანის მიერ აფხაზად მოხსენიებული (იხ. ქ. ც. II. გვ. 215), ნიშნავს, რომ აფხაზი ეთნიკურად ქართველია, თვით მონღოლისთვისაც კი...

სრულიად გასაზიარებელია წიგნის ავტორის პოზიცია აფხაზეთის ტოპონიმების უმეტესობის ქართული წარმომავლობის შესახებ. პ. ინგოროყვას გამოკვლევებზე დამყარებით, მკვლევარი ემხრობა იმ აზრს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიასა და ქართველურ ენათმეცნიერებაში ცნობილი ჰიპოთეზა დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე (გურია, სამეგრელო....) აფხაზურ-ადილურ-ჩერქეზული კვალის შესახებ, ხშირ შემთხვევაში, მოჩვენებითია და გადაჭარბებული (მაგ., **-ფსა, -ყვა, -ფა // -ბა** ბოლოკიდური სიტყვანარმოებითი ელემენტები...), რაც უმეტეს შემთხვევაში ქართულ-ქართველურ ნიადაგზე იხსნება (ამის შესახებ იხ. ჩვენნი სტატიები: გურიის სამი ისტორიული ტოპონიმის (ჰიდრონიმის) წარმომავლობის საკითხისათვის (**სუფსა // ისისი, სურები, ნატანები, ჯიშვილვანი**). კრებ.: **გურია** (მხარის კვლევა-ძიების შედეგები), ტ. V. თბ., 2007, გვ. 101-105; ასევე: გურიის (სოფ. გურიანთის) რამდენიმე ტოპონიმისა და ჰიდრონიმის წარმომავლობისათვის (1. **უჯინარი, 2. ვაშნარი // ვაშინარი, 3. სქურდუმი // სკურდუმი // სქურდუბი // სქურბედი, 4. სპონიეთი**): ო. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული „**გურია**“ (მხარის კვლევა—ძიების შედეგები). ტ. IV, თბ., 2006, გვ. 83-90; ასევე: **ო — ეთ** ცირკუმფიქსიანი **ოზურგეთ**, **ომფარეთ** ტიპის ტოპონიმები ძველი კოლხეთის (გურია-აჭარის, ქვემო იმერეთის) ტერიტორიაზე. კრებ. „**გურია**“ (მხარის კვლევა-ძიების შედეგები), III. თბილისი, 1998. გვ. 212-224; ასევე: მეგრულ-ჭანურის ერთი პლასტი გურია-აჭარის ტოპონიმიში. კრებული „**გურია**“ (მხარის კვლევა-ძიების შედეგები), II, თბილისი, 1997. გვ. 154-171; ასევე: **გურ** ძირის შემცველ სახელთა ურთიერთმიმართებისათვის (**ეგურ // ენგურ, ინგორ, ეგრის, მეგრ-ი, მეგრელ-ი//მარგალ-ი, არგუეთ-ი, გურია, არგო (არგისა), მაკრონი, მარგალიტი**). კრებ. „**გურია**“ (მხარის კვლევა-ძიების შედეგები), II, თბილისი, 1997. გვ. 172-186;

მაგ., **ბზიფი** წარმომდგარია **ბზებ**-ისაგან: **ბზიფი** <— **ბზეფი** <— **ბზები** „ბზებიანი ადგილი, ტყე“; **ნებელდა** <— **ნიბელთა** <— **ნიფელთა** „ნიფლ[ე]ბიანი“; **გაგრა** <— **გაკრა** (სვანურად: ნიგვზნარი, ნიგვზებიანი ადგილი, შდრ. ტოპონ. **გრაკალი**), **სოხუმი** <— **ცხუმი** (რცხილნარი, რცხილებიანი ადგილი; **ცხ** —> **სხ // სუხ** გათურქებული წარმოთქმაა, თურქულ ენაში **ცხ** კომპლექსი არ არსე-

ბობს), **ბიჭვინთა** <— **ფიჭვის მთა** (შდრ. ანტიკური სახის გაბერ-  
ძნულებული სახელწოდება *პიტინტი*. რუს. *პიტუნდა*), ასევე ქარ-  
თველური (ქართულ-მეგრულ-სვანური) წარმომავლობისაა **დიოს-  
კურია**, **კელასური**, **სუფსა**, **სოჭა** (სოჭი, მცენარე, ფიჭვის ნაირსა-  
ხეობა, შდრ. რუს. „სოჩა“), **ფუსტა** „მისიმიანთა მხარეში“, იგივე და-  
ლის ხეობა (სვან. **ფუსდ** „ბატონი“)...

მეუფე ანანია ჯაფარიძის წიგნში განსაკუთრებული ადგილი  
ეთმობა ქვემო იბერიის ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს გაჩენა-  
დაარსებას. დაწყებული ანდრია პირველწოდებულის საქართვე-  
ლოში მოგზაურობიდან და ქადაგებიდან (ის აფხაზეთში ჩავიდა  
მესხეთისა და ქართლის გავლით) განხილულია ცნობები და წყარო-  
ები ეპიფანე კონსტანტინეპოლელისა, ექვთიმე მთაწმიდლისა, გე-  
ლასი კვიციკელის, პროკოფი კესარიელის, იერუსალიმელი პატრი-  
არქის დოსითეოსის... და სხვ. საინტერესოა ა. ჯაფარიძის მოსაზ-  
რება ხანმეტობისა და ჰემეტობის ქრონოლოგიური ურთიერთმი-  
მართების თაობაზეც. მისი მტკიცებით, „თუ დავეთანხმებით ივ.  
ჯავახიშვილს, რომ ჯერ ხანი იყო და შემდეგ მისგან ჰაე განვითარ-  
და, მაშინ იმ დასკვნას მივიღებთ, რომ ქართულისა და მეგრულ-ჭა-  
ნურის გამოყოფა და დაშორება მომხდარა ქართული ეკლესიის  
შექმნისა, და, კერძოდ, ქართულ ენაზე ლიტერატურის გაჩენის  
შემდეგ. ასეთ დასკვნამდე მივიდა ა. შანიძეც, თუმცა ივ. ჯავახიშ-  
ვილის კვლევის ასეთ შედეგს იგი არ ეთანხმებოდა“ (გვ. 33).

და ბოლოს: როდის დაარსდა აფხაზეთის ანუ ქვემო იბერიის  
საკათალიკოსო? მკვლევარი, გაანალიზებული დიდძალი ცნობის  
საფუძველზე, დაასკვნის, რომ ბერძნული ეკლესიის მიმართ ავტო-  
კეფალური, ანუ დამოუკიდებელი ეკლესია-საარქიეპისკოპოსო ყო-  
ფილა და ავტოკეფალია მოუპოვებია დაახლოებით 720 წლისათვის  
იმპერატორ ჰერაკლე კეისრის შემდეგ იმპერატორ ლევ ისავრო-  
სამდე. ქვემო იბერიის ანუ აფხაზეთის საკათალიკოსოს ეპარქიები  
ჰქონია იმერეთში, გურიაში, სამეგრელოში, აფხაზეთში, სვანეთსა  
და მესხეთის ნაწილში... ამრიგად, სრულიად საქართველოს ამიე-  
რიდან ჰქონდა ორი ავტოკეფალური ეკლესია, რომელთა მეთაურ-  
თაგან ერთს „უხუცესი“ კათალიკოსი მართავდა (მცხეთის), მეორე-  
სა კი „უმრნემესი“ ბიჭვინთელი კათალიკოსი, ორივეგან სახელმწი-  
ფო და საეკლესიო ენა ქართული იყო. საქართველოს გაერთიანე-  
ბის შემდეგ აფხაზეთისა და მცხეთის საკათალიკოსოები გაერთი-

ანდნენ ერთ საპატრიარქოდ. ეს მოხდა X საუკუნის ბოლოსა და XI ს-ის დასაწყისში. პირველი პატრიარქი იყო მელქისედეკი (გვ. 45).

საკითხით დაინტერესებული მკითხველი მეუფე ანანია ჯაფარიძის წიგნში ბევრს საყურადღებო და საჭირო მსგავს ფაქტსა და მსჯელობას იპოვის. იპოვის იმასაც, თუ რატომ იცოდნენ წარჩინებულმა აფხაზებმა ქართული და რატომ მიაჩნდათ იგი მშობლიურ ენად, რატომ ჰქონდათ ქართული გვარები, აფხაზ თავადაზნაურულ ოჯახებში ბავშვი რა ენაზე მიმართავდა მშობელ დედას. როგორი ქართველები იყვნენ შერვაშიძეები და ჩხოტუები... აქ იმასაც იპოვის, აფხაზეთის სამთავროში, მთიელების ჩამოსახლებისა და გამარჯვების შემდეგ, ისინი როგორ და რატომ ესხმოდნენ თავს ქართულ ძირძველ მოსახლეობას, ატყვევებდნენ და ფიზიკურ-სულიერად იმონებდნენ: აფხაზური ტერმინი **აგირვა** ხომ აფხაზურად **მეგრელ მონა-მსახურს** ეწოდებოდა, ხოლო **აგური** გურულს. ასე აფხაზდებოდა **XVI-XVII** საუკუნეებიდან მოყოლებული აფხაზეთში აბორიგენი მოსახლეობა, რომლის ძირითადი ნაწილი — გლეხთა ფენა, ოთხ კატეგორიად იყო დაყოფილი. აქვე იპოვის იმასაც, თუ როგორ აფხაზდებოდა (აფსუური ხდებოდა) ქართული ტოპონიმები: **სათამაშო** (მოედანი, ადგილი) — **ტამიშად** იქცა, **ცხელკარი** — **აცკარად**, **ლიხნე** — **ლიხნად** (სვან. ლიხნე „სალხინო“) და სხვ.

ჩვენ, სარეცენზიო წერილის სპეციფიკურობის გამო, მთლიანად მაინც ვერ შევძელით წარმოგვეჩინა მთელი ის სასიკეთო მნიშვნელობა მეუფის ნაშრომებისა, რაც გულდაგულ გადმოგვიშლის ქართველების გადაგვარების პერიპეტიებს და მკაფიოდ გვამცნობს ამ მოვლენის ეტაპებს. გალექებას, გასომხებას, გაბერძნებას, გამაჰმადიანებასა და გააფხაზებას თავისი რეალური საფუძველი ჰქონდა, საკუთარი იდეოლოგია, ლოკალური თუ გლობალური მნიშვნელობა. ყოველივე ეს ცხადად არის გადმოცემული მეუფე ანანიას ნაშრომებში. ჩვენი აზრით, მეუფე ანანია ჯაფარიძის წიგნების სათანადო ტირაჟირება აუცილებელია დღევანდელი გლობალური გამოწვევების გამოც (სხვადასხვა ენაზე).

ქართველი მეცნიერების (ივ. ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, პავლე ინგოროყვა, არნოლდ ჩიქობავა, ქეთევან ლომთათიძე, თეიმურაზ გვანცელაძე, თეიმურაზ მიბჩუანი, დერმიშა გოგოლაძე, გაიოზ ერაძე, ანზორ თოთაძე..) აფხაზებისა და აფხაზეთის შესახებ დანერილ ნაშრომებს შორის სახელოვანი მკვლევრის, მღვდელმთავრისა და მწყემსმთავრის, მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარი-

ძის რუდუნებით შექმნილი ეს წიგნი „აფხაზეთი - ქართველთა „გააფხაზება“ თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს ქართველოლოგიურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

მეუფე ანანია ჯაფარიძის წიგნი „აფხაზეთი (ქართველთა „გააფხაზება“)“ წარმოადგენს უაღრესად საყურადღებო მოვლენას ზოგადად სამეცნიერო სივრცეში, მას ყურადღებით გაეცნობა ნებისმიერი პროფესიის განათლებული მკითხველი, რომელიც საფუძვლიან ინფორმაციას მიიღებს ჩვენი ერის ცხოვრების უმტკივნეულეს და უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მეუფე ანანია ჯაფარიძე უაღრესად პროდუქტიული და ნაყოფიერი მკვლევარია, იგი ერთგულად განაგრძობს დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწეების მიერ გაკვალულ გზას და ერთიანი, ურღვევი, სულიერად განათლებული საქართველოს ავანგარდშია.

**Badri Tskhadadze**

*Technical University of Georgia  
Assistant professor*

**Abkhazia and the transformation of Georgians into Abkhazians  
from the point of scientific ruler  
(Review of the Metropolitan Anania Japharidze's  
book – „Abkhazia“)**

**Summary**

This scientific work deals with the fruitful scientific activity of the historian and modern spiritual leader Anania Japharidze. Generally are reviewed the issues related to the historical and social conditions of transformation of Georgians into Abkhazians, the most painful and essential issues of our nation's live, social terms which characterise the given era (‘agirva’), as well as how Georgian toponyms: ‘satamasho’ (moedani, adgili) (it means playground in English) – ‘tamishi’, ‘tskhelkari – ‘atskarai’, etc. became Abkhazian.

Here is estimated the scientific way of Metropolitan Anania Japharidze and his very productive and fruitful research, his honor and dignity toward the people, the newly fledged Georgian State and Orthodox church. In the final evaluation of the reviewer, the Metropolitan Anania Japharidze is still in the forefront of Georgia and continues to follow the way of Georgian spiritual leaders faithfully serving for the united, indestructable and spiritually educated country.

## გურამ ყორანაშვილი

*პროფესორი, ისტორიკოსი,  
ფილოსოფოსი*

### ნიგნი ილიას მკვლევლობის შესახებ

მკვლევარ-ისტორიკოსი, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი თენგიზ სიმაშვილი კარგა ხანია რაც დაინტერესებულია ტერორიზმის პრობლემითა და მეფის რუსეთის „ოხრანკა“ – ჟანდარმერიის თემატიკით. ამასთან დაკავშირებით თავდაპირველად მან ხელი მოჰკიდა ნიკო ხიზანაშვილის მკვლევლობის საქმის შესწავლას. უკანასკნელი წლების მანძილზე კი იგი მუშაობს ილიას მკვლევლობის თემაზე. აღნიშნული მით უფრო დასაფასებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ის ცხოვრობს და მოღვაწეობს თელავში. სწორედ ამგვარი სერიოზული მუშაობის შედეგი გახლავთ მისი წიგნი „სოციალ–დემოკრატი ბოლშევიკი ტერორისტები – ილია ჭავჭავაძის მკვლელები“, რომელიც გასულ წელს დაისტამბა.

სარეცენზიო ნაშრომი დაფუძნებულია სოლიდურ საარქივო მასალებზე, რომლებიც საქართველოს წამყვან არქივებშია დაუნჯებული და სამეცნიერო მიმოქცევაში სწორედ ავტორის რუდუნებით მოხვდა. იგი, რასაკვირველია, იყენებს აგრეთვე სპეციალურ ლიტერატურასაც, თუმცა ამ მიმართულებით სასურველი იყო მეტი გამოყენებინა.

წიგნში მრავალი საკითხია დაყენებული, დადგენილია მრავალი ფაქტი, რაც თავის მხრივ, სერიოზულ საფუძველს წარმოადგენს აღნიშნული თემის შემდგომი გაღრმავებული კვლევა-ძიებისათვის.

უპირველესად ვიტყვით, რომ სამეცნიერო ნაშრომში საფუძვლიანად არის გარკვეული დიმიტრი ჯამის ავბედითი როლი ილიას გრაგიკულ აღსასრულში. ამას იმიტომაც ვუსვამთ ხაზს, რომ რიგ მკვლევართა (შალვა მარკოზაშვილი, გურამ შარაძე, ნოდარ გრიგალაშვილი) მიხედვით, აღნიშნული პირი თითქოს უდანაშაულო იყო. ვფიქრობთ, ამ წიგნის გაცნობის შემდგომ ამგვარ სპეკულაციებს ბოლო მოეღება.

მკითხველი შიტყობს, რომ ავადსახსენებელი დიმიტრი ჯამს დიდად სწყალობდა ილიას მკვლევლობის პირველი გამომძიებელი (განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა) ნიკოლაი ილიაშენკო. უაღრესად საინტერესო ფაქტებია, რომ 1907 წლის სექტემბერში, ე.ი.

მკვლევლობის ახლო ხანებში, ნ. ილიაშენკოსათვის ჩინი მიუმატებიათ, ხოლო 1908 წლის იანვარში დაუნინაურებიათ კიდეც, გადაუყვანიათ რა თბილისის საოლქო სასამართლოს წევრად, სადაც 1921 წლამდე მუშაობდა (იხ. სარეცენზიო წიგნი, გვ. 64). ასე რომ, მას ამკარად მფარველობდა რუსეთის ცარისტული ხელისუფლება და, ჩანს, ასევე, ყოველ შემთხვევაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ზოგიერთი გავლენიანი პირი. ამის შემდგომ კი „ესტაფეტა გაუგრძელებია“ საბჭოურ ხელისუფლებასაც, რომელსაც აღნიშნული პირი ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეკომისის საქმეთა მმართველად დაუნიშნავს. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ბევრ რამეზე მიგვანიშნებს და სათანადოდ დასკვნებს გვაკეთებინებს.

მართლაც უცილობელი ფაქტია, რომ ნ. ილიაშენკომ დაფარა დ. ჯაშის ავბედითი ნაკვალევი ჩვენს დიდ ეროვნულ ტრაგედიაში. აქედან გამომდინარე, ავტორი სწორად ხედავს მის კავშირ-ურთიერთობას ქართველ სოციალ-დემოკრატებთან (ესდევებთან), მაგრამ მეორე მხრივ, იგი დაასკვნის: „მეფის რუსეთის საიდუმლო პოლიცია არავითარ კავშირში არ იყო 1907 წელს მომხდარ ილია ქავჭავაძის მკვლევლობასთან“ (გვ. 63). მაგრამ ასეთ შემთხვევაში როგორ გავიგოთ ის ამბავი, რომ ნ. ილიაშენკომ მიჩქმალა დ. ჯაშის აღნიშნული კვალი. ამას დავუმატებდით ავტორის დასკვნასაც: „ნ. ილიაშენკოს ასეთი საქციელის მიზეზი ან მატერიალური დაინტერესება, ან საიდუმლო პოლიციის მითითებები უნდა ყოფილიყო“ (გვ. 36-37). ბოლოს და ბოლოს, ნ. ილიაშენკოს ასეთი სამსახურებრივი აღზევება ოდენ ესდევების დამსახურებას უნდა მიენეროს?

თენგიზ სიმაშვილი რომ გასცნობოდა ალექსანდრე კოჭლავაშვილისეულ ფონდს, რომელიც ქართული ლიტერატურის მუზეუმშია, იგი ნაანყდებოდა ერთ-ერთი თვითმხილველის (გვარად წინამძღვრიშვილის) მოგონებას – რომ 1907 წლის 30 აგვისტოს (ძვ.სტ.) დილით, სოფელ წინამურსა და სოფელ გალავანს შორის ბლომად დაძწნოდნენ (ეტლებით) „ოხრანკის“ ფილერები – გარე საიდუმლო მეთვალყურენი. ნურც იმას დავიჯერებთ, რომ ილიას მოკვლის გადანყვეტილების თაობაზე „ოხრანკა“ –ჟანდარმერიამ არაფერი იცოდა, მაშინ როდესაც ამ ინფორმაციამ გაჟონა უბრალო ხალხშიც კი. დასახელებულ ფონდიშვივე ფიგურირებს დოკუმენტი, რომელიც გვამცნობს დ. ჯაშისა და მცხეთის უბნის პრისტავ (ბოქაულ) სტანისლავ გრიციუნასის (წარმოშობით ლიტველი გახლდათ, რაც ნიშანდობლივია მსგავსი აქტის ჩადენისას) შეხვედრას მცხეთის საპოლიციო სამმართველოში, სადაც მათ შეუერ-



თდა გიგლა ბერბიჭაშვილი. უკანასკნელმა საბედისწერო დავალება ამ პირისგანაც (მანამდე ფილიპე მახარაძისაგან) მიიღო.

დიმიტრი ჯაშისადმი გულჩვილად განწყობილ ავტორთა სანი-ნაალმდეგოდ, რომლებიც ბრმად ენდობიან მისი და ცოლყოფილ და-რია ჯაშის მოგონებებს, თენგიზ სიმაშვილი ასეთ დასკვნას აკეთებს: „ჩემი აზრით, დიმიტრი ჯაშის გადაბირება, „დააგენტურება“ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის ძიებისას, 1907 წლის სექტემბერ–დეკემბერში მოხდა“ (გვ. 45, აგრეთვე 63). საკითხავია, განა 1909 წლის აპრილამდე არამზადა დიმიტრი ჯაშის ოდენ დააგენტურების მცდელობებს ჰქონდა ადგილი? პირადად მე ეჭვი არ მეპარება, რომ გარკვეულ კონტაქტებს ამ ინსტანციებსა და ჯაშს შორის მანამდეც ექნებოდა ადგილი (სხვათა შორის, ასევე იყო, უფრო ადრიდან, მათსა და ცილისმწამებელ ვასილ ნაცვლიშვილს შორის). ყოველ შემთხვევაში, ავტორის შეხედულებით, დ. ჯაში ესდეკების მიერ ილიას წინააღმდეგ მიმართულ პროპაგანდა-აგიტაციაშიც ყოფილა ჩარეული (გვ. 29–30).

თურმე, არც ისე ყოფილა საქმე, როგორც თავს იკატუნებდა დ. ჯაში თავისი შეჭირვებული მდგომარეობის დახატვით (ვიდრე ილიას მამულში მოურავად მოეწყობოდა). ავტორის მიხედვით, მანამდე მას გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკში“ 130 მანეთი ხელფასი ჰქონია და მას ივლისამდე, ე.ი. ოღლა გურამიშვილისეულ და ილიასეულ მამულში მუშაობის დროსაც ლებულობდა. მანამდე აგრეთვე სხვა შემოსავლებიც ჰქონია. ამდენად, „ილია ჭავჭავაძესთან მუშაობის დაწყების მიზეზი დიმიტრი ჯაშის მხრიდან მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი არ იყო“ (გვ. 31). წიგნში თვალი გადევნებულია დ. ჯაშის შემდგომი ხანის „მამაძაღლოებისთვისაც“, რაც საკითხით დაინტერესებულ პირთათვის დიდ ინტერესს წარმოადგენს.

ფრიად დამაინტრიგებელია თენგიზ სიმაშვილის მიხვედრა იმის თობაზე, რომ 1917 წლის რუსეთის თბერვალ–მარტის რევოლუციის შემდეგ, „იმ დროს სრულყოფილი ინფორმაცია დიმიტრი ჯაშის აგენტურული საქმიანობის შესახებ, სოციალ–დემოკრატი–მენშევიკური პარტიის ლიდერებს, სურვილის შემთხვევაში თავისუფლად, იოლად შეეძლოთ მოეპოვებინათ. სწორედ ამ პარტიის ლიდერები და წარმომადგენლები იყვნენ საგამომძიებო კომისიის წევრები. ამის ნაცვლად კი, მათ დიმიტრი ჯაშის აგენტურული საქმიანობის შესახებ მასალები არ მოიძიეს, ანდა მათ ხელთ არსებულ დოკუმენტებს ყურადღება არ მიაქციეს“ (გვ. 62–63). წიგნში უფრო წინ აღნიშნულია: „რაც შეეხება ფილიპე მახარაძის სტუდენტობის მეგობარ ნოე ჟორ-

დანას, ვფიქრობ საზოგადოებისთვის ცნობილ ინფორმაციებს მის კავშირზე ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გადაყვეტილების მიმღებ პირებთან, ჩემი და ჩემი კოლეგების რეალურ დოკუმენტებზე დაფუძნებული მომავალი კვლევები გასცემს დაზუსტებულ პასუხს“ (გვ. 31). ავტორის ამგვარი დაეჭვება საფუძვლიანია და ქართული ისტორიოგრაფია, იმეღია, ამ მიმართულებით სათანადოდ გაირჯება.

კარგია ილიას ძველი მოურავის მოშორების ფაქტის საზრისის მიხვედრაც: „ჩემი აზრით, ეს იყო სოციალ-დემოკრატების „ნითელი რაზმების“ მიერ ილიას მოსაკლავად შემუშავებული ტერორისტული აქტის გეგმის ერთ-ერთი რგოლი. ვთვლი, რომ ამ ნაშრომის დარჩენილი ნაწილის ნაკითხვისას მკითხველი სრულად დარწმუნდება ჩემი აზრების სისწორეში“ (იქვე). შვნიშნავთ, რომ ეს გარემოება მანამდე სხვებსაც შეუმჩნევიათ.

თუ აქამდე ჩამოთვლილ რიგ საკითხებთან დაკავშირებით ავტორთან ჩვენ თანხმობას გამოვთქვამთ, ამას ვერ ვიტყვით შემდეგი ძირითადი საკითხის – „ვილაც იმერელთან“ მცხეთელი ბანდიტის, აქ მოქმედი 15-კაციანი ბანდის მეთაურთან მის იდენტიფიკაციაში.

დავინწყით იმით, რომ თენგიზ სიმაშვილს უნდა ნათელეყო მის მიერვე მოპოვებული ცნობა: „კავკასიის რაიონული „ოხრანკის“ ერთ-ერთ საქმეში არსებული ინფორმაციით ი. იმერლიშვილი 1907 წლის ოქტომბრამდე ოფიციალურად მუშობდა ასოთამწყობად თავართქილაძის სტამბაში“ (გვ. 85). თუ ასეა, მაშინ საკითხავია, თუ როგორ შექმნა მან ბანდა და როგორ მეთაურობდა მას 1907 წლის აგვისტოს ბოლოსთვის?

ნიგნში ვკითხულობთ: „ჩემი აზრით, ასეთი რანგის ადამიანზე (იგულისხმება ილია – გ.ყ.) „ტერორის დანიშვნა“ მხოლოდ აღნიშნული პარტიის (სოციალ-დემოკრატიული – გ.ყ.) ცენტრალურ კომიტეტს შეეძლო“ (გვ. 90). მაგრამ ცნობილი ფაქტია, რომ ასეთი ორგანო, „ცენტრალური კომიტეტი“ ადგილობრივ, ამიერკავკასიაში არ არსებულა. ფუნქციონირებდა რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი, აგრეთვე (თბილისის მასშტაბით) თბილისის კომიტეტი, რომლებშიც (ორივეგან) „მენშევიკები“ იყვნენ გაბატონებული. გამოდის, რომ ასეთი საბედისწერო, შემაზრზენი გადანყვეტილება ესდეკების ამ ფრთას (ზომიერს) მიუღია. თენგიზ სიმაშვილის აზრით, „მისი ნევრები, ლოგიკიდან გამომდინარე, ამ სახის „პოლიტიკური აქტის“ ორგანიზებას და შესრულებას თავის უერთგულეს, რევოლუციურ და ტერორისტულ საქმიანობაში გამოცდილ, თუ „ხელგანაფულ“ წარმო-

მადგენელს დაავალებდნენ“ (იქვე). მეტიც, ვოთომდაც ასეთად მიუჩნევიათ ილიკო იმერლიშვილი, რომლის ბანდაშიც თითქოსდა ყოფილან „ბოლშევიკები“ – ვანო ინაშვილი, გიგლა ბერბიჭაშვილი და პავლე ფშავლიშვილი (აფციაური).

თუ ასეა, მაშინ რატომ უნდა დაუკავშირდეს ილიას მკვლევობა მხოლოდ და მხოლოდ ქართველ „ბოლშევიკებს“? ანდა რაში გამოინახება ამ შემთხვევაში იოსებ ჯუგაშვილის (მომავალი სტალინის), როგორც მთვარი ორგანიზატორის როლი?

სხვაგან იმონებებს რა ლიტერატორ ალექსანდრე სიგუას ცნობას, ავტორი გადაწყვეტილების მიმღებ ინსტანციად თვლის ფილიპე მახარაძის მიერ მინიშნებულ ორგანოს, ის კი ბოლშევიკური მიმართულებისა გახლდათ (იგულისხმება „თბილისის ბოლშევიკების ლიტერატურული ბიურო“). წიგნში აღნიშნულია: „მასში ასევე მონაწილეობდა ძველი სოციალ–დემოკრატი ვანო (ივანე) ინაშვილი, რომელიც, ალბათ, სოციალ–დემოკრატების ცენტრალური (თბილისის) კომიტეტის მიერ ილიკო იმერლიშვილის დაჯგუფებასთან იყო „მიმაგრებული“, როგორც ადგილობრივი სიტუაციის კარგი მცოდნე“ (გვ. 116). ეს კი ნამეტანია და თანაც, მცხეთელი ილიკო იმერლიშვილს ასე გაუჭირდებოდა ამის ცოდნა, თუნდაც წინამურის მიდამოებისა?

ვიციტ ისიც, რომ გ. ბერბიჭაშვილი, პ. ფშავლიშვილი, ასევე საგურამოს თორმეტკაციანი ბანდის „ლიდერი“ ლადო ფეიქრიშვილი იმხანად „ვილაც იმერელში“ ი. იმერლიშვილს ვერ ცნობდნენ. პავლე ფშავლიშვილისა და ლ. ფეიქრიშვილის შესაბამისი აღიარების ფაქტზე ავტორი საისტორიო წყაროებზე, ფაქტებზე ამკარა ძალადობას ამჟღავნებს და სურს საქმე ისე წარმოაჩინოს, რომ მათ უკვე იცოდნენ, რომ „ვილაც იმერელს“ სწორედ ი. იმერლიშვილი განასახიერებდა.

მსჯელობის გეზს ოდნავ გადავუხვევთ და ავტორის მიერ ერთ დასამულ კითხვაზე შვჩერდებით: „რა იცოდა ცნობილმა ბოლშევიკმა, სტალინის ახლობელმა, სერგო ქავთარაძემ დიმიტრი ჯაშუე ისეთი, რამაც მისთვის რეკომენდაციის განევა აიძულა და რატომ დანიშნეს იგი ბოლშევიკებმა საერთოდ „თბილ“ ადგილზე?“ (გვ. 67). ჩვენის მხრივ, პასუხი დიდი ინტრიგის შემცველია: აღნიშნული პირი მიიჩნევა, რომ ილიას მკვლევობის მეოთხე მონაწილე, „ვილაც იმერელი“ სწორედ სერგო ორჯონიკიძე გახლდათ, იქნებ ეს დ. ჯაშის მეშვეობით უწყოდა?

დაე, ავტორი და სხვაც, ვინც ამ საკითხზე მსგავსადვე ფიქრობს, დაფიქრდნენ კითხვებზე: 1) ცნობილია, რომ „ვილაც იმერელი“ საგურამო–წინამურის მიდამოებში მხოლოდ 1907 წლის 29 აგვისტოს

(ტერაქტის წინა დღეს) გამოჩნდა, მაშ როგორ გავიგოთ ი. იმერლიშვილის თითქოსდა საკმაოდ ხანგრძლივი სამზადისი ილიას მკვლელლობის აღსასრულებლად? 2) თუ ი. იმერლიშვილი მართლაც ილიას ერთ-ერთი მკვლელთაგანი იყო, მაშინ სხვათა მსგავსად რატომ მანაც არ სცადა მიმალვა? 3) ვიცით, რომ ილიას მკვლელობის მიზნით (წინადადების სახით) წინა დღებში გურამიანთკარის ზემოთ „მიტინგი“ მოეწყო და მათი ორგანიზატორები იყვნენ ივანე ინაშვილი, დიმიტრი ჯაში და ესდეკი ლავრენტი ასათიანი. მაშ სად იყო ი. იმერლიშვილი? 4) რატომ მოხდა, რომ წარმოშობით მცხეთელი ი. იმერლიშვილი ცუდად ერკვეოდა მკვლელობის ადგილის ცოდნაში და ამიტომ ინიციატივა ხელში ჩაიგდო ი. ინაშვილმა? 5) ნუთუ 1907-14 წლებში ი. იმერლიშვილს წინამურის ტერაქტის მოხდენის ამბავი ვინმესთან ერთხელაც კი არ ნამოსცდა? 6) შესაძლებელია, რომ ეს გარეწარი მართლაც იცნობდა იოსებ ჯუგაშვილს და მათ კონტაქტებიც ჰქონიათ, მაგრამ საჭიროა ამის დოკუმენტურად დასაბუთება.

ყოველ შემთხვევაში, რაკი პ. ფშავლიშვილისა და ლ. ფეიქრიშვილის დაკავების შემდგომ გამომჟღავნდა ილიას მკვლელობაში „ვილაც იმერლის“ მონაწილეობა, რომელიც აღნიშნულ პირთათვის, ვიმეორებთ, ვილაც უცნობი და არა ნაცნობი ილიკო იმერლიშვილი გახლდათ, ჩანს, საზოგადოებაში წარმოიშვა ცნობისმოყვარეობა, სურვილი „ვილაც იმერლის“ დადგენის თაობაზე. ჯერ ეჭვი შეიტანეს ადგილობრივ აზნაურ სანდრო ოზიაშვილზე (ოზიეზე), რომელსაც „მისი გარეგნობის, მიხვრა-მოხვრის გამო ბევრი მას იღებს იმერლად“ (გვ. 110). თვითონ ავტორის მიხედვით, „ა. ოზიევი გარეგნობით შეიძლება ნაავად დასავლეთ საქართველოში მცხოვრებს (იქვე). მაგრამ ეს არ დადასტურდა და გაჩნდა სხვა ვერსია „ვილაც იმერლის“ ცნობილ ბანდიტ ილიკო იმერლიშვილთან გაიგივებისა.“ შესაბამისი დოკუმენტები, წიგნის ავტორს რომ მოაქვს, ჩვენთვის არადამაჯერებელია. კერძოდ, ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ფასეულობა არ გააჩნია პასაჟს ანონიმური წერილიდან: „ერთი მელაპარაკებოდაო და თითქოს იმერელსა ჰგვანდაო და რადგანაც წვიმდა, ბნელოდა და სახეები აფარებული ჰქონდათო ვერავინ ვიცანიო“ (გვ. 144). დიდად საფუძვლიანი არც ამიერკავკასიის რკინიგზის ჟანდარმერიის საპოლიციო სამმართველოს უფროსის 1914 წლის 15 იანვრის ცნობაა, რომლის მიხედვითაც ყაჩაღ ილიკო იმერლიშვილის „საგმირო საქმეთა“ შორის ილიას მკვლელობაც არის მითითებული (იხ. გაზეთი „24 საათი“, 5 ივნისი, 2012 წელი). ყოველივე ეს შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ერთ-

ერთი, ახალი ვერსიის საფუძვლად, ისევე როგორც ცნობილი დოკუმენტი გურული ერმილე დოლიძის ილიას ერთ-ერთ მკვლელად გამოცხადებისათვის (ენვერ გოგუაძის, მიხეილ კეკელიას, გივი ჟორდანას და ტარიელ სართანიას მოსაზრება). ჩვენი აზრით, კი ბევრად უფრო უპრიანია „ვილაც იმერლად“ გარენარი სერგო ორჯონიკიძე მივიჩნიოთ.

რაც შეეხება თენგიზ სიმაშვილის ვარაუდს 1914 წელს ილიკო იმერლიშვილის გადარჩენისა და შემდგომ მისი საქართველოსა და უცხოეთში ცხოვრების თაობაზე. იგი (ეს ვარაუდი) იმდენად ფანტასტიკურია, რომ მასზე კომენტარისგან თავს შევიკავებთ.

საერთოდ ენობრივად გამართულ ნიგნში შეცდომები აქა-იქ მაინც გვხვდება. ასე მაგალითად, უხერხულია დაინეროს: „შეცდომაა გაპარებული“ (გვ. 34), „დაუსვიათ“ (გვ. 47), „მინვდილი“ , „მინვდა“ (ინფინიტივის ფორმით, ბევრგან), „სტამბა ბეჭდიდა“ (გვ. 54), „გიაურ-არსკის“ (გვ. 66), „კურინის პოლკი“ (გვ. 71–72, 75), „მეგასაღებე“ (გვ. 77), „დონის ვოისკის მხრიდან“ (გვ. 79), „ვენახის კრეფა“ (გვ. 111, ხომ გვაქვს მშვენიერი ქართული, მამაპაპური სიტყვა „რთველი“), „გაჭუჭყული“ (გვ. 114) გაჭუჭყიანებულის ნაცვლად. 97–ე გვერდზე მოიხსენიება „მაიკოპის მეტყევე ბალტლონი“ (გვ. 97), სხვაგან „მარტყოფ-იორის მეტყევე ბალტლონი“ (გვ. 101, 126). ცხადია, პირველ შემთხვევაში კომპიუტერულ შეცდომას ვაწყდებით. ცხადია, „ინგლისური ხელობის“ (საბრძოლო იარაღზეა ლაპარაკი) ხმარებას სჯობს „ინგლისური წარმოების“ , „ამომრჩეველის“ მაგიერ (გვ. 100, 104) უნდა იხმარებოდეს „ამრჩევი“ .

რაც შეეხება ფაქტობრივ უზუსტობებს, მეთერთმეტე გვერდზე „დუშეთის რაიონი“ ნახმარია შესაბამისი უწინდელი მაზრის მნიშვნელობით. „კავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტია“ (გვ. 23), ცხადია, არ არსებობდა. ტერორისტ „მ. ხუტიაშვილში“ (გვ. 24) ჯავაირა ხუტულაშვილი (კამოს და) ხომ არ იგულისხმება? „მოსე მემარნიშვილისა“ და „იაკობ ბითარაშვილის“ მაგიერ (ბევრგან) უნდა იყოს: „მემანიშვილი“ და „თარაშვილი“ (სხვათა შორის, განსვენებულის საფლავის ქვაზე სწორედ ეს ფორმა ფიგურირებს). გვარ-სახელი „ენიკოლოპოვი“ (ბევრგან) არ არსებობს, არის „ენიკოლოფაშვილი“ ანუ რუსულად „ენიკოლოპოვი“ . ნიგნში ხშირად „ხიმშიევი“ აღნიშნული „ხიმშიაშვილის“ მაგიერ. პროვოკატორ ლულაძის სახელი რუსული ფორმით „ანდრეი“, მოიხსენიება (გვ. 21, 54). 48–ე გვერდზე აღნიშნულია „გაზეთი სახალხო“ „სახალხო გაზეთის“, ნაცვლად. რა

თქმა უნდა, შეცდომაა „საგურამოს მაზრა“ (გვ. 73). „ტიდი (დიდი) ჩიტათის“ (გვ. 79) მაგიერ უნდა იყოს „დიდი ჯიხაში“ , „ხორუჟის“ ნაცვლად „ხორუჟი“ . მცდარია, თითქოს ორი ცნობილი ყაჩაღი – ინაშვილი და დოროშენკო კუს ტბასთან დააპატიმრეს (გვ. 81), სინამდვილეში ეს თბილისის სანიინალმდეგო მხარეს – კუკის მიდამოებში მოხდა. თითქოს, ქუთაისის გუბერნიაში მდებარეობდა სოფ. გადაგანი (გვ. 79), გოდოგანის ნაცვლად, თბილისის გუბერნიაში ყოფილა სოფელი ნუმი (ალბათ უნდა იყოს „ნული“). ტოპონიმი, უფრო ზუსტად ოიკონიმი, „სვიმონათხევი“ (გვ. 86) არ არსებობს, არის „სიმონიანთხევი“ . „ჩართელის“ ნაცვლად (გვ. 88) უნდა ფიგურირებდეს „ჭართლელი“ . ყაჩაღ „ბაგრატ ოვანოვის (გვ. 89, 93) გვარ–სახელი გახლდათ ოვანოვი. „სოფ. ვეძინის“ (გვ. 100) მაგიერ უნდა იყოს „ვეძისი“ . სადგურ მიხაილოვოსთან (დღევანდელ ხაშურთან) სოფელი ზემო ავჭალა კი არ მდებარეობდა (გვ. 125), არამედ – ზემო ჭალა. რამდენადაც ვიცით, გვარ–სახელი „ოგაძე“ (გვ. 108) არ გვხვდება. გვარ–სახელ „კავრიევის“ (გვ. 112, 114) ქართული ფორმა კი გახლავთ „ყავრიშვილი“ (ყავრიევი).

დაბოლოს კი დავსძენთ, რომ თენგიზ სიმაშვილის აქ განხილული ნაშრომი უთუოდ საინტერესოა. იგი დაწერილია დიდი რუდუნებით, ხანგრძლივი შრომის საფუძველზე. წიგნში დადგენილია მთელი რიგი ახალი ფაქტებისა, წამოყენებულია ახალი მოსაზრებები, დასმულია კითხვები, რომლებზედაც პასუხის გაცემა უფრო მიგვაახლოებს ჭეშმარიტებასთან.

**Guram KoranaSvili**

*Historian, Philosopher, Professor*

**On the book „Social-democrat Bolshevic  
Terorists – the Murderers of Ilia Chavchavadze“  
by Tengis Simashvili, Tbilisi, 2011.**

**Summary**

The work is written on the base of rich archive materials. There are stated a number of facts that highlights the separate aspects of great problem. At the same time the reviewer finds it improbable to name a bandit Iliko Imerlishvili as one of the killers (the certain Imereli“ ). By his viewpoint the killer was a future famous Soviet party and state figure Sergo Orjonikidze.

## გელა საითიძე

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

## შორენა მურუსიძე

ისტორიის მეცნიერებათა  
მაგისტრი

### პარპია, მამრამ ნაკლიც აქვს...

#### (უჩა ბლუაშვილი: „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993 წწ.“)

1987-1993 წლები საქართველოს უახლესი ისტორიის უაღრესად საინტერესო პერიოდია. ეს არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის, დამოუკიდებლობის აღდგენის, პოლიტიკური კონფრონტაციისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის წლები. ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ დრამატულ ეტაპს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა. ისინი არერთმნიშვნალოვნად აფასებენ იმ წლებში განვითარებულ მოვლენებს. მკვლევარები, მათ მიერ შექმნილ ნაშრომთა დიდ უმრავლესობაში, საკუთარ სიმპატიებსა და ანტიპატიებზე მალლა დგომას ვერ ახერხებენ, რაც აშკარა ცალმხრივობის დაღს ასვამს მათ ნააზრევს.

მათგან რამდენადმე განსხვავდება უჩა ბლუაშვილის მიერ 2012 წელს გამოცემული წიგნი „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993 წწ.“ 300 გვერდიანი ნაშრომი შესავლის, ხუთი თავისა და ინგლისურ ენაზე თანდართული რეზიუმესაგან შედგება.

ამ თავითვე უნდა ითქვას, რომ ავტორს, რომელიც იმ წლებში განვითარებული მოვლენების აქტიური მონაწილეც იყო, გულდასმით შეუსწავლია თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურა, მრავალფეროვანი პრესა, უამრავი ფაქტობრივი მასალა და მათი გაანალიზების შედეგად მკითხველ საზოგადოებას აწვდის მისეულ დასკვნებსა და შეხედულებებს; მკითხველებს, რომელთაგან 60%-ზე მეტი ალბათ ასევე იმ დღეთა მომსწრე და მონაწილეცაა.

უჩა ბლუაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნული ძალების ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსვლის მიზეზებს და საზოგადოების ერთი ნაწილის შეგნებაში დამკვიდრებული

სტერეოტიპის საწინააღმდეგოდ დაასკვნის, რომ „კომუნისტებმა კი არ გადააბარეს ხელისუფლება გამსახურდიას, არამედ ხელი ვერ შეუშალეს ხელისუფლებაში მათ მოსვლას“-ო.

ამის შემდგომ ავტორი თანმიმდევრულად იხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა — კონფრონტაციული დაპირისპირება ეროვნულ ხელისუფლებასა და შეურიგებელ ოპოზიციას შორის; განხეთქილება „მრგვალი მაგიდის“ შიგნით; ეროვნული ხელისუფლების დამხობა; ახალი ხელისუფლების პირველი ღონისძიებანი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისისაგან გამოსაყვანად; ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების წარმოშობისა და განვითარების მიზეზებს; ქვეყანაში ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომის დაწყებას და მის სავალალო შედეგებს... დასასრულს იძლევა მისეულ დასკვნებს და შეფასებებს.

ასეთია ნაშრომის შინაარსობრივი ქარგა... რაც ურიგო ნამდვილად არ არის, მაგრამ საკითხავია, რამდენად ობიექტურია ავტორი თითოეული ამ საკითხის განხილვისას და რამდენად აღწევს იგი თავს თავისსავე სუბიექტურ მოსაზრებებს... უნდა ითქვას, რომ მისი მსჯელობანი და შეფასებანი, ძირითადი ობიექტურობის ფარგლებიდან არ გადის და პატიოსანი მემატინის გადასახედიდან იძლევა ამათუიმ ფაქტისა და მოვლენის მისეულ დასკვნებს.

მაგალითად, საკვებით ვიზიარებთ ავტორისულ შეფასებებს: „პოლიტიკურ პროცესებზე გავლენით 9 აპრილი უდიდესი ტეხილია საქართველოს უახლეს ისტორიაში... 9 აპრილმა ქვეყნის კომუნისტური ხელმძღვანელობის სრული დამბლა გამოიწვია. ხელისუფლებამ მთლიანად დაკარგა კონტროლი მოვლენების განვითარებაზე...“ [გვ. 59]; მართებულია მისი დასკვნაც იმასთან დაკავშირებით, რომ ახლადმოსული ხელისუფლებისა და ძველი ინტელიგენციის შეუთავსებლობის მიზეზები — „იდეოლოგიურ საბურველში გახვეული ამბიციები“ იყო [გვ. 77]; რომ „შემრიგებლური განწყობით არც ინტელიგენცია გამოიჩნეოდა. ახალგაზრდებიდან ის თავისი ინტელექტუალური უპირატესობით უსიტყო აღიარებას მოითხოვდა და მტკივნეულად რეაგირებდა მის მიმართ გამოვლენილი უპატივცემულობის თითოეულ ფაქტზე“ [გვ. 77]; ავტორი იმ შემთხვევაშიც მართალი გვგონია, როცა წერს: გკჩპ-სადმი „გამსახურდიას სიფრთხილე, რომელიც მისმა ოპონენტებმა სიმბდალედ, უპრინციპობად და კაპიტულანტობად მონათლეს, განპირობებული იყო საკუთარ ქვეყანაზე და ხალხზე ზრუნვით. და ეს აბსოლუტურად მართებული პოზიციაა“ [გვ. 135]; ავ-



ტორი, თავის მიერ დასმულ კითხვას: „მანც რა მოხდა საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში?“ თვითონვე მართებულ პასუხს სცემს: „ეს იყო გადატრიალება!“ [გვ. 186]; და რომ „გადატრიალებამდე საქმე ხელისუფლებამ მიიყვანა და არა ინტელიგენციამ. ბოლოს და ბოლოს, აჯანყების მთავარი ირგანიზატორი – სიგუა და კიტოვანი ხომ ამ ხელისუფლების განაყოფები იყვნენ“ [გვ. 191] და სხვ.

ნიგნში საკმაოდ დამაჯერებლად არის განხილული და გაანალიზებული საქართველოში წარმოქმნილი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მიზეზები. თუმცა ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული იმ შეხედულების სანინალმდეგოდ, რომლის თანახმადაც აფხაზური და ოსური სეპარატიზმი მთლიანად რუსეთის მიერ იყო ინსპირირებული, ავტორი თვლის, რომ რუსეთი ცარიელ ადგილზე, კი არ აღვივებდა სეპარატისმს, არამედ მოხერხებულად იყენებდა ამისთვის ადგილზე არსებულ სუბიექტურ თუ ობიექტურ წანამძღვრებს. იგი დანვრილებით მიმოიხილავს ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების პერიპეტიებს (საკვლევ პერიოდში) და დოკუმენტების მოშველიებით ნიღაბს ხდის ამ კონფლიქტში რუსეთის საძრახის როლს... და ა. შ.

ამასთან ერთად სარეცენზიო ნაშრომის მიმართ გვაქვს ზოგიერთი შენიშვნაც.

ჩვენი ავტორი, რამდენიმე ქართველ მკვლევართაგან განსხვავებით ენდობა და ყველაზე მეტჯერ იმონმებს გ. ნიქარიშვილის ნაშრომს „ჟამი ჭეშმარიტი: დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა“ [თბილისი, 2003 წ.].

უჩა ბლუაშვილი ერთგან იმონმებს რა გ. ნიქარიშვილს, ციტატი მოაქვს მისი ნაშრომიდან, სადაც ვკითხულობთ: „უნდა აღინიშნოს, რომ გამსახურდიას ერთ-ერთი თვისება იყო განსაკუთრებული ნიჭი: დაევადებინა ყველა თავისთავადი მეტნაკლებად მოაზროვნე ადამიანი, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონდა წლების განმავლობაში, ან თუნდაც მცირე ხნით – მისდამი რაღაცნაირი ფანატიკური, მძვინვარე, ცოფიანი სიძულვილით.“ უჩა ბლუაშვილი ამ გამონათქვამის მიმართ თავის დამოკიდებულებას ასე გამოხატავს: „გიორგი ნიქარაშვილი ცამდე მართალია“, როცა ამას ზ. გამსახურდიაზე წერსო [გვ. 143].

ავტორის პოზიცია კი, სამწუხაროდ, მკვეთრად გამოხატული ანტიზვიადისტურია. ნიგნში გვხვდება უამრავი ადგილი, სადაც განქიქებული და პიროვნულ შეურაცხყოფამდეა დაყვანილი ზ. გამსახურდიას ნაღვან-ნამოქმედარი. რა თქმა უნდა, თითოეული ადამიანს, მათ შო-

რის ჩვენს ავტორს, აქვს უფლება, საკუთარი სიმპატია თუ ანტიპატია იმისდა მიხედვით გამოხატოს, როგორც საკუთარი ქკუა-გონება უკარნახებს, მაგრამ როცა საქმე ისტორიული პიროვნების შეფასებას ეხება, ვფიქრობთ, მაშინ მეტი თავშეკავება მართებს... ანდა სხვათა მიმართაც ისეთივე პრინციპული პოზიციის დაკავება იქნებოდა მართებული. ანუ თავისი დამოკიდებულების გადმოცემის დროს ობიექტური მემატიენის პოზიციას არ უნდა უღალატოს. თანაც თუ ეს მეისტორიე ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის არც თუ უჩინო წარმომადგენელია.

ასევე დაუნდობლობას იჩენს ჯ. პატიაშვილის მიმართ და მის მიმართ ღირსებისშემლახველ გამონათქვამებს არ იშურებს: „თავის მარცხს პატიაშვილი ხან გუმბარიძეს აბრალებს, ხან შევარდნაძეს, ხან რადიკალებს; ის მზად არის მის წინააღმდეგ მსოფლიო მასონთა შეთქმულება დაიჯეროს, ეჭვი ყველაზე მიიტანოს ოლონდ არა თავის უნიჭობაზე!“ [გვ. 33-34].

სხვათაშორის, არა ასეთი დოზით, მაგრამ ავტორი შეურაცხმყოფელ სიტყვებს არ იშურებს აგრეთვე თენგიზ კიტოვანის, იგორ კვესელავას და სხვათა მიმართ, მაშინ, როცა ამას ვერ ვიტყვით ავტორის დამოკიდებულებაზე ედ. შევარდნაძის, გურამ მუჩაიძისადმი და ა. შ.

დიდი სიმპატიით ეპყრობა „მხედრონის“ და მისი ლიდერის ჯაბა იოსელიანის დამსახურებებს: „მხედრონმა“ მნიშვნელოვანი პოლიტიკური როლი შეასრულა ქვემო ქართლში, ცხინვალის რეგიონში, აფხაზეთში არსებული კონფლიქტური სიტუაციების განმუხტვასა და ქართველთა კანონიერი ინტერესების დაცვის საქმეში. რითაც ქართველი ხალხის საკმაო ნაწილის სიმპატია დაიმსახურა“ [გვ. 99-100]. რა ჩაიდინა სამეგრელოში ამაზე ავტორი რატომღაც არაფერს ამბობს!

ისტორიის დოქტორის პროფესორ უჩა ბლუაშვილის წიგნი - „ეროვნული მოძრაობა და პოლიტიკური კონფრონტაცია საქართველოში 1987-1993 წწ.“ ქართული საისტორიო მეცნიერების კარგი შენაძენია. დაწერილია გამართული ლიტერატურული ენით და დიდი ინტერესით იკითხება. მისი გაცნობა და გამოყენება შეუძლია პრობლემით დაინტერესებულ ყველა მკითხველს, პირველ რიგში კი ლექტორებსა და უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტ-ახალგაზრდობას.

## მეცნიერული

ი ბ რ კ ვ ე ს ე ლ ა ვ ა — 70

წელს დაბადების 70 წელი შეუსრულდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს იგორ სევერიანის ძე კვესელავას.

სამეცნიერო კრებულის „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხების“ სარედაქციო კოლეგია ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერს საიუბილეო თარიღს და უსურვებს დიდხანს სიცოცხლეს და ნაყოფიერ მოღვაწეობას სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაში.



გამომცემლობა „უნივერსალი“

---

თბილისი, 0179, 0. ჭავჭავაძის ბაზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17

E-mail: [universal@internet.ge](mailto:universal@internet.ge)